ალბერი

№15 2009

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2009

UDC (უაკ) 821·353·1 (051·2)

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support to
the European Foundation HORIZON

მთავარი რედაქტორი **ნაირა გელაშვილი**

ნომრის რედაქტორი **შოთა იათაშვილი**

მხატვარი **კოტე სულაბერიძე**

დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

ს ა რ ჩ ე ვ ი

პოეზია

ქრისტინე ბუსტა — ლექსები 5
მარკ სტრენდი — ლექსები 14
აზერბაიჯანული ბაიათები 25
ჯემალ აჯიაშვილი — სონეტები და ტრიოლეტები 38
რუსუდან კაიშაური — ლექსები 50
შოთა იათაშვილი — ლექსები 61

პროზა

ვირჯინია ვულფი — ტალღები (ნაწყვეტი) 68
დავით ქართველიშვილი — VITA NOVA. დღე პირველი 73
მაია სარიშვილი — მწვანე პალტო 80

მწერლების არქივებიდან

ბადრი გუგუშვილი — ანდაზები, ლექსები 83
ზაზა თვარაძე — ლექსები; მძინარე მზეთუნახავები (ესე) 96

კრიტიკა, ესეისტიკა

ზაზა აბზიანიძე — ჩემი ცხოვრება უცნაური... (ტერენტი გრანელის ლიტერატურული პორტრეტი) 113
მერაბ ღაღანიძე — რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“? 125
ლევან ბრეგაძე — პაროდიული სტრიქონი 129

რელიგია, ფილოსოფია

საადი შირაზელი — გოლესთანი 133
ალფონს და რაქელ გოტმანები — იესოს ლოცვა, გულის ლოცვა 173
აურობინდო გჰოშ — საზოგადოების ციკლი (წიგნიდან „კაცობრიობის ციკლი“) 197
ნიკოლაი ბერდიაევი — რუსული იდეა 210
მამა ალექსანდრე მენი პასუხობს მსმენელთა შეკითხვებს 230

საზოგადოება, პუბლიცისტიკა

ინა კულიშოვა — ერთი წელი საზღვრისპირეთში: საქართველო 2008-2009 251
ვასილ კობახიძე — მაგიიდან სამოქალაქო რიტუალამდე 268
ნუგზარ პაპუაშვილი — აზროვნების ოკუპაცია და ანტიეკუმენური აჯანყება საქართველოში 274
გოგი ჩაგელიშვილი — „თავისუფლების შენებას“ რა უნდა?! 291

პოლემიკა

მარსიანი — მაესტროს დასაცავად 300

საბავშვო ლიტერატურა

ნაირა გელაშვილი — დიდი დაგის ორდენი 308

ქრისტინე ბუსტა

დაიბადა ვენაში, 1915 წელს, პირველი მსოფლიო ომის უმძიმეს პერიოდში. იგი იზრდებოდა უმამოდ, მარტოხელა დედის ამარა, რომელსაც არავითარი პროფესია არ გააჩნდა და შვილთან ერთად უღარიბეს პირობებში უხდებოდა თავის გატანა. 1929 წელს კი, როცა ქრისტინე მხოლოდ 14 წლისა იყო, იგი საერთოდ უმუშევარი დარჩა; ამ დროიდან ქრისტინე გახდა იძულებული საარსებო მინიმუმი თავადვე მოეპოვებინა. მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, მან მაინც შეძლო სიმწიფის ატესტატის გამოცდების ჩაბარების შემდგომ, სწავლა ვენის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, სადაც რამდენიმე სემესტრის განმავლობაში ანგლისტიკისა და გერმანისტიკის ლექციებს ესწრებოდა. 1940 წელს იგი ცოლად მიჰყვება მუსიკოსსა და მწერალს მაქსიმილიან დიმტს, რომელიც 1942 წელს ვერმახტის სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და 1944 წლიდან რუსეთის ფრონტზე უგზოუკვლოდ დაიკარგა. ბედისწერამ კიდევ ერთი უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქრისტინე ბუსტას და იგი იძულებული გახდა ნერვული სისტემის სრული გამოფიტვის გამო 1942 წლიდან სწავლა შეეწყვიტა.

1950 წელს იგი იწყებს ბიბლიოთეკარად მუშაობას ვენის საქალაქო ბიბლიოთეკაში, ამავე წელს გამოდის პოეტის ლექსების პირველი კრებული „წლიდან წლამდე“, ხოლო 1951-1970 წლებში კი იგი უკვე ვენის მთავარი წიგნსაცავის ხელმძღვანელია. ამ დროიდან მოყოლებული საკმაოდ ინტენსიურად იბეჭდებოდა ბუსტას ლექსების კრებულები პოეტის გარდაცვალების (1987 წ.) შემდეგაც:

1951 წ. „წვიმის ხე“
1955 წ. „ლამპა და დელფინი“
1958 წ. „ჩიტების თავშესაფარი“
1959 წ. „განსხვავებული ძილი“
1965 წ. „გზად უძველეს ცეცხლთა მიმართ“
1975 წ. „მარილის ბაღები“
1981 წ. „სიყვარულის გერბს თუ ხატავ“
1985 წ. „სრული წარმავლობის შუაგულში“
1989 წ. „ზეცა წაბლნარში“
1995 წ. „სუნთქვა სიტყვისა“
2000 წ. „ღამის ენა ერთმარცვლიანია“

ქრისტინე ბუსტას რელიგიურ-მისტიკური ლექსები უმეტესად ვერლიბრითაა დაწერილი და აზრობრივ სიღრმესა და დახვეწილობასთან ერთად ემოციური ლირიზმით გამოირჩევა. იგი მეოცე საუკუნის ავსტრიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია; მისი ლირიკა გერმანულენოვანი პოეზიის გამოჩენილ ლიტერატურათმცოდნეთა ყურადღების არეალში იყო მუდამ მოქცეული, რაც პოეტისათვის პრესტიჟული პრემიების მინიჭებითაც აღინიშნებოდა:

1950 წ. წამახალისებელი პრემია
1954 წ. გეორგ თრაკლის პრემია
1961 წ. წამახალისებელი ლიტერატურული პრემია
1964 წ. ვენის ლიტერატურული პრემია
1969 წ. ავსტრიის უმაღლესი სახელმწიფო პრემია ლიტერატურისათვის
1975 წ. ანტონ ვილდგანსის პრემია
1981 წ. თეოდორ-კიორნერის პრემია

მთარგმნელი

ციკლიდან: „მარილიანი ბაღები“

დედას
† 23.3.1974

უმწეოს უნდა დაგეცვა თავი.
ვერც სიცოცხლეში, ვერც სიკვდილის წინ
ვერ გაგიწიე მე მფარველობა.

ახლა მიწისგან გიმზადებ აბრას
და ღერბსაც გირგავ ყვავილების და
ბალახებისგან აქ, ცისქვეშეთში.

პეპლებმა უმალ იცნეს წარწერა
და მოფრენილი ფუტკრებიც უკვე
მზად არიან შენს დასაცავად.

მეფუტკრის ძებნის ჟამიც მოაწევს,
ცვილის გუნდა რომ მოვიმათხოვრო
თოვლ და თოვლ სანთლით გზის გასაკვლევად.

ენა

ენა, რომელიც სიტყვაში მკვიდრობს,
არ გამოითქმის,
ენა ტკივილით დანაბადია,
ათასწლოვანი ზღვის მდუმარებით
ნაგები მარჯნის ჭალაკად, ქედად
სალი კლდიდან ჩამონალეწი,
ნაწრთობი ცეცხლით,
ცულს და ხეს შორის გასრულებული,
პირიდან პირში სუნთქვად რებული.
მისგან აგებდნენ სახლებს და ხიდებს,
დიდებულ ურგებ კოლოსს მემნონის,*
სადაც მზისადმი საგალობლები ისახებიან
და ის ყრმები, ვინც ჰანგებს ხოტბად აამეტყველებს.

პური და სიტყვა

დახურდავდა უზალთუნებად,
შემოგველია მითები და უტოპიები.
ჩვენ ყოველდღიურ ნარჩენებზე
ვლოცულობთ უკვე.

* მემნონის კოლოსი — ამენოფის III-ის მონუმენტური იგურები თებეში (მთარგ.).

უძღები შვილი

შენ არ გჭირდება ხბოს დაკვლა ჩემთვის, კათხა წვნიანსაც კი ვიკმარებდი.
ოღონდაც გარეთ, შენს კარის ზღურბლთან დაპურების მომეცი ნება,
შინ ყველაფერი მეტისმეტად იცავს და ზღუდავს ჩემს მონატრებას,
და მე ვერ შევძელ უცხოეთში მძაფრ ამ გრძნობას რომ გავქცეოდი.
მუდამ გზისაკენ მიბიძგებს რაღაც, მაბრუნებს უკან. ახლა კი აქ ვარ.
არ მკითხო, ორგულს რა წუმპეში ჩაკარგვა ელის, თუ ერთგულება დაეკარგება!
მკითხე ქარის და თოვლის შესახებ, მდინარეებსა და ვარსკვლავებზე,
მოყიალე მაწანწალებზე, სარდაფებსა და უღვთოდ დასეტყვილ მოსავალზე,
ყურძნის მტევნებზე, ჭაჭასა და ალმოდებულ ქვებში ნაწრთობ ალალ სიტყვებზე,
ქვიშის ფარფატა ფარვანებზე, წიაღდაშრეტილ შმორიან ჭებზე.
დაბერტყე კარგად მათხოვრული ტომსიკა ჩემი, სავსე ნაყარი განძეულობით,
ჩიტის ფიტულიც იქნება შიგ და მეზღვაურთა ბოთლის გზავნილი,
მარილიც რომ ვერაფერს აკლებს.
მე არ მჭირდება არც პასუხი, არც ჩემი წილი,
შენი ყველაზე ნაცრისფერი ხაშხაშის ველი
მიწილადე და სამუდამოდ ამავსე ძილით.

სიღატაკე

ჩვენ ბრალეულნი გავხდით ისევე,
როგორც სელაპზე მონადირენი მარადი ყინვის საუფლოში.

არასოდეს მოიძებნება სამოთხეში ადგილი ჩვენთვის,
სელაპებით ზიმზიმებს არე,
ანგელოსები შიშნეულად მწყემსავენ თევზებს.

წყვდიადსა და ყინულოვან არემარეში
ვეძებთ ბედნიერ, ნეტარ ალაგებს,
სადაც უცხიმო ცეცხლი გაგვათბობს.

ფსალმუნი

თავდაუცველი ვარსკვლავთწისქვილი დედამიწა,
თხიერი მტვერი, ქვათა მტვერი,
სინათლის მტვერი.

ადამიანთა ნაფშვენ-ნაფქვავი. დაწყევლილი და
თან კურთხეული ვარსკვლავი ჩვენი
ჰაერის თხელი, მჭვირვალი გარსით გარემოცული.

ბუდე

ჩემი ჩიტები გადახვეწილან,
არ ვიცი ახლა სადღა გალობენ,
არ გაიყინონ ოღონდაც ღამით,
უმწეონი და უნაკრტენოდ დარჩენილები,
უწინ ისეთი ჰქონდათ ქათიბი,
ჯერაც ვინახავ გაბნეულ ბუმბულს.

ქარის ბუდედ ვარ გადაქცეული.
წვიმა ცდის კვლავაც ჩემს ერთგულებას,
თუმც ამოხსნა კი არ შეუძლია.
ხანაც ფაფუკი თოვლი იბუდებს
და სულ მცირე ხნით ამივსებს წიაღს.
მარტოსულობა მესტუმრა უკვე,
არ მიმატოვებს აღარასოდეს.

დიდი ქალაქის ჩიტები

კარგა ხანია მენატრება სახურავებზე
კუდმაკრატელა მერცხლების სხარტი
ირაო ზაფხულს თვალს რომ უბნელებს.

დღეები ძუნწად ფრთაშესხმულები,
ტკბილი და მჭახე, მოქიშპე ხმების
ლიტანიებსაც უცვლიათ სახე.

ქვებს შეხიზნულა მტრედი, ბეღურა,
შაშვი და ყვავი კვამლს დაუბურავს.

უკანასკნელი ლეგენდაა შიშველი ფეხით
გადარბენა ერთ მუჭა თოვლზე.

ციკლიდან: „წვიმის ხე“

ქრისტიანისადმი ნათქვამი

სადაც არ უნდა გაშალო მკლავი,
ქვეყნიერების წინ აღმართულხარ ჯვარის სახებად.
შენს სიყვარულს რომ შეეზარდა სისხლხორცეულად
და გრძნობ დიადი, ამაღლებული ჟესტის გარეშეც:
რომ შეკეცილი ფრთებითაც კი, ძილ-ბურანშიაც,
ფრინველი მაინც ფრინველად რჩება.

შენ ბაირაღი სულ არ გჭირდება!
მოთარეშე პირქარითაა სამყარო სავსე,
აქ შენეული თმის შერხევაც საკმარისია.
უკვე მრავალი ჰქონდათ ხილვა მაცდუნებელი:
კეთილდღეობა, ხსნა ვისაც მოაქვს,
არავის უმხელს, მალავს მდუმარედ.

არ გაამხილო ქედმაღალი შენი სახელიც,
მეტად რომ არც კი ჩაეძიები!
ადამიანთა საიდუმლო
შესაბამისი არის მისია.
და თუკი რწმენას თავს არიდებენ,
შენი ქმედების დრომ მოაწია!

ხელუხლებლობის ნუ გაქვს იმედი,
მხოლოდ ეს რჩება: დასცადო თავი!
თვით უმდაბლეს კარავშიაც კი,
ბნელ საცხოვრისში დაიდო ბინა,
მიუსაფარ მათხოვართ შორის,
უწმიდურობის გარემოცვაში.

ვინც არასოდეს არ სვამს ლოთებთან,
და მეძავებთან ღამეები არ უთევია,
არ დაძვრებოდა ქურდებთან ერთად,
და არ ჰქონია არასოდეს
ხელთ მკვლელის დანა,
ამ მიწიერ შიშს ვერას გაუგებს.

და ის, რომელსაც, ღვთის დაუტევნად,
გამცემის ყალბი ამბორი და
დაეჭვების მწარე ნაღველი
არასოდეს არ უგემნია,

დღეს დაკარგულთა ძმა ვერ გახდება.
სამართლიანად არ სჯერა რადგან:
რომ ამბოხება არ თრგუნავს გულებს,
არამედ ქონი უმოქმედობის!

შენ გზად მიმავალს, შეიძლება რომ
სახელიც კი გადაგავიწყდეს, ანდა გაგებნეს,
მას განიძარცვავ ვით უცხო სამოსს,
რადგან სხვებისგან გამანძილებს და
ძველ გზას აგრძელებ, დედიშობილა
სხვა შიშვლებს შორის. მაგრამ ჯვარს შენში
ვერ ამოძირკვავ და გაიძულებს მყის განერიდო
სირცხვილს და აუგს, ძილსა თუ ცხადში:
რომ გაემართო ჯვარცმისათვის სასაკლაოზე
და ეს ჯალათებს თვალსაჩინოდ დაუდასტურო.

ლექსი

ჭვრეტენ ზრდას, ლტოლვას, მოლივლივეს ნათლის წიაღში.
თუმც ვინ აუღებს ალღოს მრუდე ფესვთა ტყვეობას:
შემაძრწუნებლად სმენადქცეულნი, უკუნ სიბნელეს ჩაფრენილები,
გარდასახვას რომ ლამობენ მისას?

მათ შიშის ზარი, ელდა სჭირდებათ, თუმც შორეული.
ცოდნის ზედმეტად მოახლოება — სასიკვდილოა.
იგავი გვამცნობს გულმოწყალედ და შეფარულად.

სიტყვა და ხატი:
უმკაცრესი იმპერიის მდუმარ ბჭეთა წინ მოსაგრეობენ
უსასრულოდ, როგორც მცველები;
ლამის რუნული ნიშანია, იდუმალებით მოსილი ძილი,
რომელიც მისი მშვენიერების უნატიფეს ქუთუთოს მიღმა
ღრმა უფსკრულს მალავს.

მოხუცებული ეკლესიის ეზოში

ჩაფიქრებული ჩამომჯდარა ანწლის ხეებქვეშ
ძველი გალავნის ახლომახლო და მღვდლის ფუტკრები
მომაბეზრებლად დასტრიალებენ თავზე ზუზუნით.

მზე კი მცხუნვარედ იჭვრიტება, ბუღრაობს სკებში,
და იქიდან კი თაფლის ბლანტი, ზანტი ნაკადი,
ოქროს დუმილში სურნელოვნად ჩაედინება.

ჟღალი პეპლების მოელვარე კოცონი ქრება
ვიწრო გორაკის აყვავებულ ჭრელ ყვავილნარში,
ვერცხლის ქსელები ამშვენებენ ჯვარს და კარიბჭეს.

გარეთ ბალღები მღერიან და ზუზუნებს ცელი,
და საცეხველის ჩვეულ ტაქტში ზანზარებს კალო.
სიცოცხლეს სიმწრით ეთხოვება ბზე და მარცვალი.

თუმცა ის უკვე მკვდრებთან მყუდროდ დავანებულა:
ტკბილია მკვიდრი გოლეულის იდუმალება,
მის ძილს იცავენ აშოლტილი გულსოსანები.

შუაღამე

გრძნობ?
ბოლოს და ბოლოს ჩაეძინათ მონადირეებს.
ყველა გულღია ცხოველი ლაღად გამოეფინა.
და უცოდველად ირწევიან გვიმრიანში ისრები, მიზანს ასხლეტილები.

სიჩუმეს მხოლოდ ნაკადულის ჩხრიალი არღვევს.
გულს უჩუმარად მომეფონე, ღამის ჩირგვნარო,
დახარე თავი, არ გააღვიძო დროზე ადრე მონადირენი.

სულ მალე მინდვრებს ალიონი გადააწითლებს!

ვედრება

ხედავ, დღე მიდის, გვეთხოვება,
ვარსკვლავიერი ღამეც თენდება.
ცვალებადია ყველაფერი,
რჩება უცვლელად: გული ეული.

ვიდრე დამტოვებ,
დამიხუჭე წყნარად თვალები,
მარადიული დუმილის ნიშნად
პირს დამაფინე ყაყაჩო და მერე კი წადი.

შენს უკან აქრე ვარსკვლავები!
დაბრმავდეს ღამე, როცა გულიდან
ცრემლდადენილი სიცოცხლე ჩემი
თანდათან ნელა დაიწრიტება.

მარტოეული შუადღე

სადღაც შორს მიწყდა სატანური კიკინი თხების,
პან, შიშისმგვრელო, მე გაუვალი დავძლიე ტევრი!
ალმურიან ბალახებს შორის, ჩემს ღაწვთან ახლოს
ვგრძნობ: პირ-უტყვი და უქუთუთო სისინებს გველი.

ღამე

კვლავ გადაუფრენს ოქროსფერი ფუტკრების გუნდი
უკიდეგანოდ გადაშლილ ზღვებს და ფშვინვიერ ტყეებს,
და ქალაქები ბინდისფერი გოლეულივით ელოდებიან
თაფლს მდუმარების.

ყვავილგვირგვინით შეყვარებულნი ძირძველ დინებებს
სერავენ გემით შესართავისკენ. დიდებულად ჟღერს
სისხლის და სულის სიღრმეები. ტკბილი ჰანგები,
ცვრიან ნაპირებს მიღწეულნი, ძილს ეძლევიან.

დარბაისლური მთათა ბურანი წყაროებივით
კეთილხმოვანებს. ქარში კი დრტვინვა მატულობს უფრო.
მაცნენი ცხენით ჯიქურ კვეთენ რვალის სიბნელეს.
და გუშაგები ენარცხებიან უფსკრულის ნაპირს.

ლეგენდა

მან გაიხსენა მამაკაცის თმები ჭაღარა:
მიხრწნილი ხავსი და რუხი ლოდი,
ეული მგელი, გათოშილ ტყეს შეფარებული.

მან გაიხსენა მამაკაცის შემკრთალი გული:
ადამიანი შედის ძველ და მორყეულ სახლში,
ისევ ბუტბუტებს დაქსაქსული წყარო ეზოში.

მან გაიხსენა უმრწემესი ღამე თავისი:
იწვა ვით ნორნე,* ბებერი და ფხიზელი ქალი,
მის კალთაში კი კაცს ეძინა ჩვილი ბავშვივით.

ვედრება სიკვდილისადმი

შეჩერდი წამით, ვიდრე შემოხვალ: დასტოვე ჩემთან
ამაოების ქვიშით სავსე შენეული მინის საათი.
ყოველდღე მესმის განუწყვეტლივ მისი შრიალი,
თუმცა ეს ჩქამი უამურია მომაკვდავისთვის.

ცელიც დასტოვე, რადგან აქ ცელით მოსათიბი
არაფერია. ის მხოლოდ სიმწრის კირკიტა ქვაზე
აისხლიტება, ო, ეს ცხოვრება მომხდურისაგან
ამოსახდენი სულის ხრიალით თავს მძაფრად იცავს.

და ტანშიშველიც არ წახვიდე. ჩემს ძილს გაგატან
მოსასხამად, უკვე დაძენძილს, თუმცა ნუგეში
კი იყო ჩემი სიღატაკისა, უკანასკნელი.
ყოველგვარი ულმობლობისას ვიქნები ფხიზლად.

სიჩუმე

რაღაც შრიალი მუდამ გესმის. თუმც არა ქარის.
გზააბნეულ ქარს იქ სადღაც უღან ტყეებში სძინავს.
არც წივწივაა, მოძახილით დღეს რომ აცილებს,
უცხო, უხილავ ველთა წიაღ რომ ჩაცურდება.
მატარებელი, შავლეგა მწერი, მთის ფერდს ზუზუნით რომ ჩაუქროლა,
გაყუჩდა უცებ გაქვავებული. შენი გული ვერ ბედავს ფეთქვას.
გაფაციცებით ელის სმენა გაუგონარ გამოცდილებას:
მონაცვლეობით გოდებენ სივრცე, მთაგრეხილები,
ვარსკვლავთა ხომლი. უშინაგანეს საგოდებელს ხმობენ უჩუმრად,
თავდაურვებით. ქმნილებას რღვევა ემუქრება, და ამოფრქვევა...

* ნორნე — ნორნები (სკანდ.-გერმ.) — ბედისწერის ქალღმერთები ჩრდ.ევროპის მითებში (მთარგ.).

ჰოი ნახტომი, გადახვეწა

(პასუხი ქრისტინე ლავანტის ლექსზე „შინ მცენარეთა ბოლქვებთან“)

შინ მცენარეთა ბოლქვებთან? არა, ჩემო დაო, ვერ დავბრუნდები!
ოღონდ სანუკვარ მიწაში არა, და არც ბოლქვებთან.
გადამისვრიან უგუნურებთან ისინი ცოცხლად:
არგარდაცვლილებს, შურისგებამოწყურებულებს,
ჩემი სამკვიდროდაკარგული გული დარჩათ ახლა საჯიჯგნად.

სარეველა, მე რომ ვსაზრდოობ, არღვევს ძილს, სიზმრებს:
ღამღამობით ჩამესმის ახლა უძღები ყბებით ძალუმი ცოხნა.
ქუთუთოები ამინაოჭდა, შემახმა თვალზე, შიშველი მზერით
ვხედავ ყველა საშინელებას. გამოხრული და
დაფლეთილია ხმაც და ლექსებიც.

ჩამპალია მცენარის ბოლქვი და მცხუნვარეა დედამიწა,
ყოველივე უმწიფარის გახრწნისაგან იავარქმნილი,
რაც მას მიეცა, ის უკანვე ამოაფურთხებს და შეუზავებს
სიცოცხლეს ისევ. შინისკენ? საით? არა, სჯობს გაცლა!
ყოველი მხრიდან! თვით უკუქცევის წრებრუნვისგანაც!

ჰოი ნახტომი, გადახვეწა:
რომელიმე შორი ვარსკვლავის უწმინდეს ცეცხლში!

ადამიანთა საბადეგელი

რა დაგვრჩენია? თავს ვარსკვლავები დაგვნათიან მარად უცხონი.
ფეხქვეშ კი მხოლოდ მიცვალებულნი, და ველური ჩვილი ბალახი,
გულში — მღუარი ცოდვა-ბრალი, მოუსვენრად სიცოცხლით სავსე.

გერმანულიდან თარგმნა ***ლულუ დადიანმა***

მარკ სტრენდი

კანადური წარმოშობის ამერიკელი პოეტი. დაიბადა 1934 წელს კანადაში, პრინც ედვარდის კუნძულზე. გამოცემული აქვს ოცამდე პოეტური და რამდენიმე პროზაული კრებული. 1990 წელს მიენიჭა ამერიკის შეერთებული შტატების პოეტ-ლაურეატის წოდება. არის ბოლინგენის, პულიტცერისა და უოლეს სტივენსის პრემიების ლაურეატი.

პოეზიის ჭამა

მელანი ჟონავს ჩემი პირიდან.
არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება.
მე შევჭამე პოეზია.

ბიბლიოთეკარი თვალს არ უჯერებს.
მისი მზერა მწუხარეა
და ხელები კაბაზე აქვს მიტმასნილი სიარულისას.

ყველა ლექსი შეჭმულია.
შუქმა იკლო.
ძაღლები ზემოთ ამოუყვნენ სარდაფის კიბეს.

თვალისკაკლები ბზრიალებენ.
თათებზე ცეცხლად უგიზგიზებთ ჟღალი ბალანი.
საბრალო ბიბლიოთეკარი აბაკუნებს ფეხებს და ტირის.

მას არ ესმის.
როცა ვეცემი მუხლებზე და ხელს ვულოკავ,
ის იწყებს კივილს.

მე ვარ ახალი ადამიანი.
ვუყეფ და ფეხქვეშ ვებლანდები.
ბედნიერი ვხოხავ ზურგზე წიგნების კუპრში.

წინათგრძნობა

იყო ღამე, მთვარე დაჰყურებდა გუბეს
და წყალს აქცევდა რძედ, ხოლო ქვემოთ,
ლურჯი ხეების ტოტების ქვემოთ,
სეირნობდა გოგონა; წამით

მას ეჩვენა საკუთარი მომავალი:
წვიმა იღვრება ქმრის საფლავზე, წვიმა იღვრება
მისი ბავშვების სათამაშო მოედანზე, ცივი ჰაერით
ევსება პირი, მის ბინაში უცხოები დააბიჯებენ,

ვიღაც ლექსს წერს მის ოთახში, ლექსში მთვარეა,
გოგონა დადის ხეებს შორის, ფიქრობს სიკვდილზე,
ფიქრობს მასზე, ვინც ფიქრობს მასზე. ქარი მძლავრდება
და მიაქვს მთვარე, და ფურცელში რჩება სიბნელე.

გვიან

კაცი მიდის ქალაქისკენ.
სუსტი ნიავი, გაჟღენთილი მიწის სურნელით
და ფოთლების ნედლი მწვანით, უბერავს ზურგში.

ჩქარობს, თითქოს არაფერი დასრულებულა.
თითქოს ქალი, ახლა საბანში გახვეული საყვარლის გვერდით,
ჯერ კიდევ უცდის.

ქალს ეღვიძება და უყურებს მოჭირხლულ მინას,
მასზე მიყინულ შუქის ნაჭდევებს.
ფანჯრის მიღმა დგას კაცი და მის სახელს ყვირის.

მთელი ღამე ასე ყვირის და არაფერი არ იცვლება.
ეს მოხდება კიდევ ბევრჯერ, კაცი ისევ მიაკითხავს მის ფანჯარას,
სადაც არ უნდა იყოს ქალი, და წარმოიდგენს

როგორ ახელს იგი თვალებს,
როგორ მოდის ფანჯარასთან და იხედება.
ქალი ისევ გაიღვიძებს საყვარლის გვერდით

და გაიგონებს, როგორ ყვირის ვიღაც ღამეში.
ისევ და ისევ, გვიანობით, ოთახი და ვარსკვლავები,
ღამეული ჭრილობები, რომლებიც უხმოდ ხორცდებიან,

ისევ და ისევ დილის ქარი, რომელიც უსწრებს მზის ამოსვლას
და ისევ, ბოლოს, უეცარი და საბრალო
აღსასრული სიმარტოვეში.

ბაღი

რობერტ პენ უორენს

ის ბრწყინავს ბაღში,
წაბლის ხეების თეთრ ფოთლებში,
მამაჩემის ქუდის კიდეზე,
როცა იგი მიუყვება მოხრეშილ ბილიკს.

დროის მიღმა გარჩენილ ბაღში
ზის დედაჩემი წითელ მერხზე;

სინათლითაა გაჟღენთილი
ცაც, მისი კაბის ნაკეცებიც
და მის უკან გახლართული ვარდის ბუჩქებიც.

და როდესაც მამა იხრება,
რათა ყურში ჩასჩურჩულოს,
როცა წამოდგნენ და წავიდნენ
და მერცხლებიც აიშალნენ,
როცა მთვარე და ვარსკვლავებიც
უკვე გაქრნენ, ის ისევ ბრწყინავს.

ახლაც კი, როცა ამ ფურცელზე გადმოხრილხარ,
გვიან და მარტო, ისევ ბრწყინავს; დიახ, ახლაც კი,
წამით ადრე, ვიდრე გაქრება.

შეჯამება

ჩვენ გავაკეთეთ, რაც გვინდოდა.
უარვყავით ოცნებები, ვამჯობინეთ უნაყოფო ძალისხმევა
და შევეგებეთ სევდას. საკუთარი თავის ნგრევა
ვაღიარეთ ჩვენს ერთადერთ დანიშნულებად.

და აი, შედეგიც:
სადილი მზადაა, მაგრამ ვერ ვჭამთ.
ხორცის ნაჭერი ცივდება თეფშზე.
ღვინო იცდის.

ამაშიც არის რაღაც კარგი:
აღარაფერს გვპირდებიან, აღარც გვართმევენ.
გული, რომელიც არ გვჭირდება, საერთოდ არ გვაქვს.
არც წასვლის და არც დარჩენის არ ჩანს მიზეზი.

ელეგია, 1969

შენ სიბერემდე ეწვალები
და ცხოვრებაში არაფერი ლაგდება მაინც.
ყოველდღიურად იმეორებ ერთსა და იმავეს,
კანკალებ საწოლში, გინდება ჭამა, გინდება ქალი.

თავგანწირვისკენ გაქეზებენ ბრინჯაოს გმირები,
რომლებიც დგანან ხეივნებში, სადაც სეირნობ.
ღამის ბურუსში ისინი შლიან თავ-თავიანთ ბრინჯაოს ქოლგებს
ან ინაცვლებენ ცარიელი თეატრების ფოიეებში.

შენ გიყვარს ღამე წამლეკავი ძალის გამო
და ვიდრე გძინავს, პრობლემები არ მოგცემენ სიკვდილის ნებას.

გამოღვიძება მხოლოდ ცხადყოფს მექანიზმის გამართულობას
და მძიმე შუქი გაწვება მხრებზე.

შენ მკვდრებს შორის დააბიჯებ და ლაპარაკობ
დროზე, რომელიც ახლოვდება, და სულიერ სიძნელეებზე.
ლიტერატურამ შეინირა სიყვარულის საუკეთესო საათები,
უქმეები შეალიე სახლის ლაგებას.

ერთი სული გაქვს აღიარო შენი მარცხი, გადაულოცო
საყოველთაო სიხარული შემდეგ ასწლეულს.
შენ ეგუები წვიმებს, ომებს, ძალადობას, უსამართლობას,
რადგან მანჰეტენს მარტოდმარტო ვერ ააფეთქებ.

სიმართლის შენარჩუნება

მინდორში
მე ვარ უკმარისობა
მინდვრის.
ასე ხდება
მუდამ და ყველგან.
სადაც ვარ, ის ვარ,
რაც იქ არ არის.

როცა მივდივარ,
მე ვხლეჩ ჰაერს
და ჰაერი
ისევ მრთელდება,
ავსებს სივრცეს,
სადაც იყო ჩემი სხეული.

ნებისმიერს გვაქვს საბაბი
მოძრაობისთვის.
მე ვმოძრაობ,
რომ შევუნარჩუნო სიმრთელე საგნებს.

მოხუცი იღვიძებს საკუთარ სიკვდილში

აი ისიც, აღთქმული მხარე,
შეპირებული, როცა ვიძინებდი,
წართმეული, როცა გამეღვიძა.

ყველასათვის უცნობი მხარე,
სადაც ხელიდან გისხლტებიან სახელები
გემებისა და ვარსკვლავების.

მთები მთები არ არიან,
მზე მზე არ არის.
ვეღარ იხსენებ, როგორ იყო.

მე ვხედავ ჩემს თავს,
ვხედავ ჩემს შუბლზე მომდგარ წყვდიადს.
ერთხელ ვიყავი ახალგაზრდა, ერთხელ მთლიანი

თითქოს ჯერ კიდევ ქონდეს აზრი
და ჩემი ხმაც ჯერაც გესმოდეს,
მაგრამ ამინდი ამ მხარეში უკვე მთავრდება.

ჩემი სიცოცხლე

უზარმაზარი და უძრავი თოჯინაა
ჩემი სხეული.
მე ვარ ქალების სათამაშო.
დედაჩემი

სტუმრების წინ ჩამომაჯენს,
მევედრება, "ილაპარაკე".
მე ბაგეებს ვამოძრავებ,
სიტყვები არ ისმის.

ცოლმა თაროდან ჩამომიღო,
დამარწია. "ჩვენ ვიტანჯებით
ჩვენივე თავით", ჩამჩურჩულებს.
მე ჩუმად ვარ, ჩუმად ვირწევი.

ქალიშვილს მოაქვს ჩემს ტუჩებთან
წყლით სავსე ბოთლი
საწოვარათი,
მეუბნება, "ჩემი შვილი ხარ".

საბრალო ბავშვი!
მე ჩავყურებ მისი თვალების
ყავისფერ სარკეს
და ვხედავ, როგორ

ვპატარავდები, ვიძირები
მისთვის უხილავ სიღრმეებში.
აი, ბოლო ამოსუნთქვაც.
ვერ ამოვყვინთავ.

მე ვიზრდები ჩემს სიკვდილში,
სიცოცხლე კი პატარავდება
და შემდეგ უფრო. ხოლო სამყარო
თან მწვანეა, თან არაფერი.

ჩემი სიკვდილი

სევდა, რა თქმა უნდა, და დაბნეულობა.
ახლობლები შეკრებილან საფლავის ირგვლივ,
ლაპარაკობენ დანაკარგზე, ამინდი ფუჭდება,
სანაპიროდან დაძრული ქარი აბუნდოვანებს საფლავის სვეტებს.

ეს პრინც ედვარდის კუნძულია.
მე დავუბრუნდი ბავშვობის ადგილს და ვაცხადებ საკუთარ სიკვდილს.
მე ვთქვი, რომ ზღვაში შევიჭრები და უკან არც კი
მოვიხედავ. ახლობლები გაღიზიანდნენ.

ვუამბე, როგორ ვშიმშილობდი, რათა როგორმე
გავმხდარიყავი იმ მწერივით სიფრიფანა, რომელიც მიყვარდა,
რათა დავტეულიყავი იმ ცივ სივრცეში,
მისი სხეული რომ მართავდა. ისინი გაოგნდნენ.

შემდეგ ის დროც გავიხსენე,
როცა შიშველი ვიდექი თოვლში და იარაღს ვიმიზნებდი
თვალებს შორის, და როდესაც გავისროლე, როგორი შვებით
გაიფურჩქნა ჩემი შუბლი. ახლობლები შემომეცალნენ.

ახლა კი ვწევარ ვიწრო ყუთში,
ჩემივე ხელით რომ შევკარი, ხოლო ამინდი
უარესდება. ახლობლები თავს იქნევენ, თითქოს წერას აპირებენ
ანდა სიკვდილს. მე აღარცერთი მევალება.

მბრძანებელი

ჩამავალი მზე. ქსოვილი ცეცხლში.
დღე დაკარგული. ღამე დაკარგული.
ასე რატომ მიზიდავს ქრობა?

თქვენ, ვინც გვტოვებდით, ვინც წახვედით,
რომელ სიბნელეს შეუსახლდით?
მბრძანებელო ჩემი სიკვდილის,

გაუფრთხილდი ჩემს არყოფნას. მე ცოცხალი ვარ.

ვაჟი

ჩემი ვაჟი,
ჩემი ერთადერთი ვაჟი,
რომელიც არასდროს მყოლია,
ახლა კაცი იქნებოდა.

ის
დადის ქარში,
უსხეულო, უსახელო.
დროდადრო მოდის

ჩემთან
და მხარზე
თავს ჩამომდებს,
ჰაერზე მსუბუქს,

და ვეკითხები,
ჩემო შვილო,
სად ბინადრობ,
სად იმალები?

და ის მპასუხობს
ცივი სუნთქვით:
შენ არ გესმის,
მე სულ გეძახდი

და გეძახი
და ყოველთვის დაგიძახებ
იმ ადგილიდან,
მიღმეთიდან,

სიყვარულის მიღმეთიდან,
სადაც არაფერი,
ყველაფერი
ნატრობს დაბადებას.

ზამთრის სტრიქონები

როს კრაუსს

უთხარი შენთავს,
როცა აცივდება, როცა ჰაერი ჩამუქდება,
რომ ასე უნდა იარო
მუდამ, და სულერთია
სად იქნები, უნდა გესმოდეს
მუდამ იგივე მელოდია –
წყვდიადის თაღებშიც
და დაბზარულ სითეთრეშიც
მთვარის, რომელიც აკვირდება დათოვლილ ველებს.
ღამით, როცა აცივდება,
უთხარი შენთავს,
რომ ერთადერთი, რასაც იცნობ,
არის მუსიკა შენი ძვლების, რომელიც გესმის

სიარულისას. რომ ოდესმე ერთხელ უთუოდ შეძლებ
მიუწვე ზამთრის ვარსკვლავების
პატარა კოცონს.
და თუკი ვეღარც გზა განაგრძე,
ვეღარც დაბრუნდი,
თუ უკვე იქ ხარ,
სადაც ბოლოს უნდა იყო,
უთხარი შენთავს,
ბოლო სიცივით გაქვავებულ სხეულს უთხარი,
რომ ის, თუნდაც ასეთი, გიყვარს.

ქორწინება

ორი სხვადასხვა პოლუსიდან
უბერავს ქარი.

ქალი მიფარფატებს ჰაერის ტალღებში.
კაცი ღრუბლებში მიაბიჯებს.

ქალი გზადაგზა ლამაზდება
და თმას ივარცხნის,

თვალებს იღებავს,
იღიმება.

მზე უშრობს კბილებს,
ენისწვერით ისევ ისველებს.

კაცი იწმენდს მტვრიან პიჯაკს,
ჰალსტუხს ისწორებს.

კაცი აბოლებს.
სადაცაა შეიყრებიან.

ქარი თანაბრად მიაქანებს ერთმანეთისაკენ.
აი, უკვე ხელსაც იქნევენ.

სულ ახლოს, ახლოს.
გადაეხვივნენ.

ქალი შლის ლოგინს.
კაცი შიშვლდება.

აი, დაწვნენ და დაქორწინდნენ.
შვილი ეყოლათ.

ქარი მათ ისევ მიაქანებს
სხვადასხვა მხარეს.

ძლიერი ქარია, ფიქრობს კაცი
და ჰალსტუხს ისწორებს.

მე მომწონს ქარი, ამბობს ქალი
და იცვამს კაბას.

ხოლო ქარი ძლიერდება.
ქარი მათთვის ყველაფერია.

ნარჩენები

ვცარიელდები უცხოების სახელებისგან. ვიცლი ჯიბეებს.
ვაცარიელებ ფეხსაცმელებს და ვტოვებ გზასთან.
ღამით უკან ვაბრუნებ საათს.
საოჯახო ალბომს ვფურცლავ, სადაც ბავშვი ვარ.

რისთვის ვირჯები? საათებმა გააკეთეს თავისი საქმე.
ვამბობ ჩემს სახელს. ვამბობ მშვიდობით.
ქარს მიყვებიან ერთმანეთის მიყოლებით ჩემი სიტყვები.
მე მიყვარდა ჩემი ცოლი, მაგრამ გავუშვი.

ჩემი მშობლები თავიანთი კვარცხლბეკიდან წამოიმართნენ
ღრუბლების რძისფერ ოთახებში. როგორღა ვმღერი?
დრო მეუბნება ჩემს შესახებ. ვიცვლები და ვრჩები იგივე.
ვცარიელდები ცხოვრებისგან და ცხოვრება რჩება იგივე.

ადამიანი ხიდან

მე ვიჯექი გრილ ტოტებში.
არაფერი მეცვა ტანზე და ქროდა ქარი.
შენ ქვემოთ იდექი და გეცვა პალტო,
რომელიც ყოველთვის გეცვა.

როცა პალტო შეიხსენი, მკერდი მოიშიშვლე,
თეთრი მწერები ამოფრინდნენ, და რასაც ამბობდი
იმ წუთებში, ყველაფერი უხმაუროდ დაეცა მიწას,
მიწას შენს ფერხთით.

ღრუბლებიდან დაეშვა თოვლი, ამოავსო ჩემი ყურები.
თოვლს შეერივნენ შენი პალტოს თეთრი მწერები.
ქარი, რომელიც მოძრაობდა ჩემს ხელებთან, ჩემს ნიკაპთან,
სლუკუნებდა, როგორც ბავშვი.

ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, რატომ
გაუარესდა ასე უცებ ჩვენი ცხოვრება.
ღრუბლებმა შთანთქეს ჩემი ხელები, და ხელები გაიზარდნენ.
ისინი ახლაც იზრდებიან.

ვირხევი ზამთრის თეთრ ჰაერში.
შოშია კივის, ჩემი კანი იფარება მისი კივილით.
ჩემი სათვალე იფარება გვიმრის ბუჩქით, რომელსაც ვიწმენდ;
ვიწმენდ, რათა დაგინახო.

მე ვბრუნდები, და ხეც ბრუნდება.
საგნები ასეთ სინათლეში არ არიან მხოლოდ საგნები.
შენ ხუჭავ თვალებს, ხოლო პალტო
გისხლტება მხრიდან.

ხე უცებ გასხლტა, როგორც ხელი.
ქარმა სუნთქვა ამაყოლა. ვერაფერში ვერ იქნები დარწმუნებული.
ლექსი, რომელმაც მოიპარა ეს სიტყვები ჩემი პირიდან,
შესაძლოა, სულ სხვა ლექსია.

მისთვის

დაე ეს მოხდეს,
სულერთია, სად და როდის,
ვთქვათ, შენს ცარიელ, ბნელ ოთახში

ან ქუჩის ბოლოს,
ან ბუნდოვან ჰორიზონტზე,
რომელსაც ხედავ, ან რომელიც გესიზმრება.

ვერ იგრძნობ სურვილს,
არაფერი გაგაფრთხილებს,
არც უეცარი ქარი, არც ჩუმი ჰაერი.

გამოჩნდება და ემგვანება
ვიღაცას, ვისაც შენ იცნობდი:
მეგობარს, რომელმაც ცხოვრება წააგო,

გოგოს, რომელიც პალმის ქვეშ იჯდა.
იბრწყინებს მისი სამაჯური
და იქცევა სინათლეებად

სოფლის, საიდანაც წლების წინ წახვედი.

ქარიშხლის ნამცეცი

გუმბათოვანი ქალაქიდან, გუმბათებით დაჩრდილული ქალაქიდან
ერთი ფიფქი, ერთი ქარიშხალთაგანი, შემოფარფატდა
შენს ოთახში, მოაღწია სავარძლამდე, სადაც ზიხარ, და გადაშლილი
წიგნის მიღმა დაინახე, როგორ გაქრა. სხვა არაფერი
არ მომხდარა. მხოლოდ ერთი წამიერი გამოფხიზლება,
ყურადღების წამიერი დაძაბვა და მოდუნება, დრო
დროებს შორის, და დაკრძალვა ყვავილების გარეშე. მეტი
არაფერი გარდა აზრის, რომ ქარიშხლის ეს ნამცეცი, შენივე თვალწინ
არაფრად რომ გადაიქცა, შეიძლება ისევ დაბრუნდეს
წლების შემდეგ, და შენსავით რომ იჯდება, ის კაცი იტყვის:
“დროა. ზეცა გახსნილია. ჰაერი მზად არის”.

ლიფტი

1
ლიფტი დაეშვა სარდაფში და კარი გაიღო.
კაცი, რომელიც შემოვიდა, მეკითხება, “ზემოთ მიდიხართ?”
“ქვემოთ მივდივარ”, ვეუბნები, “მე ზემოთ არ წავალ”.

2
ლიფტი დაეშვა სარდაფში და კარი გაიღო.
კაცი, რომელიც შემოვიდა, მეკითხება, “ზემოთ მიდიხართ?”
„ქვემოთ მივდივარ“, ვეუბნები, „მე ზემოთ არ წავალ“.

ინგლისურიდან თარგმნა ***ზვიად რატიანმა***

აზერბაიჯანული ბაიათები

* * *

ცაო, რა ქარგით დამქარგე,
რა ჩემზე მოიავკარგე! —
რაც გვიან ვპოვე შენითა,
შენგანვე, მალე დავკარგე.

* * *

თოვლი ჩამოსთოვს ამ მთასა,
მთაში ფარეხს თუ ქართასა.
ჭკუა, ფიქრი და ოცნება,
სამივე სატრფომ გამტაცა.

* * *

ცისა თუ მიწის ძალთაგან,
სისხლი ერჩევა წყალთაგან,
სახელად ცრემლი დავარქვი,
თორემ სისხლი მდის თვალთაგან.

* * *

ცხელი ცრემლით ამატირე,
სისხლი მწოვე, გული მტკვირე,
პაპის სახლი დამიქციე,
გამომიძრე ქვეშით დირე.

* * *

სხვებსაც ამბობენ შენგვართა,
გული არვისზე შემვარდა.
ორივე თვალით დავბრმავდე,
სხვა შევიყვარო შენ გარდა.

* * *

ხელში უჭირავს ფინჯანი,
მაჯას უმშვენებს მარჯანი.
ლამაზი სატრფოს დამკარგავს,
რა ჰგავა სული ან ჯანი.

* * *

თოფი, ჩახმახი, ფალია, —
ერთად სიკვდილის ცალია.
სატრფო ჯალათი გამოდგა,
მკლავს, ჩემი სისხლით მთვრალია.

* * *

აჰმედად სახელდებული,
აღა ვიყავი ქებული,
დღეს — ირგვლივ ღობემოშლილი
ბაღი ვარ გავერნებული.

* * *

სანთელივით შუქსა ვფენდი,
შენ კი მუდამ გულსა მტკენდი.
ყველა კენტი ჩამოწყვილდა,
მარტო მეღა დავრჩი კენტი.

* * *

სულზე ვდევარ ფერწასული,
საიმქევყნოდ გალურსული,
აზრაილო, გამეცალე,
სატრფოს უნდა მივცე სული.

* * *

რაც ღრუბლის რიდე ირიდა,
ცამ გაჰკრა, გადაირიდა.
ღმერთო, ნამარდის ბაშარა
გააქრე ქვეყნის პირიდან.

* * *

დარდი ბარგად დავიბარგე,
იმ ბარგის ქვეშ დავიკარგე,
ამაგს წყალში გადაგიყრის,
ნამარდს თუნდა ასჯერ არგე.

* * *

ცა საწვიმრად იბუნდება,
ქარავანი შინ ბრუნდება,
საყვარელს რო დავინახავ,
ენა მაშინ მიბლუვდება.

* * *

გადნა ზაფხულის ღამეცა,
თავს გვადგა მოკამკამე ცა,
სატრფოსთან გაყრის დრო არი,
ისიცა ტირის და მეცა.

* * *

თან რო მივლიდა გან-განზე,
თან ება ჩემსა ბაგაზე, —
ჩემ რაყიფს დარდი შეჰყრია, —
ეგეც ცოტაა მაგაზე!

* * *

გავტირი ჩემ ბაღს ქებულსა,
აწ უკვე გაოხრებულსა, —
მოსავალს სეტყვამ დამიკრა,
საკრეფად გამზადებულსა.

* * *

სატრფოსგან ნაორგულევი,
ვითმენ, დარდი მჭირს ულევი,
ათას ვარაუდს ვიჭერდი,
ერთიც ვერ ავისრულევი.

* * *

მიჯნურობას ვინც იფერებს,
რა ცეცხლი მწვავს, დამიჯერებს:
კვამლი მეცხრე ცასა სწვდება,
ალი კიდევ – მთათა წვერებს.

* * *

ლამაზია მთვარის ნახში,
ფრინველი ზის ბაღის თაღში,
უჩამჩუმოდ შევიპარე
ჩემი ნანდაურის ბაღში.

* * *

ცაზე ვარსკვლავნი კრთებიან,
ლამაზებს ეჯიბრებიან.
ლამაზთა დარდით ზოგ-ზოგნი
ზეზეურადა კვდებიან.

* * *

ობოლსა, თავისთავადა,
ბედიც ეპყრობა ავადა,
მის გულისტკენას ერიდეთ,
დაგრჩებათ ნამდურავადა.

* * *

არ მინდოდა ცალად მევლო,
მაინც მინდა, შენ გემძევლო,
პატივი გვეც, ჩვენსა მოდი,
ავდგე, თავზე შემოგევლო.

* * *

დარდი წაგიღებს, ნუ სტირი,
ფეხქვეშ გაგიგებს, ნუ სტირი,
დრო მოვა, დაკეტილ კარებს
ბედი გაგიღებს, ნუ სტირი.

* * *

სატრფოს გზას გავცქერ, ღამდება,
დრო გადის, ჟამი ხანდება,
რა ლოდინია, ცქერაში
თვალი თუ დახამხამდება.

* * *

რა ვუყო გულსა ვნებულსა,
ჩემი დარდების კრებულსა,
დღეებს არა ვთვლი სიცოცხლედ,
უშენოდ გატარებულსა.

* * *

ირგვლივ ჩამოდგა ჩვეული
დუმილი ღამისეული,
შენთან ჯანსაღი მოვედი,
როგორ გავბრუნდე სნეული.

* * *

კოხმა ქოხს ჭერი ახადა,
საქმე მიმიდის გლახადა.
ბედს დახე, ბედმა ნამარდი
უცებ ჯომარდი გახადა.

* * *

თავი დავდე სიყვარულზე,
მიმუდმივა ცეცხლი გულზე.
მაცოდინა, რა რჯულის ხარ,
დავეწერო მეც შენ რჯულზე!

* * *

მკერდს ხალი, ფეხზე — პაიჭი,
ტან-ანაგებით — ტაიჭი!
ლამაზი გასხლტა, წავიდა,
მონადირე ხარ? – დაიჭი!

* * *

აშუღი ვარ, მქვია ალი,
ტანთ მაცვია თირმა შალი,
შენი ქმრობა თუ მაღირსეს,
რაღად მინდა ლალის თვალი.

* * *

წაღმა-უკუღმა ქანქარა,
ცის ჩარხი ბრუნავს ამგვარა:
ვის — საყვარელი მიჰგვარა,
ვის — საყვარელი წაჰგვარა.

* * *

სიკვდილს სად დაემალები,
იმქვეყნად მივილალები,
სატრფო ერთხელაც მაჩვენეთ,
არ ამიხვიოთ თვალები.

* * *

ჩამოვდნი სისხლის თხევაში,
გულის ლახვარზე ხევაში,
ექიმს მალამო აღარ აქვს
ჩემი წყლულების ხვევაში.

* * *

აზრები როგორ დავაწყო,
დარდის საგზალი ჩავაწყო,
შენ ცეცხლი ხარ და მე — შეშა,
ვიწვები, სხვა რა გავაწყო.

* * *

ვინც რო ჭირის დამთმო არი,
უსრულდებათ სათხოვარი.
შეყრა ურთერთმოყვარულთა
ღმერთისთვისაც სათნო არი.

* * *

ჩასმული ხარ თვალში-ლალში,
ბრწყინავ ტოლ-სწორ-მეგობარში,
მთვარე მიტომ დაიმალა,
შენ რო გამოხველი კარში.

* * *

რწმენით გული გაიჯერე,
ეგ სიფიცხე გაიჩერე,
ხალხის სიტყვა ოჯახს ანგრევს,
მე რაც გითხრა, დაიჯერე.

* * *

რაც კი მივლია მე გზები,
რაც მწვავე ცეცხლით ვეგზნები,
ზღვას ვუთხრა ჩემი ვარამი,
ატირდებიან თევზები.

* * *

მწურვალისთვს წყალი არი,
სიყვარული ბრალი არი,
ქედზე ტვირთად არ დაიდო,
მძიმე სატვირთალი არი.

* * *

დარდი მაქვს გასამზითველი,
ვინა ხართ მისი მზიდველი?
სავსე მაქვს დარდის დუქანი,
არვინ კი მოდის მყიდველი.

* * *

გახვეულხარ შავ-შავ შალში,
რა ვქნა სულ არ მომდის თვალში.
შენი შეყვარება მსურდა,
გავეხვიე ყალმაყალში.

* * *

აშიკი ვარ, ვერ ვარ ჯანზე,
მოცინარე დგეხარ ბანზე,
ატლასისა პერანგი მქნა,
ჩაგეცმოდი ვარდის ტანზე.

* * *

რო ხარ მშვენიერი მდედრი,
არ მოწვიმოს, ღმერთსა ვვედრი,
წვიმამ რო არ დაგისველოს
მკერდზე — ვარდი, ვარდქვეშ — მკერდი.

* * *

გიყურებ ტანად ტატანსა,
ტანი მიგიგავს ლატანსა,
ვინც თუნდაც ერთგზის შეგხედავს,
ცეცხლს უდებ ჯანსა და ტანსა.

* * *

ვარ ნატრული შენი ნახვის,
შენი უბის სავსე ბაღის,
ჩემი მზერა მიბმულია
შავ ხალებზე შენი სახის.

* * *

ტურფას დარდი მაწუხებს,
თვალებს ელვად აშუქებს,
ისღა დამრჩა, ხელში საზით
შევუერთდე აშუღებს.

* * *

ეს გული ვეღარ ირჯება,
ტკივილი აღარ მირჩება,
ას წელს რომ სატრფოს ვუმზირო,
მაინც არ მომეყირჭება.

* * *

ტრფიალმა ჩამიარაკა,
მომმადლა სიტყვის ბარაქა,
ნეტავ სატრფოსთან დამსვა და
თვალდათვალ მალაპარაკა.

* * *

ბაღი მქონდეს, შენთვის დავთმო,
ოღონდ შენი მზერით მათბო,
გული ენას ამოიდგამს,
შენ რო იყო ჩემი სატრფო.

* * *

მაგ ხალებს თუ ვევნებოდი,
თუ შენ დაგემძევლებოდი,
თუ მცოდნოდა, გამყიდიდი,
აღარ აგედევნებოდი.

* * *

ნარინჯის ბაღად აღივსე,
გული იმედით ამივსე,
ცვილივით დადნა ეს გული,
სანამ პასუხი მაღირსე.

* * *

ეს ხაფანგი აქვე არი,
მონადირის ნაქმი არი,
რაც ამ გულზე იარა მჭირს
შენთა ხალთა საქმე არი.

* * *

გრძნობამ გული ახელა და,
არ ღირს ხალხთან სამხელადა,
ჩვენს ჩუმალა სიყვარულსა
რა დავარქვათ სახელადა.

* * *

სულს მიწყლავს ცივი ზამთარი,
მრუმე ჯანღი და ავდარი,
მიმიშვი, გულში ჩაგეკრა,
ჩემი წამალი მანდ არი.

* * *

შენია გარჯილ-ურჯელიც,
ღვინოც და ღვინის ჭურჭელიც.
მე შენგან ზარხოშადა ვარ
უსმელიცა და უჭმელიც.

* * *

ციხე დგას ჟამის მახსოვრად,
გულში სიყვარულს ვაქსოვ რად?
ტურფას ერთ კოცნას გამოვრჩი,
ეგღა დამრჩება სახსოვრად.

* * *

ტურფავ, რა ცრემლი მადინე,
გულამოხვინჩით მატირე,
ასი წელია ვნადირობ,
შენ კი ვერ მოგინადირე.

* * *

დამავიწყდება განაღა,
რაც გულმა გზები დალახა?
როგორც კი თვალი თვალს მოხვდა,
ბაგემაც, ბაგის გზა ნახა.

* * *

აშუღო, შენი ჟამი დგა,
ხალხი სასმენად ჩარიგდა,
სიომ გულმკერდი გიჩინა,
თვალში სინათლე ჩამიდგა.

* * *

მთვარემ ცა მოიმყოფინა,
სხივები მიფინ-მოფინა,
მიჯნურმა აღთქმა არ ტეხა, —
ძირ-გვარით ნაღდი ყოფილა.

* * *

დაანათებს მთვარე ველებს,
ცხელი ცრემლი თვალს მისველებს,
თვალი, შენი მაძებარი,
ვერც იძინებს, ვერც ისვენებს.

* * *

სიყვარულში მამარხულე,
მცივა, რამე დამახურე,
მწყურვალი ვარ, გული მეწვის,
ძუძუ მომე, დამარწყულე.

* * *

სიმართლითა ხვიდოდე,
როგორც გინდობ, მინდობდე,
როგორც მე შენ მინდიხარ,
შენაც ისე გინდოდე.

* * *

გასცქერს ვარდის მწვანე თავშალს,
ითმენს გულში დარდის აშლას,
ბულბულსა ჰკლავს მოლოდინი,
აგვიანებს ვარდი გაშლას.

* * *

ტურფავ, თუ მიგრძნობ გუმანსა,
არ მძინავს, მღვიძავს მჩუმარსა,
მოდი, მომხვიე ხელები
ერთი საათით სტუმარსა.

* * *

შენთვის თირმა შალი ვიყო,
შენს სახეზე ხალი ვიყო,
თუკი აღთქმას არ გადახვალ,
შენზე მისათვალი ვიყო.

* * *

მაცვია სევდის თათმანი,
დარდი მჭირს ბათმან-ბათმანი,
სხვა საწუხარი ათასი,
სატრფოსი – ერთი მათგანი.

* * *

კარგი თონე მაქვს, მაგარი,
მოდი, ლავაში აკარი,
დღივ – არა, ღამე მეწვიე,
ღიაა უკანაკარი.

* * *

მთაში არ წავალ, ვფერხდები,
თმას რად არ ვიწნავ, ვერ ხვდები?
მეტრფე ნაწყენი გამშორდა,
მე მაგას აღარ შევხვდები.

* * *

ფიქრით ღრუბლებში ვიცურე,
შუბლს ჭირის ოფლი ვიწურე,
სატრფო ორგული გამოდგა,
იმედი გადავიწურე.

* * *

ლამპარი შევდგი თახჩაში,
ფერმკრთალობს მთვარის ჩახჩახში,
წყვილი დასტამბო მოვხელე,
ჩემი საყვარლის ბაღჩაში.

* * *

მოუფრთხილდი ავის ჩამდენს,
თარსი თვალით მზირალს ამდენს,
კოკობ ძუძუს მთლად ნუ მალავ,
ცოტა, საყელოდან ჩანდეს.

* * *

ზეცა ღრუბლის ფარდებშია,
ჩემი გული დარდებშია,
ჩემი სატრფო ვარდებში დგას,
ვარდს ვერ ვარჩევ ვარდებშია.

* * *

შენთვის როდემდე ვბოდავდე,
რაზომღა გავსაცოდავდე?
ნეტავ სხვაც თუა ამქვეყნად
ჩემებრ, სატრფოსთვის მოდარდე?

* * *

საქმე საქმეზე მივიდა,
მთაში ცეცხლს ვანთებ წივითა,
სატრფო ხელთ მომაგდებინა,
ავლოკავ მარილივითა.

* * *

შენი ეშხით ვარ მე ხელი,
გემრუდო, მომტყდეს მე ხელი.
არამც ორგული მიწოდო,
არა ვარ აღთქმის მტეხელი.

* * *

წყალი დის ნელი დენითა,
ბულბული დაშვრა სტვენითა,
ტურფამ ნათქვამი მიწყინა,
გული მომიკლა ენითა.

* * *

გზის პირს ვხედავ ტოტებფართოს,
მაღალ ჩინარს მარტოდმარტოს,
ჩვენი არეული საქმე,
ღმერთსა ვთხოვ, რო გვიწაღმართოს.

* * *

აღარ მწყალობს სატრფო ქალი,
ჩემი ტურფა გულფიქალი,
ჩემ ზღურბლს მტვერი დასდებია,
ზედ აღარ ჩანს მისი კვალი.

* * *

მთვარესავით შუქი სტოვე,
ცაზე მზეებრ კვალი სტოვე,
ზღვა და ხმელი შევაჯერე,
შენნაირი ვერსად ვპოვე.

* * *

სახით თვალმოციმციმეთი,
დავალ ნაბიჯით მძიმეთი,
წლეულს ვერ ვიქორწინევი,
გაისადა მაქვს იმედი.

* * *

კერაზე ცეცხლი ანთია,
არვისი არა მმართია,
კაცი, ავ თვალის პატრონი,
თვალებამოსაშანთია.

* * *

ეს მაინც გაიზიარე,
რო გითხრა სამჯობიარე:
ჩოხა ძალიან გიხდება,
მუდამ მაგ ჩოხით იარე.

* * *

ერთურთის გული ვიყავით,
ვიყავით, ვერ გავიყავით.
სიზმარში ვნახე მიჯნური —
ერთ სახლში ერთად ვიყავით.

* * *

შეხე შენს თვალ-წარბს, შეხე ტანს,
სარკეში შენსას შეხე თავს,
თვალმა რო ერთხელ გიხილოს,
სხვას აღარავის შეხედავს.

* * *

ვუძლებ ხალხს და ჭორსა მათსა.
არა ერთს და ორ შამათსა,
ღმერთმა ნატვრა აგიხდინოს
თუნდ მომავალ ორშაბათსა.

* * *

მთვარეა ღამის მთევარი,
ეს შუქიც მთვარითვე არი,
რაც ჩემი სატრფო ვიხილე,
მას აქეთ ერთი თვე არი.

* * *

მთა ზვავებით იმუქრება
ზეცა შავად იქუფრება,
თუმც დედამთილს არ ვუყვარვარ,
მის ბიჭს ჩემთვის სული ჰქრება.

* * *

ვაი ჩემს თავსა თმიანსა,
ჩივილსა ვბედავ ხმიანსა, —
ძალით მიმცეს და მიმყიდეს
თეთრწვერას, თეთრჩოხიანსა.

* * *

რა ნაკლები და რა მეტი, —
დღეს შეუსრულდა თვრამეტი, —
ერთი სხვა ბალღი მაჩვენეთ,
ჩემ შვილსა სჯობდეს რამეთი.

* * *

ცუდი დადგა ამინდები,
მზეო, ძაან მამინდები.
თავის ლამაზ ძმისშვილებსა
ენაცვალონ მამიდები.

* * *

ხელს ალერსით დაგისვამდი,
ზედ წამწამზე დაგისვამდი,
ჩემი რძალი თუ გახდები,
თმაზე ინას წაგისვამდი.

* * *

ბევრნი, ფასს ვისაც ადებენ,
შენთან რას დაიქადებენ,
შენნაირ შვილებს მშობელნი
ათასში ერთნი ჰბადებენ.

* * *

ძმაო, აგცილდეს ჭორ-ცილი,
შენი დარდი მჭირს ორწილი,
იზარდე, მალე დაკაცდი,
მოგიწყოთ ნიშან-ქორწილი.

* * *

ნისლში თავშენაფარი
ეს მთები არი ზღაპარი,
სუყველასათვის ტკბილია
თვისი მხარე და მთაბარი.

* * *

მთაში ვარ, თოვლის თოვაში,
ნისლის ფარჩათა ქსოვაში,
შენ მანდ იშვი და იხარე,
მე აქ ვიქნები გლოვაში.

* * *

გულნატკენმა დღე თუ ღამე,
ტკივილი ვერ დავიამე,
ღმერთო, ღმერთო, ჯერ ნუ მომკლავ,
გულში წადილი მაქვს რამე.

* * *

მნახე ხოლმე აის-დაისს,
ყოველკვირა, აპრილ-მაისს,
მთელ წელს ლოდინს ვერ მოვითმენ,
თვეში ერთხელ მოდი მაინც.

* * *

მახვილი მომხვდა ლესული,
წყლული მჭირს ჯანში შესული,
აჰა, ხმალი და კისერი,
დამკარ, ჯანდაბას ეს სული!

* * *

მთვარე ღრუბლის მჯობნი არი,
ყვითელი და ჭორფლიანი.
სატრფოს მშრალიმც ცამახვია,
ამაყენა ოფლიანი.

* * *

ადგილს მივადექ ქვიანსა,
სიტყვას ვერ ვამბობ გზიანსა,
გული საბმურით მივაბი
მაგ თვალებს, ზარხოშიანსა.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ***ზეზვა მედულაშვილმა***

ჯემალ აჯიაშვილი

სონეტები და ტრიოლეტები

* * *

„მე ვარ ბალახი, მე ვფარავ ყველაფერს“...
კარლ სენდბერგი

დიდხანს ძებნა და საკადრისი თითქოს მოძებნა,
მაგრამ საწყალი საწუთროში ისე ვიდოდა,
თითქოს მოუხმეს საგანძურის მოსაბოძებლად
და ბღუჯა-ბღუჯა დააყარეს ოქრო ხვითოდან.

ერთხელ კი მართლა აუცხადდა ეს საოცრება:
კაცმა კაცს უხმო, დაიმგზავრა თითომ თითო და
ისევ მოისხეს ფოთლეული ხმელმა ბოძებმა,
მხარი გაშალა გაზაფხულმა და გაიტოტა.

ხშირად ყოფილა: შეკრებილან დასნი დასურად,
ბოლოს ყველანი სამარისკენ ერთად წასულან;
მახლას, წავიდნენ, სიჩუმეში ფეხი გაიდგან,

რათა შემდგომად — ოდინდელი წესის თანახმად —
ყველა რაობა საუკუნო არარაითგან
საგულდაგულოდ დაიფაროს მწვანე ბალახმა...

* * *

როგორ ამოხსნი ცხოვრების საზრისს,
ბებერი სოფლის ბებერო მაცნევ,
ისმის ყაყანი ამაო ბაზრის, —
როგორ ამოხსნი ცხოვრების საზრისს.

დაბერავს ქარი, გასაცრელს გაცრის,
გაუძელ, გულო, სანამდეც გაძლებ! —
როგორ ამოხსნი ცხოვრების საზრისს,
ბებერი სოფლის ბებერო მაცნევ....

* * *

იგორა ქვამ და არვინ იცის, რისთვის იგორა, —
დღის გამოცანას აკვირდება ცაც და ციერიც,
ისევ შებმულა გუთნეულში ხარი ნიკორა
და დამზრალ ხნულთან მერამდენედ იწყებს იერიშს.

თითქოს იყო და ბოლო-ბოლო არა იყო რა, —
ცას შესცინოდა ოცნებები ნორჩი იელის,
გარდახდა დრო და სურვილები გადაიყოლა,
თან გაჰყვა სუნთქვა გულუბრყვილო სიმშვენიერის.

გორავდა ქვა და, როგორც ხედავთ, ზღვასთან მიგორდა, —
ნიავის ქროლვას შეენაცვლა ხმა ჭალიკონთა;
ქრება ცეცხლი და ინავლება ბავშვის სიანცე,

მზის სიფითრესაც თანისთანად თვალი ეჩვევა
და დამღად რჩება შემოდგომის ინიციალზე
შიში და კრთომა, სინანული და დაეჭვება...

* * *

უნდა შეება აბეზარ დრო-ჟამს, —
ბჭობს გვინიჩელი, ძვირფასი გვიდო,
უნდა ერწმუნო გამოცდილ მგოსანს, —
უნდა შეება მუხანათ დრო-ჟამს.

ვიდრე ბავჯაღლოს ამოყრის ხვითო,
სჯობს გასაქვითი დროულად ქვითო,
უნდა შეება აბეზარ დრო-ჟამს —
ბჭობს გვინიჩელი, ძვირფასი გვიდო....

* * *

იღვიძებს სფინქსი, სისხლის ტბორი ცას შერევია,
ინვის ცარგვალი, — რაღაც ხდება ძველ აზიაში, —
გახედავს ქალაქს შაოსანი ვინმე დიაცი
და უცნობ ბექზე ატირდება იერემია.

ცად კი, თითქოსდა ანთებული იელებია, —
ბრუნავს ხომლი და მთვარიანში ისმის გნიასი
და ცრემლიანი ოცნებები ესაიასი
კვლავინდებურად შემოდგომის ქარში ქრებიან.

მზე მაინც ნათობს, იხარჯება სანთლის ღერებად,
თუმც სიკეთის ბჭე უკეთურმა უკვე შეხურა,
წყავს საწყაული, — იწონება ნაკლიც, მშვენებაც,

დრო კი ძველ ქუჩებს მიუყვება ოჩოფეხურად.
და გაზაფხულის გულუბრყვილო ამომღერებას
კვლავ ნაღვლიანად ელოდება ზამთრის ბეღურა...

* * *

გვიმზერს ბელადი მარმარის ქვიდან,
ღიმი აკვდება გრანიტის ტუჩებს,
უკვირთ გამვლელებს, — როგორ და ვითარ, —
გვიმზერს ბელადი მარმარის ქვიდან.

ჩავყურებ დავთრებს, გასაქვითს ვქვითავ,
დღეს დრო-ჟამს გული სხვაგვარად უცემს,
გვიმზერს ბელადი მარმარის ქვიდან,
ღიმი აკვდება გრანიტის ტუჩებს...

* * *

ქვებს მიათრევდა უღლეული მძიმე უღლებად,
ყელი ჩაუტკბო კურტიზანებს ტკბილმა ჩაროზმა,
ბნელს ჩაეკიდა ჩანგოსანი, ეშმა ჩალოშნა
და იქვე ღმერთთან მოისურვა გასაუბრება.

ბრბო ფუთფუთებდა უფლებათა დასაუფლებლად,
როზგი მოჰქონდათ მეროზგეებს ხალხის საროზგად
და ქალაქებში — მარტოოდენ გულანშაროსღა
შემორჩენოდა სილამაზე ასე უკლებლად.

აღრეულიყო უღირსებში ღირსი, საღირსე
და ჯოჯოხეთი შემდგარიყო ცის უნაგირზე;
ხარს კი რა ექნა, — საზიდარი უნდა ეზიდა,

სულთმობრძაობდა ხეივანში ალვა კენარი,
ერთ მაბეზღარას გაიხმობდნენ ასპარეზიდან
და იქვე რქებით მოდიოდა სხვა მარქენალი...

* * *

ცოდვილთა მოდგმა მოვიდა შემდეგ,
წაბილწა ცა და ქვეყანა წარყვნა,
რამდენჯერ დამეც, რამდენჯერ შემდექ...
ცოდვილთა მოდგმა მოვიდა შემდეგ.

ბრუნავდა ტბორი, — ზემდეგ და ქვემდეგ
მთებს მირეცხავდა ცრემლების წარღვნა, —
ცოდვილთა მოდგმა მოვიდა შემდეგ,
წაბილწა ცა და ქვეყანა წარყვნა.

* * *

ცის შვილობილი, ქვეყნის შვილი, შვილი ნატრული —
ცხელ ფილაქანზე მიბაკუნობს თეთრი თიკანი
და თიკნის კვალზე — კმაყოფილი და გაბადრული —
მიდის პატრონი — მისი დოსტი და ოსტიგანი.

ქუჩებს დარაჯობს გულმოდგინე ჩვენი პატრული,
ჰა, უეცარი მუტაციის უტყვი ნიშანი —
ჯვაროსნის ხმალი, მეჩეთებთან ჩალმა თათრული,
ბაღდადის ხურმა, ჩაიხანა და დოსტიჯანი.

წაწალს წაწლობა ალამაზებს, ბაზარს — ბაზრობა,
ბაღდადის დუქნებს — დახლიდარი და ქარვასლობა;
ვარგი და მარგი — ყველაფერი ფეხქვეშ გაიდეს,

ჩაიძიებ და სინანულით ჩაგვეტირები,
რომ პატრულების შეუპოვარ სიმუყაითეს
ცვლის ეგზოტიკის ქარაფშუტა გაკვეთილები...

* * *

უნდა რაიმე გეცადათ ქვეყნად,
დროზე გასცლოდით უაზრო ზიმზიმს,
სასხლავი გესხლათ, სახნავი გეხნათ, —
უნდა რაიმე გეცადათ ქვეყნად.

თუხთუხებს ყბედი, იცლება კვეხნად,
ტრიალებს ეტლი, — გვილხინს თუ გვიმძიმს,
უნდა რაიმე გეცადათ ქვეყნად
დროზე გასცლოდით უაზრო ზიმზიმს.

* * *

წლებს მივდენიდი, ჩვეულებრივ როგორც მივდენი,
გზად რომელიღაც მატერიკზე ატყდა დებოში
და ელმავალი შეგრიალდა უცხო დეპოში,
თან შეიყოლა თანამგზავრი ერთი იმდენი.

შენც, სულო ჩემო, ჟამი-ჟამად რად ირინდები
და ხსოვნა რომის, ბაბილონის თუ ალეპოსი
რად გიათკეცებს წარმოსახვას, როგორც ეპოსი —
რად ცოცხლდებიან უხსოვარი ლაბირინთები.

დროს მიიკვლევდი სივრცეებში წმინდა წერილით
და გზიდან გზაზე გადიოდი აღასფერივით;
და ისევ გზები, — ძველი ჟინი როდი განელდა,

ქარს დაუმგზავრებ რომელიღაც ქარიხვეტიას
და აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალებთან
ისევ აგრძელებ მარადიულ გზებზე ხეტიალს...

* * *

აღმოსავლეთის მარადი სევდა
თვლემს პალესტინის პატარა რტოში, —
ჰანგი, რომელზეც ფსალმუნი ჟღერდა,
ჟღერს პალესტინის პატარა რტოში.

წუხილი ბრძენთა, რონინი წელთა,
აგვისტოს ხვატი, თებერვლის თოში —
აღმოსავლეთის მარადი სევდა
თვლემს პალესტინის პატარა რტოში....

* * *

ამერიკის ებრაული კომიტეტის დიდ საიუბილეო საღამოზე
თითქმის მთელი მსოფლიოს ებრაელობა ცეკვავდა.

„ამ სამიათასსამასი წლის წინათ ჩვენ ყველანი
სინას მთის ძირში ვიდექით“.

რაბინი არიელ ლევინი

აცეკვდა ყველა, ცეკვავს სტეპი, ცეკვავს აული,
ჩეხი, რომელიც წუთის წინათ უკან იხევდა,
შვიდას ორმოცით დაბუქნაობს მორის კრიხელთან, —
თვალებს აელმებს დიდოელიც, როგორც დაუნი.

გახურდა ლხინი — აქ ფოქსტროტი, იქ კინტაური,
აგერ შემთვრალმა ავსტრიელმა ვიღაც იხელთა,
რუსს შეაჯახა კავალერი ახალციხელთა,
მაგრამ საქმეში ჩაერია კეიპტაუნი.

მოვარდა მავრი, მოარღვია ყველა რიკული,
გაჩაღდა როკვა იუდეურ-მოზამბიკური;
ჩავყურებ წარსულს, — ხალხმრავლობით მე აქ ვერთობი, —

იქ კი ქარი სძრავს ათასწლოვან სისხლის ნაკადებს,
კვამლის ალმურში გახვეულა სინას ფერდობი
და სჯულმდებელი ღრუბლებიდან მცნებებს ღაღადებს...

* * *

ელიან წლები მომსვლელის მოსვლას
და დრო ლოდინში უჩუმრად გადის,
აყოვნებს ყვავი კბილების მოცვლას, —
ელიან წლები მომსვლელის მოსვლას.

მომკელმა მომკას, მომსხვლელმა მოსხლას, —
ისმის ჩურჩული სიზმრის და ცხადის,
ელიან წლები მომსვლელის მოსვლას
და დრო ლოდინში უჩუმრად გადის...

* * *

ღამეს შეუნთეთ ყველა კვესი და საკვესავი,
ბანი და ჭერხო ააკვამლეთ, ჭერი შებოლეთ
და უხალისოდ დააჩერდა მთვრალი მეძავი
გრაფის მუნდირზე გაბრწყინებულ ოქროს ეპოლეტს.

ბოლოს მოიხმეთ ვიღაც დოსტი და ნათესავი —
კაცი, რომელიც მარაქაში გესვათ მედოლედ
და მანაც ხელი დაიბანა პილატესავით, —
ადგა და კარი გაიხურა, — კარგად მეყოლეთ!

დარჩით უაზროდ — დუდუკებით, ღვინით, ქალებით —
თრობით და ცხრომით, კლოუნადით და დროსტარებით;
ქარი კი დაძრწის, დაქაქანებს, როგორც ქარგალი,

ხვალ წვიმის ღვარი გადარეცხავს ჩვენს სამრეცხაოს,
ქანაობს ქარგა, იცრიცება ცა ნაქარგალი
და მთვარე ლერწმის ჩრდილოვანში ურცხვად მეძაობს...

* * *

ურწმუნო კაცთან კამათი არ ხამს, —
უჭირს გარჩევა მრუდის და მართლის,
სიკეთეს აშთობს, სიყვარულს მარხავს, —
ურწმუნო კაცთან კამათი არ ხამს.

მაინც ამღერებს გაცვეთილ არღანს, —
ცივა თუ ცხელა, თქორავს თუ ბარდნის,
ურწმუნო კაცთან კამათი არ ხამს, —
უჭირს გარჩევა მრუდის და მართლის...

* * *

ბევრი ფული რყვნის ადამიანს, ცოტა აბოროტებს...
მოარული სენტენცია

ეჰ, სიღარიბევ, დაბარბაცდი დამზრალ ლოგინთან,
სიზმრებს მიანდე შესავსებად ჯამი სავერცხლე,
ქვეშ გაეფინე სულმდაბლობას და ისარეცლე
და დამდაბლებულს ღრუბლებისკენ აჭრა მოგინდა.

და სიმდიდრემაც — სანუგეშოდ ბედშავ დობილთა —
ყველა შიდაწრე შემოწერა, ყველა გარეწრე,
მაინც ვერ დათმო გარყვნილობა და სიგარეწრე
და ისიც, ისიც — სულმდაბლობით დაკმაყოფილდა.

უცებ ცა ნახა, გაუშტერდა თვალი ჯიქური,
ცა — ვარსკვლავებით მოჭედილი და მოჭიქული;
ბრუნავდა დისკო — შეუვალი, როგორც ოცნება,

და სხვებთან ერთად — ვარსკვლავების ინდიმინდიში —
იმ შორეული ჰარმონიის შესამოწმებლად
მიიმღეროდა უწმინდესი ჩვენი სინდისი...

* * *

ციდან დაჰყურებს მსაჯული ზეშთა
ძველი წიგნების გაცრეცილ გორგალს,
ბრუნავს არენა კაცთა და მხეცთა, —
ციდან დაჰყურებს მსაჯული ზეშთა.

რომელმან ღირსქმნა, რომელი შეცდა, —
მართალი ყუჩობს, ცოდვილი ბორგავს, —
ციდან დაჰყურებს მსაჯული ზეშთა
ძველი წიგნების გაცრეცილ გორგალს...

* * *

დრომ შეაფერხა საამქროში ამქრის ამქრობა,
დროსთან ის იყო საუბარი უნდა გამება,
მაგრამ გათენდა, განახლების ქარმა დამქროლა
და კვლავ გაბრწყინდა სიყვარულის წმინდა სამება.

მაისს დაეტყო მაისობა, ზამთარს — ზამთრობა,
ცოდვა გორავდა ბაყბაყდევის მოჭრილ თავებად,
მართალს თრგუნავდა უხამსობის უსამართლობა,
სიკვდილის ელდას — გაზაფხული და უკვდავება.

გვზარავდა ქარის მიმოქცევა, სოფლის ბრუნვები,
ვიდოდა ჟამი — სევდიანი და უზრუნველი;
ხმობდა ომები — ასწლედებში გადანახდომი,

ომის ქრონიკებს კითხულობდა თვალი ტურისტის,
მშვიდად დასცქერდა დედამიწას ირმის ნახტომი
და ჩრდილებს თხზავდა დასიცხული ფანჩატურისთვის...

* * *

ღრუბლებში თეთრი სანთელი ენთო
და ზეცა ჰგავდა გაცრეცილ მიტკალს,

მოჩანდა სახლის ბანი და ერდო, —
ღრუბლებში თეთრი სანთელი ენთო.

დაბერავს ქარი, მაღალო ღმერთო,
და ღრუბლის კარვებს მოდგამს და მიდგამს, —
ღრუბლებში თეთრი სანთელი ენთო
და ზეცა ჰგავდა გაცრეცილ მიტკალს...

* * *

ფუჭი იქნება შენი რჩევა, ასე ჩათვალე, —
მაინც ჯამბაზობს თავის თოკზე ჩვენი ჯამბაზი,
ცერად შეჰყურებს სილამაზეს ბრბო მოავთვალე
და კვლავ ჩხრიალებს უნიჭობა ზოგის ბამბაში.

ნუთუ სპეკალი ნაყალბევში ისევ გაცვალე
და თავი მოგაქვს დაზუთხული რაღაც ანდაზით,
რომ შეაჯერო სონეტების წმინდა საძვალე
ზურნით, შიქასტით, ბაიათით და მუხამბაზით,

რომ ლხენად გექცეს ლექსით თრობა, რითმით გალეშვა
და სიტყვის ჯადომ შეგიტყუოს, ვით ოჯალეშმა;
ტოკავს ქანქარა წუთისოფლის სიავკარგეში,

რა უსამართლოდ მოგიწყვიტა სანათესაომ,
შენ კი უჩუმრად აგიღია ლექსის ანკესი
და პასტორალურ სიმშვიდეში დინჯად თევზაობ...

* * *

ოსტატი ვინმე მუშაკობს ტაძრად,
ხორკლიან სტრიქონს რანდავს და ჩორკნის,
ელავს კალამი მჭრელად და ბასრად, —
ოსტატი ვინმე მუშაკობს ტაძრად.

„საჭრელი გაჭრათ, საცრელი გაცრათ“, —
ისმის ტრიალი ვეება გორგლის,
ოსტატი ვინმე მუშაკობს ტაძრად, —
ხორკლიან სტრიქონს რანდავს და ჩორკნის...

* * *

ახლა ამ ტყეში, მოგზაურო, სხვა ამინდია,
გუშინდელ სურვილს წინამძღვარი სხვა გზით წარავლენს,
სხვა ბილიკები ელოდება შენს ძველ ქალამნებს
და მღვიმეებშიც სხვანაირი ცეცხლი გინთია.

და ნათლიერის სინათლეში — ლურჯკრამიტიან
ცის ციაგებით აგუმბათებ ტაძრის გალავნებს
და ბეთლემისკენ მიუყვები გზებს საქარავნეს
და მნათობები სინათლისკენ მიჯრით მიდიან.

და ოდინდელი სატკივარი გაკრთობს ნაკლებად,
ალბათ, გზა ჰპოვე უპოვართა დასანაყრებლად;
მეც ფარღალალა სივრცეები სხვა გზით შეგივსე,

დროის დინება სადინარში სხვა წყლებს აბუდებს,
სხვა მზე იბრწყინებს ღრიანკალის გზაჯვარედინზე
და აბლაბუდაც სხვანაირად იაბლაბუდებს...

* * *

რევაზ ინანიშვილს

დრო-ჟამს მიარწევს ტალღები ივრის,
უხმოდ მიაპობს უხსოვარ ჭალებს,
ჩაუვლის მაისს, ჩაუვლის ივლისს, —
დრო-ჟამს მიარწევს ტალღები ივრის.

ღმერთი უძღოდეს, სანამდეც ივლის, —
აავსებს დაცლილს, დასალევს დალევს,
დრო-ჟამს მიარწევს ტალღები ივრის,
უხმოდ მიაპობს უხსოვარ ჭალებს...

* * *

ისევ შეიხსნა განთიადმა ოქროს საკინძე,
მე კი შენს გვერდით უშენობა უნდა ვინატრო,
სულს დამაშვრალი სურვილები დავუბინადრო
და ობლად მყოფი სიყვარულშიც ობლად დაგირჩე.

დაეცა ჩრდილი უფლისწულის თეთრ უნაგირზე, —
ეჰა, დღენო და სამოთხენო, მზევ და ზინათნო, —
მოვიხმე ლანდი — მარტოსული და უსინათლო —
და სევდის თასი ამჯერადაც ცრემლით აგივსე.

როგორ აცივდა, — ხეობებში ქარმა ჩაბუქნა, —
სიყვარულის და მონატრების თქვა მზეჭაბუკმა;
დღე მიიწურა, დასავალთან სივრცე განაზდა,

მოვა ქალი და მოლოდინში თრთოლვას გაურევს
და ერთად შეკრებს შეღამების ბნელ აკლდამასთან
ცრემლებს და ტკივილს, აღსარებებს და სამკაულებს...

* * *

მანანას

ზეცის გარეშე დარჩენილ ფრთასთან
უქმი დღეების შრიალი ისმის,
ჰყვება მთხრობელი სევდიან დასთანს
ზეცის გარეშე დარჩენილ ფრთასთან.

ცვივა ფოთლები ქარვისფერ დასტად,
მიწყდა შხუილი გაფრენილ ისრის
და ანგელოსის მოტეხილ ფრთასთან
მოწყენილობის ჩურჩული ისმის...

* * *

თვრებოდა კაცი ნელი ბანგით და ნიკოტინით,
კაცი კი არა, ანგელოსი იყო ნახევრად,
სულს იგეშავდა აღმაფრენის მძაფრი ლოდინით
და ამზადებდა სივრცეებში გასაძახებლად.

ძველ საგალობლებს გიგალობდა უცხო მოტივით
და ხმებს, რომელიც დავიწყების ქარში გაგებნათ,
კვლავ აღადგენდა მეოცნებე დონკიხოტივით —
მიწის და ზეცის სადიდებლად, ღმერთის საქებრად.

ამაო იყო მისი გარჯა — და ამაოდან
ამაოების დასაკლავი ხარი ბღაოდა;
და მუდამ ასე: მოლოდინში დრო ითენთება

და ღამის კვალზე – ჩუმი სევდით, ჩუმი ვარამით –
ძველ სასტუმროში ბანალური დილა თენდება
და სიზმრებს აშთობს მოსაწყენი სიაშკარავით...

* * *

ქარებს გადაჰყვა ფოთლების წყება,
გადაიკარგა ფერდობის იქით,
აცივდა უკვე, ზამთარი დგება, —
ქარებს გადაჰყვა ფოთლების წყება.

ობლის კვერი კი აქამდე ცხვება,
მჭევრობს თამადა ჩვეული რიხით;
ქარებს გადაჰყვა ფოთლების წყება, —
გადაიკარგა სამყაროს იქით...

* * *

აგერ ეს კაცი, — გატაცებით ცდას რომ გვიტარებს, —
მოსარჩლეა და მომლოდინე სანუკვარი ცდის,
ავდართან რითმავს მარტის დარებს და რამდიდარებს
და ყოველ წვრილმანს ჩაჰკირკიტებს, — მძიმედ განიცდის.

დარჩება ხსოვნად, სასიკეთოდ რასაც ითავებს,
მაგრამ უფრორე საშურია მისი გვარისთვის,
რომ თვალში მოხვდეს ყოველ სტუმარს — ფრანგს თუ ბრიტანელს —
შრომა და ჯაფა გადამკვდარი ამ ბუკვალისტის.

სათქვლეფი თქვლიფოს, მე არ მოვკვდე, სვლიპოს სასვლეპი,
თორემ ჟამთასვლებს კიდევ მოსდევს სხვა ჟამთასვლები;
კიდევ რა დაგვრჩა დასადგენი, დასახვეწავი, —

ერთი ყულფი გვკრავს სულეთისკენ თავგაყოფილებს,
კარვის კართან კი გაფენილა თეთრი ზეწარი
და იმ ზეწარში თავგაკრული ბავშვი ფოფინებს...

* * *

შეჰყურებს ჩვილი სხივების ლიცლიცს
და მწყემსი გალობს ბეთლემის ქოხთან,
მაშვრალი საქმობს, მოცლილი იცლის, —
შეჰყურებს ჩვილი სხივების ლიცლიცს.

ისევ შემოსა სავანე ნისლის
სადაფის მთვარემ — სათნომ და კოხტამ,
შეჰყურებს ჩვილი სხივების ლიცლიცს
და მწყემსი გალობს ბეთლემის ქოხთან...

* * *

ვარდის კონები სიყვარულმა ისევ მოკონა,
კვირტიც სულ ცდილობს, გაზაფხული მოიშველიოს,
მაგრამ უეცრად მოეწევა მარტის ქოქოლა
და პირჯვარს უხმოდ გადაიწერს მამა ელიოზ.

ნაზ საგალობლებს დაამღერებს ბერძნის გოგონა,
რომ სიქალწულის ოცნებებში კდემა შერიოს,
მაგრამ ჩაცხრება სიყვარულის ჭიაკოკონა
და აღტკინება ჩაუქრება მზეს და ჰელიოსს.

ბრძენს რომ ჰკითხოთ და სულელებსაც ყური დაუგდოთ,
რამდენ ვიღაცას დაიგულებთ სააბდაუბდოდ;
გადაგვიჭრია უყოყმანოდ ბევრი დილემა,

მაშრიყ-მაღრიბის ტლაპოებშიც ბლომად გვიტოპავს, —
მაინც სხვას ითხოვს გულნაკლული გამოცდილება
და თავუკუღმა აპირქვავებს სავსე კიდობანს...

* * *

ნუ მიმაყოლებ უცნაურ კაპრიზს,
შეჩერდი, წამო, პატივი დამდე,
გამიღე კარი ჯადოსნურ ზღაპრის, —
ნუ მიმაყოლებ უცნაურ კაპრიზს.

შემასხი ფრთები ოცნების მძაფრის, —
მიმანდე ქროლვას მიწიდან ცამდე, —
ნუ მიმაყოლებ უცნაურ კაპრიზს,
შეჩერდი, წამო, პატივი დამდე!..

* * *

თემურ მოსიაშვილს

იქ, სადაც ქარი თავკერძობდა და ბაქიობდა,
სად თავგასული ნიავქარიც თავს ძლივს იოკებს, —
ჩერდება სული, ეთხოვება ძველ სახიობებს
და უხმოდ დგება უსახელო საყდრის ღიობთან.

და უცხო სახე გარდასახულ იმ მსახიობთა
შენთან მოდის და დამწუხრებულ გულს დაგიოხებს,
რა ვქნათ, სიბერე მოეძალა საწყალ დიოგენს,
ხავსი მოიდო ეზო-კარმა და დაგიობდა.

დასრულდა წიგნი, გაილია ბოლო ციკლი და
კვლავ ჩაიგმანა ცხრაკლიტული და ჩაიკლიტა;
ქარმა კი მაინც დაუარა ცისკრის დავლური,

მაგრამ გამკრთალდა ძველი მითი და გადაფასდა,
დასრულდა შენი სევდიანი ასომთავრული
და სხვა ფაბულა იწერება ახალ დაფასთან...

* * *

მოვა ჟამი და სათვალავს გათვლის,
დროის ლოდინში დაღლილო ტილოვ,
ისევ ხელს დამრევს სიკერპე მხატვრის
და თეთრი ლაქის შევსებას ვცდილობ.

და ჰა — მივფრინავ, მიგელავს ცხენი,
ასლი როგორღაც ეწევა დედანს,
მაგრამ ეშვება უცნობი ხელი
და ცოდნის კარებს ხელახლა კეტავს...

რუსუდან კაიშაური

* * *

ვართ ორი ერთმანეთზე
დამთხვეული:
წუთისოფელი და მე.
მან ძირს დამაგდო,
როცა, ასაკით უფროსს,
ფეხზე წამოვუდექი.
თავის საზღვრებში ჩამკეტა
და მიეცა გასაქანი:
კორსეტი მომიჭირა,
რომ სურვილები უშნოდ
არ გამომებურცოს.
მხოლოდ თითებით გამრავლებული
ხელი დამრჩა ამოწვდილი
ჩემი გროვიდან,
რომელიც ხან ხსნას,
ხან შენდობით მოხსენებას ივედრება.
ნუგეშიც სხვადასხვაა:
— მშვიდობა ქვეყნად და სათნოება კაცთა შორის!
ან
— წუთისოფელი ასეა!

* * *

ლექსი სათაურის ქვეშ
ბინავდება,
ბოლოში წერტილით
ილურსმნება.
თვალდახუჭული, ხელისცეცებით
გავდივარ ქაღალდზე,
ასოებს შორის
ბოლთასა ვცემ,
სპირალივით ვიხვევი—
ეკონომიურად ვითვისებ
სასიცოცხლო არეს.
უსათაურო, ბოლოში
უწერტილო ლექსი კი,
ლაღდება,
ჩემი სისხლის მიმოქცევაა
ქაღალდზე გადაყვანილი.

* * *

ჩემი მოწაფეები გადავაბი
ერთმანეთს,
ვუთხარი არსად გამწყდარიყვნენ,
კიბესავით არ ემტყუნათ.
საფეხურებად მივაწყვე ისინი,
რომ საკუთარ თავამდე მიმეღწია.
მაგრამ წესებს არღვევდნენ,
მიჭრელდებოდნენ თვალებში.
ისევ წრე რომ შეგვეკრა, სჯობდა,
ერთმანეთს უცებ მოვირბენდით,
მე წაღმა-უკუღმა მივადგებოდი ჩემს თავს,
ერთმანეთს არ ვაწყენინებდით,
უთავბოლოები ვიქნებოდით.

* * *

ვუძღვნი ჩემს დევნილ მოსწავლეებს
და მათ მშობლებს

გამომაკლდნენ მამა, ქმარი
მათ ზოგი უსულოც მიემატა.
მაგალითად, სახლი, ქოთნის ყვავილები,
ვიღრიალე, მაგრამ ნაწილებდაკარგული ვერ შევკოწიწდი.
გლოვეს ნარჩენებს
გულიც გადავაყოლე,
ნაგავი ამიტომ კანკალებს,
იქ ვირთხები დარბიან,
როგორც სამგლოვიარო ნიშნები.
ისე გავიწეწები,
ქარიშხალს შეშურდება.
თავი რომ ვინუგეშო,
ცოცხლებით ვთამაშობ,
თამაშიდან დამარცხებულების
გასვლა მოსულა.
თუმცა, დამარცხებულები,
როცა ბევრნი არიან,
გამარჯვებულს
თამაშგარეთ ტოვებენ,
როგორც მე ვრჩები
ქაღალდის ფურცელთან
მარტო
და ცოტა ხანში
ლექსი ჩამომიგრძელდება ცინგლივით,
როგორც გალახულს —
სისუსტის ნიშანი.

* * *

რამდენჯერაც სოფლისკენ ვქენი პირი
ლოყების გასაწითლებლად,
ყოველთვის მეგონა,
სოფელი მთის იქით იყო
ჩაცუცქული
და ნაცარში იქექებოდა.
გადავხედავდი ხოლმე
ელფერის წასართმევად.
ახლა სოფელი მიწაზე
ფეხს აღარ აკარებს.
საქმეგამოლეული,
ღრუბლებში დაფრინავს
და ქვაზე დარჩენილ
ქალაქს დასტირის:
„ვაი ქალაქსა და მისთა მდგმურთა!“
ქალაქიც თავისკენ ექაჩება,
რომ მის ხარჯზე გაიწელოს.
სოფელი კი მუდამ
თავის ზომა-ვადებში,
თავსა და ბოლოში
მიედინებოდა.
ამიტომ იქ ყველანი
სიმაღლეში ვიზრდებოდით.
მაგრამ დედინაცვალივით, სოფელსაც
ბოლომდე არ ვენდობოდი
რადგან თავის ენაზე დამისვამდა,
საღეჭი რეზინივით მღეჭავდა
და მბერავდა,
მაგრამ ბუშტივით ცაში გასაფრენად
კი არა,
უკანვე მიბრუნებდა
ჭორიკანა პირში,
რომ უფორმო მასად
ვექციე
და ძირს გადმოვეფურთხე.
ფეხს თუ დამადგამენ,
ვეღარც წამოვდგები.
გადასახედი აღარ არის,
მხოლოდ საოცნებოა სოფელი
და ამაყად უარყოფს
მიწასთან კავშირს.
თუმცა საწინააღმდეგოს ამტკიცებს
ლოყაწითელა ვაშლი.

* * *

თოკს ფერადი სარჭებით
ფაქიზად უჭირავს ჩემი კაბა
აშრობს, ამზეურებს,
თავისუფლებით ათამაშებს.
მეზობლისაგან გამოფრიალებულ
სარეცხს თუ შეეხო,
მაშინვე უკან სწევს
და რამდენჯერმე ბრაზით გაიქნევს.
შეიძლება სარჭეებიც მოუშვას
და ცხრა მთას იქით გადაკარგოს.
კაბას რომ ჰკითხო,
მეც სამოსი ვარ ვიღაცის,
ვინც თავისუფლებით მათამაშებს.
სხვა მატერიას შემახებს თუ არა,
ხან შვილებს, ხან ლექსებს დამაყრევინებს.
დანარჩენ დროს მაქანავებს,
თავდაყირა მაყენებს,
მაშრობს და მამზეურებს.
ნეტავ, ვისი ნამდვილი
ხელი ჩამომხსნის თოკიდან,
ვის ნამდვილ სახლში
ჩავიკეცები.

* * *

როდესაც მოდის გამხარებელი ვინმე,
მეც მინდა დავახვედრო გაზაფხულის ტორტი,
ყვავილებზე ჩარჭობილი ფუტკრებით,
სანთლებივით რომ ბოლავენ მინდორში.
ბებიაქალივით ვეხმარები
თაფლის და სანთლის გამოღებაში,
რადგან ბევრი ვინმე მყავს
დასატკბობი და გზაზე დასაყენებელი:
ცოცხლები, ვინც დაბადების დღეს იწყევლის,
მკვდრები—მუქთა სუფრაზე რომ უყვართ ბორიალი
და ღვინიანი ჭიქების წაქცევა.
ვეფხისტყაოსან გამხარებელს
გაზაფხული დავახვედრე,
დედაცხვარი არ ვარ
და ცხვრები გავუჩინე,
როგორც ჩემი თავმდაბლობის ნიშანი.
ის კი,
ლოთი ქმარივით არის
გასახარებელი დუქანში რჩება.

* * *

ვერ მოვერიე თავს,
მზეს,
სამშობლოს.
ვერ შევირგე ისინი
ფეხმძიმე ქალივით.
გადატენილი ვარ
საყოფაცხოვრებო ნაგვით.
და ასე მოვიქეცი:
მოვიშორე თავიდან
მღრღნელი აზრები,
დავაგორე გულიდან
ტრფობა წამებული,
მოვიწმინდე თვალიდან
ჩაწირპლული სამშობლო.
წამწამები ხელებივით გავშალე,
გამოვკუჭე ჩემი არსება
და მზესუმზირად აღვკვეცე.

* * *

სახეზე ავიფარებ ხელს
ან ხმაურის რომელიმე ნაგლეჯს
და ყურებს გავალაღებ.
სახლში ყველა დამუნჯებულ
ნივთს,
როცა გახარებული მღერის,
მუსიკას ვართმევ
და ყურით დაჭერილი
გარეთ გამომაქვს.
ქვაბის ფორტე
სახურავის აწევით
გამეტირება.
ბრძოლას ვაპირებ
ბოლომდე ხმააწეულ ქუჩასთან,
რომელიც ფორტეა, რახან ყურში
არ მიჩერდება.
არც მე და არც ქუჩას
სმენა არა გვაქვს — ერთმანეთი ყურებით
გვიჭირავს
სხვების გამოხმაურება
ნახეთ ამ ომზე:
ასფალტს ბალახი მორევია,
როგორც ძალიან ჩუმი მელოდია.

* * *

ატკივებულ თავს
ვერაფერი მოვუხერხე,
გავაქნიე და
ბედს მივანდე.
თავი რომ ვერ
შევიმაგრე,
შენ აღმოჩნდი
იქ შემთხვევით
და მხარზე ჩამოგადე.
ვიდრე ამ ცხადს დავხუჭავდით.
და ახლა ვფიქრობ,
ჩემი თავი რატომ
ჩამოვიღო იმ სიმაღლიდან,
შენი მხრის თავი
რომ ჰქვია.
მაღლა აწეული თავი,
რისთვის ჩავღუნო.

* * *

მამაჩემს ეგონა,
„ჯანდაბა“ შორიახლო იყო,
დედაჩემი აგზავნიდა ხოლმე,
მაგრამ შუა გზიდან
აბრუნებდა.
მერე გათამამდნენ ორივენი:
ერთმა წყევლა მოიმარჯვა,
მეორემ — დაბრუნება.
ერთხელაც „არმოსვლაში“
გააგზავნა,
იქიდან უკვდავების წყლის
მოსატანად.
ეტყობა, სმას გადაყვა
და აღარ მოდის მამაჩემი.
ბედის საძებნელად მიმავალი ეგონებოდათ,
ისეთი ახალგაზრდა და არხეინი იყო,
„არმოსვლაში“ მარტოხელა ქალები ცხოვრობენ
და სხვა გზასაცდენილებივით
დაიტაცეს მამაჩემი.
უკვე დაბერებულა კიდეც
და დაშლილ ბაბუაწვერას
ნაწილ-ნაწილ მიგზავნიან
უმისამართო ქვეყნიდან.

* * *

მძივის მორთულობა შემიყვარდა.
გავწყვეტ მოთმინების ძაფს
და შენამდე მანძილს
მარცვლების რაოდენობით ვითვლი.
შენ რომ სახრჩობელა გგონია,
აწყობილი მძივია,
თავი შემოყავი —
არ
გიმტყუნებს.
თუ მოისურვებ,
ეს მძივი კრიალოსნად იქცევა,
ჩემგან წაღმა დამარცვლული,
შენ უკუღმა ჩამომარცვლე.
ჩვენი ხანში შესვლაც ასე აღვნიშნოთ.
შენი გულისთვის დავიშალე
დამთმობი გავხდი — კუთხოვანი ნაწილები
მოვიმრგვალე
და ქანცი რომ არ გამიწყდეს,
ვსანთლავ ხოლმე.
თუ მოხვალ, თავს დამიკრავ,
კისერზე დაგეკიდები.

საკნების ქალაქში

ქარი სიცოცხლის ნიშან-წყალს
არიგებს,
ნიშნის დასმას ელიან
სულიერ-უსულონი.
წვიმის გისოსების
ყველა კუთხეში
მოთმინების ფიალას ავსებენ.
ხოლო ჭექა-ქუხილმა
მეხი ჩამოატარა,
ელდა ნაცემია.
გამოიდარა.
ვირუსები დგანან
მომაკვდინებელი იარაღით ხელში
და ვითარების გასარკვევად
სიცხეს იწვევენ.
გაქანებული ანთებაა.

* * *

ამ ხასიათზე მყოფი სად ვიქნები?
ყვავებთან ვზივარ საძაგძაგოში.
ნეტავ, თავი გამიკორტნონ,
რომ მკბენარები მოვიშორო.
იმათ ნისკარტები,
მე ცხვირი მივადოთ ერთმანეთს
და მწარეები ამოვიყრანტალოთ.
მაწვნის დედებივით ვიყოთ,
ჩვენი გაჩენილი ბახალები
ხელებივით ვურიოთ სხვებს
და ჩვენს ხასიათზე შევაყენოთ:
არაფერი დავუშავოთ,
მარტო ფერები გავუშავოთ.
საძაგლები ვართ ორივენი,
მიწაზე რომ დავდივართ —
ჩამობრანძულები,
მძორის ჭირისუფლები,
ცაში კიდევ არა გვიშავს.

* * *

სამშობლო კეთილია,
ხახვებსაც აჩენს,
რომლებიც ცრემლების ნაკრებია,
მაგრამ ფარჩებით ნამუსმოწმენდილი.
დაჭრილი ხახვი ეამება
ჩვენი არსობის ლობიოს
მთლად უჟმურად რომ არ დარჩეს.
ფარჩებით შემოსილი ხახვი
კაბის კალთაში ახვევს
აღდგომის კვერცხებს
და იმათ ფერ-ხორცს
აკეთილშობილებს.
თესლადაც ხახვს ფლავენ მიწაში
იქიდან დაბარებულის ამოსაკვნესად:
„მამულო, საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“
აყვავებულ ხახვს
თავი გამწარებული აქვს,
რაც მიწის ზემოთ
ცრემლისმომგვრელია.

* * *

რასაც ვაკეთებ — ცხოვრების ჩათვლით, ესაა:
 მივედინები, ადიდებაც შემიძლია.
იმდენი მელანი მაქვს დასახარჯი,
რომ ცარიელი ფურცლიდან
არ ჩამოვდივარ,
მივიქცევი მარცხნიდან მარჯვნივ.
თუ ვერ შემიცნობს,
ქაღალდის ჩიტებად ვაქცევ ამ ფურცლებს,
ისევ ჩემთან რომ ბრუნდებიან,
რადგან მე და ჩემი შვილებიც
ერთმანეთში ვძვრებით ხოლმე,
თავი რომ გავიტანოთ.
ადამიანები შემოედინებიან ჩემში,
იმდენი სიტყვა აქვთ, რომ
პირდაპირ მაწობენ თავიანთ მელანში
და ამას ურთიერთობები ჰქვია.
მაგრამ მე რაც არ მასვენებს,
ის ადამიანებზე მეტად
ცარიელ ფურცელს წაეკიდება —
აქედან ცას ჩემი ცეცხლის ენით შევწვდები.

* * *

სადაც ნაპრალები გამიჩნდა,
ლექსებიანი ქაღალდებით ამოვიტენე.
შვილები გავშალე მარაოსავით
და ჩამოვიფარე.
დაპირებები მოვიშალე,
ცრუ გაფრენები შევზღუდე.
შვილები ავარიულ შენობასავით მტოვებენ,
ქაღალდებით თვითმფრინავებს აკეთებენ.
ჯანის სიმრთელე ბზარებმა შემირყიეს,
ხელებით რომელი ერთი შევაკავო.
ვერც ვერავის ვიხსენებ,
ვინც უპირობოდ ამეფარება.
მხოლოდ „ღვთის გლახას“ სამოსია
გამოსავალი,
რომელსაც შიგთავსს აღარ უსინჯავენ.
იქიდან წამოსულ მწარე კითხვებსაც
კვამლივით თავს არიდებენ,
თვალებს გვიცრემლებსო.
გამოვეწყობი
და თავსაფრიან დედაკაცში
ვიკარგები.

* * *

ყოველ დილით ცარიელი ყულაბა ვარ,
გარედან ვიხატები, წამწამებს ვიგრეხ.
ერთ-ორ გამონათქვამს
ჩავყლაპავ გასამხნევებლად.
ყველაფერს ვიყრი თავში,
რაც თვალებიდან შემოეტევა —
ასე გამართულად არაფერი მიმუშავებს.
ღამით გული მაქვს გატეხილი
და შიგთავსს ვახარისხებ:
ოქროს თევზები შვილებს — შესაჭმელად,
ჩემს მოწაფეებს — აკვარიუმისთვის,
ვერცხლის ზარები ახლობლებს —
არ დამეკარგონ,
მტრებს — თავი შემახსენონ.
ფულები მებაჟეებს — სული არ მიკურთხონ,
სნეულებებს — სულში არ ჩამაფურთხონ.
მზაკვრულად ჩაყრილი ქვები,
სასროლად განტვირთვისათვის
ან
ყურადღების მისაქცევად.
უბედობას კი ასე ვეთამაშები:
ერთმანეთს თვალებით ვზომავთ,
ვინ ვის დააპატარავებს,
ვინ ვისში ჩავარდება
და მოინელებს.

* * *

სილამაზე რომ ვთარგმნო
გასაგებ ენაზე:
ყვავილია თავისი ფორმით
და ფერით თავბრუდახვეული
„მე შენ მიყვარხარ!“ —
თავისმართლებად
ექცა მას,
ვინც ვერ მოერგო სილამაზეს.
აბა, ლამაზი ვიყო,
მეხსიერება არ მღალატობდეს,
ჩემს უიმედო უღრანს
უცებ ყვავილად გამოვაკეთებდი.

* * *

ღიპიანი საზამთრო
ჩემი სამშობლოა,
ამწვანებული — ტკბილი.
ჯანმრთელობისთვის სასარგებლო
წყლებით, მინერალებით.
დაზოლილი გზებით,
რომლებიც სადღაც ერთდება,
თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ.
გატყაპნილი ლაქები
ჩვენა ვართ,
ვინმე რომ გვათვალიერებს,
ვხვდებით და ფორმას ვიცვლით.
ადრე სამშობლო გრძელი იყო,
მუთაქასავით თავქვეშ ამოდებული,
ხალხიც თუ ფეხზე იდგა,
ზეცისკენ იყო წაგრძელებული.
მერე ხელებს ღონივრად უჭერდნენ,
უტყაპუნებდნენ:
დამწიფდა თუ არაო
და გასკდა, პირი დააღო საზამთრომ.
რა საზარელია გახლეჩილი სამშობლო!
ჭირისუფლებმა უფრო დააპატარავეს
თავიანთი გარშემოვლებით.
ცრემლი კი არა, ნერწყვი სდით.
სამშობლო და მისი ჭირისუფლები
ერთმანეთის შეჭმაზე
უარს არ ამბობენ.

შოთა იათაშვილი

სწავლა
(ეპიზოდი)

„სწავლის ძირი მწარე არის,
კენწეროში გატკბილდების“

დავით გურამიშვილი

[...] მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, მოვედინ სუფევა შენი, მოვედინ პური არსობისა ჩვენი, და მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ დღეს... არა, არა, მეშლება მგონი... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, კი, ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... ზედა?.. კი, მაგრამ ეგ მერეა... თავიდან: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ჰო, რა შტერი ვარ, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, ნება იყავნ შენი, თუ პირიქით: იყავნ ნება შენი... კაია, ორივე კაია... ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, – აბა რა! – აბა თავიდან: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... მმმ... მოვედინ... მმმ... წმიდა იყავნ სახელი შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა... ჯანდაბა... წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა მიწასა ზედა... ეგრეცა მიწასა ზედა... მოიცა, გადავამოწმო: ესე იგი: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, – ეგ კარგად ვიცი, – მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, – სწორია, მახსოვს, – ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა მიწასა ზედა... ააა? ქვეყანა? თითქმის იგივეა, მაგრამ კაი, ეგრე იყოს... ესე იგი, ქვეყანასა ზედა და მერე კიდევ პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, – ასეა, ჰო, ასეა, – უცნაურია, მაგრამ ასეა: მომეც ჩვენ, მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ... არა, თავიდან ჯობია დაწყება: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა, ანუ წმიდა იყავ... რა? არაფერი, დე... რაღაცას ვკითხულობ, დაიძინე, დავწვები სულ მალე... იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა მიწასა... ფუ, ქვეყანასა ზედა... ვა, მერე რაზე იყო ლაპარაკი? სულ ამებნა ტვინი... ჰო, პური... პური ჩვენი არსობისა, ეგ რამ დამავიწყა, მომეც ჩვენ დღეს, და მოგვიტევე ჩვენ ცოდვა ჩვენი... არა, რაღაც სხვაა მგონი... ჰო, მომიტევე ჩვენ თანანადებნი, – რა რთული სიტყვაა, – ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანანადებთა... კაია, აბა თავიდან: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა... მგონი რაღაც გამომრჩა... მშია... ერთი მაცივარში შევიხედო... არაფერი არაა... ა, აგერ, ცოტა ყველია... სადღაც კიდევ პური უნდა იყოს... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ეგრეცა... უჰ... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სახელი შენი, იყავნ სახელი შენი... გემრიელი ყველია... გადავამოწმო?.. ჰო, თითქმის სწორია, ანუ დამამახსოვრდა, რომ ჯერ წმინდაა, მერე ის, რომ მოდის და მერე ის, რომ მისი ნება უნდა იყოს... აბა... მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, და მერე კი ვითარცა ცასა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, – კაია, აღარ შემეშალა, – ქვეყანასა, ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და... დღეს და... თანანადებნი, თანანადებნი... როგორაა ეგ სიტყვა მაგ წინადადებაში?.. მიუტევე ჩვენ... არა, მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ მათ

თანანადებთა ჩვენთა... აუჰ... ჰო, დე, რა იყო, მაცალე რა, რაღაცას ვკითხულობ, ვიცი რომ გვიანია, დავწვები მალე... სწორია მგონი, და ბოლოს, ჩვენ მივუტევებთ თანანადებთა... არა, თანამდებთა... გამიჭირა ამ სიტყვამ საქმე... თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ!.. ამინ... და�ა... აბა მეორე ნახევარი ვცადო: პური ჩვენი... უჰ, სიგარეტი სადღა წავიდა... ყველაფერი როგორ იკარგება ამ სახლში... ა, სპორტულის ჯიბეში ჩამიდია... ესე იგი, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ თანამდებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანა... თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ მე განსაცდელსა, არამედ მიხსენ მე საშინელებისაგან, ამინ... აი, გამოვიდა... რა იყო? ჰო, ვეწევი, რა ვქნა ახლა, კაი რა, დაიძინე... და ნუ შემიყვანებ მე... ააა, მე კი არა, ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ... მიხსენ... იხსენ... სულერთია, საშინელებისაგან, არა, ბოროტისაგან, ამინ... მგონი დამამახსოვრდა... აივანზე გავალ და იქ ვიტყვი... აუ, რა კაია... მზეც ამოდის... რა გინდა დე, მოვწევ რა ერთ ღერს და დავიძინებ... აუ, რა ჰაერია... აბა, დავიწყე, წესით უკვე უნდა გამომივიდეს: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცასა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მიუტევე შენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ... მანდ რა იყო? თანამდებთა ჩვენთა, და ნუ შეგვიყვარებ... შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ საზარლისაგან... ალო?.. კი, მღვიძავს... ახლა წვერს გავიპარსავ და მოვდივარ... არა, რას ჰქვია დავაგვიანებ... ცხრაზე? ჰო, მახსოვს, რომ ცხრაზე... არაფერი, ცოტა უძინარი ვარ... რა მექნა, არ დამეძინა და... შენ არ ინერვიულო, ფორმაში ვიქნები... კაი... დროებით... ჰო... აუ, რა დრო გასულა... ესე იგი, ბოლოს მგონი ასეა: ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ მე... მიხსენ მე... ჰო, ბოროტისაგან... აუ, საპარსი არ მქონია... ამინ!.. [...]

საშლელი

თემო ჯავახიშვილს

*

მირჩევნია, მხატვრის ხელში მოვხვდე, ვიდრე
მწერლის კლანჭებში.
ხაზი მაინც მეტ-ნაკლებად ყველგან ხაზია,
და გაქექილი ჩემი თავით
ზუსტ შტრიხსა ვშლი თუ არაზუსტს –
ბოლომდე კარგად ვერასდროს ვხვდები.
მწერალი კი,
რომ გადადებს გვერდზე ფანქარს,
მე მომიმარჯვებს,
და მიადგება ცოტა ხნის წინ დაწერილ სიტყვებს,
გულისხეთქვა მეწყება ხოლმე.
შეხებით ვგრძნობ ყოველ სიტყვას და მაკანკალებს.
ხდება ისეც, მიხარია,
ამა თუ იმ სიტყვასა თუ წინადადებას

რომ ვანადგურებ,
მაგრამ უფრო ხშირად ვწუხვარ,
დეპრესია მეწყება და
დამნაშავის კომპლექსი მიპყრობს...

*

„...ღმერთო ჩემო, მომიტევე, შემიწყალე
და შემინდევ მე ცოდვილსა და ნახმარსა,
და უღირსსა მონასა შენსა შეცოდებანი...“ –
დღეს, მაგალითად,
შვიდჯერ წავშალე შენი მაღალი სახელი და
ჩემს რეზინის ქერცლს,
როგორც ჭუჭყი,
გადავაყოლე...

*

მონანიების მერე ფანქარმა,
გვიან ღამით, პატრონის უჯრაში
ერთმანეთს რომ მივუწექით,
დამამშვიდა:
შვიდიდან ექვსჯერ
უფლის სახელი უარყოფით კონტექსტში ჰქონდა ნახსენები და
ცუდი საქმე არ გიქნიაო...
გულზე მომეშვა...
მაგრამ როდემდე გავუძლებ ნეტა
ასეთ ცხოვრებას?

*

მეშველა მგონი!
მეგობარ მხატვართან გამაჩუქა ჩემმა პატრონმა.
რა ჯობია ტკბილ სიბერეს!
წავშლი ახლა გულგრილად შტრიხებს,
აღარ ვიდარდებ!..

*

დღეს ჩემმა ახალმა მეგობარმა ფანქარმა მითხრა
ვინაა ჩემი ახალი პატრონი,
და თავზარი დამეცა ისევ!
არ მერჩივნა,
უცნობი მწერლის არაფრისმთქმელი სიტყვების შლაში
მოვმკვდარიყავი?
რა ვქნა ახლა,
ამ გენიოსი მხატვრის ხელში
როგორ მოვიქცე?
გენიალური ეს შტრიხები,
მე, საძაგელმა,
რანაირად გავანადგურო?

*

ერთადერთი იმედით ვცოცხლობ:
თუ ის მართლა გენიოსია,
არასწორად არაფერს წაშლის!

*

წაშალა მაინც!..
გაგიჟდა და წაშალა მაინც!..

*

„...მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა,
და ნუ მომიძაგებ მე საქმეთაებრ ჩემთა,
და ნუ დამსჯი მე მოქმედებათაებრ ჩემთა,
არამედ მომაქციე, შემეწიე და იხსენ სული ჩემი
შემთხვევათაგან მათ ბოროტთა და ძვირთა ცთომათაგან...“

*

კედელზე მიყუდებულ ორ ნახატს შორის,
მტვერში ვგდივარ სამი წელია,
ვერც ვერავინ მპოულობს და
არცა ვკვდები,
და ვლოცულობ განუწყვეტლივ,
განუწყვეტლივ ვინანიებ წარსულის ცოდვებს...

*

აქ რა მინდა?
სამოთხეა თუ მეჩვენება?
დანტე, შაგალი, პიკასო და გალაკტიონი
წაიჩხუბნენ ჩემი გულისთვის,
მეგობრულად, სიყვარულით, ჰაეროვნად და ლამაზად,
მაგრამ მაინც წაიჩხუბნენ,
მე კი დავფრინავ,
დავლივლივებ,
ხან ერთის ხელში აღმოვჩნდები,
ხან მეორის,
და ვანათებ,
როგორც სანთელი...

ფინალი

აივანზე გავედი და მოვუკიდე,
ღამის ქუჩის მობეზრებულ სურათს გავყურებ.
არაფერ ახალს აღარ აღძრავს ის უკვე ჩემში.
არაერთხელ დამიწერია ამ ქუჩაში მობორიალე არსებებზე,
შენობებზე, ხეებზე და ელნათურებზე.
ავტობუსს ლექსი მივუძღვენი
(მართალია ბუნიობის იმ ავტობუსს ცისფერი ზოლები ჰქონდა მაშინ,

ახლა კი ყვითელი ავტობუსები დახრიგინებენ,
მაგრამ მერე რა? ვითომ ეს რას ცვლის?),
ერთ დაღლილ-დაქანცულ ავტომობილს კი
მივუძღვენი საერთოდაც ელეგია,
NIN 101 მახსოვს, იყო სახელი იმ ავტომობილის...
ქარმა დაჰქროლა...
ერთ ლექსში ქარზე ხომ შური ვიძიე –
მეტეოროლოგიას მივაკუთვნე და გავმიჯნე პოეზიისგან.
თავი ავწიე... ცა...
ეჰ... ცაში... ცაში, იქ, ცაში, მაღლას მაღლა...
ჩიტუხვში და თვითმფრინავუხვში...
კიდევ, აი, ის: ფანქარი ცაში...
გაიცვითა ცის თემა ჩემში.
ბადრი მთვარე მაიკლ ჯორდანის მიერ ნატყორცნ
სამქულიანს მივამსგავსე ერთ ჰაიკუში...
ვარსკვლავები კიდევ ნამწვავებს.
ნიცშე აჰყურებს ცას და ფიქრობს,
ღმერთი ძალიან ბევრს ეწევა
და ალბათ მალე მოკვდებაო...
ამ ფიქრებში სიგარეტიც ჩამეფერფლა.
მოვისროლე და გამახსენდა ადრინდელი ერთი ლექსი,
სიგარეტზე დაწერილი. „სიგარეტი“ – ასევე ერქვა.
იმ აივნიდან, ახლა რომ ვდგავარ,
წვრილ და ყავისფერ ჩინურ სიგარეტს ვეწეოდი –
90-იან სასტიკ წლებში, ლექს „ღამეში“ –
და დავცქეროდი ტროლეიბუსებს, გადატყაულზურგიანებს,
და ფრიალებდა ქალაქის თავზე სევდის ალამი...
მერე ჩვენს კორპუსს მიშენება რომ გაუკეთდა
და მეორე აივანი, უფრო ფართო,
გაჩნდა უკვე ეზოს მხრიდანაც,
ის აივანი ჩემი ცხოვრების ტრაგიკულ სცენად წარმოვიდგინე...
არა, არა, აივანზე დგომითა და ქუჩაში ცქერით
ვერაფერ ახალს ვერ დავწერ და
ჯობს, რომ ისევ სახლში შევბრუნდე.
მაგრამ სახლში რაღაზე ვწერო?
ოთხივე შვილისთვის პერსონალურად მიძღვნილი მაქვს უკვე ლექსი
(ხატიას ორიც კი დავუწერე),
ხოლო ცოლი რამდენჯერ იყო ჩემს ლექსებში,
ზუსტად ვერც დავთვლი.
დედაჩემი?.. „დედა ნისლში“ – ძალიან მიყვარს,
მუხათწყაროდან რომ გაიპარა,
და რომ ვეძებდი...
ეჰ, მაინც შევალ,
იქნებ რამე საინტერესო ნივთს მოვკრა თვალი
და ამ ნივთმა გააღვივოს
პოეტური ნაპერწკალი, ჩამქრალი ჩემში.
კარი გავაღე და შევედი.
აი,

აი სახლი,
აი სახლი ჩემი,
პატარა – დედამიწასავით...
სათამაშოები პიანინოს თავზე ჩურჩულებენ...
კედლებზე მეგობრების ნახატებით...
კედლები...
„ადამიანებს სჭირდებათ კედლები“... – რა ძველი ლექსია,
დიდი ხანია არც გამხსენებია...
დედაჩემი კარადასთან მიმჯდარა და ტანსაცმელს კეცავს...
ბავშვების კაბები, შორტები თუ მაისურები...
ეჰ, იმოდენა „ტანსაცმლის ოდა“ მაქვს დაწერილი,
შარვლებსა და რეიტუზებში ქექვას აზრი აღარ ექნება,
მუზას იქ უკვე ველარ ვიპოვი...
და საერთოდ, ღმერთო ჩემო, რა გზას დავადგე?..
შტეფსელი რომ შტეფსელია,
იმაზეც კი დამიწერია...
ვივახშმოთო, მეძახიან.
„შორი პური“... პურს მიჭრის ცოლი,
ჩაის მისხამს ფაიფურის ჭიქაში და მახსენდება
ფაიფურის თვისებები, აღწერილი ერთგან ჩემს მიერ.
ხვალისათვის ფული არ გვაქვსო. არ გვაქვს, მაგრამ
რომ არა გვაქვს, ის ფული ხომ სილამაზით
ერთხელ ფეხმძიმე ცოლს შევადარე...
მგონი აჯობებს სუყველაფერს გავერიდო,
საკუთარ თავს ჩავუღრმავდე და მასზე ვწერო.
დავაპირე ასეც მოქცევა, მაგრამ უცებ გამახსენდა
მთლად ლექსი „შოთა იათაშვილი“ რომ მაქვს შეთხზული...
სარკე?..
სარკეზე ნეტა რამე დამიწერია?..
ვერ ვიხსენებ.
იმედი მომეცა. სარკისაკენ გავემართე...
აჰ, როგორ არა!.. დამიწერია.
სამართებელი მიჭირავს ხელში და აღარ მახსოვს,
წინა ჯერზე რა ვქენი, თავი მოვიკალი თუ
მხოლოდ წვერი გავიპარსე...
გული ჩამწყდა.
შუა ოთახში გავქვავდი და
გამწარებული ვფიქრობ,
ასე რანაირად მოვახერხე,
რომ საკუთარ პოეზიას
გასაქანი არ დავუტოვე...
ვდგავარ და ვფიქრობ...
ვდგავარ და ვფიქრობ...
სტრიქონებად გადაქცეულმა სახლის ნივთებმა,
ოჯახის წევრებმა,
ავტობუსებმა, მანქანებმა ქუჩებში თუ
ცამ, მთვარემ და ვარსკვლავებმა
ერთდროულად გუდა-ნაბადი აიკრეს და სუყველანი

ერთ წიგნში შეცვივდნენ თავპირისმტვრევით
და ადგილები დაიკავეს...
აი, თვით „შოთა იათაშვილიც“ კი წიგნში შევიდა...
ფიქრიც წყდება...
ვაკუუმი ალბათ ეს არის...
ან სიკვდილი...
თუმცა სიკვდილზე ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი
და შტეფსელებთან, მანქანებთან, ვარსკვლავებთან
და ჩემს ცოლ-შვილთან ერთად ალბათ
ისიც, აი, იმ წიგნშია...
მაგრამ, მგონი... მგონი არა...
ვიღაც მიღიმის ეშმაკურად... და მეუბნება:
ის სიკვდილი არასწორი,
არასწორად აღწერილი სიკვდილი იყო
და ამიტომაც შევიდა წიგნში,
ნამდვილ სიკვდილს კი, მოიცადე,
ახლავე ნახავ...

ვირჯინია ვულფი

ტალღები

(ნაწყვეტი)

მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო. ზღვა განუყოფელი იყო ცისაგან, თუმცა ადგილ-ადგილ უხეშად დაჭმუჭნული წყალი ტილოს ნაკეცებს მოგაგონებდათ. როგორც კი ცარგვალი თანდათანობით გათეთრებას იწყებდა, შავი ზოლი ეცემოდა ჰორიზონტზე და ზღვას ცისგან ჰყოფდა. ნაცრისფერი ქსოვილი კი იზოლებოდა ზვირთებით, რომლებიც წყლის ზედაპირის ქვეშ ერთმანეთს უსასრულოდ მოჰყვებოდნენ და დევნიდნენ.

ზოლები როგორც კი მოუახლოვდებოდნენ ნაპირს, კიდევ უფრო ზვირთდებოდნენ, ეხეთქებოდნენ და თეთრ პირბადედ ეფარებოდნენ ქვიშას. ტალღები ჩერდებოდნენ და მერე ისევ ეჭიდებოდნენ ნაპირს. მძინარე ადამიანის გაუაზრებელ სუნთქვას ჰგავდა მათი შრიალი. თანდათანობით იწმინდებოდა ჰორიზონტზე გადაჭიმული შავი ზოლი, გეგონებოდათ ნალექი ფსკერზე დაგროვილიყო და გამწვანებული ჭიქის ძირი შეგრჩენოდათ ხელში. მის მიღმა ცაც სუფთავდებოდა, თითქოს იქ დაგროვდა ნალექი, ჰორიზონტს უკან ჩამალული ქალბატონი კი ლამპარს მაღლა ეწეოდა. თეთრი, მწვანე და ყვითელი ბრტყელი ზოლები მარაოსავით იშლებოდა ცაზე. შემდეგ ქალბატონმა უფრო მაღლა ასწია ლამპარი და ჰაერი თითქოს უფრო ფიბროზული გახდა. თითქოს წყლის მწვანე ზედაპირიდან მოწყვიტეს წითელი და ყვითელი ბოჭკოები, კვამლიანი კოცონიდან გადმოვარდნილ ნაკვერჩხლებს რომ ჰგავდნენ.

თანდათანობით ნაკვერჩხალი ინთებოდა და გავარვარებული შალის ნაცრისფერი ცის სიმძიმეს მაღლა ეწეოდა. შემდეგ კი მილიონობით ღია ცისფერი ატომით ფერადდებოდა. წყლის ზედაპირი ნელ-ნელა გამჭვირვალე ხდებოდა. მანამ ღელავდა და ბრწყინავდა, სანამ მუქი ზოლები არ გამოჩნდნენ და არ წაშალეს ბრწყინვალება. მერე ქალბატონის ხელმა ლამპარი უფრო მაღლა ასწია, ცოტა ხანში კიდევ უფრო მაღლა და უშველებელი ცეცხლის გროვა გამოჩნდა. ცეცხლოვანი თაღი ჰორიზონტზე იწვოდა და მის გარშემო ზღვა ოქროსფრად ბრწყინავდა.

ბაღში სინათლე დაეცა ხეებს. მზის ნათელი ფოთლებს, ერთიმეორის მიყოლებით, გამჭვირვალეს ხდიდა. ჩიტმა ხმამაღლა დაიჭიკჭიკა. მერე პაუზა იყო. შემდეგ შედარებით ხმადაბალი ჭიკჭიკი გაისმა. მზემ სახლების კედლები გამოკვეთა. სინათლე მარაოსავით დარჩა თეთრ ჟალუზებზე და ფოთლის ქვემოთ ცისფერ ანაბეჭდად გარდაიქმნა საძინებლის ფანჯარასთან. ჟალუზები ქანაობდა, მაგრამ შიგნით ყველაფერი უაზრო და არარეალური იყო. გარეთ ჩიტები გალობდნენ, მაგრამ მათი სიმღერაც ცარიელი იყო.

„მე ვხედავ რკალს" თქვა ბერნარმა, „ჩემს თავზე ჰკიდია. სინათლის ყულფს გამობმული თრთის."

„მე გაფითრებულ, ყვითელ ქვის ფილას ვხედავ" თქვა სუზანმა, „რომელიც მანამ იშლება, სანამ იასამნისფერ ხაზს შეხვდება."

„მე მესმის ხმა" თქვა როდამ, „ჩიპ, ჩირპ, ჩიიპ, ჩრიიპ; ხან მაღლა, ხან დაბლა."

„მე სფეროს ვხედავ" თქვა ნევილმა, „რომელიც რომელიღაც გორაკის უშველებელი ფერდობის პირისპირ ჩამოკიდებულ წვეთშია."

„მე ვხედავ მუქ წითელ ფოჩს" თქვა ჯინიმ, „შიგნით ჩაწნული ოქროს ძაფებით."

„რაღაც ნაბიჯების ხმა მესმის" თქვა ლუისმა, „უშველებელი მხეცის ფეხები შებორკილია. ის მოაბიჯებს, მოაბიჯებს და მოაბიჯებს."

„შეხედეთ ობობის ქსელს აივნის კუთხეში" თქვა ბერნარმა, „ზედ წყლის მარცვლები რომ ჰკიდია, სინათლის თეთრი წვეთები."

„ფანჯრის ქვეშ ფოთლები, წვეტიან ყურებს რომ მაგონებს, ერთ ადგილას შეგროვებულა“ თქვა სუზანმა.

„ჩრდილი ეცემა ბილიკზე“ თქვა ლუისმა, „როგორც მოხრილი იდაყვი.“

„სინათლის კუნძულები დაცურავენ ბალახზე,“ თქვა როდამ. „ისინი ხეებს შორის ჩამოცვივდნენ.“

„ჩიტების თვალები ბრწყინავს ფოთოლთა გვირაბებში,“ თქვა ნევილმა.

„ღეროები უხეში, მოკლე ბალნითაა დაფარული,“ თქვა ჯინიმ, „და შეეჯახნენ მათ წვიმის წვეთები.“

„მუხლუხო მწვანე რკალად დახვეულა,“ თქვა სუზანმა, „დაკბილულა ბლაგვი ფეხებით.“

„ნაცრისფერნიჟარიანი ლოკოკინა ბილიკზე გადადის და აბრტყელებს უკან მოტოვებულ ბალახს,“ თქვა როდამ.

„და მწველი შუქი ფანჯრების შუშებიდან ციმციმებს ბალახზე,“ თქვა ლუისმა.

„ჩემს ფეხქვეშ ცივია ქვები,“ თქვა ნევილმა, „თითოეულს ცალ-ცალკე ვგრძნობ, ზოგი წვეტიანია, ზოგიც მრგვალი.“

„ხელისგულების უკანა მხარეები მეწვის,“ თქვა ჯინიმ, „ხელისგულები კი ცვრისაგან დანესტიანებული და წებოვანია.“

„ახლა მამალი ყივის, მთელი ძალით, წითელი წყალი თეთრ დინებაში,“ თქვა ბერნარმა.

„ჩიტები გალობენ მაღლა და დაბლა, შიგნით და გარეთ, ყველგან, ჩვენს გარშემო.“ თქვა სუზანმა.

„მხეცი დააბიჯებს; სპილო თავის შებორკილი ფეხებით; პირუტყვი დააბიჯებს სანაპიროზე“ თქვა ლუისმა.

„შეხედეთ სახლს,“ თქვა ჯინიმ, „მისი ფანჯრები ჟალუზებს რომ გაუთეთრებია.“

„ცივი წყალი ონკანიდან იწყებს დინებას,“ თქვა როდამ, „თასში ჩაგდებულ სკუმბრიას ესხმება.“

„კედლები ოქროსფრად დაბზარულა“ თქვა ბერნარმა „თითებივით არეკლილი ფოთოლთა ჩრდილები ფანჯრებს მიღმა.“

„ქალბატონი კონსტეიბელი მაღლა ექაჩება თავის შავ სქელ წინდებს.“ თქვა სუზანმა.

„როცა კვამლი ადის, ძილი სახურავებს ნისლივით ეხვევა“ თქვა ლუისმა.

„პირველად ჩიტებმა იგალობეს გუნდად,“ თქვა როდამ, „მაშინაც ღია იყო ჭურჭლის სამრეცხაო. მერე კი მიწას მოსწყდნენ. ნატყორცნი თესლივით მოსწყდნენ მიწას. მაგრამ ერთი ეულად გალობს საძინებლის ფანჯარასთან.“

„ქვაბის ძირზე ბუშტები ჩნდება,“ თქვა ჯინიმ „შემდეგ ზევით მოიწევენ, უფრო და უფრო ზევით, და ბოლოს ზედაპირზე ვერცხლის ჯაჭვად იკვრებიან.“

„ბილი ხის დაფაზე დაკბილული დანით თევზის ქერცლს აქუცმაცებს,“ თქვა ნევილმა.

„სასადილო ოთახი მუქი ლურჯია,“ თქვა ბერნარმა „და ჰაერი ჩუხჩუხებს საბუხრეებზე.“

„მერცხალი ელექტროსადენებზე ზის,“ თქვა სუზანმა „ბიდიმ კი ვედრო დაახეთქა სამზარეულოს ფილაქანზე.“

„ეს ეკლესიის ზარის პირველი რეკვაა,“ თქვა ლუისმა „შემდეგ სხვებიც მოჰყვება: ერთი, ორი; ერთი, ორი; ერთი, ორი.“

„შეხედეთ მაგიდის თეთრ გადასაფარებელს, როგორ დაფრინავს მაგიდის გასწვრივ,“ თქვა როდამ. „ჩინური თეთრი და ვერცხლისფერი ზოლებისგან რგოლები შეკრულა თეფშების ახლოს.“

„უცბად ფუტკარი აზუზუნდება ჩემს ყურთან,“ თქვა ნევილმა. „ის აქ არის. ის წარსულია.“

„მე ვიწვი, მე ვკანკალებ,“ თქვა ჯენიმ „მზიგან შორს, ამ ჩრდილქვეშ.“

„ყველა წავიდა,“ თქვა ლუისმა. „მარტო ვარ. სასაუზმოდ წავიდნენ სახლში. მე კი კე-

დელთან, ყვავილებს შორის მდგარი დავრჩი. ახლა ძალიან ადრეა, გაკვეთილებიც კი არ დაწყებულა. ყვავილები ერთიმეორის მიყოლებით ლაქებად დარჩენილან მწვანე სიღრმეებში. ფოთლები ჯამბაზები არიან. ღეროები იზრდებიან შავი ღრმულებიდან. ყვავილები სინათლისგან გამოძერწილი თევზებივით დაცურავენ მუქ, მწვანე წყლებზე. ღერო მიჭირავს ხელში. და მე თვითონ ვარ ღერო. ჩემი ფესვები ქვეყნიერების სიღრმეებს სწვდება, აგურებისგან დამშრალ მიწაში, რომელსაც სინესტე შერჩენია, რომლის ვენებშიც ტყვია და ვერცხლი ჩქეფს. მე ვარ ძარღვი. ყველა თრთოლვა მარყევს და დედამიწის სიმძიმე აწვება ჩემს ნეკნებს. აქ, ზევით, ჩემი თვალების მაგივრობას ფოთლები ეწევა. ისინი არ ხედავენ. მე ვარ ფლანელში გამოწყობილი ბიჭი, რომელსაც ქამრად თითბრის გველი შემოუკრავს. იქ, დაბლა, ჩემს თვალებს არ აქვს ქუთუთოები. ისინი უდაბნოს ქვები არიან, ნილოსის გვერდით. ვხედავ ქალებს, წითელი დოქებით მდინარისკენ რომ მიიწევენ. აქლემებსაც ვხედავ, რომ ირყევიან და კაცებს, ჩალმებში ჩამალულებს. მესმის ბაკუნი, თრთოლა და მოძრაობა ჩემს გარშემო.“

„აქეთ, მაღლა! ბერნარ, ნევილ, ჯინი და სუზან (მაგრამ არა როდა), ისროლეთ ფოთლის საწოლები ბადეებითურთ. ისინი ისვრიან პეპლებს თავჩაქინდრული ყვავილების გვირგვინებიდან. ისინი ხეხავენ ქვეყნიერების ზედაპირს. მათი ქსელები სავსეა მოტყლაშუნე ფრთებით. „ლუის! ლუის! ლუის!“ – იძახიან. მაგრამ მათ არ შეუძლიათ ჩემი დანახვა. მე ზღუდის მეორე მხარეს ვარ. ფოთლებს შორის მხოლოდ თვალის პატარა ფუღუროებია. ო, უფალო, ნება მიეცი ჩაიარონ. უფალო, ნება მიეცი დასხან პეპლები ცხვირსახოცებსა და ხრეშზე. ნება მიეცი დაითვალონ კუს ჯავშნები, მათი წითელი ადმირალები და კომბოსტოს სითეთრეები. მაგრამ ნება მომეცი ვიყო უხილავი. მე მწვანე ვარ, როგორც ურთხმელი გალავნის ჩრდილში. ჩემი თმა ფოთლებისგანაა ნაკეთი. დედამიწის შუაგულში ვარ ფესვგადგმული. ჩემი სხეული ყუნწია. მე ვავიწროებ ღეროს. პირთან, ნახვრეტიდან ნელა მოგორავს მსუქანი წვეთი და კიდევ უფრო სუქდება. რაღაც ვარდისფერი ჩაიქროლებს ჭუჭრუტანასთან. თვალის ბრწყინვა ნაპრალში გამოძვრა და მე მხვდება. მე ბიჭი ვარ, ნაცრისფერ ფლანელში. მიპოვა. კისერში ჩამარტყეს. მაკოცა. ყველაფერი დამტვრეულია.“

„გავრბოდი,“ თქვა ჯინიმ, „საუზმის შემდეგ. მესრის ჭუჭრუტანიდან დავინახე, როგორ ირხეოდნენ ფოთლები. ვიფიქრე, ჩიტი იყო თავის ბუდში. ისევ შევხედე და გავარჩიე გამოსახულება – არანაირი ჩიტი, არანაირი ბუდე. ფოთლები რხევას განაგრძობდნენ. შეშინებული ვიყავი. უკან გავიქეცი სუზანთან, როდასთან, ნევილთან და ბერნართან, სათამაშო სახლში რომ მუსაიფობდნენ. ვტიროდი და უფრო და უფრო ჩქარა გავრბოდი. რა არხევდა ფოთლებს? რა ამოძრავებს ჩემს გულს, ჩემს ფეხებს? ლუის, გხედავ ბუჩქივით მწვანეს, რტოსავით მშვიდს და ფეხი მიცურს. გამოგკეთებია თვალები“. „მოკვდა? – გავიფიქრე და გაკოცე. ჩემი გული კი ვარდისფერ სამოსში ფოთლებივით ხტოდა, რომლებიც განაგრძობდნენ მოძრაობას, თუმცა არაფერია, რაც მათ შეიძლება ამოძრავებდეს. ახლა ვყნოსავ ნემსიწვერებს; ახლა ვყნოსავ მიწას. ვცეკვავ. ვჩუხჩუხებ. სინათლის ბადესავით ვარ გადაჭიმული შენზე და თავხედურად, თრთოლვით ვიტყუები.”

„გალავნის ნაპრალში,“ თქვა სუზანმა, „მე დავინახე როგორ კოცნიდა მას. თავი ავწიე ჩემი ქოთნიდან და გალავნის ნაპრალში შევიჭყიტე. დავინახე, როგორ კოცნიდა. მე დავინახე ჯენი და ლუისი ერთმანეთს როგორ კოცნიდნენ. ახლა ცხვირსახოცში შევახვევ ჩემს აგონიას. ბურთში იქნება მჭიდროდ ჩახრახნილი. გაკვეთილებამდე მარტოდმარტო წავალ წიფლის ტყეებში. მე არ დავჯდები მაგიდასთან და არ გამოვიყვან მაგალითებს. არ მივუჯდები ჯინის და არ მივუჯდები ლუისს. ჩემს უსაზღვრო ტკივილს თან წავიღებ და წიფლების ქვეშ ფესვებზე დავდებ. მოვსინჯავ მას და თითებს შორის მოვიქცევ. ისინი ვერ მიპოვიან. შევჭამ თხილს და მაყვალში მოვძებნი კვერცხებს და გამეწეწება თმა და დავიძინებ მესერთან და თხრილიდან დავლევ წყალს და მოვკვდები ასე.“

„სუზანმა ჩაგვიარა,“ თქვა ბერნარმა. „ბურთში ჩახრახნილი ცხვირსახოცით ხელში ჩაუარა სათამაშო სახლს. არ ტიროდა, მაგრამ მისი ლამაზი, სატირლად მომზადებული თვა-

ლები დაწვრილებულიყო და კატისას დამსგავსებოდა. მე მას გავყვები, ნევილ. ფრთხილად გავყვები უკან, მთელი ცნობისმოყვარეობით და შევეცდები მის დამშვიდებას. მაშინ დავენახვები, როცა ცრემლებს გადმოაფრქვევს და იფიქრებს, რომ მარტოა."

„მინდორზე მიდის რხევა-რხევით, უნიჭოდ თვალთმაქცობს, ცდილობს მოგვატყუოს. შემდეგ ტბორთან მიდის, ვერავინ ხედავს; მუჭებმოკუმული მის გარშემო იწყებს სირბილს. მისი ფრჩხილები ჯიბეებში, ცხვირსახოცის ბურთში ხვდება ერთმანეთს. სინათლიდან წიფლის ტყისკენ მიიწევს. მისვლისთანავე ხელებს შლის და მოცურავესავით გადაეშვება ჩრდილში. შუქისგან დაბრმავებული ხეთა ქვეშ, სადაც შუქი გაჭირვებით ეცემა, ფესვებზე ენარცხება. ტოტები ირხევიან. იქ მღელვარება და წუხილია. იქ წყვდიადია. შუქი დაჩხვლეტილია. იქ დიდი ტკივილია. ანგელოზებად მოქუჩებული მკვდარი ფოთლები ჩონჩხებს ძერწავენ ფესვებთან ერთად. სუზანმა თავისი მწუხარება გადმოანთხია. მისი ცხვირსახოცი წიფლის ფესვებზე დევს. თვითონ კი ჩაკეცილა, სადაც დაეცა და ქვითინებს."

„დავინახე, როგორ კოცნიდა მას," თქვა სუზანმა. „ის დავინახე, ფოთლებიდან რომ ვიყურებოდი. სინათლეში ბრილიანტის მტვერივით ცეკვავდა. და მე მოკრუნჩხული ვარ, ბერნარ, მე ძალიან პატარა ვარ. ჩემი თვალები ახლოდან უმზერენ მიწას და ბალახში მწერებს არჩევენ. როდესაც დავინახე ჯინი და ლუისი როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს, ყვითელი სითბო ჩემს გვერდით გაქვავდა. შევჭამ ბალახს და იქ, არხში, ყავისფერ წყალში, სადაც ფოთლები დალპნენ, მე მოვკვდები."

„დაგინახე, როგორ წახვედი," თქვა ბერნარმა. „სათამაშო სახლს რომ ჩაუარე, შენი ყვირილის ხმა შემომესმა – „უბედური ვარ!" დანა, რომლითაც ნევილთან ერთად ნავებს ვთლიდი, დავდე. ჩემი თმა კი ბინძურია, რადგან როცა ქალბატონმა კონსტეიბელმა მირჩია დამევარცხნა, ობობის ქსელში ბუზი იყო გახვეული. „გავათავისუფლო? თუ გავწირო საჭმელად?" – ვიკითხე. ასე რომ ყოველთვის ვაგვიანებ. ხის ნაფოტები მეჩხირება დაუვარცხნელ თმებში. შენი ხმის გაგონებაზე უკან გამოგყევი. მერე დაგინახე, როგორ დადე ცხვირსახოცი, როგორ ამოხრახნე და გააფთრებით, სიძულვილით, როგორ გაკვანძე. მაგრამ მალე ეს ყველაფერი შეწყდება. ჩვენი სხეულები ახლა ახლოს არიან. შენ ჩემი სუნთქვა გესმის. ხოჭოსაც ხედავ, ფოთოლს რომ ეზიდება ზურგით. ის აქეთ-იქით დარბის, ამ ხოჭოს ყურებაში შენი სურვილიც კი, ფლობდე ერთადერთს, (რომელიც ახლა ლუისია) უნდა მერყეობდეს, როგორც მზის ათინათი წიფლის ფოთლებს შორის. შემდეგ შენი გონების სიღრმეში, გაურკვევლად მოძრავი სიტყვები გაარღვევენ შენს ცხვირსახოცში ჩახრახნილ სირთულის კვანძს."

„მე მიყვარს," თქვა სუზანმა, „და მძულს. მხოლოდ ერთს ვნატრობ. მხედველობაც მიჭირს. ჯინის თვალები ნათელში იჭრება. როდას თვალები იმ ფერმკრთალ ყვავილებს ჰგავს, საღამოობით ფარვანები რომ სტუმრობენ. შენი თვალები კი ფართოვდება, ივსება და არასდროს დაიმსხვრევა. უკვე დავიწყე ძებნა. მწერებს ვხედავ ბალახებში. დედაჩემი კი წინსაფარშემოხვეული ისევ მიქსოვს თეთრ წინდებს და მე ვარ ბავშვი. მე მიყვარს და ამავდროულად მძულს."

„მაგრამ როდესაც ერთმანეთთან ახლოს ვსხედვართ," თქვა ბერნარმა, „ჩვენ ერთმანეთში ფრაზებით ვდნებით. ბურუსით ვართ გარშემორტყმულნი. ჩვენ არარსებულ თეორიებს ვქმნით."

„ხოჭოს ვხედავ," თქვა სუზანმა. „შავია, ვხედავ. მწვანეა, ისევ ვხედავ. მხოლოდ სიტყვებით ვარ დაბმული. შენ კი დახეტიალობ, ჩამივლი, უფრო ამაღლდები, სიტყვებით, სიტყვებით ფრაზებში."

„ახლა," თქვა ბერნარმა, „მოდით, გამოვიძიოთ. ჩვენგან შორს, ხეებს შორის, თეთრი სახლია. მიწაზე ფეხის თითების შეხებით მოცურავეებივით ჩავიძირებით. ფოთლების მწვანე ჰაერში ჩავიძირებით, სუზან. სირბილთან ერთად ჩავიძირებით. ტალღები გადაგვფარავენ და წიფლის ფოთლები ჩვენს თავზე შეხვდებიან ერთურთს. უცვლელი საათის მოვარაყებუ-

ლი ხელები ანათებენ. სიბრტყეები და სიმაღლეები მაღალი სახლის სახურავისა. უცვლელი ბიჭი ეზოში რეზინის ბოტებით დაბაკუნობს. ეს ელვედონია.“

„კენწეროებს ჩავუქროლეთ და მიწაზე დავენარცხეთ. ჰაერი აღარ გვაფარებს თავის გრძელ, მოწყენილ, მეწამულ ტალღებს. ვეხებით და ვთელავთ მიწას. ეს ქალბატონების ბაღის დაბალი ღობეა. აქ სეირნობენ ხოლმე შუადღისით და მაკრატლებით ხელში ვარდებს კრეჭენ. ახლა კედლით შემოსაზღვრულ, სფეროსებრ ტყეში ვიმყოფებით. ეს არის ელვედონი. გზაჯვარედინზე საგზაო ნიშანი შევნიშნე – ხელი, რომელიც ელვედონისკენ მიგვითითებდა. სადაც არავინ ყოფილა. იქ გვიმრების მკვეთრი სუნი დგას, მათ შორის კი პაწაწინა სოკოები იზრდება. ადამიანის უნახავ ჭკებს ვაღვიძებთ და დამპალი ვაშლის სიძველისგან გაწითლებულ წვენზე ფეხი გვიცურს. სფეროსებრი გალავანი არტყია ამ ტყეს. აქ არავინ მოდის. მისმინეთ! ეს არის ბალახებში ჩამალული უშველებელი გომბეშოს კრახი. ეს არის ნაძვიდან ჩამოვარდნილი, პირველყოფილი გირჩის კაკუნი, გვიმრებს შორის დასალპობად რომ განწირულა.“

„ამ აგურზე დადექი. გადაიხედე კედელს იქით. ეს ელვედონია. ქალბატონი ორ გრძელ ფანჯარას შუა მოკალათებულა და წერს. მებაღეები უშველებელი ცოცხებით გვიან გაზონს. ჩვენ პირველები მოვედით აქ. ჩვენ უცნობი მიწის მკვლევარები ვართ. არ გაინძრეთ! მებაღეები თუ დაგვინახავენ უსათუოდ გვესვრიან. თავლის კარებზე ყარყუმის ბეწვივით გაგვაკრავენ. შეხედე! არ გაინძრე! მაგრად მოეჭიდეთ კედლის თავზე დარგულ გვიმრებს.“

„ვხედავ ქალბატონს, როგორ წერს. ვხედავ მებაღეებს, როგორ გვიან,“ თქვა სუზანმა. „აქ თუ მოვკვდებით, არავინ მიგვაბარებს მიწას.“

„გაიქეცით!“ თქვა ბერნარმა, „გაიქეცით! შავწვერიანმა მებაღემ შეგვნიშნა! გვესვრის! გვესვრის და ხიდან ჩამოგდებული ჩხიკვივით მიგვაკრავს კედელზე. მტრის ქვეყანაში ვართ. წიფლის ტყეს უნდა შევაფაროთ თავი. ხეებს ქვეშ უნდა დავიმალოთ. როგორც კი მოვედით, მაშინვე ტოტად გადავიქეცი. იქ საიდუმლო გასასვლელია. დაიხარეთ, რამდენადაც შეგიძლიათ. უკანმიუხედავად გამომყევით. იფიქრებენ, რომ მელიები ვართ. გავიქეცით!”

„ახლა უსაფრთხოდ ვართ. ისევ შეგვიძლია წელში გავიმართოთ. შეგვიძლია ძველებურად ფართოდ გავშალოთ ხელები ამ თვალუწვდენელ ტყეში. ეს კოდალაა, წიფლის გარეკანს რომ უკაკუნებს და ამტვრევს. კოდალა ჰაერს უკაკუნებს, ხის ფრთებით.“

„გზას მივიკვლევთ,“ თქვა სუზანმა, „ვქმნით ფრაზებს. ჰაერის ბუშტზე გამობმული ძაფივით ზევით იზიდები, უფრო და უფრო ზევით მიიწევ. მიიწევ ფოთლების ფენებს შორის და სცდები საზღვარს. ახლა კი უკან რჩები. ჩემს პერანგს მოჭიდებული, უკან იყურები და ქმნი ფრაზებს. შენ მე გამექეცი. აი, ბაღი. აი, მესერიც. აქ არის როდაც, წინ და უკან მოლივლივე ფოთლებზე, თავის აუზში.“

ინგლისურიდან თარგმნა ***დავით კახაბერმა***

დავით ქართველიშვილი

VITA NOVA. დღე პირველი

გვეძღვნება ჩვენ

1

განსაკუთრებული ტელეფონი წკრიალებს, ამ ტელეფონით ყოველთვის ლიდერი რეკავს. ზარის გაგონებაზე უცებ მეღვიძება, ვფიქრობ რომ რაღაც ცუდი ამბავია, სწრაფად ვდგები, განსაკუთრებული ტელეფონის ყურმილს მარცხენა ხელით ვიღებ, მარჯვენა ხელით უნებურად საჯდომს ვიქექავ, მახსენდება რომ ლიდერის პირადი ინფორმატორი ვიდეოკამერები მითვალთვალებენ და შეგნებულად მრცხვენია ჩემი უნებური საქციელის, მარჯვენა ხელს უსწრაფესად ვწევ განზე, ყურმილი ყურთან მიმაქვს და ძალიან თავმდაბლად ვამბობ:

„გისმენთ“.

„ქექია, როგორ ხარ?“ მეკითხება ლიდერი, იცინის, მეც ვიცინი, ორივე ვიცინით. ეს ჩემთვის დიდი პატივია; ვიცინი ლიდერთან ერთად.

ვხვდები, რომ ლიდერს გარანტირებულად კარგი, შეიძლება ამაღლებული განწყობაც კი აქვს, ასე რომ ცუდი არაფერი მომხდარა. შვებით ამოსუნთქვის შემდეგ, მეც კარგ ხასიათზე ვდგები... ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ჩვენ, ლიდერის ერთგულ ხელქვეითებს ინდივიდუალური არაფერი გაგვაჩნია, ამბობენ, რომ ჩვენ ლიდერის აჩრდილები ვართ. დადგება დრო და მსოფლიო დემოკრატიის მეთვალყურე ვიდეოკამერები შეწყვეტენ ჩვენს ქვეყანაში მუშაობას და ყველას გავაჩუმებთ... ბებერი ძაღლებივით მივაძინებთ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრებს, მაგრამ ჯერჯერობით უნდა მოვითმინოთ. ეს ლიდერის სიტყვებია და მე მის მოსაზრებას აბსოლუტურად ვიზიარებ...

„ერთი კარგი და ერთიც ძალიან კარგი ამბავი მაქვს, რომლით დავიწყო?“ — მეკითხება ლიდერი...

ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ლიდერი ადამიანებს არჩევანის უფლებას ართმევს, ცილისმწამებლები... დადგება დრო და ყველას ბებერი ძაღლებივით... ყველას... ცილისმწამებლები... ერთი კარგი და ერთიც ძალიან კარგი ამბავი... აირჩიე, რომლით გინდა, რომ დაიწყოს, აირჩიე ჯერ რომელი გინდა რომ თქვას, არჩიე ჯერ როგორი სიხარული გინდა, რომ განიცადო; ჩვეულებრივი თუ დიდი.. და ამის შემდეგ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყანაში არჩევანის უფლება არ არსებობს?! პროვოკატორები, უმადურები...

„კარგი ამბით დავიწყოთ“ — ვაკეთებ არჩევანს...

„კარგი, დავიწყოთ კარგი ამბით“ — ამბობს ლიდერი — „დაჯექი და ყურადღებით მომისმინე“. სკამი ხელისგაწვდენაზეა, ვწევ ხელს სკამისაკენ, ჩემსკენ ვაჩოჩებ და ვჯდები. „უკვე წლებია, რაც ჩემი იდეალი ჩვენი ქვეყნის ლეგენდარული მეფეა...“ თვალწინ ლეგენდარული მეფის სახე მიდგება, უფრო სწორად მისი ყველაზე ცნობილი პორტრეტი... ბედნიერი ვარ, რომ მისი მმართველობის დროს არ მომიწია ცხოვრება, ასე რომ მომხდარიყო, ახლა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი ვიქნებოდი, მაგრამ ეს არ არის მთავარი მიზეზი. ბედნიერი ვარ, რომ ლიდერის თანამედროვე და თანამოაზრე ვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს, სხვა სივრცეში და დროში არსებობის. ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ჩვენ ლიდერის თანამოაზრეები კი არა, კერპთაყვანისმცემლები ვართ. რა თქმა უნდა ეს ასე არ არის, ჩვენ უბრალოდ შურზე და ბოღმაზე მაღლა ვდგავართ და შეგვიძლია იმის აღიარება, რომ ლიდერი ჩვენზე დიდი პიროვნებაა..

„დიახ, რა თქმა უნდა ვიცი რომ თქვენი იდეალი ჩვენი ლეგენდარული მეფეა“ — ვამბობ ყოველი შემთხვევისთვის.

„იყო, აღარ არის, ხვდები ალბათ, ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მე მივიღე გადაწყვეტილება და დღეიდან მივბაძავ... ვის, ამას ჩემთან რომ მოხვალ, მაშინ გეტყვი“.

„როდის მოვიდე?“ ვეკითხები ლიდერს, ხმაზე მეტყობა, რომ ახლავე მზად ვარ მისი რეზიდენციისკენ დასაძრავად, ლიდერი ხვდება ამას.

„ახლა სამის ნახევარია, ოთხის ნახევარზე მოდი ჩემთან“ მიბარებს ლიდერი.

ლიდერი ქვეყანაზე ზრუნავს. ეს კარგი ამბავია, თუმცა საამისოდ საკუთარი თავისთვის რთული გადაწყვეტილების მიღება უწევს. აღფრთოვანებული ვარ.

სააბაზანოში შევდივარ, შხაპს ვიღებ, ვიცვამ და ლიდერის რეზიდენციაში მივდივარ.

ძალიან კარგი ამბავის მოსმენის მოლოდინში ვარ.

2

ლიდერის სამუშაო ოთახში ვდგავარ, ლიდერი არ ჩანს, მხოლოდ მისი ხმა მესმის, „დაჯექი“ — მეუბნება. ვჯდები. „შემოსასვლელი კარისკენ იყურე“ — მირჩევს. დარწმუნებული ვარ, ლიდერი ცუდ რჩევას არ მომცემს და ამიტომ შემოსასვლელი კარისკენ ვიყურები. ლიდერის სამუშაო ოთახში მცირე ცვლილებას ვამჩნევ; ლეგენდარული მეფის პორტრეტი აღარ კიდია, ე. ი. ცვლილებები უკვე დაიწყო.

შემოსასვლელი კარი იღება, ოთახში რაღაც ძალიან დიდი ხნის წინ გაცნობილი, შეყვარებული და დროთა განმავლობაში დავიწყებული არსება შემოდის, მისი სახელი წამებში მახსენდება: მიკი მაუსი. ლიდერი მიკი მაუსის ფორმაშია გადაცმული, ვდგები, რამდენიმე წამი ძალიან დაბნეული ვარ, შემდეგ თავში ძალიან გონივრული აზრი მომდის; ლიდერს რა თქმა უნდა ამ ქმედების გასამართლებელი ძალიან დამაჯერებელი არგუმენტაცია ექნება. ვმშვიდდები, კარგია, როდესაც გწამს ადამიანის, რომლის თანამოაზრეც ხარ.

ლიდერი მანიშნებს, რომ დავჯდე. ვჯდები.

„შენ ალბათ ელი ახსნას, რატომ შევაჩერე ჩემი არჩევანი მაინცდამაინც მიკი მაუსზე“ მიღიმის ლიდერი. როგორ არ ვიყო ამ ადამიანით აღფრთოვანებული?! მას ხომ სხვა ადამიანების აზრების კითხვა შეუძლია. თავს ვუქნევ.

„კი, ზუსტად ეგ მაინტერესებს.“

ლიდერი დაფასთან მიდის, ფლომასტერს მარჯვენა ხელით იღებს, მარცხენა ხელით თავსახურს აცლის და დაფაზე ფოსფორისფერ წრეს ავლებს, წრე არ არის აბსოლუტურად სიმეტრიული, მაგრამ ლიდერი ხომ ადამიანია, ხანდახან მასაც არ გამოსდის რაღაც-რაღაცეები. ამასობაში მე უკვე ვფიქრობ, რომ ლიდერს ძალიან უხდება მიკი მაუსის ფორმა და სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ესთეტიკური გამარჯვება უკვე მოპოვებულია.

„აი, ეს დედამიწაა“ — ამბობს ლიდერი და ფლომასტრის წვერით დაფაზე გამოსახულ სფეროზე მიმანიშნებს. — „დედამიწა ერთია, მისი დანაწევრება შეუძლებელია, ადამიანები ცდილობენ დედამიწა დაყონ და იბატონონ, მაგრამ თანდათან ასეთი მიდგომა აზრს კარგავს, ყველაფერი გაერთიანებისკენ მიდის, გვინდა არ გვინდა, ჩვენ ამ პროცესის მონაწილეები ვართ, და ახლა მითხარი, რას ეუბნება მსოფლიოს ჩვენი ლეგენდარული მეფის სახელი? არაფერს, სამწუხაროდ, სრულიად არაფერს, რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებული რამდენიმე ათეული ადამიანის გარდა. თავისთავად ძალიან სასიამოვნო ფაქტია, რომ ადამიანების გარკვეულ, თუნდაც მცირე ჯგუფს აინტერესებს ჩვენი წარსული, მაგრამ დღეს მასებზე გასვლის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა, ამიტომ მივიღე ასეთი მძიმე და, პირადად ჩემთვის, სევდიანი გადაწყვეტილება. ჩვენი ლეგენდარული მეფე მიკი მაუსით შევცვალე“ — ლიდერი ფლომასტერს თავსახურს ახურავს და დაფაზე დებს — „მიკი მაუსი მსოფლიო სახეა, როდესაც ამბობ, რომ შენი იდეალი მიკი მაუსია, ყველა ხვდება, რომ შენ დემოკრატიის, სიყვარულის და ცივილიზებულობის მომხრე ხარ“.

გაოცებული ვარ ამ ადამიანით, მისი გამჭრიახობით, ვდგები ფეხზე და აბსოლუტურად გულწრფელად ტაშს ვუკრავ ლიდერს.

„ეს გაბრწყინებისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯია“ — ვამბობ. ლიდერი მანიშნებს, რომ დავჯდე, ვჯდები და ბრწყინვალე მომავალს წარმოვიდგენ; მიკი მაუსის ფორმაში გამოწყობილი ლიდერი მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებს, ინტელექტუალებს, ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლებს ხვდება და მისგან უპირობო დახმარების გარანტიას იღებს. მინდა, რომ კიდევ წამოვდგე და ტაში დავუკრა ლიდერს, მაგრამ მეშინია, ლიდერის თვალში მლიქვნელად არ გამოვჩნდე და ამიტომ თავს ვიკავებ წამოდგომისგან და ტაშის დაკვრისგან, არადა ძალიან მინდა.სახლში რომ დავბრუნდები, აუცილებალად დავუკრავ ჩუმ ტაშს, ამას ისე გავაკეთებ, რომ ლიდერის პირადი ინფორმატორი ვიდეოკამერები ვერ დამაფიქსირებენ, საწოლში თავზე საბანნაფარებული დავუკრავ ჩუმ ტაშს...

3

ძალიან კარგი ამბის მოსმენის დროც დადგა; ლიდერი მარჯვენა ხელს მარცხენა მხარზე მადებს, მომწონს ლიდერი რომ მეხება, ძალიან მინდა რომ ქალი ვიყო და ლიდერისთვის შვილების გაჩენა შემეძლოს. დღემდე ჩვენ შვილებად პატარა ლეგენდარული მეფეები მყავდა წარმოდგენილი, დღეიდან პატარა მიკი მაუსებს წარმოვიდგენ. თავიდან შეიძლება შემეშალოს და კვლავ პატარა ლეგენდარული მეფეები წარმოვიდგინო პატარა მიკი მაუსების ნაცვლად, მაგრამ მხოლოდ თავიდან, შემდეგ აღარ შემეშლება. ჯერჯერობით ახალი ცხოვრების პირველი დღეა და შეცდომის დაშვება გამორიცხული არ არის. ლიდერი ჩემი მხრიდან ხელს იღებს და ოცნება ქალობაზე და ლიდერისთვის შვილების გაჩენაზე მიქრება.

ლიდერი ამბობს:

„მიუხედავად იმისა, რომ მიკი მაუსი მსოფლიო სახეა, მისი არჩევა საფრთხეებს მაინც შეიცავს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიკი თაგვია და არაფერი თაგვური მისთვის უცხო არ არის. დილით როდესაც მე პრესისთვის განცხადებას გავაკეთებ და საზოგადოება შეიტყობს ჩემი გადაწყვეტილების შესახებ, ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები განაცხადებენ რომ ისინი კატები არიან, მიკი კი თაგვია და კატების ძალიან ეშინია, მიკის დაცვა ჭირდება, მიკის ერთგული ძაღლი ჭირდება და ეს ერთგული ძაღლი შენ იქნები, შენ დააფრთხობ მიკის მტრებს“ — პაუზა. ლიდერი მიღიმის — „ესეც ძალიან კარგი ამბავი“.

სამი რამ მიხარია ერთდროულად: 1. დავწინაურდი. 2. ლიდერმა განსაკუთრებული ნდობა გამომიცხადა და თავის ერთგულ ძაღლად ამირჩია. და 3. რაც ყველაზე მთავარია, ლიდერმა ჩემი დაწინაურება და ერთგულ ძაღლად არჩევა უფრო კარგ ამბად ჩათვალა, ვიდრე საკუთარი მესიანისტური ნაბიჯი. მე ყოველთვის მაოცებდა მისი ასეთი თავმდაბლობა.

4

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტები შავი მაისურებით, მაისურებზე თეთრი წარწერით „სიმართლის ტყვე“ და ხელებზე ბორკილებდადებულები მოდიან. ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია. ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრები ამბობენ, რომ ლიდერი ჟურნალისტებს ზღუდავს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. არანაირი შეზღუდვა. ლიდერი მათ ხელფასს უხდის, თან ეუბნება, თუ არ მეთანხმებით, წადით. ისინი არ მიდიან, ასე რომ, არანაირი შეზღუდვა, ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით ხდება.

ლიდერის გვერდით ვზივარ. მარჯვენა ხელით (კინაღამ თათი ვთქვი) მინერალური წყლის ბოთლს ვიღებ და ლიდერს მინერალურ წყალს ჭიქაში ვუსხამ, წყალი შხრიალებს, მომწონს ეს ხმა. ლიდერი მადლობის ნიშნად თავს მიქნევს და ჟურნალისტებისათვის და, ჟურნალისტების მეშვეობით, ხალხისთვის საკუთარ გადაწყვეტილების ახსნას განაგრძობს. რთულია დიდი ადამიანის ცხოვრება, მას განუწყვეტლივ უწევს პრიმიტივებისთვის საკუთარი

გადაწყვეტილებების ახსნა. ამ პროცესს დრო და ენერგია მიაქვს, ხანდახან ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა ლიდერს თავისი ნიჭი ხელოვნების რომელიმე დარგისთვის მოეხმარებინა ან საერთოდ მეუდაბნოე გამხდარიყო. მე ვგრძნობ, როგორ უჭირს მას ცხოვრება და როგორ მარტოა ის ჩვენ შორის.

ერთ-ერთი „სიმართლის ტყვე“ ლიდერს ეკითხება, რამდენად ინფორმირებულები არიან ჩვენი მეგობრები მსოფლიოში ლიდერის ახალი იმიჯის შესახებ და თუ არიან, როგორია მათი რეაქცია.

ლიდერი იღიმის:

„პირველ რიგში მცირე შესწორება; მიკი მაუსი ჩემი ახალი იმიჯი არ არის, ის ჩვენი, ხაზს ვუსვამ, ჩვენი ბედისწერაა. ახლა რაც შეეხება თქვენს შეკითხვას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო დემოკრატიის ვიდეოკამერები მუშაობენ, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ინფორმაცია გამჭვირვალეა, მივიღე რამდენიმე მილოცვაც.“

კიდევ ერთი „სიმართლის ტყვე“ იღებს ხმას. ვგრძნობ, ლიდერი დაიღალა და თათებს მსუბუქად ვატყაპუნებ მაგიდაზე, ასე ვანიშნებ ჟურნალისტებს, რომ დროა დავამთავროთ, მაგრამ ლიდერის კეთილგანწყობა უსაზღვროა და შეკითხვის დასასმელად გამზადებულ ჟურნალისტს ის შეკითხვის დასმის უფლებას აძლევს.

და ისიც სვამს შეკითხვას:

„თუ არის დაგეგმილი საზეიმო ღონისძიებები?“

ზეიმები ლიდერის სისუსტეა, ეს სისუსტე ძალიან კარგად წარმოაჩენს, შინაგანად რამდენად ბავშვია და სუფთაა ლიდერი. ამ დროს მინდა მზრუნველი მამასავით თავზე ხელი გადავუსვა, მაგრამ ვერ ვბედავ, და რომც გავბედო, ვიცი, შეხებისთანავე ქალობა და მისთვის შვილების გაჩენა მომინდება, ხოლო ეს სურვილი დიდ ტკივილს მაყენებს, რადგან ეს სურვილი აუხდენელ სურვილთა კატეგორიას განეკუთვნება...

საზეიმო ღონისძიებების გაგონებაზე ლიდერს თვალები უბრწყინდება, ბედნიერია. „რა ლამაზი ხარ, შვილო, როგორ გიხდება ბედნიერება“, ვფიქრობ მზრუნველი მშობელივით და თავს ძალას ვატან, რომ სიამოვნებისგან არ ავწკმუტუნდე.

„რა თქმა უნდა საზეიმო ღონისძიებები ჩატარდება, მაგრამ მათ შინაარსს საიდუმლოდ დავტოვებ, ეს სიურპრიზია“ ლიდერი სიამოვნებისაგან თვალებს ჭუტავს.

პრესკონფერენცია დასრულებულია, „სიმართლის ტყვეები“ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ და დროდადრო ბორკილებს აჩხარუნებენ.

5

ლიდერი და მე ლიდერის სამუშაო ოთახში ვართ. ლიდერი ფანჯარასთან დგას, მე მაგიდასთან სკამზე ვზივარ, ლიდერს ხელები ჯიბეებში აქვს ჩაყოფილი, მე ხელები მაგიდაზე მიწყვია, ლიდერი ნერვიულობს, ბუნებრივია მეც ვნერვიულობ, რადგან ლიდერი ნერვიულობს. ლიდერი ჩემთვის მოულოდნელად მკვეთრად ტრიალდება, საკუთარ სავარძელთან მიდის, სავარძელში ჯდება, მაგიდაზე მარჯვენა ხელს აბრახუნებს და ამბობს:

„დავიღალე, აღარ შემიძლია, მივატოვებ ყველაფერს და წავალ აქედან, წავალ და უკან არ მოვიხედავ, არ უნდა ამ ხალხს არაფრის შეცვლა“ — ლიდერი მაგიდის უჯრას აღებს, უჯრიდან რამდენიმე გაზეთს იღებს და უჯრას ხურავს, გაზეთებს მაგიდაზე ყრის, ვხვდები, რომ ჩემს წინ, მაგიდაზე ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრების მიერ დაფინანსებული პრესაა. სათაურებს ვკითხულობ პირველ გვერდებზე, ამაზრზენია. უმადურები. გაზეთებს მაგიდაზე ვდებ, ვდგები, ლიდერთან მივდივარ, მის ფეხებთან ვწვები (რეალურად დაჩოქება მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა):

..ადამიანები უმადურები არიან, ადამიანებმა ჯვარს აცვეს ქრისტე, ადამიანები კლავდნენ წინასწარმეტყველებს.“ — ვეუბნები ლიდერს, ლიდერი თავზე მისვამს ხელს, ვიტრუნები..

„ქრისტე, წინასწარმეტყველები, ეს წარსულია; წარსული არ არსებობს, არსებობს მხ-

ოლოდ აწყმო და ჩემი ტკივილი აწყმოა, ამიტომ ის გაცილებით რეალურია, ვიდრე წარსულის ყველა ტკივილი. წავალ აქედან, წავალ და უკან არ მოვიხედავ...“

ლიდერი რამდენიმე წუთის წინ ნათქვამ წინადადებას იმეორებს, თუმცა გამეორებები არ არსებობს, რადგან წარსული არ არსებობს.

„დარჩით“ — ვთხოვ ლიდერს — „მესმის, თქვენი აწყმო ერთი დიდი ტკივილია, მაგრამ რეალურად თქვენ მომავალს ეკუთვნით,“

ლიდერი დგება, ავყურებ, დამყურებს.

„მომავალი მხოლოდ“ — ლიდერი თავზე მსუბუქად იკაკუნებს მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს — „თავში არსებობს. მე თუ შენ დაგიჯერებ და ჩავთვლი, რომ მომავალს ვეკუთვნი, ამ შემთხვევაში გამოდის, რომ მე გარანტირებულად ვარსებობ ადამიანების თავებში, მაგრამ საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ ამ თავებს მომავალი, საშინელებად თუ სამოთხედ? თუმცა ეს ძალიან რთული საკითხია და მისი განვრცობა საჭირო არ არის, სიტყვაზე გენდობი და ვრჩები.“

სიამოვნებისგან ვწკმუტუნებ...

6

მშია. სასადილოში ჩავდივარ, ორ ჰამბურგერს ვიღებ, მაგიდაზე ვაწყობ. ხორცი მიყვარს, პური — აღარ. აქედან გამომდინარე, ხორცს ვჭამ, პურს ვტოვებ.

სამუშაო ოთახში ავდივარ და მომენტალურად ლიდერის დავალების შესრულებას ვიწყებ. აგენტებთან ვაგზავნი მოთხოვნას, გაარკვიონ, რა განწყობაა საზოგადოების სხვადასხვა ფენებში და ამის შესახებ არა უგვიანეს დღევანდელი ღამისა ანგარიში ჩამაბარონ. შემდეგ თვალებს ვხუჭავ და ცოტა ხნით ვიძინებ, მესიზმრება: ხესთან ვდგავარ, ხის კენწეროზე ლიდერი ზის, ბავშვია, ტირის და შველას ითხოვს. ხეზე მივცოცავ, შუა გზაზე მეღვიძება, გაღვიძებულს მახსენდება, რომ ლიდერის არც ერთი ბავშვობის ფოტო არ მაქვს ნანახი და გული მწყდება. შემდეგ მახსენდება, რომ წარსული არ არსებობს და უცებ მივლის გულდაწყვეტა...

7

პირველი ანგარიში საღამოს 7 საათზე შემოდის, მისი ავტორი აგენტი 877-ია, ვკითხულობ:

„ლიდერის გადაწყვეტილებას სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდნენ. აღფრთოვანება და ამაღლებული განწყობა იგრძნობა ყველგან: კაბინეტებში, სასადილოში, დერეფნებში, ტუალეტში, აღფრთოვანებული ადამიანები ღიღინ-ღიღინით შარდავენ; ხელმძღვანელმა პირებმა სასწრაფოდ გამოყვეს თანხა მიკი მაუსის კოსტუმების შესაძენად, უახლოეს მომავალში სახელმწიფო სტრუქტურების უკლებლივ ყველა თანამშრომელი უფასოდ მიიღებს მიკი მაუსის კოსტუმს. არსებობს მხოლოდ ერთადერთი პრობლემა: რა უნდა ქნან სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელმა ქალბატონებმა? ჩაიცვან მიკი მაუსის, თუ მისი შეყვარებულის, მომხიბვლელი მინი მაუსის კოსტუმი? ლიდერმა საკუთარი აზრი მხოლოდ მიკი მაუსის შესახებ გამოთქვა. აქედან გამომდინარე, უმრავლესობა იხრება აზრისკენ, რომ ქალბატონებიც მიკი მაუსის კოსტუმში უნდა გამოეწყონ, თუმცა არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც, ამ მოსაზრების თანახმად, საქმე ტექნიკურ პრობლემასთან გვაქვს და ლიდერი უახლოეს მომავალში აუცილებლად მინი მაუსის შესახებაც გამოთქვამს საკუთარ დადებით აზრს.“

მიყვარს გონიერი ადამიანები. ვფიქრობ და კმაყოფილი ანგარიშს გვერდზე ვდებ.

8

ვგრძნობ, რომ მოფერება მჭირდება, მაგრამ სად? რა თქმა უნდა, შემიძლია ექვსივე მომფერებელ ქალს ვუხმო, დავაწყებინო მუშაობა და გამორიცხვის მეთოდით მივხვდე, სად

მსიამოვნებს ყველაზე მეტად მოფერება, მაგრამ ახლა ხალხმრავლობის თავი ნამდვილად არ მაქვს, თან ძაღლი ხომ არ ვარ, ადამიანი ვარ და რაღაცეებს ფიქრითაც შემიძლია მივხვდე. არანაირი სექსი (არც უწესო, არც პატიოსანი) არ მინდა. ასე რომ, სამი მომფერებელი ქალი უკვე გამოირიცხა. არც მასაჟი მინდა, არც პატარა გოგონა, რომლის მამიკოც ვიქნები და კარტს ვითამაშებთ გახდაზე და შეხებაზე. დარჩა ერთადერთი ვარიანტი: თავზე მოფერება. მომფერებელ ქალ ნომერ 4-ს ვუხმობ, თავს კალთაში ვუდებ, მომფერებელი ქალი ნომერი 4 თავზე მეფერება და ლეკვს მეძახის...

სწორი არჩევანი გავაკეთე, კარგია, რომ მაინც ადამიანი ვარ და არა ძაღლი...

9

ცხრის ნახევარზე მეორე ანგარიში შემოდის, მისი ავტორი აგენტი 871-ია, ვკითხულობ:

„ლიდერის გადაწყვეტილებას ქურუმების ერთი (კონსერვატიული) ნაწილი ნეგატიურად შეხვდა. მათ ლიდერის გადაწყვეტილებაში ერესი დაინახეს. მოგეხსენებათ, მიკი მაუსი ადამიანისგან განსხვავებით უშუალოდ ღმერთის მიერ შექმნილი ქმნილება არ არის, ის ღვთაებრივი დაშვებით კონკრეტულმა ადამიანმა (უოლტ დისნეიმ) შექმნა, აქედან გამომდინარე ქურუმების ერთი (კონსერვატიული) ნაწილი მასში ღვთაებრივ პოტენციას ვერ ხედავს. თუმცა არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ მიკი მაუსი მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოა და მის გამო არ ღირს ლიდერთან დაპირისპირება. განხილვა ხვალისთვის გადაიდო“.

„როგორც ყოველთვის დაპირისპირებაზე არ წამოვლენ.“ ვფიქრობ და ანგარიშს გვერდზე ვდებ...

10

მაგიდასთან ვწევარ, თავი თათებზე მიდევს, ვფიქრობ და ვწუხვარ, რატომ არ არსებობს მიწაზე ერთადერთი, ყველასთვის მისაღები აზრი? ხომ აშკარაა, რომ მრავალფეროვნება ილუზიაა და რეალურად ორფეროვნებასთან გვაქვს საქმე; თეთრი ან შავი, კარგი ან ცუდი. ლიდერი ყოველთვის კარგს ირჩევს, მაგრამ რადგან ეს კარგი ლიდერის მიერაა არჩეული, ვიღაც-ვიღაცეებისთვის ის მიუღებელია. რატომ ვერ იტანენ ადამიანები ერთმანეთს? თათს თავზე ვისვამ, შემდეგ ვიზმორები, ვდგები, მაგიდასთან მივდივარ, სკამზე ვჯდები და საკუთარ თავს ვეკითხები: რატომ ვერ ვიტანთ ადამიანები ერთმანეთს?

11

ათ საათზე მესამე ანგარიში შემოდის, მისი ავტორი აგენტი 891–ია, ვკითხულობ: „მწიგნობრებში ტრადიციულად ქაოსია, ლიდერის ახალი გადაწყვეტილების თემა ჩაიკარგა ისეთ თემებს შორის, როგორებიცაა: მიკი მაუსი უფრო მაგარია თუ დონალდ დაკი? მიკი მაუსი და ფაუსტი, მეტაფიზიკის ორი რუხი კარდინალი. მიკი მაუსი უნარ-ჩვევების გამოცდის ჩასაბარებლად მიდის და ა.შ. მწიგნობრების განწყობა, როგორც სხვა შემთხვევებში, ამ შემთხვევაში არანაირ საფრთხეს არ შეიცავს, ანუ საქმე გვაქვს თამბაქოს კვამლით გაბუღულ ოთახებში წარმოებულ ქაოსურ საუბრებთან..“

მელიმება, გაღიმებული ანგარიშს გვერდზე ვდებ.

12

ზუსტად ამ დროს მეოთხე ანგარიში შემოდის, მისი ავტორი აგენტი 899-ა, ვკითხულობ:

„ქვეყნის ბრწყინვალე მომავლის მტრებმა ლიდერის განცხადებაზე ერთხმად გაიცინეს, მაგრამ მე ვიკითხე: და რომ აყვეს ხალხი? ამის შემდეგ დაიწყო განხეთქილება, ამჟამად სამი ჯგუფია ჩამოყალიბებული. 1. ხალხი ბნელი არ არის და ამ სისულელეს არ აყვება. 2. ჩვენ ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ და კატები უნდა გავხდეთ (სიტყვა კატას ვყნოსავ, შემდეგ ვუღრენ). 3. რა თქმა უნდა, მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ კატობა არაფერ შუა-

შია, ჩვენც მიკი მაუსები უნდა გავხდეთ და დავამტკიცოთ, რომ რეალური, ნამდვილი მიკი მაუსები ჩვენ ვართ. ჯერჯერობით ასეთი სიტუაციაა...“

ანგარიშს გვერდზე ვდებ.

13

უკანასკნელი ანგარიშის მოლოდინში ვარ, ვზივარ. უკვე თერთმეტი საათია, ახალი ცხოვრების პირველი დღე სრულდება. ვამთქნარებ. ხვალ რაღაც-რაღაცეები აუცილებლად მოხდება. მეორე დღე პირველ დღეზე უმნიშვნელო არ იქნება, არც მესამე, არც მეოთხე. ყველა დღე ერთნაირად მნიშვნელოვანია, ამის მაგალითი ღმერთმა მოგვცა სამყაროს შექმნისას. ლიდერიც ამის მაგალითს გვაძლევს.

ყველა დღე ერთნაირად უმნიშვნელოა, ამის მაგალითს ადამიანები აძლევენ ერთმანეთს საკუთარი ცხოვრებით. კარგია რომ ადამიანი აღარ ვარ...

უკანასკნელი ანგარიშიც შემოდის, მისი ავტორი აგენტი 822-ია, ვკითხულობ:

„ხალხის განწყობების შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ხალხი არ არსებობს...“

აგენტ 822-ის ეს ანგარიშიც მისი ყველა ძველი ანგარიშის იდენტურია. ანგარიშს გვერდზე ვდებ.

14

ქუჩაში გამოვდივარ, აქეთ-იქით ვიყურები, განათებულ შენობებს, ავტომობილებს და ადამიანებს ვხედავ, ვგრძნობ, რომ ძალიან მარტო ვარ. არავინ მყავს ახლობელი, არავინ; ლიდერის გარდა...

მივძუნძულებ, თავი დაბლა მაქვს დაწეული, დროდადრო ვჩერდები, მიწას ვყნოსავ. მარტო ვარ, ძალიან მარტო, არავინ მყავს ახლობელი, არავინ, ლიდერის გარდა არც მიწის ზევით, არც მიწაში; გადასასვლელზე ვჩერდები. ადამიანები უკანასკნელ ავტობუსს ელოდებიან და საუბრობენ:

„ხო იცი, მთავარი სიყვარულია“

„ვიცი, მაგრამ სადაა ეს სიყვარული, სად?“

ადამიანების ენა აღარ მესმის. ძალიან კარგი. ასე უფრო ერთგულად დავიცავ ლიდერს. გადასასვლელზე გადავდივარ და დაღმართზე ვეშვები.

მაია სარიშვილი

მწვანე პალტო

19 დეკემბერი. პარასკევი

დღესაც ჩავედი სარდაფში დედასთან. ისევ მწვანე პალტო ეცვა — ოდნავ ცივი და ჩხვლეტია. არ გვისაუბრია. მხოლოდ დავენახე და სასწრაფოდ სასადილოში დავბრუნდი. მგონი არავის შევუმჩნევივარ. ბავშვებისათვის უკვე დესერტი მოეტანათ. ჩემი გაციებული წვნიანიდან კარტოფილები ამოვჭამე, კატლეტები ინას აუღია და მხოლოდ წიწიბურა მედგა წინ. ვერ ვიტან ინას. ვაშლი ჩემს ოთახში ამოვიტანე. მერე შევჭამ.

ამ კვირაში უკვე მეცხრედ ვნახე დედა და არავის ვეუბნები. აქ ყველანი უდედოები არიან. გული დაწყდებათ. ჩვენს ჯგუფში მხოლოდ სამ ბავშვს აკითხავს დედა. ერთთან მამა მოდის და ორთან ბებია. ესენი ძალიან იშვიათად თუ გამოჩნდებიან ხოლმე. დედაჩემი კი ჩვენს სარდაფში ცხოვრობს უკვე მთელი კვირაა და არავის ვეუბნები. დედა მაღალია, ცივ, მწვანე პალტოზე რაღაცეები უბრჭყვინავს. სიბნელეში კარგად ვერ ვარჩევ. მე და ზურა რომ ჩაგვაგზავნეს მუყაოს ცარიელი ყუთების ამოსატანად, მაშინ დავინახე პირველად. გავოგნდი. ზურამ კი სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია და „ნახე, ბიჭო, ნაძვის ხესაც აქ ინახავენ თურმეო“ — მითხრა. არ მითქვამს, დედაჩემია-მეთქი. უბედნიერესი ავედი ზემოთ და მას შემდეგ, როცა კი საშუალება მაქვს, სულ აქეთ გამოვრბივარ.

შაბათი. 20 დეკემბერი

დილით, ტელევიზორში ჩვენი ბავშვთა სახლი აჩვენეს. მასწავლებლები ჩხუბობდნენ: „ცუდად დამთავრდება ეს ამბავიო“. სასადილოც აჩვენეს. ეზოც. მე არ გამოვჩენილვარ, ზურა — კი. ახლა უნდა წავიდე, მეძახიან...

დავბრუნდი. ინა ტიროდა ისევ. ჩემზე უთქვამს, მუშტი მომარტყა მუცელშიო. ვიდრე ვისადილებდით, მანამდე მოვარტყი და ახლა გაახსენდა! ვერ ვიტან ამ გოგოს. ბავშვები ამბობენ, უნდა იშვილონო და ძალიან მიხარია. წაათრიონ ერთი აქედან!

კვირა. 21 დეკემბერი

ცოტა ხნის წინ ხათუნა დირექტორი კიბეებზე წაიქცა. ძალიან მსუქანია და ისე აყირავდა, სიცილით მოვკვდი. უქაღალდო კანფეტი დაუგდია ვიღაცას ძირს და იმაზე ამიცურდა ფეხიო. არაფერი ტკენია. ააყენეს და იქვე, უახლოეს ოთახში, მგონი ბექა ქისტაურის ლოგინზე მიაწვინეს. შეეშინდა და წვეთებს ასმევდნენ. ნეტა დამინახა, რომ ვიცინოდი? ჩემთვის არავის ეცალა და ისევ სარდაფში ჩავედი დედასთან.

ორშაბათი. 22 დეკემბერი

დილით რომ რაღაც დავწერე, ის ფურცელი ამოვხიე და ახლა თავიდან ვწერ, მაგრამ იმ საიდუმლოზე აღარაფერს ვიტყვი. უბრალოდ, რაღაც გადავწყვიტე და ვნახოთ!

ღამეა. ყველამ დაიძინა. ოთახში მყრალი სუნი დგას. მგონი დათოს მალამოსი. კისერი გაუშეშდა და დღეში რამდენჯერმე უზელენ. აუტანელი სუნი აქვს. ალბათ ამის გამო არ მეძინება. ან იმ საიდუმლოს გამო, დილით რომ დავწერე და მერე რომ დავხიე.

სამშაბათი. 23 დეკემბერი

სადილად ალუბლის კომპოტი გვქონდა. ზურამ გამოაცხადა, ხელი აიწიოს, ვინც პირველად სვამს ალუბლის კომპოტსო და ნიკოლოზის გარდა ყველამ ხელი ავიწიეთ. ნიკოლოზი ახლახანს მოიყვანეს ჩვენთან. მშობლები ავარიაში დაეხოცა და დროებით არის აქ. მერე მამიდა ჩამოუვა რუსეთიდან და ის წაიყვანს. ნიკოლოზი ყველაზე ბედნიერი ბავშვია ჩვენთან. ცხრა წლამდე მშობლებთან ცხოვრობდა. ერთად იყვნენ ამდენი ხანი. და მასწავლებლები მაინც ყველაზე მეტ ყურადღებას მას აქცევენ. ახალი რომაა, ეტყობა იმიტომ.

რამდენიმე დღეში ახალი წელია. ხვალ ზოოპარკში მივდივართ და მაგარი რაღაცეები მოხდება. ნეტა გამომივიდეს!

ხო, სულ დამავიწყდა: ალუბლის კომპოტით სავსე ჭიქა ნიკოლოზმა კედელს ესროლა და ყველას გულები დაგვიხეთქა. მასწავლებლებმა ესეც აპატიეს და ცოტათი მწყინს, მაგრამ ახლა სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. ხვალინდელ დღეზე.

ოთხშაბათი. 24 დეკემბერი

ზოოპარკში ვერ წაგვიყვანეს. წვიმდა და მერე ეს წვიმა თოვაში გადაიზარდა. ოთახებში ვსხედვართ. საახალწლო ზეიმის რეპეტიციაც არ ჩაგვტარებია. ვხატე, ტელევიზორს ვუყურე და ზურასთან წამომცდა, რაღაც საიდუმლო გეგმა მაქვს-მეთქი. ცუდი დღეა.

ხუთშაბათი. 25 დეკემბერი

ისევ ვერ წავედით ზოოპარკში, მაგრამ რომელიღაც სკოლის მოსწავლეები მოვიდნენ და კონცერტი ჩაგვიტარეს. დიდხანს დარჩნენ. ტელევიზია არ ყოფილა. ერთ-ერთ გოგოს ძალიან გრძელი თმა ჰქონდა — მოყვითალო და ბრჭყვიალა. ჩვენი გოგოები სულ იმას უყურებდნენ. ძალიან ლამაზი იყო. შინდისფერი კაბა ეცვა და პრიალა ფეხსაცმელები. მშობლებიანი ბავშვები სულ ცალკე იდგნენ, ახლოს არ მოდიოდნენ და ჩვენც ვერ მივდიოდით მათთან. ძალით გვათამაშეს რაღაცეები ერთად. საჩუქრები გადმოგვცეს და წავიდნენ. მე არ მიყვარს ასეთი ბავშვების ჩვენთან მოყვანა. ჯერ მიხარია, როცა ვუყურებ, მაგრამ რომ მიდიან, ცუდ ხასიათზე ვდგები. ახლაც ცუდ ხასიათზე ვარ.

პარასკევი. 26 დეკემბერი

დათოს კისერი მოურჩა და საზარელი სუნისგანაც დავისვენეთ. გოგოებმა დღეს რაღაც სულელური ბარათები დაუმზადეს მასწავლებლებს. ზაფხულში ეკატერინეს ყვავილები ჩაუწყვია წიგნებში და ეს გამხმარი ყვავილები დააკრეს ბარათებზე. ნუცა ამტკიცებდა, ამათ გველის ყვავილები ჰქვიათ და არ შეიძლება ჩუქება, უბედურებას ნიშნავსო. ბედნიერებასაც რომ ნიშნავდეს, რა შუაშია ახალ წელთან ეს უშნოდ გამხმარი ყვითელი ყვავილები?

დედა დღესაც ვნახე. არაფერი მომიყოლია მისთვის. ამ ბოლო დროს სულ ჩუმად ვუზივარ გვერდით და ისიც არაფერს მეკითხება.

შაბათი. 27 დეკემბერი

ვერავინ წარმოიდგენს, სადა ვწერ ახლა ამ დღიურს. სტადიონზე! სკამები დათოვლილია, ვერ ვჯდები და ფეხზე დამდგარი ვწერ. ზოოპარკიდან როგორღაც გამოვიპარე. აი, ეს იყო ჩემი საიდუმლო გეგმა. დღესვე მივბრუნდები უკან. მერე რას მეტყვიან, არ ვიცი. ახლა კი საოცრად ბედნიერი ვარ. არავინაა. მხოლოდ მე ერთი ვდგავარ ამხელა დათოვლილ სტა-

დიონზე. ჯერ მოედანზე ვირბინე, მერე ზემოთ ამოვედი. ზურაც რომ აქ იყოს, გაგიჟდებოდა.

უკვე დავბრუნდი. აქ დღეს არაფერი მითხრეს, მაგრამ მგონი ასე ადვილად არ მაპატიებენ. დავიღალე და ხვალ მოვყვები, რაც დღეს მოხდა.

კვირა. 28 დეკემბერი

სტადიონიდან გამოსულმა ბევრი ვიარე. ერთ-ერთი ეზოდან ყვირილის ხმა გამოდიოდა. ათამდე ბავშვი რაღაცას თამაშობდა. ულამაზესი ეზო იყო. მგონი დიდხანს ვიდექი. მერე ეზოში ბატიბუტის გამყიდველი შემოვიდა და ბავშვებმა თავისიანებს დაუწყეს ძახილი, რომ ხურდა ფული ჩამოეყარათ. მომეჩვენა, რომ აუტანლად, დამაყრუებლად ყვიროდნენ და ზანზარებდა მთელი ეზო. უცებ მეც ზემოთ ავიხედე, ვითომ რომელიღაც ფანჯრისაკენ და დედას დავუძახე — ძალიან ხმამაღლა და მხოლოდ ერთხელ.

ორშაბათი. 29 დეკემბერი

მეც კი ვიცოდი, რომ დედა კი არა, ნაძვის ხე იყო, მაგრამ რაღაც გული ჩამწყდა. გამოეტანათ სარდაფიდან, დაედგათ დარბაზის ცენტრში, მოერთოთ ნათურებით, სათამაშოებით, ათასი სისულელით და გვამეცადინებდნენ მის გარშემო როგორ უნდა გვევლო ხელჩაკიდებულებს.

ძალიან მაღალი, ტოტებგაშლილი, ბრჭყვიალა, ბედნიერი დედა იდგა შუა დარბაზში და ბავშვები მის გარშემო დავდიოდით ხან მარჯვნიდან მარცხნივ. ხან პირიქით. ხან სიმღერითა და ცეკვით. ხან უხმოდ.

კვირა. 18 მაისი.

მე ნიკოლოზი ვარ. აი, ის, კომპოტიანი ჭიქა რომ კედელს ვესროლე და ვითომ მამიდას რომ უნდა წავეყვანე, მაგრამ ჯერაც რომ არ წავუყვანივარ. პირველ სართულზე დიდი, ნახევრადდაშლილი კარადა რომ იდგა, დღეს გადააგდეს. ეს დღიური იმ კარადის ქვეშ ვიპოვე, წამოვიღე და წავიკითხე. ამ დღიურის პატრონი კი შარშან საახალწლოდ წაიყვანა ვიღაცამ აქედან. არ ვიცი, დედამ თუ ვინ. მსუქანი, მაღალი ქალი იყო და ულამაზესი მწვანე პალტო ეცვა.

მეშინოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ სარდაფში მაინც ჩავედი. დედა იქ არ დამხვედრია. არავისი. არც სხვისი, არც ჩემი. არც ნაძვის ხე იდგა არსად. მხოლოდ ოთახის მარცხენა კუთხეში ვიღაც უცხო ქალი იჯდა თავდახრილი. პირდაპირ იატაკზე იჯდა, სახეზე რაღაც უბრჭყვინავდა, მგონი სათვალე და ჩემკენ არც კი გამოუხედავს, მაგრამ შემეშინდა და ოთახში სირბილით ამოვედი. ახლა უკვე შუაღამეა. ვერც ვტირი, ვერც ვიძინებ. დედა სათვალეს ატარებდა.

ბადრი გუგუშვილი

შემოქმედება, რომელიც ბადრი გუგუშვილმა (1951-1996) დატოვა, უაღრესად მრავალფეროვანია. ვერლიბრი, მინიატურული პოეზია, ავანგარდული პოეტური ექსპერიმენტები, პოემები, რელიგიური პოეზია, თარგმანები, ნახატები და ა. შ. იგი პროფესიით ინჟინერი იყო, ერთი პერიოდი მუშაობდა კიდეც მშენებლად, წერა ცოტა მოგვიანებით დაიწყო. ერთი ხანობა მთარგმნელობითი კოლეგიის თანამშრომელიც იყო. ავტორია რამდენიმე პოეტური კრებულისა: „დღე კაცისა“ (1990), „შენდამი, უფალო...“ (1992), „გზა განწმენდისა“ (1993), „ხორცის მუზა“ (1993). ბადრი გუგუშვილი 80-90-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ პროცესში ბოლომდე ჩართული საოცრად ემოციური და ბობოქარი ადამიანი იყო. ახალი თაობის არაოფიციალური ლიტერატურული საღამოები თუ აქციები მის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ასეთი ადამიანი არ შეიძლებოდა გულგრილი ყოფილიყო იმ დროს საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი და მუდამ იქ იდგა, სადაც საქართველოს ბედი ავად თუ კარგად წყდებოდა. შიმშილობდა, ხშირად თავის განსხვავებულ აზრსაც გამოთქვამდა დაუფარავად (ყოფილა ისეც, რომ ამის გამო მიტინგიდან სტვენით გაუძევებიათ). სამოქალაქო დაპირისპირებამ, ომმა, სოციალურმა და სულიერმა სიდუხჭირემ და იმედების მსხვრევამ მასში საშინელი დეპრესია გამოიწვია. ბოლო წლებში თითქმის განდეგილივით ცხოვრობდა თავის აგარაკზე, სოფელ დიღომში, წერდა რელიგიურ ლექსებს, ეწეოდა ეკლესიურ ცხოვრებას, თავის სულიერ განცდებს დღიურში იწერდა. და უცებ 1996 წელს, წითელ პარასკევს, თავის აგარაკზე თავი ჩამოიხრჩო.

იმ ტექსტების გარდა, რაც პოეტურ კრებულებშია შესული, მას დარჩა დიდი არქივი, რომელიც შესწავლას, დალაგებასა და გამოცემას მოითხოვს. მისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების რაღაც ნაწილმა უკვე იხილა დღის სინათლე: ისინი დაიბეჭდა გაზეთებში „ალტერნატივა“ და „± ლიტერატურა“, ჟურნალში „სტუდია“. მაგრამ ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია და თუ ბადრი გუგუშვილის მრავალფეროვანი შემოქმედება ასე თუ ისე სრული სახით მიეწოდება ქართველ მკითხველს, ეს მისი ხელმეორედ დაბადება იქნება და ქართულ ლიტერატურულ სივრცეში მას კუთვნილ, გამორჩეულ ადგილს მიუჩენს. ამჟამად მის ლექსებთან ერთად ჟურნალი „აფრა“ გთავაზობთ მისი ნიჭის კიდევ ერთ, საოცარ გამოვლინებას, ნაწილს მისი ანდაზებისა, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლოს წერდა და გაბნეულია მის ჩანაწერებში. ბადრის ნამდვილი სახელი პასპორტით ტრიფონი იყო, თუმცა ამის შესახებ თითქმის არავინ იცოდა და ახალგაზრდობაში იგი ამ სახელს არც სწყალობდა. მაგრამ სიცოცხლის ბოლოს მან თავის ფსევდონიმად ტრიფონ მონანიე შეარჩია და თავის ანდაზებსაც ამ ფსევდონიმით წერდა.

ტრიფონ მონანიეს ანდაზები

მარტოც კულტურული იყავიო

მეტისმეტი პურიც საწამლავიაო

ფეხსაცმელი მარტო ქალამანი როდია, ჯღანიც ფეხსაცმელიაო

ბრძენმა სექსიც ბრძნული იცისო

თავისი ტვინი ვერ ააგო და ტაძარს აგებდაო

წმინდანი კბილებს ტალახით იწმინდავდაო

თოვლი განდეგილის ფაფააო

შრომაც ლოცვააო

კაცის კვერთხი წლებიაო

მოტოციკლი სოფლის მეფეაო

მაწანწალას ყველაზე უფრო უყვარს ფუფუნებაო

ტკიპა ტკიპებსაც ესევაო

კარგმა დიასახლისმა ქათამი წყალში შეწვაო

რეგვენი დიასახლისი ცხიმიან ქათამს ცხიმში წვავდაო

გემრიელ წვენში მძორი გემრიელი გახდაო

პირი გავაძღე, ცხვირი ვერაო

ბაბუაწვერამ თქვა, — რძე მეცა მაქვს, რატომ მე არ მწველიანო

ჯინჭრის ფასი არ იცის, კაპიკის ფასი საიდან ეცოდინებაო

ჯერ ჯინჭრის კრეფა ისწავლე, მერე ფულისაო

ებრაელი ჯინჭრით მილიარდერი გახდაო

ბგერაც საკვებიაო

ამერიკა ხალხთა სასაფლაოაო

ქართველს ამერიკა იმიტომ უყვარს, რომ, როცა საქართველოში ბნელა, ამერიკაში მზეაო, მაგრამ ის კი ავიწყდება, როცა საქართველოში მზეა, ამერიკაში ბნელაო.

ქართველმა თხარა, თხარა და ამერიკა გამოთხარაო

გამძღარმა ხარი შეჭამა, მშიერი თვალით ძღებოდაო

მადას ეშმაკი ზრდისო

სახლი კუჭიაო

ბედნიერება დიდ სახლში ვერ შეეტია და ბუდრუგანაში შეძვრაო

თვალი რომ ზარმაცი არ იყოს, იმ ქვეყანასაც დაინახავდაო

სითბო ყინულშიც არა კვდებაო

ჯერ მჭადის გამოცხობა ისწავლე, მერე თავს მიხედე, აი, შემდეგ კი ქვეყანასო

მწერალიც ხელებით შრომობსო

ნეხვი ეშმაკზე სუფთაააო

მძორი ლპობით გამოშრება მაინც, ეშმაკი კი სულ ლპებაო

გულისცემა ღვთის დიდებააო

ბალახს მიწა კი არა, მზე ზრდისო

ზარმაცის ეზოში ზარმაცმა ვერა, ბალახმა კი გაიხარაო

ენა ყველაზე კარგი დამბაჩააო

პატივი სხვის შეცდომასაც მიაგეო

კარტოფილი ბალახის ხორციაო

ყაირათიანი ეშმაკსაც უყვარს და ღმერთსაცო

კარგმა მეომარმა ათასი თათარი მოკლა და კარგმა მორწმუნემ ათიათასი თათარი მოარ-ჯულაო

თუმც სოფელი ტეტიაა, ქალაქს თავი მაინც ახვრობით გააქვსო

მანქანა ყველგან ვერ დადისო

გამოცდაც ღმერთის მოგონილიაო

ღამით მწერები გალობენო

ავტომანქანამ მანძილი დაბადაო

ჯერ ქალაქს გასცდი და სოფლის გზა მერე იკითხეო

ნაგავი ჩვენი შეცდომაა და არა ღმერთისაო

ღმერთმა ნაგავი არ იცისო

ღმერთს მარადი ერთგულება რომ სჭირდებოდეს, ძაღლის მეტს არავის გააჩენდაო

ბარაქა აზრშიაო

ტალახი ყველაზე კარგი საპონიაო
№
ჯალათი ჯალათს ვერ გაზრდისო

კალია კალკუტაშიც კალიაა

სამოთხეში გაჩენილებმა სამოთხის ფასი არ იციანო

ღმერთს არსად არ ეჩქარებაო

ზომა ხელმა ტვინზე კარგად იცისო

შეიძლება კისერი ბელურის ნეკნზეც მოიტეხოო

სულელი ბალახობდა, პური კი ჯიბეში ედოო

ერთმა ნაშიმშილარმა ასი გამძღარი გალახაო

ნაშიმშილარმა ფრენაც ისწავლაო

კაცს ფრენას არც ღმერთი, არც ანგელოზი არ ასწავლის, თვითონ უნდა ისწავლოსო

ფრენა რომც იცოდე, სიარული მაინც უნდა ისწავლოო

ჭამა და სმა თანდათან უნდა დაგავიწყდესო

მხოლოდ ფიქრი ზარმაცების საქმეაო

სიჩქარეს სიმდორე სჯობიაო

სითბო არა კვდებაო

ალავერდამდე ყველას თავისი გზა აქვსო

დაკვირვებული თვალი ალავერდამდე უმოკლეს გზას იპოვისო

ქურდმა თქვა: ჯალათს უფრო უყვარს თავისი საქმე, ვიდრე მე ჩემიო

ჯალათს თავისი საქმე რომ არ უყვარდეს, თავს მოიკლავდაო

ჯალათმა სისხლს უთხრა: რა თეთრი და სპეტაკი ხარო

სისხლი რომ წითელი არ იყოს, როგორ დავინახავდითო

ბუზის სისხლიც წითელიაო

ნიავმა ქარიშხალს უთხრა, რატომ მარცხვენო?!

ქერა ქალმა შავგვრემანს უთხრა – წითური გჯობიაო

კალათაში არავინ არაფერს არ დებდა და თავის თავს მაინც კალათს ეძახოდაო

გიჟი მთელი ცხოვრება მაგიდაზე იძინებდა და საწოლზე სადილობდაო

ღარიბმა დაიწუწუნა: მომბეზრდა ჩემი საქმე, ქირურგობა უნდა დავიწყოო

მკვლელმა დაიწყო და მე დავამთავრეო – წამოცდა სიმართლე ქირურგს

სკივრში მარგალიტიც ჩვეულებრივი ქვააო

ღარიბი ხატზე ღმერთს ხედავდა, მდიდარი მარგალიტსო

მარგალიტი ზღვის ფსკერიდან ამოიტანეს და ანგელოსმა ეშმაკს უთხრა: ხომ გეუბნებოდი ღმერთი ჯურღმულშიც არისო

ეშმაკმა თქვა: ვაშენე, ვაშენე სამოთხე და ჯოჯოხეთი გამომივიდაო

სამოთხეს ტრაბახი არ უყვარსო

რეკლამა ჯოჯოხეთს სჭირდებაო

ღარიბისთვის ყინულიც საბანიაო

ქვამ თქვა: თავი მე კი არა, ხელმა გაგიტეხაო

ტყვია ბრმა კია, მაგრამ ეშმაკის თვალიაო

თეთრი, თეთრი, თეთრი – იძახდა ღმერთი.
შავი, შავი, შავი – იძახდა ავი.
შავი, თეთრი, შავი, თეთრი – იძახდა კაცი.

ღორმა თქვა: სულ მოშუშულ-მოხრაკულს რომ მაჭმევდნენ, მეც კაცი ვიქნებოდიო

ანტითვითმკვლელთა მარში

აი ჩვენ
რომლებიც გადმოვაფურთხებთ
საწამლავს
რომელსაც შვება უნდა მოეტანა
რომელი ვართ დეზერტირი
შენ თუ მე
აი რაა საკითხავი
შენ
რომელსაც სიცოცხლეს უღალატე
თუ მე
რომელმაც სიკვდილს ვუღალატე
რატომ გგონია
რომ შენზე მეტად არ მეზარება სიცოცხლე

ირონიული

დიდი ამბავი,
ნივთებმა ლაპარაკი რომ იციან,
დიდი ამბავი,
მათი დუმილი
ხშირად სიმღერასაც რომ გვაგონებს –
დიდი ამბავი!
ისინი ხომ
ვერასოდეს ვერ იქნებიან
ყვავილებივით და ჩიტებივით
ც ქ ვ ი ტ ე ბ ი !

თუმცა
ლამაზი ბავშვის თითებში
ქვა ც ე ლ ქ ო ბ ს !

* * *

სახლი მშვიდად დაჰყურებდა
მოზეიმე მშენებლებს –
მან მაინც უწყოდა,
თუ ვინ ააშენა.

კვალი

ქუჩას, მოსახვევს,
ბილიკებს, დარბაზებს,
გემის კაიუტებს, ხიდებს,
სანაპიროებს, პარკებს, ბაღებს

და ზღვასაც ჰორიზონტამდე
გაჰყვება მისი ნაკვალევი,
თვითონ კი არ სჩანს.

ჩემს ლირიკულ გმირს

ჩემზე ათასჯერ ბედნიერი ხარ,
რადგან შენს მონად და მორჩილად გადამაქციე,
შენს სურვილებს ინსტინქტურად ვანხორციელებ.
შენ მიითვისე ჩემი სული, ჩემი სხეულიც
და მთლიანად გსურს ჩამაყენო შენს სამსახურში.
ჩემს წილ ტანჯვას და ვაებას შენ მიითვისებ,
შემდეგ ამით თავს მოიწონებ ხალხის წინაშე.
რატომ არ მაქვს ის სიცბიერე,
შენ რომ გაცოცხლებს სამარადისოდ.
ყველაფერი კარგი, ცუდიც, რაც მჭირდებოდა, მიისაკუთრე
და დამტოვე ცხოვრებაში
ნერვებისა და სისხლის ამარა.
შენ ხომ ჩემი თავიც წამართვი
და თავი მოგაქვს იმით, რაც შენი არ ყოფილა, ვიტყვი, არასდროს.
შენ რომ არა,
ხომ შევძლებდი ცხოვრებაშიც
ისეთი ლაღი, ნათელი ვყოფილიყავი,
შენ რომ იქნები ჩემი სიკვდილის შემდეგ.
ჰო, შენ მართმევ იმ ილუზიებს, მე რომ მჭირდება, აქ, ცხოვრებაში!
შენ მართმევ იმ ნამდვილ განცდებს და აღმაფრენას,
ასე რომ ვეძებ, აქ, სიცოცხლეში.
მიგაქვს ჩემგან ჩემი წილი ბედნიერება,
რათა ამით ჩემს შემდეგაც გაიხანგრძლივო შენ არსებობა.
აქ ავტომატად გადამაქციე და ჩამჩიჩინებ:
გაუძელი,
თავს ნუ მოიკლავ,
ტკივილების სიღრმე იგრძენი,
მარტოობას გაუგეო ნამდვილი გემო,
უნუგეშობა ნუ შეგაკრთობს, იცოცხლეო ჩემი იმედით,
წარმატებას მოგიტანო, ასე მპირდები,
ათასჯერ მეტად თუ იწამებო, ვიდრე ცხოვრების ადამიანი —
რას არ მპირდები, რანაირად არა ცდილობ ჩემს გაცურებას
და აღწევ კიდეც შენსას იმითაც,
რომ ცხოვრების დამიკარგე საჭირო ალღო.
სიცოცხლეშივე უნდა გავერკვეთ,
რაა შენი და რაა ჩემი,
მაგრამ შენ მუდამ დამხარხარებ და მომიწოდებ უანგარობას,
მე კი ვკივი გამწარებული:
არაფერში არ მჭირდება ეგ შენი ლუპა, ტელესკოპი,
რათა ნათლად დავინახო ცხოვრების სახე
და ამით წარვდგე სასახელოდ მომავლის თვალწინ.

შენ ხომ იმასაც ჩამჩიჩინებ,
რომ რასაც შენ ითხოვ,
სწორედ იმასვე ითხოვს ცხოვრება —
მაგრამ მაინც მიპასუხე:
ღირხარ კი იმად,
შენთვის დავთმო ილუზიები,
ღირხარ კი ჩემს ხორცად და სისხლად?!

წიწილები

ცოდვებო, ჩემო პატარა წიწილებო,
ჩემი ფიქრების ფრთებს შეფარებულებს,
რა გიყოთ?
არა ვარ თქვენი ერთგული დედა;
ო, რა თბილად შეიყუჟებით ხოლმე
გონების უხილავ, ხშირად ხილულ
განცდების გარსში;
ვაიმე, ჩემო წიწილებო, რატომ მათბობთ,
რად გაქვთ ეს ძალა;
მე ხომ, თქვენი ბოროტი დედა,
ურჩხულივით დაგყურებთ და
ველი თქვენს სიკვდილს;
მაგრამ დედის ინსტინქტს დამორჩილებული
ხშირად გელოლიავებით კიდეც,
გალაღებულებს
წამების და წლების საფარქვეშ.
ო, რა კარგია, რომ არ იზრდებით,
რომ არ ემორჩილებით ორგანული
ბუნების წესებს;
მაგრამ, ვაი, რომ დიდხანს არსებობთ;
ვინ იცის, როდის დაიწივწივებთ;
ვინ იცის, როდის დაიჩიტებით —
და რატომღაც არ იშრიტებით,
პირიქით, უფრო მრავლდებით და
მეც აღარ ვიცი, როგორ გაგიძლოთ.
თქვენ არც საკვები გჭირდებათ და
არც ლუკმა-პური,
მხოლოდ თვალებში აციალებული სხივით,
ან მეგობრობის საფარქვეშ მოძღვნილ
ამბორით თუ იტაცებთ ძალას,
მომიძღვნით სითბოს და ეს სითბო
ჩემი აზრების დაწყევლილ გზებს
მიჰყვება ხოლმე დასასრულამდე.

უკანასკნელი ავტობუსი

უკანასკნელ ავტობუსში
ალბათ ყველაზე მეტია ის, რასაც დავეძებ...
მათ ვინც უკვე დაიგვიანეს,
ეხლა უკვე არ ეჩქარებათ...
გადაქანცულებს მობეზრდათ დაღლა
და ნებივრობენ ეხლა დაღლის მაგნიტურ ველში...
ავტობუსსაც არ სურს ჯაყჯაყი
და მიცურავს სველ ზედაპირზე...
ლამპიონებმა მოიშორეს ქალაქის მტვერი
და საყვარელის მომლოდინე ქალებივით კვესავენ თვალებს...
ტაქსი ამთქნარებს
უკანასკნელი ავტობუსის მომლოდინე მგზავრების გვერდით...
კვირეებით სახურავზე ნაგროვებ მტვერს ჩარეცხავს წვიმა,
თან უფრო მეტად დაასველებს აივანზე გადმოფენილ
სველ ღამის პერანგს...
შუქნიშანი ათამაშებს წითელ, ყვითელ, მწვანე ბურთულებს,
ხოლო აფიშა იტყობინება, თუ რა სპექტაკლი გასულა გუშინ...
მანდილოსნებთან მოაბიჯებს ვიღაც ამაყად,
უმანდილოსნოდ დარჩენილები მობუზულან გაწუწული ყვინჩილებივით...
ალვა წვრილი ტოტებით ცდილობს,
დამძიმებულ ცას შეებჯინოს...

მუდარა

პოეზიავ, ჩემი სატრფო ხარ,
როგორც არ უნდა ჩამეკონო,
ვერაფრით ვერ მაკმაყოფილებ.
იქნებ მე ვარ გაუმაძღარი
და არ მყოფნის შენი სიავე,
სიამედ რომ მომინათლია.
ო, რომ იცოდე, რა ძალუმად ვგრძნობ
შენს კაპილარებს,
წვეთ-წვეთობით მსურს ამოგწოვო
შენი სისხლის ყოველი წვეთი.
ბარბაროსული გაავებით ველტვი შენს სივრცეს
და ნეტარება მეუფლება გაუგონარი.
შენი დიადი უსასრულობა
მეჩვენება კვერცხის ნაჭუჭად
და სამყარო ჩემს ხელისგულზე ფართხალებს ხოლმე
შეუღინღლავ ჩიტის ბარტყივით.
ო, პოეზიავ, ჩემო უგულო ცოლო,
ახარხარდი და მომახალე ის სიმართლე,
გულდაგულ რომ მალავენ ჩემგან,
ამიხილე სუყველა თვალი და დამანახე
სილამაზე და სიბრმავეც კაცობრიობის.

ო, პოეზიავ, ნუ დამინდობ, მეტად გალაღდი
და მაზიარე უსაკვირლეს მეტამორფოზებს,
გადამისროლე დროისა და ფიზიკის მიღმა,
მოწმე გამხადე კოსმიური კატასტროფების.
ო, პოეზიავ, დამიღარე მთელი სხეული შენი ბრჭყალებით,
გაანაწევრე ჩემი სული აუარებელ ნაწილაკად
და მაზიარე შენი ცეცხლის უზადო ბრწყინვას,
რათა სიტყვა, კოცნასავით რომელსაც მჩუქნი,
დავიხსნა შენი ტყვეობიდან და ჩემით ავანთო.

* * *

გიგრძნიათ
როგორ იძინებს ღამე?
როგორ წვება ის თავის თავში
როგორ იფარებს
სადარბაზოთა ნათურების
დაწინწკლულ საბანს
და თავს როგორ ჩამოსდებს ხოლმე,
ლამპიონებით აქათქათებულ
ქუჩის ბალიშზე?

ეს ბორცვები
მისი უმანკო ძუძუებია
ხვალ მათ უთუოდ
მოასწორებენ.

ხვალ ამ ღამიდან აფრინდება
კიდევ ერთი
პეპელა დღისა

მარცვალი

დამინახა და
— გამომადგებაო! —
იფიქრა.

მე კი ჩემი გაჭირვება
მქონდა:

— ნეტავ როგორ მომივლის,
ნეტავ როგორ მომივლისო? —
ვფიქრობდი.

— მის ხელში ნაყოფი გამოვიღო,
თუ არ გამოვიღოო? —
ვფიქრობდი.

თანაც იმას ვფიქრობდი —
როგორი ნაყოფი გამოვიღო:
როგორიც იმას უნდაო,
თუ როგორიც მეო?!

დღეები, რომლებიც იყვნენ და გაქრნენ

სად წავიდნენ ის დღეები, რომლებიც იყვნენ?
სად დაიკარგნენ ასე უკვალოდ?
თითქოს იმ დღეებმა კარები გამოიხურეს
და თან წაიღეს უამრავი სახელი, ლანდი;
იქნებ გამჭვირვალე, დღისფერმა ბადემ
მომტაცა ისინი —
ხოლო ჩემში კი დატოვა შავი ლაქები,
რომელთა ფონზეც უსახო სილუეტები ირხევიან;
ანდა იქნებ ყოველდღიურის მღვრიე მორევმა
შთანთქა ისინი,
თქვენი და ჩემი სულის ბნელ უფსკრულში გადაისროლა.
ო, დღეებო, ჩემს არსებობას
მე თქვენში ვტოვებ
და ვნამცეცდები მეც თქვენსავით
წუთით, წამებით;
როგორც თქვენ ქრებით უნიადაგოდ,
იმის იმედით თითქოს წაგიღეთ,
მეც თავი უნდა მოვიტყუო,
თითქოს სხვები წაიღებენ
ჩემი სულის ცქრიალა წვეთებს.

სიზმარი

მას ვესიზმრებით
ვისაც ექვსი დღე უშრომია დაუზოგავად.

ათასობით წელი მხოლოდ ჩვენთვის გასულა.
მას კი დაღლილს ჩასძინებია...

მას ვესიზმრებით,
შრომისმოყვარეს!

ათასობით წელი მხოლოდ ჩვენთვის გასულა,
წინაა დიდი ორშაბათი.

ადამი, ევა —
და-ძმასავით, გალაღებულნი
მიმორბიან ედემის ბაღში.

მას ვესიზმრებით.
მხოლოდ ჩვენთვის კამკამებენ
ჭრელი წუთები.

სხვანაირი კი იქნებოდა სიტყვის სიზმარი,
სინამდვილე რომ არ დაგვერქვა მისთვის?

მეარმატურე

თქვენ რა იცით, მე რას ვაკეთებ?
მე წვრილ-წვრილ ძარღვებს და კაპილარებს
ვიპარავ თქვენი სხეულებიდან,
ერთად ვგრეხ, ვწნეხავ
და ამ სახლების ჩონჩხში ჩავადუღაბებ ხოლმე.
ამიტომაც გიზიდავენ ეს სახლები,
ამიტომაც ვერ შორდებით მათ,
ამიტომაც გთბილათ, როცა ამ სახლების კედლებში მოემწყვდევით.
ეს უზარმაზარი გალიები, პატარ-პატარა უჯრედებით,
ჩემი შეკოწიწებულია,
მხოლოდ მე ვიცი მათი საიდუმლოება,
რის გამოც მძულს და მიყვარს კიდეც ჩემი თავი.
თქვენ რა იცით, როგორ ვაკავშირებ ამ ძარღვებს ერთმანეთთან?!
გითხრათ?
თქვენი ფანტაზიებისგან მე მომცრო აბაზანებს ჩამოვასხამ,
რომლებშიც თქვენგან მოპარულ ძარღვებს ჩავაყოფინებ თავებს.
მერე შავ ნიღაბს ავიკრავ სახეზე, მზეც რომ არ ჩანდეს, ისეთს
და ხეებით, ბალახებით, მწერებით, ტაძრებით, ცხოველებით,
უანგარო შრომით, სიკვდილით, სიმღერით, ტანჯვით, მეორეჯერ დანთებული
მზით ავაფეთქებ პაწაწკინტელა ვულკანს და ფერად ლავაში იმგვარად
შეერწყმება ეს ყველაფერი ერთმანეთს, რომ პირამიდების ამშენებელსაც
კი შეშურდებოდა. ზემოთ ჩამოთვლილში აუცილებლად უნდა ჩაეწვეთოს ჩემი სიკვდილი,
გაქრობა, რომელიც იმდენი მაქვს, რა გზაც
ერთხელ და სამუდამოდ დანთებულ სხივსა აქვს.
მერე?
კვლავ გაინტერესებთ?
ამის შემდეგ ვიხსნი ნიღაბს, ავხედავ მზეს და ჩემი ოფლის წვეთები
აციებენ ნაერთს. მეც საშინელ სიცივეს ვიგრძნობ,
დაკრისტალდება დრო და ჩემი სხეული ჰაერის გამჭვირვალე კუბოში
მოექცევა, რომელსაც ხელები, — სწორედ ის ხელები, რომლებსაც ძარღვები
ამოვაცალე ქვა, ღორღ, ქვიშა, ცემენტ და წყალთან არევის შემდეგ, —
ჩემს მიერვე აგებულ ძარღვების კოშკის გარშემო აწყობილ ყალიბებში
ჩაასხამენ და გაკრისტალებული ჩემს სამფლობელოს ვუბრუნდები.
ჰოდა, ეს მეფე გელაპარაკებათ ახლა, კრისტალების მეფე
და მგონი მაქვს ის უფლება,
ძარღვები რომ ამოგაცალოთ.
მართალია მეცოდებით,
მაგრამ ყველაფერ ამას ხომ თქვენივე სურვილით ვაკეთებ,

რომელმაც შეიძლება არაცნობიერადაც დაგიმორჩილათ;
ჰოდა, მიმიძღვის ბრალი რამეში?
თქვენ ხილი იგემეთ, ხილი!
ხო, ხო, ვგრძნობ ჩემს დანაშაულს,
მაგრამ თქვენ კი ხართ წმინდანები,
თქვენ კი არ დაატარებთ ცოდვებს?
ბოლოს და ბოლოს ტყე-ღრეში ხომ არ უნდა გეცხოვრათ?
მოკლედ,
თუ გინდათ, იცხოვრეთ ამ სახლებში,
თუ გინდათ, არა!
მე სხვანაირად სახლს ვერ ავაშენებ,
სხვანაირად ვერ შეიკვრება არმატურა!

ბრძოლისათვის

ხორცს ჩამომაცლით
მაშინ მიწა დარჩება ჩემგან
უსპეტაკესი ნაყოფებით რომ დაიხუნძლება

სისხლისგან დამცლით
მაშინ ჩანჩქერი დარჩება ჩემგან
მოურწყველ ველებს მშობელად რომ მოევლინება

სულს ამომხდით
მაშინ ხომ ცად მოგევლინებით
რომ განახოთ სიდიადე უსასრულობის

* * *

ხელისგულები ეძებენ ქალაქს,
შენს სუსტ ცრემლებზე რომ დაეტევა;
ქალაქს,
რომელსაც შეიფარებს პეპელას ფრთები
და ფუტკრის მიერ ატაცებული ყვავილის მტვერი;
ქალაქს,
რომელშიც ყველა ცხოვრობს,
ვინც ჩვენამდე დაბადებულა;
ქალაქს,
რომელშიც სიკვდილისთვის არ გვიმეტებენ.

ზაზა თვარაძე

პოეტის ჩონჩხი

ერთხელ საღამოს ვიჯექი მარტო,
წინ მედგა ვისკი, არ მქონდა ძალა
არც სიცოცხლისთვის, არც სიკვდილისთვის,
არც ოცნებისთვის, სული რომ მალავს,
თავზე მეხურა, რაღაც გლეხურად,
მეზობლისაგან ნათქერი ჭერი,
ვგავდი მტრებისგან ნაკორტნ ბეღურას,
თუმცა ამქვეყნად არა მყავს მტერი,
ვერ ვგრძნობ ამხანაგს, მხოლოდ ხანდახან
როგორც ქარხანა, მიშტამპავს შეშლილს
ეს ცრუ ქალაქი, და გადაფარავს
წამიერ სითბოს უწმაწურ გესლით,
მხოლოდ ხანდახან ქუჩის ტრომბებში
არტერიული იყმუვლებს წნევა,
როგორც ალხანას თავის ჩალხანა
მიკივლებს: ჰეი! ადექი! მე ვარ!
მოდის ძმაკაცი ლოთურ ბარბაცით
და ღრანჭებიდან ნიჰილიზმს ისვრის,
უსაზრისობა საზღვარს გადაცდა,
საზღვარს გადმოცდა ქვესკნელის ნისლი,
ზღვიდან მოტანილ ფერად ნიჟარებს
ვალაგებ, როგორც ბარტყების გვამებს,
თავს ვეღარ ვაღწევ მლაშე სიზმარეთს,
საშიშ აკორდებს, შემზარავ გამებს,
რაღაც ციფრებად იქცა სინათლე,
სულიც იღვრება სისხლად და წყალად,
მივდივარ სადღაც, ძლივსღა მივათრევ
შერჩენილ ბოდვებს სულ უფრო მკრთალად,
ხელს მიქნევს ჩონჩხი ძმური სინაზით:
„წამო, ძამიკო, გავცდეთ ამ ქალაქს,
ჩაკარგულს ქვაში, ჩაკლულს რკინაში...
წამო, ძამიკო!
გავიქცეთ ჩქარა!“

აბა, მამაო

რა საჭიროა ტყუილები — ისეც მტკნარია
ქვეყანა. ჩემ გულს არასოდეს გაუხარია,
მახსოვს ხანდახან — ნაშუადღევს როგორ დაღამდა
და შეღამება იდგა როგორც ლანდი საგანთა,
მახსოვს ხანდახან — მიმატოვა ქვეყნად მამამან,
მხოლოდ ხანდახან მეხმარება ჩემი მანანა,
ვეძებდი ბინას, თავშესაფარს — ვპოვე სასტუმრო,

დამკლეს, დამსისხლეს, ახლა უნდა დამაბასტურმონ.
აბა, მამაო, დამიხსენი ძე შეცთომილი,
ცარიელ ცისქვეშ ვბორიალობ, როგორც ცთომილი,
მზე აღარ მახსოვს, აღარ ვუმზერ ღამე მთვარესაც,
ჩემ სისხლში ცივმა ქარიშხალმა გაითარეშა,
სიზმარში ვცხოვრობ, დარდი მბაწრავს, ცრემლად ვიღვრები,
აბა მამაო, ამიხდინე ის სხვა სიზმრები,
რომ აღარ ვიყო მოჩმახული, როგორც ზღაპარი,
აბა მამაო, შენი კალთა გადამაფარე.

ჩხრრამმმძძუნგ
(გამოთაყვანება)

ჩხრრამმმძძუნგ! — იყვირა ბავშვმა,
თუმც არ იცოდა მან
ჯერაც ამ სიტყვის მნიშვნელობა.
ჩხრრამმმძძუნგ! — იყვირა დიდმაც,
და არც მან იცოდა ამ სიტყვის
მნიშვნელობა,
ჩხრრამმმძძუნგ! — იყვირეს ქუჩაში ხეებმა და ცაში
ფრინველებმა,
რომელთაც არ სურთ
ქვეყანა გაჩერდეს როგორც ქარხანა
და იხრიალოს ასთმიანივით,
ჩხრრამმმძძუნგ! — ყვიროდა
ხალხი, ძაღლები, და ვიღაც პოეტი,
ვინც ყველას აჯობა ჩუმი შეკივლებით
(შეკივლებაც ხომ სტილია)
ჩხრრამმმძძუნგ! — ყვიროდა სკოლის დირექტორი,
სახელად გრიშა,
დამდევდა უკან
ხელში მაუზერით,
კბილების ხრჭიალით,
მე მახსოვს — ხელიდან ძლივას დავუძვერი,
ჩუმად ლპებოდა კარის დირეზე თოვლი,
ჩემი ნაფეხური, უკან ასხლეტილი
დარჩა იმ თოვლზე,
დღემდე ინახავს იმ ჩემს ნაფეხურს
სკოლის მებუფეტე — ვენერა,
ჩხრრამმმძძუნგ! — ყვიროდა ვენერა,
როცა მეათე კლასელები
საკუჭნაოში ძალად ტენიდნენ
და ასე შემდეგ...
დირექტორი კი
კვლავ მე დამდევდა ხელში მაუზერით —
ბედზე დავუძვერი,
გავძვერი მესერში,
თოვლზე იქვე ეგდო

სხვა მოწაფის ჩანთა,
დირექტორი დაწვდა (ჩემი თუ ეგონა)
წაიკითხა გვარი
ჩხრრამმმძძუნგ! — იყვირა მეტი მძვინვარებით,
თან თითს იქნევდა ჰაერში,
მელოტი,
ხელში მაუზერით,
ჭიშკარს დავუარე, უკნიდან შევედი,
დერეფანს გავყევი — ბნელში ვენერა
საკუჭნაოს კარს ორივე მუშტს
ურახუნებდა,
ჩხრრამმმძძუნგ! — კიოდა სასოწარკვეთით,
რადგან არავის გაახსენდა,
რადგან არავინ გამოუშვა,
რადგან წავიდა ყველა სახლში
და სკოლა დარჩა უკაცრიელი,
რადგან დაღამდა,
რადგან კლასებში
ძველ მოწაფეთა აჩრდილები გამოილალნენ,
დაყანყალებდნენ დერეფნებში,
გამჭვირვალე თეთრი ტანებით,
ჩხრრამმმძძუნგ! — ჩიოდნენ ძლივსგასაგონად,
იქვე მათ გვერდზე
დაბანცალებდა
ძველი დირექტორის ძველი აჩრდილი,
მოღუშულ სახით,
ბორკილებით,
ის ბორკილებს აჟღარუნებდა
და უსმენდა ლანდს
ძველი გამქრალი მებუფეტისა,
და იმასაც ერქვა ვენერა,
ისიც ჩაკეტეს თავის დროზე
ავარებმა საკუჭნაოში,
ჩხრრამმმძძუნგ! — ჩიოდა უსუსური ხმით,
სწორედ მის გვერდზე — ახლანდელი ვენერას გვერდზე,
ჩაკეტილი საკუჭნაოში,
ერთად იყვნენ ქალი და ლანდი,
ორი ვენერა,
და იყო ღამე,
და დედამიწას ორი მთვარე დასტრიალებდა,
და იდგა ქვეყნად ორი აპრილი —
ორი აპრილი ორ გაზაფხულზე
დუმდა სკოლის ყრუ შენობის წინ
ორი ტყუპი კინოთეატრი:
„გაზაფხული“ და ჩამქრალი ... „აფხუ“... —
ერთიმეორის სრული ასლები —
ეჰ, ვინღა მოთვლის გარდასულ ლანდებს,
ანდა სადღაა ის გაზაფხული,
ან თუნდაც — გრიშა მაუზერით

(ძლივს რომ დავუძვერი),
ორი ვენერა,
ორი წარსული,
ორი ნიშანი —
ნიშანი ორი,
ჰა-ჰა, თუ გინდა — ორი-პლიუსით,
ჰა-ჰა, სამი-მინუსით იყოს,
ორი ცა, ორი მთვარე, ორ-ორი
კლასი ორ-ორი დერეფნის ბოლოს,
და ერთი გოგო — ერთადერთი,
სახელად დინარა
კვლავ ერთდროულად ორ დერეფანში,
ორ-ორი ტყუპი კავალერით..
— ასეთი იყო ჩემი ბავშვობა.
ჩხრრამმმძძუნგ! — ვამბობ
და ძლიერ მიკვირს,
რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა დღემდე არ მესმის,
მეორე მე-ს კი (ალბათ აჩრდილს),
სულ რომ თან მახლავს —
ალბათ ნაკლებად.

* * *

ძმასთან ვიყავი,
ღამე იქ დავრჩი,
ვლაპარაკობდით მონაზონ დაზე,
თან არაყს ვსვამდით.
მერე გავედი დასაძინებლად —
აქ არ არის ჩემი სახლი.

დილას გამოვედი,
გავუყევი გზას
დილის სისხამში,
დარში, ავდარში,
ასფალტზე ცოცავენ ჭიანჭველები,
გოგავენ მტრედები,
მუშები, ბოზები...
აქაც არ არის ჩემი სახლი.

ხრიალებს ქარი,
შორს — თბილისის ზღვის ჩამტყდარი პლატო,
გაუმაძღარი არეული ცა
ასე დაბალი, დაბოლილი,
შორს — დანგრეული რაღაც შენობა,
და უშენობა,
და აღარ ვიცი, თავს რა ქვას ვახლი.
თავს რა ქვას ვახლი.

* * *

— ჩემო ტურფავ, დარდებით ხომ არა ხარ დაღლილი?
— არა, არა, გეთაყვა, დარდი არ გამჩენია!
— აბა რატომ წკმუტუნებ უპატრონო ძაღლივით?
— იმიტომ რომ დავფიქრდი: მომავალი ჩვენია?!..

* * *

მარტო ვარ, მარტო ვიძინებ,
ცაში ვარსკვლავი ციმციმებს,
ეს არის რაც კი ვიცი მე:
სიმძიმე, სიმძიმე, სიმძიმე.

* * *

ნისლიანი სევდიანი ამინდია,
შენთვის ჩემი ხვაშიადი გამინდვია
შენ კი, კარგო, სულ მპასუხობ ქიმუნჯებით,
ვერ გავიგე, აგრე რატომ მიმუნჯდები,

თუ ქალი ხარ, რატომ წუნობ ვირებრ ხურმას,
კარგო, ხომ არ დაგაბრმავა შავმა შურმა.
ნისლიანი სევდიანი ამინდია,
შენთვის ჩემი მწუხარება გამინდვია.

დიდი სახლის გარდაცვალებაზე

სახლამდე მივედი ძალიან,
ძალიან, ძალიან ნელი
ნაბიჯით... შევედი, დავჯექი,
ღამეა. არავის ველი.
არ მოვა დესპანი სიცოცხლის,
არ ველი ზეციდან სტუმრებს,
სიკვდილის კოლოფში მინისტრი
უკბილოდ,
უტვინოდ ხუმრობს...
გათიშავ. ღრმავდება დუმილი,
შორს ღამე ჩამოღვრის ბანგებს,
და ვიღაც სულდგმული იდუმალ
ბნელეთში გზასავალს აგნებს
და მიდის სახლამდე ძალიან,
ძალიან დაღლილი სახით:
„ჩემები ხომ სახლში არიან?“...
ახედავს...
მკვდარია სახლი.

* * *

ღრმა კალაპოტში იგრაგნება დიდი მდინარე,
ნაპირებიდან ხმელი წიწვი ტალღებს აცვივა.
მთელი ცხოვრება ოკრობოკრო გზებით ვიარე,
მძინარე მუზებს შევყვიროდი: "მეც ხომ კაცი ვარ!"
ბნელ ვიტრინასთან იდგა მხოლოდ ღამის დარაჯი
საღათას ძილში გახვეული, ძველი ფარაჯით
— მეც ხომ კაცი ვარ — მივესალმე — აქ, ამ ქალაქში?!
მან ექოსავით მიპასუხა:
— ზაზა თვარაძე!..
ვხედავ, ბავშვები თამაშობენ ჩემი დღიურით,
ფურცლებს ახევენ და უშვებენ ცაში ჩიტებად.
ქვეყნის სიგიჟემ ეს ბავშვებიც გაატყიურა,
მათი კაცობა აღარავის მოეკითხება.
ღრმა კალაპოტში იგრაგნება დიდი მდინარე,
ნაპირებიდან ხმელი წიწვი ტალღებს აცვივა,
მთელი ცხოვრება ცოდვილიან გზებით ვიარე,
ქვეყნის სიგიჟემ გამომხრა და გამომაცივა.

შერ-ხან

იმ უხსოვარი ხანიდან მახსოვს,
სინათლე როგორ შემოდიოდა,
დრო ქსოვდა თავის უქსოვარ საქსოვს,
მე მწვავდა ალი ემოციათა.
მე სხვებს არ ვგავდი, და ახლა მიკვირს —
ყველას ხომ ახლდა ის „მე" საკუთრად,
როგორც მარილის პატარა მწიკვი
ან როგორც წვეთი წყალი ნაკურთხი.
ჩემზე ამბობდნენ: მამამისს ჰგავსო —
და სხვებიც, ალბათ, ჰგვანდნენ მამამათს...
დრო ქსოვდა თავის უქსოვარ საქსოვს,
ფაქიზად, ფრთხილად, და თან — თამამად,
და ცოცხლდებოდა მაღალ ცის ნამით
ამქვეყნად მკვდარი ყველა საგანი,
გვამი, ნაკვთებად დაჭრილი ღამით,
ნასხეპი ბასრი იატაგანით.

ბაბუაწვერა

ზოგჯერ ჩემს გულში გაიხსნება
უცნობი სკნელი
და ველი ლანდებს, ველი ჰანგებს,
სასწაულს ველი,
მეწამულ ნისლში იძირება
მთები და ველი,

არ მოჩანს ფსკერი, ერი-ჰერი,
არ მოჩანს ფსკერი,
ღმერთო, შენს კალთას შემაფარე,
მომეცი ჭერი.
შტერი ვიყავი — კი არ ვნანობ,
შტერი ვარ ჯერაც,
მინდვრებზე ვფრინავ
ვით ბებერი ბაბუაწვერა.

* * *

ცარიელია ღამე და დღე და
საღამო, დილა და ყველა წამი,
და ყოველ საგანს, რომელსაც ვხედავ
ედება ჩუმი სიკვდილის ნამი
და ცვარი შიშის, და წასვლის სევდა,
და სიცოცხლიდან აღძრული აზრი,
და ყველა ნაბიჯს, რომელსაც ვბედავ
ედება სრული სიცოცხლის ფასი.
არის სინათლე, მაგრამ სინათლეც
დაბადებითვე არაფერს მალავს,
ცარიელია ღამე და დღე, და
თვით სინამდვილეს აკლია ძალა.

ჭალას ჩიტი

ჩემ გულში მკვდარი ჩიტები დაგროვდნენ
თავთავიანთი წუხილებით და გაჭირვებით,
სისაწყლით, მკვდარი ჩანაფიქრებით, დანაკარგებით —
გული გაავსეს, ყველა ზომას გადააჭარბეს,
ჩემი გული პატარა ქვაბი არ არის,
მკვდარი ჩიტები ეცოტაოს —
დიდი ქვაბია და ესენი
იმაში ვეღარ ეტევიან,
მიყურებენ და ჩურჩულებენ: გვიპატრონე!
ვერაფერს ვშველი.
ასე დავსახლდი ჯოჯოხეთში,
მკვდარი ჩიტები ჩემს დიდ ქვაბში იხარშებიან,
ქვის კვერცხებს დებენ და ჩურჩულებენ:
„რამე იღონე, მოისაზრე,
გაგვაფრინე ან გააფრინე!“
მკვდარი ჩიტები:
მათი ნახარშით სავსე ეს გული
გალობას იწყებს, როგორც ბულბული,
ჰყვება შავ ზღაპარს,
და ამ ცხოვრების ნათელ-სიბნელე
გულზე გეცხება, თვალებს გიბნელებს —

ღამდება სწრაფად.
ჩიტებით სავსე გული-ურჩხული
და ფრთაჩაწყვეტილ ჩიტთა ჩურჩული
სინანულს ცრიან,
ვეღარ იგონებ მინდვრებს, თავთუხებს,
ვერმოგონების დარდი გაწუხებს,
მოხვედი გვიან.
ზღაპარ იყო და
იყო ზღაპარი
ჭალას ფრინველი იყო ჩამკვდარი
ჩაწყვეტილ ფრთებით,
რამ მოგალანდა მთელი ამქარი,
ამდენი ხალხი მიუსაფარი —
შენც მათთან ქრები.

* * *

მორბის ვიღაც უსინდისო,
გაწვდილ ხელში ლურსმანს გისობს...

მოძღვართა ქორო:

მორბის ვიღაც უსინდისო,
გაწვდილ ხელში ლურსმანს გისობს,
რატომ არ გმობ შენს გულისთქმას,
ეშმაკისგან რომ მოგდისო,
რატომ არ გმობ შენს ცხოვრებას
შენც თუ არ ხარ უსინდისო.

ხალხი ხარობს, გირბენს ირგვლივ,
გაზომებენ ეკლის გვირგვინს...

მოძღვართა ქორო:

ყველა ხარობს, ხტუნავს ირგვლივ,
გაზომებენ ეკლის გვირგვინს,
იმ უნათლავ ბავშვს შეხედე,
ჯოჯოხეთში როგორ მირბის,
იმ უნათლავ ჩვილს შეხედეთ,
გეენაში როგორ მირბის, ვაი!

ეს ქვეყანა რჩება ჩალად,
კაცი უკვე მიიცვალა.

მოძღვართა ქორო:

ეს ქვეყანა რჩება ჩალად,
ერთი კაცი მიიცვალა,

ზატო მრევლი გაგვიმრავლდა,
კვლავ დავრჩებით დავლა-მრავლად,
თუ გინდა რომ შენც ირწმუნო,
დაატანე შენს თავს ძალა,

ცისო, ცისო, ქარი ქრისო,
ქარს სადაც სურს, იქ დაქრისო,
ისმენ მის ხმას, თუმც არ იცი,
სად მიდის და სით მოდისო.

მოძღვართა ქორო:

ცისო ცისო, ქარი ქრისო,
ცა ცრემლსა ღვრის, წვიმა ცრისო,
არ ისმინო მაცთური ხმა,
არც მიწის და აღარც ცისო,
ზესთა ქვეყნის ანგელოზებს,
ჩვენს დაჩაგვრას ვინ აცლისო!

ტკბილ-ქართული ისტერია

თვარაძემ თქვა: ჭურში ვზივარ, არვინ მოვა ჩემთანაო,
მევალე თუ მინახულებს შერიგებულს ბედთანაო,
ჩემს სამშობლოს არ ვუნდივარ, წილი ყარა ღმერთთანაო,
გროშ-კაპიკი არ მიჭყავის,
სული კბილით მიჭერია,

სიყმაწვილეს აღარ ვჩივი, დამეკარგა სინამდვილეც,
ერთი ჩემი მანანაა, ცხოვრებას რომ მიადვილებს,
ხან დავთვრები, ხან ვფხიზლდები, ჩემ სულს შორ-შორ მივაცილებ
და ჩამესმის მწარე ნანად
ტკბილ-ქართული ისტერია.

ვირთხა-აჩრდილი

ამქვეყნად ახლადგაჩენილი რომ ვიყავი —
ასე 8-9 წლის —
დაძინების მეშინოდა.
ღამე ვიწექი და თვალწინ მედგა
ეს შორეული, უცხო სამყარო,
შიგ რომ უცნობი საფრთხეები ჩასაფრებულან,
შინაგანი და უსხეულო ცახცახით სავსე.
მესმოდა და-ძმის და დედ-მამის გულსავსე ფშინვა
სხვადასხვა ხმაზე —
ისინი იყვნენ,
თანაც არ იყვნენ,

იქვე, ახლოს და
თანაც არსად —
ოთახში მათი გათიშული ტანები იწვა,
იგრძნობოდა რაღაც სიგიჟე,
დამარცხება,
გემო ღალატის,
და მათი მხრიდან —
ამ ყველაფრის არდანახვა და არადჩაგდება.
ხანდახან ბნელი გარესკნელიდან
ჯოჯოხეთის ხმა მოისმოდა —
ყმუილი, ყეფა, რაღაც სიცილი,
ღამის კედელზე
მანქანების ფარების შუქი ნეილონივით ზიმზიმებდა,
ხოლო სოფელში, ბნელ იატაკზე
ნეილონივით გაირბენდა მსუქანი ვირთხა —
ამ ბნელი ქვეყნის ღვიძლი ასული,
სისხლი და ხორცი,
თავისიანი თვისიანთა გარემოცვაში,
ვირთხა-აჩრდილი,
და წყნარ მუსაიფს უმართავდა ჰაერის მცველებს.
ჩვენ კი ვიწექით დეკეულივით.
მაგრამ ერთ ღამეს, საღათას ძილში,
ჩემმა ძმამ უცებ ბოდვა დაიწყო
და აი, რა თქვა:
ამომუმბრე მუმბრუბუძდები,
ნუმაბმამრი ბურნუმთი,
აგერ აგერ მუდარმუმბრუძე,
ბურუდმბრუ მამბრუდაბი ძაქ.

გველი ხაროში

დიდი, მწითური, ცხელი
გაიზლაზნება გველი,
დამიფრთხობს აზრის ბუზებს
ის, ყველა აზრის მკვლელი.
მე დავზოზინობ მარტო,
ვზომავ ოთახის ფართობს.
დიდი, მწითური, ჭრელი
დადის ფრთიანი გველი,
ზომავს საზარელ მინდორს.
აღარაფერში მინდობს,
დავიზლაზნები მარტო,
ვიგრძნობ — სუსტდება მაჯა
ვიგრძნობ — გარჩენილს სარზე
უსაშველობა მტანჯავს.
ყველა საგნიდან ირგვლივ
ჟონავს თხევადი შხამი,

ვით უფერული ზეთი,
ვით ლენცოფადან ნამი,
იხილე ესე ჟამი,
წავა ვითარცა წამი,
აწვე განწმიდე გვამი,
აწვე განწმიდე გვამი,
მივალ, გადავშლი ფსალმუნს,
ვიგრძნობ ნიავთა ლამუნს,
ვიგრძნობ, და ისევ გრძელი
გაიზლაზნება გველი,
ნიავის ნაცვლად ალმურს
მომდებს, ქვავდება პულსი,
ტვინში იხსნება ხარო
და ჩამსისინებს სულში
ხარო და არცა ხარო.

* * *

დაცარიელდა მიდამო,
ჩიტი გაიფრენს წივილით,
ჩემს ტვინში შენი ხატება
გაკრთება ჩიტის ჩრდილივით,

ამიტანს ბლანტი ნაღველი,
რომ ჩემთან აღარ იქნები,
ლიბრი მოედო სარკმელებს,
ჩრდილით ავსილან წიგნები,

დაცარიელდა მიდამო,
დღე იწურება ტკივილით,
ხსოვნაში შენი ხატება
გაიფრენს ღრუბლის ჩრდილივით.

მონსტრები მღვიმეში

რა არის, როგორი მომთხოვნი გამიხდი,
კარგი, გეტყვი რაც გსურს, ბოლომდე გავიხდი,
ჰო, სულ არ მრცხვენია ამ სახის, ამ პირის,
ჰო, სულაც არა ვარ ურცხვი და თახსირი,
მზის გულზე ფრინავენ მონსტრები — ჩიტები,
რა გიყო, მივდივარ, გიქრები, გიკვდები,
ვერაფრით შევაღე სიცოცხლის კარები,
დადიან მონსტრები — იხტიოზავრები,
მღადრავენ მზეები, თათები, თითები,
თუთები, ალვები, ტოტები, ტიტები,
მიდიან წამები, მიდიან წუთები,

მონსტრები მღვიმეში, ძარღვებით, კუნთებით,
ჯავშანთა ლიცლიცში ვერ ვხედავ შენ სახეს,
მივყვები ტალანებს, გავყვირი შენ სახელს,
რა გიყო, ოდესმე შეგხვდები, შეგძახებ,
მოქნეულ ლერწამის ტანივით შეგარხევ,
იქნება ფოთლებზე ნეტარი შხეფები,
იქნება ოდესმე, როდესაც შეგხვდები,
შევეხოთ ერთმანეთს გაწვდილი თითებით
ვით სტალაგმიტები და სტალაქტიდები.

მოკლულ მეგობარს

მენე თეკელ ფარეს
მეგობარო,
ლამა საბაქთანი,
ის რაც არის, არის,
ხოლო რაც წავიდა,
ის აღარსად არის — ჩვენი
წარმოსახვის გარდა,
მისი არსებობა მოჩვენებითია,
თუნდაც ერთ დროს ისიც ყოფილიყო თეკელ
ფარეს არსებული:
ის არსად არსებობს — შენ კი მხოლოდ ხედავ
მის ანარეკლს ქარში, შენკენ გაელვებულს,
როგორც სხივზე სარკმელს,
რადგან რაც წავიდა, ის ამქვეყანაზეც
ტოვებს ილუზიურ ლანდებს არსებობის,
ტოვებს ათინათებს,
გაიხსენე თუნდაც
ადრე დაკარგული ვინმე კაცთაგანი —
ის ხომ არსად არის ამ დედამიწაზე,
არცერთ დროში, არცერთ
განზომილებაში,
წარმოსახვის გარდა, ჩემო მეგობარო,
მენე თეკელ ფარეს
ლამა საბაქთანი.

უცნაურ სახეს

ამ გამოფიტულ ცარიელ ბინას,
რომელსაც მთელი ცხოვრება ვიცნობ,
რომელიც დიდი მეგონა წინათ,
მერე კი გახდა ბნელი და ვიწრო,
ამ გზააბნეულ ლანდების ქალაქს,
სადაც ცურავენ ჩრდილები ღრუბლის,

ზოგჯერ სიგიჟე გადადის მალაყს,
ზოგჯერ კი შიში ხერხემალს უღრღნის,
ამ კოშმარივით ჩახლართულ ქუჩებს,
უცნაურ სახით, უბედურ ბედით,
და ამ სინათლეს — ცივსა და უჩვევს,
და ქარში შენს ჩრდილს, რომ მომდევს გვერდით
და დაძახებულ საკუთარ სახელს
მე მოვიგონებ ოდესმე სხვაგან,
როგორც ბავშვობის შორეულ ნაღველს
და აუხდენელ ოცნების საგანს.

მძინარე მზეთუნახავები

(ესე)

მე-19 საუკუნეში რუსმა სამღვდელოებამ კირით გადაგოზა ძველი ქართული მართლმადიდებლური ფრესკები — ერეტიკული მოეჩვენათ. მათგანვე დაპყრობილ და გაუქმებულ საქართველოს ეკლესიაში ქართული ენა და თავისუფალი აზრი გააუქმეს — ამის ერთ-ერთი შედეგი იყო სარწმუნოებით ცნობილ კუთხეში, გურიაში ხალხის სრული გაათეისტება. რუსმა მამებმა მატერიალურადაც გაძარცვეს საქართველოს ეკლესია. ეგზარქოსმა ქართველი ერი დაწყევლა, ამ დროს კი იმ საუკუნის ერთ-ერთი რუსი მამა წინასწარმეტყველებდა: რუსეთის წმინდა მიწას ანტიქრისტეს მეუფება ვერ დაიმონებს, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრიაო, ხომ წერია ბერძნულ წყაროებში — ივერია ღვთისმშობლის წილხვედრიაო, და აბა, რუსეთს (ივერიის დამპყრობელს და ქართული ეკლესიის მიმსაკუთრებელს) ანტიქრისტეს მეუფება როგორ შეეხებაო. არ ვიცი, შეიძლება თუ არა წართმეული და მითვისებული მადლით ცხონება — ეს ღმერთმა იცის — აქ კი მხოლოდ ერთი რამე ჩანს — ასეთია რუსების აზროვნება: წაგართვი? ესე იგი, ჩემია. უკან წაღებას მოინდომებ? ესე იგი, მოძალადე და ტერორისტი ხარ.

(ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რუს მამებს რომ მართლმადიდებლური ფრესკები კირით არ გადაეგოზათ, ალბათ ვერც კომუნიზმი გაიმარჯვებდა, ვერც ლენინურ-სტალინური და ბერიულ-იბერიული რეპრესიები იქნებოდა, ვერც ეკლესიას დააქცევდნენ ბოლშევიკები და ვერც ანტიქრისტე გამეფდებოდა 70 წლით რუსეთშიც და მეექვსედ მსოფლიოშიც. მერე მათ წარმოსახვაში ეს მეექვსედი არ გახდებოდა მეშვიდედი, მერვედი, მეათედი და ა. შ.).

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონი ჯერ ლიტვაში გადაასახლეს (ვილნიუსში დგას ქართულის მსგავსი ტაძარი, შეიძლება იმდროინდელი), მერე მარტყოფის მონასტერში მოკლეს — ვინ მოკლა და როგორ, დღესაც არავინ იცის.

საქართველოს ეკლესიამ რომ ავტოკეფალია აღიდგინა, ეს ყველამ ცნო რუსეთის ეკლესიის გარდა — 30-იან წლებამდე მოძმე რუსეთის ეკლესია ამ ავტოკეფალიას არასდიდებით არ სცნობდა. აბა, რა ექნათ — რომ ეცნოთ, მაშინ ხომ აღარ იქნებოდა რუსეთის კურთხეული მიწა ღვთისმშობლის წილხვედრი, და ევროპელი ანტიქრისტეები ხომ ადვილად მოერეოდნენ. ამ დროს კი მართლა ანტიქრისტე შიგ შუა კრემლში იჯდა და ახლაც იქ არის (ბოლშევიკები ანტიქრისტეობას არც მალავდნენ, ლენინი კი მე-20 საუკუნის უდიდეს ანტიქრისტედ მოიხსენებოდა სიამაყით).

ის აზროვნება, რომ რაც მინდა უნდა წაგართვა და რაც წაგართვი უკვე ჩემია (მათ შორის მადლიც), და რომ თუ წართმეულის უკან დაბრუნებას მოინდომებ, მოძალადე და ტერორისტი ხარ — ეს აზროვნება ველური აზროვნებაა, უფრო სწორად — ინფანტილური აზროვნება.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ჩვილ ბავშვს ბინოკულარული მხედველობა არ გააჩნია. ამიტომ საგნებს სიბრტყისეულად აღიქვამს. ჩვილი ხელს უპოტინებს საჩხარუნოს, რომელიც მის თვალებთან მიაქვთ. იგივე ჩვილი ხელს უპოტინებს მთვარესაც — რადგან აქვე, ახლოს ჰგონია. თუ არ მეშლება, რაღაც ამდაგვარად აზროვნებენ ჩვენი ერთმორწმუნე დიდი ძმები: ხელს უპოტინებენ ყველაფერს, რასაც ხედავენ. თუ ვერ მიწვდნენ, გულსაკლავად ტირიან: Зачем с Россией так?! — გულდათუთქული ეკითხებიან წარმოსახულ თანამოსაუბრეს (ეს უკანასკნელი მუდამ თან ახლავთ და რაღაცებს ჩასჩურჩულებს). თუ არ მიეცი — ტირიან, თუ მიეცი — მოგაჭამენ. ტოტალური ინფანტილიზმით დაავადებულ ადამიანებს მარტო თავისი თავი უყვართ, ეჩვენებათ, რომ ამქვეყანაზე ყველაფერი მათთვის არსებობს, და გულწრფელად უკვირთ, თუკი მათდამი სიყვარულს სხვები ნაკლებად გამოხატავენ. მე ხომ წაგართვი, გაგლახე, დაგამცირე, — ფიქრობენ ისინი, — მაგრამ ხომ

ასეთი საყვარელი ვარ. მაშ, რატომ ძალადობ, რატომ არ გიყვარვარ? ამ შეუვალი ლოგიკით განცვიფრებულ მოპირისპირეს აბსოლუტურად ებნევა თავგზა და იძულებულია ერთი ესღა უპასუხოს: — იმიტომ! მაგრამ ინფანტილიც და გალახული მოპირისპირეც გრძნობენ, რომ ეს პასუხი არადამაკმაყოფილებელია. და იწყებს ადამიანი თავის თავის ჩხრეკას — რა დამიშავა რუსმა? რატომ არ მიყვარს? და სინამდვილეში რატომ მიყვარს? მან ხომ რაღაც მართლა დამიშავა. მაგრამ რა დამიშავა? რატომ არ მიყვარს? და ა. შ. ინფანტილი ხარობს, როცა მთელი ყურადღება მისკენაა მიმართული. ინფანტილი ვერ იტანს გულგრილობას — და ყურისწამღებად ტირის, ფეხებს აბაკუნებს, ფეხსაცმელს მაგიდას ურტყამს, პაწაწა მუშტებს გიშენს, თუ დიდი ბომბი მოხვდა ხელთ, დიდ ბომბს დაგიშენს. თუ შენც დაარტყი, აწკმუტუნდება: Зачем со мной так? Как-же это так?

თუ შეგეცოდა და ბოდიში მოუხადე, გაბუტული მოგიტრიალდება: Теперь уже поздно! — გეტყვის და ისე გრეხვავს, ანგელოზები დაგიფრთხება ცუდო ბიჭო. მთელი ცხოვრება რომ ემსახურო და ბოლოს ერთი სამართლიანი შენიშვნა მისცე, ტამბოვში გადაგასახლებს და ძალაყინით გაგიტეხავს თავს. თანაც დაგწყევლის — ანტიქრისტეს მსახურად გამოგაცხადებს.

ასეთი აზროვნების ნიმუში ბევრია. ასეთი იყო, მაგალითად, ავღანეთს რომ ავღანელებისგან ათავისუფლებდნენ და ავღანური სიტყვა დუშმანი (რაც იმ ენაზე მტერს ნიშნავს და მეტს არაფერს) თვითონ ავღანელებს დაარქვეს. პოლიტიკოსები და ჟურნალისტები გულდათუთქული მოთქვამდნენ ღია ეთერში, სრულიად გულწრფელად, რომ ეს ავღანელი დუშმანები არ ანებებენ მათ ავღანეთის გათავისუფლებას. ვერაფრით გაეგოთ — რატომ არ ანებებდნენ. მანამდე ხომ ავღანეთის მთავრობამ თვითონ მიიწვია საბჭოთა სპეციალისტები სოფლის მეურნეობის ასაშენებლად, სსრკ მთავრობამაც ხომ გულკეთილად გაგზავნა ეს სპეციალისტები ერთი ადამიანური, უბრალო და კონკრეტული დავალებით — რაც შეიძლება მოკლე დროში ერთიანად დაექციათ ავღანეთის სოფლის მეურნეობა, რომ მერე ადვილი ყოფილიყო დუშმანებისგან ამ ქვეყნის გათავისუფლება. ასეთი იყო საბჭოთა რუსული პოლიტიკა. ალბათ, ამიტომაც ელანდებათ დღესაც საბჭოთა-რუსულად მოაზროვნე ქართველ ინფანტილებს ამერიკისგან დაქცევა — ისინი ფიქრობენ, რომ ამერიკა იმიტომ გვეხმარება, რომ სინამდვილეში დაგვაქციოს და მერე ადვილად გაგვათავისუფლოს ჩვენივე დუშმანი თავისგან.

ინფანტილი ვერაფრით წარმოიდგენს, რომ ის შეიძლება ვინმეს არ უყვარდეს — ამიტომ ყველას საყვედურობს, ყველა უმადური ჰგონია. თავისთავს კი არასოდეს არაფერს დააბრალებს, რადგან ის ღვთისგან შექმნილი ერთადერთი და შესაბამისად, უძვირფასესი არსებაა. ინფანტილი მარტოა სამყაროში. ამიტომ გამუდმებით ეძებს ვიღაცას (ეს კარგი თვისებაა), მაგრამ ვისაც პოულობს, ის არაფრად ეჩვენება — რადგან სხვანაირია, სხვა ღმერთის მონაჩმახი, ნაკლოვანი ქმნილება, რომელიც უნდა გამოიყენო და გადააგდო, ხოლო მისი ძვლები მძივებივით ჩამოკიდო ყელზე შენი მკვდარი ბელადის მუმიას.

მარკიზი დე კიუსტენი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რომ იმოგზაურა რუსეთში, განცვიფრებულია, რომ რუსები ყველაფრით ამაყობენ — თავისი ქვეყნის ბუნებითაც კი. საკუთარი ბუნებით სიამაყეც ინფანტილური თვისებაა. ეს თვისება, არ ვიცი როდის, რუსებისგან ქართველებსაც გადმოგვედო — მეცხრამეტე საუკუნემდე ქართულ ლიტერატურაში ვერსაც ნახავთ საკუთარი სამშობლოს ქებას, მეოცეში — უხვად. ყველან მამული-მამული გაისმის. ილია ჭავჭავაძე ქართველებს თათხავდა, მისი უნიჭო მიმდევრები კი ლექსებშიც საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ. ბევრ ჩვენგანს ახლაც ჰგონია, რომ ჩვენ კარგები ვართ, რადგან ყველა გვიყვარს, სხვები კი ცუდები არიან და არავინ უყვართ. 1988 წელს ლიტვაში ვიყავი. ჩემმა მასპინძელმა რუსები აგინა. დავეთანხმე. მერე პოლონელები აგინა — ესა და ეს დაგვიშავესო, მერე — გერმანელები. ეს კი გამიკვირდა.

— უცნაურია, — ვუთხარი, — ნუთუ ლიტველებს არც ერთი მეზობელი არ გიყვართ: არც პოლონელები, არც გერმანელები არც რუსები... ჩვენ, ქართველები სულ სხვანაირები

ვართ — ყველა მეზობელი გვიყვარს. — ეს ვთქვი და სერიოზულად დავფიქრდი: მაინც რომელი მეზობელი მიყვარს? გონებაში ჩამოვთვალე ყველა ჩვენი აქტუალურად საყვარელი მეზობელი: რუსები, სომხები, თათრები... თავო ჩემო, — სიყვარულის ნიშან-წყალიც კი ვერ ვიგრძენი. საქართველოში ბევრს, რუსებს კი, მგონი, ტოტალურად დღესაც ჰგონიათ, რომ თვითონ ყველა უყვართ, ამ სიყვარულით ანთებულები ეხვევიან და ახრჩობენ სხვა ერებს, და ძალიან უკვირთ, როცა საპასუხო სიყვარულს ვერ ხედავენ. ეს არის ვამპირი ბავშვის სიყვარული, მახრჩობელა სექსი.

რუსული ინფანტილური აზროვნების ნიმუში ბევრია. აი, 80-იანი წლების ბოლოს რედაქციაში ვიდექით და პოლიტიკაზე ვლაპარაკობდით. რუსული ჟურნალის თანამშრომლებიც იყვნენ. ერთმა უნგრეთის მაგალითი მოიტანა — საბჭოთა ტანკები ბუდაპეშტში რომ შევიდნენ და ხიდზე მწოლიარე ქალებს და ბავშვებს გადაუარეს. როგორ უნდა მოქცეულიყო ტანკისტთა მეთაური? — იკითხა ამ კაცმა (ქართველი იყო, მაგრამ რუსულ ჟურნალში მუშაობდა და რუსულად საუბრობდა), — ერთი მხრივ, ადამიანური თვალსაზრისით, არ უნდა გადაევლო ბავშვიანი დედებისთვის, მეორე მხრივ, როგორც სალდათს, ბრძანება უნდა შეესრულებინა. ისიც შტაბს დაუკავშირდა. „იმოქმედეთ ბრძანების შესატყვისად!“ — მიიღო შტაბიდან. რა უნდა ექნა? გადაევლო თუ არ გადაევლო? აი, საკითხი! — დაასრულა ამ კაცმა. ეს მართლაც ჰამლეტური საკითხია, მაგრამ იქ მდგარმა რუსმა თანამშრომელმა ქალმა სრულიად წარმოუდგენელი გაგრძელება მოუძებნა (ინტელიგენტმა, განათლებულმა ქალმა), ისეთი დაუჯერებელი, რომ განცვიფრებისგან პირი დავაღე და დღემდე არ დამიხურავს. აი, რა თქვა მან: „უი, ეგ საძაგლები (უნგრელები)! იცოდნენ ჩვენი კეთილი გულის ამბავი, იცოდნენ, რომ ქალებს და ბავშვებს არ გადავუვლიდით და ამიტომ ჩააწვინეს ტანკების წინ ქალები და ბავშვები!“ სრულიად დავიბენი. კი მაგრამ, რომ გადაუარეთ?! მამაცხონებულო, შენ გადამიარე და კეთილი გულიც შენა გაქვს? ეს რა ლოგიკაა? — ეს ინფანტილური ლოგიკაა, — მიპასუხა სათნო რუსმა ქალბატონმა, — მე ხომ ყველა მიყვარს, თვით მტრის ქალები და ბავშვებიც კი. და ძალიან მიკვირს, რატომ არ მომაგებენ სიყვარულის წილ სიყვარულს!

ინფანტილიზმი განვითარების შეფერხებაა, როცა მოწიფულ ასაკში სხეულს ან სულს გამოყოლილი აქვს ბავშვის შესაფერი თვისებები (საბავშვო ასაკისთვის დამახასიათებელი ფიზიკური აგებულება ან ხასიათის თავისებურებები). ინფანტილი ბავშვივით ეგოცენტრიკია, ბავშვივით ჭირვეულობს, ტირის, ფეხებს აბაკუნებს და ამით ოსტატურად მანიპულირებს სხვა, უფრო გულჩვილი და გონებაჩვილი ადამიანებით. თუმცა ინფანტილის გონებაც არ გამოირჩევა სიკისკასით — მან რამდენიმე ეშმაკობა იცის — ის, რაც გასვლია და გასდის — და მეტი არაფერი. ინფანტილი ბავშვის იმიტაციაა, ბავშვობაში ჩაძინებული და ვეღარ გამოფხიზლებული დიდი იდიოტი.

რუსული პოლიტიკა და აზროვნება დღესაც ასეთია. ამის ნიმუში იყო აგვისტოს ბოლოს მოსკოვში მოწყობილ ანტიქართულ აქციაზე ვიღაც ნახევრად ინტელიგენტური გარეგნობის ჭარმაგი რუსის გამოსვლა. „საქართველოს უნდა გადავუკეტოთ ჟანგბადი, — სამართლიანად გამწყრალი და გულაჩუყებული ქადაგებდა ეს კაცი, რომლის ჭაღარას მაინც დაუჯერებდი, სიტყვებს თუ არა, — უნდა გადავუკეტოთ გაზი, ნავთობი, ელექტროენერგია და აი, მაშინ კი გაიგებს ქართველი ხალხი (грузинский народ), თუ ვინ არის მისი მტერი!..“ აბა, რა! რაღა თქმა უნდა! კაცი რომ ჟანგბადს, გაზს და ელექტროენერგიას გადაგიკეტავს, მაშინ მიხვდები, ვინ არის შენი მტერი! — ეს შენი საკუთარი მთავრობაა, რომელიც ექვსი თვის წინ აირჩიე იმ იმედით, რომ იქნებ როგორმე ადამიანურად იცხოვრო. სწორედ ეს არის შენი მტერი (ავღანურად რომ ვთქვათ — დუშმანი) და არა ის, ვინც ჰაერი და სინათლე გადაგიკეტა. ასეთი შეუვალია ინფანტილის ლოგიკა — იდიოტის ლოგიკა. ამ ლოგიკით გაიმარჯვეს კომუნისტებმა და სისხლის ზღვები დაძრეს, ამ ლოგიკით ქართველი პოლიტიკოსების ნახევარი ისევ რუსეთს მისტირის, ამ ლოგიკით ქართველი „მართლმადიდებელი“ ფუნდამენტალისტები თავისუფალ და საღ აზრს — ღვთისგან მოცემულს — არ აჭაჭანებენ ღვთის

ტაძარში და კირით გოზავენ უძველეს მართლმადიდებლურ ფრესკებს, სულის სიღრმეს, ქრისტიანობის პირველწყაროს. ისინი ყველგან დუშმანს და ანტიქრისტეს ხედავენ — იმას, ვინც თავიანთ თავში ჰყავთ უმზეოდ გამომწყვდეული. რუსულ ხატებზე მლოცველი ეს მძინარე მზეთუნახავები პიროვნულ სულს არ სცნობენ. სული კი ამ დროს ქარივით არის — დაქრის სადაც უნდა, გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის.

2006. 21. XI.

ზაზა აბზიანიძე

ჩემი ცხოვრება უცნაური...

(ტერენტი გრანელის ლიტერატურული პორტრეტი)

„სიკვდილის იდეა ამძაფრებს სიცოცხლის აგ ზნებულ წყურვილს“
პასკალ კინიარი

ტერენტი გრანელმა ტრაგიზმითა და სასოწარკვეთით აღსავსე ლირიკული რვეული დატოვა. ეს რვეული გრანელს „დაწყევლილი პოეტის“ შარავანდედს უქმნის და ამდენი ხნის მერეც კი თანაგანცდითა და ცნობისწადილით მიგვაბრუნებს მის პოეზიასთან და ცხოვრების გზასთან.

ტერენტი გრანელის ბიოგრაფია — საბედისწერო სიმარტოვის ტრაგედიაა, როდესაც ადამიანი დაგმანულ განცდათა, ჩადენილ თუ ოდენ წარმოსახულ ცოდვათა სახმილში იტანჯება და თვითგადარჩენის ფორმად პოეტურ აღსარებას მიმართავს.

გრანელის ცხოვრების ხილული ქარგის შესახებ ჩვენ თითქოს ბევრი რამ ვიცით. მაგრამ ბიოგრაფიული რეალიები ძალზე ცოტას გვეუბნებიან მისი სულის სიღრმეში მიმდინარე პროცესებზე, იმ ფსიქოლოგიურ სპირალზე, რომლის საწყისი ხვეული ქვეცნობიერის ფროიდისტულ სიღრმეს აღწევს, ბოლო კი ფსიქიატრიული პალატის ჭერს ებჯინება...

გრანელის იმ ნაცნობებს, რომელთაც დღითიდღე ხვდებოდა ქუჩაში მოხეტიალე პოეტი, მისი ერთთავად სევდიანი გამომეტყველება, უცნაური საქციელი და მიუსაფარი ცხოვრება ბოჰემური არტისტიზმის გამოვლინებად მიაჩნდათ, ერთგვარ „პიეროს ნიღაბად“ (რაც ასერიგად მომრავლებული და მოდური იყო XX საუკუნის დასაწყისში).

ერთი ზუსტი ტერმინი არსებობს იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის აღსანიშნავად, გრანელთან რომ გვხვდება: „გაუცხოება“. გრანელი მარტოსული კი არ იყო მხოლოდ, გაუცხოებულიც იყო მაშინდელ საზოგადოებაში. რა იყო ამ გაუცხოების ჭეშმარიტი მიზეზი? ლიტერატურის მკვლევარისათვის ეს ცნობისმოყვარეობით მოტანილი კითხვა როდია. ამ მიზეზის (თუ მიზეზების) გათვალისწინების გარეშე კაცი ძნელად თუ ჩასწვდება გრანელის პოეტურ მსოფლგაგებას, მისი ლექსის წიაღს...

ამ კითხვებზე პასუხის ძიებისას, ვერც ცალკეულ (თუნდაც ავტორიტეტულ) მოსაზრებას ვენდობით, ვერც რომელიმე მოგონების ავტორს. გრანელის ჭეშმარიტ ახლობლებს ამ მხრივ ღირებული მოგონებები არ დაუტოვებიათ და მიამიტობა იქნებოდა პოეტთან ეპიზოდური ნაცნობობის შედეგად გამოტანილი დასკვნები ჩვენ იმ ჯადოსნურ „სეზამად“ მიგვეჩნია, მისი შემოქმედების საიდუმლო კარს რომ გააღებს. ასეთ დროს ისევ გრანელს უნდა მივენდოთ და სანდო მეგზურად მივიჩნიოთ მისი პოეზიის უმზეო, მაგრამ მისტიკურად-წარმტაც სამყაროში...

პოეტების უმეტესი ნაწილი თავისი ლირიკული რვეულის ერთ, საუკეთესო ნაწილს ბავშვობის მოგონებებს უთმობს. თუ რატომ — გასაგებია და ახლა ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ტერენტი გრანელი აქაც გამონაკლისს წარმოადგენდა: „პოეტ-ბავშვს“ (ასე უწოდებდა თავის თავს) ბავშვობის წლებზე არაფერი დაუწერია, ორიოდე შემთხვევითი სტრიქონის გარდა. შეიძლება იმიტომ, რომ არცთუ სახარბიელო ბავშვობა ჰქონდა: ღარიბ წალენჯიხელ გლეხს სამსონ კვირკველიას და მის მეუღლეს ივლიტა ლუკავას 1898 წლის 3 ივნისს (ძვ. სტილით) ნანატრი ვაჟიშვილი შეეძინათ — ტერენტი დაარქვეს სახელად. მაგრამ ოჯახის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ოთხი წლის ტერენტის დედა გარდაეცვ-

ალა. მამამისმა მეორე ცოლად დარია მებონია შეირთო, ფოლკლორული დედინაცვლებისაგან განსხვავებით, სათნო, მოყვარული ქალი. ტერენტის და მის დებს, მაშოსა და ზოზიას ყურადღება არ აკლდათ. მაგრამ ოჯახი ძალზედ შეჭირვებულად ცხოვრობდა, ტერენტის მამას — სამსონს, დაკოჭლებულს ხიდან ჩამოვარდნის შემდეგ, მეუნაგირეობით გაჰქონდა თავი. იმდენი მაინც მოახერხა, რომ ვაჟიშვილს სოფლის სასწავლებელი დაამთავრებინა. ტერენტი თბილისშიც კი აპირებდა წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ სახლი დაეწვათ და ახლა ისიც მამასთან ერთად ხარაზობდა. ამ უხალისო ყოფას მეტ-ნაკლებად ახალისებდა კვირის წირვები მაცხოვრის ეკლესიაში, რომელშიც ღრმადმორწმუნე დედინაცვალს დაჰყავდა ტერენტი და შემდეგ, უკვე სიყმაწვილისას, ცნობილი მწიგნობრის, იაკობ შანავას ბიბლიოთეკის გაცნობა.

„ტერენტი იყო ბუნებით ამაყი და პატივმოყვარე, თავს ადვილად არავის დააჩაგვრინებდა. უაღრესად ტემპერამენტიანი ახალგაზრდა ლექსების წერის გარდა ხშირად მამხილებელი სიტყვებით გამოდიოდა საზოგადოებრივ კრებებსა და დისკუსიებზე. ნიჭიერი ახალგაზრდა თავიდანვე შეიძულეს სოფლის მოკარიერისტო ელემენტებმა და მის წინააღმდეგ სხვადასხვა უმსგავსი ჭორების შეთხზვა დაიწყეს. მალე ტერენტიმ სამუდამოდ დატოვა სოფელი და სწავლის გაგრძელების მიზნით მაშოსთან — თავის უფროს დასთან ერთად თბილისში გამოემგზავრა.

უსახსრობის გამო ტერენტიმ სწავლის გაგრძელება ვერ შესძლო. სცადა სამსახურის დაწყება, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა. პირველად რკინიგზის სადგურში მუშაობდა, ვაგონების გადამბმელად, შემდეგ გაზეთ „ახალი სოფლის“ რედაქციაში, მაგრამ ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა. სამსახური მისი სტიქია არ აღმოჩნდა. მაშო კერავდა და აღებული გროშებით ხელს უმართავდა უსახსროდ დარჩენილ პოეტს.

ტერენტის საოცრად შეუყვარდა თბილისი. აქ მან მრავალი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა. პოეტი ხარბად დაეწაფა მხატვრულ ლიტერატურას. ბევრს კითხულობდა და წერდა. მისი ლექსები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ტერენტი სამწერლო ასპარეზზე პირველად „წალენჯიხელის“ ფსევდონიმით გამოვიდა, ხოლო უფრო მოგვიანებით სამუდამო ფსევდონიმად „გრანელი“ ამოირჩია. გადმოცემით ამბობენ, რომ „გრანელი“ პოეტმა აირჩია რომელიღაც თეატრალური მოღვაწე ქალის პატივისცემით, რომელიც ამ გვარს ატარებდა“ (ელიზბარ უბილავას წინასიტყვაობა 1961 წელს გამოცემული ერთტომეულისათვის. გრანელი, 1961: 15). არსებობს მეორე ვერსიაც ამ ფსევდონიმის წარმოშობისა: „ტერენტის დების მაშო და ზოზია კვირკველიების გადმოცემით, {ტერენტის ფსევდონიმს} საფუძვლად დაედო ლათინური სიტყვა „გრანუმ“, რაც მარცვალს ნიშნავს. პოეტს ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აურჩევია: „მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარო“ (ლერი ალიმონაკის ბოლოსიტყვაობა გრანელის 1972 წელს გამოცემული კრებულისათვის. გრანელი 1972: 172).

ეს ამონაწერები აქ გამიზნულად მოვიხმე: 1961 წელს, როდესაც ტერენტი გრანელის გარდაცვალებიდან თითქმის 30 წელი იყო გასული, ხოლო მისი სიფრიფანა წიგნები — მივიწყებული, „ლიტერატურულ ბობოლებს“ (როსტომ ჩხეიძის გამოთქმაა) ამ „პესიმისტი პოეტის“ სახელის გაგონებაც კი არ სურდათ. აი, ამ დროს ელიზბარ უბილავამ (რომლის ინიციატივაც, ხანმოკლე პოლიტიკური „დათბობის“ მიუხედავად, მაინც გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა) თავისი გაიტანა და დაუბრუნა ქართველ მკითხველს ტერენტი გრანელის ლექსების რვეული. შემდგომ მას ჩაენაცვლა ლერი ალიმონაკი და ასეთივე თავდადებით უპატრონა გრანელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ისიც ცხადია, რომ იმ სიტუაციაში, როდესაც გრანელის მოშურნენი ჩასაფრებული გყავს და ყოველი ახალი პუბლიკაცია კბილებით უნდა გაიტანო, ძალაუნებურად ქმნი საყოველთაოდ მისაღებ, რამდენადმე რომანტიზებულ ვარიანტს პოეტის ბიოგრაფიისა, რათა უნებლიეთ, გრანელის ტრა-

გიზმის მიზეზების ძიებისას, ახლა უკვე შენით არ „აჩუქო“ რაიმე არგუმენტი ოფიციალურ თუ ნებაყოფლობით ცენზორებს...

დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერენტი გრანელს არც „მრავალი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეუძენია თბილისში“ და არც დედაქალაქისადმი მისი სიყვარული იყო ეგზომ უღრუბლო... ერთ-ერთ იმ რამდენიმე ადამიანთაგან, ვისთანაც მართლა მეგობრობდა, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი (ტერენტი სადღიურო ჩანაწერში ერთგან მას თავის „ერთადერთ მეგობრად“ მოიხსენიებს) იგონებდა: „ტერენტისთან მეგობრობა ძალზე ძნელი იყო: ამიტომ მას თითქმის არ ჰყოლია მეგობარი. მიზეზი მისივე თავისებურება იყო: ხან ბავშვივით ფაქიზი და ბუტია, ხან უმიზეზოდ ჭირვეული იყო, ხან ეჭვიანი და ბუზღუნა: ხოლო უფრო ხშირად ანგელოსივით სათნო და გულუბრყვილო. მე ვახერხებდი მასთან ხასიათის შეწყობას. ხშირად ვუთმობდი, მაგრამ ხშირად ვტუქსავდი კიდეც. ამავე დროს ვიცავდი ზოგიერთი უსულგულო ადამიანისაგან, რომლებიც ცდილობდნენ, აბუჩად აეგდოთ პოეტი“ („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, 1984: 152). ნიშანდობლივია, რომ მოგონებათა იმ კრებულში, საიდანაც მოვიხმეთ აკაკი ანდრიაშვილის მოგონება, ტერენტი გრანელის კიდევ ერთი მეგობრის – ღვაწლმოსილი რუსთველოლოგის, გაიოზ იმედაშვილის ერთი სტრიქონიც კი არ არის შეტანილი. შესაძლოა იმიტომ, რომ თავად გაიოზ იმედაშვილიც კარგა უცნაური კაცი იყო და ერთ-ერთი მის „უცნაურობათაგან“ იმაში მდგომარეობდა, რომ კახური პირდაპირობით წერდა იმას, რაც ახსოვდა ან რასაც ფიქრობდა და არა იმას, რასაც თხოულობდა მისგან ლიტერატურული მითის ჟანრი (აქვე ვიტყვი: ნაკარნახევი თავისთავად კეთილშობილი ჩანაფიქრით — სიკვდილის შემდგომ მაქსიმალურად მიმზიდველად წარმოჩენილიყო ცხოვრებისაგან ისედაც ტანჯული პოეტის პორტრეტი). ისევ და ისევ ოთარ ჩხეიძემ გაბედა ახლა უკვე მეორე უკიდურესობაში გადავარდნილ საზოგადოებრივ აზრთან დაპირისპირება და თავის ალმანახში („ლიახვი“, 1986 წ.) გამოაქვეყნა გაიოზ იმედაშვილის მართლაც უცნაურად შეულამაზებელი მოგონებები: „ვიდრე ავადმყოფობა მოერეოდა, ტერენტი გრანელი, მიუხედავად უსაფუძვლო ამპარტავნება-უკადრისობისა, თავიდანვე ბუნებითად განსაკუთრებით კეთილი გულისა და თანაგრძნობის ადამიანი იყო, იშვიათი მოსიყვარულე, მეტად მორცხვი, მორიდებული, გაუბედავი, თავისებურად ამაყი კაცი, სხვებს შეიბრალებდა ხოლმე და ცდილობდა გაჭირვებულს დახმარებოდა, რითაც კი შეეძლო, მაგრამ ამ სიკეთეებთან ერთად ეჭვიანი, მოჩქარე და ზოგჯერ მოულოდნელად უხეშიც ხდებოდა. ამის გამო მისი ყოველი დღე შეიძლებოდა რაღაც გაუგონარი საქციელით დამთავრებულიყო და ძნელი ხდებოდა გამოგვეცნო, თუ გარეგნულად მშვიდი და უწყინარი რას ჩაიდენდა კიდევ საკვირველს, რას იკადრებდა უფრო უმსგავსოს“ („ლიახვი“, 1986 წ., გვ. 292).

ვისმეს, დამტკბარ „მემუარულ კლიშეთა“ მოყვარულს, უთუოდ ეხამუშება გაიოზ იმედაშვილის მოგონებათა ის პასაჟიც, სადაც აღწერილია, თუ როგორ აძლევს ღარიბ-ღატაკი ტერენტი უკანასკნელ ფულს მეფაიტონეს, რათა თბილისის ქუჩებში ხალხის დასანახად ეტლით გაისეირნოს... რამდენ რამეს, გულსაკლავს და მტკივანს, გვეუბნება ეს დეტალი ქართულ ხასიათზეც და ტერენტიზეც, რომლისთვისაც თურმე არც ისე განურჩეველია საზოგადოებრივი აზრი და არც ისე ორგანულია ბოგანო ცხოვრება, როგორც მას სურს ამაში დააჯეროს მკითხველიც და თავისი თავიც... განა რაღაც სახასიათო დეტალი არ დააკლდებოდა გალაკტიონის პორტრეტს, ოლია ოკუჯავას მოგონებას რომ არ შემოენახა მიზანსცენა, სადაც გალაკტიონი თავის ფარულ ოცნებებს თვითნაკეთი აფიშით ამჟღავნებს: „პარიჟის უნივერსიტეტის სტუდენტი გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს ლექციას...“. ცრემლის მომგვრელია ეს ყველაფერი, ამდენი წლის შემდეგაც კი...

რადგან გაიოზ იმედაშვილის მოგონებებს მივადექით, მოდით, ტერენტის მეგობართა არცთუ ვრცელ წრესაც აქ გავეცნოთ: „იმ ხანებში (გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისზეა ლაპარაკი — ზ. ა.) ტერენტის მეგობრობდნენ გობრონ აგარელი – ციცქიშვილი, კათალიკოს ქრისტეფორეს შვილი, ჩემი უფროსი ძმა შალვა იმედაშვილი, რომელმაც

1920 წელს შალვა მეფანდურეს ფსევდონიმით გამოსცა ახალგაზრდა პოეტების ჟურნალი „პარნასი“, დავით კობიძე, ავტორი ლექსების წიგნისა „საქართველოს ღამეები“, შემდგომად ცნობილი ირანისტი, პროფესორი, გენო ქელბაქიანი, დრამატურგი, პოეტი ვანლერ დაისელი (ვანო ბაბუაძე), მწერალი თამაზ ბორელი (პლატონ კეშელავა), აკაკი ანდრიაშვილი — კომპოზიტორი, შალვა კაშმაძე (პოეტი სილეო რიან, შემდეგ კულტურის ისტორიკოსი). მათ შორის თემატიკითა და სტილით ტერენტისთან ყველაზე ახლოს იდგა გობრონ აგარელი, რომელთანაც ერთად გამოსცა „პანაშვიდები“, მეტად ნიჭიერი და სამაგალითოდ განათლებულ;ი პიროვნება, მცოდნე კლასიკური ენებისა და ლიტერატურისა. იგი ფრანგულ დედანში იცნობდა ბოდლერს და ქართულ თარგმანებსაც აკეთებდა („ლიახვი“, 1986 წ. გვ. 284).

აქ კვლავ ტერენტი გრანელს უნდა მივმართოთ. სწორედ ლექსებმა აღბეჭდეს ის ორსაწყისიანი, ამბივალეტური გრძნობა ზიზღისა და სიყვარულის, რომელსაც იგი თბილისისადმი განიცდიდა. თან უყვარდა ეს ქალაქი, თან სძულდა (აქაც, როგორც ყოველთვის, უკიდურესობებში ვარდებოდა): „თბილისისადმი მის სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა“, — იგონებდა გენო ქელბაქიანი, — „სიცოცხლე მხოლოდ თბილისში მინდა“... „დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლო თბილისთან თუ სამარეს ვიშოვი“... „ჩემი გული გადაეცით თბილისს“... „თბილისიდან სადმე წასვლა, თუნდაც რამდენიმე დღით, მისთვის ტანჯვა იყო...“ („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, 1984: 45). ზოგჯერ კი, აქ თავს მათხოვრად, დამცირებულად გრძნობდა („...და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას“. გრანელი 1961: 240) და იზაფრებოდა „მკვლელებისა და გამცემლების“ გარემოცვაში:

ჩემი ცხოვრება უცნაური ქრება ცრემლებით,
არავინ არ მყავს, არსაიდან შვებას არ ველი.
ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები,
უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი...
(„ვედრება უფალთან“, 1922 წ. გრანელი 1972: 28)

დროდადრო მაინც გაეცლება ხოლმე აქაურობას, მაგრამ ვაი რომ, წალენჯიხაშიც ვერ ჩერდება. რაღაც გაუნელებელი წყენა თუ სულაც, უმიზეზო სევდა მოეძალება... ამიტომაა, რომ სოფლის იდილია, პასტორალური სურათი გრანელის პოეზიაში თითქმის არ შეგხვდებათ: სოფლის ბინდბუნდში მას ავისმეტყველი ლანდები ეზმანება, „მოგონებების ცისფერი ქსელი“ ბოჭავს, ჩამომდგარ სიჩუმეში კი შორეული ზარების რეკვა და სასაფლაოდან ქარით მოტანილი კვნესა მოესმის („სოფლის სიჩუმე“). სიკვდილის სიახლოვე ფიზიკური შეგრძნების სიცხადით არის განცდილი სწორედ იმ წუთებში, როდესაც ადამიანს თითქოსდა არაფერი არ უნდა ანაღვლებდეს — შემოდგომის მინდვრის შემყურეს, ბუნებასთან პირისპირ დარჩენილს... მაგრამ გრანელის ტრაგიზმი ხომ სწორედ სიმარტოვის ტრაგიზმია — საკუთარ თავთან, მოგონებებთან, ფიქრებთან დარჩენის შიში...

ტერენტი აშკარად უფრო გრძნობიერი ადამიანი იყო, ვიდრე იმდროინდელ ამღვრეულ და დაუდეგარ ცხოვრების სტიქიას სჭირდებოდა. ასეა ხოლმე: სათუთი მცენარე გადანერგვას რომ ვერ უძლებს და იღუპება. სოციალურ დისკომფორტსაც ედო თავისი წილი მის ტრაგედიაში: სოფლელი აღარ იყო და ვეღარც ქალაქელი გახდა. არც იქ, არც აქ არ მიიჩნევდნენ თავისიანად. ასეთ წუთებში კი წამოსცდებოდა ხოლმე ნატვრა ბავშვობის დღეებისა:

ახლა არის ივნისი, ახლა გვიან ღამდება.
მაგონდება ბავშვობა. ეს ცა მაშინ სხვა იყო!

ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას...
მერე თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო.

ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მაბარებს,
(ახლა უფრო ხშირია დარდი და უძილობა).
მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს
ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას.

ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად:
მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება!..
ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა,
ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება.
(„დაბრუნება სოფელში“. გრანელი 1972: 140)

მოდით, ცოტა ხნით ჩვენც გადავინაცვლოთ წალენჯიხაში: „მამა რომ გარდაგვეცვალა, — იგონებდა ზოზია კვირკველია, — ტერენტი ახალი წასული იყო თბილისში. დასაფლავებას ძლივს ჩამოუსწრო. დარდისგან ხმა ჩავარდნოდა. გულდათუთქული იდგა მამის ცხედართან. მალე ისევ თბილისს გაემგზავრა. მაგრამ მშვიდი ცხოვრება არც იქ ჰქონია. ერთი წელიც არ იყო გასული, დედინაცვალიც გარდაგვეცვალა. 15 წლისა შინ მარტოკა დავრჩი. მაშო ტერენტის ვერ ანებებდა თავს. თბილისში მკერავად მუშაობდა და, რითაც შეეძლო, ხელს უმართავდა ძმას“ (ცქიტიშვილი 1990: 19).

ზოზია თვრამეტი წლისა გათხოვდა ლუკა კვარაცხელიაზე, რომელიც ზუგდიდში რომელიღაც სამაზრო უწყებაში მსახურობდა. მაშო თავდაპირველად თბილისში გათხოვილა, მაგრამ ქმარი ადრე გარდაცვლია. მისი მეორე ქმარი გვარად პაპასკირი ყოფილა, სენაკიდან. შვილი არ მისცემიათ და მაშო გერებს ზრდიდა – ორ ვაჟს.

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარმა ლერი ალიმონაკმა, რომელიც ტერენტის დებს უკვე ხანდაზმულ ასაკში გაეცნო, მათ შორის თვისობრივი განსხვავება შენიშნა: „ქალბატონ ზოზიას ქმრისეულ სახლში მაწვიეს. ზოზია თუმცა ხანში შესული ქალბატონი გახლავთ, ჟამთა სიავეს მაინც ვერ დაუმჩნევია დაღი მისი კოლხური სილამაზისათვის, მისი ცისფერი თვალები („შენ იღიმები ცისფერ თვალებით“), მობერებული სახის ნაკვთები აშკარად ამხელენ, თავის დროზე ულამაზესი ქალი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ სათნოება გამოსჭვივის მისი სახიდან. ტყუილად არ იყო ტერენტისათვის ზოზია სიწმინდის, პოეტური ოცნების გამოხატულება. ზოზია იქცა მისი პოეზიის ერთ-ერთ სახესიმბოლოდ, უმაღლეს მფარველ ძალად, სახარებისეულ თანამდგომელ ხატად...

ზოზიასთან საუბრის დეტალები აღარ მახსოვს, მხოლოდ ის მაგონდება, კანტიკუნტად რომ მიპასუხებდა, ხშირად რომ დუმდა და გმინავდა, შინაგანად წრიალებდა, საშინელ წუხილს და სინანულს რომ მოეცვა მთელი მისი არსება. ქალბატონ ზოზიასთან მის გარდაცვალებამდე უფაქიზესი მეგობრობა მაკავშირებდა. ხშირად უთქვამს ჩემთვის: შენ რომ გხედავ, ასე მგონია, ჩემს ძმას ვხედავო. ხოლო ის შინაგანი წუხილი და შფოთვა, ის სინანული, რომელსაც მთელი მისი არსება მოეცვა, ყოველთვის მწარედ მტკიოდა და გულ-გვამს მიწვავდა. სიკვდილის წინ ახლობლებისათვის დაჟინებით უთხოვია – ლერი მაჩვენეთ, სათქმელი მაქვსო... დასანანია, რატომ ვერ მოვისმინე ზოზიას ბოლო სიტყვები. ვინ იცის, რისი თქმა სურდა?! მართალია წლები გავიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიპატიებია ეს უგულისყურობა ზოზიას შვილიშვილებისათვის... (რა ძნელი სანახავი მე ვიყავი?!).

...მაშო, ცოტა არ იყოს, პირქუში, ზედმიწევნით პრაგმატული, უხეშიც კი მომეჩვენა. ლაპარაკს თავს არიდებდა. თუმცა ზოზიასა და თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სურათი მისახსოვრა. ეს იყო და ეს. სხვა არავითარი სულიერი საჩუქარი მე არ გამომყოლია

მისგან, ოდესმე მასთან კვლავ შეხვედრის სურვილი რომ აღმძროდა. აქ მცირე ხანს დავყავი. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა უსათნოესი პოეტის პირქუშ დასთან“ (ალიმონაკი 1998: 35-38).

ტერენტის ყოველი ჩამოსვლა სოფლად — უძღები შვილის დაბრუნება იყო. მაგრამ, რად გინდა? გადიოდა ორიოდ კვირა და იქ სული ეხუთებოდა. ის უკვე მოწამლული იყო თბილისით:

ასეთი დარდი არ მახსოვს დღემდე,
ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის,
მოვდივარ, ერთი საათის შემდეგ
მე ისევ ვნახავ ჩემს მტანჯველ თბილისს.
(„მოგზაურობა თბილისისაკენ“, 1922. გრანელი 1972: 43)

აი, ასეთი იყო ტერენტი გრანელის გადმოსახლება სოფლიდან ქალაქს. ახლა კი თბილისში მის ცხოვრებას გადავავლოთ თვალი: „სიმბოლისტური პოეზიით გატაცებულმა, 1919 წელს გამოსცა სამხატვრო-სალიტერატურო გაზეთი „ია“ და ჟურნალი „კრონოსის სარეკე“. ჟურნალში დაბეჭდილ მის სონეტებსა და რეცენზიას, სადაც ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“ არის შეფასებული, აშკარად ატყვია სიმბოლისტური ესთეტიკის კვალი. ...1920 და 1921 წლებში ტერენტი გრანელმა გამოსცა ლექსების ორი პატარა წიგნაკი: „პანაშვიდები“, რომელშიც გობრონ აგარელის ლექსებიც არის დაბეჭდილი და „სამგლოვიარო ხაზები“. 1922 წელს გამოსცა ლექსების მოზრდილი წიგნი („სულიდან საფლავები“). ამ წიგნს აღტაცებული რეცენზიები უძღვნეს ტრისტან მაჩაბელმა, პაატა ორბელიანმა და კონსტანტინე გამსახურდიამ. ჭაბუკი პოეტი მართავს ლიტერატურულ საღამოებს. პოეტს აღტაცებით ხვდებიან ყველგან“ (გრანელი 1972: 172).

ამავე წლებში გაიცნეს ერთმანეთი ტერენტი გრანელმა და გალაკტიონმა. ტერენტი გალაკტიონში თავის სათაყვანებელ მეტრს ხედავდა, გალაკტიონი კი მასში — თავის ნიჭიერ მიმდევარს. არ არის გასაკვირი, რომ მათ სრულიად გარკვეული ურთიერთსიმპატია აერთიანებდათ. გალაკტიონის ლექსმა „რომელი საათია“ განსაკუთრებული გავლენა იქონია გრანელის შემოქმედებაზე. აქ პოეტური მოდელის გავლენას ვგულისხმობ, თორემ „რომელი საათიას“ განწყობა გრანელს, ვაი რომ, სასესხებელი არ ჰქონდა, იქით შეეძლო მოემარაგებინა პოეტების მთელი არმია.

გრანელის ლექსების წიგნში წელიწადის ერთი დრო მეფობს — ზამთარი, გვიანი შემოდგომა. შემოდგომის სიყვითლე მის წარმოსახვაში მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის ნელინელ ქრობას (წერს კიდეც ამაზე ერთ-ერთ ლექსში). ზამთრის სიცივე კი — უკვე სიკვდილია, არყოფნა. თოვლი — თეთრი სავანეა, თეთრი ბალდახინი (გეცნოთ ალბათ ჩვენი სიმბოლისტური პოეზიის რეკვიზიტი). ზამთარმა გრძელი ღამეები იცის — პოეტისათვის ყველაზე უფრო მტანჯველი: „ყოველი ღამე — ეს ჩემი ლოდია“ — იტყვის ერთგან; ღამით მარტოსული ადამიანი უფრო მძაფრად გრძნობს თავის სიმარტოვეს („საღამოს დარდი უფრო მწარეა“); ქრება ის ილუზია ადამიანებთან კონტაქტისა, დღისით, „სასახლის ბაღში სეირნობისას“ რომ გამოკრთებოდა; მოდის „საშინელი საღამო“ და პოეტი კვლავ განწირულია თავის ავბედით თანამოსაუბრესთან დარჩეს, თავის თავთან, თავის მრუმე ფიქრებთან, თავის მოგონებებთან, თავის სინდისთან — ამ ულმობელ და უშეღავათო მსაჯულთან... („რამდენ წვალებას მალავს ეს ოთახი“). მოვუსმინოთ გრანელს. ძნელია თქმა, რაა აქ მეტი — პოეზია თუ სასოწარკვეთამდე მისული ადამიანის წამოძახილი, იმავ წამს ქაღალდზე გადატანილი:

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა, შავი და საშინელი.

სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან
და მოვა მწუხარება - ჩემი ლურჯი ფრინველი.
(„ცისფერი სიშორე“, 1922 წ. გრანელი 1972: 29)

ტერენტი გრანელის პოეზიას ორი ადრესატი ჰყავდა. ერთი მათგანი მაღლა, ზეცაში სუფევდა, მისი შიში და რიდი, მისი გულთამხილაობის რწმენა ტერენტის ჯერ კიდევ იმ ასაკიდან გამოჰყვა, დედინაცვალი საკვირაო წირვებზე რომ დაატარებდა მაცხოვრის ეკლესიაში. მისი მეორე ადრესატი წალენჯიხაში ცხოვრობდა — ეს მსოფლიოში მისთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანი იყო, მისი დაი — ზოზია. ამ ორ ადრესატს ანდობდა პოეტი ყველა თავის საიდუმლოს, თავს მხოლოდ მათ წინაშე იმართლებდა და მათი რისხვისა და განხიბლვის შიშით ძრწოდა...

ტერენტი ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი იყო. მისი ლექსების ყოველი მიუკერძოებელი მკითხველი მიხვდება, რომ მიმართვა ზენაარისადმი მასთან პოეტური პირობითობა კი არ არის, — უშუალო და წრფელი აღსარებაა ადამიანისა, რომელსაც სწამს ღვთაებრივი გულთამხილაობისა და თავისი ტრაგედიის პირველმიზეზად სწორედ იმას მიიჩნევს, რომ (თუნდაც ფიქრებში) წინაღუდგა ამ ზეციურ ნებას:

წამი აღმაფრენის
და ფიქრი ნაჩვევი.
ღმერთო! გამაფრინე
და ქრისტე მაჩვენე.

ხელს მაღლა აგიშვერს
ცოდვა ადამისა,
ღმერთო! გამაგიჟე
და შენვე დამიცავ.

ნეტავ ზღვის ძახილზე
გრიგალს გავეტაცე.
ღმერთო! გამაღვიძე
მე სხვა პლანეტაზე.

მიმაქვს პანაშვიდი,
ვარ ღია ბაღისებრ.
ღმერთო! დამამშვიდე
და ძილი მაღირსე.
(„ლოცვა გაფრენისათვის“, 1924 წ. გრანელი 1972: 72)

პოეტის მზერა და ფიქრი სულ უფრო და უფრო ხშირად მიემართება იმ ერთადერთი ადამიანსაკენ, რომელსაც ესმის მისი, იცის მისი საიდუმლო, იცის მისი ტანჯვის მიზეზი:

საღამო ამნაირ სახის
დარდივით გაჩნდება ისევ.
დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს,
დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს.

გათავდა ცრემლების თოვა,
ო, ხსოვნას რა ნელა ძინავს.

და თეთრი ქალწული - გლოვა
ეცემა სისხლიან მინას.

და ირგვლივ სამარეს უვლის
ფარული სურვილის ლანდი.
და ჩემი მწუხარე სული
მსგავსია დათოვლილ სანთლის.
(„დათოვლილი სანთელი“, 1922 წ. გრანელი 1972: 42)

გრანელის ლექსების დიდი ნაწილი ზოზიასადმი უშუალო მიმართვაა: „მწუხარე მელოდია“ (1921 წ.), „შეშლილი ცრემლები“ (1921 წ), „მე და გაფითრება“, „ცისფერი სიშორე“ (1922 წ), „დათოვლილი სანთელი“ (1922 წ.), „შემოდგომის პასტორალი“ (1923 წ.), „დაო ძლიერო და უწმინდესო!“, „მკვდარი სურვილები“, „მოდის ახალი ფიქრთა კრებული“ (1927 წ.), „დაო! შენს სახელს მუდამ დავიცავ“, „დილა მთაზე“, „ჩემო ზოზია, მე წავალ მალე“.... არაა ძნელი შესამჩნევი, როგორ გადაეჯაჭვება ხოლმე სიყვარულისა და განსაცდელის გრძნობა, როგორც კი ტერენტი ზოზიაზე იწყებს ლაპარაკს:

ეს ყველაფერი ჩემზე ითქვა,
ვის გავუგონო.
შენს ძვირფას სახელს
წაიკითხავს თვალი უღონო...
(გრანელი 1972: 166)

ზოგჯერ ტერენტი გაურბის ზოზიას ხსენებას, მაგრამ სადაც კი შეგხვდებათ მის ლექსში ემოციური წამოძახილი – „ძვირფასო!“, თითქმის უცდომლად შეგიძლიათ იგულისხმოთ აქ ზოზია. ცხადია, საინტერესო იქნებოდა თვითონ ზოზიას მოგონებების გაცნობა, მაგრამ ხელთ ძალზე მწირი მასალა გვაქვს.

„უძილობის ტყვეს“ — გრანელს სულ უფრო და უფრო სასტიკი განაჩენი გამოაქვს საკუთარი თავისათვის. კისერზე შებმული ქვასავით ამძიმებს მის ფიქრებს რაღაც წარმოსახული ბიბლიური ცოდვა, ფსკერისაკენ ითრევს და ძირავს... საუბედუროდ, ამ დაბინდულ გონებაში ისეა წაშლილი საზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის, რომ ეფემერულ ცოდვას მეტი ტკივილის მიყენება შეუძლია, ვინემ უნებლიეთ ჩადენილ დანაშაულს... გრანელი მორჩილად მიჰყვება უხილავ ხელს სამსხვერპლოზე, მხოლოდ თავისთვის თუ ჩაილაპარაკებს ამ უცნაურ ბედისწერაზე: „მიდიხარ სადღაც და ბედი გღუპავს...“, ანდა, უეცარი ფატალიზმით გამსჭვალული, განაცხადებს: „მოვიდა რიცხვი საბედისწერო“. მისი დღიურებით თუ ვიმსჯელებთ, ტერენტის რამდენჯერმე უცდია „ცხოვრების ეტლის“ სადავეები თვითონ ემართა: „არის პირველი საათი, მივყვები დოცენტ იოსელიანის ცხედარს, გზაში მესაუბრება მეგობარი დავით კობიძე. პანთეონიდან ვბრუნდები, როგორც მიცვალებული. ვზივარ ოთახში და ვფიქრობ სამშაბათს მოვიკლა თავი, გადავვარდე ვერის ხიდიდან“ (1928 წლის 11 მარტის დღიური. კვირადღეა, დაიმახსოვრეთ!). მაგრამ სად გინახავთ ბედისწერას თავისი სადავეები მოკვდავთათვის გადაებარებინოს? სამომავლო ჰოროსკოპს ის თვითონ ადგენს. მიამიტი ტერენტის 13 მარტის დღიურში კი (სამშაბათს!) ახალი ჩანაწერი ჩნდება: „...გადავწყვიტე არ მოვიკლა თავი და შევურიგდე ცხოვრებას, და ჩემი პოეზია ისევ დარჩეს სპეტაკი. ეს იქნება დაბრუნება ცხოვრებასთან...“ (გრანელი 1961: 415).

ასეთი ჩანაწერების მერე უკვე აღარ გიკვირთ პოეტის თვითგვემაზე გადასვლა:

შენს ძვირფას სახელს ამ ტირილში მე არ ვეხები,
და ვარ კაინივით გმობილი.
(„შენს გაქცევას“, 1921 წ. გრანელი 1961: 17)

ო, ლოცვით სული აქაც აივსო,
ისევ ავყევი დამღუპველ ვნებას.
(„აღსარება ქუთაისს“, 1922 წ. გრანელი 1961: 136)

სიბერე დაეცა ჩემს სურვილს საშინელს...
(„კვირის ნისლები“, 1923 წ. გრანელი 1972: 55)

დაბოლოს, რაღაც სულიერი ეგსჰიბიციონიზმი, ისეთივე ირაციონალური და ისეთივე საბედისწერო, როგორც ორფეოსის შემობრუნება საიქიოს წყვდიადს თითქმის თავდაღწეული ევრიდიკეს დასანახავად:

ეს ვედრება შიშველი —
მეუცხოვა მე გვიან,
ღამე, ვნებით შეშლილი,
ყელზე გადამეხვია.

თეთრი შუქი ინთება
ჩემი სულის და ვარდის.
ო, ტირილი მინდება,
შენთან უხმოდ დავარდნილს...
(„შეშლილის ცრემლები“, 1921 წ. გრანელი 1972: 10)

იქ, სადაც შეცოდებაა — ან შენდობა უნდა იყოს ან შერისხვა. პოეტი აღარ უცდის ზეციური ძალის განაჩენს, ასწრებს მას და თვითონვე წყევლის, შერისხავს თავის თავს: აწ მთელი მისი ცხოვრება თვითშერისხულის გრძელი და გაუთენებელი ღამეა. მხოლოდ ხანდახან თუ გაიელვებს რაღაც ტკბობის მსგავსი ამ გაუხარელ სურათში. ეგების, გამორჩეულობის გრძნობა, სხვათაგან განსხვავებულობის, ერთადერთობის... გრძნობა იმისა, რომ მას და განგებას რაღაც საბედისწერო საიდუმლო აკავშირებთ... ეტყობა, მტანჯველი საიდუმლოც კი, მაზოხისტური ტკბობის მომტანია მისთვის, ვინც გრძნობს, რომ სხვათათვის მიუწვდომელს ეზიარა, აკრძალული ხილის გემო მოსინჯა (ამგვარი განცდის პოეტური ინტერპრეტაციის კლასიკური მაგალითია გალაკტიონის „მე და ღამე“). მაგრამ ის, რაც გალაკტიონის პოეტური წარმოსახვის ერთ-ერთ მიგნებად შეგვიძლია ჩავთვალოთ — გრანელისათვის მთელი მისი შემოქმედების გამჭოლი, მგრძნობიარე და მტკივანი ნერვია: „რომ იყოს ახლა, ვიცი ჩემს სევდას / ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა“ („მე ეს ოცნება ყოველთვის მსდევდა“. გრანელი 1972: 136).

ლიტერატურის ისტორიკოსს აქ შეუძლებელია არ გაახსენდეს XX საუკუნის დასაწყისის დიდი ავსტრიელი პოეტის — გეორგ თრაქლის შემოქმედების ტრაგიკული რეფრენი: „თრაქლის პოეზიის „პერსონაჟთაგან“ უმთავრესია „და“, — აღნიშნავდა ნაირა გელაშვილი თრაკლის ლიტერატურულ პორტრეტში, — დას უკავშირდება ლირიკული გმირის უდიდესი შინაგანი დრამა, იგი წარმოადგენს თრაქლის პოეზიის ცენტრალურ ესთეტიკურ ხატს, მთავარსა და მრავალშრიან სახე-სიმბოლოს.

დისადმი მიძღვნილ ღრმააზროვან ლექსში დის საუფლოდ შემოდგომა, მწუხრი და მწუხრის გუბურაა დასახელებული. დის ნიშანია მწუხარება. მისი სახეობრივი სინონიმებია: „ლურჯი ნადირი“, და „წითელი პარასკევის ბავშვი“, რომლის „შუბლის თაღსაც ვარსკვლავნი ეძებენ ღამით“. ამით „დის“ სახის ძირითადი ასპექტებია მინიშნებული, რომლებიც შემდეგ მთელ პოეზიაში იშლება.

...„ბავშვი წითელი პარასკევისა“ — ამ მრავლისმეტყველი განსაზღვრებით „დის“ სახის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისებაა გადმოცემული: ეს არის ჯვარცმული, განწირული

არსება, რომელსაც უკავშირდება „ძმის“ დანაშაულისა და ცოდვის კომპლექსი. შეიძლება ითქვას, რომ „ძმის“ თითქმის მთელი დანაშაულის განცდა კონცენტრირებულია დასთან მიმართებაში“ (გელაშვილი 1982: 299-300).

რაღაც ძალზედ მსგავსი სურათია — ბედისწერისაგან დაგებული ხაფანგისა. ერთი-ორჯერ გრანელმა სცადა კიდეც გაერღვია ეს საბედისწერო რკალი, ხან ფიროსმანს უძღვნა ლექსი, ხან ნობილეს ცნობილ პოლარულ ექსპედიციას გამოეხმაურა... ასეთი სტრიქონებიც აქვს: „მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის...“ ან კიდევ: „....მე ვიფერფლები, გულის გარშემო / მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“. და მაინც, გრანელის მთელი შემოქმედების კონტექსტში ეს პათეტიკური ფრაზები წრფელ, მაგრამ განუხორციელებელ სურვილებად აღიქმებიან. „მსოფლიო სევდის“ პოეტად გრანელი ნამდვილად ვერ იქცა, თუმცაღა, უკვე ის, რაც მან შესძლო – პოეზიის ენაზე გადაეტანა თავისი მტკივანი სულის უფაქიზესი მოძრაობა – სასწაულის ტოლფასი იყო...

„გრანელის პოეზიამ 1924 წელს მიაღწია თავის მწვერვალს. მან გამოსცა ახალი ლექსების წიგნი. ამ წიგნის გამოსვლამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამავე წელს რუსთაველის თეატრში ტერენტი გრანელს დიდი სალიტერატურო საღამო გაუმართეს და საგანგებო გაზეთიც მიუძღვნეს, სადაც ივანე გომართელი, გიორგი ნადირაძე, კონსტანტინე კაპანელი, ვასილ ბარნოვი, პლატონ კეშელავა და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ტერენტი გრანელის პოეზიას. 1926 წელს ტერენტი გრანელმა გამოსცა ლექსების უკანასკნელი წიგნი. 1928 წლიდან კი იწყება მკვეთრი სულიერი დეპრესია. ამ პერიოდის წერილები, სადღიურო ჩანაწერები და ლირიკა მოწმობენ მის სულიერ მსხვრევას“ (გრანელი 1972: 177).

თანდათან მატულობს გრანელის პოეზიის დრამატიზმი, სულ უფრო და უფრო გარკვევით მოისმის მისი ტრაგიკული პასუხი „ყოფნა-არყოფნის“ მარადიულ დილემაზე: ქუჩაში უმიზნოდ მოხეტიალე პოეტი... უნდა, რომ წავიდეს ამ ქალაქიდან, ამ ქვეყნიდან, ამ პლანეტიდან, ამ ცხოვრებიდან... სადღაც იქ, სადაც სულს არაფერი ბოჭავს, სადაც არანაირი ტაბუ არ არსებობს და სადაც განსხვავებულს, არამსგავსს არ უყურებენ, როგორც გიჟს და კეთროვანს... გაფრენა სურს...

გრანელის პოეზიის საერთო განწყობამ განაპირობა მისი მხატვრული სახეების არსენალიც: სიკვდილის აყვანა ესთეტიკის რანგში არ იყო უცხო ქართული პოეზიისათვის (გურამიშვილი, ბარათაშვილი, უფრო მოგვიანებით – გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე...). მაგრამ გრანელთან სიკვდილი არც ის პირობითობაა, ფრანგმა სიმბოლისტებმა რომ დანერგეს ლექსში, არც ზღვარსგადამცდარი განცდისა და ტრაგიზმის აღმნიშვნელი სიმბოლო, როგორც ეს გალაკტიონთან გვხვდება. სიტყვა „სიკვდილი“ გრანელთან იმავეს ნიშნავს, რასაც ყოველდღიურ მეტყველებაში და პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამიტომაა სიურეალისტურად შემზარავი. თუ აქვე გავიხსენებთ მის გაუთავებელ ბოდიალს სასაფლაოებზე და უცნობთა სამგლოვიარო პროცესიების გამოდევნებას, გავიფიქრებთ, რომ რაღაც ელემენტი ნეკროფილიისა ამ ისედაც უცნაურ ხასიათში უთუოდ იყო...

გრანელი იქ შეჩერდა, საიდანაც გალაკტიონი იწყებდა თავის შემოქმედებით აღმასვლას (იხ. გალაკტიონის „სასაფლაო“, „ლენორა“ და ტერენტის ლექსი იგივე თემაზე). ტრადიციული სიმბოლოებიც უფრო მწვავე, უფრო ტრაგიკულ ასპექტში გამოდიან: მაგალითად, საინტერესოა ერთმანეთს შევუდაროთ „საათი“, როგორც სიმბოლო ბოდლერთან, გალაკტიონთან და გრანელთან (საათის სიმბოლიკას შეგიძლიათ გაეცნოთ: ზაზა აბზიანიძე, ქეთევან ელაშვილი „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“, ტ. II, გამ-ბა “ბაკმი“, თბ., 2007 წ.).

ყველა თავის ფიქრს, იჭვს, ტკივილს ტერენტი კვლავ და კვლავ ზოზიას უზიარებს („თუ ვტოვებ გიჟის შთაბეჭდილებას, დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“). ზოზიამ უნდა შეუცვალოს პოეტს მთელი სამყარო, მისგან განმდგარი, მოძულებული ქვეყანა, ამ ქალის სიყვარულის სითბო ახლა ერთადერთი ძაფია, მას სიცოცხლესთან რომ აკავშირებს:

იდგა შუადღე, ვამბობდი: დაო,
მინდა ალერსი.
ჩანდა საყდარი და სასაფლაო
პეტრე-პავლესი...
(„სასაფლაოსკენ“, გრანელი 1961: 181)

მაგრამ თუ პოეტს ეჩვენება, რომ ეს ძაფიც წყდება, შეშფოთებული წარმოსახვა კიდევ ერთი კოშმარული ღამის მოლოდინშია — აი ასეთ წამს, სასოწარკვეთილი გრანელი კვლავ თავის მხსნელ ზოზიას ევედრება, რათა შვების ერთი დღე თუ ერთი საათი გამოსთხოვოს:

არ მშორდება მე უძილო ღამე,
დამეხსენი, ლაჟვარდების ცაო!
მალე მოდი და მიშველე რამე,
მალე მოდი, ვიღუპები, დაო! ..
(„მიმართვა დისადმი“. გრანელი 1972: 123)

გრანელის ეს ლექსი 1927 წლითაა დათარიღებული. ამ დროისათვის ის უკვე განუკურნებელი ავადმყოფია. მისი ბედიც გადაწყვეტილია: თითქოსდა ტერენტიმ უკვე შეამზადა თავისი თავი ამ ტრაგიკული ფინალისათვის, თითქოსდა ყველაფერი გააკეთა, რათა სიცოცხლესთან განშორება მოეახლოვებინა: მის ყოფას ბოჰემურსაც კი ვერ უწოდებთ – ეს ბოგანოს, „ბომჟის“ ყოფაა... უსახლკაროდ, უსახსროდ, უმწეოდ... რამდენჯერმე ციხეშიც კი მოუწია მოხვედრა (მართალია, ცოტა ხნით) რაღაც სკანდალის გამო, მაგრამ არც ფსიქიატრიული საავადმყოფოს გისოსებიანი პალატა განსხვავდებოდა დიდად ციხისაგან... არაა გასაკვირი, რომ ოსკარ უაილდის მსგავსად (იგონებს კიდეც ინგლისელ პოეტს) ციხის ბალადას წერს.

ის სიკვდილისათვის ემზადება და მისი პოეზიაც კვლავ ამ ფატალურ თემას უტრიალებს: კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც სიკვდილი კი არ უნდა — უფრო რაღაც მეტაფიზიკური გარდასახვა. ამ, „მესამე გზის“ შესახებ ტერენტი გრანელს ბევრი აქვს დაწერილი, მაგრამ თავისი ტრაგიკული ცხოვრების „კრედოს“ სახით ერთ-ერთ მინიატიურაში („გულიდან სისხლის წვეთები“) გამოთქვა:

არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი.
არამედ რაღაც სხვა.
(გრანელი 1972: 70)

არ იყო გასაკვირი, რომ ეს გამონათქვამი ტერენტი გრანელის დებმა პოეტის საფლავზე ამოაკვეთინეს (ტერენტი 1934 წლის 10 ოქტომბერს გარდაიცვალა დიზინტერიისაგან „არამიანცის“ საავადმყოფოში. იქიდანვე წაასვენეს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე სულ რამდენიმე კაცის თანხლებით...).

თუ რა იყო ეს „მესამე გზა“, მკაფიოდ ვერც თვითონ გრანელი აყალიბებდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, სრულიად გულწრფელად სჯეროდა ამ, მესამე, მეტაფიზიკური განზომილების არსებობისა.

პოეტები ზოგჯერ თავის შესახებ გაცილებით უფრო მჭევრმეტყველურად ლაპარაკობენ, ვინემ მათი კომენტატორები. ამ თვალსაზრისით დაკვირვებით თუ გადავავლებთ თვალს ტერენტი გრანელის ლექსებს, ბევრს რასმე საგულისხმოს და ნიშანდობლივს ამოვიკითხავთ..

რადგან გრანელის პოეტური სახეები ერთი განწყობით იყო ნაკარნახევი, ბოლოს და ბო-

ლოს, მათაც გარკვეული ერთფეროვნება დაემჩნათ. ტერენტი თვითონაც გრძნობდა, რომ დაიღალა, რომ უკვე გამოთქვა თავისი სათქმელი, რომ უკანასკნელი სიმღერა აღმოხდა... ეს უკვე სიცოცხლეზე ხელაღებას ნიშნავდა. ახლა, როდესაც მისი ფანტასმაგორიული ჩვენებები ვეღარ პოულობდნენ გამოსავალს ქაღალდზე, ისინი უკვე თავისსავე წარმომშობს ემუქრებოდნენ: „მძინარე გონება ურჩხულებს ჰბადებსო“ — წააწერა გოიამ ერთ-ერთ ფურცელს თავისი ცნობილი გრაფიკული სერიიდან „კაპრიჩოს“. ეს ურჩხულები დაერივნენ პოეტის ავადმყოფ სულს და მოაშთეს კიდეც იგი...

ლიტერატურის ისტორიაში არცთუ ბევრია შემთხვევა, როდესაც პოეტი ამგვარად გრძნობს თავისი ბედის უკუღმართობასაც და თავის გარდაუვალ აღსასრულსაც:

სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია,
ვერ გადურჩები სულის წვალებას
მე რომ გაფრენა არ შემიძლია
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას...

(გრანელი 1972: 168)

ტერენტი გრანელის ტრაგიზმით აღსავსე ლირიკული რვეულის უკანასკნელ გვერდთან ერთად ჩაიფერფლა მისი უიღბლო და უმზეო სიცოცხლეც...

P.S. ალბათ არ ვიქნები მართალი ჩემი მშობლების ხსოვნასთან, თუ აქ მოკრძალებით არ შევნიშნავ, რომ გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ტერენტი გრანელი არაერთგზის ყოფილა ჩვენს სახლში (როგორც წესი, გენო ქელბაქიანის, მამაჩემის — გიორგი აბზიანიძისა და ტერენტის საერთო მეგობრის თანხლებით). ლიტერატურის მუზეუმში ინახება ტერენტის მამაჩემისადმი მიძღვნილი ლექსის ავტოგრაფი, ხოლო ჩანაწერი ტერენტის დღიურში 1928 წლის 29 აპრილის თარიღით გვამცნობს: „ჩემი სურათი, რომელიც გადამიღო ჩლაიძემ დღეს ვუთავაზე ანიკო ნიკოლაძეს“ (გრანელი 1961: 425). დედაჩემი, ანა ნიკოლაძე, თავისი უფაქიზესი დამოკიდებულებით პოეზიისადმი და პოეტებისადმი ნამდვილად იმსახურებდა ამ საჩუქარს. დღეს ეს მრავალგზის ტირაჟირებული ფოტოსურათი, რომელზეც ცაში მომზირალი ტერენტი გრანელია გამოსახული, ასევე ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

ზ. ა.

დამოწმებანი:

გრანელი 1961: ტერენტი გრანელი. რჩეული, გამ-ბა “საბჭოთა საქართველო“, თბ.: 1961

გრანელი 1972: ტერენტი გრანელი. ლირიკა (ლერი ალიმონაკის რედაქციით), გამ-ბა “საბჭოთა საქართველო“, თბ.:1972

გელაშვილი 1982: გელაშვილი ნაირა, გეორგ თრაქლი. ალმ. „საუნჯე“, თბ.: 1982

“ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“ 1984: მოგონებათა კრებული (შემდგენელი ლ. ალიმონაკი), გამ-ბა „ნაკადული“, თბ.: 1984

ცქიტიშვილი 1990: ცქიტიშვილი გივი. ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების (დოკუმენტური რომანი), „მერანი“, თბ.: 1990

Киньяр 2004: Киньяр, Паскаль. Секс и страх (эссе), С-Пбг.: 2004

მერაბ ღაღანიძე

რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“?

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 150 წლისთავი, რომელიც წელს, 1995 წელს აღინიშნება, საკმაოდ განსხვავებული იქნება გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილესაგან, რომელიც 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ეიფორიაში აღინიშნებოდა; განსხვავებული იქნება არა მხოლოდ იმით, რომ ბორის პასტერნაკი (ან სხვა რუსი პოეტი, — თუმცა მისი რანგისა დღევანდელ რუსეთში ძნელად თუ მოიძევება) არ წაიკითხავს პოეტის ლირიკის მისეულ თარგმანებს თბილისის საოპერო თეატრის სცენიდან და არც მხოლოდ იმით, რომ პოეტის თხზულებათა ახალი, საგანგებო გამოცემა არ დაიბეჭდება (რადგან დღევანდელ საქართველოს არა აქვს ქართველ კლასიკოსთა საიუბილეო გამოცემის შესაძლებლობა, — მით უმეტეს, ისე შესანიშნავად, როგორც ეს 50 თუ 60 წლის წინ ხერხდებოდა), — მთავარი განსხვავება ისაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 150 წლისთავის იუბილე, ალბათ, პირველი იქნება უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, როცა „მერნის“ ავტორის „პროგრესულობა“ იმით აღარ შეფასდება, თუ რა პოზიცია ეკავა პოეტს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში და პოეტის ჯანსაღი და სწორი პოლიტიკური ორიენტაციის ხაზგასასმელად გადაჭარბებული მნიშვნელობა აღარ მიენიჭება მის ლექსს — „საფლავი მეფის ირაკლისა“.

მაგრამ, შესაძლოა, ამ ლექსის ხელახლა გადაკითხვა სწორედაც ახლა იყოს უპრიანი — რუსეთთან ჩვენი ტკბილ-მწარე ურთიერთობების ახალ მოსაბრუნზე, როცა საქართველოს ხსნა და მომავალი ისევ რუსეთის გადასაწყვეტია (და იყო?!), ოღონდ ჩვენ ამჯერადაც არ ვიცით (და არ ვიცოდით?!), რას გვიპირებს ჩვენი ჩაწიხლვისა და იმედის ამოუწურავი წყარო; და როგორც საუკუნეების განმავლობაში, ჩრდილოელი მეზობლის მიმართ ჩვენი გრძნობები — სასოება და აღშფოთება — ისევ განუწყვეტლად ენაცვლება ერთმანეთს.

„საფლავი მეფის ირაკლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მწვერვალებს არ განეკუთვნება, თუმცა მისი ნაწერების მეტად მცირე მოცულობის, მეტად მცირე რაოდენობის გამო პოეტის ყოველი სტრიქონი განსაკუთრებული მოწიწებითაა მოცული, მაგრამ ამჯერად ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ პოეტს ასე ცალსახად, აშკარად, ერთმნიშვნელოვნად, თითქმის პუბლიცისტურად სხვაგან არსად განუცხადებია თავისი დამოკიდებულება რუსეთის (და რუსეთის ქართული პოლიტიკის) მიმართ, ან უფრო ზუსტად, ერეკლესეული ორიენტაციის მიმართ, თან ამ ლექსში ის გაორებაა დაძლეული, რომელიც სამი წლით ადრე დაწერილ „ბედი ქართლისაში“ ასე აშკარად იგრძნობა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და გაქანებით პოემა უკან იტოვებს ლექსს, — იქ კი, სადაც ფილოსოფიური ნაპერწკალი გაკრთება, ერთმნიშვნელოვანი პასუხების ძებნა უიმედო საქმეა. „ბედი ქართლისა“ გარდაუვალობის წინაშე ტრაგიკულ დამორჩილებას ასახავს და ამიტომ პოემის ფინალი ყოველგვარი ლოგიკის, ემოციის, განსჯის მიღმა დგას, ამიტომ ჟღერს ბედისწერის დარტყმასავით ბოლო სტრიქონები:

> მაგრამ ამაო იყო ყოველი:
> დიდი ხანია, გულს ირაკლისა,
> გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!

ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ კი პოეტი საღი, ლოგიკური, პრაგმატული მსჯელობის შედეგად აყალიბებს თავის შეხედულებას, თუ რა მოუტანა ქვეყანას მისი პაპის-

პაპის არჩევანმა (ცნობილია, რომ ბარათაშვილი ერეკლეს პირდაპირი მემკვიდრე — მისი შვილისშვილის შვილი იყო), მაგრამ ეს არაა პოეტის უშუალო, შინაურული საუბარი თავისი წინაპრის აჩრდილთან, — ამ ლექსში იმის ამოკითხვა შეგვიძლია, თუ რას ელოდა საქართველო რუსეთისაგან და ან როგორ წარმოედგინა რუსეთის მისია საქართველოში თუ მთელ ქართველობას არა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, იმ ნაწილს მაინც, რომელსაც ოცდახუთი წლის ნიკოლოზ ბარათაშვილი მიეკუთვნებოდა.

პოეტურ ნაწარმოებში საზოგადოებრივი აზრის მანიფესტაციის ამოკითხვა, ალბათ, მკრეხელობა და მხატვრული უგრძნობელობაა, მით უმეტეს, როცა კარგად მოგვეხსენება, რომ ბარათაშვილისნაირი პოეტები უმთავრესად საკუთარ თავსა და ღმერთს ესაუბრებიან, მაგრამ „საფლავი მეფის ირაკლისა“ აშკარად საყოველთაობის ნიშნითაა აღბეჭდილი და ამ საზეიმო, პათეტიკურ ოდაში პოეტი მეფე-პატრონს ქვეშევრდომთა ან ქვეშევრდომთა შთამომავლების სახელით მიმართავს, მათ ხმასა და სათქმელს წარმოადგენს:

აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი.

მაინც რა იყო ეს „ნაყოფი“? რას ემადლიერებოდა რუსეთს შეგნებული, მოაზროვნე, ქართულად მოფიქრალი ქართველი?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გასახსენებელია საუკუნეების მანძილზე ჩვენს ცნობიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი რეალობა, რომ საქართველო მსოფლიო საქრისტიანოს მესაზღვრეა — აქედან გამომდინარე, ყველა მძიმე, მტკივნეული და საპატიო მოვალეობით, რომ საქართველოს შემდეგ ისლამური ოკეანე იწყება, საქართველოს დაცემა კი ქრისტიანული სამყაროს საზღვრის გადანაცვლებას, მისი სივრცის შემცირებას გამოიწვევს. იდეოლოგიური მოძღვრება ამ „მესაზღვრეობის“ შესახებ ისლამური გარემოცვის აღმოცენებისთანავე ჩაისახა (ყოველ შემთხვევაში, ამ თვალსაზრისს გამოხატავს უკვე VIII საუკუნის ქართველი მწერალი იოანე საბანისძე, — „აბო ტფილელის წამების“ ავტორი). ქართულ ცნობიერებას ყოველთვის თრგუნავდა ისლამური საფრთხის, ისლამური საშიშროების შეგნება (და შეგრძნება) და ჩვენი საგარეო პოლიტიკაც ძირითადად ამ საფუძველზე იყო აგებული: ყველა პოტენციურ ქრისტიან მფარველს ვარწმუნებდით, რომ საქართველოს დაცვა მათ უშუალო ინტერესებს ემსახურებოდა, მათი ქრისტიანული მეობის უსაფრთხოებას, რადგან საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენით ისინი საერთოქრისტიანულ გალავანს ჰმატებდნენ (ან შეჰმატებდნენ) სიმყარესა და ურყევობას.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან მიერთებიდან ორმოცი წლის შემდეგ ბარათაშვილი მადლიერებას გამოხატავს ერეკლეს მიმართ, რადგან როგორც მოსალოდნელი იყო, ერთმორწმუნე რუსეთის კალთას შეფარებულ ქვეყანას აღარ ემუქრება ის ისლამური ქარიშხლები თუ წყალდიდობები, რასაც ლექსში „*კასპიის ღელვა*“ და „*შავი ზღვის ზვირთნი*“ განასახიერებენ (იგულისხმება, ერთი მხრივ, სპარსეთი — ირანი და, მეორე მხრივ, ოსმალეთი — თურქეთი). პოეტი ამბობს, რომ საქართველოში მრავალი საუკუნის შემდეგ პირველად დამყარდა მშვიდობა და ქართველობას, ბრძოლების მაგივრად, ადამიანური, ნორმალური, სამოქალაქო ცხოვრების დაწყების საშუალება მიეცა:

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი.

აქ კი ბარათაშვილისა და მისგვარად მოაზროვნეთა კიდევ ერთი იმედია გაცხადებული — „სამშვიდობო მოქალაქის მმართველობა“ ან „მშვიდობიანი სამოქალაქო მმართველობა“, როცა, რა თქმა უნდა, გამორიცხულია საგანგებო წესები, საომარი ვითარება, სამხედრო მდგომარეობა, მაგრამ აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის „*მოქალაქე*“, რომელიც

ძველ ქართულში წმიდანს, ასკეტური ცხოვრებით მცხოვრებ მოღვაწეს ნიშნავდა, პოეტი კი საუკუნენახევრის წინ ამ ტერმინს არა მარტო იმ მნიშვნელობით ხმარობს, რაც არასამხედრო პირს გულისხმობს და კიდევ ნაკლებად ქალაქში მცხოვრებს, არამედ, შესაძლოა, იმ შინაარსსაც ვარაუდობდეს, რასაც ჩვენ ვდებთ დღეს საკმაოდ გაცვეთილ გამოთქმებში: *„სამოქალაქო საზოგადოება“, „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა“, „სამოქალაქო ცნობიერება“.*

აი, რისი მოლოდინი, რისი იმედია გაცხადებული ამ სიტყვებში, — იმედი, რომ საქართველოში რუსეთი ცივილიზაციას მოიტანდა, იმ ცივილიზებულ, ანუ სამოქალაქო ურთიერთობებს, როცა ყველა უთანხმოება საყოველთაო კანონის, წესდების, ხელშეკრულების საფუძველზე წყდება და არა ცემა-ტყეპითა და მუშტი-კრივით, როცა ყველა მოუგვარებელი საკითხი ბიუროკრატიულ-საკანონმდებლო მაგიდასთან გვარდება, თუნდაც უთვალავი ზედმეტი და გამაღიზიანებელი ქაღალდით გადაჭედილ მაგიდასთან, ოღონდ არა ხელჩართული ბრძოლის ველზე. *„სამშვიდობო მოქალაქე“* ამგვარად მართავს ქვეყანას და როცა ბარათაშვილი ამ სტრიქონებს წერდა, ბევრი ევროპული იმპერია თავისი შინაური ცხოვრების მოწყობის უკვე ამგვარ გზას ადგა, — მაგრამ არა რუსეთი, სადაც მთელი მისი ისტორიის მანძილზე მოხელის (ჩინოვნიკის) გუნება-განწყობა კანონის ფუნქციას ასრულებს, ხოლო *თვითმპყრობელი* იმპერატორის ნება ნებისმიერ კანონს ენაცვლება ან აღემატება. ცივილიზაცია ევროპული მოვლენაა, რომელიც ამ ძველი კონტინენტის ათასწლოვანი ტრადიციების გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს და რომელსაც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, რომაული სამართალი და, მეორე მხრივ, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობა, საშუალო საუკუნეებში კი მათ კიდევ ერთი საყრდენი სვეტი შეემატა — რომის ეკლესია. ამ საფუძველთა განხილვა და შეფასება ძალზე რთულ და გრძელ საუბარს მოითხოვს (რომ აღარაფერი ვთქვათ საკითხთა საკამათო და საჭოჭმანო განზომილებების შესახებ), მაგრამ ფაქტია, რომ ევროპა ამ ჩარჩოებში ყალიბდებოდა, რუსეთი კი განვითარების განსხვავებულ გზას მიუყვებოდა, და ამ განსხვავებულობას რუსეთის თაყვანისმცემლებიცა და მოძულენიც შეთანხმებულად აღიარებენ.

დაბოლოს, ის კეთილი ნაყოფი, რომელიც ბარათაშვილის ჩამონათვალში პირველია და, შესაძლოა, მისი შეხედულებით, ყველაზე მნიშვნელოვანია იმ დადებით შედეგთა შორის, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა — განათლება, კულტურა, რომელიც, თუნდაც რუსული ტყვეობის ფასად, თავიანთ ქვეყანაში ჩამოაქვთ სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს:

ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო,
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

ეს ის ქართველებია, რომელთაც, განათლებულთ და შთაგონებულთ, გამთოშავი რუსული ყინულის გადნობაც კი ძალუძთ და რომლებიც რუსეთიდან ჩამოტანილი განათლების თესლს ქართულ ნოყიერ და გამთბარ მიწაზე ათასმაგ ნაყოფს გამოაღებინებენ:

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

ჩვენი წინაპრების ხანგრძლივი ორიენტაცია ჩრდილოეთზე, სხვა მიზეზთა გარდა, კულტურული იზოლაციიდან თავის დაღწევის მცდელობაც იყო, მტკივნეული სწრაფვა ევროპული კულტურისაკენ, — სწორედ ევროპული, რადგან ჩვენი აღმოსავლელი მტერ-მოყვარე მეზობლის, ირანის, მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ხელოვნება და ლიტ-

ერატურა ქართველებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. რუსეთი კი იმ ხიდად იყო მიჩნეული, რომელიც საქართველოს ევროპული განათლებისა და სულიერი ცხოვრებისაკენ გაუხსნიდა გზას. აღსანიშნავია, რომ თავად რუსული კულტურა ევროპულ გარემოში მხოლოდ ხანმოკლე დროით იყო ჩართული; მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა „საფლავი მეფის ირაკლისა“ იწერებოდა, ის თავის აღმართს იყო შემდგარი. იმ დროიდან რუსეთი გენიალურ ადამიანთა ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, მაგრამ კულტურული ცხოვრების ინტენსიურობამ, კულტურულმა გარემომ, ფასეულობათა ევროპულმა კრიტერიუმებმა მხოლოდ რამდენიმე ათწლეულს გასტანა.

ოდითგანვე იმპერიებს ცივილიზატორული ფუნქცია ეკისრებოდათ, — კოლონიებში მათ თუნდაც სკოლები, გზატკეცილები (ან რკინიგზა) და წამალი შეჰქონდათ. რუსეთი, მართალია, უმთავრესად მტრულად იყო განწყობილი ცივილიზაციის მიმართ, მაგრამ XIX საუკუნეში იმპერიის მახასიათებელ სამ ნიშანს მაინც ატარებდა: მეტროპოლიაში დაუნჯებული იყო ძალა, სიმდიდრე და კულტურა. ბოლშევიკურმა რევოლუციამ სიმდიდრის მოსპობა თავის ერთ-ერთ მიზნად დაისახა, კულტურა და განათლება ან განადგურდა ან ნელნელა დაიწრიტა, ამიტომ საბჭოთა პერიოდში იმპერიის მახასიათებელთაგან მას მხოლოდ და მხოლოდ ძალაღა შერჩა.

დღეს საქართველოს ისევ ევროპულ კალაპოტში, ევროპულ დინებაში ჩართვა ეიმედება და ისევ რუსეთის პირისპირ დგას, ოღონდ იმ რუსეთისა, რომელსაც ძალაც შესამჩნევად შეჰრყევია, სიმდიდრე ჯერჯერობით სრულებით არ ემუქრება, ხოლო ევროპულ კულტურას საკმაოდ დაჰშორებია.

ქართულ ცნობიერებაში ერეკლე მეფე არა მარტო უმაგალითო ვაჟკაცობის სიმბოლოდ, არამედ რუსეთთან დამოკიდებულების განსახიერებადაც დარჩება. ამიტომ, ალბათ, დღესაც მის აჩრდილს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებით უნდა მივმართოთ:

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა...

მაგრამ გამოდგება ახლა ეს სიტყვები? რას მივხვდით? ან როგორ მივხვდით? რა განზომილებას იძენს ჩვენი მწარე გამოცდილების შუქზე ბარათაშვილის ეს დაუვიწყარი ლექსი?

პრაჰა, 1995

როგორც ადვილად შესამჩნევია, ეს მცირე ესეი გასულ საუკუნეში დაიწერა, — ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 150 წლისთავის გამო. მისი დაბეჭდვა მაშინვე ივარაუდებოდა, მაგრამ მდგომარეობათა გამო ვეღარ მოხერხდა.

და მაინც, ასე ხანგრძლივი დროის შემდეგ მისი ასე დაგვიანებული გამოქვეყნება დღევანდელ საქართველოში, თითქოს, ზედმეტად არ უნდა ჩანდეს. საკითხსაც და სათქმელსაც სიმწვავე ისევ არ დაუკარგავს...

თუ მკითხველი ავტორს ენდობა, იმჟამინდელ ტექსტში ამჟამად ერთი წერტილიც ან მძიმეც არაა შეცვლილი.

თბილისი, 2009

ლევან ბრეგაძე

პაროდიული სტრიქონი

საქმე ეხება უცნობილეს აფორიზმს გოეთეს „ფაუსტიდან“: „Es irrt der Mensch, solang er strebt“ („ცდება ადამიანი, ვიდრე ისწრაფვის“).

1976 წელს ციურიხში გამოვიდა ვ. ჰოიერის (W. Heuer) წიგნი „Darf man so sagen? Zweite Folge der kritisch-vergnüglichen Glossen zu unserer Gegenwartssprache“ (ქართულად: „შეიძლება ასე ითქვას? მეორე ნაწილი კრიტიკულ-გასართობი შენიშვნებისა ჩვენი თანამედროვე ენის შესახებ“). მასში პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებია განხილული სახალისო ფორმით. ამ წიგნის ერთი თავი ასეა დასათაურებული: „Es -iert der Mensch, solang er strebt“.

-iert — ეს უცნაური ოკაზიონიზმი ზმნად ქცეული უცხოენოვანი სუფიქსია, რომლითაც გერმანულში სხვა ენებიდან (უფრო ფრანგულიდან) შესული ზმნები ბოლოვდება. ასეთი სიტყვები გერმანელ სტილისტთა უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს, მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი გერმანულ შესატყვისებს ავიწროებენ და ლამის განდევნონ კიდეც „აბორიგენი“ სიტყვები ყოველდღიური ხმარებიდან. აი ამ არასასურველი ტენდენციის წინააღმდეგ არის მიმართული ვ. ჰოიერის წიგნის ის თავი, რომლის სათაურადაც ავტორს მახვილგონივრულად გადაკეთებული გოეთეს აფორიზმი გამოუყენებია: მოკლე „ი“-ხმოვანი ზმნაში „es irrt“ („ცდება“, „შეცდომა მოსდის“) გრძელი „ი“-ხმოვნით შეუცვლია — „es -iert“ — და გამოდის: „-ier-ობს (ოკაზიონიზმი, რაც ნიშნავს: -ier სუფიქსს იყენებს. — ლ. ბ.) ადამიანი, ვიდრე ისწრაფვის“.

დიდი პოეტები მრავალმხრივ სასარგებლო ხალხია. ერთი სარგებელი მათგან ისიც არის, რომ საყოველთაოდ ცნობილი მათი გამონათქვამების მახვილგონივრული გადასხვაფერებით (რასაც პაროდირებას ვეძახით) შესაძლებელი ხდება სხარტად, დასამახსოვრებლად და, რაც მთავარია, სახალისო ფორმით გადმოვცეთ სათქმელი. კარგად გამოსვლია ეს ბატონ ჰოიერსაც.

მაგრამ ჩვენთვის ცნობილია გოეთეს ამ სტრიქონის პაროდირების ბევრად უფრო ადრინდელი და ბევრად უფრო ეფექტური შემთხვევაც.

1910 წელს თბილისში გამომავალ გერმანულ გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 18 აპრილის ნომერში (№N16, გვ. 18) დაბეჭდილია ხელმოუწერელი ლექსი-პაროდია სათაურით „O, diese Fremdwörter!“ („ო, ეს უცხო სიტყვები!“).

თავიდანვე ვიტყვი: ასეთ საუცხოო პაროდიას იშვიათად წააწყდები კაცი, ეს არის ნამდვილი შედევრი ამ ჟანრის თხზულებისა. აქ წარმოდგენილია ნეოლოგიზმების, ოკაზიონიზმების, უცნაური სიტყვათწარმოების მთელი ფოიერვერკი და ამ ლინგვისტურ კარნავალს აგვირგვინებს ზემოხსენებული პაროდიული სტრიქონი გოეთეს „ფაუსტიდან“:

O, DIESE FREMDWÖRTER!

Ein Übel hat der deutsche Mann,
Er wendet gern ein Fremdwort an;
Und wenn man’s deutsch auch sagen kann,
Er wendet doch ein Fremdwort an.
Er impo-, defi-, depo-, niert,
Er da-, zi-, dik- und debü- tiert,
Er do-, for-, inspi-, exer- ciert,

Er igno-, inse-, inspi- riert,
Er bombar-, degra-, explo- diert,
Er bug-, zen-, fri- und amü- siert,
Er dekla-, bla- und ani- miert.
O du verflixste ier-erei,
Der Teufel hol die Ziererei,
Die Sprachenruinierererei!
— Ach, Goethe, hättest du erlebt,
Wie man die Sprache jetzt verwässert,
Mit welchen Brocken sie durchschwebt,
Du hättest deinen Faust verbessrt:
„Es -iert der Mensch, solang er lebt“.

პირველი სტროფი ქართულად ასე იქნება: „ერთი უბედურება სჭირს გერმანელს, / უყვარს უცხო სიტყვების გამოყენება; / და როცა შეიძლება [სათქმელი] გერმანულადაც ითქვას, / ის მაინც უცხო სიტყვას იყენებს“ .

ამის შემდეგ, შვიდი სტრიქონის მანძილზე, ჩამოთვლილია უცხოენოვან ზმნათა მხოლოდ ფუძეები, რომელთაც (ყველას ერთად!) სტრიქონის ბოლოს ერთი საერთო სუფიქსი „-ier“ დაერთვის. ამ ექსცენტრიკული ლინგვისტური ხერხის გამოყენებით იქმნება სატირულ-იუმორისტული ეფექტი, უცხომაწარმოებლიანი უცხო სიტყვების გამოყენების (და გამომყენებლის) მიმართ აგდებული დამოკიდებულების გამომხატველი.

ბოლო ხუთი ტაეპის შინაარსი კი ასეთია:

„— ახ, გოეთე, რომ იცოდე, რა დაუდევრად ექცევიან ახლა ენას, შენს „ფაუსტს“ ასე გადააკეთებდი: „-ier-ობს (ანუ: -ier სუფიქსს იყენებს. — ლ. ბ.) ადამიანი, ვიდრე ცოცხლობს“ (ან *ცხოვრობს, არსებობს* — „lebt“ — ამ სიტყვით ცვლის პაროდისტი დედნისეულ სიტყვას „strebt“ — ისწრაფვის).

ამავე თემაზე გაზეთის მომდევნო ნომერში (1910, N17, გვ. 12) კიდევ ერთი ჩინებული იუმორისტული ლექსია დაბეჭდილი, ისიც ხელმოუწერელი (სათაური ქართულად დაახლოებით ასე იქნება: „უცხოსიტყვობანა“):

FREMDWÖRTERUNFUG

Wer sich gereizt fühlt, ist – piquiert,
Wer einfach stumpf ist, ist – blasiert,
Wer dumm beschränkt ist, ist – borniert,
Und wer da spottet, sich – moquiert,
Wer teilnimmt, der participiert,
Wer etwas anträgt – offeriert,
Wer etwas annimmt – acceptiert,
Wer einfach prahlt, der renommiert,
Und wer belästigt – molestiert,
Der, welcher angreift – attaquiert,
Und wer zerstört, der – demoliert,
Wer sich verschwört, der – conspiriert,
Wer hinterlegt, der – deponiert,
Wenn einer stutzt, ist er – frappiert,
Was eindruck macht, das – imponiert,

Wer brandmarkt, der – stigmatisiert,
Wer bloßstellt, der – compromitiert,
Richtet wer ab, der – dressiert,
Wer aufgeregt ist – echaoffiert.

აქ ყოველი სტრიქონის პირველ ნაწილში (ტირეს მარცხნივ) გერმანულად ნათქვამი მეორე ნაწილში (ტირეს მარჯვნივ) –ier-სუფიქსიანი უცხოენოვანი შესატყვისით არის გადმოცემული (თითქოს ლექსიკონიაო). იუმორისტულ ეფექტს ქმნის მშობლიურისა და უცხოურის, სისადავისა და მაღალფარდოვნების დაპირისპირება.

როგორც მოგახსენეთ, ლექსები ხელმოუწერელია. დიდი ხანია ვეძებ მათ ავტორს ან წყაროს, საიდანაც შეიძლებოდა თბილისური გერმანული გაზეთის რედაქციას იგი გადმოებეჭდა, მაგრამ ამაოდ. არ არის გამორიცხული, რომ ეს ადგილობრივი ავტორ(ებ)ის ნაწარმოებები იყოს — „კაუკაზიშე პოსტში“ ხშირად ქვეყნდებოდა კავკასიელ გერმანელთა ვერსიფიკაციულად საკმაოდ გამართული პოეტური ტექსტები.

ახლახან ინტერნეტიც მოვიშველიე, დღევანდელ მკვლევართა გაჭირვების ტალ-კვესი. იქაც ვერაფერს მივაგენი ამ ლექსების ავტორ(ებ)ის თაობაზე, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის (ბადენ-ვიურტემბერგის) რადიოს (SWR) საიტზე წავაწყდი ტექსტს, რომელიც ზემოთ მოყვანილი ლექსების ჰიბრიდია. ეს, ასე ვთქვათ, იმ ორი ლექსის ცალკეული სტროფებისა და ტაეპების შერწყმით მიღებული რემიქსია — ზოგი სტროფი და სტრიქონი ზუსტად მეორდება, ზოგი ახალია, მაგრამ „კაუკაზიშე პოსტის“ ლექსთა ყაიდაზეა „მოჭრილი“:

FREMWORTE – DIE IEREREI

Ein Übel hat der deutsche Mann,
er wendet stets ein Fremdwort an,
und wenn er’s deutsch auch sagen kann,
er wendet doch ein Fremdwort an.

Er appel-, duel-, iso-liert,
er drapiert und er trapeziert.
Beim Verschönern er verziert,
beim verbinden er liiert.

Er impo-, defi-, deponiert,
er iso-, gratu-, defiliert,
er bombar-, degra-, explodiert,
er dekla-, bla- und animiert.

Wer leicht beschränkt ist, ist borniert,
wer leict beleidigt – sich moquiert.
Wenn wer was wechselt – changiert,
bei Glaubenswechsel – konvertiert.

Wer sich was schämt, der ist geniert,
wer folgsan ist, nun, der pariert.
Wer was zusammenzählt – addiert,
wer etwas abzieht – subtrahiert,
und wenn er teilt – er dividiert,
vermehrt – wenn er multipliziert.

O du verflixste Iererei,
der Teufel hol die Ziererei,
die Bildungsparodierei
und Sprachenruinererei!

(ინტერნეტმისამართი: http://www.swr.de/swr4/bw/programm/treffnach3/gedichte/humor/-/id=257738/nid=257738/did=367174/12rna5w/indexw.html).

ეს არის „კაუკაზიშე პოსტის“ პუბლიკაციათა გამარტივებულ-გაუბრალოებული ვერსია (განსაკუთრებით პრიმიტიულია მე-5 სტროფი, არითმეტიკულ მოქმედებათა აღმნიშვნელი ტერმინები რომ არის რითმებად გამოყენებული, და კიდევ: მეორე სტროფის მესამე ტაეპის ბოლოს **verziert** სრულიად უადგილოა, აქ **ier** ფუძისეულია — ეს გერმანული სიტყვაა!). ამ რემიქსში გოეთეს აფორიზმის პაროდირებით შექმნილი სტრიქონი გაქრა. მოკლედ, ჩინებული სატირული ლექსების უგემოვნო მიბაძვასთან გვაქვს საქმე.

ამ რემიქსმა კიდევ უფრო განმიმტკიცა აზრი, რომ „კაუკაზიშე პოსტში“ გამოქვეყნებული ლექსები შესაძლოა ადგილობრივ (კავკასიელ) უცნობ ავტორ(ებ)ს ეკუთვნოდეს. კავკასიელი გერმანელები სწორედ ბადენ-ვიურტემბერგიდან (შვაბიიდან) იყვნენ გამოსულნი. ეტყობა, მათ ყოფილ სამშობლოში დღესაც აინტერესებთ თითქმის ორი საუკუნის წინ კავკასიაში გადმოსახლებული თანამემამულეების ისტორია და XX საუკუნის დამდეგს თბილისში გამომავალ კავკასიელ გერმანელთა გაზეთსაც ათვალიერებენ.

საადი შირაზელი

მოსლეჰედნე მოშრეფედნე აბოლ ფაზლე საადი შირაზი ან მოკლედ — საადი შირაზელი ქართველი მკითხველისათვის უცხო და უცნობი სახელი არ არის.

ქართული ირანისტიკის გარიჟრაჟზევე ინტენსიურად შეისწავლიდნენ და თარგმნიდნენ 12-13 საუკუნეთა ამ ბუმბერაზი სპარსელი პოეტის უაღრესად მრავალფეროვან შემოქმედებას. მისი ლირიკული ლექსები სხვადასხვა დროს წარმატებით თარგმნეს ვახუშტი კოტეტიშვილმა, მაგალი თოდუამ და ნომადი ბართაიამ, 70-იან წლებში კი გამოიცა საადის გენიალური პოემის „ბუსთანის“ პროფესორ დავით კობიძის მიერ შესრულებული თარგმანი.

პოეტის მეორე (მსოფლიოში უფრო ცნობილი და პოპულარული) ნაწარმოები „გოლესთანი“ კი აქამდე ქართულად სრული სახით არასოდეს თარგმნილა და ქართველმა ირანისტებმა მისი მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი გადმოიღეს. ამ გარემოებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველესად ის, რომ საადის პოეტური სტილი — საერთოდ რთული და მძიმე — განსაკუთრებით მძიმდება და იტოტება „გოლესთანში“, რომელსაც მისი შემოქმედების მკვლევრები საადის პოეტური სიტყვის მწვერვალად მიიჩნევენ.

რითმანარევი, რიტმული პროზისა და პოეტური ჩანართების მონაცვლეობით აგებული ეს უფაქიზესი მხატვრული ქსოვილი ენობრივადაც ძალიან რთულია, რადგანაც არაბულის მშობლიური სპარსულივით მცოდნე საადი აქ იმდენ არაბულ გამოთქმას იყენებს, რომ ხშირად წიგნის მთელი პასაჟები არაბულადაა მოცემული და მთარგმნელს გარდა სპარსულის ცოდნისა, არაბულის ცოდნაც ასევე სჭირდება ავტორის აზრისა და პოეტური ლოგიკის გასაგებად.

უკიდურეს შემთხვევაში, ცხადია, არსებობდა ვითარების გამარტივების ისეთი საშუალება, როგორიცაა თხზულების მეცნიერულ, აკადემიურ გამოცემაში ნაწარმოების არაბულ პასაჟთა სპარსულ თარგმანებზე დაყრდნობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველმა ირანისტებმა ამ გზის გამოყენებას თავი სრულიად შეგნებულად აარიდეს.

„გოლესთანის“ სრული ვერსიის უთარგმნელობის მეორე მიზეზი ასევე უნდა ყოფილიყო ტექსტის ზოგი თავისა და მონაკვეთის უკიდურესი სკაბრეზულობა და დაუფარავი ჰომოეროტიკულობა, რისი დაბეჭდვაც არა მხოლოდ კომუნისტური, არამედ ყოველგვარი საზოგადოებრივი ცენზურის პირობებში, თუ მთლად შეუძლებელი არ არის, მთარგმნელისაგან დიდ პიროვნულ და შემოქმედებით გაბედულებას მოითხოვს.

არადა, ეს ტექსტის მხოლოდ ერთი, ძალზე ზედაპირული წახნაგია. არსებითად კი „გოლესთანი“ (ანუ „ვარდნარი“ ან „ყვავილნარი“) ურთულესი სუფისტური (ალეგორიულ-მისტიკური) შინაარსის ნაწარმოებია. ეს არის იმქვეყნიური (მარადიული) ღირებულებებიდან დაკვირვება ამ ქვეყანაზე (წარმავალზე) და უნიკალური ფორმით გადმოცემულია შესაბამისი დასკვნები, რომელსაც ყველა მსმენელი (თუ მკითხველი) თავისი პიროვნული განვითარების საფეხურთა შესატყვისად გაიაზრებს.

„გოლესთანი“ წინათქმას, 8 დამოუკიდებელ კარსა და ბოლოთქმას აერთიანებს. კარები თემატურადაა დალაგებული და ერთი რომელიმე საკითხის ირგვლივ პოეტის მხატვრულ-ფილოსოფიური რეფლექსიის ორიგინალურ ფიქსაციას წარმოგვიდგენს.

ამდენად ყველა კარი ავტონომიური მხატვრული და შინაარსობრივი ღირებულებისაა და მხოლოდ ნაწარმოების დასრულების შემდეგ ვხვდებით, რა მჭიდრო ემოციური და მხატვრული კავშირი არსებობს „გოლესთანის“ თითოეულ კარს შორის.

საადი შირაზელის „გოლესთანის“ სრული ვერსიის თარგმნა სულ ახლახან დასრულდა. ნაწარმოების წიგნად დასტამბვამდე „აფრის“ მკითხველს ჭაშნიკად შესავალსა და I კარს ვთავაზობთ.

მთარგმნელისაგან

გოლესთანი

დასაწყისი

მადლობა უფალს — მაღალიმც არს და დიდებული, ვისი მონობაც მასთან ხლების საწინდარია, მადლიერება მისი — შვების მომნიჭებელი. ყველა ჩასუნთქვა ჩვენს სიცოცხლეს გაახანგრძლივებს, ამოსუნთქვა კი საამოა ჩვენი არსისთვის. მაშ, ყველა სუნთქვა ორ სიამეს ინახავს თავში და თითოეული სიამისთვის მადლობა გვმართებს.

ვისი ენა და ხელი შეძლებს, დიდ და უხატო
უფალს მადლობა საკადრისად გადაუხადოს?!

„მადლი შესწირე, დავითის სახლეულო! ჭეშმარიტად, მცირედ არიან ჩემი მონანი მადლიერნი!“*

მონა ის არის უკეთესი, ვინც ღვთის წინაშე
თავს, ნაკლის გამო, სინანულით გაიქიაქებს,
თორემ ამქვეყნად ვერვინ შეძლებს და მაღალ უფალს
მისთვის საკადრის მადლს და ქებას ვერვინ მიაგებს!

მისი აღურიცხველი მოწყალების წვიმა ყველას უწევს და მისი უხვი ნეტარების სუფრა ყველგან გადაიფინება. მონათა უმანკოების ფარდას ბილწი ცოდვით არ დაფლეთს და სარჩოს მიმნიჭებლის მოვალეობაზე შეუწყნარებელი შეცოდების გამო ხელს აროდეს აიღებს.

კურთხეული ხარ შენ, რომელიც დაფარულიდან
ქრისტიანთა და ურწმუნოთაც მიაწვდი სარჩოს.
შენივ მეგობრებს მოწყალებას როგორ მოაკლებ,
როს შეგიძლია, მტრისთვისაც კი გულუხვად ხარჯო?!

სწორედ მან უბრძანა მეხალიჩე ნიავს, ზურმუხტის ნოხები გადაეფინა და გაზაფხულის ღრუბლის ძიძას მიწის აკვანში მწოლი მცენარეთა ასულების აღზრდა დაავალა. ხეებს სანოვრუზოდ* უხვი ხალათი* უბოძა და ფოთოლთა მწვანე წამოსასხამში გამოაწყო. ხოლო ტოტთა ბავშვებს გაზაფხულის მოსვლის აღსანიშნავად თავზე კვირტთა ქუდები დაახურა. ვაზის ნექტარი, მისი ძალით, დამწდარ გოლეულზე უკეთესი შეიქნა და ფინიკის თესლი, მისი ხელდასხმით, მოღაღანე პალმად აღმოცენდა.

ღრუბელი, ქარი, მზე, მთვარე და ციური ჩარხი
იღვწიან, რომ შენ მოიპოვო არსობის ლუკმა,
ყოველი შენთვის მუშაკობს და უფალს მორჩილებს,
მაშ ნუ იურჩებ შენც და ნუღარ დადგები უქმად.

გადმოგვცემენ, რომ ყოველი არსის მეთაური, არსებულთა სიამაყე, სამყაროთა მოწყალება და ადამიანთა სიწმინდე, დრო-ჟამის გვირგვინის ობოლი მარგალიტი, მუჰამად რჩეული* — ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს — იყო:

სხვათა ქომაგი, ვის სიტყვასაც აღასრულებდნენ,
სათნო უფლისა, მოციქული კეთილშობილი,

პირმშვენიერი, ახოვანი, სურნელსაამო,
სახემწყაზარი, სიკეთესთან გადაჭდობილი.

ზეცის კაბადონს შესწვდა თვისი სრულყოფილებით,
მისმა მშვენებამ გაახუნა ნათელი მზისა,
ყველა თვისება კარგი ჰქონდა და დიდებული,
ლოცვა უძღვენით თვით მასა და სახლეულს მისას.

შენთა მიმდევართ არ ექნებათ არაფრის დარდი,
რადგან შენა ხარ საყდენი და სიმაგრე მათი,
რას შეაშინებს ზღვის ტალღები იმას, ვის გემსაც
თვით წმინდა ნოე მეთაურობს მეუფის კალთით.

* * *

ყოველთვის, როცა რომელიმე საწუთროწაგებული და ცოდვილი მონა ვედრების ხელს, ლოცვის შესმენის იმედით, უზენაესის წინაშე აღაპყრობს, მაღალი ღმერთი თავდაპირველად არ მოხედავს მას. მონა კვლავ მოუხმობს. უფალი ისევ არ უპასუხებს. მესამედ ტირილითა და ხვეწნა-მუდარით უხმობს და ღმერთი — დიდება მას, მაღალიმც არს იგი — ბრძანებს:

— ჩემო ანგელოზნო, განა უგულისხმო ვექნე მონას ჩემსას, მაშინ, როცა ჩემ თვინიერ არავინ გააჩნია. მაშ მივუტევე მას, ლოცვა მისი შევისმინე და იმედი აღვუსრულე, რამეთუ მონის მომეტებული ლოცვა და ხვეწნა არ მეთნევაო!

ერთი შეხედე ღვთის წყალობის უხვად დინებას:
მონამ ცოდვა ქმნა და ცოდვისა ღმერთს ერცხვინება!

მისი ბრწყინვალების ქააბის* გარსშემომვლელნი აღიარებენ თავიანთი მსახურების ნაკლოვანებას: ვერ გემსახურეთ შენი საკადრისი ღვთისმსახურებითო! ხოლო მისი მშვენების ფანდთა აღმწერელნი — დაბნეულნი და რეტდასხმულნი — განაცხადებენ: ვერ შეგიცანით შენი ღირსი შემეცნებითო!

ვინმემ რომ მთხოვოს, აღვუწერო ღმერთი ეგება,
ვეტყვი, გულწასულს უნივთოსი რა გაეგება,
მეტრფენი, სატრფოს დახოცილნი, უგონოდ ყრიან,
ხმას ვერ გაიღებს მკვდარი, ხმა თუ ამოეღება.

ერთი გულით მჭვრეტელი კაცი ღვთის შემეცნების უბეში შეყუჟულიყო და ინიციაციის ზღვის ტალღებს დაენთქა. როცა საამქვეყნოზე ამოყვინთა, მავანმა მეგობარმა სალაღობოდ ჰკითხა: იმ ბაღნარიდან, სადაც იყავი, რა არმაღანი მოგიტანიაო? მიუგო: ვფიქრობდი, ვარდის ბუჩქთან რომ მივაღწევ, მეგობრებისათვის კალთას ყვავილის ფურცლით ავივსებმეთქი, მაგრამ იქამდე რომ მივედი, ვარდის სურნელმა ისე გამაბრუა, რომ სამოსის კალთაც კი ხელიდან გავუშვიო.

ფარვანისაგან ჩასწვდი ტრფობას, რიჟრაჟის ჩიტო,
ისე დაიწვა, ერთი კვნესაც არ დასცდა ხმითო,
უფლის მაძებართ რა იციან, რომ ვინც მიაგნო
ღმერთის ნიშან-წყალს, დაიკარგა ამ გზაზე თვითონ.

უმაღლესი ხარ გუმანსა და წარმოსახვაზე,
ვარაუდსა და შედარებას ემალვი ფარჩით,
ლხინი დამთავრდა და ცხოვრება ჩამოილია,
ჩვენ კი კვლავ შენი შემეცნების საწყისში დავრჩით.

კეთილი იყოს ხსენება საადისა, რომლის სახელიც ყველას პირზე აკერია. განთქმულია სიტყვა მისი, ქვეყნის კიდით-კიდემდე რომ უწია, მისი ნაუბარის ლერწამ-კალამი, რომელსაც შაქარივით შეიტკბობენ და მისი ნაწერების ფურცლები, რომელსაც ოქროს ფირფიტებივით ჭრიან. მის კეთილშობილებასა და სისრულეს ვერავინ შეუტევს, რამეთუ ქვეყნიერების ღმერთმა, დროის წრებრუნვის თხემმა და სულაიმანის* ღირსეულმა მემკვიდრემ, მორწმუნეთა შემწემ და დიდებულმა შაჰინშაჰმა, მაღალმა ათაბაგმა და წუთისოფლისა და ზესთასოფლის მპყრობელმა აბუ ბაქრ იბნ საყდ იბნ ზანაგიმ* — უზენაესი ალაჰის ჩრდილმა დედამიწაზე (უფალო, კმაყოფილი იყავი მისით და კმაყოფილი ამყოფე თვითონ!) — მოწყალების თვალით გადმოხედა და სრული მოწონება გამოუხატა. გულწრფელი აღფრთოვანებით შეხვდა და თავისთავად, მთელი ხალხი — ზეპურნი თუ მდაბიონი — მისდამი კეთილად განაწყო, რადგან: რაც მეფეა, ის არის ხალხიც!

რაც შენი მზერა მომაპყარი კნინსა და გაქნილს,
ისე გავბრწყინდი ვით მზის სხივი და მთვარის ბაკმი,
თუმც შენი მონა არცერთ ნაკლს არ მოვისაკლისებ,
თუკი შენ მოგწონს, ღირსებაა ყოველი ნაკლი.

ხელმწიფემ ერთხელ აბანოში დიდხანს განახირს,
გამომიწოდა სურნელამო თიხა-ტალახი,
თიხას ვუთხარი: განა მუშკი ანთუ ამბრი ხარ,
სურნელებით რომ გამაბრუე მრავალნანახი.
მითხრა: მე უწინ უბადრუკი თიხა ვიყავი,
მაგრამ ცოტა ხნით ჩემს გულ-მკერდზე ვარდმა იხარა
და მეინახის სრულქმნილება მეც გადმომედო.
თორემ რაც ვიყავ უწინ, კვლავ ის შავი თიხა ვარ.

უფალო, უბოძე მუსლიმთ ათაბაგ იბნ საყდის ხანგრძლივი სიცოცხლე და გაუორმაგე მას კარგ საქმეთა კეთილი საზღაური, აამაღლე მისი საყვარელი ხალხისა და მეგობრების საფეხური, და გააცამტვერე მისი მტრები და ავის მოსურნენი. იმ შენი სასწაულების ძალით, რასაც ყურანში ვკითხულობთ, უფალო, დაიცავი ქვეყანა მისი და წული მისი.

ბედნიერება წუთისოფელს მან მიანიჭა,
მრავალჟამიერ უღიმოდეს თვითონ სვე-ბედი,
ფარად აფაროს შემწეობა ღმერთმა მაღალმა
და მოწყალება არ მოაკლოს უხვს და ზნეკეთილს,
ასე ღაღანებს პალმა, რომლის ფესვიც საღია,
სიმწვანე ფარავს ამა ქვეყნის ბარს თუ მთიანეთს,
მაგრამ ცხადია: ქვეყნად ყველა კარგი მცენარე
მხოლოდ კეთილ და გამოსადეგ ფესვზე შრიალებს.

უზენაესი ღმერთი შირაზის სპეტაკი მიწის სიწმინდეს სამართლიან მმართველთა ძალითა და გამრჯე მეცნიერთა შემართებით მეორედ მოსვლის ჟამამდე უსაფრთხოდ შეინახავს!

ფარსთა მიწა-წყალს არ ანაღვლებს ბედის ტრიალი,
ვიდრე თავს ადგას ჩრდილი შენგვარ უფლის ჩრდილისა,
დღეს ვერვინ ნახავს შენს სამწყსოზე უსაფრთხო ადგილს,
მიეფინები არეს, როგორც შუქი დილისა.
შენ გმართებს დაცვა უსასოთა, ჩვენ კი მადლობა,
საზღაურის კი თვით უფალმა გაგიხსნას კარი,
ღმერთო, დაიცავ ფარსის მიწა ჯანყის ქარისგან,
ვიდრე გაძლებს და იარსებებს ქარი და მყარი.

* * *

ერთ ღამეს, როცა აწ გარდასულ ჟამზე ვფიქრობდი და ჩავლილ დღეთა მონატრების ხანძარს ვიქრობდი, გულის გრდემლს ვხვრეტდი მოწანწკარე ცრემლთა ალმასით და ამ ბეითებს* მწუხარებით აღმოვიტყოდი:

ყოველი წამი გვტაცებს თითო სიცოცხლის სუნთქვას,
ვუყურებ: უკვე არაფერი არ დამრჩა ხელში,
ორმოცდაათი გავიდა და ჯერ ისევ გძინავს,
სცადე ეგების რამეს გახდე ხუთიოდ დღეში.
სირცხვილი იმას, ვინც წავიდა და არრა შექმნა,
სამგზავრო ბუკებს ჩაჰბერეს და მზად არ აქვს ბარგი,
მგზავრობის დილით ტკბილი ძილი სიარულს მოსწყვეტს
მგზავრს, რაც არ უნდა ჩაუქი და ყმა იყოს კარგი.
ვინც აქ მოვიდა და ახალი სრა ააშენა
წავიდა და სხვას დაუტოვა სახლი ვერანი,
იმ სხვამაც ფუჭად იოცნება, სურვილს გადაჰყვა,
მარადიულად ვერ შეიტკბო ეს სრა ვერავინ.
ნუ შეიყვარებ უხანო და მერყვე მეგობარს,
ძმობას არ შვენის ამნაირი ღალატი ქურდის,
რადგან ავი და კარგი ყველა დაიხოცება,
ნეტავ მას, ვინაც გაიტანა სიკეთის ბურთი,
ვინაც წინასწარ გააგზავნა თავის საფლავზე
საცხოვრებელი, საარსებო სარჩო-კარავი,
წინდაწინ მიტომ გააგზავნა, კარგად იცოდა:
არ მიუტანდა ამ ყველაფერს მერე არავინ.
ცხოვრება თოვლს ჰგავს, ზაფხულის მზე ფიცხლად რომ აჭერს,
სულ ცოტა დარჩა, კაცს კი ართობს თოვლის გუნდები;
ბაზარს უფულოდ წახირულო ღარიბ-ღატაკო,
ვშიშობ, შინ სავსე კალათებით ვერ დაბრუნდები.
ვინც თავის ნათესს მწიფობამდე გამოჭამს ხარბად,
მკაში ნამცვრევი ბრელო თუღა დარჩება ალბათ.

ვიდრე აჰა, მეგობარი — ჩარდახში ჩემი თანამოკარვე რომ იყო და ოთახში განუყრელი თანამეინახე — ძველი ჩვეულებისამებრ, კარზე არ მომადგა. რამდენიც არ მეხუმრა და მეთამაშა, მხიარულებისა და ხალისის რა ხალიჩებიც არ დამიფინა, პასუხი მაინც არ გამიცია და განმარტოებული ღვთისმსახურების მუხლებიდან თავი ზემოთ არ ამიწევია. ბოლოს ნაწყენი მომაჩერდა და მითხრა:

ხმა ამოიღე, სანამ სიტყვის თქმა შეგიძლია,
იუბნე, ძმაო, ნუ ჩაიკლავ სიკეთის ხალისს,
თორემ ხვალ, როცა აღსასრულის ჟამი მოაწევს,
ენა ისედაც წაგერთმევა, განგების ძალით.

ერთმა ჩემმა შინაურმა გააგებინა და უთხრა: კაცს მტკიცედ განუზრახავს მთელი დარჩენილი ცხოვრება განდეგილობასა და დუმილში გალიოს. შენ კი თუ ამისი ატანა არ ძალგიძს, ადექი და შენს გზასა და საქმეს ეწიეო.

თქვა: ვფიცავ უფალს და მადლს ძველი მეგობრობისა, ენას არ დავძრავ და აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე არ ითქმის სიტყვა გზიანი და ღვთისთვის სათნო, რომ მეგობართა შეწუხება უმეცრებაა, მაშინ, როდესაც აღთქმის მოშლა იოლი არი. თანაც სამართლიანი გზის საპირისპიროა და გონების მქონეთა აზრის გაუთვალისწინებლობაა ის, რომ იყოს ალის* ორლესული მახვილი — ზულ ფაკარი — ქარქაშში და საადის ენა დადუმებული.

ბრძენო, მითხარი, სხვა რა არის ენა კაცისა —
გასაღებია, სადაც მისი ნიჭის ვანია,
თუ კარს არ გახსნის, ისე, აბა, ვინ რას გაიგებს,
ოქრო-ვერცხლს ჰყიდის თუ უბრალო მეწვრილმანეა.

თუმც ზრდილობაა, როცა ბრძენთა წინაშე სდუმან,
მასლაათისას ისა სჯობს, რომ შენც თქვა არაკი,
უგნურებაა დუმილის ჟამს ენამზეობა,
და მდუმარება მაშინ, როცა ხამს ლაპარაკი.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ვერ შევძელი მასთან საუბარს არ ავყოლოდი და მდუმარეს პირი მექცია, რამეთუ იგი მეგობარი იყო ნამდვილი და გულწრფელი სიყვარული ამოძრავებდა.

ვისაც მოუგებ, ბრძოლას მხოლოდ მასთან ეცადე,
შენზე ძლიერს კი გზა უპოვე და გაეცალე.

ჩვეულებრივად ვიბაასეთ და სასეირნოდ გარეთ გამოვედით. გაზაფხული იდგა: ყინვის სისასტიკე ჩამცხრალიყო და ყვავილთა მეფობის ჟამი დამდგარიყო.

ხეთა ფოთლების სამოსელი და მწვანე კალთა
სვებედნიერთა საზეიმო სამოსელს ჰგავდა.

ორდიბეჰეშთის* თვე დაიწყო ჯალალის* რიცხვით,
ტოტთა მინბარზე* ბულბული სტვენს და გულს აქეზებს
სასიყვარულოდ, ვარდზე ნამი ისე გაბრწყინდა,
ვით ოფლის წვეთი მშვენიერის ნატიფ სახეზე.

ღამის გათევა ერთი მეგობრის თანხლებით უმშვენიერეს წალკოტში მოგვიხდა: ულამაზეს და საამურ ალაგას, ერთმანეთში გადაწნული ხეების ჩრდილქვეშ, გეგონებოდათ, მიწაზე ფერად-ფერადი მინის ნამსხვრევები მიმოპნეულა, ვაზის ტოტებზე კი სურაიას* თანავარსკვლავედის ყელსაბამი დაუკიდიათო.

ბაღში ანკარა ნაკადული მოჩუხჩუხებდა
კორომში ლაღად ჭიკჭიკებდნენ ხეზე ჩიტები,

კორომში უხვად დახუნძლული იდგა ხეხილი,
ბაღი აღსავსე იყო ნაირფერი ტიტებით,
ქარს ხეთა შორის ფარდაგები გადაეფინა
ქამელეონის ჭრელაჭრულა გაბედითებით.

როცა რიჟრაჟმა მოცალეობით ჯდომას მოსვლა ამჯობინა, დავინახე: ვარდის, რეჰანის, სუმბულისა და ბაზილიკის ფოთლებით სავსე კალთა მოიტანა და მალე ისევ უკან გაბრუნება დააპირა. ვუთხარი: წალკოტის ვარდი, როგორც იცი, დიდხანს ვერა ძლებს და არც ვარდნარის ფუჭი აღთქმის ნდობა ეგების. ბრძენთ უთქვამთ: არ ხამს შეიყვარო მსწრაფლწარმავალი. მკითხა: მაშ, მითხარ, სად ვეძებო გამოსავალი?! ვუთხარ: მჭვრეტელთა სასიამოდ, დამსწრეთა ლხენად, ვარდნარის წიგნის დასაწერად მოვმართავ ენას, რომლის ფურცლებსაც შემოდგომის ქარი ვერაფერს ვერ დააკლებს და ვერცა დროის სრბოლა შეიძლებს, მისი ფურცლების გაზაფხულის ფერადოვნება შემოდგომური ძენძეხით და ჭკნობით შეცვალოს.

რაში გჭირდება მოღაღანე უხანო ვარდი,
თან გაიყოლე ამ ვარდნარის ერთი ფურცელი,
ჩვეულებრივი ვარდი მხოლოდ ხუთ დღეს თუ გაძლებს,
ეს გოლესთანი კი დარჩება ნირშეუცვლელი.

იმ დროს, ეს რომ ვთქვი, ვარდის ტოტი ჩამოარხია და ფურცელ-ფურცელ ჩამაფრქვია გაშლილ კალთაში. მითხრა: ზნესრული აღასრულებს პირობას თვისას.

წიგნის ნაწილი იმავე დღეს გადაიწერა, ურთიერთობის სიამეში, საუბრის წესით, სამოსში, რასაც შეიმკობენ უფლის მეტყველნი და რაც წიგნიერთ მიუმატებს ხატოვანებას. მოკლედ, ჯერ ისევ ყვავილობდა წალკოტის ვარდი, როცა გასრულდა წიგნი ესე გოლესთანისა. ჭეშმარიტად კი მხოლოდ მაშინ იქნება სრული, თუ მოიწონეს ქვეყნის მფარველ ხელმწიფის კარზე, ხელმწიფის, ვინაც შემოქმედის მძლავრი ჩრდილია, უფლის წყალობის სივრცეების არის დამტევი, დრო-ჟამის ნუზლი, რწმენის სანდო თავშესაფარი, ცით შეწევნული, მტერ-დუშმანზე გამარჯვებული, მძლეთამძლე, ერის მკლავ-მარჯვენა, სჯულის ლამპარი, კაცთა მშვენება, სიამაყე ისლამის სჯულის, საყდი, ვაჟი უდიდესი ათაბაგისა, უზეშთაესი შაჰინშაჰი, მეუფე უღელდადგმულ ერთა, წინამძღოლი არაბი და არაარაბი მეფეებისა, ზღვათა და ხმელთა მბრძანებელი, მემკვიდრე მეფე სულაიმანის, მძლეველი წუთისოფლისა და ზესთასოფლისა, აბუ ბაქრ იბნ საყდ იბნ ზანაგი, ალაჰი ამ ორს მარადიულად ჰბოძებდეს იღბალს, გაუორმაგოს დიდებულება და ყველა კეთილი საქმე სიკეთითა და წარმატებით დაუბოლოვოს. უფალმა ღვთაებრივი მოწყალების თვალით წააკითხოს

ეს წიგნი, თუკი მის ღვთაებრივ მზერას მიიპყრობს,
ჩინთა დარბაზად ან ართანგის* ნაყშად იქცევა,
თუკი ვიტყვი, რომ გოლესთანი ლხენის ბაღია,
იმედი მაქვს, რომ ამრეზილი არ გამიწყრება,
მით უფრო წიგნის შესავალი, ფერადოვანი,
საყდ აბუ ბაქრ საყდ იბნ ზანაგის ქებით იწყება.

დიახ, ჩემი ფიქრების გონჯი პატარძალი თავს ზემოთ ვერ ასწევს, კაეშნის თვალებს სირცხვილის ფეხებს ვერასოდეს მოწყვეტს და გულგახსნილთა მარაქაში ისე ვერასდროს გამობრწყინდება, თუ არ შეიმკობა დიდებული ემირის, სამართლიანი მცოდნის, უფლისაგან შეწევნული, ძლევამოსილი გამარჯვებულის, სამეფო ტახტის საყრდენისა და სახელმწიფოს რჩევის მიმცემის, უპოვართა სასოსა და ყარიბთა თავშესაფრის, ზნესრულთა

მწვრთნელისა და ღვთისმოშიშთა ტრფიალის, ფარსის სახლეულის სიამაყისა და სამეფოს მოუღლელი მარჯვენის, ზეპურთა და ხასოთა მბრძანებლისა და სახელმწიფოსა და სჯულის სიამაყის, ისლამისა და მუსლიმთა სიქადულისა და ხელმწიფეთა და მმართველთა ბურჯის აბუ ბაქრ იბნ აბი ნასრის* მოწონებისა და ყაბულის სამკაულით. ალაჰმა გაუხანგრძლივოს მას სიცოცხლე, აუმაღლოს საფეხური, სიხარულით გაუხსნას გული და გაუორმაგოს საზღაური, რამეთუ ქვეყნიერების კიდით კიდემდე დიდებულთა მიერ ქებულია და შესაკრებელია ზნეობრივ სიქველეთა.

თუ ვინმე ჩრდილქვეშ შეიფარა, ვითარცა მტვერი,
ცოდვა დათმენად მოიქცევა, მოყვარედ — მტერი.

უფლის ყველა მონასა და მსახურს თავისი განსაზღვრული მოვალეობა აკისრია და თუკი ზოგი მათგანი ამ მოვალეობას უდიერად ეკიდება ანდა მისი აღსრულება ეზარება, საყვედურსა და გაკიცხვას იმსახურებს, თვინიერ დერვიშთა იმ ჯგუფისა, რომელთათვისაც სავალდებულოა მადლიერება დიდებულთა წყალობისადმი, კეთილხსენება და დალოცვა მათი. ასეთი სამსახურის აღსრულება კი ზურგსუკან უფრო ეგების, ვიდრე პირისპირ, რადგან პირისპირ ნათქვამი ყასიდ ქათინაურთან უფრო ახლოა, ხოლო ზურგსუკან თქმული შორსაა ლიქნისა და პირმოთნეობისგან, ღმერთმა კეთილად შეისმინოს სიტყვა ამდაგვარი!

რაც წუთისოფელს შენნაირი შვილი ეყოლა,
შვებით გასწორდა წელში ზეცის მოხრილი ჩარხი,
უფლის სიბრძნეა — მონათაგან გამოარჩიოს
ვინმე ზნესრული, რომ წრფელი გზით წარმართოს ხალხი,
სამარადისო მეუფება ერგება იმას,
ვინც ქვეყანაზე მოიხვეჭა სახელი კარგი,
მხოლოდ კეთილი მოგონება აცოცხლებს სახელს,
სხვა ყველაფერი ფუჭია და ზედმეტი ბარგი,
თუმცა შენთვის კი ზედმეტია ქება და ხოტბა,
რაში სჭირდება უმარილი მშვენიერ ნარგიზს?

სამეფო კარზე მსახურებისას კი სიფრთხილისა და გონივრული ჭოჭმანის მაგალითია ერთი ამბავი, როცა ინდოელ ბრძენთა ჯამაათი ბოზორჯმიჰრის* ღირსებათა შესახებ საუბრობდა. საბოლოოდ სხვა ნაკლი ვერაფერი გამოუძებნეს, გარდა იმისა, რომ ლაპარაკისას მომეტებულად დინჯია, ძალზე აყოვნებს და მსმენელი დიდხანს უნდა დაელოდოს, ვიდრე ხმამაღლა რაიმეს იტყვისო! ბოზორჯმიჰრმა გაიგონა ესა და ბრძანა: სჯობს ფიქრი იმაზე, რა ვთქვაო, იმაზე სინანულს, რად ვთქვიო!

დაუფიქრდება, ვიდრე თავის სათქმელს იტყოდეს,
მესიტყვე დიდად გამოცდილი, მოხუცი ფირი,
კეთილი თქვი და არა უშავს, თუ გვიან იტყვი,
დაუკვირვებლად კი არასდროს გააღო პირი,
საუბარს მორჩი ვიდრე სხვები გირჩევდნენ კმარას,
უკეთესია მოკლედ მოჭრა სათქმელი ხშირი,
კაცი საქონელს ლაპარაკის უნარით სჯობნის,
და თუ სიმართლეს არ მეტყველებ, გჯობია ვირი.

და როგორი გამოჩნდება ჩემი სიტყვა უფლისაგან კურთხეული ხელმწიფის დიდებულთა თვალში? ღმერთმა გაუმრავლოს მას შემწენი და მოყვარენი. მეფე და მისი დიდებულები

ხომ გულით მჭვრეტელ ხალხთა საკრებულოა და მეცნიერებაში ჩაღრმავებულ მცოდნეთა შუაგული. მაშ თუ სიტყვის სათქმელად სითამამეს გამოვიჩენ, ხუმრობა და თამაში დამიწყია და ძლევამოსილი მეფისათვის მხოლოდ მცირედი სარგებელი მიმინიჭებია. აქატი ჯავაირჩების თვალში მისხალ ოქროდაც არ ღირს, ლამპარს მზის პირისპირ ნათელი არ შერჩება და უმაღლესი მინარეთიც კი ალვანდის მთის კალთებზე დაბალი და კნინი გამოჩნდება.

ვინც თავს ზვიადად მაღლა იწევს, ის თავს იმდაბლებს,
კარგად შეამჩნევს კაცი ბრძენი, გულით მჭვრეტელი,
საადი მორიდებულია და თავდახრილი,
თუმცა თვით არის თავისივე ბედის მჭედელი,
არვინ დაუწყებს ცემა-ტყეპას დაბლა დაცემულს,
თუ არა შლეგი და ცხოვრება განუჭვრეტელი,
რაიმეს თქმამდე გირჩევნია კარგად დაფიქრდე:
ჯერ საძირკველი შენდება და მერე კედელი.

ხეების ხატვა და ძერწვა მეხერხება, მაგრამ არა ბაღნარში, სილამაზით თავი მომაქვს, მაგრამ არა იოსებ მშვენიერის* მშობლიურ ქანაანში. ლოყმანს* უთხრეს: სიბრძნე ვისგან გისწავლიაო და ბრმებისაგან, რომელნიც სანამ ადგილს წინასწარ კარგად არ დაზვერავენ, ისე ფეხს ზედ არასოდეს დააბიჯებენო. შესვლამდე გამოსვლაზე იფიქრე. ჯერ საკუთარი კაცობა გამოსცადე და მერეღა დაქორწინდი!

თუმცა მამალი მამაცია ქათმებთან ომში,
მიმინოს ჭანგთან შებრძოლება როგორ ინება?
კატა ლომია, მაშინ როცა წრუწუნას იჭერს,
მაგრამ თაგვია, თუ ავაზას შეერკინება.

თუმცა, დიდებულთა დიდბუნებოვანების იმედით, რომლებიც თვალს ხუჭავენ საკუთარ ხელქვეითთა ნაკლოვანებებზე და თავისზე კნინთა ცოდვების გამჟღავნებას არ მოინდომებენ, ამ წიგნში რამდენიმე სიტყვით, მოკლედ აღვნუსხეთ ამბავნი, არაკნი, ლექსნი, თქმულებანი და ზნე-ჩვეულებანი გარდასულ მეფეთა. ღმერთმა აცხონოს და შეიწყალოს ისინი. ამას შევალიეთ ძვირფასი ცხოვრების მცირედი ნაწილი. ეს იყო წიგნის შექმნის მიზეზი, ხოლო შეწევნა და წარმატების მოცემა ალაჰისაგან ეგების.

წლებს რომ შემორჩეს და გადარჩეს, ასე შევკრიბეთ,
მოვაწესრიგეთ თითეული მიწის მარცვალი,
რადგან სამყაროს მუდმივობა არა სჩვევია
და დასასრულის გზას მიჰყვება ბანცალ-ბანცალით,
ასე შევქმენით წარუვალი ჩვენივე ხატი,
რომ წარმავლობა დაგვეჯაბნა მერე ამ ძალით,
ეგება ვინმემ წაიკითხოს და შეიწყალოს
დერვიში ტრფობის უნუგეშო ცეცხლში დამწვარი.

წიგნის აღნაგობასა და კართა განლაგებაზე დაკვირვებულმა ფიქრმა სიტყვის მოკლედ თქმა დაისაჭიროვა, ისე, რომ ამ დიდებულ წალკოტსა და ხეებით დაბურულ ბაღნარს სამოთხესავით რვა კარი შეება. მოკლედ თქმული კი იმად გამოვიდა, რათა წამკითხველს მოწყენის მიზეზად არ ქცეოდა.

პირველი კარი ხელმწიფეთა სავალი გზისა
მეორე კარი დერვიშთა ზნეობისა
მესამე კარი ბედით კმაყოფილების უპირატესობისა
მეოთხე კარი დუმილის სარგებელთა
მეხუთე კარი ტრფობისა და სიჭაბუკისა
მეექვსე კარი სიბერის და უძლურებისა
მეშვიდე კარი სწავლა-აღზრდის ზეგავლენისა
მერვე კარი თანამეინახეობის წესისა და რიგისა.

როცა სიამის ჟამი მედგა ამ წიგნის წერის,
იყო მზის ჰიჯრის ექვსას ორმოცდათექვსმეტი წელი,
მსურდა საუბრით ჭკვიანური რჩევა მომეცა,
ღმერთს ჩაგაბარე, ჩემგან სხვა მეტს ნურაფერს ელი.

კარი პირველი

ხელმწიფეთა სავალი გზისა

არაკი პირველი

გამიგონია: ერთმა მეფემ ტყვის მოკვლა ბრძანა. ის საწყალი კი უსასოო ვითარებაში მოჰყვა ხელმწიფის უდიერად ლანძღვა-გინებას. რამეთუ უთქვამთ:

ვინც სიცოცხლეზე ხელს აიღებს დანაქადები,
ყველაფერს იტყვის, რაც რამე აქვს გულში ნადები.

ადამიანს ხომ, როცა სასო წარეკვეთება, დაუგრძელდება ენა,
როგორც დათრგუნულ კატას,
ძაღლთა ხროვას რომ ეკვეთება თავგამოდებით.

გაჭირვების ჟამს, გასაქცევი როს არსად არის,
თავგანწირული მახვილს უნდა დასწვდეს სადავით

მეფემ იკითხა: რას ამბობსო? და ვეზირმა, კეთილშობილმა, მიუგო: ქვეყნის მბრძანებელო, იტყვის: ალაჰმა გაახაროს ბრაზის ჩამხშობნი, გულმოწყალენი ხალხის მიმართ, მიმტევებელნი!*

ხელმწიფეს უცებ შეებრალა სიკვდილმისჯილი და მისი სისხლის დაღვრა იქვე გადაიფიქრა.

მაგრამ მეორე ვეზირმა, მისმა წინააღმდეგმა, უთხრა: ჩვენი ჯიშის ხალხს არ შეჰფერის მეფის წინაშე რაიმე თქვას სიმართლის გარდა! იმ კაცმა მეფეს აგინა და ურცხვად გათათხა!

ხელმწიფეს სახე შეეჭმუხნა და განუცხადა: მე მისი ტყუილი შენს სიმართლზე უფრო მომეწონა, რადგან იმისი საფუძველი სიკეთე იყო, მაგისა კი სიავე. ბრძენნიც ბრძანებენ: შფოთის დამაშოშმინებელი ტყუილი შუღლის წამქეზებელ სიმართლეს სჯობიაო!

ვისაც უჯერებს მეფე ყოველ ტყუილის თუ მართალს,
სავალალოა, რაიმე თქვას სიკეთის გარდა.

ფერეიდუნის* აივნის თაღს ეწერა:

ძმაო, არავის შერჩენია ქვეყანა, არა,
ქვეყნის შემოქმედს მიანებე გული და კმარა.

ნუ დაეყრდნობი წუთისოფელს, რადგან ამ ჭოკმა
ბევრი შენგვარი ჯერ გაზარდა, მერე კი მოკლა.

როს წმინდა სული სხეულიდან წასვლას იწამებს,
გინდ მეფის ტახტზე მომკვდარხარ და გინდ ცივ მიწაზე.

არაკი მეორე

ხორასნის* ერთმა მეფემ სიზმრად მაჰმუდ საბუქთიგინი* ისე იხილა, თითქოს არსების ყველა მყესი მორღვეოდა, გარდა თვალებისა, უწინდებურად რომ ფოსოებში ბრუნავდნენ და იმზირებოდნენ. სიზმრის ახსნა ერთი დერვიშის მეტმა ვერცერთმა ბრძენკაცმა ვერ მოახერხა. იმას კი აზრად მოუვიდა, ეთქვა: ჯერაც შფოთავს, მისი სამეფო რომ სხვების ხელშიაო!

ისე დამარხეს უამრავი სახელოვანი,
რომ ქვეყანაზე მათი კვალი არ დარჩენილა,
მოხუცის გვამი, გუშინ მიწას რომ მიაბარეს,
ისე შეჭამა მიწამ, ძვალიც არ დარჩენილა;
ანუშირვანის* სახელი კი აქამდე ცოცხლობს,
თუმც, ქვეყნად მისი მტკიცე ძალი არ დარჩენილა,
სიკეთე ჰქმენი და სიცოცხლე მადლად მიიღე,
თორემ აქ არვის ნიშანწყალი არ დარჩენილა.

არაკი მესამე

ერთ უფლისწულზე გამიგონია, რომ ჩია და ტანდაბალი ყოფილა, მაგრამ ძმები ჰყოლია მაღლები და სახემწყაზარნი. ერთხელ თურმე მამა ვაჟს ამრეზითა და ზიზღით შესცქერო-და. ბიჭმა კი გონებითა და გამჭრიახობით მოახერხა და უთხრა:

— მამა, ტანდაბალი ბრძენი ახმახ სულელზე უკეთესია. რაც ცოტაა, იმას ფასიც უფრო ძვირი აქვს. ცხვარი სუფთაა, სპილო კი უწმინდური. ქვეყნად ყველაზე დაბალი მთა სინაის მთაა, მაგრამ ღვთის თვალში ყველაზე მაღალი და პატივდებულია.

თუ გაგიგია, როგორ უთხრა მცოდნე გამხდარმა
მსუქანა უვიცს, გული ორად გააპობია:
საბრძოლო რაში, რაც არ უნდა გამხდარი იყოს,
ერთ თავლა ვირებს მაინც ასი თავით სჯობია!

მამამ გაიცინა, სახელმწიფოს ბურჯებმა ნათქვამი მოუწონეს, ძმებმა კი დიდად იწყინეს და ითაკილეს.

ვიდრე კაცს სიტყვა არ დაუძრავს, დაფარულია
მისი ნაკლიცა და ღირსებაც, წესით და რიგით,
ყველა ხეობა ცარიელი ნუ გეგონება:
იქნებ, სწორედ იქ იმალება მოქნილი ჯიქი.

ისიც გამიგია, რომ იმხანად მეფეს ძლიერმა მტერმა შემოუტია. როცა ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ გამოვიდა, საბრძოლო მოედანზე პირველმა ცხენი სწორედ იმ ჩია უფლისწულმა შეაგელვა და დაიძახა:

მე ის არა ვარ, ბრძოლისას ვის ზურგსაც იხილავ,
ისა ვარ, ვისაც არ სჩვევია მტერთა გაშვება,
რადგან ვინც იბრძვის, საკუთარი სულით თამაშობს,
ხოლო ვინც გარბის, ლაშქრის სიკვდილს ეთამაშება!

ეს თქვა, დუშმანის სპას შეუტია და მათი რამდენიმე მამაცი მებრძოლი იქვე გააგორა. როცა ისევ მამასთან დაბრუნდა, მის წინაშე მოკრძალებით ემთხვია მიწას და უთხრა:

სწორედ ისა ვარ, შენ რომ კნინი გეჩვენებოდი,
მაგრამ მიხვდები, საბოლოოდ გონზე რომ მოხვალ:
ომში გამხდარი ბედაური გამოგადგება
და არა თავლის მოვლილი და ნასუქი ძროხა.

ამბობენ, რომ მტრის ლაშქარი უზღვავი, ხოლო ესენი ცოტანი ყოფილან. თურმე ერთმა ჯგუფმა გაქცევაც გადაწყვიტა. ბიჭს შეუძახია:

— კაცებო, ან გაისარჯეთ ანდა დიაცთა კაბები ჩაიცვითო!

მხედრებს მისმა ნათქვამმა სიმამაცის სული განუმტკიცა. მოწინააღმდეგეზე ერთიანი იერიში მიიტანეს და მტერზე იმ დღეს კიდეც გაიმარჯვეს.

მეფემ ვაჟს თავი და თვალები დაუკოცნა, გვერდით მოისვა და დღითი დღე ისე შეიყვარა, რომ ბოლოს, ტახტის მემკვიდრედაც ის გამოაცხადა.

ძმებს შეშურდათ და ვაჟის საჭმელში საწამლავი გაურიეს. ამ ამბავს ვაჟების დამ თავისი პალატიდან მოკრა თვალი და სარკმელი ზათქითა და ზრიალით დახურა. ბიჭი ყველაფერს მიხვდა, სადილს პირი აღარ დააკარა და თქვა:

— არ შეიძლება უნარიანები დაიხოცონ და მათი ადგილი უუნაროებმა დაიჭირონო!

ბუს ჩრდილში თავის შეფარება ვინ მოინდომა,
თუნდაც ამ ქვეყნად ერთიანად ამოწყდეს ჰომა.*

ეს ამბავი მამასაც აცნობეს. ხელმწიფემ დაიბარა ძმები, ჯერ გვარიანად დატუქსა, მერე თავისი სამფლობელოდან თითოეულს განსაზღვრული წილი დაუტოვა, რათა შუღლი ჩამ-ცხრალიყო და წინააღმდეგობა გამქრალიყო, რამეთუ უთქვამთ: ათი დერვიში ერთ ნოხს დასჯერდება, ერთ ქვეყანაში კი ორი მეფეც ვერ დაეტევაო!

მორწმუნე კაცი ნახევარ პურს თვითონ თუ შეჭამს,
ნარჩენი ღატაკთ უნდა მისცეს, ვით უფლის ვალი,
მაგრამ ხელმწიფემ, გინდ ქვეყანა ჩაიგდოს ხელში,
მაინც სხვა ქვეყნის დაპყრობაზე უჭირავს თვალი.

არაკი მეოთხე

არაბი ავაზაკების ერთი გუნდი მთის წვერზე გამაგრებულიყო და საქარავნო გზა გადაეკეტა. მათი თარეში ქვეყნის მცხოვრებთ შიშის ზარს სცემდა, მაგრამ იმათ სულტნის ლაშქარიც კი ეძლიათ და ვერაფერს უხერხებდნენ, რადგან მთის წვერზე ერთი მტკიცე და მიუვალი ადგილი დაეკავებინათ და საკუთარ ბუდედ და თავშესაფრად გაეხადათ.

იმ მხარის სახელმწიფოთა მმართველებმა მათი ზარალის თავიდან აცილებაზე ითათბირეს და შეთანხმდნენ, რომ თუ ავაზაკთა გუნდი თავის საქმეს ცოტა ხანს კიდევ განაგრძობდა, მალე მათთან წინააღმდეგობა ვერავითარ შედეგს ვეღარ მოიტანდა.

ახალი ნერგი კაცის ძალით ამოითხრება,
ვიდრე ნედლია და ფესვები არა აქვს მყარი,
მაგრამ თუ აცლი და მიუშვებ, ცოტა ხნის შემდეგ,
ბევრიც რომ სცადო, ვერ ამოთხრი უღელი ხარით.
წყალს სათავეში თოხითაც კი შეაკავებენ,
მაგრამ, როდესაც მოდიდდება, თუნდ მამაცურად
შეება მის ღვარს და ატალღულ ლაღად დინებას
ვეღარ შეძლებ და სპილოთიც კი ვერ გადაცურავ.

საბოლოოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ მათ დასაზვერად ვიღაც გააგზავნეს და მარჯვე შემთხვევას დაელოდნენ, სანამ ერთხელ ავაზაკები ადამიანთა ჯგუფზე თავდასასხმელად თავიანთი ბუდიდან გამოვიდოდნენ და სამყოფელი ცარიელი არ მიატოვეს. ამათაც რამდენიმე ომში გამოცდილი კაცი გააგზავნეს, რომ მთის ეხებში დამალულიყვნენ. საღამოს, როცა მთელი დღის ნახეტიალები ავაზაკები უკან მობრუნდნენ, მიტაცებული იარაღი მოიხსნეს და ალაფად წამოღებული ტანსაცმელი გაიხადეს, ძილი იყო პირველი მტერი, მათ რომ თავს დაესხა. ღამის ერთმა მეოთხედმა რომ განვლო,

ბნელმა მოიცვა მზე და ვეღარ ხედავდნენ მაღალს,
რადგან იონა გადაყლაპა ზვიგენის ხახამ.

მამაცი მეომრები სამალავიდან გამოვიდნენ, ყველა ავაზაკს ხელები ზურგსუკან გაუკრეს და დილით ხელმწიფის კარზე წამოასხეს. ხელმწიფემ უკლებლივ ყველას დახოცვა ბრძანა. მაგრამ მათში ერთი ახალგაზრდაც ერია. სიყრმის ცინცხალი ნაყოფი ახლად მოწევნოდა და საულვაშისა და ღაწვის ბაღჩა მწვანედ, ის-ის იყო, აბიბინებოდა.

ერთი ვეზირი ხელმწიფის ტახტის ფეხს ემთხვია, შუამდგომლობის სახე მიწას გადაამხო და თქვა:

— ამ ყმაწვილს ჯერ ცხოვრების ბაღის ხილი არ უგემია და თავისი სიჭაბუკის სიცინცხალით ჯეროვნად არ დამტკბარა. ხელმწიფის კეთილშობილებისა და დიდბუნებოვანებისაგან იმისი იმედი მაქვს, რომ ბიჭის სისხლს მე მაჩუქებს და თავის მონა-მორჩილს წყალობას მიყოფსო!

მეფეს ამ სიტყვების გაგონებაზე სახე მოეღუშა. ნათქვამი მისი მაღალი აზრის თანხმიერი არ გამოდგა და ბრძანა:

ვისაც ავი აქვს საფუძველი, ვერ მოახერხებ,
რომ წვრთნით და აღზრდით გაასწორო, აქციო კარგად,
რადგან უღირსის წვრთნა ისევე უსარგებლოა,
როგორც შენობის გუმბათებზე კაკლის ხის დარგვა.

უფრო უპრიანია, ესენი დედაბუდიანად ამოვწყვიტოთ და ფესვი და ჯიში ამოვუგდოთ, რადგან ცეცხლის ჩაქრობა და ნაკვერჩხლების დატოვება, შხამიანი გველის მოკვლა და მისი წიწილის ცოცხლად გაშვება ბრძენთა შესაფერი საქმე არ არისო!

თუნდაც ღრუბელმა უკვდავების წყარო აწვიმოს,
ტირიფი ნაყოფს ვერასოდეს მოისხამს ნაქარს,
ტყუილუბრალოდ შენს სიცოცხლეს ქარს ნუ გაატან,
სელის ლერწმისგან ვერასოდეს მიიღებ შაქარს.

ვეზირმა ისმინა ეს სიტყვა. უნდოდა თუ არა, მოიწონა, მეფეს აზრის სიკეთე შეუქო და უთხრა:

რაკი ავკაცებს დაუმოყვრდა ცოლი ლუტისა*,
დაემხო კიდეც მოციქულთა ჯილაგი მისი,
გამოქვაბულის მკვიდრთა ძაღლმა* კეთილთა თანა
ცოტა ხანს დაჰყო და შეიქმნა კაცობის ღირისი!

ეს რომ ბრძანა, მეფის თანამეინახეთა ნაწილმა შუამდგომლობაში მხარი აუბა და ბოლოს ხელმწიფემ იმ ბიჭს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ბრძანა, მიპატიებია, თუმცა ეს საქმე სწორად არ მიჩანსო!

გამიგონია, ასე უთხრა ზაალმა როსტომს*:
ხამს რომ უძლური არასოდეს გეგონოს მტერი,
სათავის წყალი უღონოა, მაგრამ მდინარეს
ბევრი აქლემიც წაუღია, ვითარცა მტვერი.

მოკლედ, ვეზირმა ყმაწვილს მოვლა-პატრონობა არ მოაკლო, აღსაზრდელად რჩეული ოსტატები მიუჩინა და იმანაც კარგი სიტყვა-პასუხი და სამეფო კარზე ქცევის სხვა წესებიც ისე შეითვისა, რომ დიდებულებს ძალზე მოეწონათ და თვალში მოუვიდათ.

ერთხელ ვეზირი ბიჭის სანაქებო თვისებებზე მეფეს ებაასებოდა. უთხრა, გონიერთა წვრთნამ მასზე ისე იმოქმედა, რომ უწინდელი ბუნებითი სირეგვნე მთლიანად განაგდოო.

ხელმწიფეს ამ სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარა და ბრძანა:

მგლის ლეკვი მაინც მგლად იქცევა ბოლოს და ბოლოს,
თუნდ კაცმა ზარდოს და წვრთნას გული თან ჩააყოლოს.

ასე განვლო ორმა წელიწადმა. მთებში შეხიზნულმა ავაზაკების ერთმა ჯგუფმა ბიჭთან გააბა ურთიერთობა და ერთმანეთს ძმობის ფიცით შეეკვრნენ. ერთხელაც ჭაბუკმა დრო იხელთა, ვეზირი და მისი ორი ვაჟი დახოცა, აურაცხელი ავლადიდება გაიტაცა, ავაზაკთა გამოქვაბულში მამამისის ადგილი დაიკავა და ყაჩაღად გავარდა.

მეფემ მაშინ გაოცების თითზე იკბინა და ბრძანა:

კარგ ხმალს ვერავინ გამოაწრთობს ცუდი რკინისგან
და არაკაციც ვერ გახდება წვრთნა-აღზრდით კაცი,
დიდი მადლია წვიმა, მაგრამ მისი წყალობით,
წალკოტში ტიტა ამოვა და მლაშობზე ქაცვი.

მლაშობი მიწა სუმბულს როგორ აღმოაცენებს,
ამაოდ ნურც ჯანს და ნურც ჩითილს გაანიავებ.
ავს თუ სიკეთეს გაუკეთებ, ეს იგივეა,
კარგ კაცს, ვინც კეთილს იმსახურებს, უყო სიავე.

არაკი მეხუთე

ოღლამაშის* მიწაზე ერთი სარდლის ვაჟი ვიხილე, რომელსაც ენით აღუწერელი ჭკუა-გონება, უნარი და ნიჭი ჰქონდა და სიყრმიდანვე შუბლზე დიდებულების ნიშანი ესვა.

თავზე გონების დიდებული შუქურვარსკვლავი
დასჩახჩახებდა მოციაგე სხივთა კანკალით.

ბოლოს და ბოლოს ბიჭი სულთანს მოუვიდა თვალში, რადგან სახისა და ჭკუის მშვენება უხვად ჰქონდა და ბრძენთაც უთქვამთ: ძალა ნიჭით გვეძლევა და არა ქონებით, ხოლო ასაკის სიდიდე გაიზომება, წლებით კი არა, ჭკუა-გონებითო.

მისი წრის ადამიანებს შეშურდათ ვაჟის წარმატება, ღალატი დააბრალეს და მის მოკვლას შეეცადნენ, თუმცა ამაოდ, რადგან მტერი რას დაგაკლებს, როცა მეგობარს გულით უყვარხარ?! ხელმწიფემ ერთი ის კი ჰკითხა: შენდამი მათი შუღლის მიზეზი რა შეიქნაო?

მიუგო: დიდებული ხელმწიფის ჩრდილქვეშ — მრავალჟამიერ ჰყოს ალაჰმა მეფობა მისი! — უკლებლივ ყველას გული მოვიგე, მეშურნეთა გარდა, რომელთაც გულს ვერაფერი დაუცხრობთ იმის მეტი, რომ ჩემი ბედნიერება წარიხოცოს. დაე, მეფეს იღბალი და მეფობა შერჩესო!

ძალმიძს არავინ შევაწუხო ამ ქვეყანაზე,
მაგრამ მეშურნეს თავის ბოღმით ესხმება რეტი,
აჰა, მოკვდი და დაისვენე, რადგანაც შურის
სნეულებისგან ვერვინ გიხსნის სიკვდილის მეტი.

ბედდანავსულნი ისურვებენ, რომ სვებედნიერთ
პირქვე დამხობილთ შეჰყურებდნენ, ბედით გათელილთ,
მზის რა ბრალია, თუ ღამურის უამურ თვალებს
ერთი წამითაც არ უხილავთ მისი ნათელი.

არაკი მეექვსე

სპარსელთა ერთ-ერთ მეფეზე ჰყვებიან, რომ სამწყსოს ქონებისათვის ხელი დაერია და მათ დევნასა და შევიწროვებას შედგომოდა. ხალხი მისმა საქციელმა ისე შეაწუხა, რომ ამ მეფის უსამართლობის ხიფათებს თავი სხვა ქვეყნებში გაარიდეს და მისი ჩაგვრის სატანჯველის გამო ყარიბობის ბილიკებს შეუყვნენ. როცა სამწყსო შეთხელდა, სახელმწიფო შემოსავალმაც იკლო, ხაზინა დაცარიელდა და მტრებმაც ყოველმხრივ ძალა მოიტანეს.

თუ გსურს, რომ ვინმე გამოგადგეს შავი დღისათვის,
ხამს მშვიდობის დროს გიყურებდეს სიკეთით მფრთონავს,
ყმაც გაგექცევა ყურმოჭრილი, თუ არ დაინდობ,
დაუყვავე, რომ უცხოც გექცეს ყურმოჭრილ მონად.

ერთხელ დარბაზობისას მეფეს „შაჰ-ნამეს“* უკითხავდნენ, ზააქის სამეფოს დამხობისა და ფერეიდუნის ზეობის დასაწყისის ამბავს.

მეფემ ვეზირს ჰკითხა: ნეტავ, ვინმემ თუ იცის, ფერეიდუნმა, რომელსაც არავითარი სიმდიდრე, ქონება და განძი არ გააჩნდა, ხელმწიფობა როგორ დაინარჩუნაო. მიუგო: მე როგორც გამიგია, მის გარშემო თურმე ფანატიკურად განწყობილმა ხალხმა მოიყარა თავი, გააძლიერეს და მეფობაც სწორედ ამიტომ დარჩაო. იქვე დასძინა: მეფეო, თუკი ხალხის მიმხრობა და შემოკრება ხელმწიფობის მიზეზი შეიქნება, შენ ხალხს რატომ ფანტავ, ნუთუ ხელმწიფობის თავი არა გაქვსო?!

სჯობს რომ ლაშქარი გაიმრავლო სიცოცხლის ფასად,
რადგან ხელმწიფე მეფედ სწორედ ლაშქარმა დასვა.

ხელმწიფემ ჰკითხა: — სამწყსოს და ლაშქრის შემოკრების მიზეზი რაღააო?

მიუგო:— მეფეს ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ სამწყსომ მის გარშემო მოიყაროს თავი. თანაც ლმობიერი უნდა იყოს, რომ ხალხმა მისი სახელმწიფოს თავშესაფარში უსაფრთხოება დაიმკვიდროს! შენ კი არცერთი ეს თვისება არა გაქვსო!

ხელმწიფემ ჩაგვრას არ უნდა მიჰყოს ხელი,
რაკიღა მწყემსად ვერ გამოდგება მგელი!

ხელმწიფეს ვეზირის გულწრფელი რჩევა არაფრად ეჭაშნიკა, მისი სიტყვების გაგონებაზე სახე შეიჭმუხნა და ვეზირი ციხეში ჩაასმევინა.

დიდხანს არ გაუვლია, რომ მეფეს ბიძაშვილები აუმხედრდნენ და მისი სამფლობელოდან მამის წილი მოითხოვეს. ხალხი, რომელსაც მეფის უსამართლობით სიცოცხლე გამწარებოდა და აქეთ-იქით გაფანტულიყო, მის მეტოქეებს მიემხრო და ისინი ისე გააძლიერა, რომ მეფეს სახელმწიფო წაართვეს და თვითონ დაინარჩუნეს.

ხელმწიფე, ვინაც ხელქვეითებს არბევს და ჩაგრავს,
გაჭირვების ჟამს მოყვარესაც მტრულად განაწყობს,
მშვიდობიანად მოეპყარი ხალხს და ომის დროს
სამართლიანი მეფის ჯარია მისივე სამწყსო.

არაკი მეშვიდე

მავანი მეფე ერთ სპარსელ ფარეშთან ერთად ხომალდზე იჯდა. ფარეშს ზღვა არასოდეს ენახა და ხომალდის ხიფათებიც არასოდეს გამოეცადა. ღრიალი მორთო და მთელი ტანით აცახცახდა. რამდენიც არ დაუყვავეს, ვერაფრით დაწყნარდა. ხელმწიფეს გუნება გაუმწარდა, მაგრამ ფარეშთან მაინც ვერაფერი გააწყვეს.

ხომალდზე ერთი ბრძენიც იჯდა და ხელმწიფეს უთხრა: თუ ნებას მომცემ, გავაჩუმებო! მეფემ მიუგო: დიდ სიკეთეს და წყალობას იზამო!

ბრძენმა ბრძანა, მსახური ზღვაში გადაეგდოთ.

რამდენჯერმე ჩააყვინთვინეს, მერე თმაში ხელი წაავლეს და ისევ გემზე ამოიყვანეს. ხელი ხომალდის გემბანს ჩასჭიდა და ზემოთ ამოვიდა. იქ კი ერთ კუთხეში მიჯდა და ხმა აღარ გაუღია.

მეფეს ეს ამბავი ეამა და იკითხა: ამ საქმეში რა სიბრძნე იყოო?

ბრძენმა მიუგო:

— თავიდან დახრჩობის ხიფათი არასოდეს გამოეცადა და გემის უსაფრთხოების ყადრსაც ვერ ხვდებოდა. ისევე, როგორც ბედნიერების ფასი მხოლოდ იმან იცის, ვისაც უბედურება შეემთხვევაო.

მაძღარო, ქერის კვერი შენ არ მოგეწონება,
შენ რომ მახინჯი გეჩვენება, სატრფოა ჩემი,
სამოთხელთათვის განსაწმენდელი ჯოჯოხეთია,
ჯოჯოხეთის მკვიდრთ სამოთხედ უჩნთ განსაწმენდელი.

განსხვავდებიან ის, ვინც სატრფოს ეკვრის ვნებიანს
და ვინც კარს სატრფოს მოლოდინში მისციებია!

არაკი მერვე

ჰორმოზს* ჰკითხეს: შენს ვეზირებს ისეთი რა შეცოდება შეამჩნიე, რომ მათი დატყვევება გიბრძანებიაო?

თქვა: შეცოდება არაფერი შემინიშნავს, მაგრამ დავინახე, გულში ჩემი უსაზღვროდ ეშინოდათ, ჩემს აღთქმას კი სრულებითაც არ ერთგულებდნენ. ამიტომაც ვიფიქრე, საკუთარი ზიანის შიშით ჩემს მოკვლას მოიწადინებენ-მეთქი და ბრძენთა სიტყვებს მივყევი, რომელთაც უთქვამთ:

იმის უნდა გეშინოდეს,
ვისაც შენი ეშინია,
თუნდ ათასი მისნაირის
დამარცხება შეძლო ომში,
გველი ფეხზე იმიტომ კბენს
მწყემს, რომ შიშობს,
თავს გაუპობს,
ამიტომაც მოერიდე
გაყუჩებულ მსახურს, მორჩილს,
არ გინახავს ქანცქგაცლილი
კატა, როცა დამარცხდება,
ეკვეთება და ავაზას
ბრჭყალით თვალებს ამოჰკორტნის.

არაკი მეცხრე

არაბთა ერთი ხელმწიფე დაძაბუნებულიყო და მოხუცებულს სიცოცხლის იმედი დაჰკარგვოდა. უეცრად ვიღაც მხედარი ეახლა და ახარა: ესა და ეს ციხე ავიღეთ და უფლის აჩრდილს დავუმორჩილეთ, მტრები დავატყვევეთ და იმ მხრის ჯარი და სამწყსო ერთიანად თქვენი ბრძანების მორჩილი შეიქნაო.

მეფემ ტკივილისაგან მწარედ ამოიოხრა და უთხრა: ეგ სამახარობლო ჩემთვის კი არა, ჩემი ნამდვილი მტრებისთვის ანუ სახელმწიფოს მემკვიდრეთათვის უნდა მიგეტანაო.

იმის იმედით გაილია ცხოვრება მთელი,
ამიხდებოდა ნატვრა, გულის რომ მედო ხუნდებად,

ყველა იმედი მართლაც ახდა, მაგრამ ახლა, როს
არ მაქვს იმედი, რომ ცხოვრება დამიბრუნდება.

სიკვდილის ხელით ჩამოიკრა მგზავრობის ზარი
დაემშვიდობეთ თავს, თვალებო, მკლავებს, ხელებო,
მტრის წინ გავრთხმულვარ, მეგობრებო, გვერდი მიქციეთ,
შენღა შემომრჩი, ღამევ ბნელო, გაუთენებო,
უმეცრებაში გავატარე ჩემი ცხოვრება:
მე ვერ გავფრთხილდი, თქვენ ის ქმენით, როგორც გენებოთ!

არაკი მეათე

დამასკოს მეჩეთში წინასწარმეტყველ იაჰიას* სამაროვანთან ლოცვად ვიდექი, რომ არაბთა ერთ-ერთი მეფე, რომელსაც უსამართლობით გაეთქვა სახელი, მეჩეთის მოსალოცად შემოვიდა. ნამაზი აღასრულა, ილოცა და ღმერთს რაღაც სურვილი შეავედრა.

უფლის მონაა გინდ ღარიბი და გინდ მდიდარი,
თუმცა მდიდარი უფრო უფლის იმედით არი.

ამ დროს მითხრა: რაკი ლოცვა-კურთხევა და მოყვასის გულწრფელი სიყვარული დერვიშთა წესია, თან რამე შეგონება მისაგზლე, რადგან მტერმა დიდ საგონებელში ჩამაგდოო.

ვუთხარი: უძალო ხელქვეითნი შეიბრალე, რომ ძლიერი მტრისაგან გასაჭირი არ ნახომეთქი.

თუ ღონიერი მკლავი გაქვს და ძლიერი ხელი,
ცოდვაა, უძლურს და უღონოს უმტვრიო მაჯა.
მას, ვინც წაქცეულს არ დაინდობს, არ ეშინია,
რომ, თუ წაიქცა თვითონ, ვერვის შეასმენს აჯას?
ვინც ავი სთესა და მოსავლად კარგს მოელოდა,
ფუჭი იმედით ძალი თვისი ტყუილად ხარჯა,
ყურიდან ბამბა გამოიღე, ხალხს სამართალი
მიეც და თუ შენ არ გაუჩენ, არღარა დარჩა
სამართლის დღემდე, როცა ყველას უფალი განგვსჯის,
დღეს, უეჭველად რომ დადგება, თუმცა ჯერ არ ჩანს.

* * *

ადამის ძენი ერთი ტანის არიან მყესნი,
და შესაქმის მხრივ ყველა მათგანს ერთი აქვს ფესვი,
თუკი საწუთრო ერთ-ერთ ნაწილს სნებას შეამთხვევს,
საღი და მშვიდი ვერ დარჩება ვერცერთი მყესი.

* * *

შენ, ვინც სხვათა ჭირს არად აგდებ, თვითონ სვიანი,
ღირსი არა ხარ, დაგიძახონ ადამიანი!

არაკი მეთერთმეტე

ბაღდადში ერთი დერვიში გამოჩნდა, რომლის ლოცვასაც ღმერთი უმალვე შეისმენდა. ეს ამბავი რომ ჰიაჯაჯ იუესფს* გააგებინეს, დაიბარა დერვიში და უბრძანა: ღმერთს ჩემს სიკეთეს შეევედრეო! თქვა: ღმერთო, მისი სული სხეულის ტყვეობიდან დაიხსენიო! დაუყვირა: თუ ღმერთი გწამს, ეს რანაირი სიკეთის ლოცვააო! მიუგო: დიახაც, სიკეთის ლოცვაა შენთვისაც და მთელი მუსლიმებისთვისაცო!

ჰოი, ხელმწიფევ, ხელქვეითთა მაოხრებელო,
სარფას ვიდრემდე შემოგიტანს შენ ეს ბაზარი,
ნეტა ვიცოდე, ქვეყნის ფლობა რაში გჭირდება?
ჯობს მოკვდე, რადგან მტარვალი ხარ, გულის საზარი!

არაკი მეთორმეტე

ერთმა უსამართლო მეფემ ერთ ღვთისმოსავს ჰკითხა, ღვთისმსახურებათაგან რომელში უფრო მეტი მადლიაო. მიუგო: შენთვის — შუადღის ძილში, რადგან ამ დროს ძეხორციელს ვნებას ვერ მოუტანო.

მჩაგვრელი ვნახე, შუადღისას ტკბილად ეძინა,
ვთქვი: ამ გარეწარს ზეცა თავზე ჩამომხობია!
ხალხს ვისი ძილიც ღვიძილს უჯობს, იმის სიცოცხლეს
სულ რომ მოკვდეს და არ იცოცხლოს, ისა სჯობია!

არაკი მეცამეტე

ერთ-ერთ მეფეზე გამიგონია, მთელი ღამე დიდ განცხომაში გაუთევია და ნადიმისა და მემთვრალეობის ბოლოს დაუძახია:

ქვეყნიერებას მირჩევნია ეს ერთი წამი,
როცა ამქვეყნად ერთი დარდიც არა გაქვს რამის.

ერთ შიშველ-ტიტველ დერვიშს სიცივეში გარეთ ეძინა. გაიგონა ხელმწიფის ნათქვამი და დაუძახა:

მთელ ქვეყანაზე სხვას ვისა აქვს შენებრი ბედი,
შენ არ გადარდებს, მაგრამ აბა, ჩვენც გვკითხე, ერთი!

მეფეს მოეწონა მისი ნათქვამი. ათასდინარიანი ქისა ღიობიდან გარეთ გადააწოდა და დაუძახა: კალთა გაშალე, დერვიშო! იმან მიუგო: კალთა საიდან მექნება, როცა სამოსი არ მაცვიაო! მეფეს მის საბრალობელ ყოფაზე გული აუჩუყდა, ხალათი გაუმზადა და მსახურს გაატანა. დერვიშმა კი ის ფული და საბოძვარი ცოტა ხანში დაანიავა და სიხარბით გულანთებული კვლავ ხელმწიფის კართან მიბრუნდა.

აზატთან ფული ვერ დადგება ვერარა ძალით,
ვით მეტრფის გულში — მოსვენება, საცერში-წყალი.

მეფეს, როცა უგუნებოდ ბრძანდებოდა, მაშინ მოახსენეს, ვიღაც დერვიში თქვენს კართან დგასო! ხელმწიფემ სახე შეიჭმუხნა. სწორედ ამის გამო უთქვამს გონიერ და გამოცდილ ხალხს:

მეფეთა სიფიცხისა და ბრაზის მორიდება გმართებს, რადგან მათი შემართება უმთავრესად სახელმწიფოს უდიდეს საქმეებს დასტრიალებს და უბრალო ხალხის შემაწუხებელი რიარიის ატანა არა აქვთო!

ისე ვერავინ ეღირსება მეფის წყალობას,
თუ არ შეარჩევს შესაფერის დროსა და ადგილს,
ვიდრე წინასწარ არ გაითვლი საუბრის შედეგს,
ფუჭი ლაქლაქით არ დაკარგო შენივე ყადრი.

ხელმწიფემ ბრძანა: ეს უყაირათო მათხოვარი, რომელმაც ამდენი წყალობა ასე მცირე ხანში გაანიავა, აქედან მიაბრძანეთ, რადგან ხელმწიფის ხაზინა უპოვართა ლუკმაპურია და არა შეიტანების მოძმეთა სათქვლეფიო.

სულელს, დღისით რომ ანთებს სანთელს და სწყალობს ბედი,
მალე ღამითაც არ ექნება ლამპარში ზეთი.

ერთმა გულწრფელად მრჩეველმა ვეზირმა უთხრა:

— ქვეყნის მბრძანებელო, ადამიანებს დღიური სარჩო გამოზომილად უნდა მიეცეთ, რათა ხარჯვისას ზედმეტი არ მოუვიდეთ. რაც შეეხება იმას, გაძევებასა და წყალობის დაჭერაზე რომ ბრძანეთ, დიდბუნებოვანთა ზნის შესაფერისი არ არის — ვინმე ალერსიანად დააიმედო და მერე კვლავაც უიმედობით გადაქანცო.

ეცადე, რომ ხარბს არასოდეს გაუღო კარი,
და თუ გაიღო, ვერ დახურავ ვერარა ძალით.

არვის უნახავს, რომ ჰიჯაზის მწყურვალი ხალხი
შეკრებილიყო მლაშე წყალთან, სვენებ-სვენებით.
სადაც სასმელად საამური წყარო ამოდის,
იქ მივა ხალხიც, ჩიტებიც და ჭიანჭველებიც.

არაკი მეთოთხმეტე

გარდასული ჟამის ერთ ხელმწიფეზე გამიგონია, რომ სამეფოს მართვაში მოისუსტებდა და ლაშქარს დიდ სიბეჩავეში ამყოფებდა. უცებ ძლიერმა მტერმა შემოუტია და მომხვდურს ყველამ ერთიანად უჩვენა ზურგი.

ერთ-ერთი, ვინც მხედრული მოვალეობის აღსრულებაზე უარი განაცხადა, ჩემი მეგობარიც იყო. გავკიცხე დავამუნათე და ვუთხარ: სიმდაბლე, უმადურობა, ზნედაცემულობა და უპასუხისმგებლობაა ის, რომ ვითარების ოდნავი ცვლილებისას ძველი ბატონის სამსახურს განუდგე და წლების მანძილზე შენთვის გაღებული მადლი და წყალობა დაუვიწყო-მეთქი.

მომიგო: თუ კეთლშობილების გამო ჩემს მობოდიშებას შეიწყნარებ, გეტყვი, რომ ცხენიც კი უქეროდ მიკვდებოდა და მისი უნაგირის ნაბადიც კი გირაოში მქონდა მიცემული. სულტნისათვის, რომელიც ჯარისკაცთა ჯამაგირისას სიძუნწეს გამოიჩენს, ჯარისკაცი მკლავს არასოდეს გაიმამაცურებს.

გულანთებული თუ გსურს ჯარი, მიეცი ფული
და თუ არ მისცემ, გაქცევისკენ გაუწევს გული.

ღონეზე მოვა კაცი, როცა გაძღება კარგად,
მშიერს კი ღონე აღარა აქვს, გაქცევის გარდა.

არაკი მეთხუთმეტე

ერთი ვეზირი სახელმწიფო სამსახურიდან დაითხოვეს და დერვიშების საძმოში შევიდა. მათთან ურთიერთობის მადლი მალე მასზეც გადავიდა და ამღვრეული გონება დაეწმინდა. ცოტა ხანში ხელმწიფესაც მოუბრუნდა გული და კვლავ სამეფო სამსახური შესთავაზა, მაგრამ ვეზირმა უარი უთხრა და განუცხადა: მეფეთა სამსახურს სჯობს, დათხოვნილი, ბრძენთა შორის იმყოფებოდეო!

ვინაც საწუთროს ერთი კუთხე არჩია მშვიდი,
ძაღლს კბილი, ხალხს კი ენაპირი შეუკრა ფლიდი,
წიგნი დახია და კალამი გადაამტვრია,
მარჯვედ დაუსხლტა მოშუღლეთა ამაო ჭიდილს.

მეფემ უთხრა: უსათუოდ მჭირდება სრულქმნილი ბრძენკაცი, რომ სახელმწიფო თათბირ-რჩევას გაართვას თავიო.

მიუგო: მეფეო, სრულქმნილი სიბრძნის ნიშანი სხვა არა არის რა, იმის გარდა, რომ კაცი ასეთ საქმეებში არ გაერიოს.

ჰომა სხვა ფრინველთ მხოლოდ იმით აღემატება,
რომ ძვლებსა ხრავს და სულდგმულისთვის არ მოაქვს ვნება.

ჯიქსა ჰკითხეს: ლომის განუწყვეტელი მსახურება რისთვის არჩიეო და — იმისათვის, რომ მისი ნანადირევის ნარჩენით ვიკვებები და მისი ძალის წყალობით, მტერთა სიავისგანაც დაცული ვარო. უთხრეს: მისი შეწევნის ჩრდილქვეშ რომ შესულხარ და, მისი წყალობის მადლით, სიმტკიცე და მოსვენებაც მოგიპოვებია, რატომ უფრო არ დაუახლოვდები, რომ ბარემ მის რჩეულთა გუნდს შეერთო და შენც თავის გულანთებულ მსახურად მიგიღოსო? მიუგო: მისი შემოტევისაგან ასე უფრო უხიფათოდ ვარო.

ზოროასტრელი*, ას წელს ცეცხლს რომ ანთებს უკლებლად,
თუ ერთი წამით შიგ ჩავარდა, დაიბუგება.

ისეც ხდება, რომ მეფის მსახური ოქრო-ვერცხლს იძენს, მაგრამ თავს კარგავს. ბრძენნიც ბრძანებენ: მორიდება გმართებს მეფეთა ბუნების ცვალებადობისა, რადგან ზოგჯერ სალამიც კი გააგულისებთ, ხოლო ზოგჯერ გინების სანუფქოდ საბოძვარს გასცემენო. ასევე უთქვამთ: მეტისმეტი დამყოლობა მეფის მსახურთა უნარია და ბრძენკაცთა ნაკლიო.

შენ შენი ყადრი სცანი, სხვათა ძალის გარეშე,
მანჭვა-გრეხვა კი მიანებე მეფის ფარეშებს.

არაკი მეთექვსმეტე

ერთმა მეგობარმა ყოფის მოუწყობლობაზე შემომჩივლა: სარჩო მცირე მაქვს, სარჩენი — ბევრი. სიბეჩავეს ველარ ვუძლებ და გულში არაერთხელ მიფიქრია, სხვა მხარეში გადავიხვეწო და ისე ვიცხოვრო, ჩემი ავი-კარგი ველარავინ შეიტყოს-მეთქი.

დაუძინია ბევრ მშიერს და იმისი კითხვით,
ვინ იყო იგი, თავი არვის გადაუღლია,
ბევრ გაჭირვებულს მარტოდმარტო ამოხდა სული
და მასზე არვის ცხარე ცრემლი არ დაუღვრია.

თუმცაღა, ავისმოსურნეთა ქირქილიც მაფიქრებს, ზურგსუკან რომ გაკილვას დამიწყებენ, ოჯახზე ზრუნვასა და გარჯას უგერგილობაში ჩამომართმევენ და იტყვიან:

ამ სალახანას ვერ უყურებთ? — მაგის თვალებმა
ვერასდროს ნახონ მოსვენების სახე, იერი,
თვითონ საკუთარ სიამეზე გადაგებულა,
ხოლო ცოლ-შვილი დაუყრია გუდამშიერი.

სამაგიეროს მიგების ამბავში, როგორც ცნობილია და რაც მე გამიგია, თუ თქვენი დიდებულების მეოხებით, რაიმე სახსარს გამომიჩენთ, რაც გულდამშვიდების მიზეზად შემექნება, მთელი დარჩენილი ცხოვრება მადლობას ამისთვის ვერასდროს გადაგიხდითო.

მივუგე: მეფეთა სამსახურს ორი მხარე აქვს — იმედი და შიში: იმედი პურისა და შიში სულისა. ხოლო ბრძენთა აზრის საპირისპირო იქნება, თუკი იმ იმედით ამ შიშში გაებმებიმეთქი.

ღატაკ კაცს არვინ მიაკითხავს, მიწის და ბაღის
გადასახადი მოგვეციო, ბედით მწუხარეს.
ან გარჯასა და დარდს დასჯერდი, ან ადექი და
შენივ გულ-ღვიძლი ხარბ ყვავ-ყორნებს გადაუყარე.

მითხრა: ეგ სიტყვა ჩემი ყოფის შესაბამისი არ არის და ჩემს თხოვნაზე პასუხი მაინც ვერ გამეცი. არ გაგიგია: ვინც ღალატს ჩაიფიქრებს, ანგარიშსწორების შიშითაც ზურგი იმას უკანკალებსო!

ღმერთს სათნო უჩანს სიმართლე და მეც ვიცი ასე,
რომ არვის გზა არ დაუკარგავს ჭეშმარიტ გზაზე.

ბრძენთაც უთქვამთ: ოთხი ვინმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდება ოთხ ვინმეს: ავაზაკი — სულტანს, ქურდი — ყარაულს, მრუში — ჭორიკანასა და ქუჩის ქალი — მოჰთასებს*, ხოლო იმას ვისაც სუფთა ანგარიშები აქვს, ანგარიშსწორებისა რად უნდა ეშინოდეს?!

ნუ გააკეთებ შენ შენს საქმეს უგულისყუროდ,
გასამრჯელოსას რომ ვერრა თქვას, ვინც შენს ცუდს ლამობს,
წმინდა იყავი და ნურაფრის გექნება დარდი,
ქვას დააწყვეტენ მხოლოდ ცუდად გარეცხილ სამოსს.

შენი ამბის შესაფერისია იმ მელის არაკი, რომელიც ლტოლვილი იყო, უთვისტომო და უჟამკაროდ სადღაც მიექანებოდა. ვიღაცამ ჰკითხა: რა უბედურება გჭირს, ამნაირი თავზარი რომ დაგცემიაო?! მიუგო: გავიგე — აქლემს იჭერენ და უსასყიდლოდ ამუშავებენო! უთხრეს: შე უგვანო ბრიყვო, რომელი აქლემის ნათესავი შენ ხარ, ანდა აქლემს რა მიგიგავსო? მიუგო: გაჩუმდი! ჩემმა მტრებმა ავი განზრავით აქლემობა რომ დამაბრალონ და დამიჭირონ, ჩემი დახსნისა და საქმის გარკვევის თავი ვის ექნება?! ვიდრე ერაყიდან შხამსაწინააღმდეგო წამალს მოიტანენ, გველნაკბენი სულსაც გააცხებსო!

შენი საქმეც სწორედ ასეა! ღირსებაც გაქვს, რწმენაც, ღვთისმოშიშებაცა და სანდოობაც, მაგრამ ავის მოსურნენი ჩაგსაფრებიან და შენი სწორობის დამჩემებელნი, ბნელ კუთხეებში ჩამომსხდარნი, შენს საზიანოდ მარჯვე შემთხვევის შოვნას ელიან. თუკი იმას, რაც შენი ზნის სიკეთეა, საწინააღმდეგოდ გამოაცხადებენ და ხელმწიფის წინაშე თავის მართლება მოგიხდება, ამ დროს, საუბრის საშუალება სადღა გექნება. ამიტომაც, გონივრული მეჩვენება, კმაყოფილების სამფლობელო დაიცვა და პირველობის სურვილს თავი ანებო.

ზღვა აღსავსეა უამრავი სარგებლის ვარჯით,
მაგრამ, თუ უსაფრთხოება გსურს, ნაპირზე დარჩი!

მეგობარმა, როცა ჩემი სიტყვები მოისმინა, გაბრაზდა, შუბლი შეიკრა და გულმოსასვლელი ლაპარაკი წამოიწყო. მითხრა: აბა ეგ რა ჭკუა, სიბრძნე, წინდახედულება და შეგნებაა! მართალი უთქვამთ ბრძენკაცთ: მეგობარი საპყრობილეში გამოჩნდება, თორემ სუფრაზე ყველა მეგობრად მოგეჩვენებაო!

მეგობრად ნუ თვლი იმას, ვინაც ფუფუნებაში
იჩემებს შენს წრფელ სიყვარულს და ძმადნაფიცობას,
რადგანაც ნაღდი მეგობარი ლხინში კი არა,
უბედურების და სიავის ჟამს შეიცნობა.

დავინახე, რომ რაღაც სხვანაირად აჭიკჭიკდა და გულწრფელი რჩევა არასწორად გაიგო. ამიტომაც ხელმწიფის დივანბეგთან მივედი და ძველი ნაცნობობის წყალობით, ერთმანეთთან რომ გვაკავშირებდა, ჩემი მეგობრის საქმის ვითარება ავუხსენი, მისი ღირსეულობა და ვარგისიანობა შევუქე და მალე ერთ პატარა თანამდებობაზეც დანიშნეს.

ცოტა ხანში მისი ბუნების სიქველე შეამჩნიეს და მსჯელობის სიკეთე მოუწონეს, საქმე კარგად წაუვიდა და უფრო მაღალ ადგილას წაიწია. ასე მაღლა-მაღლა მიიწევდა მისი სვებედის ვარსკვლავი, სანამ სანუკვარი მიზნის უზენაეს კიდეს არ მისწვდა და ბრწყინვალე სულტნის ახლობელი, ჭკუის საკითხავი და დასაყრდენი არ შეიქნა.

მისი მდგომარეობის სიკეთემ გამახარა და ვთქვი:

ძმო, თუ საქმე არ გამოგდის, უიღბლო ვარო, —
მაინც ნუ იტყვი... წყვდიადში ჩქეფს სიცოცხლის წყარო...

ნუ იწუწუნებ, თუკი ჭირი მოგჩქეფს, ღვარული,
იცოდე, უფალს მოწყალება აქვს დაფარული.

ბედის ტრიალის ყველა დარტყმას შეხვდი ლაღობით,
თმენა მწარეა, მაგრამ ტკბილი მოაქვს ნაყოფი.

იმხანად მეგობრების ჯგუფთან ერთად მოგზაურობამ მომიწია. როცა მექის მომლოცველობიდან უკან ჩამოვბრუნდი, ჩემი მეგობარი ორი მანზილის* სავალზე წინ გამომეგება. დაბნეული იყო და უპოვართა იერი დასდებოდა. ვკითხე, რა დაგმართნია-მეთქი და მომიგო:

როგორც მიწინასწარმეტყველე, ერთ ჯგუფს ჩემი შეშურდა, ღალატი დამწამეს და მეფემ — მრავალჟამიერ მეფობა მისი! — სიმართლის გასარკვევად თითიც არ გაანძრია. ძველმა ამხანაგებმა და გულწრფელმა მეგობრებმაც კი მართალი სიტყვის თქმას დუმილი ამჯობინეს და ოდინდელი ძმობა სავსებით დაივიწყეს.

ვერ ხედავ, ვიდრე ტახტზე ზეობს ხელმწიფე მორჭმით,
სუყველას კრძალვით დაუწყვია მის წინ ხელები,
მაგრამ თუ ნახეს, საქმე ავად მოუტრიალდა,
მთელი ქვეყანა გადაუვლის თავს გახელებით.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო: ნაირნაირი სასჯელი დამადეს აქამდე, როს მექის მომლოცველთა ჯანმრთელობის სამახარობლო მოვიდა, მეც მძიმე პატიმრობიდან გამათავისუფლეს მემკვიდრეობით კუთვნილი ქონება დამიბრუნეს.

ვუთხარი: მაშინ კი არ დამიჯერე, როცა გეუბნებოდი: მეფის სამსახური ზღვაზე მოგზაურობას ჰგავს — სახიფათოცაა და სარგებლიანიც: ან განძს ამოიღებ, ან განძზე დადებული თილისმა მოკლავს-მეთქი.

ზღვიდან ოქრო ან ორივ ხელით გამოაქვს ვაჭარს,
ანდა თვითონ მას გამორიყავს ზღვა სადმე დამხრჩვალს.

თუმცა ამის მეტად გონივრულად აღარ მეჩვენა, მისი შინაგანი ჭრილობა ყვედრებითა და მუნათით კიდევ უფრო გამეარჯლებინა და ზემოდანაც მარილი მომეყარა. ამიტომაც, სათქმელი ორიოდე სიტყვით მოვუჭერი:

ახლაც ვერ ხვდები, როს ფეხებზე დაგედო ბანდი,
რჩევას რომ ყური არ ათხოვე, დასრულდა რითი?
მეორედ, თუკი ნესტრის ჩხვლეტის თავი არა გაქვს,
კირჩხიბის ხვრელში არასოდეს არ შეყო თითი!

არაკი მეჩვიდმეტე

რამდენიმე კაცი ჩემი განუყრელი თანამეინახე იყო. გარეგნული სიკეთით შემკულთ ერთი დიდებული მოწყალე თვალით უყურებდა და მათთვის კარგი ჯამაგირიც დაენიშნა.

ერთხელ ერთმა მათგანმა ღვთისმოშიშისათვის შეუფერებელი რაღაც ჩაიდინა. იმ დიდებულმა მათზე გული აიყარა და ამ ხალხის ბაზარიც გაქესატდა.

მოვისურვე, როგორმე მეგობართა შეწყვეტილი ლუკმაპური განმეახლებინა და მათ შემწე დიდებულთან ხლება მოვინდომე.

მეკარემ კი შიგნით არ შემიშვა და ძალიან გამაწვალა. მობოდიშებით შევაპარე: გამიგონია, დიდბუნებოვანთ უთქვამთ:

თუ შუამავლად დიდი კაცი არ გეგულება,
ნუ იტრიალებ სულტნისა და ემირის კართან,
რადგან ძაღლმა და მცველმა უცხო თუ დაინახეს,
ერთი საყელოს დაუფლეთს და მეორე — კალთას.

მცირე ხანში იმ დიდებულის ახლობლებმა ჩემი ამბავი შეიტყვეს, დიდი თავაზითა და პატივით მომეკიდნენ და მის უმაღლესობასთან წარმადგინეს. თავი მდაბლად დავუკარი და ვუთხარ:

თუმც მსახური ვარ მბრძანებლისა კნინი და შორი,
რა მოხდა, მაინც ხომ ვითვლები მსახურთა შორის!

მითხრა: — ალაჰ, ალაჰ! ეგ სიტყვები რა მოსატანია!

თავზე და თვალზეც რომ დაგვაჯდე, გაალმასებით
მაინც არ გაგწევთ გვერდზე, რადგან გვეძვირფასები!

ერთი სიტყვით, დავჯექი, ამ მთისა და იმ ბარისა ველაპარაკე, მერე კი სიტყვა ჩემი მეგობრების სიბეჩავეზეც ჩამოვუგდე და ვუთხარ:

რა ბრალი ნახა მეფემ უწინ წყალობაუხვმა,
თავის ხელქვეითს თვალს ჩავარდნილ ეკალს რომ ადრის,
მოწყალე ღმერთიც, თუმცა ხედავს, რომ სცოდავს მონა,
მაინც არ უჭირს, მიუბოძოს თავისი მადლი.

დიდებულს ეს სიტყვები ძალიან მოეწონა და კვლავაც ბრძანა, ჩემი მეგობრებისათვის ცხოვრების სახსარი გაეჩინათ. მათთვის უწინდებურად წყალობა მიეცათ და იმ დღეების დანაკლისიც კი, როცა საბოძვარს არ გაიღებდა, უკლებლივ და მისხალ-მისხალ გადაეხადათ.

მის წინაშე მიწას ვემთხვიე, სითამამისათვის პატიება ვთხოვე და გარეთ გამოსვლისას ვუთხარი:

რადგან ქააბა დაადგინეს მლოცველთა ყიბლად*,
დღეს იქ უშორეს ქვეყნებიდან ჩამოვლენ წესით,
თქვენც ჩვენისთანა უპოვართა ატანა გმართებთ:
უნაყოფო ხეს ქვას ამქვეყნად არავინ ესვრის!

არაკი მეთვრამეტე

ერთ უფლისწულს მამისაგან უზარმაზარი ქონება დარჩა. იმანაც სიქველის ხელი გაშალა, უხვი საბოძვარი გასცა და ლაშქარს და სამწყსოს თავზე უშურველი მოწყალება გადააყარა.

უდის* ზანდუკი აბა ყნოსვას როგორ აამებს,
ცეცხლს უნდა მისცე, თუ სურნელის რაიმე გესმის,
ქველი იყავ და მოწყალება უხვად გაეცი,
თუ არ დაფანტე, არასოდეს ამოვა თესლი.

ერთმა უხიაგმა თანამეინახემ ჭკუის სწავლება დაუწყო: გარდასულ მეფეებს ეს სიმდიდრე გარჯა-წვალებით დაუგროვებიათ და საჭირო საქმეთათვის გადაუნახავთ. შენც ამგვარ ქცევაზე ხელი აიღე, რადგან წინ მოულოდნელი უსიამოვნებანი, ხოლო უკან მტრები ჩაგსაფრებიან და არ ეგების გაჭირვების ჟამს ლიდაოდ დარჩეო!

თუკი ქონებას დაურიგებ ღარიბ-ღატაკებს,
ყველა სახლეულს ერთს არგუნებ ბრინჯსა და ღანძილს,
გადაინახე თითოეული ხვავიდან ვერცხლი,
რათა ერთ დღესაც დაგიგროვდეს ნამდვილი განძი.

მეფემ ამ სიტყვების გაგონებაზე შუბლი შეიჭმუხნა, მისი დასჯა ბრძანა და განაცხადა: — მაღალმა ღმერთმა მე ამ მიწა-წყლის ხელმწიფედ დამსვა, რათა თვითონაც ვჭამო და სხვაც დავაპურო. მწყემსი ხომ არა ვარ, გავუფრთხილდე და გადავინახოო?

კარუნი* მოკვდა, ორმოცი სახლი განძი რომ ჰქონდა,
ანუშირვანი კი კეთილი სახელით ცხონდა.

არაკი მეცხრამეტე

გადმოგვცემენ, რომ ანუშირვან სამართლიანს სანადირო ბანაკში ნანადირევი შეეწვა და მარილი არა ჰქონდა. მახლობელ სოფელში მსახური მარილის საშოვნელად გააგზავნა და დაავალა: იცოდე, მარილის საფასური უსათუოდ გადაიხადე, რათა უფასოდ გამორთმევა წესად არ იქცეს და სოფელი არ განადგურდესო! შეჰკადრეს: კი, მაგრამ ამით სოფელი როგორ წახდებაო?!

მიუგო: უსამართლობის საფუძველი თავიდან ქვეყნად ძალზე მცირე იყო, მაგრამ მერე ყველამ რაღაც დაამატა და აი, ახლა სადამდე უწიაო!

თუ სამწყსოს ბაღში მეფემ ერთი ვაშლი შეჭამა,
მისი მხლებლები ხეს მოთხრიან ძირფესვიანად,
თუკი ხელმწიფე ვინმეს ხუთ კვერცხს წაართმევს ძალით,
მისი ლაშქარი ათას ქათამს შეწვავს მთლიანად.

არაკი მეოცე

ერთი უგუნურის ამბავი გამიგია, რომელმაც ქვეშევრდომის სახლი გააცამტვერა, რათა სულტნის ხაზინა გაემდიდრებინა. ბრძენთა სიტყვები კი არ სმენოდა, რომელთაც უთქვამთ: ვინც მაღალ ღმერთს შეაწუხებს, რათა ხალხის კეთილგანწყობა მოიპოვოს, მაღალი ღმერთი იმავე ხალხს აღძრავს მის წინააღმდეგ, რათა ცხოვრება ნაცარტუტად გადაუქციონო.

ცეცხლი ვერ მოსდებს ესფანდს* ისე თავის ქამანდებს,
რასაც ჩაგრულის გულის კვამლი მჩაგვრელს დამართებს!

ცხოველთა თავადად ლომი უთქვამთ და ყველაზე კნინ ცხოველად — ვირი, მაგრამ, გონიერთა ერთსულოვანი აზრით, ტვირთის მზიდავი ვირი უკეთესი, ვიდრე ადამიანის მფატრავი ლომი.

თუმც საბრალოა ვირი, მაგრამ — უფალს დიდება! —
ვერავინ სჯობნის მას, როცა ტვირთს მიეზიდება.

სწორედ ამიტომ დღენიადაგ სიმართლეს ვყვირი:
სხვათა მტანჯველ კაცს მიჯობს გამრჯე ძროხა და ვირი!

აწ კი ისევ უგულისხმო ვეზირის ამბავს დავუბრუნდეთ. მეფეს ქვეშევრდომთა მხრიდან მისი ავი ბუნება განეცხადა. აწამა და ნაირგვარი სასჯელით მოკლა.

ვერ მოიპოვებ ისე მეფის კეთილგანწყობას,
თუ ჯერ მსახურთა და ფარეშთა გულს არ მოიგებ,

გინდა უფალმა მოგიტევოს და მადლი მოგცეს? —
მაშინ ჯერ თვითონ ღვთის მონებზე მადლი მოიღე!

ამბობენ, ერთ-ერთ დაჩაგრულ კაცს მის გვერდით ჩაუვლია, უნახავს მისი დამხობა და უთქვამს:

არა ხამს იმან, ვისაც მოსდევს მკლავი და ღონე,
უპატიოსნოდ, ძალით ჭამოს ხალხის ქონება,
ვეება ძვალი ყელში იქნებ გადაუვიდეს,
მაგრამ მუცელში ტკივილს რითღა მოეფონება?!

ამ სოფელს მარად არ შერჩება მჩაგვრელი ავი,
თვითონ კი მუდამ სრულ კრულვაში ექნება თავი!

არაკი ოცდამეერთე

ჰყვებიან, ერთმა ხალხის მჩაგვრელმა მართალ კაცს თავში ქვა ჩაარტყა, გაჭირვებულ დაზარალებულს კი შურისძიების ღონე არ გააჩნდა. ქვა კი თან დაჰქონდა, ვიდრე ერთხელ იმ ჯარისკაცს, ვინც მას თავი გაუტეხა, ხელმწიფე არ განურისხდა და ხაროში არ ჩააგდებინა. მაშინ ღარიბი კაცი მივიდა ხაროსთან და თავის მჩაგვრელს ის ქვა ზემოდან დააწყვიტა. ჰკითხა: ვინ ხარ და რას მერჩიო? მიუგო: მე ესა და ეს კაცი ვარ და ეს სწორედ ის ქვაა, ამა და ამ დროს თავში რომ ჩამარტყიო! ჰკითხა: კი, მაგრამ ამდენ ხანს სად იყავიო? მიუგო: შენი დიდებულებისა მეშინოდა, მაგრამ ახლა, ხაროში რომ დაგინახე, მარჯვე შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდიო?!

როცა ხედავენ, უღირსს სწყალობს ღმერთი და ბედი,
ჭკვიანთ სხვა ღონე აღარ რჩებათ, დათმენის მეტი.
რაკი არა გაქვს მფატრავი და ბასრი ფრჩხილები,
მტაცებლებს სჯობს, რომ არ შეება, დანამდვილებით.
ვინც ფოლადის მკლავს შერკინება შეჰბედა ავი,
ყველამ ამაოდ ჩამოღალა თავისი მკლავი.
მოიცადე, რომ ერთ დღეს ხელზე დაადონ ხუნდი,
მერე გაუპე თავი, როგორც იმის მტრებს უნდათ!

არაკი ოცდამეორე

ერთ ხელმწიფეს ისეთი საშინელი სნებაა შეეყარა, რომლის სახელიც უკეთესი იქნება, აქ არც გავიხსენოთ.

ბერძენი აქიმების გუნდი ერთ აზრზე დადგა: ამ სნებას ერთადერთი წამალი აქვს და ისიც ასეთი და ასეთი თვისებების კაცის გულ-ღვიძლიაო!

მეფემ ბრძანა, საჭირო კაცი მოენახათ.

იპოვეს ერთი გლეხის ბიჭი, სწორედ ისეთი, ექიმებმა რომ თქვეს. მეფემაც დაიბარა ბიჭის დედ-მამა და აღურიცხველი მოწყალების ფასად, შვილის სიკვდილზე დაიყოლია. ყადიმ იქვე განჩინება გამოსცა, ხელმწიფის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სამწყსოს ერთ-ერთი კაცის სისხლი ალალიაო!

ჯალათმა ბიჭის მოკვლა რომ დააპირა, ვაჟმა თავი ზეცისაკენ მიაბრუნა და გაიღიმა.
ხელმწიფემ უთხრა: ამ ვითარებაში რა დროს სიცილიაო!
მიუგო: შვილის მოფერებას — დედ-მამისაგან, სამართლიან გადაწყვეტილებას — მოსამართლისაგან, ხოლო ამ გადაწყვეტილების სიმართლით აღსრულებას ხელმწიფისაგან მოელიან. დედ-მამამ სიღატაკით გამწარებული წუთისოფლის გამო, მოსაკლავად მიმცა, მოსამართლემ ჩემი მოკვლის განჩინება გამოიტანა და ხელმწიფემ ამ განჩინებას დასტური დასცა. ასეთ ვითარებაში ღვთის გარდა თავშესაფარი აღარსად მაქვსო!

თქვი, ვის შევჩივლო შენზე, გული ვისთან ვიჩივილო,
თუკი შენ გამო ისევ შენთან უნდა ვიჩივლო?!

ხელმწიფეს ამ სიტყვების გაგონებაზე გული ამოუჯდა, თვალზე ცრემლი მოერია და ბრძანა: ჩემი სიკვდილი უფრო ღირსეული იქნებოდა, ვიდრე უცოდველი სისხლის დაღვრაო!
ბიჭს თავი და თვალები დაუკოცნა, გვერდში ამოიყენა, უხვი წყალობა მისცა, გაათავისუფლა და ამბობენ, თვითონაც იმავე კვირას გამოჯანმრთელდაო!

კვლავ ის ბეითი არ მასვენებს, ნილოსის პირზე
სპილოს პატრონმა რომ მიბრძანა, გულის მტეხველი:
იცოდე, შენი ნაბიჯის ქვეშ პატარა ხოჭო
ისე იხრჩობა, ვითარცა შენ — სპილოს ფეხებში.

არაკი ოცდამესამე

ამრ ლაისს* ერთი მონა გაექცა. კვალში ჩაუდგნენ და უკან დააბრუნეს. მავან ვეზირს ამ მონის ჯინი სჭირდა და მეფეს მისი მოკვლა ურჩია, რომ სხვა მონებს ასეთი საქციელი ვეღარ გაებედათ.
მონა ამრ ლაისის წინაშე მიწას განერთხა და შეჰღაღადა:

რაც კი მომივა, თუ შენ მოგწონს, კარგია, ვფრთონავ...
როცა სამართალს ბატონი იქმს, რა ეთქმის მონას?

მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თქვენი სახლეულის წყალობით აღზრდილი ვარ, არ მსურს, განკითხვის დღეს ჩემი სისხლი მოგეკითხოს. ამიტომ თუ თქვენი მონა-მორჩილი უსათუოდ უნდა მოკლა, მაშინ რაიმე სჯულისმიერი მიზეზით მომკალი, რათა აღდგომის დღეს არ დაისაჯოო.
ჰკითხა: სჯულისმიერი საბაბი რა უნდა იყოსო?! მიუგო: ნება მომეცი, ვეზირს სული გავაფრთხობინო და ამის შემდეგ ბრძანე, სისხლის გამოსასყიდის წესის შესაბამისად მომკლან, რათა მკვლელობა სამართლიანად ჩაგეთვალოსო!
ხელმწიფემ გაიცინა და ახლა ვეზირს მიუბრუნდა: შენ რაღას იტყვიო?
მიუგო: — ღვთის გულისათვის, მამაშენის სულის ცხონებამ, ეგ ოინბაზი ნებას მიუშვი, რათა შარს არ გადამკიდოს. ცოდვა სინამდვილეში მე ჩავიდინე, რომ ბრძენთა თქმული არად ჩავაგდე:

რაკი თავი არ მოარიდე ქვა-ღორღის მსროლელს,
იცოდე, თვითონ გაიტეხე შენივე თავი,
ისარი დუშმანს პირისპირ რომ სახეში სტყორცნე,
გაფრთხილდი, რადგან მის სამიზნედ იქეცი ამით.

არაკი ოცდამეოთხე

ზოუზანის* მეფეს ერთი დიდებული ჰყავდა, ზნემაღალი და კეთილშობილი, რომელიც პირისპირ ყველას ემსახურებოდა, ზურგსუკან კი მათზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობდა. ერთხელ, როგორღაც, მისი ქცევა მეფეს თვალში არ მოუვიდა, მთელი ქონება ჩამოართვა და მისი დასჯა ბრძანა.

მეფის ლაშქრის მეთაურებს ამ კაცის უწინდელი სიქველე კარგად ახსოვდათ და ამის გამო მისი მადლიერნი იყვნენ. პატიმრობისას კეთილად, ალერსიანად ექცეოდნენ და მისი დასჯა-წამება ჯეროვნად არ მიაჩნდათ.

თუ გინდა, რომ მტერს დაუზავდე, ყოველთვის, როცა
ზურგსუკან გძრახავს, შენ არ დაგცდეს იმისი ძვირი,
სიტყვა ქარია და ავყიას ენას გაივლის,
თუ ვინმეს მწარე სიტყვა არ გსურს, დაუტკბე პირი.

კაცმა მეფის მიერ დაკისრებული გადასახადის ერთი წილი დაფარა, მაგრამ დარჩენილის გამო ისევ ისე ციხეში დატოვეს. ახლომახლო მიდამოთა ერთ-ერთმა მეფემ ჩუმად შეუთვალა: მაგ მიწა-წყლის გამგებლებმა თქვენისთანა დიდი ადამიანის ყადრი ვერ გაიგეს და უდიერად მოიქცნენ. ახლა, თუკი ეს ძვირფასი ადამიანი — ღმერთმა გათავისუფლება გაუადვილოს! — თავის მაღალ ყურადღებას მოგვაპყრობს, მისი აზრის გასათვალისწინებლად ჩვენ უკიდურეს გარჯას გამოვიჩენთ. ჩვენი სახელმწიფოს დიდგვაროვანნიც მასთან შეხვედრას ესწრაფვიან და ამ სიტყვათა პასუხს ელიანო!

დიდებულმა ეს შემონათვალი კარგად გაიაზრა, საფრთხისა შეეშინდა, თუმცა მაშინვე მოკლე პასუხი, იმგვარი, როგორიც საჭიროდ მიიჩნია, მათივე უსტარის უკანა გვერდზე დაუწერა და უკან გაატანა.

მეფის ერთ-ერთმა ახლობელმა, ამ ამბავს რომ შეესწრო, ხელმწიფეს აცნობა, მავანმა, რომლის პატიმრობაც გიბრძანებია, უცხო მიწათა მბრძანებლებთან მიმოწერა გააჩაღაო!

მეფე განრისხდა და ამ ამბის გამორკვევა ბრძანა. შიკრიკი შეიპყრეს და უსტარი წაიკითხეს. პატიმარს მიეწერა: „თქვენი დიდებულების მიერ ამ ბეჩავის მისამართით გამოთქმული კეთილი აზრი მის ღირსებებს აღემატება და თქვენი მონა-მორჩილი ამ ბრწყინვალე შემოთავაზებას ვერაფრით მიიღებს, რამეთუ ჩემი მეფის სახლეულის წყალობით ნაზარდი ვარ და უწინდელ პატრონზე უმნიშვნელო მიზეზით გულის აყრა და მისი ორგულობა ბრძენთა საკადრის საქმედ არ მიჩანსო!

იმას, ვინც გვერდში მუდამ დიდი სიკეთით გედგა,
შენც მიუტევე, სადმე ცუდი თუ დასცდა, ერთგან.“

მეფე მისმა მადლიერებამ ძალიან აამა. უხვი საბოძვარი და წყალობა მისცა და მოუბოდიშა: შევცდი, ასეთი უდანაშაულო ასე რომ დაგსაჯეო!

მიუგო: მეფეო, იმით, რაც გააკეთე, შენ არაფერი დაგიშავებია, უფალს ენება — დიდება მის სახელს! — უსიამოვნება შემხვედროდა. ამიტომაც უფრო უპრიანი იყო, ეს უსიამოვნება დამმართნოდა შენი ხელით, რომელსაც უწინ აღურაცხველი მადლი და წყალობა გიბოძებია. ბრძენთაც ხომ უთქვამთ:

თუ ხალხისაგან ავი შეგხვდა, ნუ დამწუხრდები,
მათგან არ მოდის არც ავი, არც კარგი ულევი,
ღვთისგან მიიღე მტერ-მოყვარის ცვალებადობა,
რაკიღა მუდამ ღვთის ხელშია მათი გულები.

მშვილდიდან სხლტება ისარი, თუმც, ცხადი ის არი,
რომ მშვილდის უკან გამუდმებით დგას მოისარი.

არაკი ოცდამეხუთე

არაბთა ერთმა მეფემ კარის მოხელეებს უბრძანა, მავანისათვის ჯამაგირი გაეორმაგებინათ, რადგან მეფის მოუღლელი მსახურია და მისი ნების სანიმუშო აღმსრულებელი, მაშინ როცა, სხვა ფარეშები თამაშსა და გართობას აჰყოლიან და სამსახური ეზარებათო. ერთმა გულით მჭვრეტელმა კაცმა გაიგონა ესა და ბრძანა: მონათა ხარისხების ამაღლება უზენაესი ღვთის წინაშეც ამგვარად ხდებაო!

ორ გარიჟრაჟზე რომ ეახლოს მეფეს მავანი,
მესამე დილას ალერსს მოსწყვეტს სარკეთა ქიმებს,
გულწრფელ ღვთისმოსავთ იმედი აქვთ, რომ ღვთის წინაშე
არ დაკარგავენ შენდობის და სიცოცხლის იმედს.

უფლის ბრძანების მორჩილება ხსნაა გულისა,
ხოლო ურჩობა მიზეზია სინანულისა!

ვისაც მართალთა იერი აქვს, კაცი ის არი,
ღვთის სამსახურად მომართული რომ აქვს ისარი!

არაკი ოცდამეექვსე

ერთ უსამართლოზე ჰყვებიან, თურმე ღარიბთაგან შეშას გროშებად ყიდულობდა და მერე ამ შეშას მდიდრებზე გვარიან ფასად ჰყიდდა. მის მახლობლად ერთ გულით მჭვრეტელ კაცს ჩაუვლია და უთქვამს:

გველი ხარ — ყველა შემხვედრისთვის გესლის მნთხეველი,
ბუ ხარ, სადაც ზის, იმ ადგილის დამაქცეველი!

ეგ შენი ძალა აღმართსა ხნავს, გაგიდის ჩვენთან,
თუმც ვერ გაგივა, ღვთის წინაშე წარდგები როცა,
ძალმომრეობით ნუ აიკლებ ქვეყნის ბინადართ,
გაფრთხილდი, ცამდე არ უწიოს ჩაგრულთა ლოცვამ!

ბატონს მისი სიტყვა სწყენია, ამპარტავნებას შეუპყრია ცოდვით, რჩევის გამო წარბები ქუშად შეუყრია და კაცისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ერთ ღამეს კი სამზარეულოში გაჩენილი ხანძარი მისი შეშის საწყობსაც გადასდებია, მთელი სარჩო-საბადებელი გადაუბუგავს და კაცი ფაფუკი ლოგინიდან ცივ ქვასა და ნაცარცხელზე დაუსვამს!

სწორედ ამ დროს მასთან, როგორღაც, ისევ ის რჩევის მიმცემი კაცი მოხვედრილა და გაუგონია, როგორ ეუბნებოდა ბატონი თავის მოკეთეებს: ვერ გამიგია, ცეცხლი ჩემს სახლში საიდან გაჩნდაო?!

მიუგია: ხალხის გულიდანო!

უფრთხილდი, ძმაო, შინაგანი ჭრილობის ტკივილს,
გადაიხსნება, თუ ზედ მუდამ დარდი ეყარა,
თუ შეგიძლია, არავის არ მოუკლა გული,
ერთ ოხვრას ძალუძს ამოაგდოს მთელი ქვეყანა!

გამიგონია, ქაიხოსროს გვირგვინს ეწერა:

რამდენი ხანი, რა ხანგრძლივი წლები და ჟამი,
ჩვენს თავთა ზემოთ ივლის ხალხი, ათასკეცებად,
სამეფო, ჩვენ რომ გადმოგვეცა ხელიდან ხელში,
სხვათა ხელებსაც სწორედ ასე გადაეცემა.

არაკი ოცდამეშვიდე

ერთ კაცს ჭიდაობის ხელოვნება ძირფესვიანად შეესწავლა. სამას სამოცი ჩინებული ფანდი იცოდა და ამის მეშვეობით ყოველ დღე სხვადასხვა ყაიდაზე ჭიდაობდა. კაცს გულის კუნჭულში ერთი თავისი შეგირდის სილამაზის წადილი უღვიოდა. ამ შეგირდს სამას ორმოცდაცხრამეტი ფანდი ასწავლა და მხოლოდ ერთის სწავლება არ მოინდომა და დაიზარა. ბოლოს და ბოლოს ყმაწვილი ძალაზე მოვიდა, ხელობაშიც გაიწაფა და იმხანად მასთან შებმის ღონე აღარავის გააჩნდა. მოხდა ისე, რომ ჭაბუკმა იმჟამინდელ მეფესთან დაიკვეხნა: უპირატესობა, რაც მასწავლებელს ჩემზე გააჩნია, უფროსისა და აღმზრდელის ამაგის პატივისცემითაა გამოწვეული, თორემ არც ძალით ჩამოვუვარდები და ხელოვნებითაც მისი თანაბარი ვარო!

მეფეს ასეთი უზრდელობა არაფრად ეჭაშნიკა და ბრძანა, შეგირდი და მოწაფე ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ.

საასპარეზოდ ვრცელი მოედანი გაამზადეს, სადაც თვალის სასეიროდ სახელმწიფოს ბურჯებმა, ბრწყინვალე დიდებულებმა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა მოიყარეს თავი.

ბიჭმა მთვრალი სპილოსავით ისეთი ღონიერი დარტყმით დაიწყო, რომ ფოლადის მთასაც კი ძირიანად ამოგლეჯდა.

ოსტატმა შეამჩნია, ბიჭი ძალით აღმემატებაო და იმ უცხო ფანდს მიმართა, რაც თავის დროზე ჭაბუკისათვის არ ესწავლებინა.

ბიჭმა ამ ფანდის მოგერიება არ იცოდა და დაიბნა. მასწავლებელმა კი ორივე ხელით წამოიღო ქვემოდან, მოწინააღმდეგე თავზე გადაიტარა და მიწას დაანარცხა.

ხალხმა ყიჟინა დასცა. მეფემ ოსტატისთვის საბოძვარის მიცემა ბრძანა. ბიჭი კი გაკიცხა და დაამუნათა: შენს გამზრდელთან შერკინება დაიქადნე, თავი კი ვერ გაართვიო!

მიუგო: ჰოი, ქვეყნიერების მბრძანებელო, ძალით ეგ ჩემთან ვერას გახდებოდა, მაგრამ ჭიდაობის ერთადერთი წვრილმანი არ ვიცოდი, რომლის სწავლებასაც ჩემთვის მთელი ცხოვრება იშურებდა და ახლა სწორედ ამ ერთადერთი წვრილმანით მომიგოო.

მასწავლებელმა კი უთხრა: ეგ ფანდი სწორედ ასეთი დღისთვის შემოვინახე, რადგან გამჭრიახთ უთქვამთ: მეგობარს ისე ნუ მოამძლავრებ, რომ მტრობა შემოგბედოს! არ გაგიგონია, რა თქვა იმან, ვინც თვისი აღზრდილისაგან იწვნია გასაჭირი? —

ან ერთგულება ამა ქვეყნად სულ არ ყოფილა,
ანდა ჩვენს დროში წაეფარა მტვერი და ნისლი,
ისე ვერავის ვერ ვასწავლე მშვილდის მოზიდვა,
სამიზნედ მე რომ არ ვექციე თავისი ისრის!

არაკი ოცდამერვე

წუთისოფლისაგან განდგომილი მავანი დერვიში უდაბნოს ერთ-ერთ კუთხეში ბინადრობდა. ერთხელ მის მახლობლად ერთმა ხელმწიფემ ჩაიარა. დერვიშს იმის გამო, რომ წუთისოფელზე ხელის აღება ბედით კმაყოფილების საწინდარია, თავი ზემოთაც არ აუწევია და მეფისათვის არც კი შეუხედავს. ხოლო მეფე იმიტომ, რომ ბრაზი ხელმწიფეთა თვისებაა, გაგულისდა და თქვა: ეს ჯვალოში გამოხვეულთა ხროვა* ნადირებს გვანან, ოჯახიშვილობისა და ადამიანობის ნატამალი არ გააჩნიათო!

ვეზირი დერვიშს მიეჭრა და შეუძახა: — ჯეელო, ქვეყნიერების სულტანმა გვერდით ჩაგიარა და შენ რატომ მის სამსახურად თავი არ გამოიდე და ზრდილობიანად არ მოექეციო!

მიუგო: სულტანს გადაეცი, სამსახურის მოლოდინი იმისაგან გქონდეს, ვინც შენგან წყალობას გამოელის. სხვა მხრივ კი იცოდე, მეფენი არიან სამწყსოთა დასაცავად და არა — სამწყსო ხელმწიფეთა მორჩილებისთვის-თქო!

ხელმწიფე არის მწყემსი მცველი ღარიბ-ღატაკის,
თუმცა სიმშვიდე მოდის მისი მეფობის ძალით,
ცხვარი მწყემსისთვის კი არაა, არამედ მწყემსი
ცხვრის საპატრონოდ, თავის ფარის დამცველად არის!

ერთს თუ დღეს მორჭმულს და ყოველმხრივ ბედნიერს ხედავ,
მეორეს დარდი გულს შესვლია ხინჯად და ხიწვად,
რამდენიმე დღეს იყავ, ფიქრით თავს ნუ დაიღლი,
ვიდრე ფიქრიან თავს შეგიჭამს სამარის მიწა.

მეფის და მონის განსხვავება ბედმა ინება,
წერამწერალმა მათ წინდაწინ დაუდო ზღვარი,
თუმცა, თუ ვინმე გარდაცვლილის სამარეს გახსნი,
ვეღარ იხილავ იქ ვერც მდიდარს და ვეღარც ღარიბს.

მეფეს დერვიშის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა და შესთავაზა: რაიმე მთხოვეო! მიუგო: გთხოვ, მეორედ ნუღარასდროს შემაწუხებო! ხელმწიფემ უთხრა: მაშინ რაიმე რჩევა მომეციო!

მიუგო:

სჯობს ახლა მიხვდე, როს ქონება და ძალა გერჩის,
მეფობის მადლი რომ გადადის ხელიდან ხელში.

არაკი ოცდამეცხრე

ერთმა ვეზირმა ზუ ნ-ნუნ მისრელს* მიმართა და დალოცვა სთხოვა. უთხრა: დღე და ღამ სულტნისათვის ვირჯები, მისი წყალობა მეიმედება და სასჯელი მზარავსო!

ზუ ნ-ნუნი ატირდა და მიუგო: მე რომ უფლისთვის — მაღალიმც არს იგი და დიდებული! — ასე ვირჯებოდე, ნეტართა თანა ვიქნებოდიო!

რომ არა შიში და იმედი, ტანჯვა და შვება,
დერვიში ზეცას დაივლიდა, მზიანს თუ ნაწვიმს,

ვეზირს უფლისა მეფესავით რომ ეშინოდეს,
თვით ანგელოზი იქნებოდა და არა — კაცი.

არაკი ოცდამეათე

ხელმწიფემ ერთი უცოდველის სიკვდილი ბრძანა. უთხრა: მეფეო, ჩემდამი ბრაზის გამო თავს ტანჯვას ნუ დაიტეხ, რადგან მე ეს სასჯელი თვალის დახამხამებაში დამიმთავრდება, შენ კი მისი ცოდვა საუკუნოდ შემოგრჩებაო!

სიცოცხლის ჟამი გარდავიდა, ვით ველზე ქარი,
სიმწარეც მორჩა, სიტკბოებაც, ყველა იარაც,
მჩაგვრელს ეგონა, გაგვაწვალა, გაგვასავათა,
ტანჯვა მას შერჩა, ჩვენ კი უცებ გადაგვიარა.

მეფეს რჩევამ სარგებელი მისცა და მისი სისხლის დაღვრა გადაიფიქრა.

არაკი ოცდამეთერთმეტე

ნუშირვანის ვეზირები ქვეყნისათვის სასარგებლო მნიშვნელოვან საქმეებზე ბჭობდნენ და თითოეული თავის აზრს გამოთქვამდა, მეფე კი ასეთი თათბირის მეშვეობით თავისას ფიქრობდა.

ერთხელ ბუზურჯმიჰრმა ხელმწიფის აზრი დაამჯობინა. ვეზირებმა საიდუმლოდ ჰკითხეს: მეფის აზრში ამდენი ბრძენის ნაფიქრთან შედარებით რა უპირატესობა დაინახეო?

მიუგო: რაკი საქმის ბოლო არავინ უწყის და ხორცშესხმისას ყველა აზრი ან მართალი, ან მცდარი აღმოჩნდება, მეფის აზრზე დათანხმება ყველაფერზე უკეთესია, რადგან თუ არასწორი გამოდგება, მისი მიყოლა გაკიცხვას მაინც გადაგარჩენსო!

ხელმწიფის აზრის თანუხვედრი აზრის ძიება
ჰგავს — შენივ სისხლში დაიბანო შენი მკლავები,
დღეზეც რომ ბრძანოს, ღამეაო, შენ უნდა უთხრა:
დიახ, ბატონო! აგე მთვარე და ვარსკვლავები!

არაკი ოცდამეთორმეტე

ერთმა თვალთმაქცმა ნაწნავები დაწნა* და ალავიდობა* დაიჩემა, მერე ქალაქში ჰიჯაზის* ქარავანთან ერთად შემოვიდა, აქაოდა, მექის* მომლოცველობიდან ვბრუნდებიო, ხელმწიფეს ეახლა და კასიდა* წაუკითხა, თვითონ გამოვთქვიო.

მეფემ თვალთმაქცს უხვი საბოძვარი მისცა და წყალობით აავსო.

ამ დროს მეფის ერთმა თანამეინახემ, ზღვის მოგზაურობიდან რომ დაბრუნებულიყო, განაცხადა: მე ეს კაცი მსხვერპლშეწირვის დღესასწაულისას* ბასრაში* ვნახე და აბა, ჰაჯი* როგორ იქნებაო?!

მეორემ კი თქვა: მაგას მეც ვიცნობ, მამამისი მალათიელი* ქრისტიანი იყო და ეგ ალავიდი საიდან გახდაო?!

მის ლექსსაც იმავე დღეს ანვარის* ლექსთა კრებულში წააწყდნენ.

მეფემ მისი დასჯა და გვემა ბრძანა, ამდენი ჩახლართული ტყუილი რადა თქვიო!

თვალთმაქცმა უთხრა: მეფეო, ერთი სიტყვაც მათქმევინეთ და, თუ მართალი არ გამოდგეს, რა სასჯელსაც ინებებთ, ჩემზე ყველაფერი ახი იქნებაო!

უბრძანა: თქვი ერთი, რა არისო!

თქვა:

მავანმა უცხომ მაწონი თუ შემოგაძლია,
ორი კოკურა წყალია და მცირედი დუღი,
შეუნდე მსახურს, თუ ტყუილი სიტყვა შეგკადრა,
ბევრ დროულ კაცსაც აუშვია სიცრუის ბუღი!

მეფეს სიცილი აუტყდა და უთხრა: მაგაზე მართალი სიტყვა შენს სიცოცხლეში არასდროს გითქვამსო!

მერე ბრძანა, მიეცით, რაც ეოცნებება და გზას ბარაქა დაატანოსო!

არაკი ოცდამეცამეტე

ერთი ვეზირი ხელქვეითებს მოწყალედ ექცეოდა და მათ ღირსებებს სასიკეთოდ გამოიყენებდა. როგორღაც ისე მოხდა, რომ მეფემ ამ ვეზირზე გული აიყარა და მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

მაშინვე ყველამ ერთიანად დაიწყო ზრუნვა მის დასახსნელად. მცველები პატიმრობისას ალერსით ეპყრობოდნენ და დიდებულებს ბაგეთაგან მისი კეთილი საქმეების გამო აღვლენილი მადლობა არ შორდებოდათ. ბოლოს კი მის დასჯაზე ხელმწიფემაც აიღო ხელი.

ერთმა გულით მჭვრეტელმა კაცმა შეიტყო ეს ამბავი და თქვა:

მეგობართ გულის მოსაგებად თუ დაგჭირდება
უკეთესია მამის ბაღი გაყიდო ძვირი,
მოკეთეების საყვარელი მამლის მოხარშვას
გიჯობს დაგეწვას მონაგები უხვი და ხშირი,
ავის მსურველსაც კარგი უყავ, მადლი მიაგე,
უმჯობესია, თუ ძაღლს ლუკმით სავსე აქვს პირი.

არაკი ოცდამეთოთხმეტე

ჰარუნ არ-რაშიდის* ერთ-ერთი ვაჟი მამასთან გაჯავრებული მივიდა, მავანი სარდლის შვილმა დედა მაგინაო. ჰარუნმა თანამეინახეთ ჰკითხა: ასეთი კაცის სასჯელი რა იქნებაო? ერთმა მისი მოკვლა ურჩია, მეორემ — ენის მოჭრა, ხოლო მესამემ — მთელი ქონების ჩამორთმევა და ქვეყნიდან გაძევება.

ჰარუნმა კი ვაჟს უთხრა: შვილო, კეთილშობილება ის არის, შეუნდო, ხოლო თუ მაინცა და მაინც შური უნდა იძიო, მაშინ შენც დედა აგინე, ოღონდ ისე, შურისძიება ზღვარს არ გადასცდეს, თორემ მაშინ უსამართლობა შენი მხრიდან იქნება და საჩივარი — შენი მეტოქეების მხრიდანაო.

ბრძენთა წინაშე ის ვერასდროს იქნება კაცი,
ვინც ვერ მიხვდება, სპილოს ბრაზი რა შიშს უქადის,
კაცი ისაა, სამართლიან გაბრაზებისას,
მაინც არასდროს რომ არ იტყვის სიტყვას უკადრისს.

ერთს უკეთურმა შეაგინა, შეგინებულმა
მოუთმინა და ასე უთხრა ცრუსა და გაქნილს,
რასაც შენ ამბობ, კიდევ უფრო უარესი ვარ,
მე ხომ ათასგზის უკეთ ვიცი ჩემივე ნაკლი.

არაკი ოცდამეთხუთმეტე

დიდებულთა ჯგუფთან ერთად ხომალდზე ვიჯექი. ჩვენს უკან ერთი პატარა გემი ჩაიძირა და ორი ძმა მორევმა ჩაითრია. ერთ-ერთმა დიდებულმა მეზღვაურს უთხრა: ორივე ამოიყვანე და ას დინარს გაჩუქებო!

მეზღვაური წყალში გადახტა, მაგრამ ვიდრე ერთი გადაარჩინა, მეორე დაიხრჩო. ვთქვი: საწყალს მეტი სიცოცხლე აღარ ეწერა და ამიტომაც მისი ამოყვანა გაჭიანურდა, მეორისა კი დაჩქარდა-მეთქი.

მეზღვაურმა გაიცინა და მომიგო: მართალს ამბობ, თუმცა გული უფრო ამის გადასარჩენად მიმიწევდა, რადგან ერთხელ სადღაც გზაში ვიყავი ჩარჩენილი და აქლემზე შემომისვა, იმ მეორემ კი ბავშვობაში მათრახით მცემაო.

ვთქვი: ჭეშმარიტად ბრძანებს უფალი: „ვინც სიკეთეს იზამს, თავისი თავისათვის, ხოლო ვინც სიავეს ჩაიდენს, თავისავე საწინააღმდეგოდ!“*

თუ შეგიძლია, გულს ნურავის ნუ დაუკოდავ,
რადგან ამ გზაზე უამრავი ყრია ეკალი,
გამოუსწორე საქმე ყველა ნაღვლიან ღარიბს,
შენც ხომ გექნება საქმეები გულის მჭექარი!

არაკი ოცდამეთექვსმეტე

ორი ძმა იყო. ერთი ხელმწიფეს ემსახურებოდა, მეორე კი სარჩოს თავისი მარჯვენით შოულობდა. ერთხელ შეძლებულმა უთხრა ღარიბს: რატომ სახელმწიფო სამსახურში არ შეხვალ, შრომით ასეთ ჭაპანწყვეტას ხომ გადარჩებოდიო? მიუგო: შენ რატომ არ იშრომებ, რომ სხვათა სამსახურის დამცირებას გადაურჩე?! ბრძენთაც ხომ უთქვამთ: შენი ოფლით ნაშოვნი პურის ჭამა და მშვიდად ჯდომა უმჯობესია, ვიდრე ის, რომ წელზე დიდგვაროვანთა მსახურის მოოქროვილი ქამარი გერტყასო!

სჯობს ხელით ზილო მდნარი რკინა, მწველი და ცხელი,
ვიდრე ბატონის სამსახურად გულს გედოს ხელი!

არაკი ოცდამეჩვიდმეტე

ანუშირვან სამართლიანს ვიღაცამ მიახარა: მაღალმა ღმერთმა შენი მტერი წაიყვანაო! მიუგო: ის ხომ არ გაგიგია, რომ მე სამუდამოდ ცოცხლად დამტოვაო!

თუ მტერი მოკვდა, მხიარული არ ხამს ფიქრები,
რადგან ამ ქვეყნად საუკუნოდ არც ჩვენ ვიქნებით!

არაკი ოცდამეთვრამეტე

ბრწყინვალე ქისრას* სამეფო კარის ბრძენთა კრებული რაღაც საჭირბოროტო საქმეზე თათბირობდა და თითოეული თავისას ამბობდა. მათგან ყველაზე გონიერი ბუზურჯმიჰრი კი მდუმარედ იჯდა. უთხრეს: ჩვენ რომ ვმასლაათობთ, შენ ხმას რად არ ამოიღებო? მიუგო: ვეზირები ექიმებს გვანან. ექიმი კი წამალს სნეულის გარდა არავის მისცემს. მეც ხომ ვხედავ, რომ თქვენი აზრი სამართლიანია და ამაზე სიტყვის ამოღება ჩემგან რაღა სიბრძნე იქნებაო?!

რადგანაც საქმე უჩემოდაც კარგად გამოდის,
მე რა ვთქვა, როცა სხვას არ უჭირს აზრის მიგნება,
მაგრამ თუ ვხედავ, ბრმა მიდის და ჭაში ვარდება,
დავჯდე და ხმა არ ამოვიღო, ცოდვა იქნება!

არაკი ოცდამეცხრამეტე

ჰარუნ არ-რაშიდმა, როდესაც მისრეთის სამეფოს დაეუფლა, ბრძანა: იმ მჩაგვრელის ჯინაზე, ეგვიპტის მეფობით გაბრიყვებულმა თავი ღმერთად რომ გამოაცხადა, მის მიწაწყალს ჩემს მონათაგან ყველაზე უფრო უღირსს ვაჩუქებო! ერთი შავი მონა ჰყავდა, სახელად ხასიბი და მთელი მისრეთის სამეფო იმას უწყალობა.

ამბობენ, ეს შავკანიანი ისეთი უჭკუო და მიუხვედრელი ყოფილა, რომ ერთხელ, როცა ეგვიპტელ მეურნეთა ჯგუფს შეუჩივლია: ნილოსის ნაპირას ბამბა გვეთესა, უდროო წვიმა მოვიდა და მთელი ნათესები გაგვიჩანაგაო, იმას უთქვამს: მატყლი უნდა დაგეთესათ და ვერაფერი ვერ წაახდენდაო!

ეს სიტყვები ერთმა ღარიბმა მეცნიერმა გაიგონა და ბრძანა:

ეჰ, კაცს რომ სარჩო ეძლეოდეს ცოდნის მიხედვით
უვიცს შიმშილი დაფარავდა ცრიატ ბინდებად,
მაგრამ უმეცარს ისეთ ძღვენს და სარჩოს სწყალობენ,
მცოდნეს რომ თავის სიცოცხლეში არ ეღირსება!

* * *

საქმის ცოდნაზე არ ჰკიდია ბედი და ხვედრი,
ზეცის განგება დაგვისაზღვრავს გზასა და მანძილს,
ბევრი დაემხო ქვეყანაზე პატივცემული,
მრავლ გონიერს და გამჭრიახს გადასძვრა ქანცი,
ალქიმიკოსი შრომითა და წვალებით მოკვდა,
ხოლო სულელმა ნანგრევებში იპოვა განძი.

არაკი მეორმოცე

ერთ ხელმწიფეს ჩინელი მხევალი მიუყვანეს და სიმთვრალეში მასთან შეერთება მოეხასიათა. გოგო გაუძალიანდა. ხელმწიფე განურისხდა და იგი ერთ შავკანიან მონას აჩუქა, რომელსაც ზედა ტუჩი ცხვირის ნესტოებს უფარავდა, ქვედა კი პერანგის საყელომდე ჰქონდა ჩამოკიდებული. ისეთი შესახედაობისა იყო, მისი დანახვა სახრ ალ-ჯინსაც* კი დააფრთხობდა, ხოლო იღლიებში უმძაღესი სუნი ასდიოდა.

თითქოსდა, მისი სიმახინჯე უფალს ენება,
ვით იუსეფის წარუვალი მშვენიერება.

კაცი ისეთი მახინჯი და შეუხედავი,
ვერარა სიტყვა ვერ გადმოსცემს მის სახის მარილს,
დაუბანელი იღლია კი ისე უყარდა,
როგორც ზაფხულში შუა მზეზე მდებარე მკვდარი.

ამბობენ, შავი მონა მაშინვე ხორციელმა ჟინმა აიტანა და ვნება მოერია. ქალის დანახვაზე წადილით აენთო და ბეჭდით დახშული მტილოვანის კარიბჭე შეუნგრია.

გარიჟრაჟზე ხელმწიფემ მხევალი მოისაკლისა და ვაღარსად იპოვა. მაშინ მოახსენეს, რაც მოხდა და ხელმწიფესაც მრისხანებამ დარია ხელი. ბრძანა, მონა ზანგისა და ქალისათვის ხელ-ფეხი მტკიცედ შეეკრათ და საგუშაგო კოშკიდან ქალაქის თხრილში გადაეგდოთ.

ერთი ქველი ვეზირი შუამდგომლობის სახით მიწაზე დაემხო და უთხრა: უბედურ შავ მონას ამ ამბავში ბრალი არ მიუძღვის. ხელმწიფის მიერ ნაბოძები წყალობით სხვა მონამსახურნიც ხომ ხშირად ტკბებიანო?!

მიუგო: რა მოხდებოდა, ქალთან შეერთება ერთი ღამით რომ გადაედო. მე ხომ მხევლის საფასურად უფრო მეტად დავაფასებდი და წყალობას მივცემდიო!

შეჰკადრა: მეფეო, არ გაგიგონია, რომ უთქვამთ:

თუკი მწყურვალი ნაკადულის პირას მიაღწევს,
არად ჩააგდებს, შლეგი სპილო მისკენ თუ მიქრის,
მშიერმა უღვთომ, მარტოდმარტომ, გაშლილ ტაბლასთან,
არა მგონია, რამაზანზე* დაიწყოს ფიქრი.

მეფეს მისი კალამბური მოეწონა და უთხრა: ზანგი მონა შენთვის მიჩუქნია, მაგრამ ამ მხევალს რაღა ვუყოო?

მიუგო: მხევალი შავკანიანს აჩუქე, რომ თავისი ნახევრადშეჭმული თვითონ მას ყველაზე მეტად ეკუთვნისო.

არაკი ორმოცდამეერთე

ალექსანდრე რომაელს* ჰკითხეს: მაშრიყ-მაღრიბის ქვეყნები როგორ აიღე, როს უწინდელ მეფეებს შენზე მეტი საგანძური, ცხოვრება და ქონება ჰქონდათ, ლაშქარიც უფრო მრავალი ჰყავდათ, მაგრამ ასეთი გამარჯვება ვერ მოუხერხდათო?!

მიუგო: ღვთის შეწევნით — მაღალიმც არს იგი და დიდებული! — რაც კი დავიპყარი, იმ სახელმწიფოთა ბინადარნი არასოდეს შემივიწროებია და მათი მეფეების სახელი სიკეთით თუ არა, სხვაგვარად არ მიხსენებიაო!

გონიერთათვის მას დიდისა არარა უგავს,
ვინც დიდთა სახელს იხსენიებს ავად, აუგად.

ეს ყოველივე ამაოა, როცა ჩაივლის,
ბედიც და ტახტიც არად უჩანს კაცს თვალახელილს,
წასულთა სახელს ნურასოდეს ნუ დაამცირებ,
რათა შენც შეგრჩეს ქვეყნად კარგი კაცის სახელი.

სპარსულიდან თარგმნა ***გიორგი ლობჟანიძემ***

განმარტებანი

• ციტატა ყურანიდან. ყურანი, სურა XXXIV, აია 13. შდრ: ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2006.

• ნოვრუზი — ტრადიციული ირანული ახალი წელი. ემთხვევა გაზაფხულის ბუნიობას და დგება 20-21 მარტს.

• ხალათი — (არაბ.-სპარს. ხალყათ) — წყალობა, საბოძვარი. ჩინით მაღლა მდგომისაგან (ჩვეულებრივ მეფის ანდა ვეზირისაგან) ხელქვეითთათვის გაღებული საბოძვარი, რომელშიც გარდა სამოსისა (ერთი ხელი ძვირფასი ტანსაცმლისა) შედიოდა სხვადასხვა ოდენობის ფულადი და ქონებრივი ჯილდო.

• იგულისხმება ისლამის მოციქული მუჰამადი (570-632).

• ქააბა — მუსლიმთა მთავარი ტაძარი მექაში, საუდის არაბეთში, სადაც ყოველწლიურად იმართება დიდი პილიგრიმობა, რომლის დროსაც სხვა რიტუალებთან ერთად აღესრულება ქააბის ტაძრის რიტუალური გარსშემოვლა, ღვთის დიდებისა და თაყვანისცემის ნიშნად.

• სულაიმანი — იგულისხმება ბიბლიური მეფე სოლომონი, რომელსაც ყურანი და მუსლიმური ტრადიცია ამ სახელით იცნობს და ღვთიური სიბრძნით დაჯილდოებულ ადამიანად წარმოგვიდგენს.

• ბეითი — ტრადიციული აღმოსავლური ლექსის (კასიდის) სტრუქტურული ელემენტი, სტროფი.

• ალი (იბნ აბი ტალიბი) — მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფა და შიიტების პირველი იმამი, წინასწარმეტყველ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე.

• ორდიბეჰეშთი — ირანული ტრადიციული მზის კალენდრის მეორე თვე. შეესაბამება 21 აპრილიდან 21 მაისამდე მონაკვეთს.

• ჯალალი — იგულისხმება ჯალალ ედ-დინ მალექშაჰი — სელჯუკიანთა სულტანი (1073-1083), რომლის ზეობის ხანაშიც შეადგინეს კალენდარი და ირანის უდიდეს ნაწილში სწორედ ამ კალენდარს გამოიყენებდნენ. მის საფუძველზე კი გამართეს დღევანდელი მზის ჰიჯრის ირანული კალენდარიც. აღნიშნული კალენდრის დასაწყისად ითვლება ჰიჯრის წელთაღრიცხვის 481 წლის რამადანის (მე-9) თვის 9 რიცხვი, პარასკევი დღე (შეესაბამება მზის ჰიჯრის კალენდრის 458 წლის პირველ ფარვარდინსა და გრიგორიანული კალენდრის 1059 წლის 15 მარტს).

• მინბარი — შემაღლებული ადგილი, კათედრა მეჩეთში, საიდანაც ქადაგებს და ხოტბას აღავლენს ლოცვის წინამძღოლი.

• სურაიას თანავარსკვლავედი — ასტრ. პლეადები, რომელსაც ყურძნის მტევნის ფორმა აქვს.

• ართანგი, არჟანგი — მანის მოძღვრების დასურათებული წიგნის (215-276) — მანიქეველური მოძღვრების დამფუძნებლის სახელი, რომლის წიგნიც ორნამენტებით (ნაყშებით) მდიდარი ხელნაწერის სიმბოლოდ იყო მიჩნეული.

• იგულისხმება ფახრ ედ-დინ აბუ ბაქრ აბუ ნასრ ჰუვაიჯი — ჯერ ჰუვაიჯელთა ათაბაგი, ხოლო შემდგომ სელჯუკიანთა ვეზირი, ხელოვნების მფარველობითა და მეცნიერთა მეცენატობით სახელგანთქმული.

• ბოზორჯმიჰრი, ბოზორგმეჰრი — ხოსრო ანუშირვანის (იხ. კომენტარი) ლეგენდარული ვეზირი.

• იგულისხმება ბიბლიური იოსებ მშვენიერი, რომლის ამბავი მუსლიმთა საღვთო წიგნშიც აისახა.

• ლოყმანი, ლუკმანი — ლეგენდარული ბრძენი ყურანისა და მუსლიმურ ტრადიციაში.

• ყურანის III სურის 134-ე აიის დასაწყისი. შდრ: ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2006.

• ფერეიდუნი (ქართული ტრადიციით: ფერიდუნი, ფრიდონი), აფრიდუნი — ირანის მითიური მეფე. ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, ირანის განმათავისუფლებელი ზოჰაქის (ზააქის) ტირანისაგან.

• ხორასანი — ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინცია.

• ღაზნავიანთა ხელმწიფე მაჰმუდი, ძე საბუქთიგინისა, რომლის ზეობის ხანაც (999-1031) ტერიტორიის გაფართოებისთვის წარმოებული უაღრესად წარმატებული ლაშქრობებითა და ომებით გამოირჩეოდა.

• ანუშირვანი — ხოსრო ანუშირვანი (531-579) ირანის მეფე, სასანიანთა დინასტიის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელი, საყოველთაოდ ცნობილი სიქველითა და სამართლიანობით, რომელსაც ჩვეულებრივ მოიხსენიებენ ზედწოდებით „ადილ“ (სამართლიანი).

• ჰომა — მითიური ფრინველი, ქართული მითოსის ფასკუნჯის ტიპისა.

• ამ სახელით იცნობს ბიბლიურ ლოთს ყურანი და მთელი მუსლიმური ტრადიცია.

• გამოქვაბულის მკვიდრთა ძაღლი — იგულისხმება ლეგენდა თორმეტი მძინარე ეფესელი ყრმის შესახებ, რომელიც ყურანშიც აისახა. ყურანის მიხედვით, ჭაბუკებმა, რომლებიც ვერ შეურიგდნენ მათ ქვეყანაში მძვინვარე უღმერთო რეჟიმს, უფალს სთხოვეს, ისინი ამ ქვეყნიდან გაერიდებინა. ღმერთმა მათი ვედრება შეისმინა, ახალგაზრდები ერთ გამოქვაბულში შეიყვანა და დიდი ხნით დააძინა, გამოქვაბულის კართან კი დარაჯად ძაღლი მიუჩინა.

• ზაალი, როსტომი — ირანული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ გმირები, ირანის ლეგენდარული მეფეები, მამა-შვილი.

• ოღლამაში — სხვადასხვა წყაროები და მეცნიერები აღნიშნული სიტყვის სხვადასხვაგვარ წაკითხვას გვთავაზობენ. მათ შორის: ოყლომიშ (სუდი), ოყოლმოშ, აყალმაშ (კარიბი), ოყლიმიშ (დაფრემერი), ოყლიმიშ (რაჰათსქი), ოყულმუშ (ქათერმერი), ოყლამაშ (სპარსული ლექსიკონი), ოყლამიშ (დოქტორი ხაზაელი), ოყოლმოშ (დოქტორ ხატიბ რაჰბარი), უყლამიშ (არბერი). ის იყო თურქი მმართველი აზერბაიჯანის ათაბაგთაგან, რომელიც ათაბაგ უზბეკ იბნ მუჰამად იბნ იალდგაზს მთიანეთის (ჰამადანის, რეისა და ისპაანის) გამგებლად დაესვა ჰიჯრის 611-614 წწ.-ში. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს პიროვნება, ისევე, როგორც აზერბაიჯანელ ათაბაგთა თურქი გამგებლების უმრავლესობა, ჰამადანში იჯდა და მისდამი დაქვემდებარებულ მხარეს იქიდან განაგებდა. სწორედ ამიტომ, გოლესთანის მკვლევრები ვარაუდობენ, რომ არაკში ეს ტოპონიმი სწორედ ჰამადანს უნდა გულისხმობდეს.

• „მეფეთა წიგნი“ — აბულ ყასემ ფირდოუსი ტუსელის (დაიბადა დაახლ. 932-36 წწ. გარდაიცვალა დაახლ. 1020 წ) გენიალური პოემა, სპარსული კლასიკური საგმირო ეპოსი. მასში გადმოცემულია ირანის მითოლოგია, ლეგენდარული წარსული და ისტორიული სინამდვილე.

• გოლესთანის მკვლევართა ვარაუდით, აქ იგულისხმება ჰორმოზ (ორმოზდ) IV, ანუშირვანის (იხ. კომენტარი) ძე, სასანელთა დინასტიის ცნობილი ხელმწიფე (579-590).

• იოანე ნათლისმცემლის მუსლიმურ სამყაროში ცნობილი სახელი, რომლის თავიც, მუსლიმური გადმოცემების მიხედვით, დამასკოს სახელგანთქმულ მეჩეთშია დაკრძალული.

• ჰაჯჯაჯ იბნ იუსეფ ას-საკაფი — ჰიჯაზისა და ერაყის მხარეთა მმართველი ომაიანთა ეპოქაში (გარდაიცვალა 717 წ.), ცნობილი თავისი სისასტიკითა და ულმობელობით.

• ზოროასტრელი, მაზდიანელი — ძველი ირანული რელიგიის აღმსარებელი, ცეცხლთაყვანისმცემელი, წინასწარმეტყველ ზარდოშთის (ზარათუშთრას, ზოროასტრის) მიმდევარი, არტოშანი.

• მოჰთასები — მუსლიმური პოლიციის მოხელე, რომელსაც საზოგადოებრივ ადგილებში ვითარების შარიათის კანონებთან შესაბამისობის გაკონტროლება ევალებოდა. ზნეობრივი წესრიგის დამცველი და მეთვალყურე.

• მანზილი (არაბ. სპარს.) — თავდაპირველად აღნიშნავდა აქლემთა საქარავნო გზაზე გასაჩერებელ სადგურებს. აქედან: ქართული „მანძილი“.

• ყიბლა — მიმართულება, რომლისკენაც ლოცვისას პირს აბრუნებენ მუსლიმები, ქააბის მხარე.

• უდი — ძვირფასი ჯიშის ხე, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოსცემს კეთილ სურნელს, თუ ცეცხლს წაუკიდებენ.

• კარუნი — ლეგენდარული არაბი, რომელსაც საარაკო ქონება ჰქონდა.

• ესფანდი — მცენარეა, რომელსაც საამო სურნელი აქვს და რომლის კმევაც ირანში ტრადიციულად ავი თვალისაგან დასაცვად გამოიყენებოდა.

• ამრ ლაისი — ერაყის გამგებლის იაკუბ ლაის ას-საკაფის ძმა და მისი შემცვლელი ჰიჯრის წელთაღრიცხვის 265-287 წწ-ში.

• ზოუზანი — ერთ-ერთი ისტორიული მხარე ნიშაბურში.

• იგულისხმებიან მოხეტიალე დერვიშები — მუსლიმ მისტიკოსთა საძმოების წევრები.

• ზუ-ნ-ნუნ მისრელი — X საუკუნის ცნობილი ეგვიპტელი მისტიკოსი.

- ნაწნავების დაწვნა, წყვილი ნაწნავის ტარება ალავიდთა (იხ. კომენტარი) დაჯგუფების წევრთა გარეგნული ნიშანი იყო.
- ალავიდები — დაჯგუფება, რომლის წევრებიც თავს ალი იბნ აბი ტალიბის (იხ. კომენტარი) ოჯახის წევრთა შთამომავლებად აცხადებდნენ.
- მხარე საუდის არაბეთში, სადაც მდებარეობს ქალაქები მექა და მედინა.
- მექა — მუჰამად წინასწარმეტყველის მშობლიური ქალაქი.
- კასიდა — არაბულ-მუსლიმური ტრადიციული სალექსო ფორმა.
- მსხვერპლშეწირვის დღესასწაული — ერთ-ერთი ორი უდიდესი ისლამური დღესასწაულიდან. უკავშირდება მექის პილიგრიმობისას სარიტუალო საკლავის შეწირვას.
- ბასრა — ქალაქი ერაყში
- ჰაჯი — მექის მომლოცველის, სარიტუალო პილიგრიმობაში მონაწილე პირის საპატიო ტიტული.
- მალათია — ქალაქი მცირე აზიაში.
- X-XI საუკუნეების დიდი სპარსელი პოეტი.
- აბასიანთა დინასტიის ცნობილი ხალიფა.
- ციტატა ყურანიდან. სურა 41, აია 46. შდრ: ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2006.
- ხოსრო ანუშირვანის (იხ. კომენტარი) სახელის არაბიზებული ფორმა.
- სახრ ალ-ჯინნი — მუსლიმური გადმოცემების მიხედვით, საზარელი შესახედაობის ბოროტი სულია, რომელმაც ცბიერებით სოლომონ ბრძენის ჯადოსნური ბეჭედი მოიპარა და ამრიგად ერთხანს მის სამფლობელოზე მბრძანებლობაც კი მოიპოვა, სანამ სოლომონი თავის ბეჭედს კვლავ დაიბრუნებდა.
- რამაზანი, რამადანი — მუსლიმური მთვარის კალენდრის მე-9 თვე, რომლის განმავლობაშიც მართლმორწმუნე მუსლიმებს მარხვა ევალებათ.
- იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი.

იესოს ლოცვა, გულის ლოცვა

ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტებს წიგნიდან „იესოს ლოცვა, გულის ლოცვა“, რომლის ავტორები არიან ფრანგი მართლმადიდებელი მღვდელი და მისი მეუღლე — ალფონს და რაქელ გოტმანები. 30 წელზე მეტია ეს საოცარი წყვილი „იესოს ლოცვის“ პრაქტიკას მისდევს. შეიძლება ითქვას, რომ თავიანთი ცხოვრება მათ ამ გულის ლოცვაზე დააფუძნეს. 1979 წელს გოტმანებმა საფრანგეთის ერთ-ერთ რეგიონში დააარსეს მართლმადიდებლური ცენტრი — ბეთანია, სადაც მცირერიცხოვან მრევლთან ერთად ინტენსიურად მოღვაწეობენ თანამედროვეობაში ღვთის სიტყვის ასაღორძინებლად. აღსანიშნავია, რომ მამა ალფონსი და მისი მეუღლე წმ. სილუანის მოწაფის, მეუფე სოფრონის სულიერი შვილები არიან. შევნიშნავთ იმასაც, რომ მათ წიგნს ახლავს დღევანდელ მართლმადიდებლურ სამყაროში დიდად დაფასებული მეუფე კალისტოსის საგულისხმო წინასიტყვაობა.

მოვიყვანთ სიტყვებს, რომელიც ავტორებმა წაუმძღვარეს ზემოხსენებულ წიგნს:

ჩვენს აღმოსავლელ მართლმადიდებელ ძმებს, ერთგულ მცველებს ამ ძვირფასი მემკვიდრეობისა:

„უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“ —
საწინდარი ახალი მომავლისა დასავლეთში...
და ყველას, ვინც უკვე ადგას ან კიდევ დაადგება გზას... “

მართლაც, აღმოსავლეთ ქრისტიანობამ დღემდე ერთგულად შემოინახა ეს ძვირფასი მემკვიდრეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მე პირადად — საუკუნოვანი მართლმადიდებლური ტრადიციის მქონე ქვეყნის შვილს — ეს საგანძური დამარხული ტალანტივით მაქვს. იმ გაუქმებულ ჭას დავემსგავსე, მიწით რომ ამოავსეს ფილისტიმელებმა (დაბ. 26, 15). ბალასტი ახშობს სიღრმეებში დამარხულ მაცოცხლებელ წყაროს წყალს; ზედაპირული რჩება ჩემი ლოცვა, ფესვს ვერ იდგამს სიღრმისეული წყაროსკენ, რომელიც განაახლებდა და ფერისცვალებისაკენ წარმართავდა ჩემს პიროვნებას. ვერ ვიმოსები „ახალი კაცით“; ისევ „ძველი კაცის“ პატარა და ვიწრო ცხოვრებით ვცხოვრობ... შესაბამისად, განმაახლებელი სული მოაკლდა ჩემს მართლმადიდებლობას და ისე მომიძველდა იგი, რომ უსიცოცხლო და არაფრისმთქმელი გახდა თანამედროვეთათვის...

„ვშრომობ და ვიღვწი მისი ძალით, რომელიც ძალუმად მოქმედებს ჩემში“, — ამბობს პავლე მოციქული, როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი (კოლას. 1,29). მართლაც, მართლმადიდებლის სახელს ის ამართლებს, ვისშიც მოქმედებს ეს ძალა, ვისგანაც გამოსჭვივის წუთისოფლად ქრისტეს ძალა, ნათელი, კეთილსურნელება: „თქვენ ანათებთ, როგორც მნათობები სამყაროში“ (ფილიპ. 2,15); „ქრისტეს კეთილსურნელება ვართ“, „ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველგან“ (2 კორ. 2, 14-15). ვეჭვობ, ჩემგან გამოსჭვიოდეს ეს ძალა, ეს ნათელი, ეს კეთილსურნელება, თავისკენ რომ მოიზიდავდა დამაშვრალ ადამიანებს; ჩემი სიტყვაც უნიათო მეჩვენება და ძალიან დაშორებული იმისგან, რაც უნდა იყოს, წესითა და რიგით, მართლმადიდებლის სიტყვა („ჩემი სიტყვა და ქადაგება იყო სულისა და ძალის გამოცხადებით“; 1 კორ. 2,4); იგი ფშუტე ყვავილს უფრო მაგონებს, რომელსაც აინუნშიაც არ აგდებს ფუტკარი. რისი მაქნისია ყვავილი უნექტაროდ! მაგრამ ვერ გამიგია, ან არ მინდა გავიგო, რომ ქმედითი ძალა საღვთო ნექტარს აქვს, და არა ჩემს ობმოკიდებულ, ძალაგამოცლილ ქადაგებებს. ვერ ვამჩნევ, რამდენად დეგრადირებულია ჩემი მართლმადიდებლობა, პირიქით, მისით ვამაყობ და, როგორც საგანძურის მფლობელს, ისე მომაქვს თავი, იმას კი აღარ ვუყურებ, რომ საგანძური ჩაფლული რჩება, ვერ ამომაქვს და ვერ ვამრავლებ. ვუყრუებ წმიდა მამათა ხმას; „ნათლობისას ხორციელდება ჩვენი განახლება სულიწმიდაში“, — ამბობს გრიგოლ სინელი. მაგრამ ჩვენ ეს გვწამს მკვდარი და არაქმედითი რწმენით... ჩვენ ვცხოვრობთ ხორცის მიხედვით...

უგულებელვყოფთ იმ დიდების აღმატებულ სიდიადეს, რომლის თანამონაწილე ვხდებით მეორედ შობისას, არ ვიცით, რომ მცნებათა დაცვით გვესაჭიროება სამშვინველით და სულით ზრდა, რათა სულში განვჭვრიტოთ ის, რაც ნათლობით მივიღეთ... მცნებებს ვინახავთ სხეულში, მაგრამ არა სულში... სიცოცხლის აღსასრულამდე ვრჩებით მკვდარი, არ ვცხოვრობთ ქრისტეში, არა ვართ მის მიერ აღძრულნი. ის, რაც „მოგვეცა", გარდაცვალებისას და განკითხვისას „წაგვერთმევა", იმის გამო, რომ გვაკლდა რწმენა და არ გვესმოდა, რომ შვილები უნდა იყვნენ მამის მსგავსნი, ღმერთები როგორც ღმერთი..."* ყურად არ ვიღებ ამ საგულისხმო შეგონებებს, სამაგიეროდ, გულისხმიერებას ვიჩენ გარეშეთა მიმართ: ვინც ჩემს უსიცოცხლო სიტყვას არ შეისმენს, იმას ჯოჯოხეთის ცეცხლითა და მარადიული ტანჯვით ვაშინებ. რა ვქნა, ეს მზა რეცეპტი მაინც გამოვიყენო, რაკი არ შემწევს ძალა, ადამიანის გულამდე მივიტანო ქრისტეს ცოცხალი სიყვარული, ყველა ტკივილს რომ კურნავს და ყველა უკმარისობას ავსებს. არადა, ვინ იცის, ამ ჩემი უუნარობის, ამ ზედაპირული მიდგომის მიზეზით რამდენ „ფუტკარს" ვუკარგავ „ნექტარს", რამდენ მშიერ-მწყურვალს ვაკლებ იმ ნამდვილ საზრდოს, რომელსაც ციებ-ცხელებით დაეძებენ იქ, სადაც ეს საზრდო არ არის. ამის თაობაზე საგულისხმო ანალიზს გვთავაზობენ წიგნის ავტორები: „ცოდვა გულისხმობს ულოცველობას — ღვთისაგან განდგომას ან ისე ცხოვრებას, თითქოს ის არც არსებობდეს; ასეთ დროს სული მთლიანად შორდება ღმერთს, რომელიც მისი დასაბამია; აქედან მომდინარეობს ტერმინი „დასაბამიერი ცოდვა"; მასაზრდოებელ წყაროს მოწყვეტილი ადამიანის არსება ვეღარ იღებს საკვებს. მოულოდნელად ადამიანში ხდება სასტიკი გახლეჩვა, გამოწვეული მისი მკვეთრი თუ თანდათანობითი დაცემით: მოშიებული სული სამშვინველს მიაწყდება, რომ მისით ისაზრდოოს. აბსოლუტურის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი სული პარაზიტად აჯდება სამშვინველს. აქ კი ნამდვილად კვდება ადამიანი. სამშვინველს, ისედაც რომ ვეღარაფრით კვებავს სული, მძიმე ტვირთად აწვება ამ უკანასკნელის უძირო შიმშილი; იგი სხეულს მიადგება საზრდოს საშოვნელად; ამჯერად უკვე სხეულია პარაზიტირებული. სამშვინველი ხორციელი სიამეებით ივსებს უკმარისობებს და ფიტავს სხეულს. ამ უკანასკნელს თავს ატყდება ავადმყოფობა და სიკვდილი: ასე იბადება „ხორციელი კაცი". სხეულსა და სამშვინველს აჩანაგებს მათშივე ჩასახლებული უძირო და მწვავე წყურვილი სულისა; ღმერთით დატკბობის ნაცვლად სხეულ-სამშვინველი სიამოვნებას გარეთ ეძებს და მთლიანად ინუსხება გარესამყაროთი... ".

წუთისოფლის ბინადარს არსებითად ერთი რამ ამოძრავებს: უძირო, მწვავე წყურვილი. კაცობრიული არსებობის ამ კრიზისულ ხანაში, როცა გარესამყაროს დღითიდღე აკლდება შინაგანი სინამდვილე და სულ უფრო მეტად იბერება ილუზიური, მოჩვენებითი არსებობით, როცა ყველაფერი მზარდი სისწრაფით მიექანება საყოველთაო დაშლა-რღვევისკენ, ადამიანი სულ უფრო მეტი ისტერიულობით დაეძებს ნუგეშს და გამალებით ეტანება ყველაფერს, რამაც თითქოსდა შეიძლება უკმარისობა შეუვსოს, იქნება ეს ძალაუფლება, სასმელი, ციური სხეულები, კეთილდღეობა, სექსი, სიმდიდრე, ნარკოტიკი, პატივ-დიდება თუ მაღალი ინტელექტის მქონე პიროვნების იმიჯი... მაგრამ არასწორად მიმართულ უკმარისობათა მძვინვარე შეგრძნება შვებას ვერ პოულობს. „რა არის ჩვენი ყოფა, ჩვენი წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი". ადამიანი მშიერი და უნუგეშო რჩება; სისავსის ნაცვლად სასოწარმკვეთი სიცარიელის განცდა ეუფლება. თანაც, რაც უფრო მწვავე და გაუსაძლისი წყურვილით იწვის, მით უფრო ძლიერადექვემდებარება ამა თუ იმ ვნებას, დღითიდღე რომ შლის და ანადგურებს მის არსებას. არადა, ხშირ შემთხვევაში სწორედ ასეთ ადამიანებს აღმოაჩნდებათ ხოლმე სიყვარულის დიდი ნიჭი, ისეთი, ღვთის მართლად მადიდებლობას რომ სჭირდება; გავიხსენოთ, რა უთხრა ქრისტემ ცოდვილი დედაკაცის საქციელით აღშფოთებულ წესიერ, რჯულის უდრტვინველად მიმდევარ ფარისეველს: „მაგას მიეტევა მრავალი თავისი ცოდვა, რადგან ძლიერ შეიყვარა". (ლუკ. 7, 47);

* "Petite Philocalie de la prière du coeur", Édition du Seuil, 1979, p. 178-9.

ნუთუ ამ ადამიანებს ჩვენი ინფანტილური, უსიცოცხლო მართლმადიდებლური მორალიზმი მოუტანს რაიმე სასიკეთოს? „ცოცხალი წყალი“ არის ის ერთადერთი, რაც შვებას მოჰგვრის და უნუგეშო ყოფიდან გამოიყვანს დაცემულ ადამიანს; მაგრამ, ამ წყაროს ჩემში არა აქვს გასაქანი... მას გზას უღობავს ბალასტი — ბნელი ვნებების საბუდარი. ამ უკანასკნელის ასალაგმად კი „სისხლამდე უნდა აღვსდგე ცოდვასთან საბრძოლველად“. ეს დიდ ღვაწლს ითხოვს, დიდ ძალისხმევას, დიდ რწმენას; მე ეს არ შემიძლია. აგერ, ეკლესიას მივეკედლები, იქ, ჩემიანებთან ერთად ვიცხოვრებ პატარა ეკლესიური ცხოვრებით, შევასრულებ დადგენილ წესებს... ამ უძლურებას, ამ სისუსტეს შემინდობს უფალი, შემინდობს, რომ ორმაგი სტანდარტით — გარეგნულად ეკლესიური, შინაგანად ფარისევლური წესით — ვცხოვრობ; შემინდობს, რომ ამის გამო ვერ ვწვდები და ვეღარც სხვას ვაწვდი მისგან მომდინარ წყალს: „თუ ვინმეს სწყურია, მოვიდეს ჩემთან და შესვას... მისი მუცლიდან იდენენ ცოცხალი წყლის მდინარეები“ (იოან. 7, 37-38). „წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს“ (ი. 4, 16). არადა, ეს საზეპურო სასმელი ყოვლისმომცველი მადლია, რომლითაც „მეფეს“ დავაპურებდით იქ, სადაც ის მშიერია, ვასმევდით, სადაც მწყურვალეა, შიშველს შევმოსავდით, სნეულს ვანუგეშებდით, დატყვევებულს გავამხნევებდით (იხ. მათე 25, 34-36)...

ღმერთი მოწყალეა... მაგრამ იმას თუ შემინდობს, რომ ვიქადნი მართლმადიდებლობას მაშინ, როცა სინამდვილეში ვაკნინებ და ვაჩაჩანაკებ? თუ შემინდობს, გარეშეებს რომ ვებრძვი, როგორც მართლმადიდებლობის დამაქცევართ, თვითონ კი გასაქანს არ ვაძლევ მაცოცხლებელ წყალს, რომ ამოედინოს და ქვეყანას მოჰფინოს თავისი განმაახლებელი ძალა?.. მუდამ ვივიწყებ, რომ ის მტრული ძალები, რომლებიც ძირს უთხრიან მართლმადიდებლობას, ჩემშია, და არა ჩემ გარეთ. სამწუხაროდ, თვითონვე დავემსგავსე იმ ფარისევლებს, რომელთაც ებრძოდა ქრისტე, როგორც ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზის ჩამხერგავებს; დღეს უფრო ჩემს გასაგონად ხომ არ გაისმის პავლე მოციქულის სიტყვები: „დანდობილი ხარ რჯულზე და იკვეხნი ღმერთით... დარწმუნებული ხარ, რომ ბრმების მეგზური და ნათელი ხარ ბნელში მყოფთათვის... როგორაა, სხვებს რომ ასწავლი და საკუთარ თავს კი არ ასწავლი!“ (რომ. 2,17-21).

მადლი ღმერთს, ჩვენს კრიზისულ ეპოქაშიც გამოჩნდნენ მართლმადიდებლები, რომლებიც „საკუთარ თავს ასწავლიან” და მთელ თავის ძალისხმევას შინაგანი „ბილიკების მოსასწორებლად“ წარმართავენ... ასეთებს მიეკუთვნებიან ალფონს და რაქელ გოტმანები; საკუთარ თავში ჩაღრმავების გზით, ისინი ჩაწვდნენ ტრადიციის ცოცხალ, ფარულ ნაკადს, განახლებული ენით აამეტყველეს ქრისტიანული ჭეშმარიტებები და ახალი ძალით აამოქმედეს დამარხული ტალანტები.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტებს მკითხველს ჭაშნიკის სახით ვთავაზობთ; თავად განსაჯოს, ასაზრდოებს თუ არა მათ სიტყვას სიღრმეებიდან ამოდენილი განმაახლებელი და ამაღორძინებელი წყაროს წყალი.

თამარ ჯაყელი

ალფონს და რაქელ გოტმანები

იესოს ლოცვა: ცხოვრების წესი

იესოს ლოცვა, პირველ რიგში, აღმსარებლობაა, რომელიც მოიცავს ყველა ჩვენი წინაპრის რწმენას და გვიცოცხლებს მათთვის განხორციელებული სასწაულების ხსოვნას. ბიბლიური გამოცხადება ნორმატიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ჭეშმარიტებანი ჩემთვის დღეს ხორციელდება. ბიბლიის გადაშლისას აღმოვაჩენ, თუ რას მპირდება ღვთის სიკეთეები, რეალიზაციის უმაღლეს საფეხურზე რომ აიყვანა იესოს სახელმა.

ამდენად, იესოს ლოცვა ბიბლიასთან მჭიდრო სიახლოვეს ითხოვს: მისით უნდა ისაზრდოოს და გაიჟღინთოს. ღვთის სახელი არის სიტყვა, რომელიც ყველა სხვა სიტყვას იტევს. მათი თანდათანობითი შეთვისებით ჩვენში შემოატანს ბიბლიისეული სული და განცდა. ამ სულს ჩვენი ლოცვა იმდენად ცოცხალს და ქმედითს გახდის, რომ სიღრმისეულად შეიცვლება ჩვენ დამოკიდებულება ცხოვრებასთან. იესოს ლოცვის ნამდვილი შინაარსი ბიბლიაა, ბიბლიისთვის კი იესოს ლოცვა არის გამორჩეული ადგილი ფუნდამენტურ დამოკიდებულებათა ასათვისებლად. იესოს ლოცვით ჩვენ არა მხოლოდ სიტყვის წაკითხვას, არამედ სიტყვით ცხოვრებას ვსწავლობთ. ცხოვრების, როგორც ასეთის, სწავლა, ჩვენი შიშებისა თუ ეგოსაგან განთავისუფლება, „ცეცხლის ალიანსში“ შესვლა იმასთან, ვინც სულ სხვაგვარი არსებობისაკენ გაგვიძღვება: აი, რა თამაშდება აქ.

როცა იუდას სამეფოს ურიცხვი მტერი მოადგა, უმწეოდ დარჩენილმა მეფე იოსაფატმა ღმერთს შესძახა: „უძლურნი ვართ ამ მრავალრიცხოვანი ურდოს წინაშე, ჩვენს წინააღმდეგ რომ არის მოსული. ჩვენ აღარ ვიცით როგორ მოვიქცეთ, მაგრამ შენკენაა ჩვენი თვალი მოპყრობილი“ (2 ნშტ. 20, 12). პასუხი ასეთი იყო: „ნუ გეშინიათ და ნუ შეძრწუნდებით ამ უზარმაზარი ურდოს წინაშე, რადგან თქვენ კი არ გმართებთ ომი, არამედ ღმერთს“ (2 ნშტ. 20, 15). საოცარია ეს გამოცხადება; ჩვენ არ გვეკითხება ჩვენი ცხოვრების მართვა. ისტორიას ჩვენ არ განვაგებთ. მისი განმგებელი მხოლოდ ღმერთია. სასიცოცხლო ბრძოლას ჩვენ კი არა, ღმერთი წარმართავს. „ამჯერად თქვენ არ იბრძოლებთ. გადით, განლაგდით და უცქირეთ უფლის მიერ თქვენს ხსნას“ (2 ნშტ. 20, 17). განსაცვიფრებელი დაპირება ეძლევა იუდეას, თუ იგი სწორად „განლაგდება“ ანუ „სწორ პოზიციას“ დაიკავებს. მაინც რომელს? იგი სრული ნდობით უნდა მინებდეს ღმერთს, რათა მან დაუბრკოლებლად შეძლოს მოქმედება. იმ დროს, როცა ყველა ნიშნით მარცხი იყო მოსალოდნელი, როცა იუდეველები სრულმა პანიკამ მოიცვა, როცა მტრის ურიცხვი ლაშქარი მას გარდაუვალ დაღუპვას უქადდა, „იოსაფატი პირქვე დაემხო მიწაზე, მთელი იუდეა და იერუსალიმის მცხოვრებნი უფლის წინაშე დაემხნენ მის თაყვანსაცემად... წამოიმართნენ ლევიანები... რათა მაღალი ხმით ექოთ უფალი, ღმერთი ისრაილისა“ (2 ნშტ .20, 18-19).

მომავალ მოვლენას იესოს ლოცვის დაუღალავი განმეორებით თუ შევხვდებით, ეს დაგვეხმარება განვჭვრიტოთ მასში ღვთის მოქმედება და „დავემხოთ“ მის წინაშე. და, რაკი იგი მოქმედებს, კიდეც ვადიდოთ და კიდეც მივენდოთ მას, ჩვენს რწმენაში დაჯერებულნი. აი, როგორ მიმართა იოსაფატმა თავის ხალხს ბრძოლის ველზე გასვლისას: „მისმინეთ, მთელო იუდეავ და იერუსალიმის მკვიდრნო! დაენდეთ უფალს, თქვენ ღმერთს, მტკიცედ იდექით, გწამდეთ მისი წინასწარმეტყველებისა და მოგემართებათ ხელი“ (2 ნშტ. 20, 20). იუდეა გალობით და ღვთის სადიდებლებით შეეგება მტერს და, „იმ დროს, როცა დაიწყეს ყიჟინა და სიმღერა, უფალმა ალყაში მოაქცია მათი... მტერი და გაანადგურა“ (2 ნშტ. 20, 21-22).

ამ უკიდურესი მაგალითით ბიბლია არყევს ჩვენს ადამიანურ ლოგიკას. თუმცა ეს მუდმივად ხდება, რადგანაც „უფლის გზები არ არის ჩვენი გზები“ (ეს. 55, 8). ჩვენ, მართალია,

უკიდურეს ვითარებაშიც გვიჭირს სწორ პოზიციაზე დგომა, მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტად გვიძნელდება ყოველდღიური ცხოვრების ბანალურობაში. აქ სწორედ იესოს ლოცვა დაგვეხმარება დავიკავოთ რწმენის მიხედვით სწორი პოზიცია, ჩვენს ადამიანურ გაგებას რომ აღემატება და ხშირად ეწინააღმდეგება კიდეც; იგი გულისხმობს „დამხობას“, ანუ ღვთის მოქმედი სიყვარულის მორჩილად მიღებას, რწმენას, თაყვანისცემას. რწმენით ხდება ჩვენი გამოხსნა და განხორციელება იმისა, რაც შეუძლებელია.

ამ მიმართებით ბიბლია თვალისმომჭრელად ნათელია. თავის მსვლელობაში იგი ამრავლებს ამის დამადასტურებელ მაგალითებს: იოსაფატის მერე, ყველაზე ცნობილთაგან, გავეცნოთ ისუ ნავეს ძის ეპოპეას, შემდეგ დავითისა და გოლიათის, გედეონის, იობის ამბებს. მათში გამოსჭვივის მთელი ბიბლიური ქსოვილი, მისი ყველა მონაკვეთის კონტექსტი, ზოგან აშკარად გამოხატული, ზოგან მხოლოდ ნაგულისხმევი. იესო ქრისტე იქნება ასეთი რწმენის მთელი სისავსით აღმსრულებელი, ასეთი დამოკიდებულების განსახიერება. სახარებისა არაფერი გვესმის, თუკი ქრისტეს ყოველ ქცევაში ვერ ვხედავთ მამის ქმედებას, რომლის ნებასაც ასრულებს იგი. ამას არაერთხელ გამოთქვამს თვითონ ქრისტეც და მისი ლოცვაც ამითაა ნასაზრდოები. გავიხსენოთ, მაგალითად, ლოცვა ლაზარეს სამარხის წინ, ან პურების გამრავლებისას, ან კიდევ, გეთსემანიის ბაღში... ქრისტე ჩვენც ასეთი დამოკიდებულებისაკენ მოგვიხმობს: „უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ“ (ი. 15, 5).

სამწუხაროდ, ხშირად რწმენაზე მცდარ აზრს ვიქმნით. გვგონია, რომ გვწამს მაშინ, როცა რაღაცას შევიგრძნობთ. რწმენა სულაც არ არის დამოკიდებული რაიმე ფსიქოლოგიურ გრძნობასა თუ ემოციაზე. იგი გადაწყვეტილების საქმეა. ჩვენ შეგვიძლია გადავწყვიტოთ, გვწამდეს სიტყვისა და მივენდოთ მას. ეს ჩვენი მხრიდან უნდა იყოს განუპირობებელი, თავისუფალი აქტი. თუ მივიღებთ ღვთის სიტყვას, როგორც უმაღლეს რეალობას, ეს უნდა მოხდეს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რას გვკარნახობს ამის შესახებ ჩვენი ემოცია, ფიქრი თუ შეგრძნება. არ უნდა მოვექცეთ მათი ტირანიის ქვეშ. როცა რწმენით ვიღებთ ბიბლიაში მოცემულ უგუნურ აღქმებს, ისინი აღსრულებულ ფაქტებად გადაიქცევიან. ანგარიშგასაწევი არ არის, რას შევიგრძნობ და რას არა. ვინც ღმერთს რწმენით დაენდობა, „შემიწყალე მე ცოდვილი“, ახლად იშვება სულიწმიდის ძალით.

ჩვენი ეჭვების მიზეზი მუდამ იგივეა: „არაფერს შევიგრძნობ“. ამ დროს ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი ფსიქიკური გრძნობების მსხვერპლნი ვხდებით, არამედ ღვთის სიტყვაზე მეტად ჩვენს ეგოს ვუცხადებთ ნდობას. ლოცვა ასეთ დამოკიდებულებას ამოაბრუნებს: მისი მეშვეობით ჩვენი რწმენა შეგრძნებებს კი არა, ღვთის სიტყვას დაეფუძნება. „უფალო, მინდა მწამდეს და გადავწყვიტე პირდაპირ მივიღო შენი სიტყვა, შენი აღთქმები!“ ასეთი გადაწყვეტილებით შემოსილი ლოცვა თანდათანობით გამოგვიყვანს იმ დაქვემდებარებიდან და მონობიდან, რომელშიც მოგვაქცია ჩვენმა ფსიქიკამ და ჩვენმა ეგომ, თავის ნებაზე რომ გვათამაშებს. „ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ“, ამბობს ქრისტე. თუ ვიღებთ ღვთის სიტყვას, როგორც ჭეშმარიტებას, და მასზე ვაშენებთ, თავისუფლებას მოვიპოვებთ. ჩვენში იშვება ღრმა სიყვარული, სიმშვიდე იმის მიუხედავად, შეგრძნება დაცლილ-დამშრალი იქნება თუ სავსე. რწმენით ცხოვრება — აი, აქ არის ყველაფერი. ამას სწავლობს მლოცველი! „ვისაც ჩემი სწამს, მისგან იდენენ ცოცხალი წყლის მდინარეები“ (ი. 7, 3-8).

ლოცვის მეშვეობით ქრისტეს გამოვყავართ ჩვენი შებოჭილობებიდან და შევყავართ ღმერთში, რომელსაც მთელი კაცობრიობისთვის და პირადად თითოეული ჩვენგანისთვის მომზადებული აქვს სიყვარულის დიდებული ხვედრი. წმიდა წერილის ყველა ტექსტი ამას ამბობს და ამას იმეორებს: დაბადებამდე ამოგირჩია შენ, დედის წიაღში ჩამოგაყალიბა, იგი იცნობს შენი არსების თითოეულ სიმს, შენი უმცირესი ფიქრიც კი, სანამ გამოიხატებოდეს, მისთვის უკვე ნაცნობია, შენს თავს არაფერია შემთხვევითი, ის მუდმივად გეძებს და მოგელის, როგორც სასიძო; მისი ნების გარეშე ერთი ღერი თმაც არ მოგძვრება, და ბოლოს, იგი მოკვდა პირადად შენთვის და აღდგა, რათა მოგართვას ცხოვრების სისავსე. ეს ყველაფერი ასეა აქ და ახლა, ამ წამს, თვით იმის შიგნით, რასაც შენ ახლა განიცდი და რაც შენს ეგოს

შეიძლება სულაც არ მოსდიოდეს თვალში, აღმაშფოთებელი ან საშინელი ეჩვენებოდეს... წმ. იაკობ მოციქული ამბობს: „უმაღლეს სიხარულად ჩათვალეთ, თუ სხვადასხვა განსაცდელში ჩაცვივდებით. გამოწრთობილ რწმენას სიმყარე მოაქვს... რომ სრულყოფილნი იყოთ“ (იაკობ 1, 2-4).

„ღვთისთვის ცოცხალ მსხვერპლად თავის შეწირვა“ არის ერთ-ერთი საუკეთესო განსაზღვრება გამუდმებული ლოცვისა: ეს ნიშნავს, შევუერთდეთ მთლიანად და სიყვარულით იმას, რაც ჩვენს თავს ხდება, მივიღოთ წამიერი აწმყო ისეთი, როგორიც არის, ვუთხრათ „ჰო“ მომავალ მოვლენას, როგორიც უნდა იყოს ის... არ უნდა დავრთოთ ნება ჩვენს „ეგოს“, განსაჯოს ან უარყოს რაიმე მოვლენა, ან თქვას მასზე: აღმაშფოთებელია, საშინელებაა, უბედურებაა...“. ამა თუ იმ მოვლენის ნებისმიერი მენტალური ინტერპრეტაცია ხელს გვიშლის განვიცადოთ განგება, რომლის გამოვლინებაც არის უკლებლივ ყველა მოვლენა.

ამიტომაც ითხოვს ქრისტე დაჟინებით: „ნუ განსჯით!“. განსჯა, ინტერპრეტაცია, წამდაუწუმ რომ გაისმის ჩვენი ბაგეებიდან ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით („რა საშინელი ამინდია“...) აჩენს მანძილს ჩემსა და მოვლენას შორის. პირადი პოზიციის დაკავებით ჩემი ეგო აცნობიერებს თავის თავს, გრძნობს რომ არსებობს, იბერება და ეთიშება დადასტურებულ რეალობას. ზუსტად ეს არის ცოდვის განსაზღვრება: დისტანცია, დაშორება, გათიშვა-განცალკევება... რომლის შედეგადაც ვეღარ ვიგებთ, რა მოგვდის.

იესოს ლოცვის ერთ-ერთი პირველი შედეგი იქნება ჩვენში განსჯითი დამოკიდებულების შეჩერება და ყოველ მოვლენაში ღვთაებრივი მყოფობის დანახვა. ასეთი „მეთოდით“ გვათავისუფლებს ქრისტე ცოდვისგან. იგი თავის თავს მთლიანად უძღვნის მამის ნებას, რომელსაც ჭვრეტს ტანჯვის უმძიმეს წუთებშიც. არაფერი იქნებოდა ქრისტეს ვნებაზე უფრო აუტანელი და „საზარელი“. იგი სისხლის ოფლად დაიღვარა, იმდენად ეწინააღმდეგებოდა ვნება იმას, რაც არის თვითონ, ღმერთ-კაცი.

როცა ადამიანური ხედვით სრული განუკითხაობა ისადგურებს, ქრისტე სამყაროსა და ისტორიის პირისპირ დგება და აჩვენებს, ააშკარავებს ერთადერთ შესაძლებელ გზას ტანჯვის წინაშე, ერთადერთ შესაძლებელ პასუხს იმ კითხვაზე, რომელსაც ვერ უპასუხა კაცობრიობამ: მიიღო მიუღებელი, რადგან მასში ღვთის ნება გამოიხატება. ამის დაჯერება ითხოვს წმიდა წყლის რწმენას, რადგანაც აქ არაფერია ხელჩასავლები. ვინც ასე სრულად, ასე მიმნდობად თმობს თავის თავს და საკუთარი ნების ნატამალსაც აღარ იტოვებს, ის ღმერთს აძლევს საშუალებას, მძლავრად ამოქმედდეს მასში და მისი ტანჯვა ან, თუნდაც, სიკვდილი ნამდვილ ალქიმიად აქციოს. პარკში გამომწყვდეული ჭუპრის მსგავსად, რომელიც პეპლად გადაიქცევა, ასეთი ადამიანი ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲡ სისავსისაკენ გარდაიქმნება.

ქრისტეს შემდეგ ასეთ დამოკიდებულებას გამოიჩენს ყველა მისი მიმდევარი. პეტრემ, იაკობმა და იოანემ პირველებმა გაიზიარეს ეს დამოკიდებულება ქრისტეს სიახლოვეში ყოფნისას გეთსიმანიის ბაღში. ეს არის მამის მფარველობას მინდობილი ბავშვის დამოკიდებულება. ასე უნდა ვიყოთ არა მხოლოდ გამოუვალ სიტუაციებში ჩავარდნისას ან ტანჯვისას, არამედ ყოველ წამს, რადგანაც ყოველი წამი განსაცდელია, ყოველი წამი გვცდის, რწმენას გვიმოწმებს... იქნება ეს ცუდი ამინდი, ყოველდღიური ცხოვრების ათასნაირი უსიამოვნება, ავადმყოფობა თუ სიკვდილი... სრული, უყოყმანო „ჰო“-თი შევეგებოთ ყოველ მოვლენას, ყოველ გარემოებას, ყოველ წამს — მხოლოდ ეს თუ ამოგვიყვანს ცოდვიდან, ანუ ღვთისაგან დაშორებული მდგომარეობიდან. იყოს ისეთივე ერთიანობა ჩვენსა და მოვლენას შორის, როგორიც არის დედასა და მის მკლავებს მინებებულ ყრმას შორის. ჯვარზე გაკრული ქრისტე არის ყრმა par excellence: „მამაო, შენს ხელთ ჩამიბარებია ჩემი სული“. ამ სიტყვებით ქრისტე მოწაფეებს სწორი დამოკიდებულების საიდუმლოს გადასცემს და მაშინვე მოაყოლებს: „ყველაფერი აღსრულდა“.

სრული თანხმობით, სრული მინდობით, დაუნანებელი „ჰო”-თი მიიღო ის, რაც შენს თავს ხდება, იმ რწმუნებით, რომ ღმერთი მოქმედებს, და მუდმივად ქმნის — აი, რამ გაამარჯვებინა ქრისტეს ტანჯვასა და სიკვდილზე. შეიძლება ჩვენი ლოცვაც ასეთ დრამატურგიად გადაიქცეს და აუცილებლად გადაიქცევა კიდეც დროთა განმავლობაში.

ეს არის კრავის ქორწილი, რომელზეც საუბრობს აპოკალიფსი — მწვერვალზე ასული ბიბლიური აღთქმა. ძლიერია და ზუსტი პავლე მოციქულის სიტყვები: „იესო ქრისტე, რომელსაც ჩვენ შორის ვქადაგებთ, არ იყო ჰოც და არაც. არამედ მასში იყო ჰო, რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში ჰო არის და მისით ითქმის ამინი, ღვთის სადიდებლად ჩვენს მიერ“ (2 კორ. 1, 19, 20).

ღმერთი ისტორიაში რომ შემოიჭრა, რომ ჩამოვიდა ჩვენი კაცობრივი გამოცდილების სქელ ფენაში, ტანჯვაში, სიკვდილში, ჩვენს ყველანაირ ჯოჯოხეთურ ვითარებაში, ამიტომაც გახდა ისტორია ჩვენი მასთან შეხვედრის ადგილი, აღთქმის ადგილი. ეს ითქმის არა მარტო დიდ, არამედ პატარა ისტორიაზეც: — ჩვენი ყოველდღიურობის ბანალური ქსოვილიც აღთქმის ადგილია, სადაც ხორციელდება ნებათა გაცვლა ღმერთსა და ადამიანს შორის, სადაც ადამიანი, ქრისტეს კვალდაკვალ, რომელიც მხოლოდ ჰო არის, გამოთქვამს თავის ჰო-ს, მინებდება ხვედრით მოტანილ მოვლენას, გაეკრობა მასზე: „იყავნ ნება შენი“. მაშინ ამ მოვლენიდან, როგორი აღმაშფოთებელიც არ უნდა ეჩვენოს იგი ჩვენს ეგოს, ამ აუტანელი მდგომარეობიდან გამოატანს ღვთის დიდება, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს, და თუ სისხლამდე გავძლებთ, დაუმატებს იგი, ქრისტეს მსგავსად, ჩვენც შეწირული კრავი გავხდებით და, იმის ნაცვლად, რომ წყვდიადში ჩავიკარგოთ, ყოველ ჟამს ვიდღესასწაულებთ კრავის ქორწილს.

სწორედ აქ და არსად სხვაგან, მარხია საიდუმლო იმისა, რასაც სულიერ ცხოვრებას ვუწოდებთ, უფრო სწორედ, ეს არის ბირთვი, საიდანაც მისტიკა იწყება: წამიერ აწმყოში ხდება, რომ მე ჩემს ნებას რაღაცას ვწირავ. მუდამ აქ და ახლა ხდება, რომ რაღაცას შევეკვრი, გულს ვუძღვნი, აქ და ახლა ვირყვნები ან განვიღმრთობი. წამიერი აწმყო არც წარმავლობაა და არც მარადისობა. იგი ის წერტილია, სადაც წარმავლობა და მარადისობა გადაკვეთს ერთმანეთს. იგი ჩემი კუთვნილი ჯვარია და სწორედ ამ ჯვარზე გამოიცდება ჩემი თავისუფლება: ვის ან რას ვუძღვნი ჩემს თავს, ვის ან რას მივნებდები. აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ ყოველი წამი არჩევანის წინაშე გვაყენებს. ტრაგიკულია ვიცხოვროთ ამის გაუაზრებლად და წყალწაღებული ნაფოტივით უთავბოლოდ და უგეზოდ ვიტივტივოთ მოვლენათა ნაკადში, რადგანაც აპოკალიფსი ამბობს: „რაკი ნელ-თბილი ხარ, არც ცივი და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან.“ (აპ. 63, 16).

აი, კიდევ რას ამბობს ეს საოცარი ტექსტი: „მე გირჩევ იყიდო ჩემგან... თვალის მალამო, რათა წაიცხო თვალებზე, რომ ხედავდე“ (აპ. 3, 18). ამრიგად, სამყაროში ბრმად არ უნდა ვიცხოვროთ. ცოტა მოშორებით იოანე უმატებს: „ვისაც ყური აქვს, ისმინოს რას ეუბნება სული“ (აპ. 3, 22). და განა რას ამბობს იგი? როგორ გავშიფროთ მისი სიტყვა იმ მოვლენაში, რომელიც მოაქვს წამიერ აწმყოს? „ვინც მიყვარს, — ამბობს იგი, — მათ ვამხილებ და ვწრთვნი“ (აპ. 3, 19). აქ აპოკალიფსი იყენებს ღვთის მამობრივი პედაგოგიკის დიდ თემატიკას, რომელიც მთელს ბიბლიას გასდევს. ჯერ კიდევ იგავთა წიგნში წერია: „რადგან ვინც უყვარს, მათ ამხილებს უფალი და სწყალობს, როგორც მამა საკუთარ შვილს“ (იგავ. 3, 12). ეს თემატიკა ეპისტოლეებამდე ვრცელდება. ებრაელთა მიმართ მიწერილ ეპისტოლეში გვხვდება ცნობილი ნაწყვეტი: „თუ თქვენ ითმენთ წვრთნას, ღმერთი გექცევათ როგორც შვილებს, ვინაიდან განა არის ისეთი შვილი, რომელსაც მამა არ წვრთნიდეს? ხოლო თუ დარჩებით წვრთნის გარეშე, რაც ყველასთვის საზიანოა, მაშინ ბუშები ყოფილხართ და არა შვილები... განა უფრო მეტად არ უნდა დავემორჩილოთ სულთა მამას, რათა ვიცოცხლოთ... ის კი გვწვრთნის ჩვენი სარგებლობისთვის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმინდეში“ (ებრ. 12, 7-11). აი, რა უნდა დაინახოს ჩვენმა თვალმა ყოველ მოვლენაში. მაგრამ, რა უნდა მოისმინოს ყურმა? „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ, ის ჩემთან“ (აპ. 3, 20). სხვა სიტყვებით: წამიერი აწმყო თვითონ ქრისტეა, რადგან ქრისტე თავად არის წარმავლობაში შემოჭრილი მარადისობა. დრო გაფუებულია მისი ყოფნით და წამიერ აწმყოსთან შერწყმა, გაზიარება იმისა, რაც აქ და ახლა ხდება, ქრისტეს იდუმალ სიახლოვეში შესვლას, ანუ სუფრასთან მიჯდომას

და მასთან ერთად ვახშმობას ნიშნავს. მხოლოდ ასეთი მიდგომით გადავიტანთ ნებისმიერ განსაცდელს, ისინი ვერასოდეს წაგვლეკავენ, პირიქით, ჩვენ ქრისტესთან ერთად გავიმარჯვებთ ტანჯვასა და სიკვდილზე, რომელსაც შეიცავს დრო — ეს „ერთა შთანმთქმელი", ელვისებური სისწრაფით რომ მიქრის ულმერთოდ... დაძლევა დროის და იმისა, რასაც დრო შეიცავს, მის მიღმა გასვლას ნიშნავს. ამისთვის კი თავისუფლად უნდა მივნებდეთ მას და მივიღოთ იგი მოსიყვარულე, მიმნდობი „ჰო"-თი, როგორც „სასძლო", რომლისთვისაც ყოველი წამი „სიძის" ძღვენია.

ასეთი დამოკიდებულება დიამეტრალურად უპირისპირდება პასიურობას, ბედისადმი მორჩილებას, და მით უფრო — მარცხთან შეგუებას. პირიქით, იგი წარმოშობს ისეთ ქმედებას, რომლის დროსაც ადამიანში გზა ეხსნება ზებუნებრივ ძალებს: ადამიანური ნება უერთდება ღვთაებრივს და მასთან ერთად ქმნის. ამდენად, ბერკეტი იდება ისეთ დონეზე, სადაც ადამიანი ღვთის თანაშემოქმედი ხდება, და არა უპერსპექტივო ამბოხის დონეზე, უკან მხოლოდ დაღუპულთა ძეგლებს რომ ტოვებს. წმინდანები ყოველთვის ახერხებდნენ მთელი არსებით კონცენტრირებას იმ ერთადერთ წერტილში, საიდანაც ხორციელდება საწუთროს გარღვევა. სწორედ წმინდანები აძლევდნენ გეზს წუთისოფელს და მათი წყალობითაა, რომ ეს უკანასკნელი კიდევ არსებობს. თუმცა საწუთროზე ასეთ გამარჯვებას აპოკალიფსი თითოეულ ჩვენგანს ჰპირდება: „გამარჯვებულს გვერდში მოვისვამ, ჩემს ტახტზე, ისევე როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე" (აპ. 3, 21). ამ ტექსტს კი, აი, რა სიტყვები უძღვის წინ: „აბა, ეშურე და მოინანიე" (აპ. 3, 190).

მართლაც, ცოდვა გვაშორებს და გვთიშავს ღმერთისგან. ჩვენს ცხოვრებაში ღმერთს უფრო მეტად განყენებული ადგილი უჭირავს, ვიდრე სხვა ყველაფერს, რაც გარს გვახვევია. ცოდვა გვაბრმავებს და გვაყრუებს: „თვალები აქვთ და ვერ ხედავენ, ყურები აქვთ სასმენად და არ ესმით" (ეზეკ. 12, 2). ჩვენ ჩაკეტილი არსებები ვართ. „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ" (აპ. 3, 20). ყოველთვის გააღეთ, რადგან ყოველთვის ღმერთი აკაკუნებს. ფსიქიკა წამიერ აწმყოში ხან კარგს ხედავს, ხან ცუდს, მაგრამ ჭეშმარიტების ხილვისას ყველაფერი სასიკეთოდ შემოტრიალდება: „ყველაფერი იმათ საკეთილდღეოდ ეწყობა, ვისაც ღმერთი უყვარს", — ამბობს პავლე მოციქული. ამის ფონზე გასაგები ხდება მისი სიტყვები: „ყველა გასაჭირში გულნაჯერი ვარ სიხარულით" (II კორ. 7, 4). საქმე ისაა, რომ ქრისტიანი კი არ ცოცხლობს, არამედ „ქრისტე ცოცხლობს მასში" (გალატ. 2, 20). ამდენად, ქრისტიანის ტანჯვანი არის „ქრისტეს ტანჯვა მასში" (II კორ. 1, 5). და როცა ქრისტიანი ნებდება, იღებს ტანჯვას, იგი ქრისტეს მსგავსი ხდება (ფილიპ. 3, 5).

მაგრამ თუკი ჩვენ „სხეულში ვატარებთ უფლის ტანჯვას, ეს იმიტომ, რომ იესოს სიცოცხლეც ჩვენს სხეულში გამოჩნდეს" (II კორ. 4, 10). ტანჯვა — მასში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი რამ, რასაც განვიცდით, როგორც ჩვენთვის დამამძიმებელს, უსიამოვნოს — ჩვენს სასიკეთოდ არის. იგი წყალობაა, რომელიც „დიდ და მომეტებულ საუკუნო დიდებას ქმნის ჩვენთვის" (II კორ. 4, 17). არაჩვეულებრივ მოწმობას იძლევა მოციქულთა ქცევა. ისინი სიხარულით ივსებიან, როცა სახელისთვის იტანჯებიან. მათი მემკვიდრეები, მათსავით ქრისტეს მიმდევარნი, მხოლოდ მისი სახელით და მისთვის უნდა განვიცდიდეთ ყველაფერს, რასაც განვიცდით. ქრისტემ გაგვიმხილა, რომ ტანჯვა შესაყვარებელია, რადგანაც იგი ქრისტეს გვამსგავსებს, მსგავსების შეძენისას კი იგი სიღრმეში გვათავისუფლებს ტანჯვისაგან. ღმერთმა სრულყოფილი გეგმა დასახა ისტორიაზე, მთავარია მისი თანაზიარი გავხდეთ. ქრისტეს ლოცვა სწორედ მუდმივ თანაზიარებას გვთავაზობს.

აქ საუბარი ეხება ყოველდღიურ ყოფასთან რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას. ამ მტკივანი არსებობის შუაგულში ჩვენ თავისებური რევოლუციონერები ვხდებით, მთლიანად ვცვლით ჩვეულ დამოკიდებულებას ცხოვრებასთან, როცა აგრესიულად ვეკიდებოდით ყველაფერს, რაც თვალში არ მოგვდიოდა. ქრისტეს ნამდვილი მიმდევარი „სიყვარულშია ფესვგადგმული და დაფუძნებული" (ეფ. 3, 17). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი ადამიანი, ფესვებისა და საძირკვლის მსგავსად, მოვლენათა ზედაპირისა და გარეგნული

მოჩვენებითობის მიღმა ცხოვრობს, სახესთან სახემიტანილი აცნობიერებს იმ უგუნურ სიყვარულს, ულევად რომ იღვრება მისთვის. როგორც მწყურვალე ფესვი ღრმად ატანს მიწაში, რომ მაცოცხლებელ წყალს დაეწაფოს, ასე ყვინთავს ქრისტეს მიმდევარი მოვლენათა სიღრმეში, რომ იქ მოიძიოს და შეუერთდეს სიძეს... მისთვის ყოველი შემთხვევა საუკეთესოა და არც ერთს არ უშვებს ხელიდან, რათა, გზაზე შემდგარს, წინსვლა ჰქონდეს.

ვერასოდეს გაიგონებთ, წმინდანი რაიმე განსაცდელს გასძალიანებოდეს ან, თუნდაც, დაეჩივლოს ავადმყოფობის გამო... უმცირესი უსიამოვნებაც კი მისთვის დალოცვილია... იგი ყველაფერში სარგებელს ხედავს და ხარობს „ყოველგან და ყოველთვის“. წმ. პავლემ პირველმა მისცა ხმა მოწამეთა უთვალავ სიმრავლეს ისტორიაში: „მარადის იხარეთ უფალში, და კიდევ ვიტყვი: იხარეთ... ახლო არს უფალი... ნუ გექნებათ რაიმე დარდი“ (ფილიპ. 4, 4-6).

შუბლიც რომ შეეჭმუხნა ახალბედა მონაზონს წმ. ტერეზას თანდასწრებით, იგი იმწამსვე მიიღებდა მისგან შენიშვნას. ჩვენი სხეულის უმცირესი დაჭიმულობაც კი იმას მიუთითებს, რომ ჩვენ ღმერთის კი არა, უფრო საკუთარი თავის იმედით ვართ. „რას მიქვია შუბლის შეჭმუხნა!“ ღმერთი წვრილმანებში აისახება და არა ჩვენს ლამაზ, განყენებულ იდეებში, ან კიდევ — სინამდვილეს მოკლებულ ბუნდოვან განზოგადებებში. შევინარჩუნო სიფხიზლე, სრულად გავაცნობიერო ყოველი დეტალი, სარგებელი ვნახო წამიერ აწმყოში, გემო ჩავატანო ყოველ გარემოებას: აი, აქ არის ყველაფერი. როგორც წმიდა ტერეზა ამბობს, საბოლოოდ, ეს ნიშნავს „წუთიდან წუთზე ყველაფრის სიყვარულად გარდაქმნას“ და იმის ხსოვნას, რომ ყოველ წამს მოცემული მაქვს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა — გამოვამზეურო ან ვუღალატო სიყვარულს. წმ. ტერეზამ, ბევრი სხვა წმინდანის მსგავსად იწამა სიყვარული, როგორც ასეთი, სიყვარული, როგორც სიცოცხლის წყარო, როგორც სრულყოფის საშუალება, როგორც არსებობის ერთადერთი მიზანი.

შეიძლება ითქვას, ყველა წმინდანს ჰქონდა საერთო გატაცება — ეს მიმდევარის დამახასიათებელი თვისებაა — ყოველდღიურობაში ამოეცნო მასზე მზრუნველი სიყვარულის სახე, თავისი მოძღვრის სახე და მისცემოდა მას. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით ხდება შესაძლებელი ყოველწამიერად ჩავწვდეთ მოვლენათა არსს. მაშინ სიყვარულს ვეღარ დაბრკოლებს რაიმე მოვლენა, რა სასოწარმკვეთი ან აღმაშფოთებელიც არ უნდა ეჩვენებოდეს იგი ჩვენს ეგოს. პირიქით, აღმოვაჩენთ, რომ ყველაფერი სიყვარულიდან მოდის და გვეძლევა, როგორც მასთან მისვლის საშუალება.

ამის დაჯერება, როგორც უკვე ვთქვით, ნიშნავს, გამოვცადოთ რწმენა თავის წმინდა მდგომარეობაში და უსასყიდლო სიყვარული; გვინდოდეს ღმერთი ღმერთისთვის და არა რაიმე შეგრძნებისთვის. ვეყრდნობით მხოლოდ იმას, რაც ვიცით: საკმარისია ჭეშმარიტება და რწმენა იმისა, რომ ღვთის სიყვარული არასოდეს ჩაივლის: „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? როგორც წერია: „შენ გამო გვხოცავენ დღემუდამ“... მაგრამ ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით, და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მყოფადი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში“ (რომ. 8, 35-39).

ამ მომენტიდან ჩვენს ყველა საქმიანობაში დილიდან ღამემდე გამსჭვალულნი ვიქნებით ერთადერთი ძალისხმევით: მზერა მივაპყროთ ღმერთს, რომელიც გვეძებს, რომელსაც ვუყვარვართ. ამან უნდა მოგვიცვას, აგვიტანოს, შეგვიპყროს... ყველა წმინდანისა და ყველა გენიოსის დამახასიათებელი თვისებაა, ერთადერთ წერტილში მოუყარონ თავი მთელ თავის ენერგიებს, დაუღალავად მისდიონ დიდ ჩანაფიქრს, რომელიც თავისკენ მოდენის და ერთ მთლიანობად კრავს მათ არსებობას, ერთგვარად გამოიკეტონ იმ მოღვაწეობაში, რომელსაც მისცემიან. ვინც ამ ერთადერთ ძალისხმევაზე ააგებს თავის ცხოვრებას და ასე რადიკალურად ორიენტირებული გეზით ივლის, იმისთვის ნამდვილად იწყება ყველაფერი

და, თანაც, პროცესები სწრაფად ვითარდება, გზა მოკლეა. მართლაც, ღმერთი შეუნელებლად მოქმედებს იმ არსებაში, რომელიც ასე ტოტალურად მიეცემა მას. ასეთი არსების სადავეები უფლის ხელშია და მართვის ინიციატივაც მთლიანად ღმერთს ეკუთვნის, თვით მაშინაც, როცა ეს ადამიანი არც კი ფიქრობს ამაზე. აი, ეს არის ჭეშმარიტი თავმდაბლობა და სწორედ ასეთი თავმდაბლობაა სიწმინდის საძირკველი.

იესოს ლოცვა გზის გამკვალავი იარაღია. ვერაფერი თოკავს ჩვენი ბუნების სწრაფვას თვითნებობისკენ და ვერაფერი გვაყენებს მადლის მოქმედების ქვეშ ისე, როგორც იესოს ლოცვა. მისი დანერგვა პირადი ცხოვრების წესში ნიშნავს საკუთარი ნების სრულ დათმობას, შინაგან დაბრკოლებათა აღმოფხვრას საფუძველშივე, იერიშის მიტანას ეგოზე, ოღონდ მის გარეგან გამოვლინებებში კი არა, პირდაპირ სიღრმისეულ შრეებში.

ნელ-ნელა იმის ჩვევასაც შევიძენთ, რომ ყურადღება საკუთარი თავიდან ქრისტეზე გადავიტანოთ. მისი პიროვნების წინაშე დგომა, მასთან მუდმივად განახლებული, თანამიმდევრული კონტაქტი თანდათანობით სულ უფრო მტკიცე გახდება და ჩვენც შევიცვლებით. ქრისტეს პიროვნება ჩვენში აღიბეჭდება, ერთგვარად გადაგვედება მისი ქცევა, მისი რეაქციები და ფიქრები. მართლაც, სიღრმისეულმა ფსიქოლოგიამ აჩვენა, რომ „სელექციური მიმეტიზმი“ ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. პიროვნულ წყობაზე განმსაზღვრელად მოქმედებს იმ პიროვნების ზეგავლენის ქვეშ ყოფნა, რომელშიც ვდებთ ჩვენს სიყვარულს. მაგრამ როდესაც საუბარი ქრისტეს ეხება, ეს ფენომენი უბრალო ადამიანურ სიმბიოზს კი არა, ონტოლოგიურ გარდაქმნას წარმოადგენს. ამ დროს ჩვენში „ხელთუქმნელი ენერგიები“, ღვთაებრივი სიცოცხლე მიმოიქცევა, რომელიც სულ უფრო მეტად გვამსგავსებს „ძის ხატებას“ (რომ. 8,29)

მიმიკა, რომელსაც დღევანდელი ფსიქოლოგია ფსიქიკის პრობლემებს ახმარს, ადრეულ ქრისტიანობაშივე მისტიკურ რეალობად გამოიყენებოდა მთლიანი ადამიანის გარდასაქმნელად. ამაში იგულისხმება როგორც სხეულის, ისე ფსიქიკისა და სულის ფერიცვალება. როცა წმ. პავლე „ქრისტეს მიმბაძველად“ აცხადებს თავის თავს, ამ სიტყვას იგი თეატრის პროფანული ენიდან სესხულობს. მიმისტი თავისი პერსონაჟის ნაკვთებს იღებს, იმდენად ძვრება მის ტყავში. მოციქულიც ისე ითვისებს ქრისტეს თავის არსებაში, რომ მას სხვა ადამიანებისთვის ხილულს ხდის. „მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალატ. 2, 20). არსება ერთიანდება, როცა მისი ცხოვრების შემადგენელი ყველა ელემენტი ერთი ხდება, ანუ წყარო, საიდანაც ისინი მომდინარეობენ, და მიზანი, საითკენაც მიისწრაფვიან, ერთია: ქრისტე. ვიყო ის ყოველწამს, მისით განიმსჭვალოს ჩემი ჟესტი, ჩემი სიტყვა, მზერა, ქცევა, სურვილი და, თანდათანობით, უნებლიე რეფლექსებიც კი. აი, ეს არის ფუნდამენტური ასკეზი. წმ. პავლეს ძალუმი გამონათქვამისამებრ, ქრისტესთან ერთად უნდა ვეცვა ჯვარს, ანუ, ჩემი ყველაზე ღრმა ქმედებების საწყისი ეგო კი არ უნდა იყოს, არამედ ქრისტე, რომელიც ჩემში ცოცხლობს. სიკვდილის წინა დღეს თვით იესომ თქვა: „ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს ისხამს, რადგან უჩემოდ არაფრის კეთება არ შეგიძლიათ“ (ი. 15, 5).

ამ კონტექსტში სიყვარული ავლენს თავის ამაღელვებელ რაობას და, ამავე დროს, თავდაყირა აყენებს თავის მეთოდს. სიყვარული, რომელიც მორალად, ფილანტროპიად, თავდადებად აქციეს თვით ქრისტიანებმაც კი, აქ გვევლინება როგორც შინაგანი ერთიანობა ღვთაებრივ სიცოცხლესთან. ამრიგად, აქ იმდენად ქრისტეს სიყვარულისთვის ცხოვრება კი არ იგულისხმება, არამედ გაცილებით მეტი: თვით ჩვენი ქმედების შინაარსი, მიმართება, ქცევა, რომელსაც ამ ქმედებისას ვიჩენთ, თავად უნდა წარმოადგენდეს ქრისტეს ცხოვრებას, მისი „ძალის გამოცხადებას“. ისევ წმ. პავლეს სიტყვებით თუ ვიტყვით: „ვისაც უყვარს, ღვთისგან არის შობილი და იცნობს ღმერთს“ (I იოან. 4, 7), „იცნობს“ ანუ, ამ სიტყვის ბიბლიური გაგებით, განიცდის ღმერთს. იქვე, წმ. იოანე იძლევა დაზუსტებას, რომელიც კიდევ ერთხელ მოიცავს მთელ გამოცხადებას: „ღმერთის სიყვარული იმით გამოგვეცხადა, რომ ღმერთმა მოავლინა წუთისოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა მის მიერ ვიცოცხ-

ლოთ“ (I იოან. 4, 9). ამრიგად, სიყვარული ნიშნავს „ქრისტეს მიერ ცხოვრებას“, და ამისთვის მოვიდა იგი ჩვენს შორის, და შემდეგ ჩვენში!

ეს არაჩვეულებრივი ერთიანობა კაცსა და ღმერთს შორის, როცა პირველი მთლიანად ნებდება მეორეს, სრულდება შეერთებით, ოღონდ ეს შეერთება შეურეველია ისე, როგორც არის ცეცხლი რკინაში. „სულს თითების წვერებამდე შემოჰყავს ჩვენში ქრისტე. იგი მსჭვალავს ჩვენს სხეულს“, — წამოიძახებს წმ. სვიმეონი. მთელმა ისიქასტურმა ტრადიციამ სცნო, და ამაში რწმუნდება დღეს მეცნიერებაც: ქრისტესთან შეერთება, რაც არის „იესოს ლოცვის“ მიზანი, ცვლის საგანთა სუბსტანციას, იცვლება ძვლის ტვინი, სისხლის სურათი, და თვით უჯრედის აღნაგობაც კი...

სწორედ აქ ჩანს ის განსხვავებული ხედვა სხეულისა, ქრისტიანობამ რომ შეიტანა ძველ სამყაროში. არაქრისტიანულ რელიგიურ სამყაროში სხეული, ხშირად, სულის სახელით უარიყოფოდა. ანტიკური სამყაროს ანთროპოლოგიაში ვითარდებოდა საკვირველი დუალიზმი, რომელიც სხეულს სულის ციხედ მიიჩნევდა. ღვთის განხორციელების მთელი მეტაფიზიკა — ქრისტიანობის ფუძემდებლური საიდუმლო — ეფუძნება სხეულებრიობის მეტაფიზიკური ბუნების აღიარებას. ეს ძლიერად გამოიხატა განღმრთობის სწავლებაში. სხეული მეტაფიზიკურად შეადგენს ადამიანის არსების ნაწილს და სიკვდილს, რომელიც სხეულს ანადგურებს, არ შეუძლია მისი სრული გაქარწყლება. „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღვთისაგან გაქვთ“, — ამბობს წმიდა პავლე, და „თქვენი სხეულები ქრისტეს ასოები არიან“ (1 კორ. 6, 19 და 15).

ამ სწავლების ერთ-ერთი დიდი დამამოწმებელი ნიშანია თითოეულ ადამიანში ყრმობიდანვე ჩასახლებული ნოსტალგია, შიმშილი, სულიერი წარმომავლობის მიუხედავად ასე ძლიერად რომ აღიბეჭდება როგორც სხეულში, ისე ფსიქიკაში. ჩვენ ვამბობთ „მუცელი მტკივა“. ამდენად, სხეული არის არა საგანი, რომელიც გვაქვს, არამედ ფიზიკური გამოვლინება იმისა, რაც მეტაფიზიკურია. იგი არის ჩვენი არსების უხილავი საიდუმლოს ხილული გამოხატულება, გარეთ, ისტორიულ სიბრტყეზე გამოვლენა ადამიანის იმ შინაგანი განზომილებისა, რომელიც სცდება დროსა და სივრცეს. პერიფრაზირებით რომ გადმოგვეცა სიტყვა „სხეული“, ვიტყოდით, რომ ეს არის „ამქვეყნად ყოფნის ჩვენეული მანერა“. ძველ აღთქმაში არც კი არსებობს „სხეულის“, როგორც დანარჩენისგან განკერძოებული რეალობის აღმნიშვნელი სიტყვა. ადამიანი განუყოფელი მთლიანობაა: თავის ყველა ასპექტში იგი ყოველთვის არის სულიერიც და სხეულებრივიც. როგორც მამები ამბობენ, ეს არის „périchorèse“, სრული ურთერთშეღწევადობა. თანწყობა: სხეულს მიმატებული სამშვინველი, მიმატებული სული არის თავდაპირველი გახლეჩვისა და გამთიშველი ცოდვის ნაყოფი.

ყველაზე დიდი მამების მიხედვით (ირინეოსი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ პალამა), ღვთის ხატად სრული კაცი შეიქმნა. ადამიანის არსება მთლიანად, სხეულ-სამშვინველ-სულით არის ღმერთს ზიარებული და, როგორც ასეთი, „სიტყვით და სულიწმიდით შემოსილი“. ამდენად, თვით სხეულიც ღვთის ხატად არის შექმნილი, ხატად სიტყვის სხეულისა, რომელიც არის განხორციელებული ღმერთი. როგორც წმიდა სოფრონ იერუსალიმელი ამბობს, „ხორცი ერთდროულად იქმნა ხორცი და ღვთის სიტყვის ხორცი... რადგანაც ხორცს თავის თავში კი არა, ღვთის სიტყვაში აქვს არსებობა. ქრისტეს პიროვნებამ განმსჭვალა ადამიანური ხორცი და სამუდამოდ განადიდა ამაღლების დღეს, როცა ღვთაებრივი სამების წიაღში შეიყვანა ადამიანის სხეული.

თუ სხეულს, მართლაცდა, „ღვთის სიტყვაში აქვს არსებობა“, მაშინ ღვთის სიტყვაშია მისი საწყისი, რომელიც სულიერია. სხეული არის პიროვნების გამოხატულება. როგორც ბიბლიისთვის, ისე ტრადიციისთვის უცხოა მანიქეველური თუ გნოსტიკური დუალიზმი, რომელიც სხეულში ბოროტებას ხედავს და მას სულს უპირისპირებს. ამ მიზეზთა გამო ქრისტიანობა ყოველთვის ერიდებოდა როგორც ხორციელ, ისე ასკეტურ ექცესებს. თუკი მართალია, რომ გზაზე მე ვარ ჩემი სხეული, მისი არად ჩაგდება ან მისგან გამოსვლა ნიშნავს ზიანის მიყენებას პიროვნებისა და, საერთოდ, მთელი არსებისათვის. არსებობს თვითგვემის,

მოკვდინების ასკეტიზმი, რომელიც სხეულს ისე ეპყრობა, როგორც საგანს, და არსებობს გარდამქმნელი ასკეტიზმი, რომელსაც სხეული სულთან ჰარმონიაში მოჰყავს. მართალია, ძალიან ძნელია წონასწორობის პოვნა ამ ორს შორის, და წმინდანები თავიანთი ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე ხშირად საშინელ თვითგვემას მისცემიან, მაგრამ ისინი არასოდეს გადაცდენილან იმ მთავარ მიზანს, რომელიც ამ ასკეტობას წარმართავდა. „არავის არასოდეს მოსძულებია საკუთარი ხორცი“ (ეფეს. 5, 29).

სხეული ტაძარია არა როგორც რაიმე გარეგანი ჭურჭელი ან სახლი, ბინადარს რომ შეიფარებს: ეს ისევ დუალობა იქნებოდა. სხეულში ისე სახლდება სულიწმიდა, როგორც რკინაში ცეცხლი. ცეცხლთან კავშირში შესული რკინა იმწამსვე მის ფერს იძენს. „ასე ხორცი, როცა მასში ცხოველმყოფელი სიტყვა სახლდება, ხრწნილებისაგან თავისუფლდება და ქრისტეს ხორცით იმოსება“ (კირილე ალექსანდრიელი, ქადაგება ლუკაზე V. 19). ეს არის გამოცხადება შეურეველი შეერთებით; ხორციელი თანაზიარება, ნამდვილი „ნაზავი“, როგორც ამბობს გრიგოლ ნოსელი: „სიტყვა ხორცშესხმისას შეეზავა კაცს და მიიღო ჩვენი ბუნება, რათა ადამიანური განღმრთობილიყო ღმერთთან ამ შეზავებით: ჩვენი ბუნების ცომი მთლიანად განიწმინდა ქრისტეს მიერ“ (აპოლინარის წინააღმდეგ, 2).

ჩვენში ღვთაებრივი სიცოცხლის ეს უწყვეტი დენა არის სულიწმიდის შემოქმედება, მისი „კენოზისის“ (დამდაბლება, საკუთარი თავის უარყოფა) უძირო საიდუმლო, საკუთარი თავის სრული გაცემა, როცა იგი ჩაბერვით მოგვფენს სიტყვას, რომელთანაც უშუალო, ყოველწამიერ კავშირს გვამყარებინებს. მისი შემოქმედი მონაბერის ძალა შემოაღწევს ჩვენში და აცოცხლებს მთელს ჩვენს არსებას და ჩვენს სხეულს თვით უმცირეს უჯრედამდე. სულიწმიდას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთადერთი „გატაცება“ აქვს — გამოგვძერწოს ქრისტეს მსგავსებაზე!

ამ ურთიერთმკვიდრობაში, ღმერთი ხორციელად ბინადრობს ადამიანში (იხ. კოლ. 2, 9) და ადამიანი ხორციელად ბინადრობს ღმერთში. ამრიგად, მე ვისვენებ ღმერთში, რადგანაც რა უნდა მომივიდეს მასში? დაჭიმული სხეული არ გამოხატავს ღვთის ხატს, არამედ უმისობას მოწმობს... იგი გაჰყვირის თავის შიშსა და სიმარტოვეზე; გამოიკეტება თავის თავში, დაიხშობა, და მასში აღარ მიმოიქცევა ღვთაებრივი სუნთქვა. ბედნიერებაა ღმერთში ფიზიკურად მოსვენება, ღია დარაბებით, მიმნდობად. მაშინ ვრწმუნდები: ღმერთი მიმიძღვის. მას საშულება ეძლევა დაუბრკოლებლად, უსასრულოდ მოჰფინოს ჩემში თავისი მყოფობა. მე მივყვები სიტყვის ხორცშესხმის მოძრაობას ჩემს ხორცში, სადაც ის ღრმად იჭრება, რათა ხორცი სულ უფრო მეტად გამჭვირვალე გახადოს თავის მიმართ.

ეს ურთიერთშეღწევადობა წარმოადგენს დაუსრულებელ ზრდას, მუდმივგანახლებად გამოცდილებას; საბოლოოდ, ადამიანის ცნობიერებიდან გამოსხივდება ღვთაებრივი ნათელი მის სახეზე, მის ქმედებებში, ჟესტებში, მის ქცევებში... და რატომაც არა მის პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ მოდელში, რატომ არ უნდა იყოს ესეც ღვთის ხატად? განა სხვა რა სტანდარტით უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანურ ურთიერთობათა სამართავად, თუ არა სამ ღვთაებრივ პირს შორის არსებული ურთიერთობით? „ჩვენი სოციალური პროგრამა სამების დოგმატია“, — ამბობდა ნიკოლოზ ფედოროვი.

გათავისუფლებულ ადამიანში, რომელშიც მკვიდრობს ქრისტე, ხორცი აღარ არის ხორციელი და ქვედაზიდული; ყალიბდება ახალი სხეულებრივობა — ხორცი, თუნდ მოკვდავი, რომელშიც „გამოვლინდება იესოს სიცოცხლე“ (2 კორ. 4, 11). მან განწმიდა და გაათავისუფლა ჩვენი ხორციც. ეს რომ არა, შენიშნავს წმ. ირინეოსი, სამშვინველი თუ სული გადარჩებოდა, მაგრამ არა სრული კაცი. ასე რომ, თვით სხეულიც ივსება, „იჟღინთება“ ქრისტეს მყოფობით და სულიწმიდით, ცხადია, მხოლოდ ისეთი ასკეტური ცხოვრების თანხლებით, რომელიც განწმენდს გულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვნებები დაფარავს გულს და იგი დემონურ ძალთა ნადავლად იქცევა; ისინი პარაზიტებივით, ვამპირებივით დაეწაფებიან მას და შინაგან ტაძარს ქურდების ბუნაგად აქცევენ...

თუ სხეული არის ჩემი „ამქვეყნად-ყოფნის-მანერა“, მაშინ ᲒᲖᲐᲖᲔ მე არათუ მაქვს სხე-

ული როგორც საგანი, არამედ მე ვარ ჩემი სხეული (იხ. ევდომიკოვი, „ქალი და საწუთროს ხსნა“, დ. დ. ბ., გვ. 41). ამ აზრით, თვითონ სხეული ხდება ლოცვა ყოველ ჯერზე, როცა კი მისი აქ ყოფნის მანერა სწორია, ანუ, როცა იგი არსებასთან, სიღრმესთან დაკონტაქტების საშუალებას იძლევა. ხოლო აქ ყოფნის მანერა მცდარია, როცა, პირიქით, სხეული აბრკოლებს ამ კონტაქტს. ღვთისგან მოწყვეტილი სამშვინველი იბერება სიამაყით, ამბობენ მამები, და ცხადია იგივე მოსდის სხეულსაც, რამდენადაც ის სამშვინველს გამოხატავს. მართლაც, სხეული, ნაცვლად იმისა, რომ იყოს სიღრმეში „ფესვგადგმული და დაფუძნებული“ (3, 17), ამოდის ზედაპირზე, სუნთქვა მუცლიდან მკერდში ამოაქვს და მხრებსაც ზევით სწევს, და არის ასე, მთლიანად დეცენტრირებული და ათასგვარ, ყველასათვის ნაცნობ დაძაბულობებს დაქვემდებარებული. ნებისმიერი ფიზიკური დაჭიმულობა გამოხატავს რაღაც მოუგვარებელს მეტაფიზიკურ პლანში.

ასე რომ, ლოცვაში ჩართვისას სხეული თავისუფლდება დაჭიმულობებისაგან, იხსნება და დგება თვით იმის პირისპირ, რაც შეადგენს ლოცვის საგანს! ნამდვილი ლოცვა, რომელიც გულისხმობს სრულ მინებება-მინდობას, საკუთარი თავის სრულად ჩაბარებას, სხეულის ღრმა მოშვებას იწვევს. და პირიქით. თუმცა ასეთ შემთხვევაში პროცესი გაცილებით უფრო სწრაფია: დაუჭიმავი, სრულყოფილად მოშვებული (მაგრამ არა მოდუნებული) სხეული ერთბაშად იხსნება იმ საიდუმლოს მიმართ, რომლის ტაძარიც თვითონაა. მთელი ჩვენი მუშაობა *გახსნაში* მდგომარეობს: „ephata“, „გაიხსენ!“, — ამბობს ქრისტე (მარ. 7, 34). ხოლო გახსნის საიდუმლო განცდაში მდგომარეობს. რათა გავიხსნა, უნდა შევიდე განცდაში, შევიდე ხუთივე გრძნობით (იხ. „მიღმური სამყარო ჩვენში“, გვ. 30, 88-95).

განცდას გვაჩვევს პირველ რიგში ლიტურგია, ეს სასიცოცხლო წყარო იესოს ლოცვისა, რადგანაც ლიტურგიის პედაგოგიკა ასეთ გამოცდილებაზეა აგებული: უყურო იმას, რაც ხდება (ლიტურგიული მსვლელობა, მორთულობათა ფერები, ჟესტები, ხატები), ისმინო გალობა, იყნოსო საკმეველი, იგემო ზიარება, და აცალო საიდუმლოს, რომ შეგეხოს. ხუთი გრძნობა წარმოადგენს უხილავისკენ გახსნილ ხუთ სარკმელს. მთავარია, არ ჩავეძიოთ განცდას, არ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას აღიქვამენ ჩვენი გრძნობები, დაუბრკოლებლად მივიღოთ განცდა, დავანებოთ მას, რომ მოგვიცვას (იხ. პილ. 3, 12), „არ განვსაჯოთ“ (მათ. 7, 1). როცა ჩემი გრძნობები თავს ანებებენ დაფიქსირებას და გვერდიდან შეხედვა-განსჯას, მაშინ ქრება ის დისტანცია, რომელიც არსებობს ჩემი გრძნობების მიერ განცდილსა და ჩემს შორის: ასეთ დროს, მე შემიძლია ჩავიდე განცდის სიღრმეში და იქ „დავრჩე“ (იოან. 15, 4-15), მივიღო განცდა თავისი წმინდა სახით, ერთგვარად ჩავყვინთო მასში: სრულიად უზრუნველად ვიყურო-ვისმინო-ვიგემო... შევცურო შიგნით, მივნებდე, განვიცადო ცხოვრება იქ, სადაც აღარც სურათია, აღარც ფორმა, აღარც რაიმე გამოვლინება (შდრ. კალიქსტე და ეგნატე, ფილოკალია, 165).

გარეგანი საშუალებებით დაუფლების ნაცვლად მთლიანად მივნებდე წამიერ აწმყოს, მოტანილ მოვლენას ხუთივე გრძნობით „ჩავატანო გემო“. აი, ასეთი მინებებითი დამოკიდებულება შემიყვანს არსების ღრმა დუმილში. განცდისას სმენაც ხორცს ისხამს. შეგრძნება მთლიანად ეფინება ჩვეულებრივი ცნობიერების ველს და მას საშუალებას აძლევს ამაღლდეს ფიქრზე, სხვა დონეებზე გაიხსნას და ლოცვის წყალობით შევიდეს იმაში, რასაც მამები იმთავითვე „ღვთაებრივის განცდას“ უწოდებდნენ. ასეთ დროს სხეულით და სამშვინველით განიცდება ის გამოუთქმელი მყოფობა, რომელიც სულში ბინადრობს; იგი ერთიანად მოიცავს მთელს არსებას, უმცირესი უჯრედიც კი მისით იჟღინთება. ამ დროს ღმერთი ადამიანისთვის აღარ წარმოადგენს „აჩრდილს“, შეგვიძლია შევეხოთ მას და გრიგოლ პალამასთან ერთად წამოვიძახოთ: „ჩემ ხორცთა ხორცი, ჩემ ძვალთა ძვალი!“ ღმერთს ვერ შევხვდებით სიტყვებში, თუნდაც ეს იესოს ლოცვის სიტყვები იყოს! „ნუ მრავალსიტყვაობ“, — ამბობს ქრისტე (მათ. 6, 7), „შემეხეთ“ (ლუკ. 24, 39).

იგი გამოვიდა უძირო უფსკრულიდან იმისა, რაც „არც თვალს უნახავს, არც ყურს სმენია“, სწორედ იმისთვის, რომ ხორციელი გამხდარიყო და დაგვმსგავსებოდა, რათა შეგვე-

ძლოს „საკუთარი თვალებით დავინახოთ მისი დიდება” (2 პეტრ. 1, 16), „საკუთარი ყურებით მოვუსმინოთ“ (მათ. 13, 16), „ხელით შევეხოთ” (1 იოანე 1, 1), განვიცადოთ მთელი ჩვენი არსებით, „შევიცნოთ” (პილიფ. 3, 14 და 21), „უსხეულო სხეულში შემოვსაზღვროთ” (იოანე კლემაქსი).

იესოს ლოცვის მიზანია ჩვენსავე „დამდაბლებულ სხეულში” (ფილიპ. 3, 21) მთლიანად ქრისტეს „მსგავსი” გაგვხადოს. „სულიერი განცდის გარეშე („სულიერი“ ანუ სხეულ-სამშვინველ-სული), შეუძლებელია ვიგემოთ ღვთაებრივ მოვლენათა ნეტარება“, — ამბობს გრიგოლ სინელი. ვნებები, ჩვენს ბუნებრივ ძალებს რომ ანადგურებს, უგრძნობელს გვხდის სულიწმიდის მოქმედების მიმართ. ბუნებრივია, ვისაც დახშული აქვს სულიერი სმენა, ხედვა და განცდა, ის სულიერად მკვდარია. წმიდა თომა აქვინელი აზუსტებს: „ბრძენი მხოლოდ ის არის, ვინც გემოს ჩაატანს მოვლენებს“, ხოლო კლიმენტი ალექსანდრიელი დასძენს: „შეგვიძლია შორიდან განვიცადოთ კიდეც, რა არის ღმერთი, თუ ვეცდებით თითოეულ შეგრძნებაში შევუერთდეთ და არ დავშორდეთ ყოველი არსების რეალობას, სანამ არ ჩავაღწევთ საკუთარ მიღმურში. მიღმა აღმოვაჩენთ ქრისტეს უსაზღვროებას და, მისი სიწმინდის მეოხებით, წინ წავიწევთ მისი უსასრულობის უფსკრულისაკენ, სადაც შეიძლება ყოვლადძლიერს შევავლოთ თვალი“ (სტრომატები, V, XI).

აქ არის ნამდვილი „ცოდნა“, ცოდნა, რომელიც შეგვიყვანს „მარადიულ ცხოვრებაში“, სადაც მთავარია „ყველაფერს ღმერთში განვიცდიდეთ“. ამრიგად, დავიწყოთ საკუთარი სხეულის განცდით, რაკი ჩვენ ქრისტესთან თანა-სხეულებრივნი ვართ. ნათლობით ჩვენ ქრისტეში ჩავეფალით და ქრისტე „შევიმოსეთ“, ევქარისტიით კი ვესისხლხორცებით მას, ამ სიტყვის ყველაზე რეალისტური გაგებით: ჩვენი ხდება მისი ხორცი და მისი სისხლი მიმოიქცევა ჩვენს სისხლძარღვებში (იოან. 6, 56).

„სისხლი, რომელიც გვაცოცხლებს, ქრისტეს სისხლია, და ხორცი, რომელიც წმიდა საიდუმლოს შემოჰყავს ჩვენში, ქრისტეს სხეულია, ხოლო ნაწილები და ცხოვრება ერთია“, — ამბობს ნიკოლოზ კავასილა. ვიყო ქრისტე, მოვაშორო მზერა საკუთარ თავსა თუ სისუსტეებს; დავივიწყო ჩემი თავი და ვუყურო მხოლოდ ჩემში მყოფ ქრისტეს. ჩემში ქრისტე ცოცხლობს. რაც უნდა ვქნა, იგი ჩემშია: იგი უფრო არის ჩემი თავი, ვიდრე მე, იგი არის ჩემი გონების გონება, ჩემი ნების ნება, ჩემი ძალისხმევის ძალისხმევა, ჩემი თვალის სინათლე, ჩემი სიტყვიერების სიტყვა, ჩემი ბაგის სუნთქვა; მისი გული ჩემი გულია, ჩემი სხეულის ნაწილები მისი სხეულის ნაწილებია; ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, ის აკეთებს... ვიცხოვრო ქრისტე იქ, სადაც ვარ, და იმაში, რასაც ახლა ვაკეთებ; რეალურად განვიცადო იგი ჩემს ტყავში, მუდმივად ვაცნობიერებდე მას, ვიყო დაბინავებული ჩემი სხეულის თუნდ უმცირესს მოძრაობაში და ვაცალო ქრისტეს გაიშალოს ყველა ქმედებაში, ყველა სიტყვაში, ყველა ჟესტში... აღარ არის მე და ის, არის მხოლოდ ის. ამდენად, აღარ აქვს მნიშვნელობა იმას, მომწონს თუ არა ის, რაც მემართება. ქრისტე აკეთებს იმას, რაც სურს და ჩემთან ისე მოდის, როგორც თვითონ თვლის ამას საჭიროდ. ყველაფერში მადლია და მადლიერება... სიხარული... თანხმობა... იგი ჩემშია და ყველაფერი მასზე მესაუბრება, ყველაფერს მისი კვალი ატყვია...

ცხოვრების ერთიანობა... სისადავე... უჭირველი ძალისხმევა... სულიერი ცხოვრების იმ დიდი კანონის აღმოჩენა, რაც არის უმოქმედო ქმედება, მოსვენებული ნება, როცა მე კი არ ვაკეთებ, არამედ ვაცლი, ჩემში და ჩემით გაკეთდეს ის, რისი გაკეთებაც სურს ქრისტეს; დუალობიდან გამოსვლა და ეგოს თანდათანობითი სიკვდილი თავისი დასტა-დასტა საჭიროებებითა თუ ანარქიული სურვილებით, მხოლოდ ტანჯვა რომ მოაქვს; ერთადერთი სანატრელის ერთადერთი სურვილი. ზრდის მომცემი პასიურობა თუ პასიური აქტივობა... ძნელია მოიძებნოს სიტყვა იმის განსასაზღვრად, რაც ახასიათებს მინებებით დამოკიდებულებას, როცა ჩვენ თანამშრომლები ვხდებით ჩვენზე მთლიანად აღმატებული საქმისა. წმიდა ირინეოსის მეტყველი შედარებით, როგორც საკრავს ხელოვანი აჟღერებს, ასე მაცხოვრებს მე ქრისტე, ქრისტეს მიერ ვიცხოვრები. მართლაც, რაკი საკრავი ვარ, ჩემი ცხოვრება ხდება

მუსიკა, საპირისპიროდ იმ დაჭიმული ნებელობისა, რომელიც გამოყოფს არასწორი ასკეტობის შხამს; ეს არის ნაპოვნი ყრმობის მადლი, სულიერი ბავშვობა, გალობა, რომელსაც გამოსცემს დაუჭიმავი, დანდობილი, გახსნილი არსება.

ნელ-ნელა იშვება ახალი ცნობიერება, თავს გამოავლენს და გამოგვაცოცხლებს უწინდელი ეგოსთვის სრულიად უცნობი ძალა: „შინაგანი კაცი“ (ეფეს. 3, 16), „გულის დაფარული კაცი“ (1 პეტრ .3, 4). რაც უფრო მეტად გაღრმავდება ჩვენში ღვთაებრივი მყოფობის განცდა და გაქრება ფიზიკური თუ ფსიქიკური დაჭიმულობები, მით უფრო მეტად გაგვეხსნება სიღრმისეულ სამყოფელთა დარაბები.

განცდა ზღვის ტალღას ჰგავს, რომელიც წყლის ზემოთ ათასგვარ ფორმას იღებს. შეიძლება ფეხებით ვიგრძნო დატკეპნილი მიწა ან კლდე, მოსწორებული ადგილი ან კენჭების უსწორმასწორობა, შეიძლება საგნებთან შეხებაში ხელებმა სითბო ან სიცივე იგრძნოს, შეიძლება მრავალი ფორმა განსაზღვროს თვალებმა ან ყურებმა... მაგრამ, როგორც ტალღა ებმის ოკეანის მთელ სიღრმეს, ასე გადაებმის თითოეული განცდა ჩვენი შინაგანი ცნობიერების უსასრულობას; ამ უსასრულობისკენ მიმაქცევს განცდა, თუ არ შევჩერდები ზედაპირის ფორმებზე, როცა ფეხით ან ხელით ვეხები რაიმეს, როცა თვალებით ვხედავ ან ყურებით ვისმენ რაიმეს... მყოფობის საიდუმლო შეუჩერებლად ღრმავდება იმ ადამიანში, რომელიც ყოველ ჯერზე განცდის ასეთ გამჭვირვალებაში ისადგურებს და მუდმივად ვარჯიშობს, რომ ეს მის მეორე ბუნებად იქცეს.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმ სასიცოცხლო ძალასთან, რომელიც კვებავდა ქრისტიანობის მისტიკურ ტრადიციას, სადაც „რწმენა არასოდეს განისაზღვრება როგორც ინტელექტუალური თანხმობა, — ამბობს მაქსიმე აღმსარებელი, — იგი ეფუძნება გამოცდილ სიცხადეს, ტრანსცენდენტურის განცდას... ეს არის სიყვარულისა და ცოდნის ბუნებითი თანხვედრა... გამოცდილებას ვუწოდებ მოქმედებაში მოყვანილ ცოდნას, რაც ხორციელდება ყოველგვარი კონცეფციის მიღმა; თანამონაწილეობას საგანთან, რომელიც ყოველგვარი აზრის მიღმა ცხადდება“ (ევდოკიმოვი: მართლმადიდებლობა, დ. დ. ბ. გვ. 49).

და ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ მრავალწლიანი შეუპოვრობის შემდეგ, თითქოს ხანჯალს გაეკვეთოს, ჭრილი გულამდე გაატანს: შეძრული გული აელვარდება, თვით ქრისტე გამოეცხადება მას... გავარვარებულია ღვთის განცდა, რომელიც ეფინება მთელ ჩემს არსებას, ოღონდ ამჯერად იგი მომდინარეობს სხეულ-სამშვინველ-სულის საერთო ცენტრიდან — გულიდან, რომელიც არის „სხეულის ყველაზე შინაგანი სხეული“ (წმიდა მაკარი), „სულის არსი“ (წმიდა ნიკოდემუსი), „სულის ტაძარი“ (წმიდა გრიგოლ სინელი), „ყველაფრის ფესვი“ (წმიდა ისააკი).

გული ყველა ორგანოს განაგებს, ამდენად მადლი, როცა იგი გულს იპყრობს, ბატონდება ყველა ფიქრსა თუ ასოზე (წმ. მაქსიმე აღმსარებელი). გულში იხსნება წინააღმდეგობა სულსა და ხორცს შორის, რადგან იგი ადამიანური არსებობის შუაგულია, ადამიანის სულიერ, ფსიქიკურ და სხეულებრივ ძალთა თავმოყრის ადგილი; გული არის საშუალება, რომლითაც ადამიანი კონტაქტში შედის ყველაფერთან, რაც არსებობს (თეოფანე დაყუდებული), როგორც მის გარეთ, ისე მის შიგნით: აქ ხორციელდება ადამიანისა და ღმერთის პირისპირ შეყრა და გაერთიანება; მხოლოდ აქედან ხდება შესაძლებელი ძმებთან ნამდვილად პირისპირ შეხვედრა და მათთან ერთობა.

ქრისტე, სრული კაცი და სრული ღმერთი, მოვიდა, რომ ჩვენ შორის ეცხოვრა ერთიანობის ასეთი სისავსით; ამით იგი უკან მიბრუნებისა და გათავისუფლების გზად გვექმნა. ქრისტეს სრულად მიყოლა, „ქრისტედ ქცევა“, გრიგოლ ნოსელის გამოთქმისამებრ, ხორციელდება გულში. სწორედ იქ, გულში გამოისახება ქრისტე და „ჩვენც იქ ვისახებით ქრისტედ“ (ორიგენე); „გულში იშვება ლოგოსი-სიტყვა, როგორც ყრმა“ (წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი); გულია ის ადგილი, სადაც ქრისტე გამოასხივებს მისი ინკარნაციით რეალიზებული სხეულის, სამშვინველისა და სულის ერთიანობას თითოეულ ადამიანში, რომელიც აცლის ღვთის ძეს მასში იზარდოს. ეს ზრდა შეუწყვეტელი შემოქმედებაა. ამიტომაც, საკითხი

ეხება გულში ჩაღწევას, სადაც შევხვდებით ღმერთს და, მასთან ინტიმურ თანაზიარებაში მყოფნი, კიდეც დავემსგავსებით. გზა ყოველთვის პერიფერიიდან ღერძისკენ მიემართება და, ვიდრე ადამიანი ამ ცეცხლოვან შუაგულს მიაღწევს, იგი მოგზაურია. „გულის გარეთ ადამიანი უსახლკაროა, გულის შიგნით კი იგი შინ და იმავდროულად ღმერთთან არის“, — ამბობს ერთი აფორიზმი.

პერიფერიული „შეგრძნებისაგან“ განსხვავებით, რომელიც ტალღასავით წარმავალია, „იდუმალების განცდა“ გულის გამოღვიძებისას სულ უფრო და უფრო ხანგრძლივი ხდება, მყოფობის ხსოვნა კი — მუდმივი. სწორედ ამ „განცდაში“ მდგომარეობს რელიგიის დასაწყისი, — ამბობს თეოფანე დაყუდებული... ამ განცდით შეპყრობა ძალიან მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრებისათვის. ვინც ამ განცდას ფლობს, ის შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს*. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ გულს თეოფანე „განღმრთობის ორგანოს“ უწოდებს. „შეგრძნებითი ორგანო ღმერთთან საურთიერთოდ“, — აზუსტებს სტანილოაე. მართლაც, გულში ჩაღწევისას გზა საპირისპირო მიმართულებითაც გაიკვალება — ღერძიდან პერიფერიისკენ. და როცა თანდათანობით აილაგმება ჩვენი დაჭიმულობები ანუ ჩამოიშლება ჩვენი შინაგანი ტიხრები, მთელი სხეული ერთ ვრცელ გულად გადაიქცევა, სადაც ამიერიდან ყველაზე შინაგანი შეგრძნება — წმიდათაწმიდიდან ანუ გულიდან ამოსული — შეერევა ყველაზე გარეგან შეგრძნებას, წარმოშობილს იქ, სადაც სხეული ფიზიკურ შეხებაში მოდის საგნებთან.

აი, ეს არის ამ ლოცვის ორი მნიშვნელოვანი ეტაპი. პირველი იწყება იქიდან, სადაც დგას ადამიანი: გარედან. ამ ეტაპის გავლა ითხოვს დიდ ჯაფას, არსების სრულ კონცენტრაციას, დაფუძნებულს ურყევ გადაწყვეტილებაზე. მხოლოდ ასეთი გადაწყვეტილებით თუ ჩაეყრება საფუძველი არსებობას, რომლის დროსაც წმინდანი ახერხებს გიგანტური ენერგიების ერთ წერტილში თავმოყრას. დიდს ვერაფერს მოიპოვებ „ჯიქური თავგამოდების“ გარეშე (თეოფანე), მით უფრო, რომ მუდმივი საჭიროებაა ახლიდან დაწყებისა... ასეთი ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი, გამონაკლისის გარეშე, დასახული მიზნის სამსახურში დგება, ყველაფერი ამ გადაწყვეტილებაში ღრმავდება და გზას უთმობს იმ ერთადერთ საჭიროებას, რომელიც ყველა დანარჩენზე წინ უნდა იდგეს. ეს ადამიანი, თავისი ბუნების წინააღმდეგობრივ და ბუნდოვან მისწრაფებათაგან თავდახსნილი, ცნობიერად მისდევს საბოლოო არჩევანს, რომელიც განსაზღვრავს სრულქმნილი კაცის ტიპს (ეფეს. 3, 8-14), ასწორებს მის წარსულს და მთელს მის პიროვნებას მიმართავს „იქით“ (პილიფ. 3, 8-14). ეს ძვირად მოპოვებული გადაწყვეტილება ფასეულობებს გადაალაგებს და, რაკი ამ ადამიანს „სიკვდილამდე მორჩილების” უნარს გამოუმუშავებს, ამით მსხვერპლშეწირვის მთავარ აზრსაც გაუმხელს. ძალიან მნიშვნელოვანია საწყისი პერიოდი: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ გადავწყვეტთ, არ მივცეთ საკუთარ თავს მოსვენება, სანამ არ მივაღწევთ მიზანს, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს, რაც უნდა მოხდეს, რა ჯაფაც უნდა დაგვადგეს, რა მითქმა-მოთქმის საგანიც უნდა ვიქცეთ, ოღონდაც მივაღწიოთ, თუნდ გზაზე დავიღუპოთ, თუნდ მხნეობა დაგვაკლდეს განსაცდელების წინაშე, თუნდ ქვეყნიერება დაიქცეს... (წმ. ტერეზა ავილელი: სრულყოფის გზა, XXI, 2). ამ საკითხში ყველა წმინდანი ერთსულოვანია!

თუკი პირველი ეტაპის საწყისი წერტილი არის იქ, სადაც დგას ადამიანი — გარეთ, მეორე იწყება იქიდან, სადაც ღმერთია დავანებული: შიგნიდან. ეს ეტაპი იქნება პირველის საპასუხო, ღვთის მიერ ბოძებული იმათთვის, ვინც სრულად თმობს საკუთარ თავს. ღმერთი სრულად მიეცემა მხოლოდ იმ ადამიანს, რომელიც თვითონ მიეცემა მას სრულად. აქ არის თანახმიერება, ქორწილი. გული იხსნება და იქიდან ამოდენილი ლოცვა თავისთავად მოქმედებს ჩვენში, უნებლიეთ მოგვაქცევს თავის დინებაში; აღარ გვჭირდება

*იგულისხმება სულისმიერი განცდა, რომელიც სულიდან მომდინარეობს. იგი არ უნდა აგვერიოს ემოციაში, რომელიც სამშვინველსა თუ ფსიქიკას უკავშირდება, სხვაა სულისმიერი განცდა და სხვაა გრძნობადი ემოცია.

ჯაფა; ეს არის მჭვრეტელობითი მდგომარეობა, მადლით განმსჭვალვა... ეს განუზომლად აჭარბებს იმას, რაც შეიძლება ვითხოვოთ ან წარმოვისახოთ (ეფეს. 3, 20). ცხადია, ღმერთი პირველი ეტაპის დროსაც იქვეა: იგი ადამიანს უხმობს და თავისკენ იზიდავს. მოთმინებით სხლავს მას და მუდმივად სთავაზობს, დათმოს თავისი ოქროს ხბორები; თავისკენ მავალს იგი აძლევს საბრძოლო მადლს და ათლეტთა საცხებ ზეთს, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუძღვება, დაცემისას წამოაყენებს და სწორ გზას არ აკარგვინებს; იგი არის მისი ძალისხმევის ძალისხმევა და მისი სიმხნევის დინამიკა... ერთადერთი, რაც მთლიანად ადამიანზეა დამოკიდებული, ეს არის გადაწყვეტილების მიღება... ამაში ვლინდება ადამიანის თავისუფალი ნება, გამოეხმაუროს ღვთის ძახილს, რომელიც არც ერთ მომენტში არ ძალადობს. დიდი ხნის „შრომატევადი ლოცვის“ შემდეგ, რაწამს ადამიანი „ღვთის სასუფევლის მოძიებას“ მართლაცდა ყველაფერზე წინ დააყენებს, და არა ყველაფერ დანარჩენის გვერდით, როცა მისი წევა ერთადერთისკენ შეიქნება ნამდვილი და ალმასივით წმინდა, ის გახდება ქალწული, ყოველგვარი პარაზიტული მოქმედებისგან თავისუფალი და სიძის მისაღებად მორთული: საკუთარი თავისგან დაცლით წარმოქმნილი სიცარიელე ღვთაებრივი მყოფობის სისავსეს მოუხმობს. ეს არის იესოს ლოცვის გზის მეორე ეტაპი.

ქალწულება საბოლოოდ წიაღს გადაუშლის ნაყოფიერებას. დედა რომ გახდე სულიერ ცხოვრებაში, ჯერ ქალწულობა უნდა მოიპოვო. მხოლოდ გაუხლეჩავი, წმიდა გულის მქონე ხედავს ღმერთს. როცა მთელი ჩვენი არსება ხდება „ჰო“: „მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“ (ლუკ. 1, 38), ᲐᲚᲗᲥᲛᲐ გზახსნილია, ქალწულობა დედობაში გადადის. გზნებით ამბობს თვით ქრისტე: „ვინც ისმენს და ასრულებს ღვთის სიტყვას, ის არის ჩემი დედა“ (ლუკ. 8, 19-21); სულიწმიდის ძალით ღმერთი შობს მასში ღვთის სიტყვას, მსგავსად მარიამისა, რომელიც იყო ქალწული და დედა. ამ თვალსაზრისით მარიამი არის ახალი კაცის არქეტიპი, „მიბრუნების გზა“, ღია კარი, რომელიც გამოატარებს მისტიკური თეოლოგიის მთელ ნაკადს. იგი არის ქებათა ქების სატრფო, მიდგომილი მომავლის ყველა დანაპირებით, დედა-მიწა, რომელიც თავის წიაღში იღებს ღვთაებრივ ჩანასახს განსაცვიფრებელი ნაყოფიერებისთვის: ახალი კაცობრიობის დასაბადებლად. ტაძარში მრავალწლიანი ლოცვისას მარიამის მიერ განვლილი გზა ქალწულობისაკენ დაგვირგვინდა იმით, რომ იგი თავის „ჰო“-ში იქცა მისტიკურ ტაბლად პირველი ევქარისტიისა, ცოცხალ საკურთხევლად, სადაც მისი სისხლი და ხორცი ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაიქმნა. ქალწულობაში, მარიამი ეძლევა ღმერთს; დედობაში, ღმერთი ეძლევა მარიამს, და ქრისტეში ორივე თანა-სხეულებრივნი და თანა-სისხლისეულნი არიან.

ლოცვის ამ მეორე ფაზაში ყოველწამიერად დედა ვართ: ქრისტე გამოდის ჩვენი გულიდან და იშლება ჩვენს ყველა ქმედებასა თუ მოძრაობაში. აღარ არის ერთ მხარეს ფიქრები და მეორე მხარეს — ქცევები: გონება ჩასულია გულში, სადაც ღმერთი უშუალო მყოფობაშია გაცხადებული. ჩვენი ფიქრი ღვთის შესახებ, აქამდე ღმერთთან შეხვედრას რომ გვიშლიდა, ახლა სავსეა ღვთის რეალობის განცდით.

როცა გონება გულისგან შორს არის, უმცირესი ფიქრიც კი ღვთის შესახებ ეღობება ჩვენს უშუალო კავშირს მასთან. გულისა და გონების გაერთიანებისას კი ცნობიერება ატანილი და მთლიანად დაკავებულია იმ გამოცდილებით, რომელსაც იღებს იგი ღმერთთან ინტიმურ ურთიერთობაში ყოფნით. ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში რაიმე ობიექტის ან ჩვენგან ცალკე მდგომი პირის სახით კი არ არსებობს, არამედ ჩვენი ცნობიერება ერწყმის მას. ეს არის იდენტიფიკაცია, განხორციელებული ურთიერთშერევის გარეშე, გნებავთ — ღვთის გამჭვირვალება ადამიანის ცნობიერებაში. თავისთავად ცხადია, „ცნობიერებაში“ სხეულსაც ვგულისხმობთ, ჟესტებსაც, მოძრაობას, შინაგან დუმილს... „თითების წვერებამდე“, — ამბობდა წმ. სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი. ეს არის უწყვეტი ცეცხლოვანი ხვევნა, უზენაესი ჩასახლება, როცა „ღმერთი კაცობრივ გამოცდილებას გადის იმისთვის, რომ კაცმა ღვთის გამოცდილება მიიღოს“, როგორც ამბობს ერთი აფორიზმი. ამ ურთიერთშეღწევისას ადამიანი განიღმრთობა, სულიწმიდით აელვარებული, იგი ცურავს ღვთის სიწმინდ-

ეში. ასეთ ალიანსში ადამიანი სულ უფრო მეტად ემსგავსება ღმერთს და მასში იღვიძებს პიროვნება — ღვთაებრივი მყოფობა, გამოსხივებული ადამიანის სახესა თუ ქმედებებში: „შენი სახე რომ დავინახე, გინდ ღვთის სახე დამენახოს“, — ეუბნება იაკობი ესავს (დაბ. 33, 10).

ამ სტადიაში ლოცვა „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი ესე“ მთლიანი არსების ლოცვად გარდაიქმნება. დღეებისა თუ ღამეების მსვლელობაში, წლითი-წლამდე, სიტყვებმა ინტელექტიდან გულისკენ გაიკაფეს გზა, გულიდან კი მთელი არსება უსაზღვრო სიყვარულით სხივდება ღმერთში.

ლოცვის სიტყვები, აღბეჭდილი სხეულის ლამის თითოეული უჯრედის მეხსიერებაში, ისევ ისე მოედინება, მაგრამ მათი შეუნელებელი განმეორება აღარ ითხოვს ღვაწლს. ინტელექტისათვის ლოცვა აღარ წარმოადგენს ავტონომიური არსებობის მქონე ობიექტს — მისი შინაარსი განხორციელებულია: „სიტყვა ხორცად იქცა, თავისთან მოვიდა, დამკვიდრდა იმაში, ვინც ირწმუნა მისი სახელი, მისცა მას ღვთისშვილად გახდომის შეძლება, თავისი სისავსე მიაღებინა“ (იხ. ი. 14-16). ამიერიდან ლოცვის სიტყვები მართლაც „გადმოსცემენ“, ანუ გარეთ გამოაფრქვევენ ღმერთთან უშუალო კავშირის სინამდვილეს.

ამის განხორციელებისას ადამიანი უკვე მთლიანი არსებით ლოცულობს, მსგავსად წმ. ფრანცისკ ასიზელისა ან წმ. სერაფიმე საროველისა, რომლებიც ლოცვებს ასრულებდნენ კი არა, თვით იყვნენ ლოცვა. მთლიანი არსება გადაქცეულია ხელშესახებ საიდუმლოდ იმისა, რასაც სიტყვები ჩანასახოვან მდგომარეობაში შეიცავენ და გვპირდებიან. როცა ყვავილს ვხედავთ, მის ჩანასახზე აღარ ვფიქრობთ... გამოცდილებამ სიტყვათა ზედაპირი გაარღვია, ღვთაებრივი მყოფობა ავსებს ყველაფერს; ერთ მშვენიერ დღეს, მყოფობის ინტენსივობაში შეიძლება გაქრეს სიტყვებიც... ხორციელდება ეზეკიელის წინასწარმეტყველება: „მოგცემთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით; ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ შიგნით“ (ეზეკ. 36, 26).

ბიბლიურ ანთროპოლოგიაში, ისევე როგორც ისიქასტურ ტრადიციაში, გული და სული ერთსა და იმავე რეალობას წარმოადგენს. ზოგან უფრო გულს ხმარობდნენ, ან უფრო სულს, ზოგან კი ორივეს იმდენად განურჩევლად იყენებდნენ, რომ წარმოიშვა შედგენილი სიტყვა, სადაც ეს ორი ერთმანეთს შეედუღა — „გული-სული“. „უფალმა გამოსახა ადამიანის სული მისსავე წიაღში“, — ამბობს ზაქარია (12, 1).

გული-სული არის საწყისი, რომელიც აერთიანებს, ასხივოსნებს, ავსებს ურთიერთდაქვემდებარებულ, ურთიეთშერწყმულ სამშვინველსა და სხეულს. ჩვენს ადამიანურ ბუნებაში სული არის ის, რაც ყველაზე მეტად ჰგავს ღმერთს. როგორც წმ. იოანე ამბობს: „ღმერთი არის სული, ნათელი, სიყვარული“. ებრაულში ერთი და იგივე სიტყვა „რუაჰ” გამოიყენება ქარის, სუნთქვის, ადამიანის სულის, ანგელოზის, ღვთის სულის და სულიწმიდის აღსანიშნავად: ეს მოწმობს ჩვენი სულის ძალასა და მის მსგავსებას ღმერთთან.

წარმართის ტრაგედია — წარმართი კი თითოეულ ჩვენგანშია — სამშვინველისა და სულის ურთიერთაღრევაში მდგომარეობს... ეს არის ტრაგედია დასავლეთისა, საუკუნეების განმავლობაში რომ გრძელდება, ინსტიტუტებისა, რომელთა ფიქრის საგანი ადამიანია... ეს იწვევს რღვევას ცივილიზაციისა, კულტურისა, ხელოვნებისა...

უსულოდ კაცი სხეულ-სამშვინველის დუალობაში ექცევა, იმ ჩაკეტილ სივრცეში, სადაც იგი სამყაროს ცენტრად წარმოსდგება. გამორიცხულია რაიმე სიღრმისეული ერთობა; ადამიანი მტკივნეულად აწყდება აქეთ-იქით და ამ მდგომარეობიდან თავდაღწევას ცდილობს ან მატერიაზე გაბატონებით, რაც გამოხატავს სხეულის სწრაფვას უკვდავებისკენ, ან სამყაროს დაპყრობით: ასპირინითა თუ დამამშვიდებელი აბებით დაწყებული, ინტერპლანეტარული მოგზაურობებით დამთავრებული, რეინკარნაციისა და ცნობიერების გაფართოების ათასნაირი ფორმებისა და კიდევ სხვათა და სხვათა გამოვლით. მხოლოდ უბედური შეიძლება იყოს ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ სული აქვს. ასეთი ჩიხში ექცევა, უსაშველოა მისი პრობლემები, არ არსებობს რაიმე გამოსავალი მათგან თავდასაღწევად,

თვით სასიხარულო შემთხვევაც კი მისთვის არაფრის მთქმელია... ადამიანი არის გზა თავისი თავისკენ და ღმერთისკენ; თუ მან არ იცის საკუთარი რაობა, განღმრთობის საპირისპიროდ წყვდიადში ჩარჩება. ასეთი ცხოვრება არსაითკენ მიმავალი თავსატეხია, რომლის არც „რატომ" იცის ადამიანმა, არც „როგორ"...

ამიტომაც არის ბიბლია არა მხოლოდ ღმერთის, არამედ კაცის გამოცხადებაც. ეს ორი ერთმანეთისაგან განუყრელია! წინა საუკუნე ნიცშეს შემაჯამებელი სიტყვით დასრულდა: „ღმერთი მოკვდა!" ჩვენი საუკუნე კი დამთავრდება თანამიმდევრული, გარდაუვალი და ცდისეული კონსტატაციით: „კაცი მოკვდა!" დღეს თუ წყაროსთვალს მოვსპობთ, ხვალ წყარო დამყაყებულ წყლად გადაიქცევა, თუ საერთოდ კიდევ დარჩა წყლის ნატამალი!

სახარებამ კაცს საკუთარი რაობა გაუცხადა და ამით შესაძლებლობა უბოძა — ღმერთი თავის თავში განიცადოს აქ და ახლა! ამიტომ არის იგი „სასიხარულო ამბავი", სიხარულის გაბმული ძახილი პირველი სიტყვიდან ბოლო სიტყვამდე! სახარებისეული სიტყვა გულისულის გამოცხადებაა. ასე რომ, რწმენა არ არის ის, რასაც სამშვინველი დაიჯერებს, ანუ გარეგანი და აზრისმიერი აღიარება ჭეშმარიტებებისა, სავარაუდოდ რომ ასრულდება ჩემი სიკვდილის მერე; რწმენა ცოცხალი განცდაა იმისა, რაც ჩემში ჩემივე პიროვნული საიდუმლო, ჩემი სიცოცხლე, ჩემი მაცოცხლებელი წყაროა... რწმენის ქონა სულ უბრალოდ არის ცხოვრება, ცხოვრებით სავსე ცხოვრება. რწმენის უქონლობა კი ნიშნავს ადამიანის არსების გავერანებას საწუთროს მიერ.

განსაცვიფრებელია, როგორ მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან სამშვინველსა (ანიმა, ფსიქეა) და სულს (სპირიტ, პნეუმა) ქრისტე: „tristis est ***anima*** mea usque ad mortem" („სასიკვდილოდ დამწუხრებულა სული ჩემი" მათე 26. 38) და „Pater, in manus tuas commendo ***spiritum*** meum" („მამაო, შენს ხელთ ჩამიბარებია ჩემი სული", ლუკა 23, 46). (ლათინურად ვციტირებთ, რადგანაც ქართულ თარგმანში ეს განსხვავება არ ჩანს).

„სამშვინველი", ანუ ბერძნული „ფსიქე", გულისხმობს ფსიქიკას თავისი ყველა დიდი ინსტრუმენტით: აზროვნება, ნებელობა, გრძნობა, წარმოსახვა... სამშვინველი აცოცხლებს სხეულს, ცხოვრობს მასთან მჭიდრო კავშირში, გრძნობს, ხედავს, განიცდის, აზროვნებს.

დაცემისას დაირღვა ადამიანური არსების სიმრთელე და სამშვინველიც მრავალ ნაწილად დაიშალა; მას შემდეგ, იგი მუდმივად აფორიაქებულია, ცვალებადი, გარე ფაქტორებზე დამოკიდებული: დღეს კარგ გუნებაზეა, ხვალ ცუდზე, „ეს მომწონს, ეს არ მომწონს, ეს მიზიდავს ან ამას ვერ ვიტან"... სამშვინველს მუდმივად აბურთავებს სულიერი განწყობები, ტანჯავს ემოციები, ნადავლად იგდებს ნებისმიერი გარეშე მოვლენა; იგი ექვემდებარება და, მართლაცდა, ემონება გარეგან პირობებს, გარემოებებს, შეხვედრებს, პრობლემებს... რამდენადაც ჩვენ მხოლოდ სამშვინველში ვსახლობთ, ვართ „ადამიანი პრობლემებით". მაგრამ სამშვინველს სხეულიც ამუშავებს, იმდენად მჭიდროდ ერწყმის მას: კბილი ან კუჭი თუ ამტკივდა, ხასიათი მიფუჭდება, ღვიძლი თუ დამიავადდა, ეს მე მაანჩხლებს.

სამშვინველსა და სხეულს შორის არსებული ურთიერთობა რომ გამოეხატათ, წმიდა მამები ხშირად იშველიებდნენ შემოქმედისა და მისი ნაკეთობის სიმბოლურ ხატს, ჯერ კიდევ II საუკუნეში წმ. ირენეუსის მიერ მოხმობილს: სხეული სამშვინველის ნაკეთობაა, მის მიერ ყალიბდება და ცოცხლობს. სამშვინველი ზრდის და სტრუქტურას აძლევს სხეულს, ამბობს წმ. ირინეუსი. იგი ფლობს სხეულს და ბატონობს მასზე, ამდენად მისი მისიაა გაიყოლოს სხეული განსულიერება-განღმრთობის პროცესში. სამშვინველი მატერიისა და სულის გადაკვეთაზეა, ამიტომ იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს. როგორც გრიგოლ ნოსელი ამბობს, სულისკენ მიქცევის შემთხვევაში, სამშვინველი განსულიერებას განიცდის, ხორცისკენ მოტრიალებისას კი იგი მატერიალიზდება. ვნებებისგან გათავისუფლებული და სულიწმიდით განმსჭვალული სამშვინველი თვით ხდება სული, ამბობს წმ. მაკარი, იგი ნათლით იმოსება და ღმერთს ერწყმის. ამ აქტში სხეულიც განსულიერებასა და განმღრთობას განიცდის. ამაშია ლოცვის აზრი!

შეიძლება ჩვენი სამშვინველი მომაკვდინებელ ტანჯვებში ან სასტიკ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ განსაცდელებში იმყოფებოდეს, მაგრამ რა ჯოჯოხეთსაც უნდა გავდიოდეთ, მაინც შეიძლება შევიგრძნოთ უფრო ღრმა წერტილი — სიმშვიდის, მოსვენების და იმედის უმცირესი სივრცე, სიხარულის მოსიყვარულე წყარო. ზოგჯერ ეს შეიძლება იყო სიცოცხლის ერთი წვეთი ან უბრალო გაელვება. მაგრამ ეს მოვლენა ჩვენში მხოლოდ მაშინ მჟღავნდება, როცა ნამდვილად ბოლომდე მივიღებთ განსაცდელს. აქ არის „ვიწრო კარი", რომელზეც ქრისტე საუბრობს, ნათელი – ჩაფლული წყვდიადში. ეს არის გული-სული, მუდამ ჩვენთან მყოფი, თუმც ჩვენ ან სულ არ ვაკითხავთ მას, ან მხოლოდ იშვიათად თუ ვაკითხავთ! ასეა თუ ისე, სამშვინველსა და სულს შორის არსებულ განსხვავებას ცხადად ვიგებთ, როცა ჩვენში ქარიშხალსა თუ სხვა რამ წუხილთან ერთად თანაარსებობს უფრო ღრმა სიმშვიდე. სიმშვიდე, სიხარული, სიყვარული — აი, გული-სულის მახასიათებლები.

მამები ამბობენ, რომ ადამიანი მიკროკოსმოსია: იგი თავისთავში მოიცავს კოსმოსს, მის სტრუქტურასა და მის კანონებს. ამდენად, „რათა გავაცნობიეროთ თუ რა ურთიერთობაა სულს, სამშვინველსა და სხეულს შორის ადამიანის არსებაში, შეიძლება ისინი მზის, მთვარისა და დედამიწის ურთიერთობას შევადაროთ. მზე სულს ედარება, მთვარე — სამშვინველს, დედამიწა — სხეულს. გრავიტაციის ძალა, რომელიც დედამიწას მზის გარშემო ატრიალებს, მოქმედებს ასევე სულსა და სხეულს შორის. სამშვინველი ჩვენი სხეულის სატელიტია და შუქი მას მზიდან ანუ სულიდან მიეფინება" (ი. კოვალევსკი: „დასაბამიერი მისტერია"). როგორც მთვარე იღებს და განაფენს მზიურ შუქს, თუმც გარშემო უვლის დედამიწას, რომელსაც ებმის, ასევე სამშვინველი ნათელს სულისგან იღებს და გადასცემს სხეულს, რომლის ირგვლივაც მოძრაობს. დედამიწა კი მზის გარშემო ბრუნავს, მისგან დღის შუქს იღებს, მთვარისგან — ღამისეულ ნათელს; ამრიგად, სხეული უტრიალებს სულს, როგორც თავის დასაბამიერ შუაგულს, რომელიც აფრქვევს მასზე დღის – სავსე ცნობიერების ნათელს, და ღამის შუქს – ეს ქვეცნობიერების შიდა მანათობელი მხარეა. მზე ანუ სული არის სულიერი შუაგული, რომელიც ანათებს დედამიწას და მთვარეს, ანუ სხეულს და სამშვინველს (ი. გოტმანი, „მართლმადიდებლური მყოფობა" 1, 1985, გვ. 22).

და მაინც, რა არის ეს „გული-სული", რომელიც ჩვენმა ლოცვამ უნდა გამოაღვიძოს? სიტყვიერად შეიძლება მრავალგვარად მივუდგეთ მას, თუმცა მუდამ დაგვრჩება უკმარისობის განცდა: ეს არის ონტოლოგიური, სიღრმისეული განზომილება, ეს არის განზომილება ტრანსცენდენტობის, მიღმურის ჩვენივე არსების სიღრმეში, ეს ის არის, რაც სივრცისა და დროის მიღმა დგას, რაც განუპირობებელია, რაც ჩვენში არის ცნობიერება-ბარძიმი, კალთა; საბოლოოდ, ეს არის საიდუმლო, არა ის, „რისი შეცნობაც შეუძლებელია", არამედ პირიქით: ის, რის შეცნობასაც სასრული არა აქვს — მას მუდმივგანახლებული და გამოუთქმელი სახით განვიცდით, როგორც სიცოცხლეს...

როგორც ნაკადული წყაროსთვალიდან, ისე გამოდის სული ღვთისაგან, იგი ჭიპლარია, რომლითაც მუდმივად ვღებულობთ ჩვენს თავს. თუმცა ასეთი თქმა რეალობის მხოლოდ ერთ ასპექტს წარმოადგენს. შევცდებით, თუ წარმოვიდგენთ რაიმე დისტანციას, რომელსაც „წყარო" ან „ჭიპლარი" გულისხმობს. სული მთლიანად იმსჭვალება ღვთაებრივი მყოფობით; ამიტომაც არის, რომ პავლე მოციქულის კითხვისას ხშირად ძნელი დასადგენი ხდება, კაცის სულზე საუბრობს იგი თუ სულიწმიდაზე. ასეა მამებთანაც. თუმცა ეს ჩვენი თავიდან გამომდინარე ვიცით, ჩვენსავე არსებაში ადვილად ვერ გავარჩევთ ერთმანეთისაგან ჩვენი სულის მყოფობას და ღვთის სულის მყოფობას. სულს ერთიანად იპყრობს ღვთაებრივი ნათელი. შეცნობის სულისეული მოდალობა არ ჰგავს სამშვინველისას, რომელიც დედუქციის, აზროვნების, ანალიზისა თუ სინთეზის საშუალებით მოქმედებს. სული შეიცნობს პირდაპირი წვდომით, რაც წინ უსწრებს რაიმე ფორმულირებას; ეს არის შინაგან-ჭვრეტითი, აღფრთოვანებული მზერა.

სული ჭვრეტს, ჭვრეტით მოქმედებს, ამიტომ არის ნათელი მისი ერთ-ერთი თვისება: ჭვრეტისას ჰნათობს. რაკი სული მხოლოდ ღმერთით ცოცხლობს, მას, პირველ რიგში,

ღვთის ბრწყინვალება იზიდავს, მერე კი — მისი ანარეკლი, განდიდებული ქმნილების ბრწყინვალება; მას მშვენიერება ატყვევებს... მშვენიერება, თუ ის ნამდვილია, ხსნის გულ-სულთან პირდაპირ მისასვლელ გზას; სული გამოიტანს სიხარულს — მშვენიერების ნამდვილობის კრიტერიუმს; მაგრამ ეს სიხარული სამშვინველის წარმავალი, ესთეტური ტკბობით გამოწვეული ემოცია კი არა, ხანგრძლივი განცდაა, წარუშლელ კვალს რომ ტოვებს. მხოლოდ სულს შეუძლია ასეთი სიხარული გამოიღოს.

მშვენიერება ღვთის სახეა. 44-ე ფსალმუნი ქრისტეზე ამბობს: „შუენიერ სიკეთითა უფროის ძეთა კაცთასა". მაგრამ ქრისტე მამის ხატია, შეგვახსენებს პავლე მოციქული, ხოლო სულიწმიდა მისი გამობრწყინება. ჩვენი სულის ასეთი მგრძნობიარობა მშვენიერების მიმართ იმით არის განპირობებული, რომ თვით მასში სახლობს მშვენიერება, იგი მისი სუბსტანციაა, რომელსაც სული ყოველგან სცნობს. სულს ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით შეიპყრობს მშვენიერება: პეიზაჟი იქნება ეს, ხელოვნების ნიმუში თუ ვინმესთან შეხვედრა... ნელ-ნელა, რაც უფრო მეტად გაიხსნება სული, ეს მზერაც მით უფრო მკვიდრი (მუდმივი) გახდება და აღარ დაჰკარგავს ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ კვალს, მოფენილს ყოველ საგანში — ეს არის ღვთის „დიაფანია" (გამჭოლობა), რომელსაც მამები „საგანთა ნაღვერდალს" უწოდებენ. ჩვენში ამ მზერის გამოღვიძებას ემსახურება ხატის პედაგოგიკა. მაგრამ იესოს ლოცვას თუ დავადებთ არსებებსა და საგნებს, მთელი ქმნილება გადაიქცევა ვეებერთელა ტაძრად, სადაც ადამიანი „კოსმიურ წირვას" შეასრულებს. გულგახსნილი კაცი მთელი ქმნილების მღვდელმსახურია; იგი თავისი ლოცვით ხსნის სამყაროს და მას ევქარისტიულ პურად გარდაქმნის; ყველაფერში ღვთაებრივი მყოფობის საიდუმლოს ჭვრეტს და ისე მიუყვება თავისი ცხოვრების გზას „თითქოს უხილავს ხედავსო" (ებრ. 11, 27). ასეთი გამოცდილების მიღებისას, ლოცვა საკუთარი გულიდან საგანთა გულში იღვრება, ან პირუკუ — ადამიანს ყველაფრის გულში ჩამარხული მშვენიერების სახე მოეფინება, შეარყევს და გახსნის მას საკუთარი გულის მიმართ. ყველა შემთხვევაში, ღვთის არსება, რომლის სისავსესაც განიცდის ასეთ დროს ადამიანი, ამ უკანასკნელს საკუთარი ხატისკენ ჩააბრუნებს — ეს ხატი ადამიანის არსების სიღრმეში დამარხული გული-სულია.

მართლაც, სწორედ გული-სულია ერთარსება ღმერთის ხატად ქმნილი და სწორედ მისგან იღვრება ხატება სამშვინველსა და სხეულში. აქ არის ჩვენი სულის, ჩვენი გულის ნამდვილი თვითმყოფადობა. როცა ვუახლოვდებით, იგი ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲐ; უძირო ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ეცხადება მას, ვინც ცოტათი მაინც დააცხრობს სამშვინველისა და სხეულის ღელვას. მაგრამ ეს ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ამასთანავე წყაროა, რომელსაც ცხოვრება გამოაქვს, რომელიც ქმნის, გამოხატავს — ეს გული-სულის მეორე თვისებაა: იგი არის ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲕᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐ. ცხოვრებას კი განმაცხოველებელი ძალა აქვს, იგი არის ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ, ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, ᲛᲝᲑᲔᲠᲕᲐ — ეს მისი მესამე თვისებაა. გული-სული მართლაც ღვთაებრივი არქეტიპის ხატად არის ქმნილი: ხატად მამისა, რომელიც ცხოვრების წყაროა, ძე-სიტყვისა და სულიწმიდისა, რომელიც ენერგიაა და მობერვა. „ადამიანში არის *ნოუს-ი, ლოგოსი* და *პნეუმა*, — ამბობს გრიგოლ სინაიტელი, — მაგრამ *ნოუსი* არ არსებობს *სიტყვის* გარეშე და *სიტყვა ნოუს*-ის გარეშე, ერთი მეორეშია ყოველთვის და თითოეული თავისთვის. *ნოუს-ი* სიტყვით გამოიხატება და სიტყვა *პნეუმით* გამოვლინდება. ამგვარად, ადამიანი თავის თავში გამოუთქმელი და არქეტიპული სამების ანარეკლს ატარებს; ეს ანარეკლი აცხადებს მისი სულის ღვთის ხატად ქმნილობას. *ნოუსი* – მამა, *სიტყვა* — ძე, *პნეუმა* — სულიწმიდა, ეს ის არის, რასაც ღვთივგანათლებული მამები გვასწავლიან ერთარსება სამებაზე" (დობრ, ვ. 203).

ეს რეალობა შეიძლება კონკრეტულად გამოვცადოთ ჩვენშიც და ჩვენ გარეთაც. ყველაფერი, რასაც ვხედავთ, ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ არის გარემოცული. ᲛᲓᲣᲛᲐᲠᲔ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲐ კი ცხოვრების იდუმალ წყაროზე მეტყველებს, მისი არსებობის მიღმა რომ იგულება; ამასთან ერთად, ყველაფერი არის ᲤᲝᲠᲛᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ, დაბოლოს, ყველაფერი სავსეა ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲗ. ყველგან ყველაფერი არის სამებისეუ-

ლი მყოფობა... თუმცა ყველაზე ცოცხლად ეს მყოფობა სუნთქვაში განიცდება: არაფერია სუნთქვაზე უფრო ინტიმური ღმერთისთვის და კაცისთვის. ოსმოსი — ურთიერთშეღწევადობა — ყველაზე ძლიერად სუნთქვაში დასტურდება.

„ღმერთმა შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად" (დაბ. .2,7). ეს არის შემოქმედებითი აქტი par excellence, რომელსაც აღდგომილი ქრისტე გაიმეორებს ქმნილების განახლებისას: „შეუბერა და უთხრა: „მიიღეთ სულიწმიდა" (იოან. 20, 22). ამ ჟესტს ყოველი ნათლობისას გაიმეორებს მღვდელი; იგი შეუბერავს მონათლულს, ახლად შობილს ნამდვილი ცხოვრებისათვის.

სუნთქვა ცხოვრების მიმოქცევაა. სუნთქვით არამარტო იბადება ჩვენში სიცოცხლე, არამედ იგი მუდმივ მეტამორფოზას განიცდის. ამის გაცნობიერება ლოცვისას, როცა სუნთქვას სიტყვა უერთდება, სუნთქვის მანერას აქცევს იდუმალთან ცოცხალი შეხების არხად.

სიცოცხლის სუნთქვა, რომელსაც მუდმივად შთაგვბერავს ღმერთი, ჩვენი სულიც არის და მისი — მამა-ძე-სულიწმიდას ცხოვრებაც. ამდენად, ჩვენ არა ვართ მხოლოდ პასიური ტაძარნი სამებისეული მყოფობის; ღვთაებრივი სამება მუდმივად გვიდგამს სულს, გვაცოცხლებს; მას ვუპყრივართ არსებობაში. როგორც ამბობს 103-ე ფსალმუნი: „მოუღო სული მათი, და მოაკლდიან და მიწადვე თვისად მიიქციან. გამოავლინო სული შენი და დაჰბადნე იგინი...". ამრიგად, „ცხოვრება ქრისტეა", — ამბობს პავლე მოციქული, ანუ ტოტალური ქრისტე: მამის ხატი — სულიწმიდის გამობრწყინება. ცხოვრება არის სამივე ღვთაებრივ პირთან თანაზიარებაში ყოფნა; მათი მყოფობის გაცნობიერება სულის კარს გვიღებს და გარდაგვქმნის: ღვთის ხატი ჩვენში სულ უფრო და უფრო მსგავსი ხდება არქეტიპისა, ეს ჩვენი თანდათანობითი განღმრთობაა. ადამიანი მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილად ადამიანი, როცა იგი განიღმრთობა. ეს არის მასში პიროვნების დაბადება, განუსაზღვრელი საიდუმლო, სხეულ-სამშვინველ-სულს რომ აერთიანებს და ამგვარად გაერთიანებული რომ მიჰყავს ღვთისაკენ თავისი ზღვრულობის იქით.

ასეთი შერწყმისას ადამიანი იღებს თავის ნამდვილ სახეს, ქრისტეს „ნიღაბს" (ასეთია სიტყვა *persona*-ს ბერძნულ-ლათინური მნიშვნელობა) და მის ღვთაებრივ ნაკვთებს. ამ წარმოუდგენელ ზიარებაში მდგომარეობს საბოლოო აზრი იესოს ლოცვისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა პიროვნების ქმნის მუდმივ-მიმდინარე პროცესი. მხოლოდ ღმერთია ნამდვილად პიროვნება და ადამიანიც მხოლოდ ღვთაებრივი პიროვნებით ხდება პიროვნება. ზიარება-ოსმოსი, რომლის დროსაც ქრისტეს სახე გამოსჭვივის ადამიანისაში, მას არსებობასა და ფორმას ანიჭებს. განმღრთობის გარეშე ადამიანს სახე არა აქვს; ნამდვილი არსებობა ხომ მას მხოლოდ ღვთაებრივ სახესთან თანაზიარობით ეძლევა, იგი თანა-არსებობით მყოფობს; უამისოდ მისი სახე უფორმო ქაოსია, არ-ყოფნაა ან „პირუტყვის ნიღაბია" (გრიგოლ ნოსელი, ბერძნ. პატრო. 44, 192)

ასეთი ცნობიერება მუდმივ გაღრმავებას განიცდის; ამ ცნობიერების შეძლებისდაგვარად ხშირად მოძიება და მისი შეძლებისდაგვარად დიდხანს შენარჩუნება — აი, რაზე გადის სულიერი ცხოვრების გზა; სხვა გზა არ არსებობს. ცნობიერება-ნათელი თანდათანობით იპყრობს მთელ ადამიანურ ნაერთს, სამშვინველსა და სხეულს, და ღვთის სიწმინდით ასხივოსნებს სრულ კაცს. ხორციელდება ორმხრივი, ღვთაებრივ-ადამიანური ურთიერთობა, დიალოგისეული ალიანსი „მე"-სი „ღვთაებრივ შენ"-თან; ეს უწყვეტი შინაგანი დიალოგი თანდათანობით აღიბეჭდება გარეგან ურთიერთობებშიც არსებებსა თუ საგნებთან. ორი ადამიანის შეხვედრაში „დიდი მესამე" დაივანებს.

თუ „ღმერთი სიყვარულია", როგორც ამას წმ. იოანე აცხადებს (1. იოან. 4, 8), მაშინ კაციც სიყვარულია! „რათა ყველანი ერთი იყოს, როგორც შენ ჩემში, მამავ, მე კი შენში, რათა ისინიც იყვნენ ჩვენში... ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი. მე მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთში" (იოან. 17, 21-23). ეს არის ეკლესია და იგი, როგორც ასეთი, მაქსიმე აღმსარებლის თქმით, დედამიწაზე „ღვთის ხატს" წარმოადგენს. ასე განიცდიდნენ მას პირველი ქრისტიანები. მოციქულთა საქმეებში ნათქვამია, რომ ისინი

იყვნენ „ერთი გული და ერთი სული“ და მათ „ყველაფერი საერთო ჰქონდათ“. ღმერთთან მსგავსება მიდის საკუთარი თავის სრულ გაცემამდე, რაც ჯვარზე განხორციელდა; მართლაც, „იმაზე დიდი სიყვარული არ არსებობს, როცა ვინმე თავის სულს სწირავს თავისი მეგობრებისათვის“ (იოან. 15, 13). გაცემის ამგვარ აქტში ადამიანი თითქოს კვდება, საკუთარი თავისგან იცლება, ეწირება, მაგრამ, სინამდვილეში, იგი პოულობს თავის ნამდვილ მეობას, კარს უღებს სულს და ივსება მისით, აღმოაჩენს საკუთარ პიროვნულობას, უნიკალურს და თავისუფალს; იგი, ბოლოს და ბოლოს, შეიცნობს ადამიანის ნამდვილ საიდუმლოს....

ცოდვა, პირიქით, გულისხმობს ულოცველობას — ღვთისგან განდგომას ან ისე ცხოვრებას, თითქოს ის არც არსებობდეს; ასეთ დროს სული სრულ უთანხმოებაშია ღმერთთან, რომელიც მისი დასაბამია; აქედან მომდინარეობს ტერმინი „დასაბამიერი ცოდვა“; მასაზრდოებელ წყაროსთვალს მოწყვეტილი ადამიანის არსება ვეღარ იღებს საკვებს. მოულოდნელად ადამიანში ხდება სასტიკი გახლეჩვა, გამოწვეული მისი მკვეთრი თუ თანდათანობითი დაცემით: დამშეული სული სამშვინველს მიაწყდება, რომ მისით ისაზრდოოს; აბსოლუტურის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი პარაზიტად აჯდება სამშვინველს. აქ კი ნამდვილად კვდება ადამიანი. სასიკვდილოა თვით დასაბამიერი ცოდვა; იგი ჩემს მდგომარეობას გამოხატავს, მუდმივად ჩავდივარ ამ ცოდვას; დანარჩენი ცოდვები მხოლოდ ბუშტებია იმ წყლის ზედაპირზე ამოსული, რომლის სიღრმეებსაც აბინძურებს ჩემი გვამი... სამშვინველს, ისედაც რომ ვეღარაფრით კვებავს სული, მძიმე ტვირთად აწვება ამ უკანასკნელის უძირო შიმშილი; იგი საზრდოს საშოვნელად სხეულს მიადგება; ახლა უკვე სხეულია პარაზიტირებული. სამშვინველი ხორციელი სიამეებით ივსებს უკმარისობებს და ფიტავს სხეულს; ამ უკანასკნელს თავს ატყდება ავადმყოფობა და სიკვდილი: ასე იბადება „ხორციელი კაცი“. სხეულსა და სამშვინველს აჩანაგებს მათშივე ჩასახლებული უძირო და მწვავე წყურვილი სულისა; ღმერთით ტკბობის სანაცვლად ისინი სიამოვნებას გარეთ ეძებენ და მთლიანად ინუსხებიან გარესამყაროთი.

„გარეთ გამოგდებული“ ადამიანი, სოციოლოგების თქმით, „ექსტროდეტერმინირებულია“ და ამიერიდან სულისთვის სრულიად უცხო ცნობიერებით ცხოვრობს. იგი თვითმიზნურად სიამტკბილობს საგნებითა თუ მოვლენებით, თითქოს ამაში იყოს თვითკმარი მიზეზი; ამ ქმედებაში სამშვინველი კმაყოფილია საკუთარი თავისა და მთლიანად დაკავებულია საკუთარი სიამოვნებით. „იბერება“, წმ. ავგუსტინეს თქმით, არ არის ღმერთი, მაგრამ მის ადგილს საკუთარი თავით შეპყრობილი ადამიანი იკავებს, თაყვანისცემისკენ მისწრაფებას, ჩვენი არსების სიღრმიდან რომ დაიძვრის, ენაცვლება თვითთაყვანისცემა ადამიანისა ადამიანის მიერ და გააზრებული თუ გაუაზრებელი კერპთაყვანისმცემლობა, ანუ მონური დამოკიდებულება იმ ყველაფრის მიმართ, რაც ჩვენს გარშემოა. ადამიანი ისე ეკიდება ფარდობითს, როგორც აბსოლუტურს, და სასრულის მიმართ უსასრულო მიზიდულობას იჩენს. იგი ერთდროულად დამონებულიც არის და მანიპულირებულიც.

ადამიანი, რომელიც კარგავს არსებასთან ონტოლოგიურ კავშირს, სიღრმისეულ განზომილებას გული-სულისა, და ვეღარ კვებავს თავის თავში ერთადერთი სანატრელის ერთადერთ სურვილს, გადასროლილი აღმოჩნდება სხვა წყაროებისკენ, სხვა წილხვედრისკენ, აღმოჩნდება დუალობაში და იმ სურვილთა სიმრავლეში, რომელთაც ამიერიდან აბსოლუტურ მნიშვნელობას მიანიჭებს. აქ დასტურდება გაორებული „მე“, რაც ღვთის ხატის კარიკატურას წარმოადგენს, მამისმკვლელი პატივმოყვარეობა, ღმერთს რომ უკუაგდებს და ადამიანს ლუციფერის ორეულად გადააქცევს. ამგვარად გაბერილ ადამიანს მიიზიდავს თავბრუდამხვევი თავისუფლება და საბოლოოდ იგი თავის ნებაზე დაიწყებს ცხოვრებას. ასეთი სურვილი დამოუკიდებლობისა წარმოადგენს თავისუფალი ნების გაუკუღმართებას; ეს „ავტარქია (თვითმყოფობა) არის საწყისი და დედა ყველა ვნებისა“, — ამბობს თეოფანე დაყუდებული. იწყება ხრწნის პროცესი, რომელიც თანდათანობით დაშლის ადამიანის არსებას, ვიდრე საბოლოო სიტყვას არ იტყვის სიძულვილი და სიკვდილი. ვნებების დასასრულს არარაობაა, სულის ДУМІЛІС, ცხოვრების ЦЫАРОС ანუ МАМІС ადგილს იკავებს შიში ტან-

ჯვისა და სიკვდილისა; ამ შიშის კომპენსირება ხდება დროსტარებით და ყველა სახის სიამეებით; ნაცვლად ნათელისა, რომელიც ეფინება ცნობიერებას სიტყვის მიერ, მეფდება ცხოვრების აბსურდულობისა და ნონსენსის წყვდიადი, და ამის საკომპენსაციოდ ადამიანი ეძლევა დაუფლება-დასაკუთრებას; განმაცხოველებელი სულიწმიდის ნაცვლად, ყველას რომ სიყვარულს გადასცემს, ისადგურებს სიმარტოვის შემზარავი განცდა, რის კომპენსაციასაც წარმოადგენს სწრაფვა ძალაუფლებისა თუ ბატონობისკენ. სიკვდილის შიში, ცხოვრების აბსურდულობა და სიმარტოვე არის სამმაგად „აღუვსებელი საწყაული“ იმ კაცისა, რომლის სულსაც არ სტუმრობს სამწმიდა ღმერთი... ეს ფაქტი ადამიანს გადააქცევს მუდმივად დაუკმაყოფილებელ მოხეტიალედ, შეშლილად, რომელმაც აღარ იცის ვინ არის, ავადმყოფად, მხოლოდ სიმპტომებს რომ მკურნალობს, რაკი არ იცის, რაში მდგომარეობს მისი გაუბედურების მთავარი მიზეზი.

სამომხმარებლო საზოგადოება საუცხოოდ იყენებს ჩვენ სურვილთა ასეთ ატომიზაციას. მაგრამ, წლების შემდეგ, რომელთაც უშედეგოდ მოვანდომებთ ჩვენი მადის დაკმაყოფილებას, მაინც დაგვრჩება სიცარიელის განცდა, აუხსნელი სურვილი, რაღაც უცნობის ერთგვარი ნოსტალგია. როგორც კი სერიოზულად მოვეკიდებით ამ უკანასკნელს, დაიწყება ნამდვილი მომწიფება და რადიკალური შემობრუნება. რაკი ამ ნოსტალგიას ვერაფერი გარეგანი და ფიზიკური ვერ აკმაყოფილებს, მაშ, მეტაფიზიკური ყოფილა; იგი ძახილია მიღმურისა ჩვენივე თავის სიღრმიდან, არსების ძახილი, უკანასკნელი ნარჩენი ჩვენში ღვთის გამოცდილებისა, გაუთავებლად რომ გვიმეორებს: „სადა ხარ, ადამ?“

„აღუვსებელი საწყაული“, ასე კარგად რომ აქვს აღწერილი სტარეც სილუანს, სხვა არაფერია, თუ არა სულის გმინვა. სწორედ ამ „აღუვსებლობაში“ გაიდგამს ფესვს იესოს ლოცვა, ეგრეთწოდებული „მუშა“ ლოცვის — ასკეზის თანხლებით. სიღრმისეულ ძახილზე სმენის მიპყრობა ეს უკვე ლოცვის დასაწყისიცაა და მისი საფუძველიც: „ისმინე, ო ისრაელ“. ასე იწყება შემობრუნების გზა... და იესოს სახელი, როგორც გზისპირას მდგარი კეთილი სამარიტელი, თითო-თითოდ შეგვიხვევს უთანხმოებითა და დაშორებით გამოწვეულ იარებს...

აურობინდო გჰოშ

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური ფილოსოფოსი, აურობინდო გჰოშ (1872-1950), იყო აგრეთვე პოლიტიკური მოღვაწე, მისტიკოსი, სულიერი ლიდერი და პოეტი. ცხოვრების უკანასკნელი 23 წელი მან განმარტოებაში გაატარა. სწორედ ამ პერიოდში დახვეწა ის სულიერი პრაქტიკა, რომელსაც თვითონვე უწოდა ინტეგრალური იოგა.

შრი აურობინდოს ტრაქტატები ფილოსოფიაში, ეთიკასა თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს თხზულებებს მიეკუთვნება. თვით შრი აურობინდო ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ცოცხალი ბრძენია. მის იოგაში ხორციელდება ისეთი ტრანსფორმაციული პრაქტიკა, რომლის წიაღაც ხდება ადამიანის უდიდესი პოტენციების რეალიზება. თანამედროვეობის არცერთ ფილოსოფოსს თუ რელიგიურ მჭვრეტელს არ გაუკეთებია უფრო მეტი ჩვენი შესაძლებლობების გასახსნელად და აღმატებული შინაგანი სიცოცხლის გამოსავლენად.

მთარგმნელი

წიგნიდან: „კაცობრიობის ციკლი“

საზოგადოების ციკლი

თავისი ფიზიკური აღმოჩენების სიდიადით და მხოლოდ მატერიის არსებობის იდეით შეპყრობილი თანამედროვე მეცნიერება დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ფიზიკურ მონაცემებზე დაეფუძნებინა თვით *სულისა* და *გონების*, ისევე როგორც ადამიანსა და ცხოველში მოქმედი *ბუნების* კვლევა-ძიება, რაშიც ყველა სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიის ცოდნა. მეცნიერული ფსიქოლოგია დაეყრდნო როგორც ფიზიოლოგიას, ისე ტვინისა და ნერვული სისტემის საფუძვლიან შესწავლას. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ისტორიასა და სოციოლოგიაში ყურადღების ცენტრში მოექცა გარეგანი მონაცემები, კანონები, ინსტიტუტები, რიტუალები, კოსტიუმები, ეკონომიკური ფაქტორები და ეკონომიკური განვითარება, მაშინ როდესაც უყურადღებოდ დარჩა უფრო ღრმა ფსიქოლოგიური ელემენტები, ეგზომ მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებს ადამიანის — მენტალური, ემოციური, წარმოსახვით სავსე არსების — აქტივობებში. ამგვარი მეცნიერება ისტორიას და სოციალურ განვითარებას შეძლებისდაგვარად ხსნის *ეკონომიკური* აუცილებლობით თუ მოტივაციით, ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. არსებობენ ისეთი ისტორიკოსებიც, რომლებიც უარყოფენ ან თავიდან იცილებენ — როგორც მეტისმეტად მეორეხარისხოვანს — იდეის ქმედითობას და მოაზროვნის გავლენას ადამიანის ინსტიტუტების განვითარებაზე. მაგალითად, ფიქრობენ, რომ საფრანგეთის რევოლუცია ზუსტად ისევე და ზუსტად იმავე დროს მოხდებოდა იმ შემთხვევაშიც კი, რუსოს და ვოლტერს რომ არაფერი დაეწერათ და მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიურ მოძრაობასაც არ ეაზროვნა ესოდენ გაბედულად და რადიკალურად.

მაგრამ ბოლო ხანებში ეჭვქვეშ დადგა მატერიის საკმარისობა გონებისა და სულის ასახსნელად და დაიწყო ფიზიკურ მეცნიერებათა ჰეგემონიისგან განთავისუფლების მოძრაობა, თუმცა ამ უკანასკნელმა ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე მოუქნელი და ჩანასახოვანი ნაბიჯი თუ გადადგა. და მაინც, უკვე იწყება იმის გაგება, რომ სოციალურ-ისტორიული განვითარების ეკონომიკური მოტივებისა თუ მიზეზების მიღმა ღრმა ფსიქოლოგიური და თვით

სულიერი ფაქტორები მოქმედებს. ომამდელ გერმანიაში — როგორც რაციონალიზმის და მატერიალიზმის მეტროპოლიაში, ისე, ბოლო საუკუნენახევრის მანძილზე, ახალი აზრისა და კეთილ-ბოროტის თუ მარგებელ-მაწყინარის საწყისი ტენდენციების სამშობლოში — ჩაისახა და ორიგინალურად ჩამოყალიბდა ისტორიის პირველი ფსიქოლოგიური თეორია. ახალ სფეროში განხორციელებული პირველი მცდელობები იშვიათად თუა ბოლომდე წარმატებული. ჰოდა, ამ თეორიის შემქმნელმა გერმანელმა ისტორიკოსმაც ბრწყინვალე იდეა კი წამოაყენა, მაგრამ მას ვერც ძალიან შორს გაჰყვა და ვერც ძალზე ღრმად. მაინც მეტისმეტად ხშირად ეუფლებოდა ეკონომიკური ფაქტორის დიდი მნიშვნელობის განცდა და, ევროპული მეცნიერების არსებითი ნაწილის მსგავსად, მისი თეორიაც მოვლენებს გაცილებით უკეთ წარმოაჩენდა და ახარისხებდა, ვიდრე განმარტავდა. ამის მიუხედავად, მისმა ძირეულმა იდეამ აზრისაღმძვრელი და სხივოსანი ჭეშმარიტება გამოხატა. ნამდვილად ღირს, რომ თვალი მივაპყროთ ამ იდეის მიერ დასახულ ზოგიერთ პერსპექტივას, მეტადრე — აღმოსავლური აზრისა და გამოცდილების შუქზე.

ევროპის და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ისტორიაზე დაყრდნობით, თეორეტიკოსი ლამპრეხტ ფიქრობდა, რომ ადამიანთა საზოგადოება გადის გარკვეულ ფსიქოლოგიურ ეტაპებს, რომლებსაც მან, შესაბამისად, სიმბოლური, ტიპური და პირობითი, ინდივიდუალისტური და სუბიექტური ეტაპები უწოდა. ეს განვითარება ქმნის ერთგვარ ფსიქოლოგიურ ციკლს, რომელსაც უნდა მიჰყვეს ერი თუ ცივილიზაცია. მსგავსი კლასიფიკაციები აშკარად შეიძლება ცდომილებაში შეიყვანოს საკუთარმა სიხისტემ და ბუნებრივი ხვეულებისა თუ ზიგზაგების შეცვლამ სწორი მენტალური ხაზით. ადამიანისა და მის მიერ შექმნილ საზოგადოებათა ურთულესი ფსიქოლოგია მრავალმხრივი და ურთიერთშერეული ტენდენციებისგან შედგება და ესოდენ ხისტ და ფორმალურ ანალიზს ვერ დაექვემდებარება. ფსიქოლოგიური ციკლის ასეთი თეორია ვერც იმას გვიხსნის, თუ საკუთრივ რაში მდგომარეობს მისი ფაზების შინაგანი საზრისი, მათი თანმიმდევრობის აუცილებლობა, მათი ხანგრძლივობა და დასასრული. მაგრამ გონების ან ბუნების კანონების გაგებისათვის, აუცილებელია გავაანალიზოთ მათი დამზერადი ელემენტების, ძირითადი შემადგენელი ნაწილების, დომინანტური ძალების მუშაობა, თუმცა ეს ყოველივე, შესაძლოა, ვერსად მოვიძიოთ ცალცალკე და იზოლირებულად. გვერდს ავუვლი თვით ლამპრეხტის დამოკიდებულებას თავის იდეასთან. მის მიერ შემოთავაზებული სახელწოდებები — თუკი მათ შინაგან აზრსა და ღირებულებას განვჭვრეტთ — რამდენადმე მაინც გაანათებენ ჩვენი ისტორიული ევოლუციის სქლად შეფუთულ საიდუმლოს და ძიების წარმართვაც სწორედ ამ მიმართულებით იქნება ყველაზე უპრიანი.

სადაც არ უნდა მოვიხელთოთ ადამიანური საზოგადოება მის „პრიმიტიულ“ საწყისებში ან ადრეულ ეტაპებზე , — მნიშვნელობა არა აქვს, შედარებით კულტურულია ის თუ ველური, ეკონომიკურად განვითარებული თუ ჩამორჩენილი, — უეჭველად ვპოულობთ მკაცრად სიმბოლურ მენტალობას, რომელიც მართავს ან, სულ ცოტა, გამსჭვალავს მაინც მის აზროვნებას, წეს-ჩვეულებებსა და ინსტიტუტებს. სიმბოლურს, ანუ რის გამომხატველს? ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სოციალური საფეხური ყოველთვის რელიგიური და, ამ თავის რელიგიაში, აქტიურად წარმოსახვითია. სიმბოლიზმი და წარმოსახვისმიერი ან ინტუიციური რელიგიური გრძნობა ბუნებრივად ენათესავება ერთმანეთს და მუდამ გვერდიგვერდ დგას, განსაკუთრებით — ადრეულ თუ პრიმიტიულ საზოგადოებრივ ფორმაციებში. როდესაც ადამიანი უპირატესად ინტელექტუალური, სკეპტიკური, რაციონალურად მოაზროვნე ხდება, ამით ის ინდივიდუალისტური საზოგადოებისთვის ემზადება, სიმბოლოების ეპოქაცა და პირობითობების ეპოქაც მისთვის ან უკვე ჩავლილია ან ღირებულებას კარგავს. ასე რომ, სიმბოლო იმის განსახიერებაა, რის არსებობასაც ადამიანი თავისი თავის, თავისი ცხოვრებისა და აქტივობის მიღმა გრძნობს, ანუ — ღმერთების, ღვთაებრივის, უღრმესი და უვრცესი *უსახელოსი*, საგანთა ცოცხალი, დაფარული და იდუმალი ბუნების. მისი ყველა რელიგიური და სოციალური ინსტიტუტი, მისი ცხოვრების ყველა ფაზა თუ მომენტი

ის სიმბოლოებია, რომლებშიც ცდილობს გამოხატოს რაც იცის ან რასაც გუმანით ხვდება მისი ცხოვრების მიღმა მოქმედ მისტიკურ ნაკადებზე, რომლებიც აყალიბებენ, მართავენ ან, სხვა თუ არაფერი, დროდადრო მაინც იჭრებიან მის არსებობაში.

თუკი ინდური საზოგადოების დასაბამს გავხედავთ, გავხედავთ შორეულ ვედურ ეპოქას, რომელიც დღეს აღარ გვესმის, რაკი ის მენტალობა აღარ გვაქვს, დავინახავთ, რომ იქ ყველაფერი სიმბოლურია. მსხვერპლშეწირვის რელიგიური ინსტიტუტი წარმართავს მთელ საზოგადოებას, მის წუთებსა და წამებს. ბრაჰმანებისა და უპანიშადების ზედაპირული შესწავლაც კი გვიდასტურებს, რომ მსხვერპლშეწირვის რიტუალი ყოველ ნაოჭში და ყოველ დეტალში მისტიკურად სიმბოლურია. ის თეორია, რომლის მიხედვითაც მსხვერპლშეწირვა ხდებოდა ბუნების ღვთაებათა საამებლად, მათგან ამსოფლიური კეთილდღეობის მისაღებად, ბოლოს კი — სამოთხეში მოსახვედრად, არის გაუგებრობა უფრო გვიანდელი კაცობრიობის მხრიდან, კაცობრიობის, რომელიც უკვე ღრმად ჩაითრია ინტელექტუალურმა და პრაქტიკულმა აზროვნებამ, — პრაქტიკულმა თავის რელიგიაში, თვით თავის მისტიციზმსა და სიმბოლიზმში, — რის გამოც მან ვეღარ შეაღწია ძველ სულში. იმ ეპოქაში კი, არათუ მხოლოდ საკუთრივ რელიგიური თაყვანცემა, თვით საზოგადოებრივი ინსტიტუტებიც კი გამუდმებით იმსჭვალებოდა სიმბოლური სულით. აიღეთ *რიგვედას* ჰიმნი, რომელიც დღეს ქორწინების — ორი ადამიანის შეუღლების — ჰიმნად მიიჩნევა და რომელსაც მართლაც ამ დანიშნულებით აღავლენდნენ გვიანდელ ვედურ საუკუნეებში. არადა, ამ ჰიმნის მთელი აზრი *სურიას* — მზის ქალიშვილის — თანმიმდევრულ ქორწინებებშია სხვადასხვა ღმერთებთან. ხოლო ადამიანური ქორწინება სრულებით დაქვემდებარებული მოვლენაა, რომელსაც მთლიანად ფარავს და წარმართავს ღვთაებრივ-მისტიკური ფიგურა და რომელიც ამავე ფიგურის ტერმინებით მოიხსენიება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ძველი პოეზიის უფრო გვიანდელი ნიმუშებისგან განსხვავებით, ღვთაებრივი ქორწინება აქ ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ადამიანთა შეწყვილების აღსანიშნავ თუ დამამშვენებელ დეკორატიულ სახესა თუ პოეტურ სამკაულს. პირიქით: ადამიანი დაბლამდგომი არსებაა და მხოლოდ განასახიერებს ღვთაებრივს. სწორედ ეს განსხვავება წარმოაჩენს მთელ კონტრასტს უძველეს მენტალიტეტსა და საგნებზე ჩვენს თანამედროვე შეხედულებებს შორის. ეს სიმბოლიზმი დიდი ხნის განმავლობაში ზემოქმედებდა ქორწინებასთან დაკავშირებულ ინდურ წარმოდგენებზე და, პირობითი აზრით, არც ახლა მისცემია დავიწყებას, თუმცა ან ჩვენ აღარ გვესმის იგი ან თვითონ დაკარგა ქმედითობა.

გაკვრით ისიც შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კაცსა და ქალს შორის კავშირის ინდურ იდეალს იმთავითვე სიმბოლურად განასახიერებდა ურთიერთობა პურუშასა და პრაკრიტს (ვედებში *ნრისა* და *გნას*) — სამყაროში მოქმედ მამრსა და მდედრ ღვთაებრივ პრინციპებს შორის. გარკვეულწილად, პრაქტიკული თანაფარდობაც კი არსებობს მდედრობით სქესსა და ამ იდეას შორის. ძველვედურ პერიოდში, როცა სიმბოლურ კულტში მდედრული პრინციპი მამრულის თანასწორი იყო, — ამ უკანასკნელის გარკვეული უპირატესობის გათვალისწინებით, — ქალი თანაბრად იყო მამაკაცის მეგობარიცა და დამატებაც. მოგვიანებით, როდესაც პრაკრიტი იდეურად პურუშას ექვემდებარება, ქალიც მთლიანად დამოკიდებული ხდება მამაკაცზე, მხოლოდ მისთვის არსებობს და, ასე გასინჯეთ, დამოუკიდებელი სულიერი არსებობაც კი აღარ გააჩნია. ტანტრულ შაკტას რელიგიაში, სადაც ქალური პრინციპი უმაღლეს საფეხურზე დგას, არსებობს მცდელობა, რომელსაც საზოგადოებრივ პრაქტიკაში განხორციელება არ უწერია (თუნდაც ტანტრული კულტი ვერასოდეს განთავისუფლდეს ბოლომდე ვედანტური იდეის მორჩილებისგან): ქალის გადაქცევა ღრმა მოწიწების და თვით თაყვანისცემის საგნად.

ან — რაკი ეს მაგალითი საუკეთესოდ წაგვადგება — ავიღოთ ოთხნაწილიანი ვედური ინსტიტუტი *კატურვარნა*, უმართებულოდ წოდებული ოთხი კასტის სისტემად (რადგან კასტა პირობითი ინსტიტუტია, *ვარნა* — სიმბოლური და ტიპური). ჩვენ გვითხრეს, რომ საზოგადოების ოთხნაწილიანი ინსტიტუტი ჩამოაყალიბა პოლიტიკური მიზეზებით გარ-

თულებულმა ეკონომიკურმა ევოლუციამ. დიდად შესაძლებელია*, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვედების ეპოქის ადამიანები ამ საკითხს ასე არ უყურებდნენ და ვერც შეხედავდნენ. თუ ჩვენ ვკმაყოფილდებით სოციალური მოვლენის პრაქტიკულ-მატერიალური ახსნით და უფრო შორს აღარ ვიყურებით, ისინი მატერიალურ ფაქტორებს დიდად არ დაგიდევდნენ ან მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს ანიჭებდნენ და, უწინარეს ყოვლისა, ამ მოვლენის სიმბოლურ, რელიგიურ თუ ფსიქოლოგიურ საზრისს ეძებდნენ. ეს ჩანს ვედების *პურუშასუკტაში*, სადაც საზოგადოების ოთხი კლასი ისეა აღწერილი, როგორც შესაქმის პროცესში მყოფი ღვთაების სხეულიდან — მისი თავიდან, მკლავებიდან, ბარძაყებიდან და ფეხებიდან — გამოსული რამ. ჩვენთვის ეს მხოლოდ პოეტური სახეა, რომლის საზრისი ის არის, რომ ბრაჰმანები იყვნენ ცოდნის ადამიანები, კშატრიები — ძალაუფლების, ვაიშიები — მეწარმეები და საზოგადოების მომმარაგებლები, შუდრები კი — მოსამსახურეები. თითქოს ამით ყველაფერი ითქვა, თითქოს იმდროინდელი ადამიანები ღრმა მოწიწებას განიცდიდნენ უბრალო პოეტური სახეების მიმართ, ბრაჰმას სხეული იქნებოდა ეს თუ სურიას ქორწინებები, და მხოლოდ მათზე აგებდნენ რიტუალურ-საკრალური ცერემონიის დახვეწილ სისტემებს, გამძლე ინსტიტუტებს, დიდ სოციალურ დემარკაციებს და ეთიკურ დისციპლინას! შორეული წინაპრების აზროვნებაში ჩვენ მუდამ ჩვენსავე მენტალობას ვკითხულობთ და ამიტომაც ვერაფერს ვპოულობთ იქ, წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული ბარბაროსების გარდა. ჩვენთვის პოეზია ინტელექტისა და ფანტაზიის განავარდებაა, წარმოსახვა — თავშესაქცევი სათამაშო, გონების ფიცარნაგზე ჩვენს გასართობად აცეკვებული გოგონა. მაგრამ ძველებისთვის პოეტი დაფარულ ჭეშმარიტებათა გამომთქმელი ქურუმი იყო, წარმოსახვა კი — არა მოცეკვავე კურტიზანი, არამედ ღვთის სახლში საკრალური წესის აღმსრულებელი ქურუმი ქალი, რომელსაც ფიქციები კი არ უნდა ექსოვა, არამედ რთული და დაფარული რეალობა გაეცხადებინა. ვედური მეტაფორაც კი სერიოზულ მიზანს ემსახურება: გადმოსცეს სინამდვილე და არა აზრის საამური გამონაგონი. ამ ქურუმებისთვის *სახე* დაფარულის გამოსამჟღავნებელ სიმბოლოს წარმოადგენდა და მას სწორედ იმიტომ მიმართავდნენ, რომ ნათლად მიეინიშნებინათ გონებისათვის ის, რასაც მხოლოდ ლოგიკურ-პრაქტიკული აზრის ან ფიზიკურ-ზედაპირულის გამოსათქმელად ვარგისი ინტელექტუალური სიტყვა ვერანაირად ვერ გამოთქვამდა. რაკი ღვთაებრივ რეალობას გამოხატავდა, *შემოქმედის სხეულის* ეს სიმბოლო მათთვის სახეზე უფრო მეტი რამ იყო. ადამიანთა საზოგადოებაც მათთვის კოსმიური პურუშას გამოვლენის მცდელობას წარმოადგენდა, პურუშასი, რომელიც თავის თავს სხვანაირადაც ანუ მატერიალურ და სუპრაფიზიკურ სამყაროშიც გამოხატავდა. ადამიანიცა და კოსმოსიც ერთი და იმავე დაფარული რეალობის სიმბოლოები და გამოხატულებაა.

ამ სიმბოლური მიმართებიდან წამოვიდა ტენდენცია, რომ ყოველივე საზოგადოებრივს საკრალური და რელიგიური საიდუმლოს სახე მიეღო, თუმცა კი დიდი თავისუფლებით ყველა მისეულ ფორმაში, ისეთი თავისუფლებით, რომელსაც „ველურ“ საზოგადოებათა ხისტ წყობაში ვეღარ ვპოულობთ, რადგან ისინი სიმბოლურიდან უკვე პირობით ეტაპზე არიან გადასულები, თანაც — დაღმავალი და არა აღმავალი ხაზით. ყველაფერს სულიერი იდეა მართავს; მის მსახურებაში არსებული სიმბოლურ-რელიგიური ფორმები პრინციპად არის ფიქსირებული; სოციალური ფორმები არამდგრადი, თავისუფალი და უსასრულო განვითარების პოტენციის მქონეა. თუმცა ერთი რამ — ფსიქოლოგიური ტიპი — მტკიცე განსაზღვრულობისკენ ისწრაფვის. ამრიგად, თავდაპირველად გვაქვს საზოგადოების ოთხი ფენის სიმბოლური იდეა, რომელიც — თუ გამოვიყენებთ აბსტრაქტულ-ფიგურულ ენას, რომელსაც ვედების ხანის მოაზროვნენი არ მიმართავდნენ და, ალბათ, ვერც გაიგებდნენ, მაგრამ რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ჩვენს ამჟამინდელ გაგებას — გამოხატ-

* ეს, სხვა თუ არაფერი, ეჭვს იწვევს. ბრაჰმანების კლასი თავდაპირველად ყველანაირ ფუნქციას ასრულებდა და მხოლოდ სასულიეროთი არ იზღუდებოდა.

ავს ღვთაებრივს, როგორც ცოდნას ადამიანში, ღვთაებრივს როგორც ძალმოსილებას, ღვთაებრივს როგორც პროდუქციას, სიამოვნებას და ორმხრივობას, ღვთაებრივს როგორც მსახურებას, მორჩილებასა და შრომას. ეს დაყოფა ოთხ კოსმიურ პრინციპს პასუხობს: სიბრძნეს, რომელიც ქმნის საგანთა წესსა და წესრიგს; ძალას, რომელიც მას ადასტურებს, ზურგს უმაგრებს და აძლიერებს; ჰარმონიას, რომელიც მის ცალკეულ ნაწილებს ერთმანეთს უთანხმებს; შრომას, რომელიც ამ ყველაფერს ახორციელებს. გარდა ამისა, ეს იდეა საფუძვლად დაედო მტკიცე, თუმცა არა ხისტ სოციალურ წესრიგს, რომელიც ეყრდნობა, პირველ რიგში, ტემპერამენტსა და ფსიქიკურ ტიპს (*გუნა*) და მის შესატყვის ეთიკურ დისციპლინას, მეორე რიგში კი — სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციას. თუმცა ფუნქცია არ იყო პირველდაწყებითი ან ერთადერთი ფაქტორი, არამედ განისაზღვრა მისივე შესატყვისობით მოცემულ ტიპთან და მისი გამოსადეგობით მოცემული დისციპლინისთვის. ამ ევოლუციის პირველი, სიმბოლური ეტაპი უპირატესად რელიგიურ-სულიერია. რაც შეეხება სხვა ელემენტებს — ფსიქოლოგიურს, ეთიკურს, ეკონომიკურს, ფიზიკურს — ისინი მხოლოდ ცენტრალურ იდეას ექვემდებარება. მეორე ეტაპი, რომელსაც ჩვენ ტიპურს ვუწოდებდით, უპირატესად ფსიქოლოგიური და ეთიკურია; ყოველივე დანარჩენი — თვით სულიერი და რელიგიურიც კი — ფსიქოლოგიურ იდეას და მის გამომხატველ ეთიკურ იდეალს ემსახურება. ამ დროს რელიგია მისტიკურ დადასტურებად ევლინება ეთიკურ მოტივსა და დისციპლინას, *დჰარმას*. ამაშია რელიგიის ძირითადი სოციალური გამოყენება, ყოველივე დანარჩენში ის უფრო და უფრო არაამქვეყნიური ხდება. ადამიანში ღვთაებრივი არსების ან კოსმიური პრინციპის გამოხატვის იდეა უწინდებურად აღარ დომინირებს ან უკანა პლანზე ინაცვლებს და, საბოლოოდ, ჯერ პრაქტიკიდან, შემდეგ კი თვით სიცოცხლის თეორიიდანაც ქრება.

ტიპური ეტაპი ქმნის დიდ სოციალურ იდეალებს, რომლებიც ადამიანის გონებაში მაშინაც კი რჩება, როდესაც თვით ეტაპი უკვე ჩავლილია. მთავარი, რასაც ეს უკანასკნელი ტოვებს თავისი სიკვდილის შემდეგ, არის საზოგადოებრივი პატივ-ღირსების იდეა. იგულისხმება ღირსება ბრაჰმანისა, რომელიც წმინდად და ღვთისმოსავად ცხოვრობს, მოწიწებით ეპყრობა სულიერ და გონებრივ ღირებულებებს, უანგაროდ ესწრაფვის ცოდნას და სიბრძნეს; ღირსება კშატრიასი, რომლის არსებობა მამაცური, რაინდული, ძალმოსილი, ამაყად თავშეკავებულ-გაკონტროლებული და ზნეკეთილია, ამ კეთილშობილებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულებითურთ; ღირსება ვაიშიასი, რომლის საქმიანობაშიც მჟღავნდება დანაწილების კეთილსინდისიერება, ვაჭრული ერთგულება, ხარისხიანი პროდუქცია, წესრიგი, ლიბერალობა და ფილანტროპია; ღირსება შუდრასი, რომელიც სხვებს ექვემდებარება, ერთგულად და უანგაროდ ემსახურება... მაგრამ ეს ყველაფერი თანდათანობით კარგავს ნათელ ფსიქოლოგიურ იდეაში გადგმულ ცოცხალ ფესვს და ბუნებრივად კი აღარ მოჩქეფს ადამიანის შინაგანი ცხოვრებიდან, არამედ პირობითობად იქცევა, თუმცა კი — ყველაზე კეთილშობილ პირობითობად. დაბოლოს, ცოცხალ სინამდვილეს აზრში და ბაგეზე დარჩენილი ტრადიცია ცვლის.

ტიპური ეტაპი ბუნებრივად გადაიზრდება პირობით ეტაპში. ასეთი საზოგადოება მაშინ იბადება, როცა სულის ან იდეალის გარეგნული თანადგომა თუ გამოხატვა თვით იდეალზე უფრო არსებითი ხდება; როცა ადამიანის სხეული ან თვით სამოსიც კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთრივ ადამიანი. ასე მაგალითად, კასტის ევოლუციაში, ოთხნაწილიანი ეთიკური წესრიგის გარე საყრდენთაგან — დაბადება, ეკონომიკური ფუნქცია, რელიგიური რიტუალი და მსახურება, ოჯახის ადათი — თითოეულის პროპორციები უზომოდ გაიზარდა. თავდაპირველად, საზოგადოებრივი წყობისთვის, დაბადება არ ატარებდა პირველხარისხოვან მნიშვნელობას. მაგრამ შემდგომში, როცა ტიპური სტადია, როგორც ასეთი, დაფიქსირდა, აუცილებელი შეიქნა მისი შენარჩუნება განათლებითა და ტრადიციით, რის შემდეგაც ერთიცა და მეორეც ბუნებრივად გადავიდა მემკვიდრეობით რუტინაში. ასე მაგალითად, ბრაჰმანის ვაჟიშვილს უკვე ისე უყურებდნენ, როგორც ბრაჰმანს; დაბადება და

პროფესია მემკვიდრეობითი შეთანხმების ორმაგ ხუნდს წარმოადგენდა იმ დროს, როდესაც ეს შეთანხმება ყველაზე უფრო მდგრადი და თავისივე ხასიათის ერთგული იყო. დამყარდა მკაცრი წესრიგი და, თავისი მნიშვნელობით, ეთიკური ტიპის შენარჩუნების მომენტმაც პირველი საფეხურიდან უკვე მეორე ან სულაც მესამე საფეხურზე ჩამოინაცვლა. ოდესღაც მთელი სისტემის საფუძველი, ამჯერად ის აღარ იყო აუცილებელი გვირგვინი თუ „მწვერვალ-სამშვენისი“, — ამას მოითხოვდა მოაზროვნე ან იდეალური კოდექსის შემქმნელი, ოღონდ არა თვით საზოგადოება და მისი პრაქტიკული ცხოვრება. და რაკი აუცილებელი აღარ იყო, ის მხოლოდ ორნამენტულ ფიქციად იქცა. საბოლოოდ, დაშლა დაიწყო თვით ეკონომიკურმა ბაზისმაც: დაბადება, ოჯახის ადათი და ნარჩენები, დეფორმაციები, აზრსმოკლებული თუ ფანტაზიისმიერი რელიგიური ნიშნისა და რიტუალის ახალი გამონაზარდები, ძველი ღრმა სიმბოლიზმის საფრთხობელა და კარიკატურა, — აი, რა იქცა კასტური სისტემის შემკვრელად ძველი საზოგადოების რკინის ეპოქაში. ეკონომიკურად წარმატებულ პერიოდში მღვდელი და პანდიტი ბრაჰმანის სახელქვეშ ინიღბებიან, არისტოკრატი და ფეოდალი — კშატრიას სახელქვეშ, ვაჭარი და ფულისმშოვნელი — ვაიშავას სახელქვეშ, ნახევრადმშიერი მუშა და ეკონომიკური მონა — შუდრას სახელქვეშ. როდესაც ეკონომიკური ბაზისი იშლება, მაშინ ძველი სისტემის ბინძური და სნეული დაუძლურებაც იწყება. მისგან დარჩენილია მხოლოდ სახელი, ნიჟარა, სუროგატი, რომელიც ან საზოგადოების ინდივიდუალისტური პერიოდის ტიგელში უნდა გადადნეს ან საბედისწერო უძლურებითა და სიყალბით აღიბეჭდოს მასზე მიტმასნილ ცხოვრების სისტემაზე. ასეთია, ფაქტობრივად, კასტური სისტემის გუშინდელ-დღევანდელი მდგომარეობა ინდოეთში.

კონვენციური ეპოქის ტენდენციაა დააფიქსიროს, მკვიდრად გაანაწილოს, გააფორმოს, ააგოს წოდებებისა და იერარქიების სისტემა, სტერეოტიპული რელიგია; განათლებას და წრთვნას ტრადიციული და უცვლელი ფორმა მიანიჭოს; აზრი ეჭვმიუტანელ ავტორიტეტებს დაუქვემდებაროს; სასრულობის იარლიყი მიაკრას იმას, რასაც თვითონვე მიიჩნევს ადამიანის დასრულებულ ცხოვრებად. საზოგადოების კონვენციურ ეპოქას თავისი ოქროს პერიოდი მაშინ უდგას, როდესაც მისივე შთამაგონებელი სული და აზრი დასაზღვრულია, თუმცა — ჯერ კიდევ ცოცხალი, ანუ ეს სული და აზრი ჯერ კედელში არ დაუტანებია, არ გაუშეშებია და არ ჩაუკლავს მათი საპყრობილეში ჩამსმელი სტრუქტურის მზარდ სიმკვრივეს. მომდევნო თაობების დაშორებულ მზერაში ოქროს ეპოქა ხშირად ძალზე ლამაზი და მიმზიდველია თავისი სიმეტრიით, მოწესრიგებულობით, დახვეწილი სოციალური სტრუქტურით, მისი ნაწილების განსაცვიფრებელი შეწონილობით კეთილშობილ მთელთან. იყო დრო, როცა თანამედროვე ლიტერატორი, არტისტი ან მოაზროვნე აღფრთოვანებით ან ლტოლვის მსგავსი განცდით გაჰყურებდა შუა საუკუნეების ევროპას. არადა, მაშინდელი პოეზიის, კეთილშობილების, სულიერების შორიდან მჭვრეტელს ავიწყდებოდა იმ პირქუშ საუკუნეთა სიგიჟე, უვიცობა, უკეთურობა, სისასტიკე, დამთრგუნველობა, იმ მშვიდი ზედაპირის ქვეშ მოთუხთუხე ტანჯვა და ამბოხი, ბრწყინვალე ფასადს მოფარებული სიღატაკე და პარტახი. ასე გაჰყურებს ინდოელი ორთოდოქს-იდეალისტი თავისი წინაპრების სრულყოფილად რეგულირებულ, შასტრების ბრძნულ უღელში მორჩილად თავშეყოფილ საზოგადოებას, და ეს მისი ოქროს ხანაა — უფრო კეთილშობილი, ვიდრე ანალოგიური ხანა ევროპაში, რომლის ოქრო, უმეტესწილად, კარგად გაპრიალებული და ზემოდან თხლად მოოქროვილი სპილენძი იყო, ანუ მაინც ნარევი ლითონი და არა ჭეშმარიტი *სატია იუგა*. საზოგადოების ამ კონვენციურ პერიოდებში ნამდვილად ბევრი რამეა მშვენიერი, გამძლე და ადამიანის წინსვლისთვის გამოსადეგი. მაგრამ ეს პერიოდები მაინც სპილენძის ხანას ეკუთვნის, არა ჭეშმარიტად ოქროსას. ესაა საუკუნეები, როცა *ჭეშმარიტება*, რომელსაც ვესწრაფვით, მიღწეული და რეალიზებული არ არის№№*, მაგრამ მისი სიმცირე კომპენსირდება ან მისი სრული სახე იმიტირდება არტისტული ფორმით, ხოლო ის, რაც დიდი რეალო-

* ოქროს ხანის ინდური სახელებია *სატია*, ჭეშმარიტების ეპოქა, და *კრიტა*, ეპოქა, რომელშიც ჭეშმარიტების კანონი აღსრულებულია.

ბიდან დაგვრჩენია, უკვე ქვავდება და კანონის, წესრიგისა და პირობითობის მძიმე მასაში ჩასაკარგადაა განწირული.

დიახ, ფორმა მუდმივად წინ გამოდის, სული კი უკუიქცევა და მცირდება. ცდილობს დაბრუნდეს, აღორძინდეს, როგორმე გადარჩეს და თვით ფორმაც კი იხსნას. მაგრამ დროის ტენდენცია მეტისმეტად ძლიერია. ეს თვალსაჩინოდ ჩანს რელიგიის ისტორიაში. წმინდანების და რელიგიური რეფორმატორების ძალისხმევა, რა ძალუმი და სასიცოცხლოც უნდა იყოს მათი ამოსავალი იმპულსი, თავის საბოლოო შედეგებში უფრო და უფრო გაფანტული, ხანმოკლე და ზედაპირულია. ჩვენ ვხედავთ ამ უკუსვლას ინდოეთის მზარდი სიბნელისა და უძლურების მიღმა უკანასკნელ ათასწლეულში. უძლიერეს სულიერ პიროვნებათა მუდმივმა ძალისხმევამ ადამიანთა სული დაღუპვას გადაარჩინა, მაგრამ ვერ შეძლო აეღორძინებინა ძველი თავისუფალი ძალა და ჭეშმარიტება ან მეთოდურად გამოეცოცხლებინა პირობითობაში და სტაგნაციაში მყოფი საზოგადოება. ერთი-ორი თაობის შემდეგ ამ კონვენციონალიზმის რკინის ხელი ნიადაგ ახალ მოძრაობას და მის დამფუძნებელთა სახელების ანექსირებას იწყებდა. ევროპაში ეს თვალნათლივ ჩანს ეკლეზიასტიზმისა და კათოლიკური მონასტრული ცხოვრების განმეორებულ მორალურ ტრაგედიაში. ამას მოჰყვება პერიოდი, როდესაც პირობითობასა და ჭეშმარიტებას შორის არსებული უფსკრული ყოვლად აუტანელი ხდება და ინტელექტუალურად ძალმოსილი, „ფორმულების მყლაპავი“ ადამიანებიც აღდგებიან, დიდი ძალისხმევით, მძვინვარედ ან გონების მშვიდი სინათლით უკუაგდებენ სიმბოლოს, ტიპსა და პირობითობას, ეხეთქებიან ციხის კედლებს და უკიდურესი ინდივიდუალური ძალვით ეძებენ საზოგადოების მიერ დაკარგულ ან მის შეთეთრებულ საფლავებში ჩამარხულ ჭეშმარიტებას. აი, ასეთ დროს იქმნება რელიგიის, აზრისა თუ საზოგადოების ინდივიდუალისტური ეპოქა. ასე დაიწყო პროტესტანტული ეპოქა, განსჯის ეპოქა, ამბოხის, პროგრესის, თავისუფლების ეპოქა. თუმცა ეს მხოლოდ ნაწილობრივი და გარეგანი თავისუფლება იყო, მაინც ცდომილებაში შეყვანილი კონვენციური ეპოქის მიერ, რომელიც წინ უსწრებდა მას იმ იდეაში, თითქოსდა ჭეშმარიტების პოვნა შესაძლებელია სადმე *გარეთ.* ეს თავისუფლება, რომელიც ამაოდ ოცნებობდა, რომ სრულქმნილება ტექნოლოგიის მეშვეობით მიიღწეოდა, მაინც აუცილებელი გადასასვლელი აღმოჩნდა კაცობრიობის სუბიექტური პერიოდისკენ, რომლის გავლისას ადამიანი უნდა მოუბრუნდეს საკუთარ თავს, ამოატივტივოს თავისი სიღრმისეული არსი და გაიყვანოს იგი ცივილიზაციის ახალ აღმავალ ხაზზე თუ ახალ სპირალურ ციკლზე.

ცივილიზაცია და კულტურა

ბუნება იწყება მატერიიდან, მისგან აღმოაცენებს თავის დაფარულ სიცოცხლეს, გამოათავისუფლებს გონების ნედლ მასალას და, როდესაც საამისოდ მზად არის, გონებას საკუთარი თავის, სიცოცხლისა და მატერიისკენ მიაქცევს, მიაქცევს დიადი მენტალური ძალისხმევით — შეიცნოს ეს სამი ფენომენი, მათი თვალსაჩინო ქმედება, მათი ფარული კანონები, მათი ნორმალური და ანორმალური ძალები თუ შესაძლებლობები, რათა, საბოლოოდ, თითოეული მათგანი თავის უმდიდრეს ფორმებში გამოვლინდეს, საუკეთესოდ და ჰარმონიულად გაიხარჯოს, ამაღლდეს და გაფართოვდეს თავის უმაღლეს-უვრცეს პოტენციურ მიზნებამდე იმ *მოაზროვნე ნების* მოქმედებით, რომელსაც მიწიერ არსებათაგან მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ფლობს. მხოლოდ ამ მეოთხე სტადიაში თუ იმოსება ბუნება ადამიანურობით. უსულო მატერია ატომებისა და ელემენტებისგან შედგება, მცენარე ცოცხალ არსებად ყალიბდება, ცხოველში მზადდება და მექანიკური ორგანიზების გარკვეულ სახემდე მიდის გონების ნედლი მასალა, მაგრამ უკანასკნელი სამუშაო, ყოველივე ამის ცოდნა და კონტროლი, ისევე როგორც თვითშემეცნება და თვითკონტროლი მხოლოდ *ადამიანს* — ბუნების გონმორჭმულ ქმნილებას შემოუნახეს. რათა ადამიანმა უკეთ შეასრულოს მისთ-

ვის დაკისრებული საქმე, ბუნება აიძულებს განმეორებით — ფიზიკურად და, გარკვეულწილად, გონებრივადაც — გაიაროს ცხოველური ევოლუციის სტადიები. თვით მაშინაც კი, როცა ადამიანი უკვე შემდგარია როგორც გონიერი არსება, ბუნება გამუდმებით უბიძგებს არა მხოლოდ ინტერესით შეჩერდეს ამ სტადიებზე, არამედ რამდენადმე დაინთქას კიდეც მატერიაში და სიცოცხლეში, საკუთარ სხეულში და ვიტალურ არსებობაში. ეს აუცილებელია ადამიანში ჩადებული დიადი ბუნებისეული მიზნის ხორცშესასხმელად. ადამიანის პირველი დანთქმა სხეულსა და ვიტალურ სიცოცხლეში ვიწროა და არაგონისმიერი. რამდენადაც უფრო იზრდება მისი გონიერება და აზროვნების ძალა, მით უფრო თავისუფლდება და მაღლდება კიდეც, მაგრამ, საკუთარი საჭიროებითა და სურვილით, მაინც მიბმულია თავის ვიტალურ და მატერიალურ ფესვებზე, რომლებსაც მუდმივად უნდა დაუბრუნდეს გაზრდილი ცნობისწადილით, გაძლიერებული მომხმარებლობით, უფრო და უფრო მაღალგონიერი, ბოლოს კი — სულ უფრო მეტად განსულიერებული მიზანსწრაფვით. ეს იმიტომ, რომ ადამიანის ციკლები მზარდი, თუმცა ჯერ კიდევ არასრულყოფილი ჰარმონიისა და სინთეზის ციკლებია და ბუნებაც მძლავრად აბრუნებს მას თავის პირველად პრინციპებთან, ზოგჯერ — უფრო ადრეულ სტადიებშიც, რათა ამის შემდეგ ადამიანი კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო ფართო ხვეულზე გამოჰყვეს ზრდისა და თვითრეალიზაციის გზას.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან ადამიანი უპირატესად გონიერი არსებაა, შესაბამისად, მის უზენაეს მიზანს უნდა შეადგენდეს მენტალურ უნართა განვითარება და მენტალური ცხოვრების სიუხვე (ყოველ შემთხვევაში — მის ძირითად მიზანს მაინც მას შემდეგ, რაც სიცოცხლისა და სხეულის საცდურისგან განთავისუფლდება და თავის ფიზიკურ-ცხოველური ბუნებით ნაკარნახევ ტლანქ საჭიროებებს დაიკმაყოფილებს). ცოდნა, მეცნიერება, ხელოვნება, აზრი, ეთიკა, ფილოსოფია, რელიგია — აი, ადამიანის ნამდვილი საქმე, მისი ჭეშმარიტი საასპარეზო. *ყოფნა* მისთვის ნიშნავს არა მხოლოდ დაბადებას, გაზრდას, ქორწინებას, საარსებო საშუალებების შოვნას, ოჯახის რჩენას და სიკვდილს, არამედ ვიტალურ და ფიზიკურ სიცოცხლეს, ცხოველური წრებრუნვის ადამიანურ ვერსიას, პატარა ცხოველური სექტორის და ღვთაებრივი ციკლის რკალის ადამიანისეულ გავრცობა-გაფართოებას. გონებრივი ქმნადობა და ზრდა, ცოდნისა და ძალმოსილების ტარება საკუთარ თავშიც და მათი გამოტანა გარეთაც: — აი, რაშია მისი ადამიანობა. თუმცა სწორედ აქ დევს ბუნების ორმაგი მოტივაცია, მისი მიზნების განუხრელი დუალობა. მისგან უნდა ისწავლოს ადამიანმა, როგორ აკონტროლოს და როგორ შექმნას. თუმცა ბუნებას ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი შინაგანი არსებობის, საკუთარი მენტალობის კონტროლის, შექმნისა და ახალ-ახალ და უკეთეს ფორმებში გამუდმებული კვლავშექმნისთვის კი არ მოუხმია, არამედ, შესაბამისად, მისი გარემომცველი სამყაროს კონტროლისა და კვლავშექმნისთვისაც. გონება მან არა მხოლოდ თავისი თავისკენ უნდა მიმართოს, არამედ სიცოცხლის, მატერიისა და მატერიალური არსებობისკენაც. ეს ძალზე ცხადად ჩანს არამარტო მიწიერი ევოლუციის კანონიდან თუ ხასიათიდან, არამედ თვით ადამიანის წარსულიდან და აწმყოდანაც. ამ პირობებზე, ისევე როგორც ადამიანის უმაღლეს მისწრაფებებსა და იმპულსებზე განხორციელებული დაკვირვებიდან იბადება კითხვა: ხომ არ არის ადამიანი მოწოდებული არათუ მხოლოდ შინაგან-გარეგანი გაფართოებისთვის, არამედ ვერტიკალურ-ხარისხობრივი ზრდისთვისაც, როდესაც იგი ისევე საკვირველად უნდა აღემატოს თავის თავს, რა საკვირველადაც აღემატა თავის ცხოველურ საწყისებს, აღემატოს და გადაიზარდოს რაღაც მენტალურ-ადამიანურზე უფრო მეტში, ანუ — სულიერ-ღვთაებრივში? თუნდაც ეს ვერ შეძლოს, იმას მაინც ხომ მოახერხებს, რომ გონებისთვალი მიღმურს მიაპყროს და თავისი ცხოვრებაც უფრო და უფრო მეტად წარმართოს იმ სინათლითა და ძალით, რომელიღაც აღმატებული წყაროდან რომ ეძლევა. თვით მის არსებაში ჩაბუდებული ღვთაებრივის და, ამავე დროს, გარესამყაროს მისეული ცნობიერება ადამიანის არსებობის უზენაესი ფაქტია და სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ცნობიერების თვითზრდა მისივე ბუნების შინაგანი განზრახვა იყოს. ასეა თუ ისე, სიცოცხლის სისავსე ადამიანის აშკარა საგანი და

მიზანია, მისი უფართოესი და უმაღლესი ყოფიერება, სრული ადამიანობა იქნება ეს თუ რაღაც ახალ-ღვთაებრივი მყოფობა. თუკი გვსურს, მართებულად დავაფიქსიროთ ადამიანის ინდივიდუალური არსებობის საზრისი და მისი გარემომცველი საზოგადოების საბოლოო ნორმა და მიზანი, მაშინ უნდა ვაღიაროთ ორივე: სისრულე-მთლიანობის ადამიანისეული საჭიროებაცა და საკუთარ თავზე აღმატების მისეული იმპულსიც.

გონებრივი ცხოვრება თვით მისივე სახელით არის სწორედ ის, რასაც, ჩვეულებრივ, *კულტურაში* ვგულისხმობთ. თუმცა ეს სიტყვა მაინც რამდენადმე ორაზროვანია და, თვით ჩვენი იდეებისა და მიდრეკილებებისამებრ, ფართო ან ვიწრო აზრს იტევს. ჩვენი მენტალური არსებობა ხომ მრავალი ელემენტისგან შემდგარი ურთულესი ქსოვილია. უპირველეს ყოვლისა, სახეზეა მისი ქვედა, ფუნდამენტური და — ევოლუციური თვალსაზრისით — ვიტალურთან ყველაზე ახლომდგომი შრე. ამ უკანასკნელსაც ორი მხარე აქვს: გრძნობების, შეგრძნებებისა და ემოციების მენტალური სიცოცხლე, რომელშიც ჭარბობს ბუნების სუბიექტური მიზანი, როგორც მისი ობიექტური საბაბი, და გონიერი არსების აქტიურ-დინამიკური ცხოვრება, რომელიც უკავშირდება მოქმედების ორგანოებსა და ქცევის ველს, სადაც ჭარბობს ბუნების ობიექტური მიზანი, როგორც მისი სუბიექტური საბაბი. შემდეგ მოდის უფრო ამაღლებული შრე: ერთი მხრივ, ზნეობრივი არსება და მისი ეთიკური ცხოვრება, მეორე მხრივ კი — მისი ესთეტიკა. ამ ასპექტთაგან თითოეული ცდილობს დაეუფლოს გონების ფუნდამენტურ შრეს და განკარგოს იგი, ხოლო მისი აქტივობები და გამოცდილება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს: პირველმა — *უფლების* კულტურისა და განდიდებისთვის, მეორემ — *მშვენიერების* კულტურისა და განდიდებისთვის. და ჩვენც, უწინარეს ყოვლისა, ვსარგებლობთ მათით, ხშირად კი — ყველა მათგანის ერთიანად მართვის მცდელობით — ვეხმარებით და ვაყალიბებთ ინტელექტუალურ არსებას. ადამიანის უმაღლესი განხორციელებული საფეხურია გონებრივი სიცოცხლე ან ჰარმონიაში მოყვანილი მოწესრიგებული აზროვნება და ამ უკანასკნელისთვის ნიშნეული მოაზროვნე ნების დინამიკური ძალა, *ბუდჰი*, რომელიც ზის ან უნდა იჯდეს ადამიანური ეტლის კოფოზე.

მაგრამ ადამიანის აზროვნება მთლიანად და მხოლოდ რაციონალური ინტელექტისა და რაციონალური ნებისგან არ შედგება. იგი მოიცავს აგრეთვე უფრო სიღრმისეულ, უფრო ინტუიციურ, უფრო ბრწყინვალე და ძალმოსილ, თუმცა კი გაცილებით ბუნდოვან, ნაკლებად განვითარებულ და ჯერჯერობით საკუთარი თავის ვერმფლობელ სინათლესა და ძალას, რომლისთვისაც ჯერ სახელიც კი არ მიგვიცია. მაგრამ, ასეა თუ ისე, თვით მის ბუნებას სინათლისკენ მივყავართ, — არა გონების მშრალი ან გულის ნოტიო სინათლისკენ, არამედ ელვისა და მზის სიკაშკაშისკენ. მას ნამდვილად შეუძლია დაქვემდებარებული როლი შეასრულოს და თავისი გამონათებებით, უბრალოდ, გონებასა და გულს დაეხმაროს. მაგრამ მასში სხვა სწრაფვა დევს, მისი ბუნებრივ-შინაგანი სწრაფვა, რომელიც აღემატება გონებას. ის ცდილობს გააბრწყინოს ინტელექტუალური არსება, გაასხივოსნოს ეთიკა თუ ესთეტიკა, ემოცია თუ აქტივობა, თვით განცდები და შეგრძნებები. იგი თავს გამოცხადების სიტყვებით გვამცნობს, რიდეს ელვისებური გაკრთომით იხსნის, ერთგვარი მისტიკური თუ ფიზიკური ბრწყინვით წარმოაჩენს ან მენტალური ადამიანისთვის თითქმის ზებუნებრივი, თუმცა გამოზომილი სინათლით ცხადყოფს გონებითა და მეცნიერებით მოცემულ ცოდნაზე უფრო დიდ და უფრო ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებას, მორალისტის მიერ წარმოდგენილ სქემატურ სათნოებებზე უფრო დიდ და უფრო ღვთაებრივ მართებულებას, არტისტის მიერ განდიდებულ გრძნობად ან წარმოსახვით სილამაზეზე უფრო ღრმა, უნივერსალურ და მომნუსხველ მშვენიერებას, ისეთ სიხარულსა და ღვთიურ მგრძნობიარობას, რომელთან შედარებითაც ჩვეულებრივი ემოციები მწირია და ფერმკრთალი; ის *შეგრძნებაა* შეგრძნებებისა და განცდების მიღმა, ანუ ისეთი ღვთაებრივი ცხოვრების და მოქმედების შესაძლებლობა, რომელსაც ჩვეულებრივი ცხოვრების წესი ჩვენს იმპულსებსა თუ ხედვას უმალავს. ძალზე მრავალგვარი, ძალზე ფრაგმენტული, ხშირად ძალზე გაფანტული ან დამაბნეველია ამ სინათლის ზემოქმედება უფრო დაბლამდგომ ყველა ინსტანციაზე, გონებიდან მოყოლე-

ბული. მაგრამ ასობით დეფორმაციის გავლით ამ ნათელს, საბოლოოდ, სწორედ თავისკენ მივყავართ. მას ამწყვდევს, კლავს ან, სულ ცოტა, ამცირებს და ახშობს ფორმალური მრწამსებისა თუ წეს-კანონების ღვთისმოსავი მიდევნა; მას შეუბრალებლად აბაზრებს და საცოდავ-მდაბიურად ახურდავებს ტრადიციულ რელიგიებში დამკვიდრებული ვულგარულობა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სწორედ ის სინათლეა, რომელსაც რელიგიური სული და ადამიანის სულიერება მიესწრაფვის და რომლის მქრქალი ნათება კრთის ამ უკანასკნელთა თვით ყველაზე დეგრადირებულ ფორმებში.

მისი გონიერი არსების ეს უკიდურესი სირთულე, რომელშიც არცერთი პრინციპი საიმედოდ არ მეუფებს სხვა დანარჩენებზე; არარსებობა ისეთი ურყევ-უეჭველი სინათლისა, რომელიც გაუძღვებოდა და გააკონტროლებდა გონებისა თუ მოაზროვნე ნების რყევა-ყოყმანს, — აი, სწორედ ეს არის ადამიანის დიდი შეფერხება, მისი „დაბრკოლების ლოდი“. მისი მენტალობისთვის დამახასიათებელი მტრული სხვაობები, დაპირისპირებები, ანტაგონიზმი, ჭიდილი, მოქცევები, შებრუნებები თუ გადაგვარებები, მის ძალისხმევათა გამჭოლი იდეების, იმპულსებისა და ტენდენციების მთელი ამ ქაოტური ბრძოლის სათავე ადამიანის ცნობიერების მრავალი „წარმომადგენლის“ ბუნებითი გაუგებრობა და ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნებია. მისი გონება ჰგავს მოსამართლეს, რომელიც კონფლიქტურ გადაწყვეტილებებს იღებს; მას ქრთამავენ და ტენდენციურს ხდიან მასთან მისული მთხოვნელ-მომჩივანები; მისი მოაზროვნე ნება მისივე სამეფოს სხვადასხვა რეგიონში წარმოქმნილი კონფლიქტებით, თვით მისთვისვე ნიშნეული მიკერძოებითა და საბოლოო არაკომპეტენტურობით გაწამებული მმართველია. და მაინც, ამ ყველაფრის შუაგულში გონებას ჩამოყალიბებული აქვს ტევადი იდეები კულტურასა და მენტალურ ცხოვრებაზე და ამ ფენომენებთან დაკავშირებული მისი ურთიერთმოქიშპე ცნებებიც მიჰყვებიან გარკვეულ, თვით ამ გონების სექტორებით განსაზღვრულ მიმართულებებს, რომლებიც მრუდების ერთ მთლიან სისტემად ჩამოაყალიბა ექსკლუზიურ სტანდარტამდე ან ინტეგრალურ ჰარმონიამდე მისვლის არაერთმა მისეულმა მცდელობამ.

ჯერ ერთმანეთისგან გავარჩიოთ ცივილიზაცია და ბარბაროსობა. თავისი ჩვეულებრივი, პოპულარული აზრით, ცივილიზაცია ნიშნავს ცივილური ანუ მართული, დაცული, ორგანიზებული, განათლებული, ცოდნითა და სათანადო ტექნოლოგიით აღჭურვილი საზოგადოების მდგომარეობას, საპირისპიროდ იმ საზოგადოებისა, რომელსაც ეს უპირატესობები არ აქვს ან არ უნდა რომ ჰქონდეს. გარკვეული აზრით, წითელკანიან ინდიელს, ბასუტოს მკვიდრს, ფიჯის კუნძულელს — თითოეულს თავისი ცივილიზაცია აქვს. ამ საზოგადოებათაგან თითოეული უბრალოდ და მკაცრად არის მოწყობილი: სოციალური კანონი, გარკვეული ეთიკური იდეები, რელიგია, თავისებური წრთვნა, არა ერთი და ორი სათნოება, რომელთაგან ზოგიერთს, როგორც ამბობენ, სევდისმომგვრელად აკლია ცივილურობა. არადა, თითქოს უკვე შევთანხმდით, რომ მათ ველურები და ბარბაროსები ვუწოდოთ, უპირატესად — მათი დაუხვეწავი და შეზღუდული ცოდნის, მათი ხელსაწყო-იარაღების პრიმიტიულობისა და მათი საზოგადოებრივი მოწყობის შიშველი უბრალოების გამო. უფრო განვითარებული საზოგადოებებისთვის ნაპოვნი გვაქვს ეპითეტები „ნახევრად ცივილიზებული“ და „ნახევრად ბარბაროსული“, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციები იყენებენ ერთიმეორის მიმართ. ამ საზოგადოებათგან იმას, რომელიც, დროის გარკვეულ მონაკვეთში, დომინანტურია და ფიზიკურად წარმატებული, ბუნებრივია, ყველაზე ხმამაღალი და ყველაზე თავდაჯერებული განაცხადიც შემოაქვს. უწინ ადამიანები უფრო მიამიტები და პირდაპირები იყვნენ და თავიანთ თვალსაზრისსაც ღიად გამოხატავდნენ, როცა მათგან კულტურულად განსხვავებულ ყველა ხალხს ბარბაროსებად თუ „მანქურთებად“ ნათლავდნენ. ასე გამოყენებულ სიტყვას „ცივილიზაცია“ ან მხოლოდ ფარდობითი აზრი აქვს ან საერთოდ არავითარი ფიქსირებული მნიშვნელობა არ მოეძებნება. ამიტომაც, თავიდან უნდა მოვიშოროთ ყველაფერი, რაც მასში დროებითი ან შემთხვევითია და ორიენტაცია ავიღოთ იმ განსხვავებაზე, რის მიხედვითაც ბარბაროსობა ისეთი საზოგადოების

მდგომარეობაა, რომლის წარმომადგენელი თითქმის მხოლოდ საკუთარი სიცოცხლითა და სხეულით, საკუთარი ეკონომიკითა და ფიზიკური არსებობით არის დაკავებული, ანუ ჯერ მათ შენარჩუნებაზე, მერე კი უფრო და უფრო მეტ სიუხვე-კეთილდღეობაზე ზრუნვით, და თავისი მენტალური განვითარებისთვის მაინცდამაინც არც საშუალებები აქვს და არც შესატყვისი მიდრეკილება. ამასობაში კი, ცივილიზაცია არის უფრო განვითარებული მდგომარეობა საზოგადოებისა, რომლის საკმარისი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზება ზრდის გონებრივი ცხოვრების აქტივობას მის უმეტეს — თუ არა ყველა — სექტორში. ზოგჯერ ხომ, ზოგიერთი ასეთი სექტორის ჩამორჩენის, დაბნევა-უხალისობისა თუ დროებითი ატროფიის მიუხედავად, დანარჩენი საზოგადოება თვალშისაცემად ცივილიზებული ან, საერთოდ, მაღალცივილიზებულიც კი შეიძლება იყოს. ეს კონცეფცია მხარს უჭერს ყველა ისტორიულ თუ ისტორიამდელ ცივილიზაციას და გვერდზე სწევს ყოველგვარ ბარბაროსობას, აფრიკული იქნება ის, ევროპული თუ აზიური, ჰუნების, გოთების, ვანდალებისა თუ თურქმენების. აშკარად დასაშვებია, რომ ბარბაროსობის მდგომარეობაში ტლანქი ფორმებით უკვე მოცემული იყოს ცივილიზაციის საწყისები. ისიც აშკარაა, რომ ცივილურ საზოგადოებაში, შესაძლოა, დიდმა ბარბაროსობამ ან მისმა მრავალმა გადმონაშთმა იარსებოს. ამ თვალსაზრისით, ყველა საზოგადოება ნახევრად ცივილიზებულია. როგორი გაკვირვებითა და ზიზღით გამოხედავს ჩვენს დღევანდელ ცივილიზაციას — არასრულად ცივილიზებული ამ ეპოქის ცრურწმენებსა და სისასტიკეებს — უფრო წინ წასული კაცობრიობა! მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში, რომელსაც ჩვენ „ცივილიზებულს“ ვუწოდებდით, ადამიანის გონება აქტიური უნდა იყოს, მენტალური მისწრაფებები — განვითარებული, ხოლო მენტალური ყოფიერებით საკუთარი ცხოვრების რეგულირება და სრულყოფა — მისი გაუმჯობესებული გონების ნათლად გაცნობიერებული კონცეფცია.

მაგრამ ცივილიზებულ საზოგადოებაში მაინც არსებობს განსხვავება ნაწილობრივ, უხეშად, პირობითად *ცივილიზებულსა* და *კულტურულს* შორის. აქედან ჩანს, რომ უბრალო მონაწილეობა ცივილიზაციის ჩვეულებრივ პრივილეგიებში, თავისთავად, საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ადამიანი მენტალურ ცხოვრებამდე ამაღლდეს. მეტი განვითარება, მეტი ამაღლებაა საჭირო. ბოლო თაობამ ხაზგასმით დააფიქსირა განსხვავება კულტურულ ადამიანსა და ფილისტერს შორის და ნათლად განმარტა ამ უკანასკნელის არსი. ზოგადად, ფილისტერში მან იგულისხმა ადამიანი, რომელიც გარეგნულად ეწევა ცივილიზებულ ცხოვრებას, ფლობს მის ყველა ატრიბუტს, უერთდება თვალსაზრისების, წინასჯების, შეთანხმებებისა თუ სენტიმენტების მიმდინარე ნაკადს, თუმცა საკუთრივ მისი პერსონა იდეებისთვის შეუღწევადია, არ გააჩნია არავითარი თავისუფალი აზროვნება, მშვენიერებისა და ხელოვნების არაფერი გაეგება, ახდენს ვულგარიზებას ყოველივესი, რასაც კი ეხება, ანუ რელიგიის, ეთიკის, ლიტერატურის, ცხოვრების. ამდენად, ფილისტერი ცივილიზებული ბარბაროსია. ხშირად ის ნახევრად ცივილიზებული ფიზიკური და ვიტალური ბარბაროსია თავისი შეუგნებელი დამოკიდებულებით სხეულის სიცოცხლესთან, ვიტალურ საჭიროებებთან და იმპულსებთან, შინაური და მომჭირნე ადამიან-ცხოველის იდეალთან. მაგრამ, არსებითად და საზოგადოდ, ის არის მენტალური ბარბაროსი და გრძნობადი არსებობით მცხოვრები საშუალო ადამიანი. სხვა სიტყვებით: მისი მენტალური ყოფიერება გონების ქვედა შრეს ეკუთვნის, მისი ცხოვრება გრძნობების, შეგრძნებების, ემოციების, პრაქტიკული ქცევის ცხოვრებაა, ანუ — გონიერი არსების დაწყებითი სტატუსი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილში ის შეიძლება ერთობ აქტიური და ენერგიულიც იყოს, მაგრამ ეს ყველაფერი, საბოლოოდ, არც აღმატებული სინათლით წარიმართება და არც უფრო თავისუფალ და უფრო კეთილშობილ სიმაღლემდე ადის. პირიქით: უფრო მაღალი უნარები მას თავისი გრძნობა-შეგრძნებების, თავისი გაუნათლებელი და დაუხვეწავი ემოციების დონემდე, თავის ტლანქ პრაქტიკულობამდე ჩამოჰყავს. ესთეტიკური მხარე თითქმის განუვითარებელი აქვს; მშვენიერებაზე ან სრულებით არ ზრუნავს ან თავისი მდარე გემოვნებით ამცრობს და ავულგარულებს ესთეტიკური სამყაროსა და ესთეტიკური გრძნობის საყოველთაო სტანდ-

არტს. ხშირად ის დიდი მორალისტია, გაცილებით მეტ აქცენტს აკეთებს ზნეობაზე, ვიდრე ამას კულტურის ადამიანი იზამდა. მაგრამ ფილისტერის მორალური არსება ისეთივე ტლუ და განუვითარებელია, როგორც სხვა ყველაფერი მისეული, ანუ პირობითი, უწრთობი და უგუნურია, მოწონება-არმოწონების, წინასჯებისა და მოარული შეხედულებების გროვაა, სოციალურ შეთანხმებებსა და რესპექტაბელობაზე მიბმულა და ბნელად — გრძნობით და არა აზროვნებით — უკუაგდებს ყოველგვარ ღია გადახრას საზოგადოდ მიღებული ქცევის ნორმიდან. მისი ეთიკური მიდრეკილება გრძნობადი გონების ჩვევაა ანუ — გრძნობადი არსებობით მცხოვრები საშუალო ადამიანის ზნეობა. ერთი შეხედვით, მას თავისებური განსჯაც აქვს და მოაზროვნე ნებაც, მაგრამ ერთიცა და მეორეც მისი საკუთარი კი არ არის, გარედან შემოსული ჯგუფური გონის ნაწილია. და თუ მისიცაა, მაშინ ეს მხოლოდ პრაქტიკული, მგრძნობელობითი, ემოციური განსჯა და ნებაა, ქცევასთან დაკავშირებული საყოველთაო ცნებებისა და წესების მექანიკური გამეორება და არა ნამდვილი აზრისა და გონებრივი განსაზღვრულობის გამოხატულება. ამ ცნება-წესების მოხმარება მას ისევე ვერ აქცევს განვითარებულ მენტალურ არსებად, როგორც საშუალო ლონდონელს ვერ განუვითარებს ფიზიოლოგიას მისი ყოველდღიური სვლა სამსახურში ან როგორც ბანკის მოხელე ვერ იქცევა მოწინავე ეკონომისტად მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში შეტანილი ყოველდღიურ-საბანკო წვლილით. ასეთი ადამიანი გონებრივად აქტიური კი არ არის, არამედ *რეაქტიულია*, ანუ რეაგირების მიმცემი, ანუ — სრულებით განსხვავებული რამ.

ფილისტერები არ გადაშენებულან, პირიქით — ისინი ყველგან არიან, თუმცა ვეღარ ბატონობენ. კულტურის შვილებს ჯერ არ დაუმარცხებიათ, მხოლოდ თავი დააღწიეს ძველ გოლიათს და იგი ახალი გოლიათით შეცვალეს. ესაა *მგრძნობელობითი ადამიანი*, რომელიც აღმატებული უნარების გონებრივი გამოყენების გარკვეულმა აუცილებლობამ გამოაღვიძა და რომელიც ახლა მენტალური აქტივობის მცდელობაშია. იგი ამ აქტივობისთვის შოლტითა და ცენზურით აღზარდეს და, თანაც, სადღეისოდ ახალი ინფორმაციის, ახალი ინტელექტუალური მოდების, ახალი იდეებისა და ახალი მოძრაობების მორევში ცხოვრობს, მორევში, რომლის წინაშეც თვალს და ყურს ჯიუტად ვეღარ დაიხშობს. იგი ღიაა ახალი იდეებისადმი, შეუძლია ჩაეჭიდოს და უწესრიგოდ ისროლოს აქეთ-იქით; შეუძლია გაიგოს ან ვერ გაიგოს იდეალები, იზრუნოს მათ განხორციელებაზე და, ასე გასინჯეთ, შეეწიროს კიდეც. მან იცის, რომ უნდა იფიქროს ეთიკურ, სოციალურ, მეცნიერულ თუ რელიგიურ პრობლემებზე, მიესალმოს ახალ პოლიტიკურ პერსპექტივებს, შეძლებისდაგვარი გაგებით მოეკიდოს ამჟამად ერთიმეორის კვალში ჩამდგარი ან ერთმანეთს შეჯახებული აზრის, ძიებისა და მოქმედების ყველა ნაკადს. იგი კითხულობს პოეზიას, აქტიურად შთანთქავს მხატვრულ და პერიოდულ ლიტერატურას. ვინ იცის, ეგებ მასში თაგორის სტუდენტი ან უიტმენის თაყვანისმცემელიც იპოვოთ. შესაძლოა, მაინცდამაინც ნათლად არ ესმოდეს მშვენიერება ან ესთეტიკა, თუმცა ის კი გაგონილი ექნება, რომ ხელოვნება სულაც არ არის ცხოვრების უმნიშვნელო ნაწილი. დიახ, ამ ახალი კოლოსის აჩრდილი ყველგან შეინიშნება. ის — მკითხველთა დიდი პუბლიკაა; მისია გაზეთები და ყოველკვირეული თუ ყოველთვიური ჟურნალები; პროზა, პოეზია და ხელოვნება მისი მენტალური მომმარაგებლებია; მისთვის არსებობს თეატრი, კინო და რადიო; მეცნიერება ჩქარობს, რომ თავისი ცოდნა და აღმოჩენები სახლის კარამდე მიუტანოს და მისი ცხოვრება სულ ახალ-ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვოს; პოლიტიკა მის თარგზე იჭრება. სწორედ ის დაუპირისპირდა, შემდეგ კი ხმა მისცა ქალთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას; იგი ავითარებდა სინდიკალიზმს, ანარქიზმს, კლასობრივ დაპირისპირებას, შრომის განდიდებას, ახორციელებდა იდეების თუ კულტურების ბრძოლას (უმძვინვარესი ტიპის კონფლიქტს, ახალი ბარბაროსობის უშუალო გამოხატულებას), სულ რამდენიმე დღეში ახდენდა რუსულ რევოლუციებს, რასაც ვერ ახერხებდა ინტელიგენციის საუკუნოვანი მტანჯველი ძალისხმევა. სწორედ ის აღმოჩნდა თანამედროვე სამყაროს სახეცვლილების ოპერატიული რწმუნებული. ლენინმა, მუსოლინიმ, ჰიტლერმა სწრაფ და გამაოგნებელ წარმატებას იმით მიაღწიეს, რომ სახეზე

იყო ეს მამოძრავებელი ძალა, ეს სწრაფმოქმედი და სწრაფად რეაგირებადი მასა, რომელმაც ეს ლიდერები გამარჯვებამდე მიიყვანა და რომელიც ასე აკლდათ მათ ნაკლებად იღბლიან წინამორბედებს.

ამ დიდმნიშვნელოვანი ცვლილების პირველი შედეგები შთაგონებას აძლევდა მოძრაობის ჩვენეულ სურვილს, თუმცა მოაზროვნესა და დახვეწილი კულტურის მოყვარულს, ცოტა არ იყოს, აბნევდა კიდეც. რადგან თუ, გარკვეულწილად, ამ ცვლილებას მოჰყვა კულტურის (თუ ფსევდოკულტურის) დემოკრატიზება, მაინც არ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ქვედა ფენებიდან მომდგარმა ნახევრად გადარჩენილთა ტალღამ კულტურა აამაღლა და გააძლიერა. ამიერიდან მსოფლიოს მართვის სადავეები უწინდებურად აღარ ეპყრა დედამიწის საუკეთესო ტვინებსა და მათ მოაზროვნე ნებას. კომერციალიზმი კვლავ თანამედროვე ცივილიზაციის გულისგულად რჩება, მგრძნობელობითი აქტივობა — კვლავ მის მამოძრავებელ ძალად. თანამედროვე განათლებას მასობრივად ჯერ არ „გამოუხსნია“ მგრძნობელობითი ადამიანი, ეგაა, აუცილებელ პროგრამად დაუსახა ისეთი საგნები, რომლებსაც იგი მანამდე მიუჩვეველი იყო: მენტალური აქტივობა და საქმიანობა, ინტელექტუალური და თვით ესთეტიკური განცდები, იდეალისტური ემოციები. თანამედროვე ადამიანი ისევ ვიტალურ შრეში ცხოვრობს, მაგრამ უკვე *ზემოდან* სტიმულირების მოთხოვნილება აქვს; მწერლების მთელ ჯარს საჭიროებს იმისთვის, რომ გონებრივად დაკავდეს და თავი ინტელექტუალური საკვებით უზრუნველყოს; ზოგადად სწყურია ყოველგვარი ინფორმაცია, რომელიც, არსებითად, არ აინტერესებს ან რომლის მწყობრში მოსაყვანად თუ ასათვისებლად დრო არ ჰყოფნის; სწყურია პოპულარიზებული სამეცნიერო ცოდნა, ისეთი ახალი იდეები, რომლებსაც მისი გონება მოიხელთებს და რომლებსაც ძალუმად და ბრწყინვალედ დაუდებენ წინ; სწყურია მრავალგვარი მენტალური აღმგზნები, იდეალები, რომლებიც, მისივე აზრით, შეაგულიანებდნენ და ზოგჯერ თავისებურად შეუფერადებდნენ კიდეც ცხოვრებისეულ ქცევას. ეს აქტივობა და მგრძნობელობა უხეშ მენტალურ არსებაზეა გათვლილი, მაგრამ მაინც გაცილებით უფრო ღიაა და თავისუფალი. და კულტურის წარმომადგენლებიც — ინტელიგენტები — ხედავენ, რომ, გარკვეული სტიმულირების თუ აყოლიების შემთხვევაში, ეს ადამიანი უკვე ისეთი ყურით ისმენს, როგორიც არასოდეს ჰქონია ნამდვილ ფილისტერს. ამჯერად კულტურის ამ წარმომადგენელთა იდეებს აქამდე არნახული განხორციელების შანსი ეძლევა. ამის შედეგია აზრის, ხელოვნების, ლიტერატურის გაიაფება; ტალანტისა და თვით გენიის მიშვება საყოველთაო პოპულარობის კალაპოტში; მწერლის, მოაზროვნის თუ მეცნიერის დაყენება ისეთ პოზიციაში, რომელიც ძალიან ჰგავს რომაელი დიდებულის ოჯახში მყოფი კულტურული ბერძენი მონის პოზიციას: იქ მან უნდა იმუშაოს, აამოს, გაართოს და ინფორმაცია მიაწოდოს თავის პატრონს, თან მუდამ გაითვალისწინოს ამ უკანასკნელის გემოვნება-ხასიათი და, დროდადრო, ეშმაკურად იმეოროს ის ყველაფერი, რაც რომაელი ბატონის წარმოსახვას ატყვევებს. ერთი სიტყვით, უფრო მაღალმა გონებრივმა ცხოვრებამ დემოკრატიზება, სენსუალიზება, გააქტიურება განიცადა და ამას კარგი შედეგებიც მოჰყვა და ცუდიც. თუ რწმენით მივუდგებით, ამ ყველაფერში, შესაძლოა, მოუხეშავი, მაგრამ მაინც უზარმაზარი ცვლილების დასაწყისი დავლანდოთ. *აზრსა* და *ცოდნას* — თუ ჯერჯერობით *მშვენიერებას* არა — არათუ უკვე უსმენენ, არამედ ისინი სწრაფად აყალიბებენ დიდ, ბუნდოვან და, საბოლოოდ, ქმედით ნებელობას, როგორც თავიანთ უშუალო შედეგს; სენსუალობის ამ ზედაპირული რიდის მიღმა წარმოუდგენლად გაიზარდა კულტურისა და შეფასება-ცოდნისკენ სერიოზულად მსწრაფველ ადამიანთა მასა და ამჟამად თვით სენსუალური ადამიანიც კი ფერისცვალებას განიცდის. დღეს პრაქტიკაში ინერგება განათლების ახალი მეთოდები, საზოგადოებრივი თანაცხოვრების ახალი პრინციპები, რის შედეგადაც ოდესმე, შესაძლოა, იშვას ადამიანთა ისეთი მოდგმა (და არა მხოლოდ კლასი), რომლის წარმომადგენლებს გარკვეულწილად ნაპოვნი და განვითარებული ექნებათ თავიანთი მენტალური არსება, — იშვას კულტურული კაცობრიობა.

ნიკოლაი ბერდიაევი

რუსული იდეა[1]

1

ინდივიდუალური ეროვნული ტიპის განსაზღვრა მუდამ ძალზე დიდ სირთულეს წარმოადგენს. ზუსტი მეცნიერული განსაზღვრების შერჩევა აქ შეუძლებელია. ყოველი ინდივიდუალობის საიდუმლო მხოლოდ სიყვარულით ამოიცნობა და, მიუხედავად ამისა, მასში მაინც მუდამ რჩება რაღაც ბოლომდე შეუცნობელი. ჩემი კვლევის საგანს შეადგენს არა იმდენად ის, თუ რას წარმოადგენდა რუსეთი ემპირიულად, არამედ შემოქმედის მიერ ჩაფიქრებული რუსეთი, რუსი ერის ხელშესახები არსი, მისი იდეა. ტიუტჩევმა თქვა: „Умом России не понять, аршином общим не измерить, у ней особенная стать, в Россию можно только верить“ („გონებით ვერვინ ჩასწვდება რუსეთს, ვერ გაუზომავს თავსა და ბოლოს. სულ სხვა წყობა აქვს, სხვა გული უძგერს, რუსეთის უნდა გვჯეროდეს მხოლოდ“)[2]. რუსეთის წვდომისათვის აუცილებელია მივმართოთ რწმენის, იმედისა და სიყვარულის თეოლოგიურ სათნოებებს. ემპირიულად რუსეთის ისტორიაში ძალზე ბევრი რამაა ჩვენთვის მიუღებელი. ამას უმძაფრესად გამოხატავს მორწმუნე სლავიანოფილის, ხომიაკოვის ლექსი რუსეთის ცოდვათა შესახებ[3]. რუსი ხალხი თავისი ხასიათით უაღრესად პოლარულია, ის საკუთარ თავში წარმოუდგენელ წინააღმდეგობებს იტევს*. მისით შეიძლება მოიხიბლო და მისგან შეიძლება განიხიბლო, ნებისმიერ შემთხვევაში, მისგან გამუდმებით მოულოდნელობებს უნდა ელოდე, რუსეთს ძალუძს გამოიწვიოს როგორც ძლიერი სიყვარული, ისე ძლიერი სიძულვილიც. რუსები ის ხალხია, დასავლეთის ხალხებში შეშფოთებას რომ იწვევს. ნებისმიერი ეროვნული ინიდივიდუალობა, პიროვნების ინივიდუალობის მსგავსად, მიკროკოსმოსს წარმოადგენს და ამიტომაც საკუთარ თავში გარკვეულ წინააღმდეგობებს ატარებს, მაგრამ ეს განსხვავებული მასშტაბით ხდება. პოლარიზებულობითა და წინააღმდეგობრიობით რუსი ხალხი მხოლოდ ებრაელებს თუ შეედრება. და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ ორ ერს ახასიათებს ძლიერი მესიანური ცნობიერება. შესაძლოა, რუსული სულის წინააღმდეგობრიობა და სირთულე იმასაც უკავშირდებოდეს, რომ რუსეთში ერთმანეთს უპირისპირდება და ერთურთზე გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის ორი ნაკადი — აღმოსავლეთი და დასავლეთი. რუსი ერი არც წმინდად ევროპელი ერია, არც წმინდად აზიური. რუსეთი მსოფლიოს ცალკე მდგომი ნაწილია, გიგანტური დასავლეთ-აღმოსავლეთი, ორ სამყაროს რომ აერთიანებს. და რუსულ სულში ერთმანეთს მუდამ ერკინებოდა ორი საწყისი, აღმოსავლური და დასავლური.

არსებობს შესაბამისობა რუსული მიწისა და რუსული სულის უკიდეგანობას, უსაზღვროებას, უსასრულობას შორის, ფიზიკური გეოგრაფია შეესაბამება სულიერ გეოგრაფიას. რუსი ხალხის სულში ისეთივე უსაზღვროება სუფევს, როგორიც რუსეთის ველებზე, ისიც მათსავით უსასრულობისკენაა მისწრაფული. სწორედ ამის გამო რუს ხალხს გაუჭირდა ამ უზარმაზარი სივრცეების ათვისება და ფორმირება. რუსებისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო უდიდესი სტიქიური ძალა და შედარებით სუსტი ფორმა. რუსი ხალხი არასოდეს ყოფილა უპირატესად კულტურის ერი, როგორც დასავლეთ ევროპის ხალხები, ის უფრო გამოცხადებათა და შთაგონებათა ერია, მისთვის უცხოა ზომიერება, ის ადვილად ვარდება უკიდურესობებში. დასავლეთ ევროპის ხალხებთან ყოველივე გაცილებით უფრო დეტერმინირებული და ფორმირებული, კატეგორიებად დაყოფილი და სასრულია. სულ სხვაა რუსი ერის შემთხვევა: ის ნაკლებადაა დეტერმინირებული, მისწრაფულია უსასრუ-

* ეს გამოთქმული მაქვს ადრინდელ ეტიუდში „რუსეთის სული“, რომელიც შევიდა ჩემს წიგნში „რუსეთის ბედისწერა“ (აქ და მომდევნო გვერდების ბოლოში ავტორის შენიშვნებია მოთავსებული).

ლობისაკენ და კატეგორიებად დაყოფას არ ცნობს. რუსეთში არასოდეს ყოფილა მკვეთრი სოციალური საზღვრები, არ ყოფილა მკაცრი დაყოფა კლასებად. რუსეთს ვერასოდეს ვუწოდებდით დასავლური გაგებით არისტოკრატულ ქვეყანას, ამავე დროს, ის ვერა და ვერ გახდა ბურჟუაზიული. რუსული სულის ფორმაციას საფუძვლად დაედო ორი საწყისი: წარმართული დიონისური სტიქია და ასკეტურ-მონაზვნური მართლმადიდებლობა. რუს ერში ადვილად შეიძლება დავინახოთ ურთიერთგამომრიცხავი თვისებები: დესპოტიზმი, ჰიპერტროფირებული სახელმწიფოებრიობა და ანარქიზმი, თავაშვებულობა; სისასტიკე, მიდრეკილება ძალადობისადმი და სიკეთე, ჰუმანურობა, სილბო; ფარისევლობა და ჭეშმარიტების ძიება; ინდივიდუალიზმი, გამძაფრებული პიროვნული ცნობიერება და უპიროვნო კოლექტივიზმი; თვითკმაყოფილი ნაციონალიზმი და ზოგადსაკაცობრიო უნივერსალიზმი; ესქატოლოგიურ-მესიანური რელიგიურობა და ზედაპირული ღვთისმოსაობა; ღვთის ძიება და აგრესიული უღმერთობა; თვინიერება და სითავხედე; მონობა და ამბოხი.

რუსეთის ისტორიას წყვეტილობა ახასათებს. სლავიანოფილთა[4] თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის ისტორიას ყველაზე ნაკლებად უხდება ეპითეტი „ორგანული“. რუსეთის ისტორია შედგება ხუთი პერიოდისაგან და ეს პერიოდები სრულიად განსხვავებულ სურათებს გვიჩვენებს. არსებობს კიევის რუსეთი, რუსეთი თათრების შემოსევის დროს, მოსკოვის რუსეთი, პეტრეს რუსეთი და საბჭოთა რუსეთი. შესაძლოა, მომავალში კიდევ ახალი რუსეთიც მოგვევლინოს. რუსეთის განვითარება თავისი არსით კატასტროფული იყო. მოსკოვის პერიოდი რუსეთის ისტორიის ყველაზე უარესი მონაკვეთია, ყველაზე სულისშემხუთავი, თავისი არსით ყველაზე უფრო თათრულ-აზიური, არადა, მასზე შექმნილი მცდარი წარმოდგენების გამო თავისუფლებისმოყვარე სლავიანოფილები მას აიდეალებდნენ. მას სჯობდა კიევის რუსეთი და თათრების უღელქვეშ მოქცეული რუსეთი, განსაკუთრებით, ეკლესიისათვის, და, რაღა თქმა უნდა, ბევრად უკეთესი და მნიშვნელოვანი იყო პეტერბურგის დუალისტური, შინაგანად გახლეჩილი პერიოდი, რომელშიც რუსი ხალხის შემოქმედებითი გენია საუკეთესოდ გაიშალა. კიევის რუსეთი არ ყოფილა დასავლეთისაგან მოწყვეტილი, ის უფრო ღია იყო ურთიერთობებისათვის და უფრო თავისუფალი, ვიდრე მოსკოვის სამეფო, რომლის დახშულ, მგუდავ ატმოსფეროში თვით სიწმინდეც კი ჩაკვდა (ასე ცოტა წმინდანი რუსეთს არც ერთ სხვა პერიოდში არ ჰყოლია*). XIX საუკუნე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ აზროვნების ხანგრძლივი არარსებობის შემდეგ რუსმა ხალხმა, როგორც იქნა, გამოთქვა საკუთარი აზრი, და ეს მონობის უმძიმეს მდგომარეობაში მოახერხა. ვგულისხმობ გარეგნულ მონობას, რადგან შინაგანად მუდამ თავისუფლები ვიყავით. რით აიხსნება ის ფაქტი, რომ რუსეთში ასე დიდხანს არ არსებობდა განათლება, რომ მაღალი კულტურის აღქმის ძლიერი უნარის მქონე ეს ნიჭიერი ხალხი ამდენი ხანი კულტურულად ჩამორჩენილი, მეტიც, წერა-კითხის უცოდინარი იყო, რით ავხსნათ წარსულის დიდ კულტურებთან ორგანული კავშირების არარსებობა? გამოითქვა მოსაზრება, რომ კირილესა და მეთოდეს მიერ წმინდა წერილის სლავურ ენაზე თარგმნა[5] წამგებიანი აღმოჩნდა რუსული აზროვნების განვითარებისათვის, რადგან ამით ის ბერძნულ და ლათინურ ენობრივ სფეროებს ჩამოშორდა. ეკლესიურ-სლავური ენა იქცა სამღვდელოების, ანუ ერთადერთი მაშინდელი ინტელიგენციის ენად, ბერძნული და ლათინური კი აღარ იყო საჭირო. არა მგონია, ეს კმაროდეს რუსული განათლების იმ ჩამორჩენილობის, იმ სიჩლუნგისა და სიმუნჯის გასამართლებლად, რომელშიც რუსეთი ჩაძირული იყო პეტრემდე[6]. რუსული ისტორიის არსებით ნიშნად უნდა ვაღიაროთ ის, რომ ხალხის ძალები დიდი ხნით დაკონსერვდა აუთვისებელ, პოტენციურ მდგომარეობაში. რუსი ხალხი დათრგუნული იყო ძალთა იმ გრანდიოზული დანახარჯით, რასაც რუსული სახელმწიფოს მასშტაბები მოითხოვდა. სახელმწიფო ძლიერდებოდა, ხალხი კი კნინდებოდა, ამბობს კლიუჩევსკი[7]. რუსეთის სივრცეები ათვისებასა და დაცვას მოითხოვდა. XIX საუკუნის

* იხ. გიორგი ფედოტოვი: „ძველი რუსეთის წმინდანნი“.

რუსი მოაზროვნეები, რუსეთის მსოფლიო ბედისწერასა და მოწოდებაზე ოცნებისას მუდამ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ სწორედ რუსი ხალხის ძალების ეს პოტენციურობა, ეს აუთვისებლობა გვევლინება მისი მომავალი დიდების საწინდარად. მათ სწამდათ, რომ რუსი ხალხი, როგორც იქნა, შეძლებს თვითგამოხატვას და მსოფლიოს საკუთარ სიტყვას ეტყვის. საყოველთაოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ თათართა შემოსევამ რუსულ ისტორიაზე საბედისწეროდ იმოქმედა და საუკუნეებით უკან გადაისროლა რუსი ხალხი. ხოლო ბიზანტიურმა გავლენამ რუსული აზროვნება შინაგანად დათრგუნა და ტრადიციულ-კონსერვატიული სახე მიანიჭა. რუსი ხალხის არაჩვეულებრივად ფეთქებადი დინამიზმი მის კულტურულ შრეში მხოლოდ დასავლეთთან შეხების, ანუ პეტრესეული რეფორმის შემდგომ იჩენს თავს. ჰერცენი[8] ამბობდა, რომ პეტრეს რეფორმას რუსმა ხალხმა უპასუხა ისეთი მოვლენით, როგორიცაა პუშკინი. დავუმატებთ: არა მხოლოდ პუშკინი, არამედ თავად სლავიანოფილები, ასევე დოსტოევსკი და ლ. ტოლსტოი[9], ასევე ჭეშმარიტების მაძიებლები და ზოგადად ორიგინალური რუსული აზროვნება.

რუსი ხალხის ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ტანჯული ხალხის ისტორიაა: ბრძოლა თათართა უღლის წინააღმდეგ, სახელმწიფოს მუდმივი ჰიპერტროფია, მოსკოვის სამეფოს ტოტალიტარული რეჟიმი, არეულობის პერიოდი[10], საეკლესიო განხეთქილება („რასკოლი“)[11], პეტრესეული რეფორმის ძალადობივი ხასიათი, ბატონყმობა — რუსეთის ყველაზე საზარელი წყლული, ინტელიგენციის დევნა, დეკაბრისტთა სასტიკი დასჯა[12], პრუსიელი იუნკრის, ნიკოლოზ I-ის საშინელი რეჟიმი[13], ბნელი და დაშინებული ხალხის მასების გაუნათლებლობა, სრული გარდუვალობა რევოლუციისა, როგორც ყველა კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი საშუალებისა, და მისი ძალადობრივი, სისხლიანი არსი, და ბოლოს, მსოფლიო ისტორიაში ყველაზე უფრო საზარელი ომი. კიევის რუსეთს, წმინდა ვლადიმირს ლეგენდები და ბილინები უკავშირდება[14]. მაგრამ რაინდულმა სულმა მართლმადიდებლობის ნიადაგზე ფეხი ვერ მოიკიდა. წმ. ბორისისა და გლების მოწამეობა დაცლილია ჰეროიზმისაგან, მასში მსხვერპლის გაღების იდეა ჭარბობს[15]. უბრძოლველი თმენა გმირობის არსებითად რუსული სახესხვაობაა. თავის დამცირება და დამდაბლება — არსებითად რუსული ნიშანთვისებები. ასევე დამახასიათებელია რუსული რელიგიურობისათვის სალოსობა (юродство)[16] — ხალხის მიერ მასხრად აგდების ნებაყოფლობითი მიღება, რაც, თავის მხრივ, მიწიერი ცხოვრებისათვის ნასროლ გამოწვევას, ქვეყნის აბუჩად აგდებას ნიშნავს. სახასიათოა ის, რომ მას შემდეგ, რაც ცოდვილი ძალაუფლება მოსკოვის დიდ მთავრებს გადაეცათ, ჰაგიოგრაფიაში აღარ გვხვდებიან წმინდანები ხელისუფალთა შორის. ის, რასაც ჩვენთან ორმაგ რწმენას (двоеверие) უწოდებენ, — ვგულისხმობ მართლმადიდებლური რწმენის შეთავსებას წარმართულ მითოლოგიასა და ხალხურ პოეზიასთან, გასაგებს ხდის რუსული ხასიათის არაერთ წინააღმდეგობას[17]. რუსული სტიქია დღემდე ინარჩუნებს დიონისურ, ექსტაზურ ელემენტს. რუსული რევოლუციის ორომტრიალში ერთმა პოლონელმა მითხრა: რუსეთის მიწას დიონისემ გადაუარაო. ამასვე უკავშირდება რუსული ხალხური გუნდური სიმღერისა და ცეკვის უძლიერესი მუხტი. რუს ხალხს აქვს მიდრეკილება ორგიებისკენ ფერხულის თანხლებით. ამის გამოხატვას ვხედავთ ხალხურ მისტიკურ სექტებში, მაგალითად, ხლისტების მიმდინარეობაში[18]. სიახლეს არ წარმოადენს ის, რომ უდისციპლინობის დაწყებისთანავე რუსი ხალხი ავლენს მიდრეკილებას ღრეობისა და ანარქისაკენ. ერთი მხრივ, ხალხი ემორჩილებოდა რელიგიური კურთხევით დაკანონებულ ხელისუფლებას, მეორე მხრივ კი მან თავისი წიაღიდან შვა სტენკა რაზინი[19], რომელსაც ხალხმა სიმღერებში შეასხა ხოტბა, და პუგაჩოვი[20]. რუსები ხასიათით „მორბენალნი“[21] არიან, უღლისაგან თავის დაღწევა და ყაჩაღობაა მათი არსი, მაგრამ რუსები ყარიბებიც[22] არიან, ღვთიური ჭეშმარიტების ძიებაში რომ დახეტიალობენ. ყარიბები ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. ამქვეყნიური გზა რუს ხალხს გაქცევისა და ყარიბული მომლოცველობის გზად ესახება. რუსეთი მუდამ სავსე იყო მისტიკურ-წინასწარმეტყველური სექტებით. ისინი კი ცხოვრების განწმენდისა და გაუმჯობესების სწრაფვას ატარებდნენ საკუთარ თავში. ხლისტების საზარელ, დიონი-

სურ სექტაშიც კი ასებობდა ეს იმპულსი. ხალხური სასულიერო ლირიკა მაღალ შეფასებას აძლევდა მათხოვრობასა და სიღარიბეს. მისი საყვარელი თემაა უდანაშაულოს ტანჯვა. მასში სოციალური უსამართლობის შეგრძნება მძლავრობს. სიმართლე ერკინება სიცრუეს. ამ სიმღერებში ხალხის ღრმა პესიმიზმი იგრძნობა. ხალხის წარმოდგენებში იმქვეყნიურ ცხონებაზე უმნიშვნელოვანესი ადგილი გლახაკთა შეწყალებას უკავია. ძალზე ძლიერია რუს ხალხში მიწის რელიგია, ეს რუსული სულის უღრმეს შრეში ძევს. მიწა უკანასკნელი შემწე და მოსარჩლეა. ძირითადი კატეგორიაა დედობა. ხალხის წარმოსახვაში ღვთისმშობელი სამებაზე უფრო წინ დგას და თითქმის იგივდება სამებასთან. ღვთისმშობლის სიახლოვეს ხალხი მეტად შეიგრძნობს, ვიდრე ქრისტესას. ქრისტე უპირველესად ცათა მეუფეა, მისი მიწიერი სახე სუსტადაა გამოკვეთილი. სახიერ ხორცშესხმას მხოლოდ დედა-მიწა იძენს. ხშირია სულიწმიდის ხსენება. გ. ფედოტოვი[23] შენიშნავს, რომ ხალხურ სასულიერო ლირიკას აკლია რწმენა იმისა, რომ ქრისტემ კაცთა ცოდვები გამოისყიდა. ქრისტე მხოლოდ მსაჯულია, ე. ი. ხალხი თითქოს ვერ ხედავს ქრისტეს კენოზისს[24]. ხალხი საკუთარი ნებით ირჩევს ტანჯვის გზას, მაგრამ თითქოსდა ნაკლებად სწამს ქრისტეს შემწყალებლობისა. ფედოტოვი ამას ხსნის იოსებიანელობის[25] საბედისწერო გავლენით, რომელმაც დაამახინჯა ქრისტეს სახე რუსი ხალხის წარმოსახვაში. ამიტომ რუსი ხალხი ცდილობს დაემალოს იოსებ ვოლოკოლამელის საზარელ ღმერთს და თავი დედა-მიწას, დედა-ღვთისმშობელს შეაფაროს. ქრისტეს სახე, ღვთის სახე მიწიერი ძალაუფლების სახემ დაჩრდილა, ხალხი ღმერთსაც მიწიერი ხელმწიფის ანალოგიით ხედავდა. ამასთან რუსულ რელიგიურობაში მუდამ მძლავრობდა ესქატოლოგიური ელემენტი. თუკი, ერთი მხრივ, რუსი ხალხის რელიგიური რწმენა ერთმანეთს ღვთისა და ბუნების სამყაროებს უკავშირებდა, მეორე მხრივ, აპოკრიფები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდათ, მესიას მოსვლას მოასწავებდნენ. რუსული რელიგიური აზრის ეს განსხვავებული საწყისები XX საუკუნის აზროვნებაშიც იჩენს თავს.

იოსებ ვოლოკოლამელი და ნილ სორელი[26] რუსული ქრისტიანობის ისტორიაში სიმბოლურ სახეებად გვევლინებიან. მათ უთიერთშეპირისპირებას სამონასტრო ქონების საკითხს უკავშირებენ. იოსებ ვოლოკოლამელი მომხრე იყო იმისა, რომ მონასტრებს მატერიალური ქონება შეენარჩუნებინათ, ნილ სორელი კი გაცემასა და მოუხვეჭელობას ქადაგებდა. მაგრამ ამ ორი ტიპის სხვაობა ბევრად უფრო ღრმაა. იოსებ ვოლოკოლამელი იმ მართლმადიდებლობის წარმომადგენელია, რომლის კურთხევითაც მოსკოვის სამეფო დაფუძნდა, ანუ, სახელმწიფო მართლმადიდებლობისა, რომელიც შემდგომში იმპერიულ მართლმადიდებლობად იქცა. იგი მომხრეა სასტიკი, თითქმის სადისტური, ძალაუფლების მოყვარული ქრისტიანობისა, ერეტიკოსთა დასჯისა, მას სძულს ყოველგვარი თავისუფლება. ნილ სორელი კი ემხრობა ქრისტიანობის უფრო სულიერ-მისტიკურ გაგებას, ის იცავს ისეთ თავისუფლებას, როგორც ეს ცნება ესმოდათ მის ეპოქაში. ის ქრისტიანობას ძალაუფლებასთან არ აკავშირებს, ერეტიკოსთა დევნისა და გვემის წინააღმდეგია. ნილ სორელი წინამორბედია რუსული ინტელიგენციის თავისუფლებისმოყვარული ტენდენციისა. იოსებ ვოლოკოლამელი საბედისწერო ფიგურაა არამხოლოდ მართლმადიდებლობის, არამედ რუსეთის სამეფოს ისტორიაშიც. ეკლესიამ მისი კანონიზაცია სცადა, მაგრამ ხალხის ცნობიერებაში ის წმინდანად ვერ დამკვიდრდა. იოანე მრისხანესთან[27] ერთად ის რუსული ერთმმართველობის მთავარ დამფუძნებლად უნდა მივიჩნიოთ. აქ რუსული მესიანური ცნობიერების დუალიზმსა და ამ ცნობიერების უმძიმეს მარცხს ვხვდებით. რუსული მესიანური ცნობიერების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა ბერი ფილოფეს ისტორიოსოფიულმა იდეამ მოსკოვის, როგორც მესამე რომის შესახებ[28]. ბიზანტიის მართლმადიდებელი სამეფოს დამხობის შემდეგ რუსეთი ერთადერთ მართლმადიდებელ სამეფოდ რჩებოდა. რუსეთის მეფე, ფილოფეს სიტყვებით, „მთელ ცისქვეშეთში ერთადერთი ქრისტიანი ხელმწიფეა“. რაში მდგომარეობს მოსკოვის, როგორც მესამე რომის, იდეის ორაზროვნება? რუსეთის მისიაა ჭეშმარიტი ქრისტიანობის, მართლმადიდებლობის დაცვა და შენარჩუნება. ეს არსებითად რელიგიური მისიაა. „რუსი“ გაიგივებულია „მართლმადიდებელთან“. რუსეთი

ერთადერთი მართლმადიდებელი სახელმწიფოა და, ამ გაგებით, პირველი და მეორე რომის მსგავსად, მსოფლიო სამეფოს წარმოადგენს. ამ ნიადაგზე ხდებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის მკვეთრი ნაციონალიზაცია. მართლმადიდებლობა პირდაპირ გამოცხადდა რუსულ აღმსარებლობად. სასულიერო სიმღერებში რუსეთი სამყაროს სახეს იძენს, რუსი მეფე — მთელი ქვეყნიერების მეფეთ-მეფეა, იერუსალიმი — იგივე რუსეთია, რუსეთი ყველგანაა, სადაც ჭეშმარიტი რწმენა სუფევს. რუსეთის განსაკუთრებული რელიგიური მოწოდება უკავშირდება სახელმწიფოს სიმძლავრესა და სიდიადეს, რუსეთის მეფეს გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება. იმპერიალისტური ცდუნება მესიანური ცნობიერების განუყრელ ნაწილად იქცევა. ეს იგივე გაორებაა, რომელსაც ძველებრაული მესიანიზმი შეიცავდა. მოსკოვის მეფეები თავს ბიზანტიის იმპერატორთა მემკვიდრეებად თვლიდნენ. მემკვიდრეობითობას კეისარ აუგუსტუსიდან[29] ითვლიდნენ. რიურიკი[30] გამოდიოდა იულიუს კეისრის ძმის, პრუსიის დამაარსებლის, პრუსტის შთამომავალი. ივანე მრისხანეს უყვარდა საკუთარი თავის გერმანელად გამოცხადება, რაკიღა ეს პრუსტის შთამომავლობას ნიშნავდა. [...] მოსკოვის, როგორც მესამე რომის, იდეის სულიერი კრახი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მესამე რომი წარმოდგენილი იყო სამეფო ძალაუფლების, სახელმწიფოებრივი სიძლიერის გამოხატვად; მან განხორციელება ჰპოვა ჯერ მოსკოვის სამეფოს, შემდეგ — იმპერიის და, საბოლოოდ, მესამე ინტერნაციონალის სახით. რუსეთის მეფე ღვთის მიწიერ ნაცვლად ისახებოდა. მეფის მოვალეობებში შედიოდა ზრუნვა არამხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებზე, არამედ ხალხის სულის გადარჩენაზეც. ამას გასაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდა იოანე მრისხანე. საეკლესიო კრებები მეფეების ბრძანებით იკრიბებოდა. საოცარი და ამაზრზენია 1572 წლის საეკლესიო კრების სულმოკლეობა და მლიქვნელობა. მეფის ნება კანონი იყო პატრიარქებისათვის ეკლესიის საქმეებშიც. უფლის საზღაურს კეისარს მიაგებდნენ[31]. ეკლესია მთლიანად დაექვემდებარა სახელმწიფოს არამარტო პეტრე დიდის ეპოქიდან, არამედ უკვე მოსკოვის სამეფოშიც. ჩამოყალიბდა ქრისტიანობის მონური გაგება. ძნელი წარმოსადგენია ქრისტიანობის უფრო საშინელი დამახინჯება, ვიდრე ეს ყოვლად ამაზრზენ წიგნში, „დომოსტროიშია“[32] მოცემული. ივანე აკსაკოვი[33] ამბობდა, რომ არანაირად არ ესმის, როგორ შეიძლებოდა რუსი ხალხის ხასიათს შეექმნა „დომოსტროის“ მდაბიო და ფლიდური მორალი. მოსკოვის, როგორც მესამე რომის იდეოლოგიამ ხელი შეუწყო მოსკოვური ძალაუფლებისა და ერთმმართველობის გამძლავრებას, და არა ეკლესიისა და სულიერი ცხოვრების აღორძინებას. რუსი ხალხის ქრისტიანული მისია შეირყვნა და დამახინჯდა. თუმცა, იგივე ბედი ეწია პირველ და მეორე რომსაც, ისინიც ნაკლებად ზრუნავდნენ ცხოვრებაში ქრისტიანობის განხორციელებაზე. მოსკოვის რუსეთი მიექანებოდა განხეთქილებისაკენ, რომელიც გაუნათლებლობის პირობებში გარდუვალი გახდა. თავისი პრინციპითა და სტილით მოსკოვის სამეფო ტოტალიტარული იყო. ეს იყო თეოკრატია, რომელშიც მეფის ინსტიტუტს უპირატესობა ენიჭებოდა სამღვდელოებაზე. ამასთან, ამ ტოტალიტარულ სახელმწიფოს აკლდა ერთიანობა, განხეთქილებები და არეულობა მის მახასიათებელ ნიშნებად იქცა.

XVII საუკუნის საეკლესიო გახეთქილებამ („რასკოლმა“) ბევრად უფრო დიდი გავლენა იქონია რუსულ ისტორიაზე, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აღიარებენ. რუსები რასკოლნიკები არიან — ეს ჩვენი სახალხო ხასიათის უღრმესი თვისებაა. წარსულისაკენ სახემიპყრობილ კონსერვატორებს XVII საუკუნე რუსული ისტორიის ორგანულ, — მეტიც: მისაბაძ — ეპოქად მიაჩნიათ. ამაში სლავიანოფილებიც სცოდავდნენ. მაგრამ ეს ისტორიული ილუზიაა. სინამდვილეში ეს არეულობისა და განხეთქილების საუკუნე იყო. ამ მძიმე ეპოქამ შეარყია რუსეთის მთელი ცხოვრება და შეცვალა ხალხის ფსიქიკა. მან რუსეთის ძალები გამოფიტა. ამ ეპოქაში თავი იჩინა უღრმესმა სოციალურმა მტრობამ, ბოიარებისადმი ხალხის სიძულვილმა, რაც თავისუფალ სახალხო მოძრაობაში გამოიხატა (вольница)[34]. კაზაკების მოძრაობა რუსული ისტორიის აღსანიშნავ მომენტად გვევლინება. ის საუკეთესოდ გამოხატავს რუსი ხალხის პოლარულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს. ერთი მხრივ, რუსი ხალხი

მორჩილად უწყობდა ხელს დესპოტური, თვითმმართველური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი უჯანყდებოდა მას, გაურბოდა და თავისუფალ ყაჩაღურ დაჯგუფებებად ერთიანდებოდა. სტენკა რაზინი, სახასიათო რუსული ტიპი, „ბარბაროს კაზაკთა“, ანუ უღარიბესი ფენის წარმომადგენელი იყო. იმ არეულ დროში უკვე არსებობდა XX საუკუნის რევოლუციის მსგავსი მოვლენა. კოლონიზაცია რუსეთში თავისუფალი კაზაკების ხელით ხორციელდებოდა. ერმაკმა რუსეთის სახელმწიფოს ციმბირი აჩუქა[35]. მაგრამ, ამასთან, თავისუფალი კაზაკობა, რომელიც რამდენიმე შრისაგან შედგებოდა, რუსეთის ისტორიაში ანარქიულ ელემენტად წარმოგვიდგება და სახელმწიფოებრივ დესპოტიზმსა და აბსოლუტიზმს აწონასწორებს. ამ მოვლენამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს გაუსაძლის წნეხს შეიძლება გაექცე თავისუფალ, უკიდეგანო ველებზე. XIX საუკუნეში სახელმწიფოს რუსი ინტელიგენციაც გაერიდა, მართალია, სულ სხვაგვარად და სხვა პირობებში, მაგრამ მანაც დამოუკიდებლობის გზა აირჩია. შჩაპოვის[36] აზრით, სტენკა რაზინის ფენომენი „რასკოლმა“ შვა. იგივე მოხდა რელიგიურ ცხოვრებაშიც: მრავალი სექტა და ერესი თავისი არსით წარმოადგენდა გაქცევას ოფიციალური ეკლესიიდან, რომელშიც ზუსტად იგივე წნეხი იგრძნობოდა, რაც სახელმწიფოში. ამის გამო სულიერი ცხოვრება გახევდა და, საბოლოოდ, ჩაკვდა. ოფიციალური ეკლესიის სიყალბის საპირისპიროდ, სექტები და ერესები სიმართლის გარკვეულ ელემენტს შეიცავდნენ. იმავე სიმართლეს ვხედავთ ლევ ტოლსტოის განდგომაშიც[37]. მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ეკლესიის შიგნით მომხდარ განხეთქილებას ენიჭება. იგი საფუძველს უყრის რუსული ცხოვრებისა და რუსული ისტორიის უღრმეს გაორებას, შინაგან გახლეჩას, რომელიც თვით რევოლუციამდე გაგრძელდება. ბევრი რამ აიხსნება ამ მოვლენით. ეს რუსული მესიანური იდეის კრიზისია.

ამ ბოლო ხანებამდე გავრცელებული იყო მცდარი აზრი იმის თაობაზე, რომ XVII საუკუნის საეკლესიო განხეთქილება რიტუალებთან დაკავშირებული უმნიშვნელო საკითხების გამო მოხდა: ერთხმიანობისა და მრავალხმიანობის, ორი თითით პირჯვრის გადასახვის და მისთანების გამო. ცხადია, დიდი როლი აქ ხალხის განათლების დაბალმა დონემ, რუსულმა ობსკურანტიზმმა ითამაშა. წესთმორწმუნეობას მეტისმეტად დიდი ადგილი ეკავა რუსული ეკლესიის ცხოვრებაში. მართლმადიდებლური რელიგია ისტორულად ტაძრული ღვთისსმოსაობის ტიპად ჩამოყალიბდა. განათლების დაბალი დონის გამო ამან ფარდობითი და წარმავალი რიტუალური ფორმების თაყვანისცემამდე მიგვიყვანა. მაქსიმე ბერძენი[38], რომელიც ახლოს იყო ნილ სორელთან, ამხელდა წესთმორწმუნეობის სიბნელესა და გაუნათლებლობას და შეეწირა კიდეც მასთან ბრძოლას. რუსულ საზოგადოებაში ამ ადამიანის მდგომარეობა ჭეშმარიტად ტრაგიკული გახლდათ. მოსკოვის რუსეთში განათლების ნამდვილი შიში სუფევდა. სწავლა-განათლებას ეჭვის თვალით უყურებდნენ, როგორც „გალათინებას“. მოსკოვი არასოდეს ყოფილა განათლების ცენტრი. ამგვარ ცენტრს კიევი წარმოადგენდა. თვით რასკოლნიკებიც კი მართლმადიდებლებზე უფრო განათლებულნი იყვნენ. რასკოლის მთავარი გმირი, მღვდელთმთავარი აბაკუმი[39], გარკვეული ღვთისმეტყველური ცოდნის მიუხედავად, რა თქმა უნდა, ობსკურანტი იყო. მაგრამ, ამავე დროს, ეს იყო პეტრემდელი რუსეთის უდიდესი მწერალი. რასკოლის თემა ისტორიოსოფიულია, ის უკავშირდება რუსულ მესიანურ მოწოდებას: ესაა სამეფოს თემა. განხეთქილების თავი და თავი გახლდათ დაეჭვება იმაში, რომ რუსეთის სამეფო, მესამე რომი, მართლაც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სახელმწიფოა. რასკოლნიკები გუმანით ჩასწვდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს ღალატს, მათ რუსული სამეფოს იერარქიული ძალაუფლებისადმი ნდობა დაკარგეს. სამეფოს ღვთისაგან მიტოვებულობის მძაფრი შეგრძნება რასკოლის მთავარ მამოძრავებელ მოტივად იქცა. რასკოლნიკები მთლიანად წარსულში დაბრუნდნენ, დაიწყეს წარსულითა და მომავლით, მაგრამ არა აწმყოთი ცხოვრება. ისინი სოციალურ-აპოკალიფსური უტოპიით იყვნენ შთაგონებულნი. რასკოლის ყველაზე რადიკალურ ზღვარზე ამას გამოხატავს „ნეტოვშჩინა“ — წმინდად რუსული მოვლენა. რასკოლი წარმოადგენდა ისტორიიდან წასვლას, რადგან ისტორიას ამ ქვეყნის მეუფე, ანტიქრისტე დაეპატრონა. მან

ეკლესიისა და სახელმწიფოს მწვერვალებზეც კი ააღწია. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სამეფო კი მიწის ქვეშ მიიმალა. ესაა ტბის ფსკერზე ჩაძირული ქალაქი კიტეჟი[40]. რასკოლის მემარცხენე, ყველაზე უფრო საინტერესო ფრთა მკვეთრად აპოკალიფტურ იერს იძენს. აქედან გამომდინარეობს თანამედროვე სამეფოს ანტიპოდის, მართალი საუფლოს დაჟინებული ძიება. ეს იყო ხალხში და იგივე განმეორდება XIX საუკუნის რევოლუციურ ინტელიგენციაშიც, რომელიც ასევე დარწმუნებულია, რომ ეკლესია და სახელმწიფო ბოროტი ძალების ხელშია, და ასევე მიელტვის ქალაქ კიტეჟს, მაგრამ უკვე სხვა ცნობიერებით, როდესაც „ნეტოვშჩინა“ რელიგიური ცხოვრების საფუძვლებამდე ჩააღწევს. რასკოლნიკებმა იწინასწარმეტყველეს მოსკოვის მართლმადიდებელი სამეფოს დაღუპვა და ანტიქრისტეს სამეფოს დამკვიდრება. აბაკუმი მეფე ალექსეი მიხაილოვიჩში[41] ანტიქრისტეს მსახურს ხედავს. როდესაც ნიკონმა[42] განაცხადა: „რუსი ვარ, მაგრამ რწმენა ბერძნული მაქვსო“, — ამით მან მოსკოვის, როგორც მესამე რომის იდეას საშინელი დარტყმა მიაყენა. ბერძნული აღმსარებლობა მართლმადიდებლურად არ მიიჩნეოდა: მხოლოდ რუსული რწმენა იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებელი. ჭეშმარიტი რწმენა ჭეშმარიტ სამეფოს უკავშირდება და ასეთ სამეფოდ რუსეთი უნდა ქცეულიყო, მაგრამ ეს ჭეშმარიტი სამეფო დედამიწის ზურგიდან აღიგავა. 1666 წლიდან რუსეთში ანტიქრისტეს მეუფების ხანა დაიწყო. ჭეშმარიტ სამეფოს დაეძებნენ მიწის ქვეშ, მისი დროითი განზომილება აპოკალიფსურად შეფერილი მერმისი იყო. რასკოლმა რუს ხალხს ანტიქრისტეს მოლოდინი შთააგონა და ისიც დაინახავს ანტიქრისტეს პეტრე დიდში, ნაპოლეონში და სხვა პიროვნებებში. ანტიქრისტეს საუფლოს გაურბოდნენ ტყეებში, მთებში, უდაბურ ადგილებში, სადაც რასკოლნიკები „სკიტებს“[43] აარსებდნენ.

რუსეთისათვის ასევე ძალზე სახასიათოა ხალხიდან გამოსულ თვითმარქვია ხელმწიფეთა და მკურნალ წინასწარმეტყველთა გამოჩენა. თვითმარქვიობა არსებითად რუსული მოვლენაა. პუგაჩოვს წარმატების მისაღწევად აუცილებლად უნდა გამოეცხადებინა თავი პეტრე III-დ. რასკოლმა რუსეთის ეკლესიას ძალა გამოაცალა, დასცა იერარქიის ავტორიტეტი და შესაძლებელი და გასაგები გახადა ეკლესიის პეტრესეული რეფორმა. მაგრამ რასკოლი საკუთარ თავში ორ ელემენტს იტევდა — რელიგიურსა და რევოლუციურს. სამღვდელოების ინსტიტუტის უარმყოფელი მისი მემარცხენე ფრთის (беспоповство) მნიშვნელობა იმაშია, რომ მან რუსულ აზროვნებას თავისუფლება და გაბედულება მიანიჭა. აქ იჩინა თავი რუსი ხალხის არაჩვეულებრივმა თვისებამ — ტანჯვის ამტანობამ, იმქვეყნიურისაკენ, მიღმიერისაკენ, სამყაროს დასალიერისაკენ მისწრაფულობამ.

2

პეტრე დიდის რეფორმა გარდუვალიც იყო და წინმსწრები პროცესებით შემზადებულიც, მაგრამ ის, ამავე დროს, ძალადობრივი იყო: ეს იყო ზევიდან განხორციელებული რევოლუცია. რუსეთისათვის აუცილებელი იყო იმ დახშული მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიც ის თათართა შემოსევებმა და მოსკოვის სამეფოს აზიატურმა ხასიათმა მოაქცია, ქვეყანა ფართო სივრცისათვის უნდა გახსნილიყო. ხალხისთვის ასე მტკივნეული პეტრეს ძალადობრივი რეფორმის გარეშე რუსეთი ვერ განახორციელებდა თავის ისტორიულ მისიას და ვერ იტყოდა თავის სიტყვას მსოფლიოს წინაშე. ისტორიკოსებმა, რომელთაც საკითხის სულიერი მხარე ნაკლებად აინტერესებდათ, მოიძიეს საკმარისი საბუთები იმისა, რომ ამ რეფორმის გარეშე რუსული სახელმწიფო თავის დაცვასა და განვითარებას ვერ შეძლებდა. ის შეფასება, რასაც პეტრეს რეფორმას სლავიანოფილები აძლევდნენ[44], მოძველებულია და ზუსტად ისევე ვერ უძლებს კრიტიკას, როგორც წმინდა დასავლური თვალსაზრისი, რომელიც სრულიად უარყოფს რუსული ისტორიული პროცესის თვითმყოფადობას. მოსკოვის სამეფოს კარჩაკეტილობის მიუხედავად, დასავლეთთან ურთიერთობა ჯერ კიდევ XV საუკუნიდან დაიწყო. დასავლეთს მუდამ აშინებდა მოსკოვის მომძლავრება. მოსკოვში არსებობდა გერმანელების დასახლება, ასე რომ, გერმანელების მიერ რუსეთის ათვისება

პეტრემდე დაიწყო. XVII საუკუნეში მთელი ვაჭრობა და მეწარმეობა რუსეთში უცხოელთა, ძირითადად, ინგლისელებისა და ჰოლანდიელების, ხელთ იყო.

პეტრე დიდს სძულდა მოსკოვის სამეფოს მთელი სტილი, ის მასხრად იგდებდა მოსკოვურ წეს-ჩვეულებებს, არადა, თავისი არსით, ტიპიური რუსი იყო. ასეთი საოცარი ადამიანი მხოლოდ რუსეთში თუ დაიბადებოდა. რუსულ თვისებებად მასში გვევლინება უბრალოება, სიტლანქე, ყოველგვარი ცერემონიების, ეტიკეტისა და პირობითობების სიძულვილი, თავისებური დემოკრატიზმი, სიმართლის სიყვარული და რუსეთის სიყვარული. და, ამასთანავე, მასში დროდადრო ველური მხეცის სტიქია იღვიძებდა. პეტრე მრავალი ნიშნით ემსგავსება ბოლშევიკებს. ის, კაცმა რომ თქვას, ტახტზე ასული ბოლშევიკი იყო. მის მიერ მოწყობილი ჯამბაზური, მკრეხელური საეკლესიო პროცესიები ძალზე მოგვაგონებს ბოლშევიკურ ანტირელიგიურ პროპაგანდას. პეტრემ მოახდინა რუსეთის სამეფოს სეკულარიზაცია, მიუახლოვა ის დასავლური კულტურული აბსოლუტიზმის ტიპს. მოსკოვის სამეფომ ვერ განახორციელა მოსკოვის, როგორც მესამე რომის მესიანური იდეა. პეტრეს ღვაწლმა კი წარმოშვა უფსკრული პოლიციურ აბსოლუტიზმსა და წმინდა სამეფოს იდეას შორის. რუსეთის უმაღლესი მმართველი ფენები უზარმაზარი მანძილით დაშორდნენ ხალხის მასებს, რომლებსაც ჯერაც შერჩენოდათ ძველი რწმენა და სასოება. დასავლურმა გავლენამ XIX საუკუნის არაჩვეულებრივი კულტურა წარმოშვა, მაგრამ ხალხისათვის ის არ აღმოჩნდა კეთილისმყოფელი. არისტოკრატია მომძლავრდა და აბსოლუტურად გაუცხოვდა ხალხისაგან. ხალხისთვის მემამულე თავადების ცხოვრების სტილიც კი სრულებით გაუგებარი გახდა. სწორედ პეტრეს ეპოქაში, ეკატერინე II-ის მეფობს დროს[45], ხალხი მთლიანად მოექცა ყმობის უღელქვეშ. რუსული ისტორიის მთელი პეტრესეული პერიოდი რუსულ სულში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბრძოლად წარმოგვიდგება. პეტრესეულ იმპერიალისტურ რუსეთს აკლდა ერთიანობა, აკლდა საერთო სტილი. მაგრამ მის ფარგლებში შესაძლებელი გახდა არაჩვეულებრივი დინამიზმი. პეტრეს რეფორმა საფუძველს უყრის იმ დუალიზმს, რუსეთისა და რუსი ხალხისათვის ასე დამახასიათებელი რომ შეიქნა, დუალიზმს, რომელიც დასავლეთის ხალხებისათვის სრულიად უცხო და გაუგებარია. თუკი მოსკოვის სამეფომ რუს ხალხში გარკვეული რელიგიური ეჭვები გამოიწვია, პეტრეს იმპერიასთან მიმართებაში ეს ეჭვები გაასმაგდა. და მაინც, მცდარია საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს პეტრემ დაიმონა და დაასუსტა ეკლესია. მართალია, მან ჩამოაყალიბა წმინდა სინოდი გერმანული ლუთერანული მაგალითის მიხედვით, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება, თუკი ვიტყვით, რომ პეტრეს რეფორმა წარმოადგენს შედეგს ეკლესიის დასუსტების, იერარქიის გაუნათლებლობისა და მის მიერ მორალური ავტორიტეტის დაკარგვისა. წმ. დმიტრი როსტოველი[46], რომელიც როსტოვში შედარებით უფრო კულტურული სამხრეთიდან ჩავიდა — კიევში განათლების დონე გაცილებით უფრო მაღალი იყო — გაოგნებული დარჩა იმ სიუხეშით, უცოდინრობითა და სიველურით, რომელიც დახვდა. პეტრეს საშინელი ობსკურანტიზმის პირობებში უხდებოდა მუშაობა, ის ქურდებით იყო გარშემორტყმული. ასე რომ, ყველაფერს პეტრეს ვერ გადავაბრალებთ. მაგრამ პეტრეს მოძალადე ხასიათი ტკივილს აყენებდა რუსულ სულს. წარმოიშვა ლეგენდა, თითქოს პეტრე ანტიქრისტე ყოფილიყო. მომავალმა აჩვენა, რომ პეტრეს ღვაწლის შედეგად წარმოშობილმა ინტელიგენციამ გაითავისა პეტრეს უნივერსალიზმი, მისი სწრაფვა დასავლეთისაკენ, მაგრამ უარყო იმპერია.

დასავლური კულტურა XVIII საუკუნის რუსეთში სხვა არაფერი იყო, თუ არა ზედაპირული თავადური მიმბაძველობა. დამოუკიდებელი აზროვნება ჯერ არ იყო გამოღვიძებული. თავიდან ჩვენში ჭარბობდა ფრანგული გავლენები და ვრცელდებოდა ზედაპირული განმანათლებლური ფილოსოფია. XVIII საუკუნის რუსმა ბატონებმა დასავლური კულტურა უხეიროდ გადაღეჭილი ვოლტერიანიზმის სახით აითვისეს. ეს ვოლტერიანული ნადები რუსი თავადების გარკვეულ ნაწილს XIX საუკუნეშიც გაჰყვა, როდესაც ჩვენში უკვე გაჩნდა აზროვნების შედარებით ღრმა და დამოუკიდებელი მიმდინარეობანი. ზოგადად სამეცნიერო განათლების დონე XVIII საუკუნეში ძალზე დაბალი იყო. ზედა ფენასა და ხალხს

შორის გაჩენილი უფსკრული კი სულ უფრო იზრდებოდა. ჩვენი განათლებული აბსოლუტიზმის მფარველობას ძალზე მცირე რამ მოჰქონდა დადებითი, პირიქით: ის აფერხებდა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზროვნების წარმოშობას. ბეცკის გადმოცემით, მემამულეები ამბობდნენ: „არ მსურს, ფილოსოფოსებად იქცნენ ისინი, რომლებიც მე უნდა მემსახურონ“*. ხალხის განათლება საშიშ და მავნე საქმედ მიიჩნეოდა. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ პეტრე დიდი ამტკიცებდა, რუს ხალხს, მსგავსად სხვა ხალხებისა, აქვს სწავლისა და გონებრივი შრომისაკენ მიდრეკილებაო. მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყეს რუსებმა დამოუკიდებლად ფიქრი. ჩვენს ვოლტერიანელებს თავისუფლად არასოდეს უაზროვნიათ. ლომონოსოვი[47] გენიალური მეცნიერი იყო, მან წინ გაუსწრო XIX და XX საუკუნეების მრავალ აღმოჩენას ფიზიკასა და ქიმიაში. მაგრამ გარშემორტყმულ სიბნელეში მისი სიმარტოვე ტრაგიკულია. რუსული ცნობიერების ისტორიისათვის მის პიროვნებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია.

XVIII საუკუნეში ჩვენთან ერთადერთი ძალზე მნიშნელოვანი სულიერ-საზოგადოებრივი მოძრაობა მასონობა იყო. პირველი მასონური დარბაზები ჩვენთან 1731-1732 წლებში დაარსდა. საუკეთესო რუსი ადამიანები მასონები იყვნენ. პირველი რუსული ლიტერატურა მასონობას უკავშირდებოდა. მასონობა იყო რუსეთში პირველი თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ერთადერთი, რაც მთავრობას საზოგადოებისათვის ზევიდან არ მოუხვევია თავს. მასონი ნოვიკოვი[48] XVIII საუკუნის რუსული განმანათლებლობის წამყვანი მოღვაწე იყო. ამ ვრცელმა საგანმანათლებლო საქმიანობამ მთავრობაში შეშფოთება გამოიწვია. ეკატერინე II ვოლტერიანელი იყო და მასონური მისტიციზმისადმი მტრულად იყო განწყობილი. ამ განწყობას მოგვიანებით დაემატა ეკატერინეს პოლიტიკური შიშიც. ის სულ უფრო და უფრო იხრებოდა რეაქციისაკენ და ბოლოს ნაციონალისტიც კი გახდა. 1783 წელს მასონური დარბაზები დაიხურა.

ნოვიკოვისთვის მასონობა წარმოადგენდა გეზს „ვოლტერიანელობასა და რელიგიას შორის გზაგასაყარზე“. XVIII საუკუნეში, განმანათლებლური მატერიალიზმისა და რაციონალიზმის მოძალების პირობებში, სპირიტუალიზმი მასონობას აფარებდა თავს. რუსი მასონები ჭეშმარიტ ქრისტიანობას ეძებდნენ. გულისამაჩუყებელი სანახავია, გამუდმებით როგორ ცდილობდნენ იმის გარკვევას, ხომ არ შეიცავს მასონობა ქრისტიანობისა და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო რაიმე ელემენტს. ნოვიკოვი დარწმუნებული იყო იმაში, რომ მასონობა იგივე ქრისტიანობაა. ის უფრო ინგლისური მასონობისაკენ იხრებოდა, მისთვის უცხო იყო ალქიმიითა და მაგიით, ოკულტური მეცნიერებებით გატაცება. ის უკმარისობის განცდა, რასაც სულიერებისაგან დაცლილი ოფიციალური ეკლესია იწვევდა, რუსეთში მისტიკური მასონობის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება. ხილული ტაძრით უკმაყოფილონი უხილავი ტაძრის აგებას ცდილობდნენ. მასონობა ჩვენში შინაგანი ეკლესიისაკენ სწრაფვად იქცა, არსებულ ეკლესიას, როგორც გარდამავალ საფეხურს, ისე უყურებდნენ. მასონობის წიაღში მოხდა რუსული კულტურული სულის ფორმირება, სწორედ მან მოგვცა სულის ასკეტური დისციპლინა, გამოგვიმუშავა პიროვნების მორალური იდეალი. ცხადია, მართლმადიდებლობამ უფრო ღრმა გავლენა მოახდინა რუსი ადამიანის სულზე, მაგრამ მასონობის წიაღში მოხდა პეტრეს ეპოქის კულტურულ ადამიანთა სულიერი ფორმირება, მან რამდენადმე გადასწონა ძალაუფლების დესპოტიზმი და ობსკურანტიზმი. მასონობის გავლენამ შეამზადა 30-იანი წლების ფილოსოფიური აზროვნების დაბადებაც, თუმცა თავად მასონობაში ორიგინალური იდეები არ არსებობდა. მის ატმოსფეროში საზოგადოების სულიერი გამოღვიძება შედგა. უნდა დავასახელოთ ისეთი სახელები, როგორიცაა ნოვიკოვი, შვარცი, ი. ლაპუხინი, ი. გამალეა[49]. ფილოსოფიური აზროვნებისაკენ ყველაზე მეტად შვარცი იყო მიდრეკილი, ის შეიძლება რუსეთში პირველ ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანად ჩავთვალოთ. ცალკე მდგომ ფიგურად წარმოგვიდგება XVIII საუკუნის უკრაინელი ფი-

* იხ: ა. შჩაპოვი: „რუსი ხალხის გონებრივი განვითარების სოციალურ-პედაგოგიური გარემოებები“.

ლოსოფოსი-თეოსოფი სკოვოროდა[50]. ის არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ხალხის მასიდან გამოსული ბრძენი, მაგრამ მას უშუალო გავლენა არ მოუხდენია XIX საუკუნის აზროვნების მიმდინარეობებზე.

XIX საუკუნის დასაწყისი, ალექსანდრე I-ის ეპოქა[51], რუსეთის ისტორიის პეტერბურგის პერიოდის ყველაზე უფრო საინტერესო მონაკვეთია. ეს იყო მისტიკური მიმდინარეობების, მასონური დარბაზების, ინტერკონფესიური ქრისტიანობის, ბიბლიური საზოგადოების[52], წმინდა კავშირისა[53] და თეოკრატიული ოცნებების ეპოქა, სამამულო ომისა და დეკაბრისტთა, პუშკინისა და რუსული პოეზიის აყვავების ხანა, როდესაც განვითარდა რუსული უნივერსალიზმი, ასე დიდი და განმსაზღვრელი გავლენა რომ მოახდინა XIX საუკუნის რუსულ სულიერ კულტურაზე. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა XIX საუკუნის რუსული სული და სწორედ მაშინ დაიწყო მისი ემოციური არსებობა. ძალზე საინტერესო იყო თვით ამ მეფის ფიგურა. ალექსანდრე I-ს შეიძლება გვირგვინოსანი ინტელიგენტი ვუწოდოთ. ის რთული ფიგურა იყო, შინაგანად გაორებული, წინააღმდეგობათა შემთავსებელი, სულიერად მღელვარე და მუდამ ძიებაში მყოფი. ალექსანდრე I იმყოფებოდა მასონებთან კავშირში და მათსავით დაეძებდა ჭეშმარიტ უნივერსალურ ქრისტიანობას. იგი მოექცა ბარონესა კრიონერის გავლენის ქვეშ, ლოცულობდა კვაკერებთან[54] ერთად, თანაუგრძნობდა ინტერკონფესიური ტიპის მისტიციზმს. მას არ გააჩნდა ღრმა მართლმადიდებლური საფუძველი. ახალგაზრდობაში გამოიარა ნიჰილისტური სკოლა, სძულდა მონობა, თანაუგრძნობდა რესპუბლიკასა და საფრანგეთის რევოლუციას. ლაჰარპმა[55] მას თავისუფლებისადმი თანაგრძნობა ჩაუნერგა. ალექსადრე I-ის შინაგანი დრამა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ხელი არ შეუშალა თავისი შეშლილი მამის მკვლელობას[56], თუმცა წინასწარ იცოდა ამ გეგმის შესახებ. თავად მისი სიცოცხლის დასასრულის შესახებ გაჩნდა ლეგენდა, თითქოს ის ყარიბის, ფეოდორ კუზმიჩის სახელით გაერიდა ტახტსა და სახელმწიფოს და ქვეყნად დახეტიალობდა, — ეს უაღრესად რუსული და უაღრესად დამაჯერებელი ლეგენდაა. ალექსადრე I-ის მეფობის პირველი ნახევარი თავისუფლებისა და რეფორმებისაკენ სწრაფვით იყო აღბეჭდილი. მაგრამ თვითმმართველი მონარქი ისტორიის ამ მონაკვეთზე თავისი ახალგაზრდული მრწამსის ერთგული ვეღარ დარჩებოდა: ეს ფსიქოლოგიურად შეუძლებელი იყო. დესპოტურმა ინსტინქტებმა, განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე შიშმა ალექსანდრე იქამდე მიიყვანა, რომ მან ქვეყანა ხელში ჩაუგდო არაკჩეევს[57], სასტიკ და საზარელ ფიგურას. ამ რომანტიკოსი რუსი მეფის შთაგონებით დაფუძნდა წმინდა კავშირი, რომელსაც, მისი იდეის თანახმად, ხალხები ქრისტიანული უნივერსალიზმის ნიადაგზე უნდა გაეერთიანებინა. ეს სოციალური ქრისტიანობის ჩანაფიქრი იყო. მაგრამ ამ იდეას არ ეწერა განხორციელება. პრაქტიკაში გაიმარჯვა მეტერნიჰმა[58], რეალისტმა პოლიტიკოსმა, რომლის შესახებაც ამბობდნენ, მან ხალხთა კავშირი ხალხთა წინააღმდეგ თავადების კავშირად აქციაო. წმინდა კავშირი რეაქციულ ძალად იქცა. ალექსანდრე I-ის მეფობამ შედეგად დეკაბრისტთა აჯანყება მოიტანა. იყო რაღაც საბედისწერო იმაში, რომ ისეთი ამაზრზენი ობსკურანტები, როგორებიც იყვნენ რუნიჩი[59] და მანიცკი, ამ პერიოდში მისტიკურ-იდეალისტურ მიმდინარეობას მიეტმასნენ. საბედისწერო იყო აგრეთვე არქიმანდრიტ ფოტიას[60] ფიგურაც: ეს იყო „შავრაზმული“ მართლმადიდებლობის წარმომადენელი, რომელიც თვით სასულიერო საქმეთა მინისტრ თავად გოლიცინშიც[61] კი რევოლუციონერს ხედავდა.

მისტიკური მოძრაობა ალექსანდრეს ეპოქაში ორგვარი იყო. ერთი მხრივ, მეტნაკლებად მისტიკურად შეფერილ მასონურ დარბაზებში აღიზარდნენ დეკაბრისტები. მეორე მხრივ, მისტიკური მოძრაობა ობსკურანტულ ხასიათს იძენდა. გაორება თვით ბიბლიური საზოგადოების შიგნითაც იყო. ამ გაორებამ ხორცი შეისხა თავად გოლიცინის პიროვნებაში. ბიბლიური საზოგადოება მთავრობის მიერ იყო თავსმოხვეული. ზევიდან გაიცა ბრძანება, მისტიკოსი და ინტერკონფესიური ქრისტიანობის მიმდევარი გამხდარიყო ყველა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის დამცველი წიგნებიც კი აიკრძალა. მაგრამ საწინააღმდეგო კანონის გამოცემისთანავე ბიბლიური საზოგადოება რადიკალუ-

რად შემობრუნდა და დაიწყო ისეთი აზრების გამოთქმა, მაგნიცკისთანა ადამიანებს რომ აწყობდათ. ნამდვილი სულიერი გამათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ ძალზე მცირე ჯგუფმა აიტაცა. დეკაბრისტები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, მათ არ ჰქონიათ მხარდაჭერა არც არისტოკრატიისა და მოხელეების უმაღლეს წრეებში, არც მდაბიო მასაში, რომელსაც სწამდა, რომ მეფის ძალაუფლება ღვთისგანაა კურთხეული. ისინი დასაღუპად იყვნენ განწირულნი. ჩაცკი გვევლინება დეკაბრისტის ტიპად, მაგრამ მას გარს ეხვევიან „ფრანმასონების" შიშით შეპყრობილი ფამუსოვები და მოლჩალინები[62]. რუსულ არისტოკრატიას დადებითად ახასიათებს ის ფაქტი, რომ თავის უმაღლეს, ყველაზე დახვეწილ ფენაში მან შვა დეკაბრისტთა მოძრაობა, რუსეთში პირველი ნამდვილად გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც რევოლუციურ საუკუნეს გაუხსნა გზა. XIX საუკუნე მართლაც რევოლუციური იყო. რუსული გვარდიის უმაღლესმა შრემ, იმხანად ყველაზე კულტურულმა, არნახული დიდსულოვნება გამოავლინა. მდიდარი მემამულენი და გვარდიის ოფიცრები ვეღარ ურიგდებოდნენ ყმა-გლეხებისა და რიგითი ჯარისკაცების უმძიმეს მდგომარეობას. ამ მოძრაობისათვის უდიდესი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ რუსულ ჯარს 1812 წლის შემდეგ საზღვარგარეთ მოუწია ყოფნამ. დეკაბრისტებს შორის ბევრი იყო ზომიერი მოსაზრებების მქონე ადამიანი, ბევრი იყო მონარქისტიც, თუმცა ყველა ეწინააღმდეგებოდა თვითმმართველურ მონარქიას. ისინი რუსული არისტოკრატიის კულტურულ ფენას წარმოადგენდნენ. დეკაბრისტების აჯანყებაში რჩეული გვარიშვილები მონაწილეობდნენ. ზოგიერთი ისტორიკოსი წერს, რომ 20-იანი წლების ადამიანები, ანუ სწორედ დეკაბრისტთა ჯანყის მონაწილენი, 30-იანი წლების თაობასთან შედარებით სულიერად უფრო გაკაჟებულნი და ნაკლებად მგრძნობიარენი იყვნენ. დეკაბრისტებს შემდგომ თაობასთან შედარებით ახასიათებდათ მეტი სისრულე და სიცხადე, ნაკლები მღელვარება და შფოთიანობა. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ დეკაბრისტები ნაომარი ხალხი იყო და ზურგს სამამულო ომის დადებითი ფაქტი უმაგრებდათ. შემდგომ თაობას კი წართმეული ჰქონდა პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობის შესაძლებლობა და ზურგსუკან ედგა ნიკოლოზ I-ის მიერ სასტიკად ჩახშობილი ჯანყის კოშმარი. ალექსანდრე I-ის ატმოსფეროსა და შემდგომი მეფის, ნიკოლოზ I-ის ატმოსფეროს შორის სხვაობა გრანდიოზული იყო. ალექსანდრეს ეპოქამ შეამზადა რუსთა სულები. მაგრამ შემოქმედებითმა აზრმა მხოლოდ ნიკოლოზის ეპოქაში გამოიღვიძა და პოლარულად დაუპირისპირდა ჩაგვრისა და სიბნელის მისეულ პოლიტიკას. რუსული აზრი გამობრწყინდა წყვდიადიდან. კულტურული და თავისუფლებისმოყვარე ადამიანის პირველ რუსულ ტიპს წარმოადგენდა მასონი და დეკაბრისტი, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ აზროვნებდა დამოუკიდებლად. დეკაბრისტებს მასონობა არ აკმაყოფილებდათ. მასონები მოითხოვდნენ არა ბატონყმობის გაუქმებას, არამედ ჰუმანურობას. დეკაბრისტებს შორის არ არსებობდა სრული ერთსულოვნება, იყო განსხვავებული, მეტ-ნაკლებად რადიკალური მიმდინარეობანი. პესტელი[63] და სამხრეთის საზოგადოება დეკაბრიზმის მემარცხენე, ყველაზე რადიკალურ ფრთას შეადგენდნენ. პესტელი მომხრე იყო დიქტატურის გზით მოპოვებული რესპუბლიკისა, მაშინ როდესაც ჩრდილოეთის საზოგადოება დიქტატურის წინააღმდეგი იყო. პესტელი შეიძლება პირველ რუს სოციალისტად ჩავთვალოთ; მის სოციალიზმს, ცხადია, აგრარული სახე ჰქონდა. იგი რუსული ინტელიგენციის შიგნით წარმოქმნილ რევოლუციურ მიმდინარეობათა წინამორბედია.

დეკაბრისტთა მარცხს შედეგად 30-40-იანი წლების განყენებული იდეალიზმი მოჰყვა. რუს ადამიანებს ძალზე სტანჯავდათ უმოქმედობა. ამის საფუძველზე გადამეტებული სენტიმენტალობა განვითარდა. გავრცელდა გატაცება შილერის პოეზიით და დოსტოევსკი მოგვიანებით „შილერის" სახელით ზოგადად „ამაღლებულისა და მშვენიერისაკენ სწრაფვას" გამოხატავს. 30-იანი წლების ახალგაზრდობის მარტოსულობა ბევრად უფრო საზარელია, ვიდრე დეკაბრისტთა თაობისა. შემდგომში ის მელანქოლიას გამოიწვევს. მასონები და დეკაბრისტები ამზადებენ XIX საუკუნის რუსული ინტელიგენციის გამოჩენას. დასავლეთში ეს ცნება ცუდად ესმით, ის ეშლებათ იმაში, რასაც intellectuels უწოდებენ. მაგრამ თა-

ვად მასონები და დეკაბრისტები, უმაღლესი რუსული არისტოკრატიის წარმომადგენლები, ჯერჯერობით არ ყოფილან ტიპიური ინტელიგენტები, მათში მხოლოდ ინტელიგენციის მომასწავებელი რამდენიმე სახასიათო ნიშანი იკვეთებოდა. ინტელიგენტი არ ყოფილა არც პუშკინი — საუკუნის პირველი მესამედის რუსული გენიის უდიდესი მოვლენა, რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის შემოქმედი. პუშკინის ყველაზე გასაოცარი თვისება, ამავე დროს, ეპოქის ხასიათსაც რომ განსაზღვრავს, მისი უნივერსალიზმია, მისი ღიაობა, მსოფლიო კულტურასთან შესისხლხორცების დიდი უნარი. პუშკინის გარეშე ვერ შედგებოდა ვერც დოსტოევსკი, ვერც ლ. ტოლსტოი. მაგრამ მასში იყო რაღაც რენესანსული და ამ ნიშნით ის გამოირჩევა XIX საუკუნის მთელი დიდი რუსული ლიტერატურის ფონზე, რომელიც თავისი სულისკვეთებით რენესანსული სულაც არ ყოფილა. რენესანსული ელემენტი ჩვენთან შეინიშნებოდა მხოლოდ ალექსანდრე I-ის ეპოქაში და XX საუკუნის დასაწყისში. XIX საუკუნის დიდი რუსი მწერლების შემოქმედებითი იმპულსი მოზღვავებული სიხარული კი არა, — ხალხის, კაცობრიობის და მთელი სამყაროს ხსნის წყურვილი იყო, მათი შემოქმედება ადამიანის მონობისა და ტანჯვის გამო წუხილითა და დარდითაა დამძიმებული. რუსული ლიტერატურის თემები ქრისტიანულია მაშინაც კი, როდესაც რუსი მწერლები თავიანთ ცნობიერებაში ქრისტიანობას განუდგებიან. პუშკინი, რენესანსული ტიპის ერთადერთი რუსი მწერალი, ცხადჰყოფს იმას, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბედისწერის მქონე ყოველი ერი მიკროკოსმოსია და საკუთარ თავში პოტენციურად ყველაფერს შეიცავს. ამასვე ცხადჰყოფს გოეთე გერმანელი ერის შესახებ. პუშკინის პოეზია, რომელშიც სამოთხის ჰანგები ხმიანებს, ძალზე ღრმა და სერიოზულ პრობლემებს ეხება, ესაა, პირველ რიგში, შემოქმედების თემა. პუშკინი ადასტურებს თავისუფალ შემოქმედებას, როგორც ადამიანის უნარსა და უფლებას, მაშინ, როდესაც ამ თემის საწინააღმდეგო პოლუსზე შემოქმედების უფლებას ეჭვქვეშ აყენებდნენ გოგოლი[64], ლ. ტოლსტოი და სხვები. მაგრამ ძირეულ რუსულ თემად არა უმაღლესი კულტურის შემოქმედება, არამედ უკეთესი ცხოვრების ქმნადობა იქცა. რუსული ლიტერატურა, მსოფლიოს სხვა ლიტერატურებზე უფრო მეტად, ატარებს მორალურ და შეფარულად რელიგიურ ხასიათს. მორალური პრობლემა ძალზე ძლიერადაა წარმოდგენილი ჯერ კიდევ ლერმონტოვთან[65]. მისი პოეზია უკვე დაცლილია რენესანსულობისაგან. პუშკინი თავისუფლებისა და სილაღის მეხოტბე იყო. მაგრამ თავისუფლების მისეული გაგება უფრო ღრმაა და პოლიტიკური თანამედროვეობისაგან უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე ის თავისუფლება, რომელსაც რუსი ინტელიგენცია აღიარებს. თავისუფლებას ლერმონტოვიც მიელტვოდა, ოღონდ მისი ეს ლტოლვა ძალზე გულჩაწყვეტილი და გაორებული იყო. ღვთისაგან განდგომის მიუხედავად, ლერმონტოვი, შესაძლოა, ყველაზე უფრო ქრისტიანი იყო რუს მწერალთა შორის. რუსული ქრისტიანული პრობლემატიკისათვის ძალზე საინტერესო ფაქტია ის, რომ ალექსანდრეს ეპოქაში ცხოვრობდნენ უდიდესი რუსი პოეტი პუშკინი და უდიდესი რუსი წმინდანი სერაფიმ საროველი[66], და არც ერთს არაფერი გაუგია მეორის შესახებ. სწორედ ესაა გენიალურობისა და სიწმინდის, შემოქმედებისა და სულის გადარჩენის ურთიერთმიმართების პრობლემატიკა, რომელიც ძველი ქრისტიანული ცნობიერების ფარგლებში გადაუჭრელი დარჩა*.

3

რუსული ინტელიგენცია სრულიად განსაკუთრებული, მხოლოდ რუსეთში არსებული სულიერ-სოციალური ფორმაციაა. ინტელიგენცია არ წარმოადგენს სოციალურ კლასს და მისი არსებობა სიძნელეს უქმნის მარქსისტულ მსჯელობას. ინტელიგენცია იდეალისტური კლასია, ისეთი ადამიანებისაგან შემდგარი, მთლიანად ამა თუ იმ იდეით რომ არიან შეპყრობილნი და მზად არიან, ამ იდეისათვის აიტანონ ციხე, კატორღა და სიკვდილი. ჩვენში

* ეს წარმოადგენს ძირითად თემას ჩემი წიგნისა „შემოქმედების საზრისი. ადამიანის გამართლების ცდა“, სადაც პუშკინისა და წმ. სერაფიმეს მაგალითი მომყავს.

ინტელიგენცია აწმყოთი ვერ ცხოვრობდა, ამიტომაც ის ცხოვრობდა წარსულით, ზოგჯერ კი მომავლითაც. თვითმმართველური მონარქიისა და ბატონყმური წყობის პირობებში პოლიტიკური აქტივობის შეუძლებლობამ უბიძგა მას ყველაზე უფრო უკიდურესი სოციალური მოძღვრებების აღმსარებლობისკენ. თუმცა ინტელიგენცია რუსული მოვლენაა და წმინდა რუსული ნიშნებით ხასიათდება, ის საკუთარ თავს ყოველგვარი ნიადაგისაგან მოწყვეტილად გრძნობს. ეს უნიადაგობა (беспочвенность) შეიძლება რუსულ ეროვნულ ნიშნადაც ჩავთვალოთ. მცდარი იქნება, თუკი ეროვნულ ტენდენციად მხოლოდ მშობლიური ნიადაგისადმი კონსერვატიულ ერთგულებას მივიჩნევთ. ეროვნული შეიძლება იყოს, თუნდაც, რევოლუციურობაც. ინტელიგენცია თავს იმ ისტორიის წნეხისაგან დამოუკიდებლად გრძნობდა, რომელსაც გამუდმებით უჯანყდებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსული ცნობიერებისა და აზროვნების გამოღვიძება იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ ამბოხს წარმოადგენდა. ეს მტკიცება მართებულია არა მხოლოდ დასავლეთის მომხრეთა, არამედ სლავიანოფილთა მიმართაც. რუსმა ინტელიგენციამ იდეური გატაცებებისაკენ არაჩვეულებრივი მიდრეკილება გამოავლინა. რუსები ისეთი გზნებით იყვნენ გატაცებულნი ჰეგელით, შელინგით, სენ-სიმონით, ფურიეთი, ფოიერბახით, მარქსით[67], როგორც არასოდეს არავინ ყოფილა ამ ფილოსოფოსთა სამშობლოში. რუსები არ არიან სკეპტიკოსები, ისინი დოგმატიკოსები არიან, ყველაფერს რელიგიურ ხასიათს ანიჭებენ და ყოველივე ფარდობითი მათთვის გაუგებარია. დარვინიზმი, რომელიც დასავლეთში ბიოლოგიურ ჰიპოთეზას წარმოადგენდა, რუსი ინტელიგენციის ხელში იქცა დოგმად, თითქოსდა საქმე სულის გადარჩენას ეხებოდა. რუსეთში ყველაფრის შეფასება ორთოდოქსიისა და ერესის კატეგორიებით ხდება. ჰეგელით გატაცებას რელიგიური სულისკვეთების ხასიათი მიენიჭა და ჰეგელის ფილოსოფიისაგან მართლმადიდებელი ეკლესიის ბედის გადაწყვეტასაც კი მოელოდნენ. ახალგაზრდები თავიანთ სატრფოებს შელინგის ნატურფილოსოფიის ტერმინოლოგიით უხსნიდნენ სიყვარულს. დოსტოევსკის ყველაზე მეტად რუსი ინტელიგენტის ბედი აღელვებდა, ვისაც ის რუსული ისტორიის პეტერბურგის პერიოდის მიუსაფარ მოხეტიალეს უწოდებდა. მისი შემოქმედება ამ მიუსაფრობის სულიერ საფუძვლებს აშუქებს. განხეთქილება, გარიყულობა, მიუსაფრობა, აწმყოსთან შეურიგებლობა, მომავლისაკენ, უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფულობა, — აი, რუსი ინტელიგენტის დამახასიათებელი ნიშნები. ჩაცკის მარტოსულობა, ონეგინისა და პეჩორინის[68] უნიადაგობა — ეს რუსი ინტელიგენციის გამოჩენის მომასწავებელი მოვლენებია. ინტელიგენციის რიგებში გაწვევა ყველა სოციალური ფენიდან იყო შესაძლებელი. თავიდან ის უპირატესად არისტოკრატული იყო, მოგვიანებით — რაზნოჩინული[69]. უფუნქციოდ დარჩენილი ადამიანი, რომელიც თავს ზედმეტად გრძნობს; არისტოკრატი, რომელიც თავისი წოდების საუკუნოვან ცოდვებს ინანიებს; შემდგომში, აქტიური რევოლუციონერი — აი, ინტელიგენციის არსებობის ეტაპები. 30-იან წლებში ჩვენში ხდებოდა გაღწევა მოძულებული აწმყოდან, რაც, იმავდროულად, ცოცხალი აზრის გამოღვიძებასაც ნიშნავდა. ის, რასაც გ. ფლოროვსკი[70] მცდარად უწოდებს ისტორიიდან გაქცევას — ესაა „განმანათლებლობა“, უტოპიზმი, ნიჰილიზმი, რევოლუციურობა — სინამდვილეში ასევე ისტორიულია*. ისტორია მხოლოდ ტრადიცია, მხოლოდ დაცვა როდია. უნიადაგობას თავისი ნიადაგი აქვს, რევოლუციურობა ისტორიის დინამიზმია. როდესაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მემარცხენე ინტელიგენციის ფენა, მან სამონასტრო ორდენისათვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა. აქ თავი იჩინა რუსული სულის სიღრმისეულმა მართლმადიდებელმა საფუძვლებმა: ბოროტში ჩაფლული სამყაროსაგან განრიდება, ასკეზა, მსხვერპლის გაღების უნარი და მოწამეობრივი ამტანობა. მკაცრი შეუწყნარებლობითა და სამყაროსაგან გამიჯნვით ის საკუთარი არსის მთლიანობას იცავდა. ფსიქოლოგიურად ინტელიგენცია რასკოლის მემკვიდრეა და მხოლოდ ამიტომ გაუძლო დევნას. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ინტელიგენცია ჩაბმული იყო იმპერიულ ძა-

* იხ. გ. ფლოროვსკი: „რუსული ღვთისმეტყველების გზები“.

ლაუფლებასთან შეურიგებელ კონფლიქტში, რომელშიც სიმართლე ინტელიგენციის მხარეზე იყო. ეს რუსეთის ბედისწერის დიალექტიკური მომენტი გახლდათ. ამ დროს ისახებოდა რუსული იდეა, რომელსაც ძალაუფლებისა და ძალადობისაკენ ლტოლვით შეპყრობილი იმპერია მუდამ ღალატობდა.

რუსი ინტელიგენციის მამამთავარი რადიშჩევი[71] იყო. სწორედ მან იწინასწარმეტყველა და განსაზღვრა მისი ძირითადი ნიშნები. როდესაც რადიშჩევმა თავის „მოგზაურობაში პეტერბურგიდან მოსკოვში“ დაწერა: „გარშემო მიმოვიხედე და, კაცთა ტანჯვის მნახველს, მეტკინა გული“, — ამ სიტყვებთან ერთად დაიბადა რუსი ინტელიგენცია. რადიშჩევი XVIII საუკუნის რუსეთის ყველაზე აღსანიშნავი მოვლენაა. მასში, რა თქმა უნდა, შეიძლება აღმოვაჩინოთ რუსოსა და ბუნებრივი უფლებების შესახებ მოძღვრების გავლენა. ის აღსანიშნავია არა აზრის, არამედ გრძნობის ორიგინალურობით, სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვით. ბატონყმობის უსამართლობა უდიდეს ტკივილს ანიჭებდა და ის პირველი იყო, ვინც ამ უსამართლობის დასაგმობად ხმა აიმაღლა. რადიშჩევი ერთ-ერთი პირველი რუსი ხალხოსანია[72]. მისთვის მთავარია არა სახელმწიფო, არამედ ხალხის კეთილდღეობა. მისი ბედიც რევოლუციური ინტელიგენციის ბედის მომასწავებელია: ჯერ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და შემდეგ განაჩენი ციმბირში ათწლიანი გადასახლებით შეუცვალეს. ჭეშმარიტად საოცარია რუსი ინტელიგენციის შემწყნარებლობა და სხვისი ტკივილისადმი მგრძნობიარობა. რუსული აზროვნება მუდამ სინამდვილის კეთილმოწყობით იქნება დაკავებული. და ყოველივე ახლის შეცნობა და ათვისებაც ამ სახის ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული. შემოქმედებით სწრაფვაში რუსები ეძებენ არა იმდენად სრულყოფილ ნაწარმოებს, არამედ, უპირატესად, სრულყოფილ ცხოვრებას. თვით რუსული რომანტიზმიც კი ნაცვლად სინამდვილისაგან გაქცევისა, სინამდვილის გაუმჯობესებას ცდილობდა. დასავლურ აზრში რუსები, უპირველეს ყოვლისა, ეძებდნენ ძალასა და საშუალებას საკუთარი შეუხედავი სინამდვილის გასაუმჯობესებლად, რასაც პოულობდნენ კიდეც გერმანულ ფილოსოფიურ აზრსა და ფრანგულ სოციალურ აზრში. „მკვდარი სულების“[73] წაკითხვის შემდეგ პუშკინმა შესძახა: „ღმერთო, რა სევდისმომგვრელია ჩვენი რუსეთი!“ ამასვე გაიძახოდა რუსი ინტელიგენცია მთელი XIX საუკუნის განმავლობაში. რუსული სინამდვილის ამ გაუსაძლისი სევდისაგან ის იდეალურ სინამდვილეს აფარებდა თავს. ამ იდეალურ სინამდვილეს ხან პეტრემდელ რუსეთში პოულობდა, ხან დასავლეთში, ხანაც მომავალ რევოლუციაში. რუსულ ემოციურ რევოლუციურობას სინამდვილის ეს აუტანლობა, სიმახინჯე და სიყალბე განაპირობებდა. ამასთან, ხდებოდა პოლიტიკური ფორმების გადაფასება. ინტელიგენცია იმპერიასა და ხალხს შორის ტრაგიკულ მდგომარეობაში მოექცა. ის იმპერიას ხალხის სახელით აუჯანყდა. XIX საუკუნის რუსეთი ჩამოყალიბდა ბატონყმობის ბორკილებით შებოჭილი ვეება გლეხური სამეფოს სახით, რომელსაც სათავეში ერთმმართველი მეფე ედგა და ვისი ძალაუფლებაც სამხედრო ძალის გარდა ხალხის რელიგიურ ცრურწმენასაც ეყრდნობოდა; ეს იყო სამეფო ძლიერი ბიუროკრატიით, რომელიც კედლად აღიმართა მეფესა და ხალხს შორის; მონათმფლობელი მემამულეებით, რომელთა დიდი უმრავლესობა გაუთლელი და თავკერძა იყო; და ძალზე მცირერიცხოვანი კულტურული ფენით, რომლის გახლეჩა და გასრესაც ადვილად შეიძლებოდა. ინტელიგენცია გაისრისა კიდეც ორ ძალას, მეფის ძალაუფლებასა და ხალხის სტიქიას შორის. ეს უკანასკნელი ინტელიგენციას იდუმალ ძალად წარმოედგინა. ის საკუთარ თავს ხალხის პირისპირ აყენებდა, მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა და მთელი გულით სურდა ხალხისათვის ემსახურა. თემა „ინტელიგენცია და ხალხი“ წმინდად რუსული თემაა, დასავლეთისათვის გაუგებარი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციას თითქმის გმირული არსებობა მოუწია და ამან მის ცნობიერებაში საშინელი არევ-დარევა გამოიწვია, შემოქმედებითი ცხოვრების მრავალ მხარეს მოსწყვიტა და სულიერად გააღარიბა. ხალხი დუმდა და ელოდა იმ გადამწყვეტ წუთს, როცა მას საკუთარი სიტყვა უნდა ეთქვა. როდესაც

ეს წუთი დადგა და სიტყვაც ითქვა, ეს აღმოჩდა ინტელიგენციის დევნა რევოლუციის მიერ, რომელსაც ის თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ამზადებდა.

XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენში არ არსებობდა ნამდვილი ფილოსოფია, ის ჯერ კიდევ თოთო ბავშვივით უსუსური იყო. შემდგომშიც დიდხანს არ მომხდარა ფილოსოფიური კულტურის ჩამოყალიბება, არსებობდნენ მხოლოდ ცალკეული მარტოხელა მოაზროვნენი. ჩვენი ფილოსოფია გაჩენისთანავე უპირატესად ისტორიის ფილოსოფიად ვითარდება, სწორედ ისტორიოსოფიული თემატიკა ანიჭებს მას ტოტალურ ხასიათს. ფილოსოფიური აზრის ჭეშმარიტი გამოღვიძება ჩვენში გერმანული ფილოსოფიის გავლენით მოხდა.

გერმანული იდეალიზმი, კანტი, ფიჰტე, შელინგი, ჰეგელი განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ რუსულ აზროვნებაზე. რუსული შემოქმედებითი აზროვნება გერმანული იდეალიზმისა და რომანტიზმის ატმოსფეროში ვითარდება. საოცარია, რომ გერმანიამ რუსეთზე ორგვარი გავლენა იქონია. რუსული სახელმწიფოებრიობისათვის გერმანელების მოძალება მავნე და საბედისწერო აღმოჩნდა. მაგრამ გერმანული ფილოსოფიისა და სულიერი კულტურის გავლენა უაღრესად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. პირველ ფილოსოფოსებად ჩვენში შეიძლება ჩავთვალოთ ნატურფილოსოფიითა და ესთეტიკით გატაცებული შელინგიანელები: მ. პავლოვი, ი. დავიდოვი, გალიჩი, ველანსკი[74]. რუსული რომანტიზმის ყველაზე საინტერესო და ტიპიური წარმომადგენელი იყო თავადი ვ. ფ. ოდოევსკი[75]. რუსები საგანგებოდ ჩადიოდნენ ევროპაში შელინგის ლექციების მოსასმენად. შელინგს ძალიან უყვარდა რუსები და სწამდა რუსული მესიანიზმისა. საინტერესოა, რომ სენ-სიმონისა და პორტეჯის შესახებ შელინგმა ოდოევსკისგან შეიტყო. შელინგი ახლოს იცნობდა და დიდად აფასებდა ჩაადაევს[76]. რუსულ აზროვნებასთან მონათესავე ფილოსოფოს ფრ. ბაადერს[77] არაერთხელ შეხვედრია შევირიოვი[78] და შემდგომში ეწეოდა მისი მოძღვრების პოპულარიზაციას რუსეთში. 1823 წელს რუსეთში შეიქმნა სიბრძნის მოყვარულთა საზოგადოება (общество любомудрия), რომელიც ჩვენში ფილოსოფიური ურთიერთობის პირველ მცდელობას წარმოადგენდა. სიბრძნის მოყვარულნი პირველ ადგილზე აყენებდნენ არა პოლიტიკურ, არამედ სულიერ თავისუფლებას. მაგრამ შელინგიანელობა ჩვენთან შემოქმედებითი აზრის მოძრაობად ვერ ჩამოყალიბდა. დამოუკიდებელი ფილოსოფია ჯერ არ იყო დაბადებული. უფრო ნაყოფიერი გავლენა შელინგმა XX საუკუნის დასაწყისის რუსულ რელიგიურ ფილოსოფიაზე იქონია. შელინგიანელობის და, უფრო მეტად, ჰეგელიანელობის შემოქმედებითი ათვისება მოახდინეს არა შელინგიანელებმა, არამედ სლავიანოფილებმა. დამოუკიდებელ რუსულ ფილოსოფიურ აზროვნებაში რელიგიური, მორალური და სოციალური მოტივები ჭარბობს.

არსებობს ორი გაბატონებული მითოსი, რომელთაგან ერთ-ერთი შეიძლება გახდეს ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების მამოძრავებელ ძალად: ესაა მითოსი წარმოშობის შესახებ და მითოსი დასასრულის შესახებ. რუსებთან უფრო მძლავრად მეორე, ესქატოლოგიური მითოსი მოქმედებს. XIX საუკუნის მთავარი რუსული თემა შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ: მგზნებარე სწრაფვა წინსვლის, რევოლუციის, მსოფლიო ცივილიზაციის უკანასკნელი მონაპოვარის ათვისებისკენ, სოციალიზმისკენ და, ამავე დროს, უღრმესი და უმძაფრესი განცდა ამ ყოველივეს სიცარიელის, სიმახინჯის, უსულგულობისა და მეშჩანობისა.

ამ ისტორიულ მიმოხილვას დავასრულებ წმ. ალექსანდრე ნეველის[79] სიტყვებით, რომლებიც შეიძლება რუსეთისა და მისი ხალხისათვის დამახასიათებლად ჩათვალოთ: „ღმერთი ძალაში კი არა, სიმართლეშია“. რუსი ხალხის ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ რუსული ძალაუფლების მესვეურნი ამ სიტყვების ერთგულნი არ დარჩენილან.

რუსულიდან თარგმნა ***თამარ კოტრიკაძემ***

მთარგმნელის კომენტარები

1. წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს რუსი მოაზროვნის, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბერდიაევის (1878-1948) ამავე სათაურის მქონე ვრცელი ნაშრომის შესავალ თავს. თარგმანი იბეჭდება მცირე შემოკლებით.

2. ავტორს მოჰყავს რუსი პოეტის, ფეოდორ ივანეს ძე ტიუტჩევის (1803-1873) ცნობილი ოთხპწკარიანი ლექსი.

3. ხომიაკოვი, ალექსი სტეფანეს ძე (1804-1860), რუსი ფილოსოფოსი, ლიტერატორი, პუბლიცისტი, სლავიანოფილთა (იხ. მომდევნო კომენტარი) სოციალურ-ფილოსოფიური დაჯგუფების იდეოლოგი. მისი ნაწარმოებები ეროვნულ-ისტორიოსოფიული იდეოლოგიითაა განმსჭვალული. ბერდიაევი გულისხმობს მის ცნობილ ლექსს „რუსეთს“ და, შესაძლოა, ასევე ლექსს „ცოდვების მომნანიებელი რუსეთი“.

4. სლავიანოფილები — XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩამოყალიბებული რუსული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ნაციონალისტური მიმდინარეობა, რომლის მესვეურნიც სლავ ხალხებს რუსეთის თაოსნობით და მართლმადიდებლობის ნიშნით კულტურული და პოლიტიკური გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ „ზაპადნიკებს“, ვინც რუსეთის დასავლურ იდეოლოგიურ და კულტურულ ფასეულობებზე ორიენტირებას ემხრობოდა. სლავიანოფილთა მთავარი იდეოლოგი იყო ა. ს. ხომიაკოვი, ჯგუფის აქტიური წევრები იყვნენ: ძმები აქსაკოვები, ი. ვ. კირეევსკი და სხვები. სლავიანოფილთა ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისეთი მოღვაწეებიც, როგორც პოეტი ფ. ი. ტიუტჩევი და ენათმეცნიერი ვ. ი. დალი.

5. VIII საუკუნეში რელიგიურმა მოღვაწეებმა, სლავი ხალხების განმანათლებლებმა კირილემ და მეთოდემ შექმნეს სლავური დამწერლობა და ეკლესიურ-სლავური ენა, რომელიც საუკუნეების შემდეგაც გამოიყენებოდა საეკლესიო მწიგნობრობისა და წირვა-ლოცვისათვის. ამ ენაზე მათ თარგმნეს წმინდა წერილი და სხვა რელიგიური ტექსტები.

6. რუსეთის მეფემ პეტრე I-მა (1672-1725) გრანდიოზული მასშტაბის რეფორმებით მთლიანად შეცვალა რუსეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფერო, მანამდე იზოლირებული სახელმწიფო დასავლურ მოდელს მიუახლოვა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩააბა.

7. კლიუჩევსკი, ვასილ ოსიპის ძე (1841-1911) – გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი.

8. ჰერცენი, ალექსანდრე ივანეს ძე (1812-1870), მოსკოველი თავადის, ი. იაკოვლევისა და გერმანელი ქალის, ლუიზე ჰააგის უკანონო შვილი. მისი გამოგონილი გვარი უკავშირდება გერმანულ სიტყვას „Herz“ („გული“). რუსი პროზაიკოსი და პუბლიცისტი, რევოლუციურად განწყობილი მოღვაწე.

9. ფეოდორ მიხეილის ძე დოსტოევსკი (1821-1881) და ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828-1910) — დიდი რუსი კლასიკოსი მწერლები.

10. Сму́тное вре́мя – ასე ეწოდება რუსეთის ისტორიის პერიოდს 1598 წლიდან 1613 წლამდე, როდესაც ქვეყანა უმძიმესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის მსხვერპლი გახდა. იოანე მრისხანეს სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე 1613 წელს ბოიარების საბჭომ არ აირჩია მეფედ მიხეილ თევდორეს ძე რომანოვი, რომელმაც საფუძველი ჩაიყარა ახალ სამეფო დინასტიას და ქვეყანაში სტაბილურობა დაამყარა.

11. Раскол — ამ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში რუსული ეკლესიის შიგნით XVII საუკუნეში მომხდარი განხეთქილება, რომლის შედეგადაც მთელი საზოგადოება გაიხლიჩა ორ ნაწილად: რელიგიური რეფორმების მომხრეებად ანუ ნიკონიანელებად (პატრიარქ ნიკონის სახელის მიხედვით) და ძველი საეკლესიო რიტუალების ერთგულ „სტაროვერებად“. განდგომილი „რასკოლნიკების“ სასტიკი დევნა არ შეწყვეტილა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. ფართო მასშტაბით დანახული ეს მოვლენა წარმოადგენდა არსებითად იმ ახალი, უცხო, დასავლეთიდან შემოსული კულტურის მიუღებლობას, რომელიც უკვე მეფე ალექსი მიხეილის ძის მმართველობისას აღწევდა რუსეთში, მისი ძის, პეტრე დიდის წყალობით კი გლობალური რეფორმების სახით მოედო ცხოვრების ყველა სფეროს. „რასკოლნიკები“ ანუ „სტაროვერები“ მცირე რაოდენობით დღესაც არსებობენ რუსეთის მოსახლეობას შორის.

12. დეკაბრისტებს უწოდებენ 1825 წლის 14 დეკემბერს მეფის მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების ორგანიზატორებს, რუსეთის არისტოკრატიისა და სამხედრო წოდების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. აჯანყება საგულდაგულოდ მზადდებოდა 1816-21 წლებში, როდესაც შეიქმნა რამდენიმე საიდუმლო ჯგუფი: ჩრდილოეთის საზოგადოება, სამხრეთის საზოგადოება, „ხსნის კავშირი“ და „კეთილდღეობის კავშირი“. დეკაბრისტთა პროგრამაში შედიოდა ბატონყმობის გაუქმება, უნიტარული რესპუბლიკისა და კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრება. ალექსანდრე I-ის გარდაცვალების მომდევნო თვეებში სამეფო ოჯახში მომხდარმა არეულობამ, რასაც მოჰყვა გარდაცვლილი მონარქის შუათანა ძმის, კონსტანტინეს მიერ ტახტზე უარის თქმა და უმცროსი ძმის, ნიკოლოზის გამეფება, დააჩქარა აჯანყება, მაგრამ სწორედ ამის გამო ის მოუმზადებელი და სტიქიური იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასში უამრავმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, ის ერთდღიანი გამოსვლების შემდეგ იქნა ჩახშობილი. სულ 579 მონაწილე იქნა დაპატიმრებული და დაკითხული. 1815 წლის 13 ივლისს ჩამოახრჩეს აჯანყების თაოსნები: პ. ი. პესტელი, ს. ი. მურავიოვ-აპოსტოლი, კ. ფ. რილეევი, მ. პ. ბესტუჟევ-რიუმინი, პ. გ. კახოვსკი, ხოლო 121 ადამიანი ციმბირში იქნა გადასახლებული.

13. ნიკოლოზ I (1796-1855) რუსეთის სამეფო ტახტზე 1825 წელს ავიდა. მისი მეფობა დეკაბრისტთა უსასტიკესი დასჯით დაიწყო და ასეთივე ყაზარმული უსულგულობის რეჟიმით გაგრძელდა.

14. მთავარი ვლადიმირ სვიატოსლავის ძე (გარდაიცვალა 1015 წელს), რომელმაც 988 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, დიდ როლს თამაშობს არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ხალხურ ტრადიციაშიც. ძველ რუსულ საგმირო სიმღერებში, ბილინებში, ის გვევლინება ისეთივე ფიგურად, როგორიც მეფე

ართურია ბრიტანულ ტრადიციაში: ის იდეალური ქრისტიანი ხელმწიფის ტიპად წარმოგვიდგება, მის კარზე კიევში საუკეთესო გმირები იკრიბებიან.

15. პირველი რუსი წმინდანები, ბორისი და გლები, კიევის მთავრის, ვლადიმირ სვიატოსლავის ძის უმცროსი ვაჟები, 1015 წელს სასტიკად იქნენ მოკლულნი თავიანთი უფროსი ძმის, სვიატოპოლკის მიერ. მათ შეგნებულად არ გაუწიეს წინააღმდეგობა მოძალადეს, რითაც ქრისტიანული თვინიერების გმირობა გამოიჩინეს. ძალადობისადმი მორჩილება რუსული ქრისტიანული მსოფლმხედველობის არსებითი მახასიათებელია.

16. სალოსობა (юродсво) რუსული მართლმადიდებლობის წიაღში წარმოქმნილი ტრადიციაა, რომელსაც საფუძვლად მოციქულ პავლეს სიტყვები უდევს: „ჩვენ შლეგნი [ვართ] ქრისტეს გულისთვის, ხოლო თქვენ ბრძენნი ქრისტეს მიერ...“ (კორ I, 4:10). სალოსები მოხეტიალე ბერები და რელიგიური მესაგრეები იყვნენ, რომლებსაც გონებრივი და ფიზიკური სისუსტე, უსუსურობა, სიღარიბე ღვთის განსაკუთრებულ მადლად მიაჩნდათ და ნებაყოფლობით იღებდნენ ჩვეულებრივი, სვეკეთილი მოსახლეობისაგან დაცინვას. თუმცა ხალხი სალოსებს ღვთის ადამიანებად თვლიდა, პატივს სცემდა და მუდამ უმასპინძლდებოდა. რუსული საეკლესიო ტრადიცია 36 წმინდა სალოსს იცნობს.

17. წარმართული და ქრისტიანული ტრადიციების თანაარსებობა გარკვეულწილად ევროპის ყველა კულტურას ახასიათებს, მაგრამ რუსეთში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, XI-XII საუკუნეებში, განსაკუთრებით გამოკვეთილად მოხდა ძველი ადათების, მითოსური სახეების თუ დღესასწაულების ახალთან დაკავშირება, რისი ცალკეული ნიშნებიც დღემდე შემორჩა.

18. ხლისტების ქრისტიანული სექტა XVII-XVIII საუკუნეებში შეიქმნა. მის დამაარსებლად ითვლება კოსტრომის გუბერნიის მკვიდრი გლეხი დანიილ ფილიპოვი. ხლისტები თავს „ღვთის ადამიანებს“ უწოდებენ, ხალხში მათ „христовщина“-ს სახელით მოიხსენიებდნენ. ისინი არ სცნობენ სამღვდელოებას, ღამ-ღამობით იკრიბებიან წმინდა წერილის საკითხავ-განსამარტად, ამ შეკრებების დროს ეწევიან თვითგვემას (სავარაუდოდ, ამიტომ დაერქვათ ხლისტები, რუსული სიტყვა „хлыст“-ის მიხედვით, რაც „მათრახს“ ნიშნავს) და როკვას, რომლის დროსაც ექსტაზურ მდგომარეობას აღწევენ.

19. რაზინი, სტეპან ტიმოთეს ძე (დაახლ. 1630-1671) — დონელი კაზაკი, 1670-71 წლების აჯანყების მეთაური, შემდგომში — ხალხური სიმღერების პერსონაჟი.

20. პუგაჩოვი, ემელიან ივანეს ძე (1742-1775) — დონელი კაზაკი, 1773-75 წლების გლეხთა ომის მეთაური. თავი გამოაცხადა, ვითომდა, სიკვდილს გადარჩენილ რუსეთის იმპერატორ პეტრე III—დ (1728-1762), თუმცა ამისი მის უახლოეს თანამზრახველებსაც კი არ სჯეროდათ.

21. Бегуны — XVII საუკუნის რუსეთის საეკლესიო განხეთქილების შემდგომ წარმოშობილი „რასკოლნიკური“ მოძრაობის ერთ-ერთი სექტა.

22. Странники — ასე ეწოდებოდა ერთ-ერთ „რასკოლნიკურ“ რელიგიურ დაჯგუფებას. უფრო ფართო გაგებით ეს ცნება ზოგადად მომლოცველ ყარიბს ნიშნავს. მუდმივ საცხოვრისზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე უარის თქმა და ღვთის ძიება დაუსრულებელი ხეტიალის გზით — რუსი ხალხის რელიგიურ წარმოდგენაში ღვთისმოსაობის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და მისაბაძი ფორმა იყო.

23. ფედოტოვი, გიორგი პეტეს ძე (1886-1951) — რუსი რელიგიური მოაზროვნე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში. მას ეკუთვნის ნარკვევები რუსეთის ისტორიის, რუსი ინტელიგეციის, რუსული და ევროპული შუა საუკუნეების კულტურის შესახებ. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია ჰაგიოგრაფული მასალის კვლევაზე აგებული „ძველი რუსეთის წმინდანნი“ (1931).

24. კენოზისი (ბერძნ. „დაცარიელება“, „გამოფიტვა“) — ქრისტიანული თეოლოგიის ტერმინი, რომელიც გულისხმობს ქრისტეს მიერ ნებაყოფლობით თვითდამცირებას, რაც მის განკაცებასა და მოწამეობრივ სიკვდილში გამოიხატა.

25. იოსებიანელობა — XVII საუკუნის რუსეთის საეკლესიო განხეთქილების ერთ-ერთი ფრთა, რომელსაც სათავეში საეკლესიო მოღვაწე, შემდგომში წმინდანად შერაცხული იოსებ ვოლოკოლამელი (1440-1515) ედგა. მოსკოვის მახლობლად ვოლოკოლამის მონასტრის დამაარსებელი და იღუმენი, იოსები ამტკიცებდა, რომ მონასტრებს უფლება აქვთ, იქონიონ მიწები და ზოგადად, მატერიალური ქონება, მაშინ, როდესაც მისი ოპონენტი ნილ სორელი სამღვდელოებას, იესოსა და მის მოციქულთა მსგავსად, „მოუხვეჭელი“ ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა.

26. ნილ სორელი (1433-1515) — რუსი წმინდანი და მნიშვნელოვანი რელიგიური მოღვაწე. ბერად აღიკვეცა კირილო-ბელოზიორის მონასტერში, შემდეგ დიდხანს იმოგზაურა პალესტინაში, კონსტანტინეპოლსა და ათონზე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დააფუძნა „სკიტი“, ანუ მცირე მონასტერი, სადაც იზოლირებულ ცხოვრებასა და მწიგნობრულ საქმიანობას ეწეოდა. ნილ სორელი ქადაგებდა მატერიალურ სიმდიდრეზე უარის თქმასა და რელიგიურ შემწყნარებლობას, რის გამოც განუწყვეტელ მწვავე კამათში იყო ჩაბმული იოსებ ვოლოკოლამელსა და მის მიმდევრებთან. ეს ორი საეკლესიო მოღვაწე თავიანთი არსით ქრისტიანობის ორ პოლარულ სახედ გვევლინება: იოსები ოფიციალური, მკაცრი და შეუწყნარებელი ეკლესიის განსახიერებაა, ნილ სორელი კი — თვინიერი, შემრიგებელი, სულიერების საიდუმლოებებში ჩაღრმავებული რელიგიური ფილოსოფოსის ტიპს წარმოადგენს.

27. იოანე ვასილის ძე IV მრისხანე (1530-1584) — რუსეთის პირველი მეფე (მანამდე რუსეთის მმართველები დიდ მთავრებად იწოდებოდნენ). ტერიტორიების მიერთებით, უცხოეთთან ვაჭრობის ხელშეწყობითა და რეფორმებით გააძლიერა სახელმწიფო, მაგრამ მისი შიდა პოლიტიკა უწყვეტი რეპრესიების ხასიათს ატარებდა. 1565 წლიდა მან საკუთარი ერთმმართველობის გასამტკიცებლად შემოიღო „ოპრიჩნინას“, ანუ დამსჯელი რაზმების, ინსტიტუტი, რასაც შედეგად მოსახლეობის მასიური ძარცვა და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა.

28. მოსკოვის მესამე რომთან გაიგივების კლასიკურ კონცეპტუალურ ფორმულად იქცა მოსაზრება, რომელიც XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ფსკოვის ელეზარის მონასტრის ხუცესმა, ფილოფემ გამოთქვა მოსკოვის

დიდი მთავრის, ვასილ III ივანეს ძისადმი მიწერილ ეპისტოლეში: „ისმინე, ღვთისმოსაო მეუფეო, რომ ყოველი ქრისტიანული სამეფო შენს სამეფოში მოექცა და გაერთიანდა, რომ ორი რომი დაეცა, მესამე კი მყარად დგას, ხოლო მეოთხეს ყოფნა არ უწერია“.

29. კეისარი აუგუსტუსი (ძვ. წ 63-ჩვ. წ. 14) — რომის იმპერატორი.

30. რიურიკი — რუსი მთავრების, შემდგომში მეფეების გვარის ლეგენდარული წინაპარი, რომლის სახელის მიხედვითაც ისინი რიურიკოვიჩებად იწოდებოდნენ. მატიანეში გადმოცემული ისტორიული თქმულების თანახმად, რუსეთის სახელმწიფოებრიობის დაარსება უკავშირდება სამი ვარიაგი (ნორმანი) მთავრის, ძმებ რიურიკის, სინეუსისა და ტრუვორის ჩამოსვლას. მათ, რუსი ხალხის წინაპართა თხოვნით, დააარსეს პირველი სამთავრო და წესრიგში მოიყვანეს მანამადე მოუვლელი და დაქსაქსული ქვეყანა. XIX საუკუნის ისტორიკოსი კარამზინი თავის კლასიკურ ვრცელ ნაშრომში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ ამ თქმულებას ისტორიულ ფაქტთან აიგივებს, თუმცა თანამედროვე ისტორიკოსებს (მაგ. ლევ გუმილიოვს) ამ ფაქტის სიზუსტეში ეჭვი ეპარებათ.

31. პერიფრაზი სახარებისეული გამონათქვამისა: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“ (მათე, 22:21).

32. “Домострой” — ძველი რუსული დიდაქტიკური კრებული, რომელიც შეიცავს საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის და მეურნეობის წარმოებისათვის განკუთვნილ რჩევა-დარიგებებს. ყველაზე უფრო გავრცელებული იყო XVI საუკუნის რედაქციის სახით, რომლის მომზადებასაც იოანე მრისხანის პირად მოძღვარს, მღვდელმთავარ სილვესტრს მიაწერენ.

33. აქსაკოვი, ივანე სერგის ძე (1823-1886) — რუსი პუბლიცისტი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე, სლავიანოფილთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

34. ეპითეტით „вольница“, უპირველეს ყოვლისა, მოიხსენიებოდა დონის კაზაკების თავისუფალი დაჯგუფებები, რომლებიც არ სცნობდნენ ადმინისტრაციულ სახელმწიფოებრივ ნორმებს და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელნი იყვნენ. კაზაკები — რომლებიც მნიშვნელოვან სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, — გარკვეულწილად პატივს სცემდნენ რუსეთის მეფის ძალაუფლებას, როგორც ღვთის ნების გამოხატვას, და ხშირად მეფის სამსახურშიც დგებოდნენ ხოლმე, მაგრამ იოლად შეეძლოთ განდგომოდნენ კიდეც, რასაც XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე დიდი აჯანყება ცხადჰყოფს: წამყვანი როლი ამ აჯანყებებში სწორედ კაზაკებმა ითამაშეს, აჯანყებათა მეთაურებიც (სტეფანე რაზინი, ემელიან პუგაჩოვი) კაზაკთა ატამანები იყვნენ.

35. ერმაკ ტიმოთეს ძე (გარდაიცვ. 1585) — კაზაკთა ატამანი, რომლის მეთაურობითაც მოხდა ციმბირის დაპყრობა და რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოქცევა.

36. შჩაპოვი, ათანასი პროკოპის ძე (1831-1876) — რუსი ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მწერალი, ფილოსოფოსი.

37. რუსი კლასიკოსი მწერალი და მოაზროვნე ლევ ტოლსტოი (1828-1910) ეძებდა ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრების სათავეებს, თავის რელიგიურ-ფილოსოფიურ თხზულებებში მან არაერთხელ გააკრიტიკა მართლმადიდებლურ-დოგმატური ღვთისმეტყველება, რითაც რუსეთის საეკლესიო სინოდთან დაპირისპირებაში შევიდა.

38. მაქსიმე ბერძენი (1470-1556) — საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, მოღვაწეობდა წმ. სერგის სამების მონასტერში. შერაცხულია წმინდანად.

39. მღვდელთმთავარი აბაკუმი, აბაკუმ პეტრეს ძე კონდრატიევი (1620/1621-1682) — „რასკოლნიკების“ მოძრაობის სულისჩამდგმელი, თავის მიმდევრებთან ერთად განიცადა სასტიკი დევნა სახელმწიფოსა და ოფიციალური ეკლესიის მხრიდან და, საბოლოოდ, მოწამეობრივი სიკვდილით დაიღუპა. რუსული რელიგიური მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორია. „რასკოლნიკები“ მას წმინდა მოწამედ აღიარებენ და მის გამოსახულებას ხატებზეც გამოსახავენ.

40. ქალაქი კიტეჟი — მითიური ქალაქი, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, ნიჟეგოროდის ოლქში მდებარეობდა. თათარ-მონღოლთა შემოსევისას ის სასწაულებრივად გადაურჩა აოხრებას იმით, რომ წყლით დაიტბორა და დღემდე განაგრძობს არსებობას ტბა სვეტლოიარის ფსკერზე. „რასკოლნიკთა“ ზოგიერთმა სექტამ ამ ლეგენდისაგან ე. წ. „სვეტლოიარის კულტი“ შექმნა: მათთვის კიტეჟი, ზეციური იერუსალიმის მსგავსად, მარადისობაში არსებული ის სანატრელი ადგილია, სადაც უცოდველი და მშვიდი ცხოვრებაა შესაძლებელი.

41. მეფე ალექსეი მიხეილის ძე (1629-1676) — რუსეთის მეორე სამეფო დინასტიის, რომანოვების მეორე წარმომადგენელი, რეფორმატორი მეფის, პეტრე I-ის მამა. თავისი კეთილი ხასიათისა და მშვიდობიანი პოლიტიკის გამო დაიმსახურა ეპითეტი „უმშვიდესი“ (Тишайший), თუმცა სწორედ მისი მეფობის ხანას დაემთხვა ნიკონისეული რეფორმებით გამოწვეული განხეთქილება რუსულ ეკლესიაში. მის ხანაშივე დაიწყო რუსეთის შემობრუნება დასავლური კულტურისაკენ, რაც პეტრე დიდის გლობალური რეფორმების საწინდარად იქცა.

42. ნიკონი (1605-1681) — მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, რუსული ეკლესიის რეფორმატორი. მან მიუახლოვა რუსული მართლმადიდებლური რიტუალები და დოგმები ბერძნულ და დასავლეთევროპულ ტრადიციებს (ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება იყო მის მიერ შემოღებული წესი პირჯვრის ორის მაგიერ სამი თითით გადაწერის შესახებ), რითაც გამოიწვია საზოგადოების დიდი ნაწილის სასტიკი პროტესტი, დიდ საეკლესიო განხეთქილებაში რომ გადაიზარდა. რეფორმა ემუქრებოდა რუსული მართლმადიდებლობის ეროვნულ თვითმყოფადობას, რასაც დაჟინებით და თავდადებით იცავდნენ „რასკოლნიკები“.

43. скит — მართლმადიდებლობაში ასე იწოდება დამოუკიდებლად ან მონასტერთან არსებული განდეგილის სავანე. „სკიტის“ ბინადარი ბერები დამატებით აღთქმას ასრულებენ (მაგალითად, განსაკუთრებულად მძიმე მარხვის ან დამატებითი ლოცვის აღთქმას). „რასკოლნიკებთან“ „სკიტი“ ეწოდება როგორც მცირე ზომის მონასტერს, ასევე სამონასტრო ტიპის დასახლებას.

44. სლავიანოფილები რუსული ეროვნული თვითმყოფადობის მგზნებარე დამცველები იყვნენ (იხ. კომენ-

ტარი 4), ამიტომაც ისინი სასტიკად აკრიტიკებდნენ პეტრე I-ის პოლიტიკას, რომელიც ევროპის ქვეყნებთან უმჭიდროვეს კონტაქტებსა და მათი ეკონომიკური და ტექნიკური გამოცდილების გამოყენებას ითვალისწინებდა.

45. ეკატერინე II (1729-1796) — თავდაპირველი სახელი: სოფი აუგუსტა ფრედერიკა ფონ ანჰალტ-ცერბსტ-დომბურგი. 1762 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოართვა რუსეთის ტახტი თავის უნიათო მეუღლეს, პეტრე III-ს და რუსეთის იმპერატორი გახდა. მისი ხელმწიფობის პერიოდი რუსეთის იმპერიის „ოქროს ხანად“ ითვლება. თუკი პეტრე I-მა ტექნიკური და მატერიალური გაგებით მიუახლოვა რუსეთი ევროპის ქვეყნებს, ეკატერინეს შიდა პოლიტიკისა და სამხედრო გამარჯვებების წყალობით მოხდა რუსი ხალხის ეროვნული სულის აღზევება, რუსმა ერმა პირველად შეიგნო, რომ ის არაფრით ჩამოუვარდება ევროპის ერებს და რომ მისი სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

46. წმ. დმიტრი როსტოველი (1651-1709) — ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ორატორი.

47. ლომონოსოვი, მიხეილ ვასილის ძე (1711-1765) — პირველი მსოფლიო მნიშვნელობის რუსი მეცნიერი, გამომგონებელი, განმანათლებელი, პოეტი. უბრალო გლეხის ოჯახში დაბადებულმა ყმაწვილმა ფეხით გამოიარა გზა მშობლიური სოფლიდან სანქტ-პეტერბურგამდე, რათა განათლება მიეღო. მოღვაწეობდა ბუნებისმეტყველების, ფიზიკის, ქიმიის სფეროებში. საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე რუსული ენის სამეტყველო ნორმებს.

48. ნოვიკოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე (1744-1818) — რუსი განმანათლებელი, მწერალი, გამომცემელი. რუსეთში საგამომცემლო საქმის ფუძემდებელი. თავის თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად მან დააარსა „ტიპოგრაფიული კომპანია“, გამოსცემდა არაერთ საგანმანათლებლო და სატირიკულ ჟურნალს, მისი თაოსნობით ითარგმნა და გამოიცა ევროპის მნიშვნელოვან ავტორთა (დ. დიდრო, ჟ. ჟ. რუსო, გ. ე. ლესინგი და სხვ.) ნაწარმოებები. 1770 წლიდან — მასონთა დარბაზის წევრია. 1792 წელს, ეკატერინე II-ის მეფობის ხანაში, მას სასამართლოს გარეშე მიესაჯა თხუთმეტწლიანი პატიმრობა შლიუსელბურგის ციხე-სიმაგრეში. პავლე I-ის მეფობის დროს იგი გაანთავისუფლეს, მაგრამ უწინდელი საქმიანობის გაგრძელების ნება არ დართეს.

49. სამივე ნ. ნოვიკოვის ჯგუფის აქტიური წევრია: შვარცი, ივანე გრიგორის ძე (გარდაიცვ. 1784 წ.) — მწერალი, მოსკოვის უნივერსიტეტის გერმანული ენის პროფესორი; ლაპუხინი, ივანე ვლადიმირის ძე (1756-1816) — სახელმწიფო მოღვაწე, სენატორი, პუბლიცისტი; გამალეა, სიმონ ივანეს ძე (1743-1822) — მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიისა და სენატის თანამშრომელი, განსაკუთრებული სიკეთისა და საქველმოქმედო საქმიანობის გამო მას „ღვთის კაცი“ შეარქვეს.

50. სკოვოროდა, გრიგორი საბას ძე (1722-1794) — უკრაინული წარმოშობის რუსულენოვანი ფილოსოფოსი, პოეტი, პედაგოგი.

51. ალექსანდრე I პავლეს ძე (1777-1825) — რუსეთის იმპერატორი 1801 წლიდან, მეტსახელად „კურთხეული“ — „Благословенный“. ერთი მხრივ, სულიერად დახვეწილი და გონიერი მონარქი, რომლის დროსაც რუსეთში მოხდა სულიერებისა და კულტურის მანამდე არნახული განვითარება, მეორე მხრივ, მოქცეული იყო ისეთ სასტიკ და ცბიერ მოხელეთა (მაგალითად, არაკჩეევის — იხ. კომენტ. 58) გავლენის ქვეშ, ვისი წყალობითაც მაღალ ფენებში არ წყდებოდა ინტრიგები და რეპრესიები, უბრალო ხალხი და რიგითი ჯარისკაცები კი უმოწყალოდ იჩაგრებოდნენ. ალექსანდრე I-ის მეფობის დროს რუსეთმა 1812 წელს ბრწყინვალედ გაიმარჯვა ნაპოლეონთან ომში და მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა ევროპის ქვეყნებს შორის.

52 რუსეთის ბიბლიური საზოგადოება ქრისტიანული ზეკონფესიური ორგანიზაციაა, რომელიც ბიბლიის თარგმნითა და რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელებითაა დაკავებული. დაარსდა 1813 წელს და აქტიურად მოღვაწეობდა XIX საუკუნის განმავლობაში. 1990-91 წლებში განაახლა ოქტომბრის რევილუციის შემდეგ შეწყვეტილი საქმიანობა.

53. წმინდა საბჭო (გერმ. Heilige Allianz) — რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის კონსერვატიული ალიანსი, რომელიც ითვალისწინებდა 1815 წლის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების მხარდაჭერას.

54. კვაკერები (ინგლ. სიტყვისაგან „quake“ — „ცახცახი“, „როკვა“) — რადიკალური პროტესტანტული რელიგიური კონფესია, რომელიც XVII საუკუნეში ინგლისში შეიქმნა.

55. ლაჰარპი, ამედეუს ემანუელ (1754-1796) — ფრანგი გენერალი.

56. იმპერატორი პავლე I 1801 წლის 12 მარტს თავის სასახლეში იქნა მოკლული შეთქმულების მონაწილეთა მიერ.

57. არაკჩეევი, ალექსი ანდრიას ძე (1769-1834) — სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გრაფი, არტილერიის გენერალი. თავი გამოიჩინა ნაპოლეონთან ომში. სარგებლობდა ალექსანდრე I-ის განსაკუთრებული ნდობითა და სიმპათიით, თანამედროვეთა შორის კი ცნობილი იყო თავისი სისასტიკით, უსულგულობითა და ცინიზმით. შექმნა, ე. წ. სამხედრო დასახლებები, რისთვისაც ძალდატანებით მოწყვიტა გლეხები დასახლებულ ადგილებს და ოჯახებთან ერთად ყაზარმის ტიპის უსასტიკესი რეჟიმის ბანაკებში მოათავსა.

58. მეტერნიჰი, კლემენტ ვენცელ ლოთარ (1773-1859) — ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მინისტრი.

59. რუნიჩი, დმიტრი პავლეს ძე (1780-1860) — სანქტ-პეტერბურგის მაზრის სასწავლებელთა მთავარი სამმართველოს წევრი, რომლის ობსკურანტიზმსაც არაერთი პედაგოგისა და უნივერსიტეტის პროფესორის კარიერა შეეწირა.

60. არქიმანდრიტი ფოტია, საერო სახელი: პეტრე ნიკიტას ძე სპასსკი (1792-1838) — გავლენიანი საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც აღადგინა არარერთი მიტოვებული და მოუვლელი მონასტერი. მკაცრი კონსერვატორი, გამოირჩეოდა განსაკუთრებული რელიგიური შეუწყნარებლობით. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე I ყველა კონფესიასა და მისტიკურ მიმდინარეობას სცემდა პატივს, ის გარკვეულწილად მაინც ამ ობსკურანტი მღვდელმთავრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

61. გოლიცინი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1773-1844) — სახელმწიფო მოღვაწე, მისტიკოსი, 1803 წლიდან — სინოდის ობერ-პროკურორი, 1813 წლიდან — რუსეთის ბიბლიური საზოგადოების თავმჯდომარე, 1817-24 წლებში სახალხო განთლებისა და სასულიერო საქმეთა მინისტრი.

62. ჩაცკი, ფამუსოვი და მოლჩალინი — რუსი მწერლისა და დიპლომატის, ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟები.

63. პესტელი, პალე ივანეს ძე (1793-1826) — დეკაბრისტების ერთ-ერთი თაოსანი, პოლკოვნიკი, 1812 წლის სამამულო ომისა და უცხოეთის ლაშქრობების მონაწილე. დეკაბრისტების „ხსნის კავშირისა“ და „კეთილდღეობის კავშირის“ წევრი, სამხრეთის საზოგადოების დამაარსებელი და ხელმძღვანელი. აჯანყების დამარცხების შემდეგ პესტელი დააპატიმრეს და 1815 წლის 13 ივლისს ჩამოახრჩეს.

64. გოგოლი, ნიკოლოზ ვასილის ძე (1809-1852) — რუსი კლასიკოსი მწერალი, პროზაიკოსი, ფოლკლორულ მასალაზე აგებული და სატირიკული ხასიათის პროზისა და დრამების ავტორი.

65. ლერმონტოვი, მიხეილ იურის ძე (1814-41) — რუსი რომანტიკოსი პოეტი.

66. წმ. სერაფიმ საროველი, საერო სახელი: პროხორ ისიდორეს ძე მაშნინი (1754-1833) — XX საუკუნის დასაწყისში (და დღესდღეობით) ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული რუსი წმინდანი. კანონიზირებულ იქნა 1903 წელს მეფე ნიკოლოზ II-ის ინიციატივით. წლების მანძილზე ცხოვრობდა საროვოს მონასტერში, შემდეგ მის შორიახლოს ტყის განმარტოებულ სენაკში დაიდო ბინა. მფარველობდა იქვე არსებულ დივეევოს ქალთა მონასტერს. სიცოცხლეშივე გაითქვა სახელი წმინდა ცხოვრებით, სიბრძნითა და ნათელხილვით.

67. XVIII-XIX საუკუნეების ევროპის უდიდესი მოაზროვნენი: ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიჰ (1770-1831) — გერმანელი ფილოსოფოსი; შელინგი, ფრიდრიჰ ვილჰელმ იოზეფ ფონ (1775-1854) — გერმანელი ფილოსოფოსი; სენ-სიმონი, ანრი (1760-1825) — ფრანგი სოციოლოგი-რეფორმატორი; ფურიე, ჟან-ბატისტ ჟოზეფ (1768-1850) — ფრანგი მათემატიკოსი და ფიზიკოსი; ფოიერბახი, ლუდვიგ ანდრეას (1804-1872) — გერმანელი ფილოსოფოსი; მარქსი, კარლ (1818-1883) — გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი.

68. ონეგინი და პეჩორინი — პირველი ა. ს. პუშკინის რომან-პოემის „ევგენი ონეგინის“ პერსონაჟია, მეორე — მ. ი. ლერმონტოვის პროზაული ნაწარმოებისა „ჩვენი დროის გმირი“.

69. Разночинцы — ამ სახელწოდებით XVII-XIX საუკუნეების რუსეთში მოიხსენიებოდნენ ის პირები, ვინც არ ეკუთვნოდა არც არისტოკრატიას, არც სამხედრო, არც სასულიერო, არც ვაჭართა თუ მეშჩანთა წოდებას. როგორც წესი, ისინი იყვნენ ზემოთნახსენებ წოდებათა ოჯახების შვილები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ განათლება და ეწეოდნენ ლიტერატურულ ან პუბლიცისტურ საქმიანობას. საზოგადოების ამ წარმომადგენელთაგან თანდათან ფორმირდება რუსული ინტელიგენცია — უნიკალური სოციალური ფენა, რომლის მსგავსიც არ არსებობს ევროპის არც ერთ ქვეყანაში.

70. ფლოროვსკი, გიორგი ვასილის ძე (1893-1979) — რუსი მართლმადიდებელი მღვდელი, რელიგიური მოაზროვნე, ისტორიკოსი, ეკუმენისტი მოღვაწე, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი.

71. რადიშჩევი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1749-1802) — რუსი მწერალი, ფილოსოფოსი, პოეტი, სახელმწიფო მოხელე.

72. ხალხოსნები (Народники) — XIX საუკუნის რუსი ინტელიგენციის ნაწილი, ვინც თავისი საქმიანობით ცდილობდა, გაეუმჯობესებინა უბრალო ხალხის ყოფა და განათლების დონე. არსებობდა ხალხოსანთა ორი ფრთა: რადიკალური ანუ რევოლუციური და ლიბერალური.

73. „მკვდარი სულები“ — ნ. გოგოლის რომანის სათაური.

74. ეს მეცნიერები, პირველ რიგში, ცნობილნი არიან, როგორც რუსეთში შელინგის ფილოსოფიის პირველი მიმდევრები და პოპულარიზატორები: პავლოვი, მიხეილ გრიგორის ძე — ფიზიკის, მინერალოგიისა და სოფლის მეურნეობის პროფესორი, მედიცინის დოქტორი; დავიდოვი, ივანე ივანეს ძე (1794-1863) — პედაგოგი, მწერალი; გალიჩი, ნამდვილი სახელი: ალექსანდრე ივანეს ძე გოვოროვი (1784-1848) — ფილოსოფიის პროფესორი; ველანსკი, დანიილ მიხეილის ძე (1774-1847) — ფიზიოლოგიის პროფესორი.

75. ოდოევსკი, ვლადიმირ თევდორეს ძე (1803-1869) — რუსი თავადი, მწერალი, ფილოსოფოსი, პედაგოგი.

76. ჩაადაევი, პეტრე იაკობის ძე (1794-1856) — რუსი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი. მისი მრწამსი ასახულია მის მთავარ თხზულებაში „ფილოსოფიური წერილები“. მასში მკაფიოდ შეინიშნება შელინგის ნატურფილოსოფიის გავლენა. ჩაადაევის ფილოსოფიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული აზროვნების განვითარებისათვის: მან მრავალი გაგებით შეამზადა სლავიანოფილებისა და „ზაპადნიკების“ პოლემიკა. მოგვიანებით მისი მიმდევრები ფორმირდებიან „ზაპადნიკებად“, მისი ოპონენტები კი — სლავიანოფილებად. ჩაადაევის ნააზრევიდან გამომდინარეობს რუსული ფილოსოფიის ორი ძირითადი იდეა: სწრაფვა უტოპიის განხორციელებისაკენ და ეროვნული იდენტურობის ძიება.

77. ბაადერი, ფრანც (1765-1841) — გერმანელი ექიმი, სამთო ინჟინერი, ფილოსოფოსი. მუინჰენის რომანტიკული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. მისმა ნააზრევმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შელინგისეული ნატურფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე.

78. შევირიოვი, სტეფანე პეტრეს ძე (1806-1864) — რუსი ლიტერატურის კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი.

79. წმ. ალექსანდრე იაროსლავის ძე ნეველი (1220-1263) — ნოვგოროდის, შემდეგ კიევის მთავარი, შემდეგ — ვლადიმირის დიდი მთავარი. ისტორიაში შევიდა, როგორც დამპყრობლებთან ბრძოლებში გამარჯვებული ბრძენი პოლიტიკოსი. 1240-41 წლებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა დასავლეთიდან შემოჭრილ ტევტონთა ორდენთან ბრძოლებში. ოქროს ურდოსთან დიპლომატური ურთიერთობით ახერხებდა მონღოლთა მძარცველური თავდასხმების თავიდან აცილებას. 1547 წელს ეკლესიის მიერ კანონიზირებულია წმინდანად.

მამა ალექსანდრე მენი

პასუხობს მსმენელთა შეკითხვებს

თავისი სიცოცხლის სამი უკანასკნელი წელიწადის მანძილზე მამა ალექსანდრე მენმა სამასზე მეტი ლექცია წაიკითხა და ამ შეხვედრების ყოველ მეორე საათს ის მსმენელთა შეკითხვებზე პასუხის გაცემას უძღვნიდა. ჩვენი საზოგადოება მაშინ ის-ის იყო იღვიძებდა, ათეიზმის პირობებში გაზრდილი ადამიანები მოწყურებულნი იყვნენ რელიგიას, მათ სურდათ ყველაფერი გაეგოთ ქრისტიანობის შესახებ. ამ წიგნში შეგროვილია მამა ალექსანდრეს პასუხები უმნიშვნელოვანეს შეკითხვებზე.

რადიოგადაცემების შემდეგ მამა ალექსანდრეს უამრავი შეკითხვით სავსე წერილი მისდიოდა. უპირატესად ამ წერილებში ერთი და იგივე კითხვა მეორდებოდა: „რატომაა სამყაროში ამდენი ბოროტება?“ ლექციების მსმენელები მსგავსი შინაარსის ბარათებს აგზავნიდნენ: „ჩვენს ქვეყანაში ბოროტებისა და დანაშაულის არნახული სურათი გადაიშალა. თუკი ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ნუთუ მან არაფერი იცის ამის შესახებ? როგორ ითმენს ამას ღმერთი, რატომ არ აღავლენს სამართალს, რატომ არ უღებს ბოლოს უდანაშაულოთა ტანჯვას?“ ამგვარ შეკითხვებზე მამა ალექსადრეს მიერ გაცემული პასუხები დღითი დღე სულ უფრო აქტუალურია.

მოცემულ წიგნში მკითხველები ნახავენ პასუხს შეკითხვებზე იესო ქრისტეს, კეთილისა და ბოროტის, აღდგომის საიდუმლოსა და უკვდავების, ქრისტიანული სიყვარულისა და სიწმინდის შესახებ, აგრეთვე — ბიბლიის ყველაზე უფრო რთულად გასაგები ადგილების განმარტებას.

ამბობენ, რომ ბავშვობაში, როცა ჯერ, ეს-ეს იყო, წერას სწავლობდა, მამა ალექსანდრეს უკვე გამოჰყავდა ქაღალდზე მოციქულ პავლეს სიტყვები: „კეთილითა სძლიე ბოროტს“. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის გვაფრთხილებდა: „მსოფლიო რელიგიათა გამოცდილება, სულიერი ტრადიციები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, მუდამ ემსახურებოდა ადამიანში მისი სულიერი საწყისის კულტივაციას. სულიერების პრობლემა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. თუკი არ შევიგრძნობთ ამას, თუკი არ ვეცდებით, მთელი პასუხისმგებლობით მივუდგეთ ამას, მაშინ ბანკროტებად წარვსდგებით უზენაესის წინაშე, როდესაც ის მოგვიხმობს“.

ამ წიგნზე მუშაობას ვუძღვნი ადამიანს, რომელმაც რწმენასა და ნათლობასთან მიმიყვანა: ვასილ ვასილის ძე ზაკუსოვს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთში ფარმაკოლოგური სკოლის ფუძემდებელს. 1952 წელს ის დაპატიმრებულ იქნა ცნობილ „ექიმების საქმესთან“ დაკავშირებით, როგორც „საშიში სახელმწიფო დამნაშავე“. ის ერთერთი იმ მცირეთაგანი აღმოჩნდა, ვინც, საშინელი წამების მიუხედავად, უარი თქვა ყალბი ჩვენების მიცემაზე და უდანაშაულო ადამიანების ცილისწამება არ ისურვა.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის გულითად მადლობას ვუხდი ს. ილუშენკოს, ე. ტარეევას, ო. ანდრეევს, ი. თუმანიანს. მათი მხარდაჭერის გარეშე ეს წიგნი, ალბათ, დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

ანასტასია ანდრეევა

ჩვენ საიდუმლოდან მოვდივართ და კვლავ საიდუმლოში ვბრუნდებით

ადამიანს ორი სამშობლო აქვს: ერთი ჩვენი დედამიწაა და მისი ის წერტილი, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. მეორე სამშობლო კი სულის ის იდუმალი საუფლოა, რომელსაც ჩვენი თვალი და ყური ვერ შესწვდება, მაგრამ რომელსაც ვეკუთვნით ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე. ჩვენ მიწის შვილები ვართ და, ამავე დროს, ამ ქვეყნის სტუმრებიც.

საიდან მოდის სამყაროში ადამიანის სული?

ამქვეყნად ბევრი რამაა ისეთი, რისი ახსნაც არ ძალგვიძს. არსებობს მრავალი საიდუმლო, რომელსაც რაციონალური გზით ვერ ჩავწვდებით. თქვენ ამბობთ, რომ ეს დაბადებისას გვეძლევა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მართლაც ასეა. არ არსებობს ზუსტი დოქტრინა ან დოგმატი იმის თაობაზე, თუ საიდან ეძლევა ადამიანს სული.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. პირადად მე შემდეგი აზრისა ვარ: დასაბამიდან ღმერთმა შექმნა ადამიანის ერთიანი სული, მხოლოდ ერთი, უნიკალური. ადამი თითოეულ ჩვენგანშია, და როდესაც ახალი სხეული ჩნდება, იმ ერთიან სულს ნაპერწკალივით გამოეყოფა ახალი პიროვნება და ახალ სხეულს ერწყმის. როგორც ჩვენი ადამიანური ორგანიზმია ერთიანი, — ყველას სისხლისმიერი გენეტიკური კავშირი გვაერთიანებს, ყველანი კაცობრიობის ერთი ხის მოდელები და ამ ხის რტოები ვართ, — ზუსტად ასევე, ყოველი სულიერი „მე“ ადამის ხის ცალკეული რტოა.

მაგრამ არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ადამიანის სული ყოველი დაბადებისას ცალკეული საგანგებო აქტის შედეგად იქმნება. მე ასე არ ვფიქრობ, რადგანაც, მაშინ ის სპეტაკად და უმწიკვლოდ უნდა დაბადებულიყო, მაგრამ, რაკიღა ადამიანს გაჩენისთანავე სტანჯავს ვნებები, ესე იგი, ის უმჭიდროეს კავშირშია კაცობრიობის საერთო სულთან. ყურადღება მიაქციეთ, რამდენჯერ ყოფილა ისტორიაში, რომ ერთურთისაგან ათასობით კილომეტრითა და კულტურული ტიხრებით დაშორებულ ქვეყნებში ანალოგიური მოვლენები მომხდარა, ანალოგიური მოძღვრებები და მსგავსი მიმდინარეობები გაჩენილა.

ყველანი ერთი მეორესთან ვართ დაკავშირებულნი და სწორედ ამით აიხსნება კაცობრიობის სულიერი და კულტურული ერთიანობა. მსგავსად იმისა, რომ პირველი ადამიანი თავის გენეტიკურ საფუძველში მთელ კაცობრიობას ატარებდა და ყოველი ჩვენგანის სხეული მხოლოდ კაცობრიობის ხეზე ამოსული ნერგი თუ რტოა, ასეა აქაც: სული ამქვეყნად ზევიდან კი არა, ისევ და ისევ ადამიანური მოდგმიდან მოვიდა.

არსებობს კაცობრიობის ერთიანი ველი — სწორედ ესაა ადამი. ადამი უბრალოდ ჩვენი წინაპარი როდია: ეს ჩვენ ვართ, ყველანი. როგორც ამბობს პოეტი ვიაჩესლავ ივანოვი: „Когда ж поймут, что Кришна знал и Гаутама, по ужаснувшимся звездам когда ж прочтут сыны Адама, что в них единый жив Адам?“ ვიაჩესლავ ივანოვს ეკუთვნის, აგრეთვე, მშვენიერი პოეტური სახე: დაცემის შემდეგ ადამს სძინავს და სიზმრად ხედავს კაცობრიობის ისტორიას მთელი მისი საზარელი დრამებით, ხოლო როდესაც გაიღვიძებს, კვლავაც მარტოა იმ მარადიული ხის ქვეშ. და მასში ჩვენ ვართ, ყველანი...

როგორ მოიაზრება სულის არსებობა მანამ, ვიდრე ის ჩასახულ ბავშვში შევა?

ჩემი აზრით, ის ადამიანური მოდგმის კოლექტიურ სულში მყოფობს, ეჭვი მეპარება, რომ ის ცალკე, ინდივიდუალური სულის სახით არსებობდეს.

რით განსხვავდება სული გონისაგან?

გონი ისაა, რაშიც ღვთის ხატი და მსგავსებაა აღბეჭდილი, ის, რაც მხოლოდ ადამიანს აქვს. ესაა შემოქმედებითი საწყისი, მოაზროვნე საწყისი, თვითშემმეცნებელი, უხილავი და უკვდავი. სული კი ფსიქიკაა, ის უფრო მჭიდროდ უკავშირდება სხეულს. სული ცხოველსაც

აქვს, თავისებურად — მცენარესაც კი. სული ორგანიზმის რეაქციაა გარეშე სამყაროზე: შიში, საკვების ძიება და ასე შემდეგ. ალბათ, გინახავთ ფილმებში, აჩქარებულ ფირზე, როგორ ტრიალდებიან ყვავილები მზისაკენ, როგორ იზრდებიან და იშლებიან ისინი. მათაც ძალუძთ მოძრაობა, ისინიც რაღაცას განიცდიან და შეიგრძნობენ.

მაშასადამე, სული ელემენტარული ფსიქიკაა, რომელიც ევოლუციის გზაზე ვითარდება და რთულდება. ის გვევლინება გონის სხეულად. ხოლო გონი არის შემოქმედება, სინდისი და ცნობიერება.

რა არის ადამიანში უკვდავი — გონი თუ სული?

გონია უკვდავი! სული უმარტივეს არსებებსაც აქვთ: ეს ფსიქიკაა, ელემენტარული ფსიქიკა. ჩატარდა ასეთი ცდა: წყალში საღებავის ნამცეცები ჩაყარეს. ერთუჯრედიანი ქალამანებიც იქვე დაცურავდნენ და ამ საღებავს ყლაპავდნენ. ცოტა ხანს იცურავეს და უკან გადმოაფურთხეს. ისევ იცურავეს და ისევ დაუწყეს ყლაპვა (ბუნებრივია: სულელი უმარტივესი არსებები არიან!), ისევ გადმოაფურთხეს. მერე კი ისწავლეს: დაცურავენ და აღარ ყლაპავენ. მაშასადამე, ისეთ ორგანიზმსაც კი, რომელსაც მხოლოდ მიკროსკოპის მეშვეობით ვხედავთ, უკვე გააჩნია რაღაც მიზანშეწონილი რეაქცია — სწორედ ესაა სულის ელემენტები. არსებობს ელემენტარული ფსიქიკა და რთული ფსიქიკა. მაგრამ გონი მასზე განუზომლად უფრო მაღლა დგას! ის ეყრდნობა ფსიქიკას, მაგრამ ის უკვე შემოქმედია.

ხშირად ფსიქიკა მხოლოდ და მხოლოდ იმას იმეორებს, რაც მემკვიდრეობითობაშია კოდირებული. თუკი წავს ქოხის აშენება უწევს, ის არასოდეს ააშენებს მთავრობის სასახლეს: ის აუცილებლად ააგებს თავის ქოხს, ეს მას გენებში აქვს, სრულიად გაუცნობიერებლად. ხოლო როდესაც ადამიანი შემოქმედებითად იღვწის, მას მშვენიერი რამეების გვერდით სასულელეებიც გამოსდის, მაგრამ ის ნებისმიერ შემთხვევაში ქმნის ახალს, მანამდე არარსებულს. გაიხსენეთ, რომ მხატვრებს მათი ხედვის ორიგნალობისათვის ვაფასებთ. არა იმისათვის, რომ სინამდვილის ასლს ქმნიან, არამედ იმისათვის, თუ სინამდვილის როგორი გარდატეხა ხდება მათში. ამის სახასიათო მაგალითია რერიჰი: ისეთი მთები, როგორსაც ის ხატავდა, მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობს. ესაა მის ცნობიერებაში გარდატეხილი, მის მიერ გარდასახული მთები. სწორედ ამით განსხვავდება ისინი ჰიმალაის მთების ფერადი ფოტოსურათისაგან.

მიმდინარეობს თუ არა სულის არსებობასთან დაკავშირებული კვლევები?

დიახ, მიმდინარეობს. ჩვენთან ამის დაწყებას აპირებდა არქიეპისკოპოსი ლუკა ვოინო-იასენეცკი, ცნობილი ქირურგი, რომელსაც ომის პერიოდში მიენიჭა სტალინის პრემია ნაშრომისათვის „ნარკვევები ჩირქოვან ქირურგიაში“. სწორედ მან მოამზადა პირველი მონახაზი ნაშრომისა „გონის, სულისა და სხეულის შესახებ“. ეს წიგნი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მხოლოდ საზღვარგარეთ გამოქვეყნდა. ეს ძალზე მოკლე ჩანახატია. მაგრამ სულის შემსწავლელ მეცნიერებას წინ დიდი პერსპექტივები აქვს, რადგან მასში ბოლო დროს პარანორმალური მოვლენების სფეროც ჩაერთო (ექსტრასენსები, პოლტერგაისტი და ა. შ). ეს ყოველივე გულდასმით შესწავლას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, რომ სული არაა მატერიალური, მაგრამ ის თითქოს გახვეულია განსაკუთრებული მატერიალური ფორმის გარსებში. ან, იქნებ, ეს უკვე აღარცაა მატერია...

გამაოცა მატერიალურისა და სულიერის ურთიერთდაპირისპირებამ. თუკი მიყვარს, მაშინ სიკეთის ქმედების საშუალებაც უნდა მქონდეს, ამას კი მხოლოდ მატერიალური ფასეულობების ფლობა მანიჭებს.

მართალია, სწორედაც რომ ასეა! მატერიალური აუცილებელი საშუალებაა სულიერის გამოხატვისათვის. ჩვენი საუბრის პროცესში ეს ორი საწყისი ერთმანეთს დავუპირისპირე, მაგრამ, ცხადია, თუკი ჩვენი სულიერი სიმაღლე და ცნობიერება არავითარ გავლენას არ

მოახდენს მატერიალურზე, მაშინ ჩვენი გარჯა ფუჭი და ხალვათი დარჩება. ეს იგივეა, რაც გიყვარდეს, მაგრამ არანაირად არ გამოავლინო შენი სიყვარული, გიყვარდეს ადამიანი და, პრაქტიკულად, ისე ექცეოდე, თითქოს მისდამი გულგრილი იყო. რაღაც კავშირი ხომ უნდა იყოს! უბრალოდ სულიერება ადამიანისთვის უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს. ისაა ყოველივეს პირველწყარო და ფესვი. ჩვენი ბედნიერებაც, პირველ რიგში, იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც ჩვენს შიგნითაა, და მერე უკვე იმაზე, რაც გარს გვერტყმის.

რა კავშირშია იუნგის არქეტიპები სულიერი ცხოვრების მოვლენებთან? შეიძლება თუ არა არქეტიპების დაკავშირება ადამიანის სამყაროში ყოფიერების თავისებურებებთან?

იუნგის მოძღვრება არქეტიპების შესახებ უაღრესად გაუგებარი, არაზუსტი და დაუმთავრებელია. მაგრამ ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს ის მაინც შეიცავს. ჩემი აზრით, ეს მარცვალი ზოგადადამიანური სულის ერთობაში მდგომარეობს. კარლ გუსტავ იუნგისათვის ეს ერთობა ღვთის პანთეისტურ გაგებაში გადადის, რასაც მე ვერ გავიზიარებ. მე მგონი, იუნგის მიერ აღქმული ქვეცნობიერის სამყარო, რაზედაც ის საკუთარ კონცეფციას ამყარებს, ეს ჩვენი ადამობის ფესვია, ჩვენი არსებობა ერთიანი ადამის, — მისი მეშვეობით კი, ცხადია, ღვთის, — წიაღში. იუგისთვის კი ფაქტობრივად არ არსებობს ზღვარი ზოგადადამიანური ერთეულის ამ შეუცნობელ ფესვსა და ღმერთს შორის. ის ძალზე კარგი ექიმი იყო, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უპასუხისმგებლო ფილოსოფოსი. უპასუხისმგებლო — იმ თვალსაზრისით, რომ ის არაარგუნენტირებულად მსჯელობდა.

ადამიანის გონი არსებობს მის ჩასახვასა და დაბადებამდე. რა ხდება სიკვდილის შემდეგ?

ღრმად მწამს, რომ სიკვდილი ვერ ანადგურებს ადამიანის გონს, რომ მარადისობაში იგივე ცნობიერება გაგვყვება, რაც აქ გვაქვს, თუმცა ამის გააზრება და წარმოდგენა ძალზე ძნელია. ალბათ, წაგიკითხავთ მოუდის წიგნი „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“ და მიგიქცევიათ ყურადღება იმაზე, რომ საიქიოდან მობრუნებულთა შორის თითქმის ვერავინ შეძლო იმის გადმოცემა, თუ რა სამყარო გადაეშალა თვალწინ: ჩვენ საამისოდ სიტყვებიც არ გაგვაჩნია.

რატომ ხდება, რომ ერთი ბავშვი გაჭირვებულ ოჯახში იბადება, მეორე კი — შეძლებულში? ერთი — აფრიკის უდაბნოში, მეორე კი — ლენინგრადში?

მართალი გითხრათ, ამ შეკითხვაზე პასუხი არ გამაჩნია: ეს საიდუმლოა. საერთოდ კი, იმიტომ, რომ ასეთი ბედი აქვს: ბედი ხომ სწორედ ისაა, რაც ჩვენს გარშემო არსებული გარემოებების სახით გვეძლევა.

მაგრამ რით დაიმსახურა მან ეს: რაიმე კარგი ან ცუდი ქმედებით?

ნუ ვიფიქრებთ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, რაღაცით დავიმსახურეთ ან „გამოვიმუშავეთ“. როდესაც ქრისტეს მოციქულებმა დაბადებიდან ბრმა კაცი იხილეს, მათ ჰკითხეს ქრისტეს: „რა დააშავა ამ კაცმა? თუ მისმა მშობლებმა? ვისი ბრალია ის, რომ ბრმად დაიბადა?“ ქრისტემ კი უპასუხა: „არავისი ბრალი არ არის: არც მისი, არც მშობლების. ეს უბედურება თავის იმიტომ დაატყდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო“. და ასეც მოხდა: მისი მეშვეობით გაცხადდა ღვთის დიდება. ცხოვრების გზაზე ნებისმიერი გზაგასაყარი მარადისობის პირისპირ გვაყენებს: საჰარაშიც და ლენინგრადშიც...

იბადებიან ავადმყოფი ბავშვები, რომლებიც ხშირად მალევე კვდებიან. რა კავშირშია მათი პირონება მათ სხეულთან?

მათი შინაგანი სხეული გაუღვივებელი თესლის მდგომარეობაში იმყოფება, ისევე, როგორც მათი სული. იმიტომ, რომ მათი გარეგნული გარსი, ფიზიკური სხეული, ვერ იქცა ინფორმაციის გამტარად. ეს ყოველივე ასეთი ჩანასახობრივი სახით დაუბრუნდება მარადისობას და იქ სხვა სახის განვითარებას ჰპოვებს. ამ თემას შეეხო გოეთე „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ეპილოგში. მისი თქმით, იმ ყრმებს, ვინც სიცოცხლეს ვერ ეღირსა, სხვა სამყაროში სხვა სიცოცხლე ეძლევათ. „ფაუსტის“ ეპილოგი ასეთ ნათელხილვას შეიცავს: არდაბადებული ყრმები სხვა გარდაცვლილებისაგან ეზიარებიან ცხოვრებისეულ სიბრძნეს. ეს უღრმესი საიდუმლოა.

როგორია თქვენს წარმოდგენაში ქვეცნობიერი?

ურთულესი შეკითხვაა იმიტომ, რომ ქვეცნობიერის წარმოსადგენად მისი გაცნობიერებაა საჭირო. ჩვენს შინაგან არსს, ძალზე პირობითად, მექანიკურად, სამ ძირითად ასპექტად დავყოფ: **ქვეცნობიერი** — ესაა სულისა და გონის ის სტიქიური თანაარსებობა, რომელშიც ერთი მჭიდროდაა მეორესთან გადახლართული და ორივეს ფესვები ზოგადადამიანურ ერთობაში, ადამში უდგას. შემდეგ მოდის **ცნობიერი** — ის შუალედური სფერო, რომელიც ყოველივეს შუქს ჰფენს და ცოტათი მაინც აერთიანებს. და ბოლოს — **ზეცნობიერი**, რომელშიც ცნობიერი კი არ ქრება, არამედ ფართოვდება იმდენად, რომ უკვე ღვთის სიახლოვის შეგრძნება ძალუძს, ძალუძს აღიქვას მეორე ადამიანი ისე, როგორც საკუთარი თავი. ამის დაფიქსირება ფსიქოლოგებს არ შეუძლიათ, ეს უკვე მეცნიერების ფარგლებს სცილდება. ამის თაობაზე ბევრს წერდა კანადელი მეცნიერი ბეკი, ექიმი და უოლტ უიტმენის მიმდევარი. იგი ამას *კოსმიურ ცნობიერებას* უწოდებდა. აი, ეს სამი ასპექტი. ჩემის აზრით, ისინი ადამიანის სხვადასხვა ასპექტს ემთხვევა.

რას წარმოადგენს, თქვენი აზრით, ქრისტიანის სინდისი — ღვთის წინაშე შიშს თუ სხვა რაიმე გრძნობას?

შიშს, მეგობრებო! მაგრამ ამ შიშს არაფერი აქვს საერთო იმასთან, რასაც განვიცდით, როცა გვეშინია სწრაფმავალი მატარებლის, მაღალი ძაბვის ან სხვა რაიმესი. ესაა ძრწოლა იმის წინაშე, რომ შეიძლება დავკარგოთ ღვთის სიყვარული, დავკარგოთ მარადისობის შეგრძნება. ამერიკელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი უილიამ ჯეიმსი მოგვითხრობს, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე, სიყმაწვილიდან მოკიდებული, თან დაჰყვებოდა განცდა იმისა, რომ ის მარტო არ არის (მიუხედავად იმისა, რომ ათეისტი იყო), რომ რაღაც უზენაესი საწყისი მუდამ მის გვერდითაა. ის თითქოს ყველაფერში ეთათბირებოდა ამ საწყისს, მისგან იღებდა გარკვეულ მითითებებს, უეცრად კი ეს განცდა გაუქრა. და მან ეს საშინელ, გამოუსწორებელ ტრაგედიად აღიქვა. სწორედ ესაა ღვთის წინაშე შიში. „შიში“ — იმიტომ, რომ შემოქმედი სულაც არ არის ღრუბელზე შემოსკუპებული კეთილი ბაბუ. წმინდა წერილი გვეუბნება: „საზარელია ცხოველი ღმრთის ხელში ჩავარდნა“. ეს რაღაც უკიდეგანო, უსასრულო ძალაა! და მასთან ხუმრობა არ შეიძლება. ამიტომაც, ეს განსაკუთრებული შიშია: ეს სულისმიერი ძრწოლაა.

ადამიანის ორი ნაწილის გაყოფა და ამ ნაწილების მიერ ერთი მეორის ძებნა — რას ნიშნავს ეს?

არის ასეთი პლატონისეული წარმოდგენა. ამაში რაღაც ჭეშმარიტება უნდა იყოს. არსებობენ ადამიანები, ერთურთისთვის რომ არიან გაჩენილნი. მაგრამ მზა მოდელები აქ არ გვაქვს. ჩვენ ხომ ასევე თავად ვქმნით საკუთარ თავს ერთი მეორისათვის. ეს აქტიური ურთიერთქმედებაა.

ცხოველებს ჩვენსავით გააჩნიათ ინდივიდუალობა, ახლობლობისა და სიყვარულის გრძნობა. უკვდავია თუ არა ცხოველის სული?

არასახუმარო შეკითხვაა, რადგანაც ბევრ ჩვენგანს უყვარს ცხოველები და საყვარელი ძაღლის, კატის ან თუნდაც ფრინველის სიკვდილს ძალზე მძიმედ განვიცდით. და ეს გამართლებულიცაა. დიახ, ცხოველებსაც აქვთ სული, ესე იგი შიშის, სიხარულის, სიყვარულის, ღალატის ემოციები. მაგრამ მათ არ გააჩნიათ გონი. ცხოველები არ ცხოვრობენ შემოქმედებითად, მათ არ გააჩნიათ არც კეთილისა და ბოროტის უზენაესი ცნებები და არც ისეთი გონება, მთელ სამყაროს რომ შეიცნობს. ცხოველის გონება ადამიანისაზე უფრო მდაბალია, ეს მცირე გონებაა, რომელიც მხოლოდ გარემოს პირობებზე მისადაგებისათვის გამოდგება. სამყაროს წვდომის უნარით აღჭურვილი შემოქმედებითი გონება ცხოველისათვის მიუწვდომელია. მაგრამ მე მწამს, რომ ცხოველშიც არის რაღაც უკვდავი. არსებობს აზრი, რომ ცხოველებს გარკვეული კოლექტიური უკვდავი სული აქვთ. შესაძლოა, მართლაც ასე იყოს. საერთოდ კი, ეს საკითხი მაინც ღიად რჩება.

აქვს თუ არა სული ადამიანის ემბრიონს ანდა ოლიგოფრენს?

დიახ, რა თქმა უნდა აქვს. ოლიგოფრენს? დიახ, მასაც აქვს სული. ადამიანს, რომელსაც ინსულტის შედეგად სრულიად წართმეული აქვს ცნობიერება? სული ამებასაც კი აქვს! მაგრამ ოლიგოფრენს ან ცნობიერებაწართმეულ ადამიანს გონი თითქოს კაფსულაში აქვს მოქცეული. ის დახშულია და განვითარების უნარი აღარ აქვს.

ერთი ასეთი გამოცდილება მაქვს. ადამიანი რამდენიმე კვირის განმავლობაში სრულიად უგონოდ იყო. როდესაც გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ, ვიდრე ის ცოცხალ გვამად მიგვაჩნდა, ის განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ურთიერთობდა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ადამიანებთან. მან შემდგომში მთელი ეპოპეა მიამბო.

ის, რაც ჩვენს შიგნით ხდება, ხშირად გამოუცნობად რჩება. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია კითხვა: როდის ჩნდება, როდის ისახება უკვდავი გონის ნაპერწკალი — ადამიანის ემბრიონალური განვითარების რომელ სტადიაზე? ეს საკამათო საკითხია, რომლის ამოხსნაც შეუძლებელია. ამიტომაც ეკლესია კატეგორიულად წინააღმდეგია აბორტის. ჩვენ არ ვიცით, რა მომენტიდან ხდება ადამიანი ღვთაებრივი ბირთვის მატარებელი და უფლება არ გვაქვს, მოვკლათ ის!

ცნობილია, რომ ოპერაციის პროცესში შეიძლება დაზიანდეს ადამიანის ტვინი, ამით მას გონება წაერთმევა. რა მოუვა ამის შედეგად ადამიანის გონს?

მოხდება მისი დაკაპსულება. საკუთარ თავში დახშობა. საერთოდ, ტვინის გარეშე ადამიანი იღუპება არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც.

შეუძლია თუ არა სულით ავადმყოფ ადამიანს უზენაეს სინამდვილესთან ურთიერთობა?

თუკი მისი პიროვნება არ არის დაზიანებული, ცხადია, შეუძლია.

ვინ არის მფარველი ანგელოზი? ჰყავს თუ არა ის თითოეულ ადამიანს?

დარწმუნებული ვარ, რომ ჰყავს. არსებობს მიღმიერთან რაღაც იდუმალი კავშირი. ეს სამყარო იმაზე ბევრად უფრო რთული და იდუმალია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

რატომ ჰყავდათ ასე ხშირად ღვთისაგან რჩეულ ქალებს მხოლოდ ერთი შვილი?

მე მგონი, იმიტომ, რომ შესძლებოდათ, მთელი ყურადრება იმ ერთისათვის დაეთმოთ.

ნებისმიერი ჩასახვა წმინდაა?

ჩასახვა, უპირველეს ყოვლისა, ფიზიოლოგიური აქტია. ის გვხვდება როგორც ცხოველთა სამყაროში, ისე ადამიანთანაც. თუ ამ კუთხიდან შევხედავთ, ეს მხოლოდ ჩასახვაა და სხვა არაფერი. მაგრამ, თუკი ადამიანები მოწადინებულნი არიან, გააჩინონ ბავშვი და კეთილად აღზარდონ ის, ბუნებრივია, ეს წმინდა და მართალი საქმეა.

როგორ ვილოცოთ იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ვერ დაიბადნენ?

უბრალოდ გვახსოვდეს, რომ ისინი არ დაღუპულან, მათმა სულებმა უმწიკვლოება შეინარჩუნეს.

განმარტეთ ლოცვის სიტყვები: „მომეც ხსოვნა სიკვდილისა“...

ჩემს ოთახში უცვლელად მიდევს თავის ქალა და, როდესაც სევდიანი ფიქრები შემომაწვება, შევხედავ ხოლმე მას და მახსენდება, რომ სული მარადიულია, ხორცი კი ხრწნადია. სწორედ ესაა „ხსოვნა სიკვდილისა“. უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე მხოლოდ მოკლე ხნით გვეძლევა, ეს მობილიზებულობას გვმატებს. ეს მორალურ ნებისყოფასაც გვიძლიერებს და საშუალებას არ გვაძლევს, ამაოების ჭაობში ჩავიძიროთ. „Memento mori” („გახსოვდეს სიკვდილი“) — ძალზე სასარგებლო რამაა.

რას იტყვით გენეტიკური მეხსიერების შესახებ?

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ჯერ ძალიან სუსტადაა შესწავლილი. არსებობს უამრავი არაადეკვატური და საკამათო ჰიპოთეზა. საერთოდ კი, ის ფაქტი, რომ გენები და სხვა მემკვიდრეობითი სტრუქტურები საკუთარ თავში წინაპართა გარკვეულ კვალს შეიცავენ, ძალზე ახლოა ჭეშმარიტებასთან. ახლა ხომ იმასაც ამტკიცებენ, რომ ამგვარ ინფორმაციას წყალიც კი ინარჩუნებს. მაგრამ ყველაფერი ეს შესწავლას მოითხოვს.

როგორ უყურებს რელიგია პითეკანტროპებს, ნიანდერტალელებს, შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს მათი გონის სრულფასოვნების თვალსაზრისით?

ჯერ ერთი, პითეკანტროპებსა და ნიანდერტალელებთან უშუალოდ საქმე არ გვქონია, თუ არ ჩავთვლით ჩვენს ზოგიერთ მეტისმეტად ენერგიულ თანამედროვეს. აი, შიზოფრენიით დაავადებულებს რაც შეეხება, ამ მხრივ უფრო კარგადაა საქმე.

უნდა ვაღიარო, ეს ძალზე საინტერესო და იდუმალი პრობლემაა. რას წარმოადგენდა ნიანდერტალელთა და პიტეკანტროპთა შინაგანი სამყარო? ჩვენთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ნიანდერტალელები თავიანთ მიცვალებულებს მარხავდნენ. ეს უკვე რაღაცაზე მეტყველებს. თუმცა ადამიანთან შედარებით ნაკლებგანვითარებული არსებები იყვნენ, რაღაც ინსტინქტი უკვე მათაც გააჩნდათ. ჯერჯერობით ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით. ისიც კი არ ვიცით, რამდენად განვითარებული ჰქონდათ მეტყველება. ცხადია, პიტეკანტროპებსა და ნიანდერტალელებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სრულყოფილი გონი. შიზოფრენიით დაავადებულებს შეიძლება ჰქონდეთ სრულყოფილი გონი, მაგრამ ამ გონის გარეთ, სხვა ადამიანებთან გამავალი არხები დაზიანებულია.

რა შეიძლება ითქვას დებილებზე, რომლებსაც შემოქმედებითი უნარი არ გააჩნიათ?

ეს იგივე საკითხია. საქმე გვაქვს გონთან, რომელსაც დაკარგული აქვს თვითგამოხატვის უნარი.

ნებაყოფლობითია თუ არა სიკვდილის წუთი? რა კავშირშია ის სულის მზადყოფნასთან?

ეჭვი მაქვს, რომ პირდაპირ კავშირშია. მაგრამ ეს დიდი საიდუმლოა და ჩემი მხრიდან თავხედობა იქნებოდა ამ თემაზე მსჯელობა.

არადა, ბევრჯერ შევჩეხებივარ იმის დასაბუთებას, რომ ჩვენს ცხოვრებასა და ბედისწერას რაღაც შინაგანი ლოგიკა მართავს. და, თუმცა უსაშველოდ ვდარდობთ პუშკინის ნაადრევი დაღუპვის გამო, რაღაც შინაგანი ლოგიკაა იმაში, რომ ის გაფურჩქვნის ხანაში წავიდა ამ ქვეყნიდან, და არა სიბერის ჟამს.

თუ გწამთ, რომ ადამიანის სიცოცხლე მარადიულია?

დიახ, რა თქმა უნდა. და არა მარტო ჩემთავად მწამს, არამედ დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ადამიანს გაუცნობიერებლად სწამს ამისა. ჯერ კიდევ ზიგმუნდ ფროიდმა გაუსვა ხაზი იმას, რომ ადამიანს არ სჯერა საკუთარი სიკვდილისა. ეს ამ დიდებული ფსიქიატრის არაჩვეულებრივი დაკვირვება გახლავთ. სხვათა შორის, ის დიდი ურწმუნო ვინმე იყო.

თქვენი დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის მიმართ?

უარყოფითი! სიკვდილით დასჯა ხომ შეუძლებელს ხდის იურიდიული შეცდომის გამოსწორებას, ამგვარი შეცდომა კი ძალზე ბევრი ვიცით...

რატომაა, რომ უკვდავება ადამიანისათვის ღიად არ გაცხადებულა?

ალბათ, იმავე მიზეზების გამო, რატომაც უფლება არ გვაქვს, უგულებელვყოთ ადამიანის თავისუფლება. ადამიანმა არჩევანი უნდა გააკეთოს! ამაში კი უდიდეს როლს რწმენა თამაშობს. ჩვენ ვირჩევთ სიკეთეს, ყოველივეს მიღმა რომ დგას. ძალიან მომწონს სიტყვები, რომლებიც გოეთეს ეკუთვნის: ის თავად არ ყოფილა ქრისტიანი, მაგრამ ამბობდა, რომ ჩვენი შემოქმედი მარადიული ძალა ჩვენს გონს უპატრონოდ არ მიაგდებს, ის ამგვარი რამეებით არ თამაშობს. ღმერთი აუცილებლად ჩაგვრთავს საერთო საქმეში. ეს იყო გენიალური ნათელხილვა ბუმბერაზი გონისა, ადამიანის, რომელიც ერთდროულად უმძაფრესად შეიგრძნობდა სხეულსაც და გონსაც. და, რა თქმა უნდა, დიდი ჭეშმარიტება ძევს მის სიტყვებში იმის თაობაზე, რომ ადამიანი არასოდეს ჩერდება, რომ ის სიკვდილის შემდგომაც განაგრძობს მოძრაობას. ზოგიერთი წმინდანის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი გახდა მისი გარდაცვალების შემდეგ. ვიცნობ ისეთ ადამიანებს, ცოცხლები რომ აღარ არიან, მაგრამ, როდესაც ფიქრით ვესწრაფვი მათკენ, ჩემსა და მათ შორის გარკვეული კონტაქტი მყარდება, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი დღესაც ჩაბმულნი არიან ამქვეყნიურ ცხოვრებაში. თუმცა, ამას ნორმას ვერ ვუწოდებთ, რადგან ადამიანთა უმრავლესობა მაინც საბოლოოდ მიდის.

აი, პარადოქსი: სიკვდილისა არ უნდა გვეშინოდეს იმიტომ, რომ მისი გვეშინია. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის არსებას არ აშინებს არაფერი ბუნებრივი. არყოფნის შიში (ახლა არ ვგულისხმობ ორგანიზმის მიერ განცდილ შიშს: ის ყველა მავნე შეგრძნებას უარყოფითად აღიქვამს), არყოფნის შიში ადამიანს იმის გამო ეუფლება, რომ გონი არყოფნის აბსოლუტურად საპირისპირო საწყისია, იგი მას არ იკარებს; ის საკუთარ არსში ატარებს უკვდავებას, თავისთავად უკვდავია, ამიტომაც მას აშინებს არყოფნაზე ფიქრი, რასაც მას ხრწნადობის პირას მისული ორგანიზმის გმინვა ჰკარნახობს. აშინებს იმიტომ, რომ ეს მის ბუნებას ეწინააღმდეგება.

თანაც, ცხადია, რომ სიკვდილის შემდგომი გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, იმიტომ, რომ საბოლოო განაჩენი ჯერ არ გამოტანილა. დარწმუნებული ვარ, ისეთ ადგილებში, სადაც დიდი რაოდენობით ადამიანია დამარხული, ბევრი რამის შეგრძნებაა შესაძლებელი. სასაფლაოზე ხშირად მეუფლება რაღაც დრამის განცდა, განსაკუთრებით ახლად დამარხულ მიცვალებულთა შემთხვევაში. ზოგან ჩანს კიდეც, როგორ ამოდის სამარიდან ასტრალური აურა, რომელიც ჯერ საბოლოოდ არ გამოყოფია სხეულს.

სწორედ ამას უწოდებენ „ბიოენერგეტიკულ კომპლექსს“?

დიახ, ორეულს. ასე რომ, ძველი ეგვიპტელები არცთუ ისე ძლიერ ცდებოდნენ. მაშასადამე, სიკვდილი დროებითი კატასტროფაა. ეს უდაოდ კატასტროფაა, ამას თვალი უნდა გავუსწოროთ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშ რაღად დასჭირდებოდა ქრისტეს „სიკვდილით სიკვდილისა ძლევა“? ბუნებრივ, კარგ საქმეს ძლევა კი არა, ხოტბის შესხმა სჭირდება. ქრისტე მძლეველია სიკვდილის, როგორც ჩვენი მტრისა. ამიტომ პლატონის მსგავსად ვერ ვიტყვით, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე სიკვდილისათვის უნდა ვემზადოთ. მაგრამ,

მეორე მხრივ, მაინც შეგვიძლია ვთქვათ ეს. აი, ასეთი პარადოქსია. არ უნდა ვემზადოთ სიკვდილისთვის, როგორც რაღაც დიდი ზეიმისათვის. არა, ეს ჩვენი დროებითი მოგზაურობაა, თანაც საკმარისად რთული. ხორცს მოცილებული გონი თავს მოუხერხებლად გრძნობს. მეჩვენება, რომ არამატერიალურ მდგომარეობაში თავს ცოტათი უხერხულად და უცხოდ ვიგრძნობთ. თუმცა გონს თავისი უპირატესობებიც აქვს: აღარაფერი გტკივა. სწორედ ეს განაპირობებს მოუდის მიერ აღწერილ ადამიანთა დადებით შეგრძნებებს ამა თუ იმ უბედური შემთხვევით გამოწვეული კლინიკური სიკვდილის დროს. ამ ადამიანებს რაღაც სტკიოდათ, შემდეგ კი ერთბაშად ყველაფერმა გაუარათ და „კაიფის“ მსგავსი განცდა დაეუფლათ.

ამავე დროს, სიკვდილისათვის მაინც უნდა ვემზადოთ, იმიტომ, რომ ჩვენი გონის სიღრმესა და სიმძლავრეზეა დამოკიდებული ჩვენი სიკვდილისშემდგომი განვითარების სისწრაფე („სისწრაფეს“, ცხადია, ბრჭყალებში ვამბობ). სიკვდილისათვის მზადება — ეს მთელი ჩვენი მდგომარეობის სისავსეა, ჩვენი უნარი, ვიმოქმედოთ სამყაროში, ვილოცოთ ცოცხლებისა და გარდაცვლილთათვის, განვვითარდეთ ისე, როგორც საჭიროა. ასე რომ, ეს მზადება მაინც არსებობს.

და მხოლოდ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა მეტყველებს იმაზე, რაც ჩვენ გვსურს: რომ გონი კვლავ დაუბრუნდეს თავის წინარე სამშობლოს. მისი სამშობლო ხორცია: სხვა ხორცი, გარდასახული, ფერშეცვლილი — მაგრამ მაინც ხორცი, მაინც ბუნება, მაინც მატერია! მაგრამ ის მაშინ სრულებით სხვაგვარი იქნება.

რა მოსდის გონს სიკვდილის მდგომარეობაში?

თავდაპირველად უნდა ვთქვათ, რომ სიკვდილის მდგომარეობა გონისათვის შუალედური მდგომარეობა გახლავთ. ამ დროს უთუოდ გარკვეული პროცესები მიმდინარეობს. მაგალითად, ორგანიზმის ფუნქციათა კვდომისას, სავარაუდოდ, რჩება რაღაც ექსტრასენსორული უნარები. მე მგონია, ახლად გარდაცვლილ ადამიანს ჯერ კიდევ რჩება სმენის უნარი, მასთან შეიძლება საუბარი. ზოგიერთი ექიმი ელაპარაკება გარდაცვლილებს, ამშვიდებს მათ. და ეს გამართლებულიცაა, რადგან უეცრად გარდაცვლილი ადამიანი ჯერ კიდევ ჩართულია გარეშე სამყაროს პროცესებში, უბრალოდ მათზე რეაგირება აღარ ძალუძს. სადენი გაწყდა, ადამიანი ვეღარ ახელს თვალს, ვერ ამოძრავებს ენას, მაგრამ მისი გონი ამ დროს შფოთავს და იტანჯება. ალბათ, გსმენიათ „ტიბეტური გარდაცვლილთა წიგნის“ შესახებ. მისი ავტორები ცდილობენ აუხსნან ადამიანს, თუ რა ეტაპები აქვს გასავლელი სიკვდილის შემდეგ. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა მოძღვრებაში ფიგურირებს სასწორის ელემენტი (ოსირისის სასწორი, მაგალითად), გარკვეული სამსჯავროს მოტივი. ის ადამიანები, ვინც დროებითი სიკვდილი განიცადა, შემდეგ კი სიცოცხლეს დაუბრუნდა, მიამბობდნენ, რომ წამიერად თვალწინ მთელმა განვლილმა ცხოვრებამ ჩაუქროლათ. ბევრი მათგანი ამ სურათებს შეფასებითად ხედავდა. მათ უჩნდებოდათ განცდა შეცდომისა, უსამართლობისა, რომელსაც მათ ცხოვრებაში ჰქონდა ადგილი. ამის საფუძველზე წარმოიშვა საკმარისად გავრცელებული და მართებული წარმოდგენა „განსაწმენდელის“ შესახებ. ცხადია, მას უნდა ჩამოვხსნათ ის მითოლოგიური გარსები, რომლებიც, მაგალითად, დანტესთანაა აღწერილი: კონუსისებრი მთა, სადაც ადიან ადამიანები და თანდათანობით განიწმინდებიან. მაგრამ, პრინციპში, სწორედ ასე ხდება. ზოგიერთი ადამიანი სიცოცხლეშივე გადის რაღაც განსაწმენდელის მსგავსს და მათ ბევრი რამ ქერქივით სცილდებათ. მაგრამ რა უნდა შევინარჩუნოთ ასეთ შემთხვევაში? პიროვნების სრულფასოვნება!

ნუ წარმოვიდგენთ, რომ მიღმიერი საუფლო პირდაპირ კარს მიღმა იწყება. კარს მიღმა იწყება შემდეგი „სამყარო“. არც ერთ რეანიმირებულ ადამიანს არ უთქვამს, რომ ის პირდაპირ მოხვდა მიღმიერში. არა. ის ჯერ კიდევ ამქვეყნად იმყოფებოდა და მისი საქციელიც კრიტიკულ მდგომარეობაში მოხვედრილი ადამიანის განცდებს შეეფერებოდა. რაც დააგროვა საკუთარ თავში, იმის შესაბამისადვე რეაგირებდა. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რას წარმოვადგენთ აქ, რათა ღირსეულად წარვსდგეთ შემდგომი სამყაროს პირისპირ.

მრავალფეროვანი, ცოცხალი, ფიქრებითა და გრძნობებით სავსე დინამიური გონი ხომ აბსოლუტურად უძლეველია! და ის ყველგან მოძებნის თავის საზრდოს. ჩემი აზრით, ის განაგრძობს მოძრაობას, ვთქვათ პირობითად, საკუთარი არსების შემდგომი ევოლუციის მოლოდინში. მის წინაშე უზარმაზარი სივრცე გადაიშლება. მაგრამ უსუსური გონი რეალური კავშირების დაკარგვის შემდეგ საკვებს ვეღარსად ჰპოვებს და, ყველაზე უფრო სავარაუდოა, რომ რაღაც ძილქუშის მსგავს მდგომარეობაში ჩავარდეს. არსებობს გონისმიერი ანაბიოზის ამგვარი ტიპი, რომელიც შეიძლება განუვითარებელი ადამიანის გონის მდგომარეობას შევადაროთ მისი სიკვდილიდან მოყოლებული მისი გონის საბოლოო განვითარებამდე.

იცით, რას შეიძლება ეს შევადაროთ? ტიბეტის ზოგიერთი ბუდისტი ბერი მდაბიო გლეხური წარმოშობის ახალბედა მორჩილებს ლამად კურთხევამდე ბნელ მღვიმეში ათავსებდა (ეს ძალზე ძველი ტრადიციაა), მღვიმეში, სადაც გამუდმებით სრული წყვდიადი სუფევდა. ჩვეულებრივ, ადამიანი ამის შედეგად ჭკუიდან იშლებოდა, გადარჩენილებს კი არაჩვეულებრივი სულიერება უვითარდებოდათ, რადგანაც ამ დროს ხდებოდა გარე სამყაროსთან ყველა კავშირის გაწყვეტა. ასეთსავე ცდებს ატარებდნენ სხვადასხვა ფსიქოფიზიოლოგიურ ლაბორატორიაში. ადამიანს, ვისაც რაღაც სულიერი „შიგთავსი“ გააჩნია, ასეთ პირობებში გადარჩენის შანსი აქვს. მაგრამ წარმოიდგინეთ იმ ადამიანის მდგომარეობა, ვისაც სული ცარიელი აქვს: ეს მისთვის დამღუპველია! ცნობილ ბიოლოგ საბატიეს ასეთი თეორიაც კი აქვს: ძლიერ გონს სიკდილის შემდეგ ძალუძს შედარებით სუსტი გონის შთანთქმა, ის მას საკუთარი გარსის შიგნით მოიქცევს. სუსტი გონი ამის შედეგად თავის პიროვნულობას კარგავს. ეს საკმარისად იდეოლოგიზებული ვარიანტია, მაგრამ, ასე თუ ისე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს პიროვნულ უკვდავებას მოკლებული ხარისხობრივად განუვითარებელი სულები. სიკვდილის შემდეგ მათ არ შეუძლიათ სრულყოფილი პიროვნული არსებობა იმიტომ, რომ ამქვეყნად სრულყოფილ პიროვნებებს არ წარმოადგენდნენ. ჩვენ ამგვარი გამოცდილება არასოდეს გვქონია, რადგანაც ჩვენთვის ცნობილი ადამიანები, ვინც იმქვეყნიდან დაბრუნებულა, მაინც ასე თუ ისე რაღაცას წარმოადგენდნენ როგორც პიროვნებები. აბსოლუტურად უღიმღამო ადამიანთან მსგავსი ცდის ჩატარება დღემდე რაღაცნაირად არ მოხერხებულა. მართალია, მოუდი ამტკიცებს, რომ ზოგიერთ ადამიანს არაფერი ახსოვს კლინიკური სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიჩლუნგეს. ეს, ალბათ, უფრო დიდი ნახტომის ეფექტია, ამ დროს ხომ ძალზე დიდი ბარიერის გადალახვა ხდება.

რა არის „მარადი ხსოვნა“?

ნუ გვეგონება, მეგობრებო, რომ საქმე აქ ადამიანის მეხსიერებას ეხება. ადამიანის მეხსიერება უაღრესად არამყარია. ის ერთადერთი ღვთაებრივი ფიქრი, ყველაფერს რომ სწვდება, ყოველივე მშვენიერს იცავს და არაფრის გაქრობას არ დაუშვებს, — აი, ესაა ის უკვდავი ხსოვნა, მარადისობას რომ ერწყმის და ჩვენც თან აგვიტაცებს.

რატომ მოვიხსენიებთ ადამიანს მისი გარდაცვალებიდან მე-9 და მე-40 დღეს?

იმიტომ, რომ გზა და განვითარება იქაც გრძელდება. ჩვენთან ამის პროეცირება მე-9 და მე-40 დღეს და ნახევარი წელიწადის შემდეგ ხდება, თუმცა ეს ვადები ძალზე პირობითია: ისინი შეიძლება განსხვავებული იყოს ამა თუ იმ ადამიანისათვის. ეკლესიას არ გააჩნია ნამდვილად ავტორიტეტული ტექსტები ამის თაობაზე. ეს ზეპირი ტრადიციაა. არსებობს ამასთან დაკავშირებული ძველი შუა საუკუნეების ტექსტი სახელწოდებით „თეოდორას ტანჯვა-წამება“ („Мытарства Феодоры“), მაგრამ ეკლესიას ის კანონიკურ ტექსტად არ უღიარებია.

როგორ დავძლიოთ ავადმყოფობისა და სიკვდილის შიში?

ალექსანდრე ბლოკი წერდა:

Жизнь без начала и конца.
Нас всех подстерегает случай.
Над нами сумрак неминучий
Иль ясность Божьего лица.

თუკი მართლაც „გარდუვალი წყვდიადი“ გვაწევს, მაშინ ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, მათ შორის ჩვენი ავადმყოფობაცა და სიკვდილიც, მაგრამ, თუ „ღვთის სახის სიკაშკაშე“ დაგვნათის, მაშინ უნდა მივენდოთ უზენაეს განგებას.

რა არის სიკვდილი — სიკეთე თუ ბოროტება, ან იქნებ არც ერთი და არც მეორე?

სიკვდილი ბოროტებაა. მაგრამ უფალი ბოროტებასაც კი სიკეთედ გარდასახავს, და რადგან ჩვენი სიცოცხლე ასეთი წარმავალია, ადამიანმა შეიძლება სიკვდილშიც ჰპოვოს ნუგეში. მე, მაგალითად, სიკვდილზე ფიქრი ხშირად მამშვიდებს ამა თუ იმ სიძნელეების, წუხილის თუ განსაცდელის წუთებში. ვიცი, რომ მაშინ გონი განთავისუფლდება და, როგორც იტყვიან, ამ ყოველივეზე უფრო მაღლა იდგება. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სიკვდილი ჩვენი უმაღლესი მიზანია: გონმა ხორცი უნდა შეისხას. ჩვენ იმიტომაც გავჩნდით ადამიანებად, რათა უბრალოდ სულები კი არა, ხორცშესხმული გონის მატარებელნი ვიყოთ.

გვიამბეთ სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის შესახებ.

სიკვდილის მომენტში ადამიანს უჩერდება გული, სუნთქვა, ის კვდება კლინიკურად, შემდეგ კი ბიოლოგიურად. მისი სული სწყდება სხეულს, გადადის სხვა განზომილებაში, მას ეუფლება სიმსუბუქის, თავისუფლებისა და ნეტარების შეგრძნება, როგორც ეს არაერთხელაა აღწერილი, მათ შორის, მოუდის წიგნშიც.

შემდეგ, როდესაც თანდათან გონს მოდის და ფეხს იკიდებს ახალ განზომილებაში, მის წინაშე გარდასული ცხოვრების სურათები ჩაივლის. ადამიანი იწყებს წარსულის გადასინჯვას და, აი, სწორედ აქ იჩენს თავს სირთულეები. ჩვენი უკეთური ფიქრები, ბოროტი ქმედებები და ამ ქმედებათა შედეგები უკან მოგვყვება. ამისათვის თვალის დევნება მისჯილი გვაქვს და ვერაფერს ვცვლით, ნგრევა და განადგურება გრძელდება...

კრილოვს აქვს იგავ-არაკი იმის შესახებ, რომ ჯოჯოხეთში ერთი კუდიანი ორ ცოდვილს ხარშავდა დიდ ქვაბებში. ერთს ხუფი მოხადა, ცოდვილმა თავი ამოჰყო და მცირე ხნით შეისვენა. მეორე კი შეუჩერებლივ იხარშებოდა. მეორე აღშფოთდა, თავი ამოჰყო ქვაბიდან და უთხრა: „რად გყავარ აქ დამწყვდეული? ვინ არის ის, მეორე? ავაზაკია! მე კი მშვიდობიანი მწერალი ვარ. რისთვის მამყოფებ აქ ამდენ ხანს?“ კუდიანმა კი მიუგო: „ჩემო კარგო, ის ავაზაკი თავის ბინძურ საქმეებს სჩადიოდა, მაგრამ მისი სიკვდილით ყველაფერი დასრულდა, შენ კი მოკვდი, მაგრამ შენი ამაზრზენი წიგნები, რომლებიც ადამიანებს რყვნის, აგრძელებს მოქმედებას...“ მაშასადამე, საქმე ძალზე რთულადაა: ჩვენი სიკვდილის შემდეგ ეს ყველაფერი კუდივით უკან მოგვთრევს.

შემდეგ. სულიერებისაგან დაცლილი ადამიანი, ვინც მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებებით ცხოვრებასაა მიჩვეული, ამ სამყაროსთან განშორების შემდეგ შეძრწუნებულია, რადგან ყველაფერი წაერთვა, რითაც მანამდე ცხოვრობდა. რითი ცხოვრობს ამგვარი ადამიანი? საჭმლით, სასმელით, ელემენტარული გრძნობებით — ჭამა, ძილი და ასე შემდეგ. მაგრამ იქ უკვე ვეღარ დაიძინებ, ეს ყველაფერი მორჩა. მორჩა საჭმელიც და ბევრი სხვა გართობაც. რა მოჰყვება ამას? ადამიანი თითქოს სიცარიელეშია გამოკიდული? აი, მაგალითი. განმარტოებულ საკანში ადამიანს არაფერი არ აქვს, ხშირად სინათლეც კი. თუკი მას თავი და გული რაღაცითა აქვს დაკავებული, ის გადარჩება, სხვა შემთხვევაში კი შეიშლება.

მაშასადამე, სხვა სამყაროში ადამიანის გადასვლა მეტად რთული პროცესია და მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიცია ამას „ტანჯვა-წამებით ხეტიალს“ უწოდებს („мытарства“), კათოლიკური ტრადიციის მიხედვით კი ეს „განსაწმენდელია“. ჩვენთვის ბევრი რამ უცნობია, რაც იქ ხდება, გვწამს მხოლოდ, რომ შემოქმედი ჩვენზე განუზომლად უფრო კეთილი,

სამართლიანი და ბრძენია და ბევრად უფრო ღრმად გვიცნობს, ვიდრე თავად ვიცნობთ საკუთარ თავს. ჯოჯოხეთი არ უნდა წარმოვიდგინოთ კრიმინალური სასჯელის სახით, როგორც რაღაც უვადო პატიმრობის ადგილი. ეს სულ სხვა რამაა — ეს ჩვენი შინაგანი სიშავის ანარეკლია.

შესაძლებელია თუ არა მისი გაფანტვა, გათეთრება? მრავალი საეკლესიო მოძღვარი წერს, რომ არამხოლოდ შესაძლებელია, არამედ ასეც უნდა მოხდეს. ბიბლია გვეუბნება, რომ ოდესმე, როდესაც სამყარო ფერს იცვლის, ღმერთი ყოველ ცრემლს შეაშრობს და იქცევა ყოველივედ ყოველივეში. ესე იგი, ის ყოველ ჩვენგანშიც დაივანებს... მხოლოდ ზოგიერთშიო, როდია ნათქვამი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ბოროტი შეწყვეტს არსებობას, დარჩება მხოლოდ სისავსე, მშვენიერება და ნათელი. ამის წინათგრძნობა ცოცხლობს ყოველივე მშვენიერში, რაც კი დედამიწაზე არსებობს. ამიტომაც ქრისტიანული „მრწამსი“ უბრალოდ სულის უკვდავების აღიარებით კი არ მთავრდება, არამედ შემდეგი სიტყვებით: „მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა, ამინ“.

რა სიხშირით შეიძლება ვიაროთ ახლობლის საფლავზე?

არავითარი რეგლამენტი არ არსებობს, მაგრამ მათ, ვინც მეტისმეტადაა ამით გატაცებული, ავიწყდებათ, რომ ჩვენი ახლობლები იქ არ არიან: იქ ჩვენი მოგონებებია, ყვავილები, ჯვარი, საფლავი, თავად მიცვალებული კი სულ სხვაგანაა. მის სულს სხვაგვარადაც შეუძლია ჩვენთან ურთიერთობა, ამისათვის საფლავზე მისვლა აუცილებელი არ არის. ანუ, ეს უნდა ვაკეთოთ, მაგრამ ის მაინც სხვაგანაა.

განმარტეთ, რატომ არ შეიძლება სასაფლაოზე მისვლა აღდგომის პირველ დღეს?

განვმარტავ. მართლმადიდებლური ტრადიციის მიხედვით, მიცვალებულთა პირველი მოხსენიება ხდება ტაძარში აღდგომის შემდგომ მეორე კვირის სამშაბათს. სასაფლაოზე მისვლა არასოდეს არავის ეკრძალება, მაგრამ საეკლესიო პანაშვიდი მხოლოდ სამშაბათსაა.

რა აზრის ხართ ლენინის ცხედრის მავზოლეუმიდან გამოსვენებისა და მისი დასაფლავების თაობაზე? ხომ არ იქნება ეს უფრო გამართლებული ქრისტიანობის თვალსაზრისით?

მე ვთვლი, რომ იქნება. ჩემი აზრით, მათთვის, ვინც მას პატივს სცემს, ეს არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი. მე მგონია, თავად ლენინიც ისურვებდა, რომ ის, სხვა ადამიანების მსგავსად, დაემარხათ.

მართალია თუ არა, რომ ბოროტი ადამიანები სიკვდილის შემდეგაც ახდენენ გავლენას სამყაროზე?

მე მგონია, რაღაც სიმართლე მართლაც არის ამაში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს გავლენა არც ისე ძლიერია...

იცის თუ არა გარდაცვლილის სულმა, რომ სიკვდილამდე ის ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის სულს წარმოადგენდა?

რა თქმა უნდა, იცის.

გვიამბეთ წარსულისა და აწმყოს შორის კავშირის შესახებ ისეთი ოჯახის მაგალითზე, სადაც გარდაცვლილებმა იციან, რომ მათ ცოცხალ ახლობლებს მათი დახმარება ესაჭიროებათ, ხოლო ცოცხლები მოელიან მათგან დახმარებას, მაგრამ არ იციან, რაში მდგომარეობს ეს დახმარება.

იცით, აქ ზოგადი კანონები არ არსებობს. მაგრამ მე, მაგალითად, ძალიან მკვეთრად შევიგრძნობ დედაჩემის სიახლოვეს, მასთან თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მაქვს.

რჩება თუ არა სულში გარდაცვალების შემდეგაც მიწიერი არსებობის რაიმე კვალი?

რა თქმა უნდა, ასეა. უეჭველად. როდესაც შევიგრძნობ გარდაცვლილთა სიახლოვეს, ვიცი, რომ ეს სწორედ ესა თუ ის ადამიანია. პიროვნება არ ქრება.

რა ეტაპებს გაივლის სული სხეულის სიკვდილის შემდეგ? ერწყმის თუ არა ის ადამის საერთო სულს?

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი თავდაპირველად გადადის ტრანსფიზიკურ სფეროში, რომელიც ჩვენთან ძალზე ახლოა. ეს სფერო ჩვენსას ჰგავს, ის შეიძლება ხილულად აღვიქვათ. ეს პირველი სფერო გახლავთ. რამდენიმე დღის განმავლობაში (ჩვენი მიწიერი საზომებით რომ განვსაჯოთ) სული თავისი სხეულის სიახლოვეს იმყოფება, შემდეგ ის თანდათან შორდება მას. მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, სამი, ცხრა, ოცი, ორმოცი დღე, ნახევარი წელიწადი — ეს სულის აღმასვლის გარკვეული ეტაპებია.

ერწყმის თუ არა ის ადამის სულს? არა, მე მგონი, ის უნდა დარჩეს პიროვნებად. ის სხვა სულებთან ერთობაში იმყოფება, მაგრამ საკუთარ „მე“-ს არ კარგავს. როგორია საერთო სულის ევოლუცია? ეს ძალზე ზოგადი საკითხია. ალბათ, ის მაინც თავის უზენაეს წინარე ხატს ესწრაფვის.

აქვს თუ არა მომაკვდავი ადამიანის სულიერ მდგომარეობას რაიმე მნიშვნელობა მისი იმქვეყნიური ცხოვრებისათვის?

არაერთხელ მისაუბრია იმქვეყნიდან მობრუნებულ ადამიანებთან. ისინი გარეშე თვალით აღიქვამდნენ საკუთარ სხეულს, ხედავდნენ ექიმებს, ექთნებს, მთელ შენობას მათ გარშემო. მაგრამ ამ დროს ადამიანი ისეთ ნეტარებას განიცდის, რომ ამ ყველაფერს ყურადღებას აღარ აქცევს. ის უეცრად განუზომლად უფრო მაღალ დონეზე ადის... არავითარი აგრესიული მდგომარეობა აღარ აქვს. მაგრამ, მე მგონი, თუკი სიკვდილის მომენტში ადამიანი დამძიმებულია სიძულვილით ან რაიმე მსგავსი უარყოფითი მომენტით, ეს მის სულს საფრთხეს უქმნის. ალბათ გსმენიათ იმის შესახებ, რომ მეცნიერება კარგა ხანია შეისწავლის ხმაურიანი სახლებისა და მოჩვენებების ფენომენს. ფსიქიკური გამოკვლევების ბრიტანული საზოგადოება ამგვარ მოვლენებს გასული (XIX — თ. კ.) საუკუნის დასასრულიდან შეისწავლის. მე წაკითხული მაქვს მათი ანგარიშები. თუ შესაძლებელია იქ აღწერილის თუნდაც მეოთხედის გადამოწმება, უკვე მეტად სერიოზულ სფეროსთან გვაქვს საქმე.

როდესაც ასეთი რამ ხდება, მაშინ სული, ნაცვლად იმისა, რომ შემდგომ სფეროებში განვითარდეს, თითქოს მიეჯაჭვება მის უარყოფით ემოციებთან დაკავშირებულ ადგილს. ის ამ ადგილის გარეშემო წრიალებს, ქმნის რაღაც ხმაურის, კვნესის, მოჩვენებების ეფექტებს.

არსებული ვერსიის თანახმად, თუკი ადამიანი სიკვდილის შემდეგაც გვახსოვს, ის არ არის მკვდარი. მაგრამ შეუძლია თუ არა მას ჩვენი დანახვა და მოსმენა? როგორ მივაწოდოთ მის სულს ენერგია? უბრალოდ გვახსოვდეს ის, დავიცვათ რელიგიური წესჩვეულებები?

მე მგონი, სამყაროში უკვალოდ არაფერი ქრება. არც ერთი ატომი. ასეთია კანონი. მით უმეტეს, ისეთი რთული და გასაოცარი რამ, როგორიც ადამიანის ცნობიერებაა, ვერანაირად ვერ გაქრება.

რთული სათქმელია, რამდენად მოქმედებს ჩვენი ხსოვნა გარდაცვლილ ადამიანებზე. ჩემი აზრით, კავშირი არსებობს. ჩვენ ამას ვუწოდებთ ლოცვას გარდაცვლილთათვის. შეგიძლიათ მობრძანდეთ ტაძარში მიცვალებულთა მოხსენიების დღეს და ნახავთ, რომ ის ხალხითაა სავსე. მე მგონი, ადამიანები აქ გარდაცვლილთა ნეშტის გასახსენებლად კი არ მოდიან, არამედ იმის გამო, რომ მათ ცოცხალი კავშირი აქვთ იმ ადამიანებთან, ვისთვისაც აქ ლოცულობენ. ცნობიერების განადგურება შეუძლებელია.

რას ნიშნავს გარდაცვლილთათვის ლოცვის სიტყვები „უბოძე მათ მადლის შენის ზიარება“? განა სიკვდილის შემდეგაც არსებობს ზიარება?

ეს უბრალოდ თარგმანის თავისებურებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მარადიულ მშვენებასა და სიკეთეს ეზიარებიან.

იყო თუ არა ადამიანი უკვდავი ცოდვით დაცემამდე, თუ მაშინაც ჩვენსავით მოკვდავი იყო?

ის პოტენციურად უკვდავი იყო. მისი ორგანიზმი ისეთივე იყო, როგორც ნებისმიერი ცხოველისა, მაშასადამე, ის შეიძლება მომკვდარიყო, მაგრამ, ამავე დროს, გააჩნდა სიკვდილის დაძლევის უნარიც. ეს უნარი მან ვერ შეინარჩუნა, რადგანაც შეცდა. ხომ ნათქვამია ბიბლიაში, რომ სიცოცხლის ხე ედემის ბაღის შუაგულში იდგა და ადამიანი მისი ნაყოფის მიღებით იძენდა უკვდავებას, და არა უშუალოდ, ბუნებრივად.

რა აზრის ხართ მოუდის წიგნზე „სიცოცხლე სიცოცხლის შემდეგ“?

ვიდრე ეს წიგნი გამოვიდოდა, დიდი ხნით ადრე გავხდი მსგავსი შემთხვევის მოწმე და აღვწერე კიდეც ეს დაკვირვებები ჩემს ერთ-ერთ წიგნში. მოგვიანებით კი გაოცებით წავაწყდი მრავალ მსგავს შემთხვევას მოუდისთან. სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკაში უჩვენეს სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილი გადაცემა, სადაც ითქვა, რომ დღეისათვის მილიონამდე ადამიანია დარეგისტრირებული, ვისაც კლინიკური სიკვდილის შემდეგ ახსოვს ის, რაც ამ პროცესში გადახდა თავს. თანაც ყველანი მეტ-ნაკლებად მსგავს რამეს ჰყვებიან.

თქვენ ამბობთ, რომ სიკვდილი ბოროტებაა. მაგრამ სად მოთავსდებოდნენ ადამიანები, რომ არ კვდებოდნენ?

მე მგონი, უფალმა ღმერთმა იმიტომ შექმნა ასეთი ვრცელი სამყარო, რომ ყოველი ჩვენგანის განთავსება ყოფილიყო შესაძლებელი...

ამჟამად ვინ უფრო მეტია — ცოცხლები თუ გარდაცვლილები?

ღვთის წინაშე ყველა ცოცხალია. მაგრამ გარდაცვლილი, რა თქმა უნდა, მეტია.

სად იმყოფებიან გარდაცვლილთა სულები საყოველთაო აღდგომამდე?

ცნება „სად“ სივრცობრივია, აქ იგი არ გამოგვადგება. იგივე წარმატებით შემიძლია გკითხოთ: სად იმყოფება თქენი სული დღეს, ვიდრე თქვენ ცოცხლობთ? ამას ვერავინ იტყვის. სული ტვინშიც კი არ არის, იმიტომ, რომ ტვინის ფუნქციონირებისას ვერც ერთი დანადგარი ვერ დააფიქსირებს, რომ სული სწორედ მასშია. მას სივრცესთან არაფერი აქვს საერთო.

ყველა სული ჰპოვებს უკვდავებას, თუ მხოლოდ მორწმუნეთა — ისიც, ჭეშმარიტ მორწმუნეთა — სულები?

ვშიშობ, ეს ძალზე შეავიწროვებდა უკვდავების არეს. ადამიანის სული უკვდავია თავისი ბუნებით. მე მგონი, უკვდავება არა იმდენად რწმენის, რამდენადაც ცოდნის საკითხია, მაგრამ საქმე სხვა რამეშია: სული უნდა განიწმინდოს ყოველივე ბნელის, ცუდისა და ბინძურისაგან, რადგან, თუკი სული პირამდეა სავსე უარყოფითით, მაშინ განწმენდის შემდგომ რაღა დარჩება მისგან? სულ ციცქნა ნაკუწი. აი, ესაა ყველაზე საშინელი.

სიკვდილის შემდეგ განიცდის თუ არა სინანულს იმ ადამიანის სული, ვისაც სიცოცხლეში არ სწამდა უკვდავებისა?

მქონდა ასეთი შემთხვევა. ერთი ჩემი მეგობარი, მოსკოველი ექსტრასენსი, სპირიტისტული სეანსის მეშვეობით იძახებს ერთ თავის ნაცნობ მარქსისტ ფილოსოფოსს (სპირიტისტული სეანსების ჩატარებას არავის ვურჩევ, ეს ძალზე სახიფათოა როგორც სულისთ-

ვის, ისე სხეულისთვისაც). ასე თუ ისე, მან დაუსვა შეკითხვა: „როგორ შეიგნე მანდ ეს ყველაფერი, რის შესახებაც ახლა მპასუხობ? შენ ხომ ადრე არ გწამდა ამისა!“ რასაც გარდაცვლილმა ძალზე მოკლედ და შეგნებულად უპასუხა: „ძველი მოსაზრებების გადასინჯვა მიწევს...“

აბორტი ცოდვად ითვლება. მაგრამ განა ეს ერთადერთი გამოსავალი არ არის ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვი ჩასახულია ნარკომანისგან, ლოთისგან, გენეტიკურად დაავადებული ადამიანისაგან?

გენეტიკოსები ამტკიცებენ: დანამდვილებით ვერასოდეს ვიტყვით, რომ გენეტიკური სენი აუცილებლად გადავა ბავშვზეც. მეორე მხრივ, აბსოლუტურად ჯანსაღ მშობლებს შეიძლება დაავადებული ბავშვი გაუჩნდეთ. მემკვიდრეობის ძაფები ისე მოუხელთებლად იხლართება, რომ ჯანსაღს შეიძლება ავადმყოფი გაუჩნდეს და პირიქით. ამიტომ ბავშვის მოკვლა მაინც არ შეიძლება.

რატომ კიცხავს ეკლესია აბორტებს?

ეს აქტუალური შეკითხვაა, რადგან აბორტები ამჟამად კატასტროფულად გავრცელებულ სახეს იღებს. გიპასუხებთ მარტივად: თუ დედა ხარ და შენთან მოჰყავთ ბავშვი და გთავაზობენ მის მოკვლას რაიმე მარტივი ხერხით, ვთქვათ, ჩაქუჩით, — რას იზამ? ცხადია, თუ ნორმალური ხარ, ამას ვერ გააკეთებ. მაშ, როგორღა შეგიძლია ყოვლად დაუცველი არსება რაღაც კოღოსავით გასრისო? ეს არსება ადამიანია, შენს სხეულში მყოფი, მას არ შეუძლია თავის დაცვა, შენ კი მას კლავ იმის გამო, რომ შენთვის მოუხერხებელია მისი გაჩენა და გაზრდა, ან კიდევ რაღაც მიზეზით. როდესაც დედა ამბობს, რომ გაუჭირდება ბავშვის გამოკვება ან რომ სხვა რაღაც გარემოებები არსებობს, მე ყოველთვის ვეუბნები: მოითმინე, გააჩინე და გაეცი, იმიტომ, რომ უზარმაზარი რიგები დგას იმ ადამიანებისა, ვისაც ბავშვი არ უჩნდება. აქ ყველაფერი გარკვეულია და ვიმეორებ: ბიოლოგიური თვალსაზრისით განაყოფიერებული უჯრედი უკვე პოტენციური ადამიანია და მისი სიცოცხლე წმინდაა. ჩვენ უფლება არ გვაქვს, გავანადგუროთ ეს სიცოცხლე.

არის თუ არა ცოდვა ორსულობის შეწყვეტა სამედიცინო მიზეზებით?

ბავშვის მოკვლა ყოველთვის ცოდვაა. რა თქმა უნდა, თითოეული შემთხვევა ცალკე უნდა იქნას განხილული, მაგრამ ზოგადად ასეა.

მაშ, როგორ დავარწმუნოთ ადამიანები იმაში, რომ აბორტი ცოდვაა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევიგნოთ, რომ ადამიანის სიცოცხლე წმინდაა და რომ არავის, დედასაც კი, არ აქვს მისი შეწყვეტის უფლება. ადამიანი ჩასახვის წუთიდან უკვე ადამიანია.

რატომ კვდებიან ახალგაზრდა, კარგი ადამიანები? ბავშვები?

რა თქმა უნდა, ეს მარადიული კითხვაა. იმიტომ, რომ სამყაროში ბოროტებაა გაბატონებული. ღვთის სასუფეველი ამქვეყნად არ არის. ამქვეყნად ღმერთმა ადამიანს თავისუფლება მიანიჭა, ამიტომაც აქ არა მხოლოდ ღვთიური, არამედ საბედისწერო, ქაოტური, დემონური საწყისიც მოქმედებს. და როდესაც ღვთის სასუფეველზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ იმ რეალობას, მალულად, დიდი გაჭირვებით, ბრძოლით რომ შემოდის ამ სამყაროში. რაც შეეხებათ ახალგაზრდებს... სიკვდილი, მოხუცებულის შემთხვევაშიც კი, მაინც ბოროტებაა. მას ვეგუებით, ვცდილობთ, ყოველივეს მარადისობის თვალსაზრისით შევხედოთ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს წმინდა წერილი, სადაც წერია: „ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია“. არ შეუქმნია.

თქვენ ბრძანეთ, რომ ადამიანის სული უკვდავია. მაგრამ, თუკი ეს ბნელი სულია, სიბნელისგან რომ ვერ განიწმინდა? მაშ, გამოდის, რომ ბოროტებაც უკვდავია?

მთლიანად ბოროტებით გაჟღენთილი სული თითქმის კარგავს უკვდავებას, რადგანაც განწმენდის პროცესში მისგან, ასე ვთქვათ, ბევრი არაფერი რჩება.

რით განსხვავდება ბოროტი ადამიანის, უბრალოდ კარგი ადამიანისა და წმინდანის მდგომარეობა სიკვდილის შემდეგ?

თითოეული მიიღებს თავის წილ ხსნას, ოღონდ წმინდანი — სრულად, ბოროტი კი, როგორც ჩანს, მინიმალურად, ვიდრე მთელი სიბოროტე არ ჩამოსცილდება.

რა მოსდით სიკვდილის შემდეგ ისეთ ადამიანებს, როგორც ჰიტლერი და სტალინია?

პირობითად რომ ვთქვათ, ყველაფერი საზარელი, რაც მათშია, დაიწვება. მაგრამ თუკი ეს საზარელი მეტისმეტად ბევრია, მათგან აღარაფერი დარჩება.

რატომ კიცხავს ქრისტიანობა თვითმკვლელობას? სიკვდილი ხომ ყოველივე მატერიალურის ჩამოცილებას და ღმერთთან შერწყმას ნიშნავს?

ღმერთთან შერწყმა თვითმკვლელობის გზით რომ შეიძლებოდეს, მაშინ სახარებისეული მოძღვრება სწორედ თვითმკვლელობის ქადაგება იქნებოდა. სიცოცხლეს ღმერთი გვაძლევს და ჩვენ მას არ განვკარგავთ. ის წმინდაა! ბავშვის, შენი საკუთარი თუ საყვარელი ახლობლის სიცოცხლე — გამონაკლისი აქ არ არსებობს. თუმცა, ძალზე იშვიათი გამონაკლისები მაინც ყოფილა. მაგალითად, ეკლესიამ მოწამეებად შერაცხა ის ქალიშვილები, რომლებიც III საუკუნეში, რომში, ქრისტიანების დევნის პერიოდში ფანჯრიდან ხტებოდნენ იმის შიშით, რომ მათზე ძალას იხმარდნენ. მაგრამ ეს ექსტრემალური სიტუაციაა.

დააკონკრეტეთ ეკლესიის მიმართება თვითმკვლელობასთან.

ცხადია, ეს ტრაგიკული მოვლენაა. როდესაც საქმე სულით ავადმყოფს ეხება, ჩვენ მას ქრისტიანული წესით ვმარხავთ და პარაკლისსაც ვუხდით (მართალია, დაუსწრებლად). მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის. და, უნდა გითხრათ, რომ თვითმკვლელთა ოთხმოცდაათ პროცენტს — ეს ძალზე მაღალი წოდების საეკლესიო პირისაგან ვიცი, ვისაც ამის მტკიცების საფუძველი ჰქონდა, რადგან მანამდე ექიმი იყო, — თვითმკვლელთა ოთხმოცდაათ პროცენტს ფსიქიკურად მეტ-ნაკლებად დაავადებული ადამიანები შეადგენენ. ხოლო ისინი, ვინც შეგნებულად, თითქოსდა, სახეში ესვრიან ღმერთს სიცოცხლის უწმინდეს საჩუქარს, უბრალოდ იურიდიულ დანაშაულს როდი სჩადიან, — ისინი ექცევიან დროის რაღაც მარყუჟში, ისინი არღვევენ სიცოცხლის ხაზებს და ამას უთუოდ რაღაც საშინელი შედეგები უნდა მოჰყვეს.

რისი გაკეთებაა აუცილებელი ცხოვრების ისეთ მომენტში, როდესაც თავის მოკვლა გვინდა?

ორმოცდაათჯერ წარმოვთქვათ იესოს ლოცვა და ამდენჯერვე მიწამდე დავიხაროთ. და ეს გაივლის... ეს ნაცადი ხერხია.

შეგიძლიათ თუ არა მიუტევოთ თვითმკვლელს?

რა თქმა უნდა. მე შემიძლია მხოლოდ გავიზიარო მისი ტკივილი. ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ თვითმკვლელთათვის, მაგრამ ამის უფლებას მღვდელს ეპისკოპოსი ანიჭებს. ჩემი ეპისკოპოსისაგან დიდი ხანია, რაც მიღებული მაქვს თვითმკვლელთათვის ლოცვის უფლება, ასე, ოცდახუთიოდე წელია.

ორი ბარათი ერთსა და იმავე თემაზე: „რა აზრისა ხართ სიკვდილით დასჯაზე?“ და მეორე: „რამდენად მართებულია მკვლელის დასჯა, თუკი „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ?“

სიკვდილით დასჯის თაობაზე ჩვენთან კამათობენ, ამასთან დაკავშირებით არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ქრისტიანული მოძღვრება. მაგრამ, პირადად მე თუ მკითხავთ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ სიკვდილით დასჯისა, რამდენიმე მიზეზის გამო.

წმინდად გარეგნული მიზეზი: ნებისმიერი ქვეყნისა და დროის იურისპრუდენცია შეიძლება ცდებოდეს. შეცდომა კი საბედისწერო იქნება. სამუდამო პატიმრობამისჯილი ადამიანიც კი შეიძლება გამოვიდეს ციხიდან სამშვიდობოზე, თუკი შეცდომა გამოაშკარავდა. სიკვდილით დასჯა კი ამას გამორიცხავს.

მეორე: ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ნებისმიერმა, თვით უმძიმესმა დამნაშავემაც კი შეიძლება მოინანიოს თავისი ცოდვა. და, ჩემი აზრით, სიკვდილით დასჯა ართმევს მას ამ შესაძლებლობას. ადამიანმა შეიძლება განიცადოს უღრმესი შინაგანი გადატრიალება, რომელიც მას ჩადენილ დანაშაულს დაანახებს. ამიტომ იურიდიული მკვლელობა გაუმართლებლად მიმაჩნია.

დაბოლოს, მესამე: ისტორია და თანამედროვეობა გვიჩვენებს, რომ სიკვდილით დასჯა არ ამცირებს დანაშაულის პროცენტს და არ წარმოადგენს კრიმინალის შემაჩერებელ ფაქტორს. ამას ამ სფეროში არსებული ყველა მონაცემი ასაბუთებს. და საერთოდ, დამნაშავე „პატივს არ სცემს“ სისხლის სამართლის კოდექსს.

რაც შეეხება „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ“. ქრისტე გველაპარაკება შინაგანი, პირადი, სულიერი მიტევების შესახებ. მისეული ეთიკა, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული, სულიერი ეთიკაა. ხოლო საზოგადოება ქრისტიანული ეთიკით როდი ხელმძღვანელობს. საზოგადოება ორგანიზმს ჰგავს, რომელსაც თავის დაცვა უწევს. თუკი დედა მომიკლეს, მე შემიძლია უდიდესი სულიერი ძალისხმევის შედეგად მივუტევო ამ ადამიანს, მაგრამ საზოგადოებას, სასამართლოს, მართლმსაჯულებას ამის უფლება არა აქვთ. ისინი კანონს უნდა დაემორჩილონ. ამიტომაც, იურიდიულ სასამართლოს სახარებისეულ სამართალთან არაფერი აქვს საერთო.

რატომ არის, რომ ადამიანისთვის სიკვდილის შემდეგ მხოლოდ ორი სამყოფელია შესაძლებელი: სამოთხე ან ჯოჯოხეთი?

ეს პირობითი დაყოფაა. ეს სულაც არაა „სამყოფელი“. სამყოფელი სივრცეში განლაგებული ადგილია. სამოთხე და ჯოჯოხეთი სულიერი მდგომარეობის აღმნიშვნელი ცნებებია. ასეთი მდგომარეობა კი მრავალნაირია. ვისაც დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ წაუკითხავს, ახსოვს, რომ იქ ჯოჯოხეთის, განსაწმენდელისა და სამოთხის მრავალი რკალია აღწერილი. რატომაა ასე? იმიტომ, რომ სიკვდილის შემდგომი მდგომარეობა არაერთგვაროვანია.

რაში მდგომარეობს თანამედროვე მართლმადიდებლური წარმოდგენა ჯოჯოხეთზე?

არც ერთი რელიგიური მოძღვრება თეორიის სახით არ წარმოშობილა. ჯოჯოხეთის შესახებ წარმოდგენა შინაგანი, სულიერი ცხოვრებისეული პრაქტიკიდან გაჩნდა. ჯოჯოხეთი იმ ადამიანის სულში წარმოიქმნა, ვინც უკვე ამქვეყნად განიცდიდა სასოწარკვეთილებას, წყვდიადს, ბოროტებას და რომელიც ჩასწვდა იმას, თუ რას ნიშნავს, იმქვეყნად თან წაიღო შენი სულის წყვდიადი. და, რა სახითაც არ უნდა გადმოიცეს ეს მდგომარეობა, ის მაინც ერთსა და იმავედ დარჩება: მისაგებელის, სასჯელის მდგომარეობად. ეს არაა არც იურიდიული, არც სისხლის სამართლის სასჯელი, არამედ ბუნებრივი საზღაური, რადგანაც ბოროტებით გაჟღენთილ ადამიანს ეს ყველაფერი თან მიაქვს მარადისობაში (ადამიანის სულს ხომ სანახევროდ მეხსიერება შეადგენს). და ჩვენს წარმოსახვას არ ძალუძს იმის წვდომა, თუ რამდენად მტანჯველი შეიძლება აღმოჩნდეს ეს მდგომარეობა. შუა საუკუნეების ადამიანი ცდილობდა მის სიმბოლურად გამოსახვას. მას წარმოედგინა ცეცხლი, ფიზიკური

ცეცხლი, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ სიმბოლოა. დარწმუნებული ვერ, შუა საუკუნეებშიც კი ნამდვილ, ღრმა მოაზროვნეებს არ სწამდათ, რომ იქ ტაფები და კოცონებია, მათ იცოდნენ, რომ საქმე სულიერ სინამდვილესთან გვაქვს. ძველი დროის ერთ-ერთი ბრძენის თქმით, ჯოჯოხეთი ნიშნავს სიყვარულის შეუძლებლობას. ესაა ადამიანის მიერ ნათელის დაკარგვა, და ეს უკვე აქ, ამქვეყნად შეიძლება დაიწყოს.

უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ცოდვილები სამუდამოდ დაიღუპებიან, მართალნი კი სამუდამო სიცოცხლეს მოიპოვებენ. რა ბედი ეწევათ მათ, ვინც ქრისტემდე ცხოვრობდა? ეს ხომ ისტორიამდელი და ისტორიული დროის მილიარდობით ადამიანია?

ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ეს საკითხი წამოჭრა დანტემ. წარმართულ სამყაროში დაბადებულ ადამიანს არ მიუძღვის ბრალი იმაში, რომ ჭეშმარიტება არ იცოდა. მაგრამ მას უნდა ერწმუნა და შეესრულებინა ჭეშმარიტების ის ნაწილი, რომელიც მისთვის მისაწვდომი იყო.

რას გულისხმობდა ქრისტე „გარესკნელის სიბნელით, სადაც იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა“?

ეს ხატოვანი გამოთქმაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, ვინც საკუთარ თავში ბოროტებას ატარებდა, თავისი ბოროტების პირისპირ დარჩება ღვთისაგან გარიყული. წარმოიდგინეთ სახლი, სადაც სინათლე, სიცილი და ლხინია, გარეთ კი ბნელა და ცივა. ბოროტების მატარებელი ადამიანები ამქვეყნადვე ხვდებიან „გარესკნელის სიცივეში“. და მათ ტირილიც უწევთ და კბილთა ღრჭენაც...

რა არის განსაწმენდელი? სადაა ის განლაგებული? რატომ არის სახარებაში ნახსენები მხოლოდ სამოთხე და ჯოჯოხეთი?

განსაწმენდელი იმ ადამიანის მდგომარეობაა, ვინც მიწიერი ბოროტებისაგან განიწმინდება. მართლმადიდებლურ ტრადიციაში ამას „ტანჯვა-წამება“ ეწოდება. სამოთხესა და ჯოჯოხეთს უკვე დღეს დავატარებთ საკუთარ თავში, ამიტომ იმქვეყნადაც თან მიგვაქვს.

რა შესაბამისობაშია ქრისტიანობის ჰუმანიზმი ჯოჯოხეთის კატეგორიასთან? ჯოჯოხეთში მოხვედრილი სამარადისოდ კარგავს ხსნის შანსს?

მარადისობას ამ შემთხვევაში არაფერი აქვს საერთო დროსთან. მარადიული სიცოცხლე ნიშნავს სიხარულის სისავსეს, ხოლო მარადიული ტანჯვა ისაა, რაც თან მიგვყვება ყოფიერების მიღმა. გამიგეთ, ეს მარადიული ტანჯვა კი არა, — ისეთი ტანჯვაა, რომელიც მარადისობის სფეროში მიმდინარეობს. ნათქვამია, რომ მომავალში, როდესაც სამყარო შეიცვლება, ღმერთი ყოველ ცრემლს შეაშრობს და ყველანაირი ბოროტება გაქრება სამყაროდან.

რანაირად ხდება, რომ ქრისტეს მორჩილება სიკვდილისა და ჯოჯოხეთისადმი უვნებელყოფს სიკვდილსა და ცოდვას?

მორჩილება არა! ის შემოვიდა ამ სამყაროში, სადაც ჩვენი კანონები სუფევს და ამ სამყაროში ყოფნა მისთვის უდიდეს ტანჯვად იქცა, ისეთად, ყოველი ჩვენგანის ტანჯვის ჯამს რომ აღემატება. იმიტომ, რომ ჩვენ ცოდილნი ვართ, ის კი — უცოდველი.

რა მნიშვნელობა აქვს შაბათ დღეს დაწესებულ მშობელთა (მიცვალებულთა — თ. კ.) მოხსენიებას?

ეს გასაგებია. ეს ის დღეა, როდესაც შინაგანად ვურთიერთობთ ჩვენს მიცვალებულებთან, ვლოცულობთ მათთვის.

ვისი მოხსენიება შეიძლება ამ დღეს?
ყველასი, არა მხოლოდ მშობლებისა.

მოციქული პავლე ამბობს, რომ „ყოველი ქმნილება გოდებს და იტანჯება ღვთის შვილთა გაცხადების მოლოდინში“. ვიგულისხმებით ჩვენ, ადამიანები. მაშასადამე, ადამიანმა საკუთარი თავის სრულყოფით რაღაც უნდა გააკეთოს ბუნებისათვის, შეცვალოს მისი მომავალი? როგორ გესახებათ ეს?

ადამიანი შემოვიდა სამყაროში, სადაც სუფევს მატერიალური ხრწნა, რომელიც მანამდეც არსებობდა. სიკვდილი სამყაროში ადამიანს არ შემოუტანია. პირველი ცოცხალი არსებები მილიარდობით წლისანი არიან, თითქმის დედამიწის ასაკისანი. როგორ გავიგეთ მათი არსებობის შესახებ? იმის შედეგად, რომ ისინი დაიხოცნენ და ჩვენამდე მათმა ნაშთებმა მოაღწია. და, გარკვეულწილად, სიკვდილი კონსტრუქტიულ საწყისს წარმოადგენს: ცოცხალ არსებათა განვითარებისათვის (რასაც საბოლოოდ ადამიანის წარმოშობა მოჰყვა) აუცილებელი იყო მრავალუჯრედიანი არსება. ერთუჯრედიანი არსება, თუ არ ჩავთვლით კატასტროფის შემთხვევებს, ფიზიკურად უკვდავია. იგი არ კვდება, მხოლოდ იყოფა, განვითარება კი არ ხდება. განვითარებისათვის აუცილებელია არსებათა ისეთი კოლონია, რომელიც დროთა განმავლობაში გარდუვალად უნდა დაიშალოს. პირველი მრავალუჯრედიანი არსება, ამავე დროს, პირველი მოკვდავი არსებაც იყო. თუმცა სიცოცხლე შეუპირისპირდა სამყაროში მიმდინარე დამანგრეველ პროცესებს, მას არ აღმოაჩნდა უნარი, თავი დაეცვა სიკვდილისაგან. ვოლვოკსი, თუ გახსოვთ, უკვე ერთიან არსებად ქცეული კოლონიაა. სწორედ აქედან იწყება ნგრევა და დაშლა, რომლის დაძლევაც მხოლოდ ევოლუციის რომელიღაც უმაღლეს საფეხურზე იქნება შესაძლებელი. აქ კი, შუალედურ ფაზაში, ვაწყდებით ადამიანისათვის გარდუვალი სიკვდილის ფაქტს. ესაა მთელი პრობლემა, რომელსაც ადამიანები სხვადასხვა დროებაში განსხვავებულად სვამდნენ.

ვთქვათ, ეგვიპტე ამ საკითხს შემდეგნაირად სვამს: სიცოცხლე მხოლოდ ერთი ფაზაა, შემდეგ ფაზაში ცხოვრება განმეორდება, იმქვეყნადაც იგივე იქნება, აქაურის ანალოგიური. ამიტომ ძველი ეგვიპტელებისათვის სიკვდილი არ ნიშნავდა დემატერიალიზაციას, მათ იცოდნენ, რომ ადამიანი არამარტო სული, არამედ ხორციცაა. ამიტომაც ისინი ადამიანისაგან მუმიას ამზადებდნენ, თუ მუმია არ ჰქონდათ ხელთ, მაშინ მას ცვლიდნენ ამ ადამიანის გამოსახულებით, მისი ორეულით, მაგრამ ამით მოიაზრებოდა ადამიანი მის მთლიანობაში. მასში რამდენიმე განზომილება იყო: *კა, ბა* და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, მათ იცოდნენ, რომ ადამიანის სიკვდილი როდი ნიშნავს მისი სიცოცხლის შეწყვეტას.

როგორც ჩანს, პირველყოფილ ადამიანებსაც იგივე რწმენა ჰქონდათ, იმიტომ, რომ ისინი მიცვალებულებს საფლავში ყოფით საგნებს ატანდნენ (სულებს ხომ ასეთი რამეები არ სჭირდებათ). ეს უაღრესად ღრმად ფესვგადგმული წარმოდგენა დღესაც მყოფობს. არაერთხელ მინახავს, როგორ ატანდნენ ადამიანები მიცვალებულებს საფლავში ფულს, როგორ აბარებდნენ სრული სერიოზულობით: დედას მოკითხვა გადაეციო. თავადაც გაუჭირდებოდათ იმის ახსნა, თუ რატომ იქცეოდნენ ასე, მაგრამ ამაში რაღაც იყო. და მაინც, ასეთი წარმოდგენა არ შეესაბამება სინამდვილეს.

თანამედროვე იდეალისტური ფილოსოფიის მამამთავარი, პლატონი, სხვა გზით წავიდა. მან ჩათვალა, რომ ადამიანში ყველაზე ფასეული მაინც გონია, სხეული კი მხოლოდ დროებითი გარსია, მეტიც — შემაფერხებელი ტვირთი; სიკვდილი ადამიანის აპოთეოზია, სხეულის საპყრობილედან თავსდაღწეული გონის გამარჯვება. უნდა ითქვას, რომ ამ სახის ოპტიმისტური წარმოდგენა პირველზე ბევრად უფროა გავრცელებული. იგი დღემდე აღწევს ყველა რელიგიურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში. პლატონი ამბობდა, რომ მთელი ცხოვრება სიკვდილისათვის მზადებაა და ეს აზრი ღრმა ჭეშმარიტებას შეიცავს. მაგრამ ის მას იმ მნიშვნელობით გამოსთქვამდა, რომ ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ ვიწყებთ ჭეშმარიტ არსებობას, როცა სხეულისაგან ვთავისუფლდებით. ინდოეთში ამ საკითხს ასე უყურებენ: სხეული მხოლოდ ღვთაების მანიფესტაციაა, სინამდვილეში კი ის არ არსებობს. არსებობს

მხოლოდ ღმერთი, ხოლო სხეული, მატერია — მხოლოდ ღვთაების წამიერი აფეთქებაა.

თუკი კვლავ წმინდა წერილს დავუბრუნდებით, მასში ვერ ვნახავთ ვერც პირველ თვალსაზრისს, ვერც მეორეს და ვერც მესამეს. იქ ვერ შევხვდებით მტკიცებას (პრინციპში, საკმაოდ გულუბრყვილოს), თითქოს იმქვეყნადაც ზუსტად ასეთივე ცხოვრება გრძელდება. და ვერც იმის მტკიცებას შევხვდებით, რომ სიკვდილი ადამიანის ცხოვრების გვირგვინი და სანატრელი მიზანია. მოციქული პავლე მას „უკანასკნელ მტერს“ უწოდებს. უკანასკნელი მტერი ყველაზე უკიდურესი მტერია.

შეიძლება სიკვდილს სხვაგვარად, ოპტიმისტურად შევხედოთ. „დიდება შენდა, სიკვდილო, დაო ჩემო“, — მიმართავს მას ფრანჩესკო ასიზელი. მაგრამ მისთვის ასე იმიტომ იყო, რომ ის პრინციპულად თვლიდა, რომ ადამიანი აუცილებლად უნდა მოკვდეს. მაშასადამე, რაკი ახალ აღთქმაში არ გვხვდება სულისა და ხორცის დუალიზმი, მათი დაპირისპირება, ეს იმას მოწმობს, რომ ღმერთს როდი სურდა სულის ხორცისაგან გათავისუფლება, მას ისეთი სრულყოფილი არსების შექმნა სურდა, როგორიცაა სულიერად მდიდარი ადამიანი.

ნეოფიტები (არსებობს ასეთი ქრისტიანული დაჯგუფება) დასაფლავებას ზეიმობენ, ლამის ცეკვავენ. ეს უკიდურესი ოპტიმიზმის გამოვლენაა. მათ უხარიათ: ადამიანი ღვთის სასუფეველში გადავიდა, უნდა ვიზეიმოთო. მართალია, ერთმანეთს ვშორდებით, მაგრამ მხოლოდ დროებით. ეს სავსებით მართებულია: ჩვენ დავეწევით ერთი მეორეს. მაგრამ აქ რაღაცაა ისეთი, რაც წმინდა წერილის სულისკვეთებას არ შეესაბამება. ბევრად უფრო გვჯერა იოანე დამასკელის ცნობილი სამგლოვიარო საგალობლისა „ვტირი და ვგოდებ, როცა ვფიქრობ სიკვდილზე“, რომელსაც ყოველთვის ვმღერით საეკლესიო პარაკლისის დროს. „ვტირი და ვგოდებ“ არა იმიტომ, რომ მოყვასს ვშორდები, — ეს მართლაც დროებითია, — არა: „როცა ვფიქრობ სიკვდილზე და ვჭვრეტ საფლავში ღვთის ხატად და მსგავსებად შექმნილს ჩვენს მშვენებას, უსახურს, ძლეულს, შეუხედავს“. მაშასადამე, მართლაც ხდება რაღაც კატასტროფა, რაღაც ისეთი, რაც წესით არ უნდა ხდებოდეს. ადამიანთან დაკავშირებული ჩანაფიქრი სულ სხვაგვარია, მაგრამ ეს ჩანაფიქრი იმსხვრევა. ამავე დროს, სიკვდილი დიდებული მომენტია, ჩემი ხელიდან წასული ადამიანებიდან ბევრს აღსასრულის ჟამს ღრმა სულიერი განცდები ეუფლებოდა, და მაინც ვერასოდეს ვიშორებდი თავიდან აზრს, რომ სიკვდილი მატერიის გამარჯვებაა სულზე. მატერია განდევნის სულს მისი ბინიდან. სული იძულებულია მიატოვოს თავისი საცხოვრისი.

ესე იგი, ეს რაღაც ანომალიაა, რომელიც უნდა გამოსწორდეს. მოციქული პავლე წერს: „არის სხეული სულისმიერი და არის სხეული გონისმიერი“. არსებობს სრულყოფილი ხორციელი არსებობის რაღაც ფორმა, როგორც საბოლოო ჩანაფიქრი სამყაროს შესახებ, როგორც ევოლუციის გვირგვინი, რომლის აღთქმადაც გვევლინება ქრისტეს აღდგომა, როდესაც ის გამოეცხადა მოწაფეებს, ვიდრე საბოლოოდ გაშორდებოდა. უნდა გვესმოდეს, რომ ქრისტეს აღდგომა რადიკალურად განსხვავდება ლაზარეს აღდგინებისაგან. დაე, ზოგიერთმა ღვთისმეტყველმა ამტკიცოს, რომ ქრისტესთან მიმართებაშიც „აღდგინება“ უნდა ვახსენოთ. მაგრამ ლაზარეს სუდარა უნდა ჩამოსცლოდა, რათა ის გარეთ გამოსულიყო. ლაზარე დაუბრუნდა იმავე ცხოვრებას, სადაც კვლავ გარდუვალი აღსასრული ელოდა. ეს მხოლოდ გადავადება იყო. აღარაფერს ვამბობ მკვდრეთით აღდგინების სხვა შემთხვევებზე. ჩვენთვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც წმიდანებიც კი აღადგენდნენ მიცვალებულებს, ოღონდაც დროებით. ამას არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც ქრისტეს გადახდა თავს. მისი სხეული გაქრა. კი არ წამოდგა და წავიდა, არამედ გაქრა. ეს სულ სხვა რამაა. მოხდა სრული გარდასახვა, სრული მეტამორფოზა, ამიტომაც გაუჭირდათ მისი ამოცნობა, ამიტომაც მისი აღდგომა რაღაც უცნაური იყო. და ამ პროცესში ყველა თითქოს ძნელად რწმუნდებოდა ამაში. ის მათთან ერთად ჯდებოდა, ჭამდა და სვამდა და, ამავე დროს, სხვა იყო. ამიტომაც მრწამსი მთავრდება სიტყვებით: „მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა“. ესაა მრწამსის ესქატოლოგია. ადამიანმა, ასე თუ ისე, უნდა აღასრულოს ღვთის ჩანაფიქრი, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღსრულდეს სამყაროში არსებულ ნივთიერებასა და გონს შორის ქორწინება.

აღდგება თუ არა ყველა, ვინც კი ოდესმე ცხოვრობდა დედამიწაზე? რის საფუძველზე წარიმართება უკანასკნელი სამსჯავრო?

დაახლოებით ასეთი შეკითხვაა: სისხლის სამართლის რომელი კოდექსის საფუძველზე? იცით, ქრისტე და მოციქულნი ასეთ დროს, როცა აი, ასე კითხვებს ვსვამთ და ცნობისმოყვარეობას გამოვხატავთ, გვიწოდებენ „თანამკითხველებს ჟამისა ესე". თანამკითხველებს... არსებობს უამრავი შეკითხვა, რომელზედაც ქრისტემ არ გაგვცა პასუხი. იმიტომ, რომ ეს შეკითხვები... მათ ამაოს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ისინი არ არის მთავარი ჩვენი სულისათვის.

ერთადერთი, რაც ვიცით, ისაა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს სიკეთე და ნათელი. არის წიგნი, რომლითაც ბიბლია მთავრდება, მას აპოკალიპსისი ჰქვია. წიგნი, რომელსაც საშინელ წიგნად თვლიან. ის მართლაც საშინელია, რადგანაც სამყაროს კატასტროფას აღწერს, არადა ეს ბიბლიის ყველაზე უფრო ოპტიმისტური წიგნია. რადგანაც ის ისტორიის წყვდიადს გვიჩვენებს, დასასრულს კი კრავის გამარჯვებას გვიქადის. სამჯავრო კი იმ წუთიდან დაიწყო, როდესაც ქრისტე მოელინა დედამიწას. მან თქვა: სამსჯავრო იმაშია, რომ ნათელი მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ადამიანებმა მასზე მეტად ბნელი შეიყვარეს". მაშასადამე, სამსჯავრო უწყვეტი მოვლენაა, ის გრძელდება. ჩვენი შეპირისპირება სიკეთესა და ბოროტებასთან, როდესაც არჩევანის გაკეთება გვიწევს, — ესეც სამსჯავროა. ზოგჯერ მთელი ცივილიზაციები განიცდიან სამსჯავროსა და განაჩენის გამოტანას. ამიტომ ნუ გვეგონება, რომ სამსჯავრო მხოლოდ ისტორიის დასასრულს იქნება.

რაც უფრო გასულიერებული და სავსე იქნება ჩვენი ცხოვრება აქ და ამჟამად, მით უფრო თავისუფლად და მშვიდად შევეგებებით იმას, რაც „მხოლოდ წამიერი გარდასახვაა სულისა მარადიული ფრენისათვის". ადამიანი საკუთარ თავში მარადისობის შეგრძნებას ატარებს და ამიტომ მკვდრეთით აღდგომა ამქვეყნიურ ცხოვრებაშივეა კოდირებული, რადგანაც ჩვენს პიროვნებას ეძლევა ქმედების სისავსე და თავისუფლება და, თუკი ჩვენი გონი საკმარისად მძლავრი იქნება უკანასკნელ ჟამს, ის ადვილად დაძლევს იმ დაბრკოლებას, რომელიც მას სხვა სამყაროებისაგან აშორებს.

სიკვდილის მიღმა მარადისობა გველის. მე ვიცნობდი ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სიკვდილის შიში არ ჰქონდათ, რადგანაც თვლიდნენ, რომ ვალმოხდილნი ტოვებდნენ ამ ქვეყანას. მათ ყველაფერი გაიღეს, რაც კი შეეძლოთ და ეს მათ ისეთი სიმწიფისა და მზადყოფნის შეგრძნებას ანიჭებდა, როგორიც მოსაწყვეტად გამზადებულ ნაყოფს აქვს. აი, ამ შრომის, თავგანწირვის, შემოქმედების ფონზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არავითარი სიკვდილი არ არსებობს, რომ ამ მატერიალურ სამყაროში სულიერი შემოქმედებით ჩვენ მარადისობისათვის ვიღვწით. რაც არ უნდა იფიქროს ადამიანმა ამის თაობაზე, ისეთი სასწაული, როგორიც ადამიანის პიროვნებაა, უზარმაზარ კოსმიურ მეურნეობაში უკვალოდ არ გაქრება, ყოველივე ამ უზენაეს შენებაშია ჩაბმული, ყველაფერს თავისი ყვავილობის ჟამი აქვს.

„ცხოვრება მერმისა მის საუკუნეს" — ეს ჩვენი ცალკეული შთამომავალნი კი არ არიან, ცალკეული ძაფები, რომლებიც ჩვენგან მომავალშია გაჭიმული, არამედ ეს თავად ჩვენ ვართ, ყველანი ერთად, მთელი კაცობრიობა.

რუსულიდან თარგმნა ***თამარ კოტრიკაძემ***

ინა კულიშოვა

ერთი წელი საზღვრისპირეთში. საქართველო, 2008-2009

ეკლესიის ზარმა დრო გაცილებით ადრე აღნიშნა, ვიდრე მამლები მესამეჯერ დაიყივლებდნენ.

დილის ხუთი საათია. შავი ციდან გადათეთრებულ დედამიწაზე კვლავ თოვლი ეცემა. საღამოს საშობაო ლიტურგია დაიწყება, ახლა კი ჩვეულებრივი სამონასტრო ლოცვაა. მორჩილნი იღვიძებენ და ეკლესიაში მიდიან.

ადრე, ომამდე, საეკლესიო მსახურება სამ საათზე იწყებოდა, ახლა კი დროებით იგი უფრო გვიან იწყება. ბინდია, სიწყნარეა, გამსჭვალული ბგერით, ადამიანთა სილუეტები უძველეს ასოებს წააგვანან, გაურკვეველი ხეები იატაკიდან ამოზრდილან, ტაძარში კი ხან ადამიანის ხმა, ხან კი ანთებულ სანთელთა სუნთქვა ისმის. როგორც დილის, ისე საღამოს მსახურება განათების გარეშე მიმდინარეობს, სანთლების ციმციმში. ქართული ენა ჰარმონიულად ერწყმის ტაძრის ქვის სამოსს. უძველესი, VI საუკუნის ამაღლების ეკლესია საკათედრო ტაძარია ნიქოზის ეპარქიის, რომელიც ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში დაარსებულ თორმეტი ეპარქიიდან ერთ-ერთია.

ეკლესიიდან დაახლოებით 1 კილომეტრში, 15-20 წუთის სავალზე — ცხინვალია.

შორეთში დიადი კავკასიონის ქედი მოჩანს, მისი თოვლის მარადიული საფარი მზის სხივებს ირეკლავს — მთათა ულამაზესი სანახაობა გაჯადოებს. შიდა ქართლი საქართველოს ჭეშმარიტი გულია. სოფელი ზემო ნიქოზი თოვლის, სიჩუმის საბურავშია გახვეული. ახლა 2009 წლის იანვარია, მაგრამ დროდადრო, ღამღამობით, ცხინვალის მხრიდან სროლა ისმის.

...აწმყოს აღმოჩენა მხოლოდ სიჩუმეში შეიძლება. ხანდახან იგი მხოლოდ ძლიერი ჭექა-ქუხილის შემდეგ დგება. ამ დროს იშლება გამყოფი კედლები, სახეებს სცილდება ნიღბები, ინგრევა ცხოვრების ჩვეული წესი და ახალი ცა ჩნდება, ნანგრევებიდან კი რაღაც ცოცხალი იწყებს აღმოცენებას.

აქ, ქართლში, რომელმაც მთელ ქვეყანას მისცა სახელი — საქართველო — ღირს ჩამოსვლა, თუგინდ იმიტომ, რომ ნახო სულის განსაკუთრებული მდგომარეობა, სავსე უხილავი სამყაროს წყნარი სიხარულით, რომელსაც მოცილებული აქვს ხალხმრავალი, ხმაურიანი ნადიმების, მაღალფარდოვანი სიტყვების ის გარეგანი ქერქი, ურომლისოდაც საქართველო ვერ წარმოუდგენიათ.

* * *

თუმცა ხანდახან, პერიოდულად აქაც წყნარად სვამენ განსაკუთრებულ ქართლის ღვინოს, რომელიც სხვა ღვინოებთან შედარებით რბილი და მსუბუქია. მაგიდასთან დინჯი ბაასი მიდის.

სადღეგრძელოს, ნადიმის, ტრაპეზის იდეა საიდუმლო სერობიდან მოდის, სადღეგრძელო — ზიარების მსგავსია.

ამ რეალობაში ხშირად ყველაფერს ვეჩვევით. თუმცა, სინამდვილეში სწორედ ამ რეალობიდან გამოსჭვივის სხვა რეალობა, სადაც ყველაფერზე მთავარი და საინტერესო — ადამიანი და ღმერთი — ვლინდება, კონკრეტული ადამიანი და ადამიანი, როგორც ღვთის ჩანაფიქრი.

ომის დასაწყისი, როგორც ადამიანის დასასრული. 2008 წლის აგვისტო

ერთხელ მერაბ მამარდაშვილს ჰკითხეს: რით იწყება ადამიანი?

— მიცვალებულის დატირებით, — უპასუხა მან.

ნამდვილად, გარდა თეთრი, ქათქათა ფურცლისა, ამას არაფერი უნდა მოსდევდეს. მდუმარება ყვირილის შებრუნებულ მხარედ იქცა. შოკი მოკლულ თეთრ ფურცელს ჰგავს, რომელზეც დასაწერი აღარაფერია. ლექსის წაკითხვის შემდეგ სხვა ადამიანი ხდები, ე. ი. იქ აღარა ხარ, სადაც ადრე იყავი. ლექსი მჭრელი უნდა იყოს, უნდა იჩხვლიტებოდეს, უნდა განჭოლავდეს, კლავდეს. ლექსი შოკია, განათებული ცნობიერების ხდომილება. იცვლება სისხლის შემადგენლობა, სუნთქვის რიტმი, ჰორიზონტის სიფართოვე. რაც მთავარია, ჩნდება ნათქვამის უცილობლობის უტყუარი შეგრძნება. ყოველ შემთხვევაში, აღიძვრება მარადისობის წვრილმანებთან თანაზიარობის განცდა.

მაგრამ შოკი — სხვაგვარი მდუმარება შეიძლება იყოს. ჩნდება არა უცილობლობის, არა აბსურდულობის, არამედ რეალობის, როგორც ცუდი სიზმრისა და არარსებობის ახალი ნორმის შეგრძნება, ნორმის შეგრძნება ნორმატივად, რადგან როგორც იოსიფ ბროდსკი „ბოროტების გეოგრაფიაში“ წერდა, „აბსურდი — ადამიანის გამოცდილების უკანასკნელი სიტყვა არ არის. აბსურდის შემდეგ ჯერ კიდევ შესაძლებელია დახვრიტო ადამიანი ან მისი ცოლი გააუპატიურო დაკითხვაზე“.

და ვინ არის დღეს ადამიანი... და „კაცია-ადამიანი?“, როგორც ილია ჭავჭავაძე კითხულობდა? ზუსტად ამასვე წერდა სერგეი დოვლატოვი „ზონაში“: „ადამიანისათვის ადამიანი — ტაბულა რაზაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, რასაც მოისურვებთ, ის არის, იმის მიხედვით, თუ როგორია გარემოებათა დამთხვევა. ადამიანს ყველაფერი ხელეწიფება — ცუდიც და კარგიც. გულდასაწყვეტია, ეს რომ ასეა. ამიტომ უფალს სიმტკიცეს და სიქველეს შევთხოვ. უფრო კი — ადგილისა და დროის გარემოებებს, რომლებიც სიკეთისათვის განგვაწყობს...“

დღეს ასეთი გარემოებები თითქმის არ გაგვაჩნია. გვაქვს სოლიდარობა გაურკვეველი ბრბოსა და მასობრივი ისტერიის სახით, მარტოობა, როგორც კოშმარი და შოკი.

ხანდახან თვალებს გვიფართოვებს ცრემლების ლინზები, რომლებიც ამარტივებენ რეალობას, მაგრამ მათ გარეშეც სხვაგან აღმოჩნდები და სხვა ჰორიზონტს და ცას ხედავ, სადაც შეიძლება თვითმფრინავები გაჩნდნენ და დაბომბვა დაიწყონ.

როდესაც პირველი დაბომბვის შემდეგ თბილისის საავიაციო ქარხანასთან თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ, ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. პატარა გოგონამ ცაში კანფეტების ტყორცნა დაიწყო — ზევიდან რუსები დაინახავენ და არ დაგვბომბავენო.

...მეხსიერებაში კვლავ ამოტივტივდება წაგებული ომის წყვეტილი ქრონიკა.

8 აგვისტო. შევიტყვეთ სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ. თბილისის გარეუბანში სამი ბომბი აფეთქდა, რამაც შოკი გამოიწვია. არავის ესმის, რა ხდება. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. ყველა რეზერვისტებზე ლაპარაკობს, რადგან მათ შორის შვილები-ნათესავები-მეგობრები-ნაცნობები არიან.

9 აგვისტო. იბომბებოდა მარნეული, ბოლნისი, გორი. ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა. კვლავ იბომბება ფოთი, სენაკი, გორი, ზემო აფხაზეთი (რომელიც სინამდვილეში სვანეთია, ზემო აფხაზეთი მას ცოტა ხნის წინ საქართველოს პრეზიდენტმა უწოდა), რაჭა. ყველა უკვე მრავალრიცხოვან მსხვერპლზე ლაპარაკობს. მოსახლეობას არავითარი ინფორმაცია არ მიეწოდება, სად რა ხდება, ვინ ვის ჯობნის — უცნობია.

10 აგვისტო. იბომბება საავიაციო ქარხანა თბილისში (მისი დაბომბვა შემდეგაც რამდენჯერმე მოხდა). აი, ერთ-ერთი, არცთუ იშვიათი შემთხვევა: 21 წლის ახალგაზრდა, რომელიც 3 თვის გოგონას მამაა, გუშინწინ გაიწვიეს როგორც რეზერვისტი, გუშინ ჩამოასვენეს — იგი დაბომბვისას დაიღუპა. დაიღუპნენ ნაცნობი ჟურნალისტები. მათი ცხედრების, აგრეთვე სხვა დაღუპულთა ცხედრების გამოტანა ბრძოლის ველიდან ვერ ხე-

რხდება, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვა მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-სადმი წარუმატებლად დამთავრდა — ჰუმანიტარული კორიდორი არ გაიხსნა. ილია II შეწუხებულია ეპიდემიის საშიშროებით — მრავალი ცხედარი მიტოვებულია სიცხეში. ლაპარაკობენ იმაზე, რომ ცხინვალი და სამხრეთ ოსეთის მრავალი სოფელი აღგვილია პირისაგან მიწისა (მოგვიანებით ქართულმა ოპოზიციამ შარშანდელი აგვისტოს საომარი მოქმედების მთელ ტერიტორიაზე 150-მდე სოფელი აღნუსხა, რომლებიც მთლიანად დანგრეულია და ამაში საქართველოს ხელისუფლებაც დაადანაშაულა).

11 აგვისტო. „ახალ ამბებში" იტყობინებიან, რომ ღამით დაიბომბა აჭარა, კახეთი, ქალაქი სენაკი, დილით კვლავ გორი, გარდაბანი, კოჯორი (სადაც გატარებული მაქვს ბავშვობის ზაფხულები, ისევე როგორც აფხაზეთში) და ა. შ. ტელევიზიით სხვებთან ერთად გამოდის აგრეთვე საქართველოს რუსი მოქალაქე, დაბომბვების თვითმხილველი, რომელსაც სტუმრობს მოსკოველი შვილიშვილი. თბილისში დაიბომბა რადიოლოკაციის დანადგარები, რომლებიც გამოიყენება სამოქალაქო თვითმფრინავების ფრენის მართვისათვის. ამბობენ, რომ ეს დანადგარები გადარჩა. რუსეთის ჯარი იმყოფება ზუგდიდში, ენგურის ნაპირებზე. რუსი ქვეითები შევიდნენ ფოთში, გორში. გორი დაცარიელებულია. აღსანიშნავია, რომ სტალინის მუზეუმი არ დაზარალებულა. თავისიანებს ხელს არ ახლებენ (ექვსი თვის შემდეგ გორელი ქალი ყვებოდა: რუსი ქვეითები სტალინის ძეგლთან გავლისას მას მხედრულად ესალმებოდნენო).

თანდათან ყველა ხვდება: ოსეთი მხოლოდ საბაბია. უცხო სახელმწიფოები თავიანთი მოქალაქეების საქართველოდან ევაკუაციას ახდენენ. მრავალი ადგილობრივი მცხოვრებიც ცდილობს დატოვოს ქვეყანა. გორში ნამყოფები, რომლებმაც ცოტა რამ მაინც იციან, ყვებიან, რომ ასობით ახალგაზრდა, რეზერვისტი თავს ტყეებს აფარებს, დაბომბვის შიშით გამოსვლას ერიდებიან. უკვე მესამე საღამოა, ქალაქში მანქანები დაქრიან გუგუნით, ტარდება აქცია „Stop Russia!" გვიან საღამოს აქ, ნაცნობებისაგან, აგრეთვე უცხოეთში მყოფი ნათესავებისაგან, რომლებიც წუხან ჩვენზე და ხშირად გვირეკავენ, შევიტყვეთ, რომ რუსული ტანკები მცხეთაში შევიდნენ.

12 აგვისტო. დაიბომბა ქარელი, კასპი. თბილისის ქუჩებში სიმშვიდეა, ოღონდ გამვლელთა სახეებზე დაბნეულობას შეამჩნევთ. როგორც ყოველთვის, ხანდაზმული მამაკაცები კვლავ ეზოებში სხედან, მაგრამ დუმან და თუ საუბრობენ — საუბრობენ მხოლოდ ომზე. როგორც ყოველთვის, რუსულად ვსაუბრობ მრავალ თბილისელთან, ყოფით დონეზე არავითარი ექსცესები არ ხდება. ყველგან: ბინების ფანჯრებიდან, მაღაზიებში, ავტომობილებში, სადაც ტელევიზორი ან რადიოა — ისმის ახალი ამბები.

ქალაქის ცენტრალურ, რუსთაველის გამზირზე ზღვა ხალხია. ტარდება გრანდიოზული მიტინგი უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის პრეზიდენტების მონაწილეობით. საფრანგეთის პრეზიდენტი, რომელსაც ელოდებოდნენ, მომიტინგეებთან არ მივიდა. მოღიმარი საქართველოს პრეზიდენტის დანახვა გამაღიზიანებელია, რადგან ყველასთვის ცნობილია უამრავი მსხვერპლის შესახებ. რუსეთში გლოვის დღე გამოცხადდა, საქართველოში სამდღიანი გლოვაა.

13 აგვისტო. ყველა არხი გადმოსცემს ახალ ამბავს: რუსული კოლონა გორიდან თბილისისაკენ მოემართება. გორსა და ქართულ სოფლებში თარეშობენ მოძალადეები და მოროდიორები. ჩვენი მრავალი ნაცნობი შეშინებულია, ისმის რჩევები, ბავშვები მაინც გაარიდონ სხვა ქვეყნებში, მაგრამ შეშინებული ბავშვები დედებს არ სცილდებიან, მრავალი მათგანი შეესწრო დაბომბვას — ზაფხულია და მრავალი ოჯახი ისვენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. უფროსებსაც ეშინიათ, ისეთი განცდა აქვთ, ოჯახის ნაწილმა საქართველო რომ დატოვოს, ისინი სამუდამოდ დასცილდებიან ერთმანეთს. ქვეყანაში ჩამოდის თვითმფრინავები ჰუმანიტარული დახმარებით აშშ-დან, ლიტვიდან, უკრაინიდან, იორდანიიდან,

ესტონეთიდან, ისრაელიდან, საბერძნეთიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ტელევიზიით აჩვენებენ მოძალადეების ნაძარცვს: ავეჯს, მაცივრებს, ბოთლებით ტყემალს, უნიტაზებს, ვერცხლის დანა-ჩანგალს, ველოსიპედს... პირველი საზოგადოებრივი არხის პირდაპირ ეთერში ვნახეთ ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონა, რომელიც დაიჭრა რეპორტაჟის გადაცემის დროს. გაკეთდა განცხადება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის და სხვადასხვა ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ.

14-15 აგვისტო. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელიც ამაოდ ელოდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის გამოხმაურებას, გაემგზავრა გორსა და ნიქოზში, სადაც დაიბომბა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტის ეპარქია. პატრიარქმა ჰუმანიტარული დახმარება ჩაიტანა. მანამდე ჩვენ ამაოდ ვცდილობდით მიტროპოლიტთან ტელეფონით დაკავშირებას, რადგან სატელეფონო ანძები დაზიანებულია. არავინ იცის, როგორ არის მიტროპოლიტი.

ცხადდება ლტოლვილებისათვის დახმარების შეგროვების პუნქტების ადგილმდებარეობა და ტელეფონები. მათ ყველაფერი სჭირდებათ: ტანსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები, კარვების ქალაქებში დენის გაყვანა და სხვა. ოფიციალური მონაცემებით 60 ათასი, CNN-ის ცნობით კი — 118 ათასი იძულებით გადაადგილებული პირია.

დაბომბვის შედეგად ხანძარია გაჩენილი ბორჯომის, ლიკანის, წაღვერის ტყეებში. ბორჯომის ულამაზეს ხეობაში ეკოლოგიური კატასტროფაა. ხანძრის ჩაქრობა მხოლოდ თვითმფრინავებს შეუძლიათ, საქართველომ დახმარებისათვის უკრაინას, თურქეთს, აზერბაიჯანს მიმართა.

16 აგვისტო. რუსეთის სამხედროებმა კასპში რკინიგზის ხიდი ააფეთქეს, შეუძლებელი გახდა კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. ლტოლვილებს, რომლებმაც ფეხით მრავალი ათეული კილომეტრი გაიარეს, ახალი განსაცდელი შეექმნათ. ტელევიზიები აჩვენებენ საპროტესტო აქციებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

რუსის ჯარი ზუგდიდში, ფოთში, სენაკში, გორში იმყოფება. გორში შესვლა აკრძალულია. რუსული ტანკები თბილისთან ახლოს, იგოეთში არიან. სოფლებში კვლავ მოროდიორები თარეშობენ. საპატრიარქო კვლავ ჰუმანიტარული დერეფნის გახსნას ითხოვს. დაღუპულთა ცხედრებს წვავენ, ორმოებში ფლავენ.

რა მოგველის? წინ ღამეა, კიდევ ღამე, კიდევ...

რუნეტი, რუსული სატელევიზიო არხები გამორთულია. ...შორეულ წარსულში ჩვენი მეზობლები ერთი მხრიდან იყვნენ ოსები, მეორე მხრიდან — ქართველები. შუაში ჩვენი რუსულ-ებრაული ოჯახი იყო. საოცნებო მეზობლობა, მეგობრობა გვაკავშირებდა. დღეს ყველა, განსაკუთრებით ლტოლვილები, ოსებიც და ქართველებიც, წარსულ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ლაპარაკობენ, აღნიშნავდნენ, რომ უამრავი შერეული ოსურ-ქართული ოჯახი არსებობს.

...ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს კავკასიონი ჰყოფს, დღეს აგრერიგად ცნობილი როკის გვირაბი კი სულ რაღაც 30 წლის წინ იქნა გაყვანილი. მის გაყვანამდე მათი დამაკავშირებელი მხოლოდ მთის ბილიკები იყო. ადგილობრივ ხელისუფალთა რიტორიკა სულ სხვაგვარი იყო. მახსენდება, რომ ჩვენი ოჯახის აწ გარდაცვლილი მეგობარი, გამოჩენილი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის უახლოესი შთამომავალი, ბნელ 90-იან წლებში გვაფრთხილებდა, რომ პირველი ქართველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტური პოლიტიკა გამოიწვევს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვას. გასაგებია, რომ ამაში ლომის წილი მესამე ძალას და ასეულობით მიზეზს ეკუთვნის (მუდამ მახსენდება ეპისკოპოსი ლუ, რომელიც ატილას შემდეგი სიტყვებით შეხვდა: „მოგესალმები, უფლის მიერ მოვლენილო უბედურებავ“). და რა მოხდა მაშინ — სხვა საუბრის თემაა.

17 აგვისტო. ვრცელდება ხმები სამხედრო კონტიგენტის გაზრდის შესახებ და იმის შესახებ, რომ ჯარის გაყვანის მაგივრად, ხდება მისი დისლოკაციის შეცვლა, რომ რუსულმა

ჯარმა დაიკავა ხაშური, საჩხერე, სურამი და ამ ქალაქებში კომენდატის საათი დააწესა. ეს კი ცხინვალიდან საკმაოდ შორსაა. გეოგრაფია ფართოვდება. შიშობენ, რომ მოსახლეობა ყველაფერ ამას ვერ გაუძლებს, რომ მოსალოდნელია სურსათის დეფიციტი, მოსახლეობის წინააღმდეგობის მოძრაობა. ყველას ეშინია მოსალოდნელი პროვოკაციების, უნდათ უკეთესის იმედი ჰქონდეთ, ბედის ანაბრად არიან. სამხედროები გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ეს მორიგი ტყუილია? სიტუაცია ყოველდღე იცვლება. ხალხი მოლაპარაკების შედეგებს — 18 აგვისტოს ელის. საღამოს თბილისში ჩამოასვენეს ნაცნობი ჟურნალისტების ცხედრები.

პატრიარქის ინიციატივით ქალაქში მოეწყო მსვლელობა საქართველოს მფარველი ივერიის ღვთისმშობლის ხატით, რომელიც VI საუკუნის მეტეხის ტაძრიდან დაიწყო.

ქალაქში ვრცელდება ხმები, საუბრობენ ტყვეებზე, დაჭრილებზე, დაღუპულებზე, მოროდიორებზე. სუფევს შიში, განდგომილობა, სიძულვილი, ამავე დროს, ერთიანობის სურვილი. ყველაფერი, რასაც ომის დროს აქვს ადგილი.

რომელიღაც ადგილობრივ ტელეარხზე ვიღაც რუსი გენერალი ინტერვიუს აძლევს კორესპონდენტებს, ერევა, ვინ არის მისი უშუალო მხედართმთავარი, ხან პრეზიდენტს, ხან კი პრემიერ-მინისტრს ასახელებს. ეს სასაცილოა.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მოქალაქეთა სტერილიზებული ტვინები უამრავ კომენტარს ათავსებენ ჩემთან ინტერნეტში, „ცოცხალ ჟურნალში“, ფორუმებზე. ამ კომენტარებში, პირადად ჩემდამი, თბილისში დაბადებული ფილოლოგისა და პოეტისადმი, რომლის მშობლიური ენა რუსულია, რომელიც რუსულ-ებრაულ ნარევს წაროვადგენ, მოწოდების გარდა, ჩამოვაგდო ადგილობრივი პრეზიდენტი, ჭარბობს „საქართველოს, როგორც ისტორიული ანომალიის დემონტირების“ სურვილი, სიამაყე საკუთარი სამშობლოს გამო, იმის „არგუმენტირება“, რომ „შეუძლებელია ქართველი კარგი იყოს, რომ მას შუბლი უნდა გაუხვრიტო, შემდეგ კი გაზის ღუმელში დაწვა, რომ ყველაფერი, რასაც მკვლელობებსა და მოროდიორობაზე ყვებიან — სიცრუე და პროპაგანდაა.“ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ნაწილობრივ ასეთივე განწყობა ადგილობრივ რუსულ ორგანიზაციებშიც იყო.

მაგრამ არის სხვა ხალხიც, არცთუ ცოტა, რომლებიც პატიებას ითხოვენ, განიცდიან ყველაფერ იმას, რაც ხდება.

შემდეგ რუსეთის მრავალმა მოქალაქემ, მათგან ბევრი საქართველოში ნამყოფიც კი არ არის, დაიწყო ფულის გადმოგზავნა დაზარალებული ოჯახებისათვის. ეს უსახელო ხალხი და ხალხი, რომელიც თავის სახელს არ მალავდა, ეს ცალკეული ადამიანები — რუსეთის მუდმივი ხსნაა, წერტილოვანი და ზუსტი, მისი დაფარული ტკივილი და იდუმალი იმედი, მისი მარადიული ძვირფასეულობა.

თბილისშიც არის პოლარულობა, რასაკვირველია არის, მაგრამ ყოფა-ცხოვრებაში, ადამიანური ურთიერთობების დონეზე ტოტალური სიძულვილი აბსოლუტურად გამორიცხულია. ვხვდებოდი რა აბსოლუტურად უცნობ ხალხს მაღაზიებში, ოფისებში, ვუყვებოდი, თუ რა ბევრი სხვადასხვაგვარი ადამიანი მირეკავს, მწერს მთელი მსოფლიოდან. მათ შორის ცნობილი რუსი პოეტები და მწერლებიც, მარტო ნაცნობები კი არა — უცნობებიც, მიყვებიან, როგორი ჭრილობა მიაყენა მათ ამ ომმა. ერთ დღეს მე დედასთან ერთად საყიდლებზე გამოვედი სახლიდან, გარეთ 40 გრადუსი იყო, ნახევრად დაცლილი ქალაქი დაძაბული იყო, ფანჯრებიდან ტელევიზორების რეჩიტატივი ისმოდა. ჩვეულებრივ, სუპერმარკეტში შევედით. იქ გაისმოდა რუსული საესტრადო სიმღერები, სულელური თანამედროვე მუსიკა საკმაოდ ჩვეულებრივად ჟღერდა.

აგვისტოა... მინდა დავიყვირო „ანათემა“, მაგრამ ძალა არ მყოფნის, დავიყვირო „მძულხართ“, მაგრამ შესაძლებელია ჯოჯოხეთის, ბოროტების სიძულვილი? ამას როგორღაც უნდა სძლიო. ძალიან ძნელია. ნებისმიერი სიძულვილის დროს თითქოს ამ სიძულვილის საგანს

ვუტოლდებით. „მძულს“ და მსგავს ცნებებს ამ შემთხვევაში აზრი ეკარგება. მოცემულობას როგორღაც უნდა მოერიო. ეს კი ძალიან ძნელია...

...ჩემი ქვეყნისათვის ომი დიდი ხანია სიახლეს არ წარმოადგენს. და საერთოდაც, მსოფლიოში არსებობს ძალიან დიდი ომის რაღაცნაირი მოლოდინი. ამ ომს ცივილიზაციების ომიც კი შეარქვეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნორმა — ომია. ომი თითქოს ბუნებრივ მდგომარეობად იქცა, რომელიც ცნობიერებაში იწყება. არსებობს კი იგი ასეთ შემთხვევაში? არსებობს კი ადამიანი ასეთ დროს?

საქმე დღეს უკვე იმ ბზარშია, რომელიც აცალკევებს ორ არაბუნებრივად, ახლად წარმოქმნილ ფსიქოლოგიურ მატერიკს და იმ ახალი მტრების წარმოქმნის პოტენციალი გააჩნია, რომლებიც, შესაძლოა, ჰყავდეთ ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს, რაც ავტომატურად გამოიწვევს კულტურულ და, შესაბამისად, სულიერ და გონებრივ გაღარიბებას. ეს მტრობა უვიცობით და უცოდინრობით იქნება გამოწვეული. სწორედ ეს პოტენციალია სახიფათო. ვინც დღეს მეგობრობს — მეგობრებად დარჩებიან. მაგრამ მათი მემკვიდრეები ხვალ სხვადასხვა მხარეს შეიძლება აღმოჩნდნენ. გამოსავალი უფრო რეალისტურია, ვიდრე ფანტასტიკური (თუ გავიხსენებთ, მგონი, იოანე-პავლე II-ის ფრაზას დიდი ომის შესახებ და მოვახდენთ მის ერთგვარ ლოკალიზებას). ფანტასტიკური — თუ შეძლებენ მოლაპარაკებას. რეალისტური, თუ მოხდება ღმერთის ჩარევა. დღეს მთავარია გარდაცვლილები — ადამიანები, ცხოველები, ხეები. დიახ, ცხოველები და ხეებიც. არც ერთ იდეას არა აქვს ადამიანის სიცოცხლის ფასი, ხის და ცხოველის სიცოცხლის ფასი, რადგან ეს იქნებოდა ღმერთზე აღმატების პრეტენზია (ადამიანი, ცხოველი, ხე ხომ ღმერთის იდეას წარმოადგენენ), რაც უტყუარი ღვთის გმობაა ნებისმიერ კონფესიაში და სამყაროს ბუნებრიობისადმი საწინააღმდეგო ქმედება.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მარინა ცვეტაევას პატარა, ხუთი წლის შვილი ალა, რომელმაც დედას უთხრა: „მარინა, სისხლი ხეებსაც აქვთ“.

ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში გადაიწვა ასობით ჰექტარი ტყე, დაიწვა ნიადაგის ზედა ფენაც. ვინ და როგორ დაწვა — ალბათ, სხვები დაადგენენ, დაადგენენ მოგვიანებით. ისე კი, აქ, ალბათ, მრავალი ათწლეული ვერაფერი ვეღარ იხარებს.

მაგრამ უფრო აუტანელია ახლადდამწვარი ვაზის ხილვა. მე იგი ნიქოზში ვნახე. ჩანახშირებული ყურძენი, რომელიც ღამის თვალებს ჰგავდა, ჯერ კიდევ ეკიდა დაძაბუნებული ვაზის გამხმარ ძარღვებზე. ძალიან მწარეა, მცირედი შეხებისას, ნიავის ქროლვისას იფერფლება და სამუდამოდ ჰაერში ქრება. რაც უფრო ძლიერი და წამიერია შეხება, მით უფრო უცილობელია გაქრობა. ოო, რა შორს ვართ ჯერ ქრისტიანობისაგან...

ძალიან დიდი ხნის წინ ხშირად მეკითხებოდნენ, რატომ არ ვწერ ლექსებს საქართველოზე. „ამისათვის უნდა ცოტა გვერდზე გამდგარი იყო“, — ვპასუხობდი. მაგრამ თურმე მარტო ამიტომ არა. ლექსები გაჩნდა. შემდეგ თემამ დახლართვა იწყო, იკარგებოდა მოსახვევებში და ბედის ტრიალში. „სამშობლოს გრძნობა“, რომელიც მარინა ცვეტაევას თქმით, მოიცავს როგორც შენს საცხოვრისს, აგრეთვე რამდენიმე ქვეყანას, ენას, ხალხს, ალბათ იყო ზუსტი და არცთუ ძალიან ლოკალური. იგი მასწავლა მერაბ მამარდაშვილის წაკითხულმა კი არა, მოსმენილმა ფრაზამ, რომელიც, თავის მხრივ, პეტრე ჩაადაევის აზრს იმეორებდა: „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“.

ადგილები, სადაც ბავშვობაში მოხვდი, მუდამ მეტად არის დამუხტული. მაშინაც კი, თუ ომი და ბარაკებია... რა დამოკიდებულება შეიძლება გქონდეს საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილისადმი? საკმარისია იგი აგტკივდეს, რომ არაფრით აღარ გინდა მისი დაკარგვა. ტკივილი, ჩვეულებრივ, რეალობის შეგრძნებასთან არის დაკავშირებული და შენ მას (ამ ნაწილს) ცოცხლად გაქცევს. როგორც მარინა ცვეტაევა ამბობდა, „ჩვენი სული მხოლოდ და მხოლოდ ტკივილის შესაძლებლობაა (არა თავის, არა კბილის, არა ყელის, არა იმის, არა

ამის და ა. შ., არამედ მხოლოდ ტკივილის)“. ამრიგად, სამშობლო უფრო ახლოა სულთან, ჭეშმარიტება — გონთან.

...სხვადასხვა ეროვნების ჩემს მეგობრებსა და ნაცნობებს შორის პატრიოტები არ იყვნენ. „პატრიოტიზმი“, როგორც სიტყვა, აგრეთვე ცნება, ხშირად ხახვის ფურცლით შემოსილი, დიდი ხანია დისკრედიტებულია. მაშინაც კი, როცა სამშობლოს თავს სწირავ, შეიძლება ურა-პატრიოტი და არა-ურაპატრიოტი არ იყო. უბრალოდ გიყვარდეს, უბრალოდ იცოდე, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღალი ცნებაა.

შემდეგ რა მოხდება — შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ.

„დამთავრდა ტროას ომი, ტელემაქე,
ოღონდ არ მახსოვს — ვინ გაიმარჯვა,
მგონი ბერძნებმა: ბერძნების მეტი
ვინ დატოვებდა იმდენ მკვდარს სხვაგან... “
(ი. ბროდსკი, თარგმანი ბათუ დანელიასი).

ყოველ შერაცხად ადამიანს სადღაც თავისი რუსეთი აქვს და თავისი საქართველო, მაშინაც კი, თუ ვიღაცამ მათი წართმევა განიზრახა, ან თუ ისინი უკვე წაგართვეს, არ გინდა რომ რომელიმე პეიზაჟი, ღვთის შექმნილი, გაუპატიურდეს ომით და სიცრუით, ტანკებისა და ჩექმის გრუხუნით, რომლებიც დედამიწას კანს აცლიან. ბომბებით, რომლებიც პირდაპირ ჯოჯოხეთში მიქრიან დედამიწის სხეულის გავლით.

გახსენდება სცენა „ჯარისკაცის მამიდან“, როცა სერგო ზაქარიაძე აჩერებს ვენახში ტანკებს. ტირილი გინდება და დღეს ეს სცენა ზღაპარს ჰგავს. რა გვრჩება — ვიგლოვოთ თითოეული დაღუპული. ეროვნება არ არსებობს. ეროვნება — დამატებითი ინფორმაციაა ადამიანის შესახებ. მშვიდობა და საუკუნო სასუფეველი დაღუპულთ. ვაი, ჩვენ, ცოცხლებს, რომლებსაც არ შეგვიძლია გაგება და პატიება, რაღაცის კეთება და სიყვარული („ნაყოფით იცნობთ“ — წერია სახარებაში). დაე, ეს იყოს გოდება დაღუპულთა და ცოცხალთა შესახებ.

* * *

...დღისით ეკლესიაში ღუმელები აანთეს, რათა შობის ღამეს სითბო ყოფილიყო. ღამის ლიტურგიაზე მრავალი აპირებდა ჩამოსვლას თბილისიდან, მთელი საქართველოდან. მხოლოდ შემდეგ გავიკვირვე, როგორ დაიტია ამ არცთუ ისე დიდმა ტაძარმა ამდენი ხალხი. მორჩილი ქალები ფუსფუსებდნენ სამზარეულოში, ვაჟები მათ წყლით ამარაგებდნენ... უკვე ჩამოდიოდნენ სტუმრები, ეპარქიის მრევლი, მეგობრები, ნათესავები, ლტოლვილები... ყველა მომსვლელს რაღაც მოჰქონდა, თავისი ნახელავი. მეორე სართულზე ორ პატარა ოთახში ტევა აღარ იყო, მოსულები როგორღაც ეწყობოდნენ, ისხდნენ იატაკზე გაშლილ ლეიბებზე, პატარა სკამებზე, დივანზე. ბოსტნეულის მრავალფეროვანი კერძებით უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს. სრული ასკეზა სუფევდა (ამ სიტყვის დასაბამიერი აზრით, ბერძნულად იგი ხომ ზომიერებას ნიშნავს). აქ ბევრს არავინ ჭამს, დიდხანს არავის სძინავს. გამეფებულია გაადამიანურებული სპარტანული ყოფა. ხორცი საერთოდ აკრძალულია — ხაჭაპურის მცირე ნატეხი (ხსნილ დღეებში) და ფინჯანი ჩაი — აი, მეუფის საღამოს ტრაპეზი. მას ახლავს ლოცვა, დუმილი, აუჩქარებლობა ზედმეტი სიზანტის გარეშე. დიდმარხვის დროს ტრაპეზი დღეში ერთხელ არის. დღესასწაულზე ჭიქა ღვინოს მიირთმევენ, ოღონდ არავითარი საადღეგრძელოები. ხუმრობენ, იცინიან, მღერიან.

იშვიათია შემთხვევა, როცა ტრაპეზი გრძელია ან გვიან იწყება. ხანდახან, თუ მსახურებას ასრულებს ან მრევლს ხვდება, მეუფე არ იღებს მასში მონაწილეობას. იშვიათი შემთხ-

ვევა იყო მაშინ, აგვისტოში: ტრაპეზი გვიან დაიწყო და საკმაოდ გახანგრძლივდა. წუთებმა და მეტრებმა იხსნეს მიტროპოლიტი და მისი მორჩილნი დაღუპვისაგან. ისინი სატრაპეზოში შემთხვევით დაყოვნდნენ. მონასტერი, სადაც ამ ძნელბედობის ჟამს ერთად იმყოფებოდნენ, რომელსაც თავად აშენებდნენ 14 წელი, დაიბომბა და მთლიანად დაიწვა. იქვე ახლოს არის ნახევრადდანგრეული X საუკუნის ეპისკოპოსის სასახლე, იმ ეკლესიიდან 40-50 მეტრში, რომელშიც ქართული ეკლესიის პირველი წმინდანი რაჟდენია დაკრძალული (V საუკუნე. წმინდანი სპარსელი იყო, მეფე ვახტანგის ცოლის მოძღვარი, მეფის მრჩეველი და მამაცი მხედართმთავარი. მან მიიღო ქრისტიანობა და შემდგომში — მოწამეობრივი სიკვდილი ჯვარზე. ჯვარს იგი თანამემამულეებმა აცვეს, რადგან მან არ უარყო ახალი რჯული).

ლტოლვილნი სექტემბრის თბილისში

— ჩვენ დიდი სახლი გვქონდა, აი, ამ სახლის ნახევრის ოდენა, — ქალი ხუთსართულიან სახლზე მიუთითებს, — იცით, რა ბუნებაა ჩვენთან, ყველაზე საუკეთესო. ჩვენი წყალიც ხომ გამორჩეულია. თბილისში წყალს ვერ ვსვამ. არ შემიძლია. სუნთქვაც კი მიჭირს. — შემდეგ დიდხანს იხდის ბოდიშს, რამდენი ვიწუწუნეო.

— უთხარი, უთხარი (ეს ჩვენ), რამდენი ფული დაგვრჩა სახლში.

— ეჰ, ამას რა მნიშვნელობა აქვს. ახლა საერთოდ საქართველოს დაინაწილებენ რუსეთი, ნატო... შეიკრიბებიან, გადაწყვეტენ... რაში გვჭირდება ამერიკა? იგი შორსაა. ჩვენ კი... ჩვენ ამოვწყდებით...

ვხვდები, რომ ძალიან მდიდარი იყო. ამაზე მიუთითებს მისი და მისი ცოლის ოქროს კბილები. ახლა ცდილობს იხუმროს, იყოყლოჩინოს. ოსებმა სცემეს, სულ ოთხი ქვედა ოქროს კბილი დარჩა და ორიც ზედა, გვერდებზე. ერთადერთი მისი ვაჟი ჯერ კიდევ ადრე მოკლეს.

— ოსს თუ დავინახავ, სახლს დავუწვავ, — ამბობს იგი.

მისი ცოლი ოსია. ორივენი ტყვედ იმყოფებოდნენ.

ისინი თამარაშენიდან არიან, სოფლიდან, რომელიც დღეს აღგვილია პირისაგან მიწისა. მე და დედაჩემი მათ შემთხვევით შევხვდით, სექტემბრის დასაწყისში. ჰოსპიტალში ცხოვრობდნენ ჩვენს სახლთან ახლოს. მათთან ერთად მეზობელი სოფლებიდანაც არიან, აღარც ეს სოფლები არსებობს. ყველანი საშინაო ფეხსაცმლით წამოვიდნენ, თბილი ფეხსაცმელიც კი ვერ წამოიღეს. და ასეთი ხალხი თბილისში ათასობითაა...

— სამი სახლი გვქონდა, — გვიყვება ცოლი, ულამაზესი ოსის ქალი სალიმატი, — ცხინვალში ყველაფერი ხდებოდა... ერთ ახალგაზრდა ბიჭს ყელ-ყური დაუზიანეს, სისხლი ხან ცხვირიდან, ხან პირიდან მოსჩქეფდა. მას რუსი ექიმი წამოეშველა, რუსი სალდათები ხანდახან საჭმელს გვაძლევდნენ... ახალგაზრდებს მუშახელად იყენებენ... დედა გამოაგდეს, მისი ვაჟი დატოვეს...

— ქალებს ცოტა უკეთ ექცეოდნენ, — მიყვება ლამაზი, ცისფერთვალება, 76 წლის ტყვეობაგამოვლილი ქალის ვაჟი, — მოხუცებს ყველაზე ჭუჭყიან სამუშაოს ასრულებინებდნენ, ზოგს სცემდნენ.

— საჭმელს ძალიან ცოტას, წყალს კი საერთოდ არ გვაძლევდნენ, — ამბობს დედამისი.

ტყვეობიდან ისინი წითელმა ჯვარმა დაიხსნა.

ყოფილი მდიდარი თითქმის ძალად გვჩრის ხელებში თურქულ ნამცხვარს, რომელიც მათ დახმარების სახით მიიღეს. გასაგებია, რომ ჩვენ ვუარობთ, მაგრამ რას გააწყობ. მოგვიახლოვდა ქალი, სამი კოლოფი ნამცხვარი დაგვიდო გვერდზე და კიდევ ერთი ბოთლი ზეთი მოაყოლა.

ვიჯექით, ვსაუბრობდით, რატომღაც წასვლა არ გვინდოდა. როცა დაბინდდა, სახლში წასვლა დავაპირეთ. ცისფერთვალება ხანში შესული ქალი წამოდგა.

— ძალიან გვაწყენინებთ, თუ ჩვენ საჩუქრებს არ წაიღებთ, — გვითხრა მან.

ზეთი როგორღაც დავტოვეთ. ნამცხვარი წამოვიღეთ. უარი რომ გვეთქვა, ძალიან ვაწყენინებდით.

...სასტუმროში, ჰოსპიტლის ახლოს, სადაც აგრეთვე ლტოლვილები ცხოვრობდნენ, შევხვდით ჯოხიან მოხუცს. იგი ძლივს დადის.

— იცით, როგორ ვცხოვრობდით! (მას ყელთან მიაქვს ხელი — აი, ყელამდე გვქონდა ყველაფერიო). 25 წელი ქარხანაში ვმუშაობდი მომარაგების უფროსად.

90-იან წლებში მას ცოლი გარდაეცვალა, შემდეგ 13 წლის შვილიშვილი გოგო, ორი ვაჟი, 3 წლის შვილიშვილი. დარჩა მხოლოდ ერთი ვაჟი, რომელსაც რუსი ცოლი ჰყავდა და რუსეთში ცხოვრობდა, აგრეთვე სამი შვილიშვილი, რომელთა მარჩენალი მხოლოდ თვითონ იყო. უფროსი მეექვსე კურსზეა, კიდევ ერთი წელი უნდა ისწავლოს. მოხუცი ოსია, ცოლი, მგონი ქართველი ჰყავდა (თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს).

— ჩემი წინაპრები ყველანი ოსები იყვნენ: მამაც, პაპაც, დიდი პაპაც. მე წამოსვლა არ მინდოდა. სოფელში მარტო დავრჩი, უკვე ყველა წავიდა. ნათესავმა ძალით წამომიყვანა. ფეხსაცმელი, ფული საწოლზე დამრჩა. რისთვისღა ვცხოვრობ, — იმეორებს იგი და ტირის, — საფლავის ადგილიც კი მქონდა შერჩეული ჩემი ახლობლების საფლავებთან...

...სკოლაში თამარაშენელი ლტოლვილი ბავშვები არიან. მასწავლებელს სურს თითოეულის გაცნობა. რიგმა ერთ ბიჭს მოუწია — მერვეკლასელია.

— რა გქვია?

— დამაცადეთ, ჯერ მე ვიტყვი...

მასწავლებელი უსმენს.

— იცით, მათ... მათ მაჩაბლის სახლი დაანგრიეს!

(ივანე მაჩაბელი XIX საუკუნის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწეა, თამარაშენელი. ამ სოფელში მისი სახლ-მუზეუმი იყო.)

— რა იცი მაჩაბლის შესახებ?

ბიჭი გატაცებით ყვება.

— იცით, რატომ ერქვა ჩვენს სოფელს თამარაშენი? — კითხულობს იგი და თვითონვე პასუხობს — თამარ მეფის აშენებულია.

— შენი სახლიც დაინგრა? — ეკითხება მასწავლებელი.

— დიახ, — უპასუხა ბიჭმა და ტირილი დაიწყო.

...ლიახვის ხეობის დატოვება ბევრმა უკვე 4 აგვისტოს დაიწყო. როგორც ყვებიან, უკვე ივლისის ბოლოდან სოფლებს ესროდნენ. ხეობას ქალები და ბავშვები ტოვებდნენ. ტოვებდნენ, როგორც აღმოჩნდა, სამუდამოდ.

— აბა, მეტი რა დაგვრჩენია? — გვეუბნება ერთი ქალი და ტირის, — უნდა მოვითმინოთ.

წამოდგა, მომეხვია. დიდხანს თბილად მეხვეოდა. იგი უშუალოა, როგორც მრავალი სხვა სოფლელი, სრულიად არ ახასიათებს ქალაქელებისთვის დამახასიათებელი გათითოკაცება.

...მაგრამ უფრო გაგვიჭირდა, როცა გზაჯვარედინს მივაღწიეთ. ჩვენსკენ რამდენიმე მამაკაცმა შემოუხვია. ისინი საკმაოდ თავდაჯერებულები ჩანდნენ, არ ჩქარობდნენ, მაგრამ მოღუშულები იყვნენ. ჯერ მოგვეჩვენა, რომ მათ ავტომატები უჭირავთ, მაგრამ რომ დავაკვირდით, ანკესები დავინახეთ. ერთ-ერთ მათგანს თევზით სავსე ვედრო ეჭირა. ალბათ, თევზი მტკვარში დაიჭირეს. ისინი ბრუნდებოდნენ, როგორც, ალბათ, ბრუნდებოდნენ მონადირენი, მომპოვებლები, ოჯახში მონაგარის შემომტანნი ასეული წლების წინ, ბრუნდებოდნენ ახალ საცხოვრისში თბილისში, სექტემბრის თბილ დღეს. მათაც დააწვათ ზურგზე ოჯახზე ზრუნვის უზარმაზარი ტვირთი ამ უჩვეულო პირობებში.

უკან არც კი მიგვიხედავს, რათა დაგვენახა, შედიოდნენ თუ არა ისინი დროებით მათი

ოჯახების შემხიზვნელ ჰოსპიტალში, სადაც მათ ელიან სიკვდილს გადარჩენილი შვილები, ცოლები, მშობლები, რომელთაც ყველაფერი დაკარგეს; ელიან და კარგს არაფერს ელიან. არ მიგვიხედავს, ალბათ იმიტომ, რომ ისედაც ვიცოდით, ვინ იყვნენ და სად მიდიოდნენ.

* * *

...ოთახი, რომელშიც ნიქოზის მორჩნილნი მეუფესთან ერთად ტრაპეზს შეექცევიან, პატარაა. არც ოთახის მოწყობილობას, არც სუფრას, არც მათ საუბარს არ ეტყობა სიმდიდრის ნატამალი. კედლებზე თანამედროვე ქართველი მხატვრების რამდენიმე ძალიან კარგი სურათი კიდია, აგრეთვე — წიგნებიანი თარო, ოთახის სიღრმეში კანკელია. კარებთან ტანსაცმლის საკიდი, ჯარა და ძველი რადიოლაა, რომელსაც თაროდ იყენებენ. ყველაფერი მოგვაგონებს პატრიარქალურ ოჯახს მკაცრი, მაგრამ არაოფიციალური გარემოთი: შეგიძლია ისაუბრო, ლექსები თქვა ანდა წყნარად იმღერო სხვებთან ერთად a capella ჩონგურის თანხლებით. ამ ოთახშივე ნახულობენ მეუფის მიერ შემოთავაზებულ ფილმებს. ზოგი მათგანი თვით მის მიერ არის გადაღებული. უნდა გენახათ, როგორ სცვიოდათ ცრემლები სიცილისაგან მღვდლებს, როცა საკუთარ თავს ხედავდნენ მეუფის მიერ გადაღებულ კადრებში, როგორ იცინოდნენ ლტოლვილები, მისი მრევლი, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს, როდესაც მიტროპოლიტმა თბილისის ტაძარში მსახურების შემდეგ მათ სახალისო კადრები აჩვენა, გადაღებული ნიქოზში, ყველაზე მძიმე დღეებში. თითოეულ კადრში გამოსჭვიოდა სიყვარული და კიდევ — შენდობის არაჩვეულებრივი უნარი.

მონასტერში ხშირად მოდიან სტუმრები. ერთხელ საღამოს ტრაპეზის დროს დენი გამოირთო. მორჩილმა მაგიდაზე სანთლები დადგა. ჩვეულებისამებრ, მეუფემ მარტოდ ვახშმობა არ ისურვა და თავის მორჩილებსა და სტუმრებს მოუხმო. თითქმის ყველა სტუმარი: 16 წლის და მათზე უფროსი გოგონები რიგრიგობით წარმოთქვამდნენ ლექსებს. შემდეგ მეუფემაც წაიკითხა ლექსები.

...ოთახში სანთლები ციმციმებენ, გარეთ ჩამოწოლილი ღამე თოვლით იბურება. და მეუფის ლამაზი ხმა, რომელშიც ფოლკლორული მოტივები და ლოცვების ინტონაციები იგრძნობა, თითქოს სამშობლოს პეიზაჟებს ახმოვანებს: მთებს, ველებს, ლანდშაფტის რბილ გადასვლებს, რომლებიც უმაღლეს მწვერვალებს და დიდ სიღრმეებს სწვდება.

* * *

ხშირად სტუმართა მიერ ქვეყნის შესახებ ნათქვამი ჭრელი სიტყვები ქსოვს ბრწყინვალე ხალიჩას, რომელზეც შემდგომ ქვეყნის მაცხოვრებელთა და ყარიბთა მომავალი თაობები მიაბიჯებენ. მაგრამ როდესაც აქ, ამ ქვეყანაში იმყოფები, სურვილი გიჩნდება ეს ხალიჩა მოაცილო ნიადაგს და შიშველ მიწაზე დადგე, შუამავლების გარეშე უშუალოდ ხელით შეეხო მას. იმიტომ კი არა, რომ რაღაცაში დარწმუნდე, არამედ — უბრალოდ შეეხო.

ჩვენ მივეჩვიეთ, მოვირგოთ როგორც საშინაო ხალათი, ის, რასაც სამშობლოს ვეძახით, უფრო სწორად რაღაც პეიზაჟი, შინაგანი თუ გარეგანი... ხანდახან იგი მობეზრებული სამოსივით გამოიყურება, ხან კი — ხორცად, რომელიც სულს შეეზარდა.

ძველი ქართული ტაძრები შესისხლხორცებული არიან პეიზაჟთან. მიწიდან იზრდებიან, აგვირგვინებენ კლდეებს, გუმბათების მუზარადებით მზით, წვიმით, თოვლით გაჯერებულ ჰაერს საყრდენებად უდგებიან. ხშირად მომცრონი არიან, მაგრამ — მუდამ დიდებულნი. მათი დიდებულება თავშეკავებულობასა და არქიტექტურის განსაკუთრებულ სიქველეშია. ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ სენტიმენტალობას, არ გააჩნიათ პეიზაჟისაგან გამყოფი მკვეთრი საზღვარი. ბუნებასა და ტაძარს შორის გადასვლა აბსოლუტურად ჰარმონიულია.

შემთხვევითი როდია, რომ ქართული ჯვარი ვაზის წალმისაა (როგორ არ გავიხსენოთ ლოცვა „შენ ხარ ვენახი“), რომელიც საქართველოს განმანათლებლის, წმინდა ნინოს თმით არის შეკრული. და ეს ჯვარი რაღაცით დედამიწიდან ცაში გატყორცნილ ისარს წააგავს.

* * *

ხანდახან აქ ყველაფერი რბილდება არსებობის მანიშნებელი ერთგვარი ღიმილით.

ძველ თბილისში, ებრაულ უბანთან ახლოს, ძალიან ლამაზი ადგილია. ფეთხაინის კიბე, რომელსაც მთის მწვერვალისაკენ მივყავართ. გზად XVIII საუკუნის ქვედა ბეთლემის ეკლესიაა, უფრო ზევით კი — VI საუკუნის ბეთლემის ეკლესია. მთაზე უზარმაზარი ურჩხული აღმართულა — ქართვლის დედა. თითქმის ყველა დიდი ქანდაკება ახლოდან საშინელია. ამ ორ ეკლესიას შორის იყუჟებიან პატარა, ძველი ხის სახლები, ცოცხალი მოწმენი თბილისური არომატისა. მუდამ ვოცნებობდი კინოს გადაღებაზე. ერთხელ ამ ადგილას კამერით მოვხვდი. ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა... გადავიღე ხატები, რატომღაც გარეთ რომ გამოეტანათ და მზეზე ელვარებდნენ, და გამოვრთე კამერა. და, როგორც ყოველთვის, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ყველაზე საინტერესო ამბები.

სულის შემხუთველი ივლისის მდუმარება. ქვედა და ზედა ბეთლემის ეკლესიებს შორის ვდგავარ და უცებ ქალის ხმა მესმის, რომელიც მეზობელს ეძახის:

— მადონა, მადონა!

მას ამ სახელის მატარებელი ქალი ეპასუხება და იწყება გაცხოველებული საუბარი ქურთულ ენაზე.

ალილო

...საშობაო ლიტურგიის შემდეგ დაიწყო ალილო. ეს ჭეშმარიტი ალილო იყო, რომელიც ძირეულად განსხვავდებოდა დათაფლული, მოჩვენებითი ქალაქური მასკარადისაგან. „ალილო“ ძველებრაული „ალილუია“-დან („ადიდეთ უფალი“) მოდის და საშობაო მსვლელობაა ღამის მსახურების შემდეგ. საქართველოს ყველა კუთხეში საკუთარი ალილო აქვთ. ტრადიციას უხსოვარ დროში უდგას ფესვები, იგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ გააცოცხლა და შობის გაცხადების სიხარული მოაქვს, თანაც საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. სწორედ ამ სიხარულს განიცდი, როცა სხვებთან ერთად დიდხანს დადიხარ დათოვლილ ნიქოზში. მეუფე მგალობლების თანხლებით ტრადიციულ საშობაო სიმღერას მღერის. ეს სიმღერა აუცილებლად სრულდება სახლში შესვლისას და გამოსვლისას. მათ მიჰყვება მორჩილი, რომელსაც ხელში ნაკურთხი წყლით სავსე ფიალა უჭირავს და აგრეთვე მრავალი მომლოცველი. შედიან ყველა სახლში. მიტროპოლიტი შობის დადგომას იუწყება. ამას გაშლილი სუფრით, ღვინით ეგებებიან. ის სადღეგრძელოს წარმოთქვამს, ლოცავს ოჯახს, ასხურებს ნაკურთხ წყალს, ცოტა ხნით ჩერდება, ესაუბრება ოჯახის წევრებს და შემდეგ სხვა სახლისკენ მიდის. მუხლამდე თოვლია, ციდან ჩვილის ხელისგულისხელა ფანტელები ცვივა. დროთა განმავლობაში მეუფის წვერზე ყინულის ლოლოები ჩნდება. იგი ბავშვივით გახარებულია — დღეს ხომ დღესასწაულია, ღვთაებრივი დღესასწაული.

ყველა ოჯახში ისმის სადღეგრძელოები, სიმღერა, სიცილი, ერთი სახლიდან მეორეში გადასვლისას, გზად ბავშვები და მოზრდილებიც გუნდაობენ. სტუმრებმა აუცილებლად უნდა დააგემოვნონ ოჯახის სუფრა. ალილო დილის რვა საათისთვის იწყება, როცა ჯერ კიდევ ბინდბუნდია და მხოლოდ დღის პირველ საათზე მთავრდება. ადრე, როცა სოფლის სახლები დანგრეული არ იყო, სოფლის ბოლოებში კი ბლოკ-საგუშაგოები არ იყო მოწყობილი, ალილო ხშირად ოთხ საათამდე გრძელდებოდა.

* * *

მთები... ამ მთებიდან დაბლა ეშვება (ან ზევით ადის) როგორც „კუზიანი თბილისი“, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქები და სოფლები. მთები ფარავენ ჰორიზონტს, მზერა მათ ეჯახება და იძულებული, უკან დაბრუნდეს, უნებლიეთ ცისკენ მიემართება. სამაგიეროდ, მთები, ველებისაგან განსხვავებით, აღქმას მოცულობითობას ანიჭებენ. შემთხვევითი როდია, რომ აღმოსავლეთში იგავები არსებობს, დასავლეთში კი — თეორიები.

„არაკი და იგავი აზრის გამოხატვის ძველი ფორმებია, — ამბობს ოთარ იოსელიანი, — აზრის გამოხატვის იგავური წესი უფრო ყოვლისმომცველ მოდელს ქმნის. მოვლენათა მოცვის ქართული მოდელი არაკის თხზვაზეა დამყარებული. არაკი მოსახერხებელი და ტევადია, ენობრივად უფრო ახლოა ფილოსოფოსობასთან. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაყურებელი თანდათან განზე გაიყვანო, რეალობაში დაარწმუნო, გადაანაცვლო აქცენტები და არაკს მოყვე.

საქართველოში, სომხეთში არსებობს ცხოვრების ძველი ტრადიცია. როდესაც საქართველოში ღარიბად და უზრუნველად ცხოვრება საპატიო გახდება, მაშინ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს“.

ეპარქია: პორტრეტები მის ფონზე

მეუფეს ნებართვით, მორჩილ ევლალიასთან ერთად მის სახლში მივდივარ. ნიქოზში დღეს ეს პირველი საცხოვრებელი სახლია. იგი მონასტრიდან რამდენიმე წუთის სავალზეა. საცხოვრებელი ცოტა ხნის წინ გახდა, მას შემდეგ, რაც იქ მისი ახლობლები ჩასახლდნენ. სახლი ქართული ბლოკ-საგუშაგოდან ცოტა მოშორებით, როგორც ამბობენ — „ნეიტრალურ ზოლში“ მდებარეობს. შემდგომ შევიტყვე, რომ მეუფეს დაურეკეს, არკვევდნენ ჩემს ვინაობას. მაგრამ ჩვენ არავინ შეგვხვედრია, შესაბამისად, არავის არაფერი უკითხავს... თითქოს იმ პატარა ყუთისმაგვარ სახლში, რომელსაც ბლოკ-საგუშაგო ჰქვია, არც არავინ იყო.

გზა დათოვლილია, ფეხი გვიცურავს. ამიტომ ნელა მივდივართ. დიდი ლიახვიდან გაყვანილ არხზე პატარა, მოფამფალებული ხიდით გადავედით. ლტოლვილები ზაფხულში ამ მდინარის ხეობით გადმოვიდნენ. საკუთარი სახლის ჭიშკართან ევლალია გაირინდა.

იგი ცხინვალშია დაბადებული. ნიქოზში მის ოჯახს აგარაკი ჰქონდა. „რა ქალაქი იყო! — იგონებს მორჩილი, — ღამეც კი უშიშრად დავდიოდით. წყნარი, წარმტაცი — თბილისს კი არ ჰგავდა“.

აგვისტოში ახალგორში გადასვლის შემდეგ, — ხელში ეკლესიიდან წამოღებული ხატით მიდიოდნენ, — ევლალიამ იქ ვერ გაძლო და სამი დღის შემდეგ უკან დაბრუნდა. ნიქოზში მარტო ვერ წამოვიდოდა: ომი მძვინვარებდა, გზაზე რუსული საგუშაგოები იყო, მას არ გაატარებდნენ. ამიტომ იგი გორის მიტროპოლიტსა და რუს გენერალს დაემგზავრა.

— ჩვენ არ ვიცოდით, როგორ იყო მეუფე, რამე ხომ არ დაემართა. ჩამოვედით, ირგვლივ ნანგრევებია. შემეშინდა. და უცბად მეუფე გამოჩნდა. ჩემს სიცოცხლეში ეს ყველაზე ბედნიერი დღე იყო... — მის თვალებზე ცრემლმა გაიბრწყინა, — მეორე დღეს ვსხედვართ ოთახში, უცებ ზარების რეკვა შემოგვესმა, ვიღაც შემორბის და ყვირის: პატრიარქი მობრძანდა!.. მეუფეს კი რუსი სალდათები ეცოდება. სულ ახალგაზრდები, 18-19 წლისანი არიან...

ევლალია ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიყვება სხვადასხვა ამბებს. შემდეგ მეუფემ იგი კვლავ ახალგორში გააგზავნა. მაგრამ ახალგორი უკვე ოკუპირებული იყო, ამიტომ მორჩილები სხვა მონასტერში გადასახლდნენ და მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც ხიფათი შემცირდა, მეუფემ მათ დაბრუნების ნება დართო. დღეს მორჩილები პატარა სახლში ცხოვრობენ, მეუფე კი — ვაგონში.

...ერთ საღამოს მონასტერში პოეზიის საღამო მოვაწყეთ. ესწრებოდნენ მორჩილები, რამდენიმე სოფლელი, სტუმრები. რიგრიგობით ვკითხულობდით — მე დიდ რუს პოეტებს, მეუფე — ქართველებს, მათ შორის თავის საყვარელ ვაჟა-ფშაველას.

ახალგაზრდა ნიქოზელმა მორჩილმა თინათინმა რკინის შეშის ღუმელი გაახურა. მიტროპოლიტი და ერთ-ერთი მონაზონი ორ ხმაში ქართულ ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. მაგრამ ამ ყველაფერს მოყვარულის გადაღებული კადრები, რასაკვირველია, ღირსეულად ვერ ასახავს, ვერ ასახავს ვერც სიტყვა. ამ დროს იქ უნდა ყოფილიყავით.

მეუფე ბრწყინვალედ მღერის, უკრავს ოთხსიმიან ჩონგურზე, დოლსა და სხვა ხალხურ საკრავებზე. უყვარს გიტარაც. იგი ლამაზია იმ უნიკალური სილამაზით, როდესაც გარეგანი სრულიად ერწყმის შინაგანს, უფრო ზუსტად — თანხვდება შინაგანს. მეუფის მსგავს პიროვნებებზე წერდა ალექსანდრ შმემანი: „ქრისტიანობის ბავშვური სიხარული“. ალბათ, მის მსგავსებზეა ასეთი ათონური შეგონება: შეუძლებელია ღმერთის რწმენა, თუ სიცოცხლეში ერთხელ მაინც ვერ შეხვდი ადამიანს, ვის მზერაშიც გამოსჭვივის მარადიული სიცოცხლის კაშკაში.

საარტილერიო დაბომბვა 7 აგვისტოს დაიწყო, 11 აგვისტოს დაბომბვა უკვე ავიაციამ განაგრძო. არსად იყო სამალავი. მონასტერს ერთ დღეში 32 ჭურვი დაეცა. მონასტრის მკვიდრნი მტვერში ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, ეძებდნენ, ერთმანეთის სახელებს ყვიროდნენ, დიდხანს არ იცოდნენ, ვინ გადარჩა ცოცხალი.

...დღისით მეუფე, კიდევ ერთი მღვდელი და ხანშიშესული ნიქოზელი ქალი, რომელმაც სოფელი არაფრისდიდებით არ დატოვა, მოროდიორებს ბაღებში ემალებოდნენ. ეძინათ სარდაფში, არც დენი ჰქონდათ, არც წყალი. ნიქოზის დაცარიელებული ბოსტნების შემოუსვლელი პომიდვრით იკვებებოდნენ. სოფელში მხოლოდ მოხუცები იყვნენ დარჩენილი.

— აგვისტოს ერთ დღეს, — ყვება მეუფე, — ვწევარ მიწაზე, წიგნს ვკითხულობ. როგორც იქნა წიგნის კითხვის დრო გამოვნახე, — ხუმრობს, — თავქვეშ რაღაც მაგარი ვიგრძენი, ფეხზე წამოვდექი. აღმოჩნდა, რომ თავი ბომბზე მედო. როგორც შემდეგ გამნაღმელებმა დაადგინეს, ბომბი კასეტური იყო და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა აფეთქებულიყო.

მთელი ამ მოვლენების დროს მეუფე გაბედულად მოქმედებდა, ოღონდ არა როგორც მეომარი, არამედ როგორც მაცხოვრის მსახური. ეხმარებოდა ადამიანებს, ცხოველებს, ზეგავლენას ახდენდა სიტუაციაზე საზღვრის ორივე მხარეს. იგი ამბობს, რომ საქართველოს იარაღი და ძალა კი არ გადაარჩენს, არამედ ის, თუ მოსახლეობაში სიძულვილი და გაბოროტება არ გაჩნდება.

დღეს ეპარქიის მუდმივ მრევლს შეადგენენ ისინი, ვინც დაბრუნება შეძლო, ვისაც დასაბრუნებელი ადგილი გააჩნდა, აგრეთვე ისინი, ვინც არ დატოვა საკუთარი სოფელი. წირვაზე მეზობელი სოფლებიდან ფეხითაც მოდიან. ეს ხალხი, ალბათ, ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა ომზე, მაგრამ ამ სიგიჟის შედეგები მათ ყველაზე მეტად იწვნიეს.

...პელაგიას, პელოს, ოთხი ბრწყინვალე შვილი ჰყავს. იგი ქართველია, მისი მეუღლე კოტე კი — ოსი. კოტე მეუფეს ლიტურგიის დროს ეხმარება. გაზაფხულზე მათი უფროსი, ცხრა წლის შვილი ოთოც (ოთარი) შემოსეს, ისიც ემსახურება წირვის დროს. მათი სახლის მეორე სართული რაკეტებმა დაანგრია. სახლს ორი რაკეტა რომ მოხვდა, პელოს მშობლები ეზოში იყვნენ, თვით პელაგია ბავშვებით ამ დროს უკვე გორში, მისი ქმარი კი ეკლესიაში. ისინი შემთხვევით გადარჩნენ. დღეს დანგრეული სახლის პირველ სართულზე ორ პატარა ოთახში ცხოვრობენ, საპირფარეშო ეზოშია. მათ, როგორც სხვა დაზარალებულებს, პატარა კოტეჯი გორთან აშენებულ ერთ-ერთ დასახლებაში გამოუყვეს. ეს დასახლებები სკებს მოგაგონებთ, სახლები ზამთარში ნესტიანია, ამიტომ ისინი ნიქოზს ამჯობინებენ. გაბოროტების ნატამალს ვერ შეამჩნევ ამ ხალხს, მათ მზერასა და ქცევაში არაჩვეულებრივი ღიაობა, უკიდურესი წესიერება და გულწრფელობაა. ამის შემხედვარე ადამიანში უეცრად ღვივდება მოყვასის სიყვარული.

ხანდახან წირვაზე ჩამოდის და ტრაპეზზეც რჩება ახალგაზრდა ქალი ბავშვით, რომელიც ევლალიას ნათლულია. აგვისტოში იგი სულ პატარა, ჩვილი იყო. მაშინ მოახერხეს სახლიდან გაქცევა, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ დედამისმა დაბრუნება მოინდომა, რათა ენახა, რა დაემართა მის სახლს. ჭურვი პირდაპირ ტაქსს მოხვდა. დედა დაიღუპა, მძღოლი მძიმედ დაიჭრა. თუ რა მოხდა, ეს მხოლოდ მძღოლის გონზე მოსვლის შემდეგ შეიტყვეს. მეორე ქალი ჭურვმა საკუთარი ეზოს კართან მოკლა. ქალი სოფელში სასაფლაოზე წასასვლელად დაბრუნდა, მისი დედამთილის ორმოცი იყო. დაღუპულებს საკუთარ ეზოში კრძალავდნენ.

სხვადასხვა ბედისწერის მქონე ამ სოფლების მაცხოვრებლები, გინდ შერეული, გინდ არაშერეული ოჯახების წევრები, ბრაზსა და აგრესიასაც არ ავლენენ. ის, რომ ეს ხალხი, რომელმაც ამდენი საშინელება განიცადა, არ გაბოროტდა, მუდამ დიდ სიმპათიას იწვევს. ისინი თითქოს ძალიან არც განიცდიან სახლების დანგრევას, მოროდიორების მიერ ძარცვას. ერთადერთი, რასაც მათ ვამჩნევ — შიშს, რომ შეიძლება ეს ყველაფერი განმეორდეს...

ეპარქიის მღვდელთმსახურებს ვერავითარ ამპარტავნებას ვერ შეამჩნევ, ისინი არ ახდენენ მოვლენათა ზედმეტ დრამატიზებას, არ ახასიათებთ ჭკუის დამრიგებლობა, რომელიც ნებისმიერ რწმენას გააქრობს. დღეს ისინი ყველანი ლტოლვილები არიან. სოფლები, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მსახურებდნენ, სამუდამოდ განადგურებულია. მათი ოჯახები ახლა თბილისში ცხოვრობენ.

ეპარქიის მღვდელი მამა დავითი ავნეველია — ეს სოფელიც აღგვილია პირისაგან მიწისა. მას მუდმივად რაღაც ემართება, თითქოს ხალხური ზღაპრებისა და იგავებისათვისაა შექმნილი. მეუფეს უყვარს იმის მოყოლა, როგორ ჩარჩა მამა დავითი მორჩილ გიორგისთან ერთად გზაზე შარშანდელი გაგანია ომის დროს, როცა მანქანა გაუფუჭდათ. მათკენ მტრის დაჯაბშნული მანქანა მოძრაობდა. გზა ვიწრო იყო და გვერდს ვერ აუქცევდა, ამიტომ იგი გაჩერდა. მანქანიდან სამხედროები გადმოვიდნენ და მღვდელს უბრძანეს მანქანიდან გადმოსულიყო.

— რა მოხდა?

მამა დავითი ნახევრად ოსი, ნახევრად ქართველია. რუსული თითქმის არ იცის. ერთადერთი რისი თქმაც მოახერხა, იყო:

— მანქანა მოკვდა.

ნიქოზში ცხოვრობს ხანშიშესული წყვილი — ლეილა და კოლა, სუხიშვილების ცნობილი ანსამბლის ყოფილი მოცეკვავეები. ჩვეულებრივ, კინემატოგრაფისტებს ძალიან უყვართ მათი მსგავსი ხალხი. როდესაც ლეილას უყურებ, ნამდვილი საქართველოს დანახვა შეგიძლია.

მათი სახლი ეპარქიაში განლაგებულ, მრევლისთვის განკუთვნილ პატარა სახლს ემიჯნება. მიუხედავად იმისა, რომ აქ 14 წელიწადია ცხოვრობენ, ეკლესიაში ერთხელაც არ შესულან.

— ლეილა ხშირად გვიგზავნიდა მოსაკითხს, ხან ნამცხვარს, ხან ხილს, — ღიმილით ამბობს მეუფე, — ეკლესიაში კი არ მოდიოდა. დღეს კი აქედან ძალითაც ვერ გააგდებ. ომი დაგვეხმარა!

ლეილა უჩვენებს მეუფეს, რომელიც მას ვიდეოფირზე იღებს, თუ როგორ ემალებოდა 58-ე არმიას სკივრში 24 საათის განმავლობაში. შემდეგ, თურმე ვიღაც ინგუშს დაუმეგობრდა და ის დაეხმარა ქვემო ნიქოზში თავისი ქალიშვილის სახლამდე მისვლაში, სადაც მიტოვებული ძროხა ელოდებოდა.

— მე მათ ყველას მივმართავდი: „შვილო“, — ყვება ლეილა, — ასე რომ მიმართავ, ხომ აღარ მოგკლავენ. არა, არ უხეშობდნენ, მეუბნებოდნენ: „ბებია, ნუ გეშინია, ჩვენ თქვენი მოკვლის ბრძანება არ გვაქვს. თუ გვექნება...“ შემდეგ, როცა ჩემმა ქალიშვილმა მნახა, მკითხა: „დედა, ასე რამ დაგაპატარავაო...“

ლეილა სალდათებს წყალს ასმევდა, რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. კოლამ გადაწყვიტა, ტყვედ ჩაბარებოდა ოსებს, რომლებმაც მოხუცებს გარკვეულ ადგილზე შეკრება უბრძანეს. ეს „ტყვეობა“ სხვა, უფრო მკაცრი ტყვეობისაგან განსხვავებით, პოლიციის შენობაში ლეილას და კოლას სახლთან ახლოს იყო. ლეილა ცდილობდა, ქმარი ტყვეობიდან დაეხსნა, მაგრამ კოლას ამის სურვილი არ ჰქონდა: ყველგან მოროდიორები დაწანწალებდნენ, სახლიდან გამოსვლაც კი სახიფათო იყო. „ტყვეობაში“ კი დაცულად გრძნობდა თავს.

სექტემბერში, 40-წლიანი ქორწინების შემდეგ, მეუფემ მათ ჯვარი დასწერა. მეუფეს ამ ჯვრისწერის უნიკალური სასაცილო კადრები აქვს, რომლებშიც იგრძნობა სახელგანთქმული ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ინტონაცია, განსხვავება კი ის არის, რომ ეს კადრები დოკუმენტურია.

— ნახე, როგორ ვცეკვავ? — მეკითხება ლეილა. ვატყობ, სიამოვნებს, კინოგმირი რომ გახდა.

იგი დიდი გატაცებით ცეკვავდა აღდგომის დღესასწაულზეც. სადღესასწაულო სააღდგომო წირვის შემდეგ, როცა, ჩვეულებრისამებრ, ნიქოზში მრავალი სტუმარი იმყოფება (მათ შორის პოლონელი სტუმრებიც იყვნენ), ეზოში ეკლესიის კედელთან გაშლილი იყო სუფრა და როგორც ნიქოზში ხდება ხოლმე ქრისტეს აღდგომის დღეს, ახალგაზრდები და ხანდაზმულებიც ქართულ ცეკვებს ცეკვავნენ, ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. მხიარულება სუფევდა. და ეს ხდებოდა ცხინვალიდან 1 კილომეტრში.

სულაც არ მინდა, რომ მონათხრობი ამ ხალხის შესახებ, დიდი განსაცდელი რომ გადაიტანა და მედგრად უძლებს ყოველდღიურ გასაჭირს, ჩაშაქრული გამოვიდეს. თუმცა სწორედ ისინი ჩამრჩნენ მეხსიერებაში, ერთმანეთისაგან ასეთი განსხვავებულები, მაგრამ ერთნაირები რაღაც მთავარში. გამახსენდა ბიბლიისეული: „იცავს უფალი გულუბრყვილოებს: დავუძლურდი და მან მიშველა მე“ (ფსალმუნი, 114:6).

...მეუფესა და მრევლთან ერთად ნიქოზში მივდივარ. მეუფე გზად ხან ქართულ ხალხურ სიმღერებს, ხან ვივალდის, ხან ალიასკის სასულიერო აკადემიის გუნდს რთავს, რომელმაც საკუთარი ჩანაწერი მას ალიასკაზე სტუმრობისას აჩუქა, ხან ვისოცკის.

როდესაც მას უყურებ, უფრო ხშირად ორთოდოქსიაზე კი არა, ორთოპრაქსიაზე ფიქრობ, რადგან მნიშვნელოვანი მხოლოდ ის კი არ არის, რისი რწმენა აქვს ადამიანს, არამედ ის, თუ როგორ იქცევა. „რწმენა მკვდარია საქმის გარეშე“ (ეპისტოლე იაკობის, 2:20). იგი ყველას ერთნაირად უთმობს ყურადღებას. გულგრილი არ რჩება არცერთი მოვლენის მიმართ. მას „ჩვეულებრივ“ ცხოვრებაშიც კი იშვიათი თვისებების შერწყმა ახასიათებს: სულიერი სიფაქიზის, დელიკატურობის, მკვეთრად გამოსახული სულიერი ვექტორის, საკუთარი თავით ცხოველი უკმაყოფილების, სიწმინდის, რომელიც მომდინარეობს ოჯახური აღზრდიდან და გამყარებულია რწმენით, წრფელი, ამიტომ ჭეშმარიტი მსახურების, თავშეკავებულობის და სითბოსი, ვაჟკაცობის, სიმტკიცის, გულითადობისა და ბავშვურობის... რაც მთავარია, მისთვის დამახასიათებელია ბუნებრივი სიყვარული ყოველი კონკრეტული ადამიანისადმი.

სწორედ ასეთ ადამიანებში, — და მათი მეშვეობით, — გველაპარაკება ზეცა გასაგებად და შემწყნარებლურად.

* * *

ანგელოზები — ღმერთის სამოსია. მღვდელი კი არ გვიხსნის მის არსს, არამედ მასთან მივყავართ.

ცოცხალი რწმენა — სულის და გონების საჩუქარია, გამრავლებული მათი დაუღალავი შრომით; იგი უარია საკუთარ თავზე, სხვა ადამიანის შეუცდომელი შეგრძნებაა. სულსწრაფობა და წვრილმანებში ქექვა ხელს ვერ უწყობს გაგებასა და ქმედებას. შემოქმედებ-

ითი სინდისი, მსგავსად რწმენისა, გამორიცხავს უცოდინრობისა და დოგმის სნობიზმს. ცხოვრებაში უცოდინრობა ცოდნაზე მეტია და ეს ის სფერო არ არის, რომელშიც ჩარევა ეგების. შეიძლება ვთქვათ, რომ ნებისმიერ ნამდვილ მორწმუნეს, მიუხედავად კონფესიისა, ჭეშმარიტად შემოქმედებითი სინდისი აქვს.

* * *

ღმერთისათვის არაფერი შეუძლებელი არ არსებობს, მაგრამ ჩვენთვის ხდის რაღაცას შეუძლებლად. ალბათ მცირედმორწმუნეობისათვის ან რაღაც სხვა მიზეზით. ნებისმიერ ადამიანს დედამიწაზე მისი მოწყალებისა და სასჯელის საკუთარი საზომი გააჩნია. ამას ვერავინ გაიგებს, მაგრამ თითოეული თავისებურად ვერ გაიგებს.

სამყარო იცვლება და ამავე დროს ისეთივე რჩება.

ყოველი ცვლილება (ცხოვრების ადგილის შეცვლა, შეცვლა ან დაკარგვა სამუშაოსი, ოჯახური მდგომარეობის, ქვეყნის და ა. შ.) მნიშვნელოვნად მოქმედებს თვითინდენტიფიკაციაზე. ასეთი ცვლილებების შემდეგ გონს ყველა როდის მოდის. ზოგი კი უფრო შორს მიდის, ვიდრე ამას ადრე შეძლებდა. ძირითადი ცვლილებები ჯერ ადამიანში ხდება და მხოლოდ შემდეგ მჟღავნდება.

აგვისტოს სიცხე თანგავს ჰაერს, ადუღებს ტვინს. იკარგება დროის შეგრძნება.

დღეს უამრავი ლტოლვილია მიმოფანტული საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, ანდა ისინი კომპაქტურად არიან ჩასახლებული უამრავ პატარა კოტეჯში. ზოგი ჯერ კიდევ სასტუმროებსა და საავადმყოფოებში ცხოვრობს.

ქუჩის შარშანდელმა მრავალხმიანობამ, რომელიც თითოეულ ადამიანში საკუთარ სიმპათია-ანტიპათიებს აღძრავდა, ყველა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიძნელემ როგორღაც გაახმოვანა გასული დრო. ვფიქრობ, რომ შემდგომშიც გაახმოვანებს. საქართველოს მოსახლეობა დღეს შინაგანი პრობლემებით უფროა დაკავებული, და ვისურვებდი, რომ გარე ტაიფუნები, რომელთა შიში ჯერ კიდევ არსებობს, არ შეეხოს მას შარშანდელი აგვისტოს მოვლენების მსგავსად.

ეპარქია, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, ნაწილობრივ აღდგენილია,. გრძელდება განაღმვა — ისევ ხშირად პოულობენ კასეტურ ნაღმებს, ამიტომ ნიქოზისა და მეზობელი სოფლების მაცხოვრებლები მოსავალს ვერ იღებენ, ბაღ-ვენახებში გასვლას ერიდებიან. საქართველოს სხვადასხვა ადგილას, სადაც შარშანდელმა აგვისტომ გადაიარა, ჯერ კიდევ ხდება ბავშვების, ხანდახან მთელი ოჯახების აფეთქება ნაღმებზე. არაფერს ვამბობთ დაყოვნლებული მოქმედების ფსიქოლოგიურ ნაღმებზე.

...წელიწადმა ისე სწრაფად გაირბინა, რომ ძნელი გასააზრებელია გრძელი თუ წამიერი იყო იგი. მოვლენებით აფეთქებული, დაფლეთილი და სხვადასხვა ადამიანებსა და ქვეყნებს შორის ახალი ურთიერთობების დამამყარებელი წელი, რომელმაც მრავალი რამ შეცვალა, მრავალს კი თავის ადგილი მიუჩინა, გახდა მრავალ რაღაც ჭეშმარიტთან შეხვედრის წლად.

* * *

...და კვლავ უბრუნდები ღამისა და თოვლის საზღვრისპირეთს, და გარიჟრაჟის სიჩუმეში თითქოს უფრო მეტს იგებ საქართველოს შესახებ, ვიდრე საერთოდ აქამდე გაგიგია. ბრუნდები ზამთარში, წელიწადის ყველაზე პატიოსან დროში, როდესაც ცა არ იმალება ფოთლებში და თეთრი დედამიწა ქაღალდის სუფთა ფურცელს ჰგავს, რომელზეც ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის დაწერა, ღამეს კი აპობს დამწვარი ვაზი, ჩანახშირებული ხე, ცა, რომელიც ჭერის შემცვლელია, ეკლესიაში დანთებული ღუმელის კვამლი, თოვლი, რომელსაც სათუთად უფრთხილდება ღამე.

სწორედ ასეთ წამებში უფრო მეტად გსურს ჩაიჩურჩულო „ალილუია“, რადგან „გაამხნევებს მორჩილებს უფალი, ბოროტეულებს დაამდაბლებს მიწამდე... არც ცხენის ძლიერებას ისურვებს, არც კაცის მუხლმაგრობას ინებებს, ისურვებს უფალი თავის მოშიშებს, მისი წყალობის მოიმედეებს“ (ფსალმუნი, 146:6; 10-11). რაც უფრო ძლიერი უარყოფა იჟღერებს „ალილუიაში“, მით უფრო გაიგებს მას მაცხოვარი.

და რჩება შესაქმის უხმო ექო — შესაქმე ხომ ყოველ წამს ხდება, ყოველი ნაბიჯი სინამდვილეში შესაქმის აქტია, — ასოთა მიმიკრია, რადაც ქცეულან სილუეტები და რადაც შემდგომში გადააქცევ პეიზაჟს. და დგება წამი, როდესაც ადგილი აღარ გეჩვენება ოპტიკურ ილუზიად და არის ის, რაც უნდა იყოს: ყველაფრის, პირველ რიგში კი აზრის საზღვარი. შესაძლოა, უმისამართო საზღვარი. ცოტაც და შეძლებ გამოიხურო ძველი კარი და პირდაპირ კოსმოსში შეაბიჯო, რომელიც თითქმის დაიხარა შენსკენ და თავისი მთავარი საიდუმლო — სიჩუმე — გიჩურჩულა.

სწორედ ეს არის გახსნილი ზეცის ჭეშმარიტი ხმა.

«Новая Юность», 2009, №3 (90)

რუსულიდან თარგმნა ***ჰამლეტ ზუკაკიშვილმა***

ვასილ კობახიძე

მაგიიდან სამოქალაქო რელიგიამდე

Для меня всегда было и есть что-то глубоко омерзительное во всяком «культе», в фанатизме в любой форме, фанатизм мне кажется самой страшной, безобразной, унизительной и опасной чертой человека. Как это ни покажется странным, но он вызывает во мне прежде всего физиологическую реакцию: я чувствую всю его противоестественность, то есть противность моему естеству, сама моя природа ему противится, и весь мой организм реагирует на него легким, отдаленным позывом к тошноте. Меня начинает мутить, и тогда я знаю, что это не только отвратительно, но и противоестественно: этот пробный камень физиологической реакции еще никогда не подвел меня.

Нина Берберова. „Курсив мой“

14 იანვარს, იესო ქრისტეს წინადაცვეთის სადღესასწაულო ქადაგებაში, მოსკოვის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ (ამჟამად მოსკოვის პატრიარქმა) მიტროპოლიტმა კირილე გუნდიაევმა რელიგიური რიტუალები სამხედრო აღლუმებს და სხვა სახელმწიფო ცერემონიებს შეადარა: „აღლუმი ახდენს მისი მონაწილეების მობილიზაციასა და აღზრდას“ — განაცხადა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ.

რიტუალი (ritualis, ritus — ლათ. რელიგიური წესი, საზეიმო ცერემონია) არის რთული სიმბოლური ქცევის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმა, ქმედებათა კოდიფიცირებული სისტემა, რომელიც გამოხატავს გარკვეულ სოციალურ და კულტურულ ურთიერთობებს, იქნება ეს კონკრეტული ღირებულებებისა და ავტორიტეტების აღიარება, სოციალურ-ნორმატიული სისტემის განმტკიცება და ა. შ. ადამიანის სტატუსის ცვლილებას ხშირად თან ახლავს რიტუალი, მაგალითად: ქორწინება, დაკრძალვა, ნათლობა და სხვ. მრავალრიცხოვანი ჯგუფების ერთობლივი ლოცვაც რიტუალით გამოიხატება: ლიტურგია, წირვა.

თითქმის ყოველი რელიგიური დოქტრინა შეიცავს სიმბოლოების კრებულს, რაც ადამიანებში პატივისცემას და მოწიწებულ შიშს იწვევს. ეს სიმბოლოები მორწმუნეთა თემის მიერ აღსრულებული რიტუალების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოცემულ რელიგიურ დოქტრინაში ღმერთის იდეა, პრაქტიკულად ყოველთვის ფიქსირდება ისეთი ობიექტები ან არსებები, რომელთა მიმართ თაყვანისცემა და მოწიწება გამოიხატება. ზოგიერთ რელიგიებს ახასიათებთ რწმენა არა პერსონიფიცირებული ღვთაებისადმი, არამედ აბსტრაქტული „ღვთიური ძალისადმი“. სხვებში კი ხდება ისეთი პერსონების თაყვანისცემა, რომლებიც ღმერთები არ არიან: მაგალითად ბუდა, კონფუციუსი.

რელიგიური რიტუალები შეიძლება იყოს ლოცვები, საგალობლები, ცეკვები, პროცესიები, გარკვეული ტიპის საკვების მიღება ან მარხვა. რიტუალური აქტები მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ სიმბოლოებთან, ამიტომაც ისინი განიხილებიან, როგორც ყოველდღიური ცხოვრების წესებისაგან სრულიად განსხვავებულნი. ხშირად რელიგიურ რიტუალებს ადამიანები განმარტოებით ასრულებენ, მაგრამ ყველა რელიგიაში არსებობს აქტები, რომლებშიც მორწმუნეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები მონაწილეობენ. ოფიციალური ცერემონიები ტარდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში — ეკლესიებში ან ტაძრებში.

მკვლევარები კოლექტიური რიტუალების არსებობას განიხილავენ, როგორც რელიგიის მაგიისაგან განსხვავების ფაქტორს, თუმცა ამ განსხვავების მკაფიოდ გამოკვეთა ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მაგია წარმოადგენს ქმედებებს, რომელთა მიზანია სხვადასხვა საშუალებებით (ნივთები, შელოცვები) ღვთაებრივ და ბუნების ძალებზე ზემოქმედება. მაგალითად, პოლინეზიის კუნძულებზე მცხოვრები ტომები ყოველთვის ასრულებენ მრავალ მაგიურ რიტუალს ზღვაში მოგზაურობის წინ.

ტრადიციული ტიპის საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიას ძირითადი ადგილი უკავია. რელიგიური სიმბოლოები და რიტუალები ხშირად ინტეგრირდება საზოგადოების კულტურაში: მუსიკა, ფერწერა, ცეკვა, ფოლკლორი და ლიტერატურა. მცირე კულტურებში არ არსებობს პროფესიონალი სამღვდელოება, თუმცა ყოველთვის მოიპოვებიან ადამიანები, რომელთა ძირითადი საქმიანობაც რელიგიური (და ხშირად მაგიური) რიტუალების აღსრულებაა. მართალია ამგვარი ადამიანების ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ყველაზე გავრცელებულ ტიპად შეიძლება დასახელდეს შამანი. ითვლება, რომ რიტუალების აღსრულებისას შამანს შესწევს უნარი, იყოს შუამავალი ადამიანსა და ზებუნებრივ ძალებს შორის.

იური ლოტმანი წერდა, რომ რიტუალი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ხდება ინდივიდის თანაზიარება ჯგუფურ ხსოვნასთან. რიტუალში მთავარ როლს თამაშობს ხსოვნის ორგანიზება, ამიტომ ის ქმნის მუდმივ ორგანიზებად სისტემას, რომელიც მკვეთრად ზღუდავს ან საერთოდ არ ტოვებს სივრცეს ევოლუციისათვის. რიტუალი ართმევს ცალკეულ ინდივიდს ინდივიდუალური მოქმედების უნარს და აბსოლუტურად წინასწარგანსაზღვრულს ხდის ამ უკანასკნელს.

რიტუალი შეიძლება იყოს საკრალური ქმედება, რომელიც საგნებს ანიჭებს განსაკუთრებულ სიმბოლურ თვისებებს. კულტურის ფილოსოფიის ტრადიციული გაგებით რიტუალი განიხილებოდა, როგორც ჯანსაღი ტექნოლოგიური რეცეპტის ატრიბუტი, რომელიც სრულიად უმნიშვნელო იყო პრაქტიკული შედეგის მისაღწევად. მისი აუცილებლობა კი გამოწვეულია პოზიტიური ცოდნის დეფიციტითა და რეალური მიზეზების ყალბით შეცვლით. თუმცა, თანამედროვე ისტორიულ-კულტურული კვლევები, რომლებიც ადამიანების ქცევის სპეციფიკური ტიპების რეკონსტრუქციას ახდენენ, აფიქსირებენ რიტუალურისა და პრაგმატულის ურთიერთობების ცვლილებას. არქაულ კულტურებში რიტუალი აღმოჩნდა ადამიანის ყოველდღიური შრომითი საქმიანობის საფუძველი, ადამიანური კოლექტივების ინტეგრაციისა და მთლიანობის გარანტი, ანუ სოციალური და ფსიქოლოგიურ ფუნქციების მატარებელი.

რიტუალი აკავშირებს კოსმოლოგიას სოციალურ ორგანიზაციასთან. აგრეთვე მრავალფეროვანია რიტუალის კავშირი ეთნოსის ცხოვრებასთან. ეთნოლოგები მას სოციალური კომუნიკაციის სიმბოლურ საშუალებას უწოდებენ.

სიმბოლურად რიტუალი არის კოსმიური ძალების ქმედება, რომელშიც თემის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას. მისი საშუალებით რელიგია ასრულებს თავის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას — საზოგადოების ფსიქოლოგიურ დაცვას. წინაპრების სულები და ღმერთები ადამიანების დამცველები და დამხმარეები ხდებიან, ასწავლიან თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს. რიტუალური ურთიერთობისას გადაილახება ადამიანის მარტოობა, გაუცხოების გრძნობა, მტკიცდება ჯგუფთან კუთვნილების შეგრძნება.

რიტუალური კულტურის საფუძველს წარმოადგენს არქაული ადამიანის სულიერი მოთხოვნილება, რათა ზებუნებრივმა ძალებმა დაიცვან ის და მისი სამეურნეო საქმიანობა. რიტუალიზაციის გენეზისი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ევოლუცია მსხვერპლშეწირვის უძველესი რიტუალებიდან თანამედროვე რელიგიური და ყოფითი რიტუალების მრავალფეროვნებამდე.

რიტუალი არ უნდა აგვერიოს უფრო ფართო ცნებაში, რომელსაც ადათი წარმოადგენს. ადათი მემკვიდრეობით მიღებული ქცევის სტერეოტიპული ფორმაა, რომელიც მეორდება გარკვეულ საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში და არის მათი წევრების ჩვეულება. რიტუალი კი ადათის სახეობაა, ტრადიციული ქმედება, რომელიც ახლავს ადამიანური კოლექტივის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს. ტრადიცია მოვლენების გაცილებით ფართო წრეს მოიცავს და ახასიათებს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროსა და კულტურას. ამგვარად, წარმოჩნდება ისტორიულობა, თავისებური ევოლუცია, ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალებისა და ცერემონიების გადაზრდა ადათში, შემდეგ კი ტრადიციაში.

აღმოსავლეთის კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული რიტუალებთან. ძველი აღმოსავლური რელიგიური კულტების საფუძველი იყო მიწათმოქმედების საჭიროებები, მოსავლის მოთმინებით ლოდინის აუცილებლობა, წელიწადის დროების ზუსტი გამოთვლა, ანუ ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანის ინტერესს ზეცის, მიწის, საჰაერო სივრცის, ბუნების ძალებისა და სტიქიების მიმართ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ყოფითი საქმიანობის და რელიგიური რიტუალების არადიფერენცირებულობა. გარდა ამისა, უძველესი საზოგადოებების თვისებაა მითისა და რიტუალის, როგორც ერთი მთლიანისა და ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელის აღქმა. არქაული კულტურის თანამედროვე მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რიტუალს ცენტრალური ადგილი ეკუთვნის არქაული კოლექტივების ცხოვრებაში, იგი განსაზღვრავს ამ ცხოვრების მიზანსა და აზრს და ადგენს მისი ორგანიზაციის წესებს. ამგვარი კოლექტივის წევრს არ ჰქონდა ცხოვრების გზის და საკუთარი ქცევის ტიპის არჩევანი — ყველაფერი რეგულირდებოდა რიტუალებით და ადათებით, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რიტუალი არ მოითხოვს თავის არგუმენტირებას, რადგან სრულიად საკმარისია წინაპრების დადებითი გამოცდილება. რიტუალი არის ინფორმაციის არხი, რომლითაც წინაპრების გამოცდილება შთამომავლებს გადაეცემათ.

მირჩა ელიადე აღნიშნავს, რომ რიტუალი არის მარადიული დაბრუნების იდეის, სამყაროს ციკლურობის, ანუ კოსმოსის რეგულარული დაშლის, ქაოსის ზეიმის და სამყაროს მოსაწესრიგებლად ქმნილების ახალი აქტის განხორციელების გამოხატულება. არქაული ცნობიერებისათვის აწმყო არის არქეტიპული წარსულის განმეორება. მითის თანახმად, რაც შექმნილი იყო სამყაროს დასაბამისას, სიმბოლურად კვლავ და კვლავ იქმნება სწორედ რიტუალების საშუალებით; ამგვარად, რიტუალის აღსრულებისას მისი მონაწილეები თითქოს მითის წიაღში აღმოჩნდებიან.

უძველეს რიტუალებს შორის უმთავრესს წარმოადგენს მსხვერპლშეწირვა. ამ რიტუალთან პირდაპირ დაკავშირებული ქმედებები იყო შესაბამისი ადგილის მომზადება, კოცონის დანთება, მსხვერპლის დაკვლა, საკმევლისა და სასმელის გამოყენება. მაგრამ აგრეთვე წარმოითქმებოდა სპეციალური სადიდებელი ჰიმნები, ეწყობოდა სამხედრო შეჯიბრებები, მაგალითად, ინდოეთში ტარდებოდა პოეტური შეჯიბრებები ქურუმთა შორის.

რიტუალური კულტურის განვითარების უძველეს პერიოდს ეკუთვნის მაგიის ფენომენი, რომელიც გენეტიკურადაა დაკავშირებული პრიმიტიული აგრარული მეცხოველეობის და რეწვით ტექნიკებთან, აგრეთვე თემურ, გვაროვნულ, ოჯახურ, პატრიარქალურ ურთიერთობებთან; უფრო გვიანდელი ხანის რიტუალებისათვის დამახასიათებელია მაგიური ელემენტების ჩანაცვლება სიმბოლურითა და კარნავალურით. არქაული ადამიანის მთელ მსოფლმხედველობას შეიძლება მაგიური ვუწოდოთ. პირველყოფილი რელიგიები მთლიანად იყვნენ გამსჭვალული მაგიით, ერთი და იგივე რიტუალები გამოიყენებოდა როგორც რელიგიური, ასევე მაგიური მიზნებისათვის. რიტუალის აღსრულებისას დაშვებულ შეცდომას ქურუმი მაგიური შელოცვით ასწორებდა. თვითონ რიტუალიც გარკვეულწილად იყო მაგიური ქმედება, რადგან წარმოადგენდა ღმერთებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობას. პირდაპირ მაგიური ცერემონიებიდან სიმბოლურ და კარნავალურ რიტუალებზე გადასვლა გვევლინება რიტუალური ტრადიციის ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისად. ეს პროცესი ღრმავდება საზოგადოების ტოტალური გარდაქმნის პერიოდში, როდესაც ტრადიციული მაგიური ცერემონიები ან დავიწყებას მიეცემა ან რელიგიურ რიტუალებად გარდაიქმნება.

აღნიშნული პერიოდი ხასიათდება ქურუმთა ძალაუფლების ზრდით და გაძლიერებით, აგრეთვე მათი სპეციალიზაციის გაღრმავებით. იყვნენ მთავარი ქურუმები, რომლებიც რიტუალის აღსრულებას ზედამხედველობდნენ; უშუალოდ აღმასრულებელი ქურუმები და მათი თანაშემწეები — ჰიმნების, ლოცვების მკითხველები და მგალობლები. მთავარ ქურუმს ჰქონდა მნიშვნელოვანი ფუნქცია — იგი უზრუნველყოფდა რიტუალის სწორ თანმიმდევ-

რობას და წესრიგს, რადგან ყოველ შეცდომას შეეძლო გამოეწვია ღმერთების რისხვა და სასჯელი.

დროთა განმავლობაში რიტუალი უფრო რთული, სტრუქტურირებული, დახვეწილი და ეზოთერული ხდებოდა, რაც ხალხის წარმოდგენებში ბუნებრივად გამოკვეთდა ქურუმის განსაკუთრებულ როლს, რადგან მხოლოდ ქურუმები ერკვეოდნენ რიტუალის ყველა დეტალში. ითვლებოდა, რომ სწორად ჩატარებული რიტუალი ქურუმს ამაღლებდა იმის დონემდე, ვის მიმართაც ეს რიტუალი იყო მიძღვნილი, ანუ ღმერთამდე. შესაბამისად ყალიბდებოდა შეხედულება ქურუმების უდიდესი მაგიური ძალისა და გავლენის შესახებ.

იცვლებოდა რიტუალის კულტურული სტატუსიც. ღმერთებთან ურთიერთობის საშუალებიდან იგი თანდათან თვითმიზნად გადაიქცა. სწორედ ამ პერიოდში იძენს რიტუალური ქმედება იმ თვისებებს, რომლებსაც განიხილავს თანამედროვე მეცნიერება: რთული სიმბოლური ქცევის ფორმა, მკვეთრად სტილიზებული ქმედებების, ჟესტებისა და სიტყვების დეტალურად დაგეგმილი სისტემა, რომელიც გამოხატავს გარკვეულ კულტურულ ღირებულებებს. რიტუალი რჩება არქაული საზოგადოების წევრთა მსოფლმხედველობის საფუძვლად, მაგრამ დისტანცია საკრალურ სამყაროსა და ჩვეულებრივი ადამიანის სამყაროს შორის უფრო და უფრო იზრდება.

ემილ დიურკჰეიმმა „რელიგიური ცხოვრების ელემენტარულ ფორმებში“ (1912) გაანალიზა რიტუალების, როგორც ერთიანი ორგანიზებული სისტემის ფუნქციათა მრავალფეროვნება. ავსტრალიელი აბორიგენების რელიგიური წარმოდგენებისა და რიტუალების განხილვისას დიურკჰეიმმა დაასკვნა, რომ მათი სამყაროს საკრალურად და პროფანულად გაყოფა განასახიერებს საზოგადოების, როგორც განსაკუთრებული რეალობის, გამოყოფას ამქვეყნიური ცხოვრებისაგან. ავსტრალიელ აბორიგენებს ორი ცხოვრების და ორი სამყაროსი სწამთ, და ეს დუალიზმი აისახება მათ რიტუალებში. რელიგიური კულტი წარმოადგენს რიტუალების ერთობლიობას, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ დუალიზმს ადამიანთა ქცევებში და არ უშვებს ორი განსხვავებული სამყაროს ერთმანეთში შერევას. სწორედ ამით აიხსნება ორი კატეგორიის — უარყოფითი და დადებითი რიტუალების არსებობა. უარყოფითი რიტუალები წარმოადგენენ აკრძალვების, ტაბუების სისტემებს, რომლებიც მკვეთრად ყოფენ ერთმანეთისაგან საკრალურსა და პროფანულს: მაგალითად, არასაკრალურ არსებას არ შეუძლია შეეხოს საკრალურს. დადებითი რიტუალები კი პირიქით, აახლოებენ მორწმუნეს საკრალურ სამყაროსთან. ამ ტიპის რიტუალებია: ტოტემური ცხოველის ერთობლივი შეჭმა, მსხვერლშეწირვა, ღმერთის კეთილგანწყობის მოსაპოვებელი გარკვეული ქმედებები; გარდა ამისა დიურკჰეიმი გამოყოფს კიდევ ერთ განსაკუთრებულ ტიპს: ცოდვის გამოსყიდვის რიტუალებს, რომლებსაც აღასრულებენ ღმერთის რისხვის შესამსუბუქებლად ან მისი თავიდან აცილების მიზნით. აგრეთვე არსებობს უარყოფითი ზებუნებრივი ძალებისაგან დაცვის რიტუალები, რომელთაც ავსტრალიელი აბორიგენების გარდა ქართულ რელიგიურ პრაქტიკაშიც ვხვდებით: „მამა გაბრიელი მუდამ-ჟამს ცდილობდა ათასგვარი მანქანებით ჩვენს ცხოვრებაში შემოჭრილი ბოროტი ლოცვის ძალით დაეთრგუნა... — ჯადო და ყავაში ჩახედვა ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც პური და ცომი... ჯადო შეიძლება უბრალო მომსვლელს, თუნდაც კეთილისმყოფელს მოჰყვეს... საზიარებელი ბარძიმის გარდა, ყველაფერს უნდა გადასახო ჯვარი. როდესაც ქუჩაში რაიმე ნივთი გდია, ვაითუ ბოროტის დაგდებულია. როცა გინდა სხვა არ დაბრკოლდეს, სამების სახელით შეგიძლია თვალითაც გადასახო ჯვარი.“ (*ჟურნალი „კარიბჭე“ №26, 2009).*

პირობითად რიტუალები შეიძლება შემდეგნაირად დავყოთ: მისტერიები — ყველაზე რთული სტრუქტურის რიტუალებია, რომლებშიც მრავალი ადამიანი მონაწილეობს. მისტერიები სიმბოლური ფორმით განასახიერებენ კოსმოგონიურ ან მითოლოგიურ სიუჟეტებს. მაგიური რიტუალები წარმოადგენენ ადამიანის სამყაროსა და ზებუნებრივ ძალებზე გავლენის გახორციელებას, ხოლო ლოცვა-ვედრებითი რიტუალები კი სამყაროს

მმართველი ღვთაებებისადმი მიმართულ თხოვნებს, რათა მათ შეასრულონ გარკვეული ქმედებები. ამ რიტუალებში თხოვნის გარდა მოიაზრება ის გარემოებაც, რომ მლოცველი ზუსტად ასრულებს სხვა რიტუალებს (მაგალითად მსხვერპლშეწირვას), რაც უფრო რეალურს ხდის თხოვნის შესრულების ალბათობას. მსხვერპლშეწირვა არის ზებუნებრივი ძალების სასარგებლოდ ისეთ რამეზე უარის თქმა, რაც ეკუთვნის ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს. უარის თქმის ფორმები მრავალია: ქონების რიტუალური დაწვა, მისი გადაცემა ტაძრისათვის და სხვ. ქება-დიდების რიტუალები, როგორც ლოცვა-ვედრებითი, მიმართულია ზებუნებრივი არსებებისადმი, მაგრამ ისინი თხოვნებს კი არ შეიცავენ, არამედ წარმოადგენენ ამ არსებებისადმი ადამიანის მოწიწების და შიშის ექსტატიური დამოკიდებულების გამოხატვას.

ანტიკური ხანის საბერძნეთში სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ფენომენი სხვადასხვა წყაროებიდან კარგადაა ცნობილი. ჰომეროსის პოემების გმირები ღმერთებს აღუთქვამენ ისეთი ხარების შეწირვას, რომლებიც არასოდეს ყოფილან უღლის ქვეშ, ნარატიული ძეგლები და ტრაგედიების ტექსტები ხშირად იხსენიებენ ჰეკატომბებს. ამგვარი მსხვერპლშეწირვის ტრადიცია არქაულ მესოპოტამიაში იღებს სათავეს. სისხლიანი რიტუალი საკრალურთან განსაკუთრებულ კავშირს იძენს. ხდება ორი უკიდურესობის შეერთება — ერთი მხრივ, უმწეო, დაუცველი მსხვერპლი, ხოლო მეორე მხრივ, უხეში ძალა, რომელიც კლავს. რიტუალის აღმსრულებელი ყველაზე მძაფრად ღმერთს შეიგრძნობს არა ღვთისნიერი ცხოვრებით, ლოცვით, საკრალური ჰიმნებისა და ცეკვების შესრულებით, არამედ ნაჯახის სასიკვდილო დარტყმით. საკრალურია რიტუალი, რომელიც საკრალურ დროსა და ადგილას, საკრალური პიროვნების მიერ ტარდება და სამსხვერპლო ცხოველების დახოცვაში მდგომარეობს. მსხვერპლის მოკვლა საკრალურის განცდის საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ სისხლიანი მსხვერპლშეწირვა მართლმადიდებელი ეკლესიის პრაქტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. როგორც წესი, რიტუალი ტარდება ეკლესიის ეზოში. მაგალითად, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში დიდუბის ეკლესიის ეზო ხშირად იყო სავსე დაკლული და გატყავებული ცხვრებით. საბჭოთა პერიოდში კი უმოქმედო ეკლესიების შიგნით ხდებოდა ცხვრებისა და სხვა ცხოველების შეწირვა. სისხლიანი რიტუალი მრავალი დეტალისაგან შედგება, რომლებიც ერთად მკაფიოდ ჩამოყალიბებული ცერემონიის სტრუქტურას ქმნიან. მსხვერპლს შუბლზე და რქებზე ამაგრებენ ანთებულ სანთლებს, აჭმევენ მღვდლის მიერ ნაკურთხ მარილს და ასმევენ ნაკურთხ წყალს. ამას მოსდევს ცხოველის ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოტარების პროცესია, რომლის დროსაც, თუ მსხვერპლი თვითონ არ გადაადგილდება, მას მიათრევენ ან პანღურებით აიძულებენ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას. მღვდლის მონაწილეობა გარკვეული ლოცვების წარმოთქმით და ნაკურთხი წყლის სხურებით ამოიწურება. მასვე ეკუთვნის დაკლული ცხოველის ხორცის ნაწილი. შეწირული ცხოველის სისხლს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, ზოგიერთ რეგიონში მორწმუნეები თითს ასველებენ მასში და სისხლით შუბლზე ჯვარს გამოისახავენ, რაც ჯანმრთელობისა და წარმატების გარანტიად ითვლება.

დღეისათვის რა მდგომარეობაშია რელიგიის რიტუალური მხარე? მორწმუნე თავისი ეკლესიის მრავალნაირ რიტუალში მონაწილეობს და სწორედ ეს არის მისი ეკლესიურობის მთავარი მიზეზი. თანამედროვე ადამიანს თითქმის არა აქვს საშუალება სხვებთან ერთად გაიზიაროს მსახურებითი ქმედებები, ამიტომ რიტუალის ნებისმიერი ფორმა ძალზედ მიმზიდველია მისთვის, მაშინაც კი თუ ეს რიტუალი აბსოლუტურად არ არის დაკავშირებული ადამიანური ცხოვრების რეალურ გრძნობებთან და მიზნებთან.

კარლ შმიტის აზრით, თუ გადარჩენის რელიგია ეყრდნობა წინასწარმეტყველის, მოგვის, ჯადოქრის ავტორიტეტს, სახელმწიფო იძულებულია დაეყრდნოს გმირი-პოლიტიკოსის ავტორიტეტს. სახელმწიფო იარაღად იყენებს ქარიზმაზე დაფუძნებულ თანამედროვე მითს, რომელიც ადამიანს აიძულებს აფექტური არჩევანის გაკეთებას.

ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებში ბელადები კარგად ხედავენ ერთობლივი

რიტუალების მოთხოვნილებას და ამიტომ აწესებენ პოლიტიკური ცერემონიების ახალ ფორმებს, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ მოთხოვნილებას და უნერგავენ რიგით მოქალაქეს ახალ პოლიტიკურ რწმენას.

ამჟამად მრავალ სახელმწიფოში არსებობს რელიგიურობის ფორმა, რომელსაც შეიძლება სამოქალაქო რელიგია (ცივილ რელიგიონ) ვუწოდოთ. მორწმუნე ვალდებულია სწამდეს სახელმწიფო, მისი ლიდერები და საზოგადოებრივი მოწყობის ფორმა. მაგალითად: „ჭეშმარიტ მოქალაქეს უყვარს თავისი სამშობლო“. რისთვის? რატომ უყვარს? ამგვარი კითხვები მკრეხელობაა, რადგან საკრალურში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. სამოქალაქო რელიგია გულისხმობს რწმენას და სიყვარულს სახელმწიფოს ლიდერებისადმი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პრეზიდენტები ან მეფეები არიან. მოქალაქეს უნდა სწამდეს სახელმწიფოსა და პარტიის ბელადების ზებუნებრივი ძალისა და უდიდესი სიბრძნის. მათი შეურაცხყოფა მკრეხელობაა.

სამოქალაქო რელიგიის მრავალი ვარიანტისათვისაა დამახასიათებელი საკუთარი ერის განსაკუთრებულობის რწმენა. ეს იდეა ფორმითა და შინაარსით ფაქტიურად ემთხვევა ერის ღვთისაგან რჩეულობის იდეას.

სამოქალაქო რელიგიას, როგორც ყველა სხვა რელიგიას, გააჩნია რიტუალების და საკრალური საგნების (დროშა, ღერბი, ბელადების პორტრეტები) სისტემები. მათდამი დამოკიდებულება განსაკუთრებული ემოციითაა დამუხტული. ჰიმნის შესრულების რიტუალის დარღვევა ან დროშისადმი უპატივცემლობა იწვევს სასჯელს და მორწმუნეების, ანუ ხსენებული რელიგიის ადეპტი მოქალაქეების მხრიდან აგრესიას.

სამოქალაქო რელიგია სახელმწიფოს საქმიანობის რიტუალიზაციის და საკრალიზაციის შედეგად ყალიბდება. ამ პროცესს ძლიერ სტიმულს აძლევს სამხედრო კონფლიქტები, რომლებიც უკიდურესად ამძაფრებენ რელიგიურ-პატრიოტულ გრძნობებს. ასეთ დროს მასები და ბელადები მოითხოვენ სამხედრო პრაქტიკის საკრალიზაციას, რადგან სხვანაირად ბელადისათვის რთულია დაარწმუნოს ჯარისკაცი სიცოცხლე გაწიროს, რადგან ამ უკანასკნელისათვისაც შეუძლებელია ყოველ წამს თავს საფრთხეში იგდებდეს. საკრალური სამშობლოსა და ბელადისადმი რწმენა ირაციონალურ სამხედრო პრაქტიკასაც საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს და ქრება რთულ კითხვებზე პასუხების ძიების აუცილებლობა. მაშინ, როცა რწმენა ყოველთვის მარტივ, გასაგებ და ცალსახა პასუხებს იძლევა.

2009

ნუგზარ პაპუაშვილი

აზროვნების ოკუპაცია და ანტიეკუმენური აჯანყება საქართველოში

წანამძღვარი

იმ თაობის ვარ, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიზარდა. ესაა „უძრაობის ხანა“, რომელსაც მაშინდელი პოლიტიკური ელიტა („ვერხუშკა“) „გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ეპოქას“ ეძახდა. არ ვიცი, მართლა სოციალიზმი შენდებოდა თუ რაღაც სხვა, მაგრამ იმ მოვლენის არსსა და სტილს, რაც შენდებოდა (თუ ინგრეოდა), კარგად ვგრძნობდი და განვიცდიდი. ლაპარაკია ბოლშევიზმზე, ტოტალიტარიზმზე, იმ იდეოლოგიურ ატმოსფეროსა და წნეხზე, რომელიც თავის მოვალეობას ხელბორკილების, საპყრობილეებისა და ტყვიების გარეშეც ასრულებს; ადამიანების გულს და გონებას ისეც იქვემდებარებს.

იმდროინდელი საზოგადოება, საბჭოთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, ამ წნეხის ტყვეობაში იმყოფებოდა. ესაა მანქურთობა — თუთიყუშივით გამეორება იმისა, რასაც დღედაღამ გაგონებენ და ჩაგჩიჩინებენ. გვესმოდა: სოციალიზმი არის კარგი, კაპიტალიზმი — ცუდი; საბჭოთა კავშირი არის კარგი, ამერიკა — ცუდი; ღვთის არრწმენა არის კარგი, ღვთის რწმენა — ცუდი! მართალია, ეს ყველაფერი „გაშლილ სოციალიზმში“ იმ მასშტაბებს ვეღარ აღწევდა, რასაც, ასე ვთქვათ, „გაუშლელში“ (ბრეჟნევამდე), მაგრამ გრიგოლ რობაქიძის სიტყვებს, რადიო „თავისუფლების“ ეთერში წარმოთქმულს — „ახალგაზრდებო, ვგრძნობ, რომ თქვენს სულში შემოჭრილია ბოლშევიზმის გამხრწნელი ძალა!“ — ყავლი გასული არ ჰქონდა. საბჭოთა ახალგაზრდობის (მით უმეტეს ძველი თაობის) უმეტესობას აღნიშნულ დროშიც სჯეროდა, რომ, მაგალითად, სსრკ კარგია, აშშ — ცუდი. მახსოვს, იმხანად ერთმა რუსმა აქტივისტმა დისიდენტმა თუ ამერიკელმა პოლიტიკოსმა საბჭოთა საზოგადოებას „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა“ უწოდა. აქ პირველ რიგში მაშინდელი ტიპური კომკავშირლები იგულისხმებიან. სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ მორჩილებით და აგრესიით. მათ თითქოს სხვა საბჭოელებზე მეტი *რომისპაპობა* ახასიათებდათ, რაც სწორედ ათეისტობის მაღალი მაჩვენებლით გამოიხატებოდა.

შეგვიძლია დოკუმენტურადაც დავადასტუროთ, რომ ჩვენი საზოგადოება და, პირველ რიგში, სტუდენტობა მაშინ ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც ეკლესიისაგან იმაზე უფრო შორს იდგა, ვიდრე ამას შესაბამისი რეჟიმისა და პროპაგანდის სიმძაფრე გულისხმობდა.

1979 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მორწმუნედ თავი სტუდენტთა მხოლოდ ერთმა პროცენტმა აღიარა (პროფ. თ. ფანჯიკიძის ინფორმაცია). გვეტყვიან: მაშინ დიდი შიშიანობა იყო და სიმართლის თქმას ბევრი გაურბოდაო. ჯერ ერთი, გამოკითხვა ანონიმურად მიმდინარეობდა და, მეორე, ვისაც გვაინტერესებდა, ვხედავდით, რომ მათი რიცხვი საქართველოში, ვინც მართლმადიდებელ ეკლესიებში დადიოდა, მოსახლეობის 0,1 პროცენტს თუ მიაღწევდა. და ეს მაშინ, როდესაც მეზობელ ქვეყნებში, სომხეთსა და რუსეთში, ასეთი სიხალვათე არ იგრძნობოდა, თუმცა იქაც იგივე იდეოლოგია და რეჟიმი ბატონობდა. საქართველოში პროპაგანდის ანკესზე მოსახლეობის დიდი უმრავლესობის წამოგება განსაკუთრებით 1983 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეზე, გამოჩნდა. საზეიმო დღეებში თბილისის ცენტრალური ქუჩები ხალხით აივსო. პროტესტი, რამდენიმე ათეული დისიდენტის გარდა, არავის გამოუხატავს. ვინ დამაჯერებს, რომ მამები, რომლებსაც ჩოხებსა და ჩიხტიკოპებში გამოწყობილი ბავშვები მხრებზე შეესვათ და რუსთაველზე

მღიმარენი დასეირნობდნენ, გულით და გონებით დისიდენტებისაკენ იყვნენ. ვინ დაამტკიცებს, რომ, მაგალითად, კინოფილმი „წიგნი ფიცისა“, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების აპოლოგიაა, მხოლოდ ხარკია კეისრისათვის და მეტი არაფერი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, — მისი შემოქმედებითი კოლექტივის: ავტორის, რეჟისორის, მსახიობების თვალთმაქცობის ნაყოფია. ვიყოთ გულწრფელნი და ვაღიაროთ, რომ მაშინ, „გაშლილი სოციალისტური მშენებლობის“ დროს, ოფიციოზისაგან განსხვავებული განწყობილება საზოგადოების ფართო ფენებში პოპულარობით არ სარგებლობდა.

კარგია თუ ცუდი, ფაქტია, რომ მე სიყმაწვილეში დისიდენტად ჩამოვყალიბდი; დავუპირისპირდი საზოგადოებას, რომელიც არ სვამდა კითხვას: რატომ? რომელსაც არ ჰქონდა პროტესტი მხედველობის იმ ველის და ჰორიზონტის მიმართ, რაც ზედაფენის პროპაგანდის მანქანას გააჩნდა. ეს კი ის მანქანა იყო, რომელიც მსმენელთა შორის ფიქრისა და ანალიზის ხალისს ახშობდა. სწორედ ეს მანქანა და მისი „გამხრწნელი ძალა“ მაფრთხობდა და მაშინ ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის საკუთრება და სპეციფიკა იყო. მე და ჩემი თანამოაზრეები ვოცნებობდით და ვსვამდით კითხვას: როდის დადგება დღე, როდესაც ხალხი სოციალიზმის და კომუნიზმის ხუნდებს ჩამოიშორებს, დემოკრატიას ეზიარება; სინდისის, ნებისა და პიროვნების პატივისცემას ისწავლის; ათეიზმის პროპაგანდას ყურს აღარ ათხოვებს და პირადი რწმენის შესაბამისად ეკლესიაში სიარულს დაიწყებს? ანუ: როდის მოეღება ბოლო საქართველოში აზროვნების ოკუპაციას? პასუხი ასეთი იყო: მაშინ, როსედაც საბჭოთა კავშირი დაიშლება, სოციალიზმი და კომუნიზმი დასამარდება და ერთპარტიულობა მრავალპარტიულობით შეიცვლება.

ნანატრი ჟამი დადგა: საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი მალე დასამარდა, კომუნისტური და ანტირელიგიური პროპაგანდა ანტიკომუნისტურმა და რელიგიურმა პროპაგანდამ შეცვალა. და რას ვხედავთ? უცბად, წარმოუდგენელი სისწრაფით, მასის განწყობილება რადიკალურად შეიცვალა, — აქტივისტი კომკავშირლები, პარტიული ხაზის მწერლები, მეცნიერები, რეჟისორები და თვით კომპარტიელები თავგადაკლულ მორწმუნეებად, ყველაზე აფიშირებულ „ქართველ მართლმადიდებლებად“ მოგვევლინენ.

დროის ნიშანი (მათე 16: 3)

1989 წლის ნოემბერში თბილისს რომის უნივერსიტეტის პროფესორი და აღმოსავლური ლიტურგიების ცნობილი სპეციალისტი, კათოლიკე მღვდელი მიხეილ არანცი ეწვია. მას ახალგახსნილ სასულიერო აკადემიაში ლექციების კურსი უნდა წაეკითხა. იმის მიუხედავად, რომ ეს ვიზიტი თავად კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა, აკადემიის მაშინდელმა რექტორმა, პროტოპრესვიტერმა (აწ ეპისკოპოსმა) გიორგი გამრეკელმა, პედაგოგმა არქიმანდრიტმა რაფაელ კარელინმა და მართლმადიდებლობით აგრესიულად მოქადული სტუდენტების ჯგუფმა მას ობსტრუქცია მოუწყვეს და იგი, პირდაპირ რომ ვთქვათ, სასწავლებლიდან გააგდეს. ამ ქმედებას ოთხმა თანამოაზრემ: კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ, გიორგი თურქიამ, ირაკლი კაკაბაძემ და მე „ობსკურანტიზმის გამოვლინება“ ვუწოდეთ და პატრიარქისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული წერილი პრესაში (გაზეთი „ქრისტიანდემოკრატი“) გამოვაქვეყნეთ. ჩემდა გასაოცრად, აღნიშნული ინციდენტის მიმართ მაშინდელი საზოგადოების აქტიურმა ნაწილმა წარმოუდგენელი გულგრილობა გამოავლინა. მხედველობაში, ცხადია, ის პიროვნებები გვყავს, რომლებსაც თავი საბჭოთა დისიდენტებად მოჰქონდათ და ამბობდნენ, დემოკრატები ვართ და დასავლური ღირებულებები შეთვისებული გვაქვსო. სასწრაფოდ მოიხადა ბოდიში ჩვენმა თითქოს თანამოსაგრემ — ირაკლი კაკაბაძემ. მან, ამასთანავე და ამავე ბოდიშში, „საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის სახელით“ განაცხადა: „რასაკვირველია, აღმსარებლობის

საკითხში ერის წარმმართველი ძალა ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას უნდა ჰქონდეს, რომლის სულიერი შვილებიც ჩვენ ყველანი ვართ. ამ საკითხზე ორი აზრი არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. სწორედ მართლმადიდებლობამ მოგვიყვანა ჩვენ დღემდე და ის გვინათებს მომავალი ცხოვრების გზასაც“ („ქართულ ფილმი“, 20.XII, №50). დღეს, ოცი წლის შემდეგ, ამ სტრიქონებს იმიტომ ვიხსენებ, რომ მივანიშნო: ახალი ტალღა, რომელმაც საქართველოში პერესტროიკის დროს შემოაბიჯა, ბოლშევიზმისაგან არსობრივად არ განსხვავდებოდა. ეს მინიშნება, ვფიქრობ, აუცილებელია იმ რეალობის საფუძვლებში გარკვევისათვის, რომლის წინაშეც დღევანდელი საქართველო დგას. სად და რაში ვხედავ მე აზროვნების ოკუპაციას? დიახ, ხსენებული ახალი ტალღა, აღბეჭდილი აზროვნების ოკუპაციით, იგივე ბოლშევიზმია, რომელშიც კომუნიზმს მართლმადიდებლობა ცვლის. მისთვის ნიშანდობლივია დემოკრატიის, ნებისა და სინდისის თავისუფლების დეფიციტი; მასში თავმდაბლობისა და განსჯის უნარზე სიამაყე და თავდაჯერება ბატონობს და არ კიაფობს ერთგზის მოხელთებული ცოდნის განახლებისა და გამდიდრების სურვილი. ესაა ემოცია და მხოლოდ ემოცია, რომელსაც მოსწონს და აკმაყოფილებს ის, რასაც ზედაპირზე ხედავს და რაც მისი არსების ზედა ფენებს ესალბუნება. ემოციის ტყვე თუთიყუშივით იმეორებს იმას, რაც მასას მოსწონს, უფრო სწორად, — აუხირებია და ავტორიტეტად მიუჩნევია. მოკლედ: ამ ტალღისთვის უცხოა ანალიზი, რადგან ჰგონია, რაც იცის, ცოდნის უმაღლესი ინსტანციაა და უცვლელი ჭეშმარიტება. ვილაპარაკოთ კონკრეტულად და გულახდილად. ჩვენში ბევრს (და უმრავლესობას) ეკლესიის პოზიცია ჰგონია ის, რასაც კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ებრძოდა და ებრძვის. ერისა და ეკლესიის ის იდენტიფიკაცია, რომელიც ციტირებული სტრიქონების კითხვის დროს თვალში გეცემა, სრულიად შეუსაბამოა მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებასთან. იგი ერესადაა გამოცხადებული კონსტანტინოპოლის დიდი საეკლესიო კრების მიერ (1872 წ.). მას საკუთარი სახელი აქვს: „ფილეტიზმი“ ანუ მეტომეობა, ე. ი. ტომური ცნობიერება ეკლესიაში და ეკლესიათა ამ პრინციპის შესაბამისად ორგანიზება. რას ნიშნავს „ჩვენ ყველანი“ „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სულიერი შვილები ვართ“? თუკი პეტრე ამ ეკლესიის „სულიერი შვილია“, პავლე, შესაძლებელია, სხვა ეკლესიის „სულიერი შვილი“ იყოს, ანდა სულაც ათეისტი. ამით მის ქართველობას რამე აკლდება? საქართველოს არამართლმადიდებელი მოქალაქეები ქართველები აღარ არიან? იმ პოზიციის მიხედვით, რომელიც ოცი წლის წინ ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატმა წარმოგვიდგინა, — აღარ არიან! ასეთ მიდგომას ჩვენმა კოლეგამ, ავთანდილ ჯოხაძემ, პოლიტიკური მონოფიზიტობა უწოდა. ტერმინი, ვფიქრობ, ადეკვატურია. ერი და ეკლესია სხვადასხვა წარმომავლობის მოვლენებია, რის გამოც მათი ურთიერთობის ბუნებრივი და ნორმალური ფორმა იქნებოდა პოლიტიკური დიოფიზიტობა ანუ ერის (სახელმწიფოს) და ეკლესიის (სარწმუნოების) ერთმანეთისაგან გამიჯნვა ურთიერთდაუპირისპირებლად. ჩვენი დიდი საეკლესიო მოღვაწე, წმ. კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ამბობს: „რელიგიური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისების აღრევა არის ბოროტება და საბედისწერო უგუნურება“. ჩვენ კი რას ვხედავთ? ახალმა ტალღამ საქართველოში პოლიტიკური დიოფიზიტობა, ე. ი. ეკლესიისა და საახელმწიფოს, საერო და სასულიერო ინტერესების აღრევა შემოიტანა.

შედეგმა არ დააყოვნა: საქართველოში ობსკურანტიზმის და რეტროგრადობის ტალღა აზვირთდა. მართლმადიდებლური ნაციონალიზმით, ანდა პირიქით, — კოსმოპოლიტიზმით ატაცებულმა ადამიანებმა, რომელთა რიცხვი მალე *ლეგიონი* გახდა (მარკოზი 5:9), დაიწყეს დირექტივების გაცემა ყველგან, სადაც, მათი თვალთახედვით, რაღაც ანტიმართლმადიდებლური ხდებოდა. შედიოდნენ თეატრებში, სკოლებში, სტუდიებში, სავაჭრო ქსელში და, წარმოიდგინეთ, კონტროლის დამყარებას ახერხებდნენ. დაიწყო პროპაგანდა, — იმაზე მეტად ბოლშევიკური, მასობრივი და აგრესიული, რასაც ჩემი თაობის კომუნისტები მიმართავდნენ.

ავაშენეთ, რასაც ვანგრევდით

საბჭოეთის აღსასრულისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები ასეთ სურათს წარმოგვისახავს:

ხალხი, რომელსაც ახალი ცხოვრების აშენების შესაძლებლობა მიეცა, ერთი მხრივ, თავს იკლავს — მოგვეცით თავისუფლება და დემოკრატია! მეორე მხრივ კი ჩანს, რომ ეგევე ხალხი ვერც ერთს და ვერც მეორეს დასანახად ვერ იტანს; განსაკუთრებით სინდისისა და რწმენის თავისუფლების გაგონება არ უნდა. „პერესტროიკის“ ბოლო ფაზაში (1988-1990) გააქტიურებული დისიდენტები და ახლადგაჩენილი არაფორმალები, რომელთა დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი სარწმუნოების აპოლოგეტობას იჩემებს, სიტყვით და სკანდირებით კომუნისტურ ბოლშევიზმს ებრძვის, მაგრამ ვხედავთ, რომ ასევე სიტყვით და სკანდირებით იმავე, ოღონდ სხვა მიმართულების ბოლშევიზმისათვის იბრძვის. არ ჩანს ალტერნატივა ლოზუნგისა: „გაუმარჯოს დემოკრატიულ ქრისტიანულ საქართველოს!“ არავინ ამბობს (ავტორიტეტულად და აქტიურად), რომ ერთი აღმსარებლობის ან სხვა რომელიმე იდეოლოგიის საფუძველზე ქვეყნის ფორმირება დემოკრატიას გამორიცხავს, რაც აზროვნების ოკუპაციის წინაპირობაა.

ზოგადი სურათი ასეთია: მოსახლეობის დიდი ნაწილი შორს დგას დემოკრატიული ღირებულებებისაგან და არც იმ აქტივისტებს აქვთ დემოკრატიული ცნობიერება, რომლებიც ლიდერის მდგომარეობას სწრაფი ნაბიჯით იკავებენ. მოკლედ: ბოლშევიზმს ებრძვიან, მაგრამ ბოლშევიზმისათვის იბრძვიან. ძველი ლოზუნგები ასე მოდიფიცირდება: მართლმადიდებლობა კარგია, არამართლმადიდებლობა — ცუდი; რუსეთი გლახაა, ამერიკა — კარგი; ესენგე გლახაა, ნატო — კარგი! აშკარაა, რომ კომუნისტური იდეოლოგიის ადგილს მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი იკავებს.

თვალსაჩინოა ტენდენცია — ქვეყნისა და ეკლესიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებიდან ხალხის ყურადღების ფსევდოპრობლემებზე გადატანა. ღვივდება ისტერია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის გამო ეკუმენურ მოძრაობაში და ამ მოძრაობის სულსა და გულში — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში (ემს), თუმცა იქ ყოფნა ამ ეკლესიას არაფრის შეცვლას არ ავალდებულებს.

იწერება, იბეჭდება, პრესაში ქვეყნდება, მიტინგებზე ხმაურდება, ეთერში გადაიცემა, ოჯახებში, დაწესებულებებში და სამთავრობო ტრიბუნებზეც კი იქადაგება ეკუმენიზმისა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მავნებლობა. სკანდირებენ ერთსა და იმავეს: „ეკუმენიზმი არის მასონობა“, „ერესთა ერესი“ (?!), „ანტიმართლმადიდებლობა“ და „სატანისტობა“. მქადაგებელთა რიცხვი დიდია. ისინი სარგებლობენ იმით, რომ რელიგიისა და თეოლოგიის საკითხებში ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილიც კი გაუთვითცნობიერებელია, რის გამოც მოპასუხეს ვერ ხედავენ და ლაპარაკობენ ყველაფერს, რისთვისაც ყური მოუკრავთ, რაც ენაზე მოსდგომიათ. ანტიეკუმენისტთაგან ზოგი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ერთგულებას იჩემებს. ზოგსაც მისი, მისი სინოდის, მორჩილი მღვდლებისა თუ მრევლის ძაგება ეხალისება. ორივე კატეგორიის მოქადაგეები ერთმანეთში ურევენ არსებითსა და არაარსებითს, სალანძღავსა და არასალანძღავს, ტყუილს და მართალს. გვერდს უვლიან ნამდვილ პრობლემებს — სასულიერო პირთა ზნეობრივ და ინტელექტუალურ მოუმზადებლობას, ლიტურგიკულ პრაქტიკასა და საეკლესიო სამართალში ქაოსს, დილეტანტიზმს, თვითნებურ ქადაგებებს (უცნაურ ინტერპრეტაციებს), სექტანტობას ეკლესიის გარეთ და ეკლესიის შიგნით (თუმცა ცნება „სექტის“ მნიშვნელობა არავის აინტერესებს), სამრევლოების არაორგანიზებულობას, კორუფციის ნაირგვარ ფორმებს და სხვა. სამაგიეროდ, მთელი ყურადღება გადატანილია ეკუმენიზმზე.

ზარი და განგაში

1997 წლის 20 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის, ანუ იგივე ეპისკოპატის საგანგებო სხდომა შედგა. უნდა განეხილათ საერო და სასულიერო პირთა ჯგუფის ულტიმატუმი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიმართ, რომელიც ამ უკანასკნელს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან სასწრაფოდ გამოსვლას და ეკუმენური მოძრაობისაგან გამიჯვნას ავალდებულებდა. ულტიმატუმი შეიცავდა მუქარას — შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკლესიის ეკლესიისაგან გამოყოფას, ანუ საქართველოში მეორე ეკლესიის შექმნას, რომელიც პირველთან მიმართებაში სქიზმატური იქნებოდა.

ჯგუფი, თუკი ჩვენი ქვეყნის მასშტაბს გავითვალისწინებთ, მრავალრიცხოვანი გახლდათ და, რაც მთავარია, ბობოქარი სულით, აქტიურობით და მკაცრი ასკეტიზმის პროპაგანდით გამოირჩეოდა. მართლა ფანატიკოსები იყვნენ მისი წევრები თუ თამაშობდნენ ასეთ მორწმუნეობას, ფსიქოლოგიური ანალიზის საგანია. ერთი რამ უდავოა: ეს ადამიანები თავიანთ თავს ჭეშმარიტ მართლმადიდებლებად მოიაზრებდნენ და მთელი ეკლესიისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ იმ პრინციპების დაცვას, რომელთა შესახებაც შეუვალი ტონით ამბობდნენ: ეს მართლმადიდებლობის არსებითი ნიშანია; სხვაგვარი ხედვა ანუ, კონკრეტულად, ეკუმენიზმი არამართლმადიდებლობა და არაქართველობაა! ასე რომ, სულისკვეთება, რითაც ეს პროპაგანდა იყო გაჟღენთილი, მასაზე აქტიურად ზემოქმედებდა და სწორედ ამისათვის იყო გათვლილი.

მართლმადიდებლობის არსებით ნიშანთა შორის პირველ ადგილზე სხვადმადიდებლებთან (ჰეტეროდოქსებთან) დიალოგის უარყოფა გამოდიოდა. არგუმენტი? — ეს დიალოგი ერთობლივ ლოცვასაც ითვალისწინებს, გარკვეული აზრით აუცილებლობს კიდეც. სხვანაირად შეუძლებელია, რადგან ქრისტიანი, თუკი მართლა ქრისტიანია, ყველა საქმეს ლოცვით იწყებს და ლოცვით ამთავრებს. ამდენად, ეკუმენური დიალოგი ეკუმენური ლოცვის გარეშე ვერ შედგება. ასეთი ლოცვა კი მოციქულთა 45-ე და სხვა კანონებითაც აკრძალულია.

არავინ სვამდა კითხვას: კი მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირები, რომლებიც მსოფლიო საეკლესიო კრებებში მონაწილეობდნენ, ერთად არ ლოცულობდნენ? მაგალითად: ერეტიკოსმა არიოზმა პირველ საეკლესიო კრებაზე მართლმადიდებლებთან ერთად არ ილოცა? ანდა: მარკოზ ეფესელმა ფერარა-ფლორენციის კრებაზე კათოლიკეებთან ერთად არ ილოცა? როდესაც აღნიშნული კრებები შედგა, ეს პიროვნებები საერთო ლოცვაში არ მონაწილეობდნენ? ამ დროს მათ ხომ მყარად ჰქონდათ განსაზღვრული თავ-თავიანთი სარწმუნოებრივი პოზიცია? — მღვდელ არიოზს წმინდა სამების სუბორდინაცია, ეფესოს ეპისკოპოსს კი შეურიგებელი ანტიკათოლიკობა. განა პირველი საეკლესიო კრების დროს არიოზი უკვე ერესში მხილებული და განკვეთილი არ იყო? ნუთუ, ხსენებული და სხვა მსოფლიო, ანდა ადგილობრივი საეკლესიო კრებები ლოცვის გარეშე დაიწყო და დამთავრდა?

მსგავსი კითხვების არდასმა მაშინაც მაკვირვებდა და დღესაც მაკვირვებს.

ჩვენი მთავარი მიზანი ამჯერად მოვლენათა დასურათება და დახასიათებაა.

კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციას, სადაც წესისამებრ უწმინდესის სინოდის სხდომები იმართება, იმ დღეს, 20 მაისს, ხალხის დიდი ტალღა მიადგა. ბეჭდვითი და ელექტრონული მედიაც მობილიზებული იყო. რასაც მაშინ წერდნენ და ყვებოდნენ, კაცს სინას მთაზე ისრაელიანთა მოლოდინს გაახსენებდა. ვინ იქნებოდა ის, ვინც პატრიარქის სასახლის საფეხურებს ჩამოივლიდა და ერს, ჯერ იქ შეკრებილს და მერე სხვაგან და სხვაგან მყოფს, სინოდის განჩინებას ღმერთთან მეტყველი მოსეს მსგავსად გააგებინებდა? ასეთი კაცი (არ ვიცი, მისი სახელი ისტორიამ შემოინახა თუ არა) გამოჩნდა და ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის საჭეთმ-

პყრობელობის ქვეშ მყოფმა, ყველა ეკუმენური ორგანიზაციის რიგები დატოვა. იყო ხვევნა-კოცნა, ვისაც შეეძლო — უხადი ქვევრის მოხდა და ზედ ქეიფი, აპლოდისმენტები და სადღეგრძელო-შეძახილები: „ივერია გაბრწყინდა, მართლმადიდებლობაში გაბრწყინდა!“

რას ზეიმობდნენ მოზეიმეები?

— აზროვნების იმ სტილისა და მექანიზმის ლეგიტიმაციას, რომელმაც ე.წ. „მართლმადიდებელი ქართველობა“ პოსტსაბჭოურ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გლობალურად მოიცვა.

გვიცნია ეკუმენიზმი?

სიტყვა „ეკუმენიზმი“ მომდინარეობს ბერძნული ძირისაგან „ოიკუმენე“ და ნიშნავს „დასახლებულ მსოფლიოს“. შესაბამისად: მსოფლიო საეკლესიო კრებები იწოდება „ეკუმენურ კრებებად“, მსოფლიო პატრიარქი — ეკუმენურ პატრიარქად, მსოფლიოს გასაგონად წარმოთქმული სიტყვა — ეკუმენურ სიტყვად და ა.შ. თანამედროვე ეკუმენური მოძრაობა არის ინტერკონფესიური და საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პოზიციისა და ტრადიციის ქრისტიანულ ეკლესიებს მხოლოდ და მხოლოდ საერთო საფუძვლისა და ინტერესების სფეროში. ეს ინტერესებია: საღვთო წერილის გამოცემა, ზოგადთეოლოგიური თათბირ-სემინარების მოწყობა, მშვიდობა, ქველმოქმედება, ეკოლოგია და ა.შ.

ამ მოძრაობის კოორდინატორი არის ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რომელიც 1948 წელს დასავლეთ ევროპის პროტესტანტული ეკლესიების ინიციატივით შეიქმნა, მაგრამ მას მალე იმ მართლმადიდებელმა ეკლესიებმაც აუბეს მხარი, რომლებიც კომუნისტური სივრცის გარეთ იმყოფებოდნენ. ამ წამოწყების ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლდათ ათეისტური რეჟიმის წნეხში მოქცეული ქრისტიანების უფლებათა დაცვა სოციალისტურ სახელმწიფოებზე ზეწოლის გზით. ამიტომ, ცხადია, მისი იდეები და ლოზუნგები ათეისტურმა ხელისუფლებამ უარყოფითად შეაფასა, — უწოდა მას ანტისაბჭოური, ანტიპროლეტარული, ანტიმეცნიერული და, მაშასადამე, კლერიკალური, რეაქციული და გააჩაღა ისეთი კამპანია, რომელიც დღევანდელი ანტიეკუმენური კამპანიისაგან მხოლოდ იარლიყით განსხვავდება. სწორედ ამ კამპანიის გავლენით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მაშინ კომუნისტური რეჟიმით სულშეხუთული ეკლესიები ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ვერ გაწევრიანდნენ.

გავიდა წლები. ამ ორგანიზაციამ კომუნისტებთან დიალოგის სტილი შეცვალა. წერილი წაიღო სტალინმა და მისმა ლაშქარმა. მოვიდა ხრუშჩოვი, მოიტანა ახალი ტაქტიკა და, აი, 1961-1962 წლებში ემს-ს რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი და სომხური ეკლესიებიც შეუერთდნენ.

თეოლოგიური და ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით, ემს არის იმ ეკლესიათა თანამეგობრობა, რომელიც წმინდა სამებას — მამას, ძეს და სულს — აღიარებს, ამასთანავე სცნობს ნიკეა-კონსტანტინოპოლისეული (425) მრწამსის ფორმულას (სარწმუნოების სიმბოლოს). მას არა აქვს ახალი ეკლესიის პრეტენზია. ყველა ეკლესია იქ წარმოდგენილია ინდივიდუალური მრწამსით და აქვს საკუთარი სახის და ფასეულობების წარმოჩენის საშუალება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემს-ს წევრი 1962 წელს გახდა. 1979 წელს კი იგი ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში გაწევრიანდა, ამით, მას მსოფლიო არენაზე საკუთარის სახის და პოზიციის წარმოჩენის შესაძლებლობა გაუადვილდა. შედგა ვიზიტები, მაგალითად, 1963 წელს კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ისა საფრანგეთში, სადაც მან იქაური ქართული დიასპორა მოინახულა და პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღავლინა. ამ ორგანიზაციის ყველაზე აქტიური თანამშრომელი ქართველთაგან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) გახლდათ; დეპარტამენტში „ეკლესია და ცხოვრება“ მას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია ეჭირა. 1979 წლის 13 იანვარს კი იგი, უკვე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს

თანაპრეზიდენტად აირჩიეს, რასაც საყოველთაო სიხარული და აღტაცება მოჰყვა. მისი ეს წოდება — ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი — ჟამისწირვის კვერექსშიც შეიტანეს და ეკლესიებში საღვთო ლიტურგიის დროს მას ამ ტიტულითაც მოიხსენიებდნენ. საქართველოს საპატრიარქოს მემატიანე მ. თარხნიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად არჩევა უდიდესი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ქართული ეკლესიის არსებობის მთელ მანძილზე ასეთი აღიარება არა რგებია არც ერთ მწყემსთმთავარს“ („ჯვარი ვაზისა“, 1979 №1, გვ. 5). მართლაც: ამ თანამდებობამ კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს მსოფლიო მასშტაბით სახელი მოუხვეჭა და ავტორიტეტიც შეუქმნა.

მაგრამ რას ვხედავთ ამ მოვლენიდან 10 წლის შემდეგ?

განვაგდეთ ეკუმენიზმი

იმის მიუხედავად, რომ ეკლესიის არც ერთი იერარქის მხრიდან არც წერილობით და არც ზეპირი სიტყვით, ეკუმენური მოძრაობისა და შესაბამისი ორგანიზაციების მისამართით უარყოფითი არაფერი თქმულა, საქართველოში, ცხადია, იმ ადამიანებში, რომელთაც ქვეყნის მოჭირნახულეობაზე პრეტენზია აქვთ, ანტიეკუმენური ისტერია მძვინვარებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პროპაგანდას უწევენ აზრს, რომ ჭეშმარიტებას, მარცვლების სახითაც კი, მართლმადიდებლობის გარდა არც ერთი ქრისტიანული მიმდინარეობა არ ატარებს. ყველა სხვადმადიდებელი არის ეშმაკი და ეშმაკის კერძი. დაუშვებელია ნებისმიერ დონეზე მათთან ერთად ლოცვა, მაგალითად: ჭამის წინ, ძილის წინ, სწავლის წინ და ა.შ. მივდივართ დასკვნამდე: მეგობრობა და თანამშრომლობა არამცთუ მუსლიმებთან და ბუდისტებთან, არამედ კათოლიკეებთან და პროტესტანტებთანაც კი დაუშვებელია. არ შეიძლება მათ გვერდით ჭამა, ძილი და სწავლა, რადგან ყოველივე ეს ქრისტიანისაგან მოითხოვს ლოცვას. ან არ უნდა გავეკაროთ კათოლიკეს, ანდა მასთან მხოლოდ სავაჭრო ოპერაცია ვაწარმოოთ და ისიც წუთიერად, რათა არ მოგვიწიოს ლოცვის ჟამმა და არ ჩავვარდეთ ცოდვაში, რადგან ეკუმენურ საბჭოში იკრიბებიან ერეტიკოსები და კრების დაწყების წინ და დამთავრების შემდეგ ლოცულობენ, იქ მართლმადიდებლის მისვლა არის ცოდვა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ანტიეკუმემური და, ასევე, ანტიდასავლური ტენდენციები ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი და ანტიიმპერიული მოძრაობის პარალელურად იკიდებდა ფეხს და გზას წარმატებით იკაფავდა. მეტიც, ამ ტენდენციების ერთ-ერთი აკვანი ე. წ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი, რომ გეკითხათ — ანტიბოლშევიკური და ანტიიმპერიული მიტინგები იყო. ჩვენში ეროვნულ-დემოკრატებად ცნობილი პარტიები და მათი ლიდერები, მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმის მქადაგებელი მღვდლების მსგავსად, ეკუმენიზმს „ერესთა ერესს“ უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ.

კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ ანტიეკუმენურ ცნობიერებას საქართველოში უკვე (1989 წლიდან) ის მღვდლები და მღვდელმთავრები ნერგავდნენ, რომლებიც სიამოვნებით დადიოდნენ ეკუმენურ კრებებზე საზღვარგარეთ. მართალია, მათ, როგორც აღვნიშნეთ, ეკუმენური მოძრაობისა და ამ მოძრაობის საბაზო სამსახურების მიმართ აუგი არასდროს წამოსცდენიათ, მაგრამ ისინი, ეკუმენურ ღონისძიებებში ხალისით მონაწილეობის პარალელურად, ისეთ აზრებს ავრცელებდნენ, რაც მედლის მეორე მხარეა და ეკუმენიზმის საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა — მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი, ნაციზმი, ქსენოფობია.

კაცს თვალში გეცემოდა ფაქტი, რომ ქართველი ეკუმენისტი სასულიერო პირების სიტყვებს და ქადაგებებს შეუსაბამობა ახასიათებდა. მაგალითად: კათალოკოს-პატრიარქმა

ილია II-მ, ერთ შემთხვევაში, 1988 წლის ივლისში თქვა: „ჩვენ (მართლმადიდებლები და კათოლიკეები) ერთნი ვართ. გვწამს ერთი მამა, ძე და სული წმიდა... რომში შევხვდი რომის პაპს და შევთანხმდით, რომ ერთმანეთისათვის ვილოცებდით, რადგან ძმები ვართ...“ „ჩვენი ეკლესიები, სომხეთის ეკლესიასთან ერთად, სამოციქულოა“ („ჯვარი ვაზისა“, 1988, №4, გვ. 29, 42). სულ რაღაც ექვსიოდე წლის შემდეგ კი, 1994 წლის მისსავე საშობაო ეპისტოლეში, ვკითხულობთ: “მრავალი უცხო რელიგიისა და პროტესტანტული სექტის წარმომადგენელნი (იეღოველები, ბაპტისტები, კათოლიკები, კრიშნას მიმდევარნი, ორმოცდაათიანლები, ე. წ. ხსნის არმიის წარმომადგენლები და სხვანი) ცდილობენ რელიგიური ექსპანსიის განხორციელებას“. ამდენად, პატრიარქმა კათოლიკეები, თითქოს ზემოთქმული დაავიწყდაო, „უცხო რელიგიად“ თუ სულაც სექტად გამოაცხადა. ეკუმენური საბჭოს ყოფილი თანაპრეზიდენტის ის გამონათქვამები, რომლებშიც სინდისის თავისუფლების საწინააღმდეგო აზრებია გამჟღავნებული, თავმოყრილია დეკანოზ ბასილ კობახიძის, ამჯერად სამღვდელო დასისაგან თვითგანკვეთილის, წერილში „მართლმადიდებელი სარწმუნოების თემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეებში“ („მწყემსი კეთილი“, 1995, №1). ეს პუბლიკაცია საკმაო საფუძველს გვაძლევს იმის სათქმელად, რომ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, უნდოდა თუ არ უნდოდა მას ეს, ანტიეკუმენური ისტერიის წისქვილზე ხშირად თავადაც ასხამდა წყალს. ცალკე მსჯელობის და გამოკვლევის საგანია, თუ რატომ აკეთებდა იგი ამას. შესაძლებელია იმიტომ, რომ ანტიეკუმენური ტალღა საქართველოში, ზოგჯერ პირდაპირ და ზოგჯერ ირიბად, მისკენ იყო მიმართული. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მან პასიური თავდაცვის პოზიცია აირჩია; ოპონენტების თითქმის ყველა გამოსვლა პასუხის გარეშე დატოვა.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ანტიეკუმენურ პროპაგანდას საქართველოში წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

წყარო და მდინარე

პერესტროიკის დროს ანტიეკუმენურ ისტერიას საქართველოში ორი წყარო კვებავდა: არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) და „ბეთანიის სკოლა“ არქიმანდრიტების იოანეს (შეყლაშვილის) და, შემდეგ, ლაზარეს (აბაშიძის) წინამძღოლობით. თითოეულ მოძღვარს გარს ეხვია მოწაფეთა დიდი გუნდი, რომლებიც დღემუდამ ერთსა და იმავეს ტკეპნიდნენ: „ეკუმენიზმი არის ერესი, — ერესთა ერესი!“

ანტიეკუმენურ ისტერიას ძლიერი მუხტი ზვიად გამსახურდიას დამხობამ შემატა. გავრცელდა ხმა, რომ ქაშვეთის ეკლესიის ტერიტორია სამხედრო ოპერაციისათვის პუტჩისტებმა პატრიარქის თანხმობით გამოიყენეს. მართლა ასე იყო თუ არა, სხვა საკითხია. ფაქტია, რომ ეს ხმა ზვიადისტებმა ირწმუნეს, რის გამოც მათი უმრავლესობა პატრიარქისადმი მტრულად განეწყო. მის მაკომპრომეტირებლად სხვა მასალაც გამოიძებნა — ეკუმენისტობა. ამიტომაა, რომ პატრიარქის ოპოზიცია (არა მხოლოდ დეკანოზი ბ. მკალავიშვილი და მისი „დევნილი ეპარქია“) ზვიადისტებისაგან შედგებოდა. ახალ მთავრობას, ე. შევარდნაძის მეთაურობით ისინი კოსმოპოლიტებად და მასონებად აღიქვამდნენ, ზ. გამსახურდიას კი ჭეშმარიტ პატრიოტად და მართლმადიდებლად, რისთვისაც ეკუმენიზმი, მათი თქმით, „ერესთა ერესია“.

ასე რომ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ზვიადისტობა და ანტიეკუმენისტობა დაძმობილდა.

საბაბი

1997 წელს ვითარება უკიდურესად დაიძაბა.

მიზეზად რატომღაც ასახელებდნენ ჩემი წიგნის „რელიგიის კარიბჭე (რელიგიის ისტორიის შესავალი)“ გამოცემას და მის წინააღმდეგ მთავარმოლაშქრედ მოვლენილი არქიმანდრიტ ლაზარეს (აბაშიძის) დასჯას პატრიარქ ილია II-ის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით (უკვე ვთქვით, რომ ეს ბერი ანტიეკუმენური მოძრაობის ერთ-ერთი მებაირახტრე იყო). ვიმოწმებ ნიკოლაი მიტროხინის წერილს, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ეკუმენიზმი არის ერესი!“ რატომ დატოვა საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ემს?“ ამ სტატიას მე გერმანული თარგმანით ვიცნობ („Glaube in der 2. Welt“, 1997, №10, გვ. 19-21).

ავტორი იმოწმებს „ერთი მონარქისტული ქართული გაზეთის რედაქტორის“, „ბეთანიელებთან“ ახლო ურთიერთობაში მყოფის, სიტყვებს, რომლის მიხედვით „ეკლესიის ისტორიის ახალგაზრდა მკვლევრის“ „Nukschar“ (=ნუგზარ) პაპუაშვილის ეს წიგნი თურმე საპატრიარქოს ეკუმენური მოღვაწეობის ნაყოფია („Ausschlag“). იქ ვკითხულობთ: „ეს წიგნი 1996 წლის ბოლოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოიცა და განკუთვნილია სახელმძღვანელოდ საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა სტუდენტებისათვის“ (გვ. 20). ამ წინადადებაში მართალი მხოლოდ გამოცემის თარიღია. სინამდვილეში „რელიგიის კარიბჭე“ განათლების სამინისტროს გრიფით გამოიცა როგორც სახელმძღვანელო მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის და დამხმარე სახელმძღვანელოდ უფროსკლასელებისათვის. იგი არც კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაბეჭდილა და არც სასულიერო სასწავლებლებისათვის ყოფილა განკუთვნილი. ანდა: რა აუცილებელი იყო პატრიარქისა და მისი აპარატის ამ პროცესში მონაწილეობა? ნაშრომი განეკუთვნება დარგს, რომლის შინაარსია რელიგია და მისი სწავლების მეთოდიკა. საპატრიარქოს სასწავლო და საცენზურო განყოფილებების საქმის კურსში ჩაყენება დამოკიდებული იყო ავტორისა და იმ ორგანიზაციის სურვილზე, რომელმაც მას გრიფი მიანიჭა. ასეთი სურვილი ავტორს არ ჰქონდა, რასაც შემდეგი გარემოება აპირობებდა: საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელისა და ცენზორების — გვანცა კოპლატაძისა და გრიგოლ რუხაძის — ხელიდან მკითხველთა ფართო წრეს ისეთი პროდუქცია მიეწოდებოდა, რომელიც მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და დოგმატური ღვთისმეტყველების თვალსაზრისით საშინელზე საშინელ ცდომილებებს შეიცავს (შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ).

დავუბრუნდეთ „კარიბჭეს“. იგი განკუთვნილია საერო და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და, ამდენად, ჩვეულებრივი სეკულარული მოვლენაა. ამის მიუხედავად გარკვეული კატეგორიის სასულიერო და საერო პირებმა თავს უფლება მისცეს, რომ ისეთი ისტერია გამოეხატათ, რომელიც შორს დგას როგორც წიგნის განხილვისა და რეცენზირების ელემენტარული ნორმებისაგან, ისე ადამიანური ურთიერთობის კულტურისაგან. მამა დავითი (გვარი?), მაგალითად, რისხვით სავსე კითხვას სვამდა: ვის მოვთხოვოთ პასუხი? („კვირის პალიტრა“, 1997, 17-23. III, №11). ავტორის გვარი მითითებული არ არის. რომელ მ. დავითს გავცეთ პასუხი?

იწერებოდა, იბეჭდებოდა, ეთერში გადაიცემოდა, დაწესებულებებში იგზავნებოდა ბოლშევიკური სტილის კოლექტიური წერილები; ეწყობოდა კრებები საერთო-სახალხო პლატფორმის გამომუშავების გეგმით. ჩანდა, რომ აქტივისტი ოპონენტები წიგნს არ კითხულობდნენ და თუთიყუშივით იმეორებდნენ იმას, რასაც გაფეტიშებული სულიერი მამები ამბობდნენ. უცნაურია: კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მთავარცენზორი დასაჯა, მაგრამ სხვა, არანაკლებ აგრესიული ინკვიზიტორებისათვის მის რეზიდენციაში მწვანე შუქი აინთო. 1997 წლის 5-6 მარტს განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებაში ამ წიგნის გმობის ცერემონიალი მოეწყო. აქტივისტებმა მისი, როგორც სახელმძღვანელოს, აკრძალვა მოინდომეს და კათალიკოს-პატრიარქს შეუთვალეს, რომ დაეგმო იგი, რეცენზენტი დეკანოზი ვახტანგ ასათიანი კი გაესამართლებინა

(ვნებათაღელვა განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოში. — „საქართველო“, 13-15. III, №24). იმავე დღეს (5 მარტს) „გლდანის დევნილმა ეპარქიამ“ ტირილით, კივილით, წყევლით და თვალების კარკვლით ცეცხლს მისცეა „რელიგიის კარიბჭე“ „ეკუმენიზმის მქადაგებელ“ სხვა წიგნებთან ერთად. ორ ინკვიზიტორს — პროტოპრესვიტერ ბასილ მკალავიშვილსა და პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელს — შორის კაცი არსებით სხვაობას ვერ იპოვიდა. იმავე წლის აღდგომას — სიყვარულისა და მიტევების დღეს — პროტ. გ. გამრეკელი საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე გამოვიდა და განაცხადა: „თუ განათლების სამინისტრო არ აღკვეთს სახელმძღვანელოს („რელიგიის კარიბჭის“, ნ.პ.) აი ამ სახით შეტანას სკოლებში, ეს გამოიწვევს იმას, რომ მრევლი მოითხოვს სასამართლო წესით ავტორის დასჯას“. ეს გადაცემა, რომლის ავტორი და მომჩივანი პროპოპრესვიტერის კვერისდამკვრელი ჯურნალისტი გიორგი ახვლედიანი გახლდათ, აღბეჭდილია დილეტანტიზმითა და ანტიპროფესიონალიზმით, რაზეც პროტესტი განვაცხადე და მოვითხოვე, რომ ჩემთვისაც დაეთმოთ ეთერი, მაგრამ ამაოდ (წერილი არჩილ გოგელიას. — „მაცნე“, 1997, 19-26. V, №20). ზოგადად: ეს პროცესი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უახლესი ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო ფურცელია. იგი ტრაგიკომედიაა. მოვუსმინოთ პროფ. ზურაბ კიკნაძეს, ერთ-ერთ რეცენზენტს: „დავესწარი ორივე ავტორის (რ. თვარაძისა და ნ. პაპუაშვილის, ნ.პ.) წიგნების ორსავე „განხილვას“. ამაზე არაობიექტური და ტენდენციური დამოკიდებულება ავტორებისადმი, რისი მოწმენიც გავხდით მე და ჩემი კოლეგები, ძნელი წარმოსადგენია. წარმოჩნდა არა მხოლოდ მათი (ოპონენტების, ნ.პ.) არაკეთილგანწყობა, არამედ, რაც კიდევ უფრო მეტად სამწუხარი და სავალალოა, ის ფაქტი, რომ „კრიტიკოსებს“ ან ეს წიგნები არ წაუკითხავთ, ან თუ წაუკითხავთ — არასწორად. როდესაც წიგნის ავტორი „რელიგიის კარიბჭეში“ გადმოსცემს ისლამისა თუ ბუდიზმის მრწამსსა და კატეგორიებს იმანენტური მეთოდით, „კრიტიკოსები“ ამას ყველაფერს ავტორის მსოფლმხედველობად თვლიან და ქოქოლას აყრიან, ანათემაზე გადაცემით იმუქრებიან. ისინი ავტორისაგან მოითხოვენ არაქრისტიანული რელიგიებისა და არამართლმადიდებლური კონფესიების ლანძღვა-გინებას ანუ, უკეთეს შემთხვევაში, მათ მხილებას. სრულებითაც არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ რელიგიის ისტორიას, სახელმძღვანელოს, არ ევალება არც კიცხვა, არც მხილება, არც ერთადერთი ჭეშმარიტი აღმსარებლობის ქადაგება“ (კ. თოდაძე, როგორ ვწეროთ რელიგიის ისტორია? — „ახალი ქართული გაზეთი“, 1997, 29. IX, №58). ამ აურზაურთან დაკავშირებით ჩემი ხედვა და პასუხები იხ.: 1997 წლის შემდეგ გაზეთებში: „მაცნე“, 14-24. II, №10; 13.19.X, №36; „ლიტერატურული საქართველო“, 18-25.IV, №16; „კავკასიონი“, 19.VII, №125. „რეზონანსის“ კორესპონდენტმა გუსტავ შავერზაშვილმა რეპორტაჟი ასეთი სათაურით გამოაქვეყნა: *მართლმადიდებელი ეკლესია განათლების სისტემას ამუხრუჭებს. „მართლმადიდებლური ეკლესიის ნაწილი ახალი ფაშიზმის მაპროვოცირებელი ძალაა“ — მიაჩნიათ ფილოსოფოსებს* (1997, 17. IV, №102).

რაც მოხდა, მოხდა! მაგრამ რა კავშირშია ჩემი წიგნი და მის წინააღმდეგ აზვირთებული ობსკურანტიზმი ანტიეკუმენურ აჯანყებასთან, გაურკვეველია. ეკუმენისტად ცნობილ პატრიარქს და მის სინოდს ეს წიგნი არც დაულოცავთ და არც დაუცავთ. პირიქით, ზოგიერთმა ეპისკოპოსმა მის მიმართ მეამბოხე ანტიეკუმენისტების პოზიცია დაიკავა. და თუ მაინც შეასრულა მან, ჩემმა წიგნმა, სხვათა და სხვათა თვალში განხეთქილების ვაშლის როლი, სამწუხაროა.

განვაგდეთ ეკუმენიზმი

ბეთანიის, შიო მღვიმისა და დავით გარეჯის მონასტრებმა კათალიკოს-პატრიარქ ილია II-სთან ევქარისტიული ანუ ლოცვითი კავშირი გაწყვიტა. ეს ნიშნავს, რომ ჩამოთვლილ სავანეთა მკვიდრნი საქართველოს საპატრიარქოს ე. ი. კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის სულიერი მეუფების ქვეშ მყოფ ეკლესიას გაემიჯნენ. მათ სოლიდარობა საქართველოს

სხვადასხვა კუთხის საერო და სასულიერო პირებმაც გამოუცხადეს; შეგროვდა ხელმოწერები. საქართველოს საპატრიარქოსთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის მუქარა გურია-შემოქმედის ეპარქიიდანაც გაისმა. სქიზმატებს არა ერთი და ორი პოლიტიკოსი თანაუგრძნობდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განხეთქილების — სქიზმის ანუ რასკოლის — საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ ვითარებას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც გამოეხმაურა. ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, 19 მაისს, მან თქვა: „ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიის ინტერესები ყოველთვის განუყოფელი იყო. საქართველო ქრისტიანობამ გადაარჩინა. მე მჯერა საქართველოს პატრიარქის, წმინდა სინოდის და მრევლის სიბრძნისა“.

„სიბრძნემ“ ეკუმენიზმი განაგდო, ანუ უწმინდესმა სინოდმა 20 მაისს განაჩინა:

„I. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან;

II. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა იმსჯელა იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომელთაც გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან იმ საბაბით, რომ ისინი არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრნი, რითაც ეკლესიაში განხეთქილების შემოტანა სცადეს. განხეთქილების შემოტანას ეკლესიაში ეწოდება სქიზმა, რომელიც არის იმდენად მძიმე ცოდვა, რომ წმიდა მამების სწავლებით ეს ცოდვა ვერ განიბანება მოწამებრივი სისხლითაც კი“.

ამავე განჩინებაში დასახელებულია 12 მეამბოხე სასულიერო და საერო პირი და მითითებულია სასჯელები, რითაც ისინი დაისაჯნენ („მადლი“, 1997, 1. VI, №6-7, გვ. 2).

მოზეიმე სიყალბე და უცნაურობა

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და მისი თანასინოდის ეს გადაწყვეტილება არ ესადაგება სიტყვებს, რომლებსაც იგივე მღვდელმთავარი ადრე წარმოთქვამდა. კერძოდ: აღნიშნულ სხდომამდე 2 დღით ადრე, 18 მაისს მან საკვირაო ქადაგებაში აღნიშნა: „...ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებლური ეკლესიების ყოფნამ ბევრი სიკეთე მოიტანა. მრავალი პროტესტანტი მართლმადიდებელი გახდა, ხოლო ევროპაში და ამერიკაში მართლმადიდებლური ეპარქიები გაჩნდა. ასე რომ, ამგვარი (ეკუმენური, ნ.პ.) შეხვედრები და ქადაგებები საჭირო ყოფილა. ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენთან სტუმრად იყო ამერიკელი ბიზნესმენი, რომელიც ადრე პროტესტანტი იყო, მერე მოინათლა, მართლმადიდებელი გახდა და დღეს თავის რწმენით ბევრს სჯობია... მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების (მეამბოხე ანტიეკუმენისტების, ნ.პ.) უკან სხვა არაეკლესიური, არამორწმუნე ძალები დგას. ყველაზე გულსატკენი ისაა, რომ გარეშე მტერი მუდამ პოულობდა საქართველოში საყრდენს, ქართველთა შორის მოღალატეებს...“ („მადლი“, დასახელებული ნომერი, გვ. 3).

რა გამოდის? — ეკუმენიზმი დადებითი მოვლენაა, მეამბოხე ანტიეკუმენისტები კი არაეკლესიურ და უცხო ძალთა მსახურები არიან, ანუ ეკლესიისა და სახელმწიფოს მტრები. თუკი ასეა, რატომ აენთო მწვანე შუქი მათ მოთხოვნებს და მსოფლმხედველობას? და თუ აენთო, რატომ დაისაჯა ამ შუქის წარმომჩენი ერი და ბერი? მხოლოდ უტაქტო საქციელისათვის, უფლებამოსილების გადამეტებისათვის? კეთილი! მაგრამ რა ექნათ, თუკი სხვა გზა ვერ დაინახეს; თუკი კათალიკოს-პატრიარქისა და მისი საყდრიონისაგან საიმედო არაფერი ისმოდა? ამასთანავე: თუკი „ეკლესიაში განხეთქილების შემოტანა“ არის ისეთი ცოდვა, რომელსაც მოწამებრივი სისხლიც კი ვერ განბანს, რაღა აზრი აქვს მოწოდებას სინანულისაკენ, რისკენაც სინოდმა ამ ცოდვის მონაწილე ერსა და ბერს მოუწოდა?

ერთი სიტყვით, სინოდის ეს დადგენილება არის უცნაური და გაურკვეველი. გამოდის,

რომ საქართველოს ეკლესიის იერარქიას თვალი განდგომილმა ბერებმა აუხილეს, ანდა ათქმევინეს ის, რის თქმასაც ადრე ვერ ახერხებდნენ, — ემს-მ „ეკლესიოლოგიური სახე მიიღო“. ტერმინი „ეკლესიოლოგიური“ უცხოა ჩვენი საზოგადოების უმრავლესობისათვის და საკვირველია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ავტორები ვერ გრძნობენ იმის დასაბუთების აუცილებლობას, თუ რაში გამოიხატება ემს-ს მიერ „ეკლესიოლოგიური სახის მიღება“.

უფრო საკვირველი დემოკრატიულობით მოქადული ჩვენი მასმედიის პოზიცია გახლდათ. პუბლიკაციებს, რომლებიც მაშინ ქვეყნდებოდა, ობსკურანტიზმი და ანტიინტელექტუალურობა ახასიათებს. გამონაკლისთა შორის ყველაზე სოლიდურად გაზეთი „კავკასიონი“ გამოიყურებოდა. მისმა რედაქტორმა სოზარ სუბელიანმა 20 მაისის დადგენილებას არალოგიკური უწოდა და აღნიშნა, რომ პრობლემა ვერ გვარდება. საქართველოს ეკლესია კი გამოვიდა ეკუმენური საბჭოდან, მაგრამ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლის დედაეკლესიის ჩათვლით, ხომ არ გამოსულა? საქართველოს ეკლესია ხომ ერთიანი ეკლესიის ძვალი ძვალთაგანია? ამიტომ, განდგომილთა ულტიმატუმი, გავწყვიტოთ კავშირი ყველა ეკუმენისტ მართლმადიდებლებთან, ძალაში რჩება. ეს ულტიმატუმი პრინციპში ლოგიკურია. მოსალოდნელია მისი გააქტიურება („კავკასიონი“, 21.V, №86; 24.V, №88).

წინასწარმეტყველება ახდა. ბეთანიის, ზარზმისა და ქვათახევის მონასტრებმა პატრიარქთან, მის კანცელარიასა და სინოდთან კავშირი გაწყვიტეს. 14 ივლისს ბეთანიელმა ბერებმა თბილისიდან ასული ბიჭების დახმარებით მონასტრიდან გამოყარეს საპატრიარქოს წარმომადგენლები და ახლადდანიშნული იღუმენი ბენიამინი (ბელქანია) (რა ხდება საქართველოს ეკლესიაში? — „ახალი თაობა“, იქვე, გვ. 4). დაიწყო ურთიერთმაბრალებელი ეპისტოლეების გავრცელება. ბეთანიის ძმობამ იმა წლის ივლისში კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს და სინოდს 12 შეკითხვა და ამდენივე ანათემატი გაუგზავნა (პუბლიკაცია: „ახალი თაობა“, 28. VII, №205). მე-8 შეკითხვა, მაგალითად, ასეთია: „...კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ათინაგორამ პაპისტურ საკრებულოს (ე.ი. რომის ეკლესიას, ნ.პ.) თვითნებურად მოხსნა 1054 წლის ანათემა, ხოლო მისმა შემდგომმა პატრიარქებმა — დიმიტრიოსმა და ბართლომეოს I-მა უცვლელად დატოვეს ეს უკანონო განჩინება. თვლით თუ არა რომის პაპისტურ საკრებულოს ეკლესიიდან განკვეთილად და მიიჩნევთ თუ არა პაპიზმს მწვალებლობად? თუკი მიჩნევთ, რის საფუძველზე ინარჩუნებთ ევქარისტიულ კავშირს კონსტანტინოპოლის საყდართან, რომელმაც ესოდენ ანტიმართლმადიდებლური აქტი განახორციელა?“ თითოეული შეკითხვა გამსჭვალულია მკაცრი ტონით და რწმენით, რომ მათზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა და კრიზისული გახდა. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი დღეები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას კომუნისტური დევნილობის შემდეგ არ დადგომია. მაშინდელ პრესაში ამ ბატალიების თაობაზე იმდენ მასალას ვხვდებით და იმ დროს იმდენი დრამატული ამბავი მოხდა, იმდენმა ექსკლუზიურმა სიტყვამ გაიჟღერა, რომ ყველას თავმოყრა და ანალიზი ერთი საჟურნალო სტატიის შესაძლებლობას აღემატება.

აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, საპატრიარქოს უკვე დაფიქსირებული პოზიციის გამო, ადვილი არ ჩანდა. ასე ფიქრობდა სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული და გაზეთ „კავკასიონის“ რედაქტორი, ისტორიკოსი სოზარ სუბელიანი: „სასულიერო პირთა უმრავლესობისა და საპატრიარქოს მიერ ოფიციალურად გაცხადებული პოზიცია ხშირად თანხვდება განდგომილთა მოთხოვნებს... ერთ-ერთი კითხვა-ბრალდება ასეთია: 1991 წელს დაიდო უნია ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სირიელ იაკობიტებს შორის. საქართველოს ეკლესიას ევქარისტიული კავშირი აქვს ანტიოქიის ეკლესიასთან. არის თუ არა ეს მართლმადიდებლობის ღალატი?... 1983 წლის (ბალამანდის უნიით) პაპისტთა საკრებულო მიჩნეულია მადლმოსილად. ეს უნია ყველა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო საქართველოსა და იერუსალიმის გარდა. არის თუ არა ეს დოკუმენტი ერეტიკული და არიან თუ არა მისი ხელმომწერები ერეტიკოსები? თუ სინოდი იტყვის, რომ ანტიოქიის ეკლესიის

საქციელი არ არის გამართლებული, უნიაზე ხელმომწერები კი ერეტიკოსები არიან, მაშინ რჩება შთაბეჭდილება, რომ ბერების მოთხოვნა სავსებით ლოგიკური და სამართლიანია. თუ საპირისპირო ითქმება, მაშინ იქმნება საშიშროება, რომ სამღვდელოებისა და მრევლის მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაეთანხმოს ამგვარ მიდგომას. მათ ხომ წლების განმავლობაში საწინააღმდეგოს ასწავლიდნენ?“ ამ სიტყვებს ჩვენ დავამატებთ: კათოლიკეები პატრიარქმაც ხომ სექტებს შორის მოიხსენია?

საპატრიარქოს მხარეზე ელიტარული საზოგადოების დიდი ნაწილი აღმოჩნდა. მათ განწყობაზე განსაკუთრებით საპატრიარქოს იმ მოწოდებებმა იმოქმედა, რომელთა თანახმად სქიზმა ეკლესიაში თითქოს ეროვნული სხეულის დაშლა-დაქუცმაცების ტოლფასია. პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: „ვერ წარმომიდგენია ეროვნული შერიგება, თუ ქართული საზოგადოება ეკლესიაში განხეთქილებას დაუშვებს. ამიტომ, არ შეიძლება მომხდარის გამო გულგრილი დარჩეს ხელისუფლება“ (განხეთქილებამ ეკლესიაში ჟვანია დაამწუხრა. — „ახალი თაობა“, 1997, 20.VII, №1097). პოლემიკაში აქტიურად ჩაერთო საეკლესიო მწერლობისა და ისტორიის აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე, რომელმაც მრავალრიცხოვან სტატიებსა და მონოგრაფიებში დოგმატური ღვთისმეტყველების პოზიციიდან და აკადემიურ დონეზე დაასაბუთა, რომ ის სასულიერო და საერო პირები, მათ შორის, პირველ რიგში, არქიმანდრიტები ლაზარე და რაფაელი, ძმები აროშვილები, ცენზორები გრიგოლ რუხაძე და გვანცა კოპლატაძე, რომლებიც სხვებს ჰაიჰარად ერესსა და მწვალებლობას აბრალებენ, რომლებსაც თავი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა და კანონიკის საკითხებში გარკვეული ჰგონიათ და რომლებიც სხვათა მიმართ ერთობ უშეღავათონი არიან, თვითონ არიან ჩავარდნილი სხვადასხვა სახის უსაშინლეს ერესსა და მწვალებლობაში. ბრალდებები საანათემო შეცდომების შესახებ, მის მიერ ჩამოყალიბებული, იმდენად არგუმენტირებული იყო, რომ ვერც ერთმა ადრესატმა ასე თუ ისე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

ბოლოს, საპატრიარქოს პრესცენტრის ოფიციალური განცხადებაც გამოქვეყნდა: „პასუხი ყოფილ ბეთანიელ ბერთა „ანათემატიზმებს“ („კავკასიონი“, 1997, 30. VIII, №149), რომელშიც თორმეტივე შეკითხვისა და ანათემატის კომენტარია მოცემული, — მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი. იმ შეკითხვას, მაგალითად, რომელიც ზემოთ დავიმოწმეთ, პრესცენტრმა ასეთი კომენტარი დაუპირისპირა: „ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1054 წლის ანათემათა ორმხრივი მოხსნა არ ნიშნავდა მართლმადიდებელ და რომის კათოლიკურ ეკლესიათა შორის არსებულ დოგმატურ განსხვავებათა დაძლევას და ევქარისტიული ერთიანობის აღდგენას. მიჩნეულია, რომ ათენაგორას ანათემების მოხსნა „არასრულია“ (იხ. „ანათემატა“, ათენი, 1980, გვ. 234). აღსანიშნავია, რომ თვით მართლმადიდებელთა მხრიდან გამოცხადებული ანათემის ტექსტი დაკარგულია. ყოველივე ეს სერიოზულ ისტორიულ კვლევას მოითხოვს და მომავალში ჩვენ ამ საკითხს დავუბრუნდებით.

დაუბრუნდა თუ არა ამ საკითხს პრესცენტრი, ჩვენთვის ცნობილი არ არის. ფაქტია, რომ საპატრიარქომ ვითარების განსამუხტად და, მისივე თქმით, „ერში ერთიანობის“ შესანარჩუნებლად ყველა ღონეს მიმართა: სულიერსაც და არასულიერსაც, — ძალისმიერსაც. 24 ივლისი სინანულისა და შერიგების დღედ გამოაცხადა და მრევლს სამდღიანი საგანგებო მარხვისაკენ მოუწოდა. ამ დღეს საქართველოს ყველა ტაძარში წირვა-ლოცვა აღესრულა. სვეტიცხოველში თავად პატრიარქმა სწირა. მშვიდობისა და შერიგებისათვის არა ერთი და ორი განცხადება გაკეთდა; შეიქმნა საღვთისმეტყველო კომისია და პრესცენტრმა 7 სექტემბერს ოფიციალური განცხადებით მიმართა ოპონენტებს, რომ ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიეღოთ. ასეთმა ტაქტიკამ განდგომილთა ნაწილი დააფიქრა და გული მოულბო. მოხდა ისე, რომ ანტიეკუმენურ აჯანყებას ისეთი ანტიეკუმენისტებიც კი არ შეუერთდნენ, როგორებიც არიან: არქიმანდრიტები რაფაელი და ლაზარე, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი და სხვანი. ამან წყალი საპატრიარქოსა და სინოდის წისქვილზე დაასხა.

აჯანყებულთა ნაწილმა კი პოზიციის შეცვლაზე უარი თქვა, რის გამოც მათ მიმართ

საპატრიარქომ და ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. საპატრიარქომ ბეთანიელ ბერებს ულტიმატუმი წაუყენა, რომ მონასტერი 48 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ. ბერები ულტიმატუმს არ დაემორჩილნენ, რის გამოც ისინი 21 აგვისტოს მონასტრიდან გარეკეს. აი, რას ვკითხულობთ განცხადებაში, რომელიც ამ ბერების მხარდამჭერებმა 25 აგვისტოს გაავრცელეს: „...21 აგვისტოს 12 დედა-მონაზვნის, ათიოდე მღვდლისა და საკმაოდ ჭრელი მრევლისაგან შემდგარი საპატრიარქოს კოლონა, არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანის) ხელმძღვანელობით, ბეთანიის კარიბჭეს მიადგა. ბეთანიელი ბერები ხატებით დახვდნენ... საპატრიარქოს კოლონამ მათ ყური არ ათხოვა და მგზნებარე „ლოცვის'' თანხლებით მონასტრის ტაძარი დაიკავა. ქართული ინკვიზიციის ახალმა კოლონამ ბერებს საბოლოოდ მოსთხოვა მონასტრის ტერიტორიის დაუყოვნებელი და უპირობო დატოვება... იოაკიმეს ჯგუფმა კელიების შტურმი დაიწყო. ფეხით შეამტვრია კელიების კარები და ბერები გააძევა“ („21 აგვისტო ქართული ინგვიზიციის დაბადების დღეა“. — „ახალი თაობა“, 1997, 21. VIII, №234). უარესი ბედი ეწიათ ზარზმის მონასტრის მკვიდრთ: 9 სექტემბერს მათი ტაძრის კარიბჭე პოლიციამ შეამტვრია და ისინი კინწისკვრით გაყარა (პოლიციის და საპატრიარქოს წარმომადგენლებმა შეამტვრიეს მონასტრის კარები და შეიჭრნენ ეზოში. მღვდელ-მონაზონმა სტეფანე კალიჯიშვილმა (!) ხელები გადაუგრიხა და ჩამოათრია სამრეკლოდან მონაზონი დედა მარინე, რომელიც ზარს რეკდა. — „ახალი თაობა“, 1997, 14. IX, № 253).

1997 წლის საეკლესიო ამბოხება იმავე წლის სექტემბერში დასრულდა.

სასულიერო და საერო პირებმა, რომლებმაც საპატრიარქოს პოზიცია არ გაიზიარეს, თავიანთი ორგანიზაცია შექმნეს — „მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში“. ვინაიდან მათ კვალს საქართველოს არც ერთი ეპისკოპოსი არ გაჰყვა, ისინი იმ ეპისკოპოსის მწყემსმთავრულ მფარველობაში შევიდნენ, რომლის რეზიდენცია ამერიკაშია, ქალაქ ბოსტონში და რომელიც, სწორედ ეკუმენიზმის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამო, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქთან სქიზმაში იმყოფება. საპატრიარქოს წარმომადგენლები ამ ეკლესიას „ბოსტონის დაჯგუფებას“ უწოდებენ. მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე ეკლესია აქვთ.

ასე რომ, საქართველოში მცირე მასშტაბის სქიზმა მაინც მოხდა.

გაბრწყინდა ივერია?

კითხვა ასე დაისმის: სქიზმას, რომლის წინაშეც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1997 წელს იდგა, 20 მაისის დადგენილების შედეგად საფუძველი გამოეცალა? ანუ: ეს ეკლესია ეკუმენურ მოძრაობას მართლა გაემიჯნა?

პასუხისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ასეთის, თეოლოგიური შინაარსი უნდა გავითვალისწინოთ. სულით და არსებით იგი მსოფლიო (კათოლიკე) ეკლესიის განუყოფელი ნაწილია. გავიხსენოთ ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი: ეკლესია არის ერთი და, მაშასადამე, განუყოფელი! ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა პირობითია; ეხება ორგანიზაციულ მოწყობას და სასულიერო იერარქიის თვითმყოფადობაზე შორს არ მიდის. თითოეული ავტოკეფალური კათედრა (საყდარი) ერთი და იმავე სხეულის ცალკეული ორგანოა, ერთმანეთთან საერთო სისხლით და სამშვინველით დაკავშირებული. თუკი ერთგან რამე არსებისთი ხდება, ის სხვაგანაც ხდება. შეუძლებელია, ერთი ეკლესია დოგმატად ამ თეზისს აღიარებდეს, მეორე კი იმ თეზისს; ერთს ეს სწამდეს, სხვას — ის. ამ შემთხვევაში ისინი განცალკევდებიან; ერთი მეორისაგან განსხვავებული კონფესიის ეკლესიად ჩამოყალიბდება და მათ შორის სულიერი, ე.ი. ლოცვითი (ევქარისტიული) კავშირი გაწყდება. თუკი ასეა, თუკი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის განუყოფელი ნაწილია, იგი ისევეა დაკავშირებული სხვა

ადგილობრივ ეკლესიებთან, როგორც სული სხეულთან. რაც ამ სხეულის თუნდაც ერთი ასოს სულში არსებობს, ის ყველა ასოს სულში არსებობს, რასგან სული ერთია, — მარტივი და დაუნაწევრებელი.

არის თუ არა ეკუმენურ მოძრაობაში ის ეკლესია, რომელიც აღმოსავლეთის ერთ მართლმადიდებელ ეკლესიადაა ცნობილი? ეს ეკლესია გეოგრაფიის (მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიის!) კვალდაკვალ რამდენიმე ეკლესიადაა დაყოფილი, თუმცა ერთიანობის პრინციპი, ვიმეორებთ, უცვალებელია. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა პოზიციაზე დგას ამ ეკლესიათა და მათ პატრიარქთა უფროსი ძმა, კონსტანტინოპოლის დედაეკლესია და თავად ქალაქთა მზის — კონსტანტინოპოლის — მთავარეპისკოპოსი? იგი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს და სხვა ეკუმენური გაერთიანებების ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელია და მის ბაგეთაგან ეკუმენურ ორგანიზაციათა მისამართით აუგი არავის გაუგონია. ამ რეალობიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: თუკი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიო ეკლესიის სისხლი სისხლთაგანი და ძვალი ძვალთაგანია, იგი სულით იქაა, სადაც კონსტანტინოპოლი და მასთან თანაზიარებაში მყოფი ეკლესიები არიან. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ანუ მცხეთის საყდარი, იმის მიუხედავად, მოეწონება თუ არა ეს მის ზოგიერთ შვილს (წევრს, — საეროს თუ სასულიეროს), ეკუმენურ მოძრაობასთან (ეკუმენიზმთან) რეალურად და არსობრივად ისევეა დაკავშირებული, როგორც ნებისმიერი სხვა ადგილობრივი ეკლესია — მასთან სარწმუნოებრივ ერთობაში მყოფი.

მთავარ კითხვას რაც შეეხება, ივერია მაშინ გაბრწყინდება, როდესაც მის მიწაზე სიმართლე და სამართალი გაბატონდება, ცრუპატრიოტიზმს ქრისტიანულ მორალსა და მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული პატრიოტობა და მოქალაქეობა ჩაენაცვლება, პოლიტიკურ მონოფიზიტობას — პოლიტიკური დიოფიზიტობა, ხოლო ცრუმართლმადიდებლობას — ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

P. S. ეს წერილი კარგახნის დაწერილი იყო და რედაქციისათვის გადაცემული, როდესაც რელიგიურად შეფერილი პოლიტიზებული მოსახლეობა, საქართველოს მოქალაქეები: მწერლები, არტისტები, იურისტები, მუშები, სტუდენტები, მასწავლებლები და, ასე გასინჯეთ, პარლამენტარებიც, საკმაოდ მასშტაბურმა აყალმაყალმა მოიცვა. 18 ოქტომბერს, კვირას, ერთმა ტელეარხმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ, თურმე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ ინტერნეტში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის შეურაცხმყოფელი კლიპი განათავსა. ატყდა ისტერია; დაიწყო გმინვა და აქციები შემდეგი მოთხოვნით: დაისაჯოს თუთბერიძე და პასუხი მოეთხოვოს მთავრობას, რომელმაც მას, თუთბერიძეს, ეს სიბინძურე, — ჩვენი სიწმინდის (როგორც თავად ამბობენ), პატრიარქის, მასხრად აგდება დაუკვეთაო.

შეურაცხყოფა, და ისიც რელიგიური ლიდერის, მორალური დანაშაულია (თუ იურიდიული არა), რაც, ალბათ, აღნიშნული ქმედების ავტორსაც მოეხსენება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაბიჯი მან შეგნებულად გადადგა, რაც ცუდია და, მაშასადამე, სამწუხაროა, მაგრამ აქ არსმენილი და წარმოუდგენელი არაფერია. საბჭოთა ეპოქაში ღმერთს და მის ამქვეყნიურ მსახურებს არა ერთი და ორი მწერალი, რეჟისორი, მსახიობი და, რა თქმა უნდა, პროფესიონალი ათეისტი აშარჟებდა. ამ შარჟს ჩვენ (მე 1979 წლიდან 1994 წლამდე საპატრიარქოს გამომცემლობაში ვმსახურობდი) ვხედავდით, ვისმენდით და ვკითხულობდით, მაგრამ რას ვშვრებოდით, გარდა იმისა, რომ გულისწყრომას ზოგჯერ არ ვმალავდით? არაფერს! განა დღეს, ჩვენს გვერდით, მართლმადიდებლობით მოქადული ჩვენი თანამოქალაქეები, განსაკუთრებით „მართლმადიდებელი მშობლები“, თითქმის ყოველდღე საჯაროდ და საყოველთაოდ არ შეურაცხყოფენ და არ ამასხარავებენ სხვადმადიდებელთა სარწმუნოებას და მათი ეკლესიების წინამძღოლებს? ასეა სხვაგანაც. ჩემი თვალით მინახავს რომის პაპის კარიკატურა გერმანიის ტელესივრცეში, შევხვედრივარ გულგათუთქულ გერმანელ კათოლიკესაც, — სტუდენტსაც, მაგრამ არ მინახავს, ამის გამო მორწმუნე ქუჩაში

გამოვარდნილიყოს და თვალებგადმოკარკლულს ეყვიროს: „რომის პაპსა და მთელი ქვეყნის პონტიფექსს (ხიდის მშენებელს) გაუმააარჯოს! გაუმააარჯოს!“, როგორც ამას ჩვენი სტუდენტები სჩადიან. აი, ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ისინი კიდეც იმუშტებიან და კიდეც იმუქრებიან: ტყავს გაგაძრობ და მარილს დაგაყრი შენ, უხსენებელო თუთბერიძევ, პატრიარქის მტერო! ვერ წარმომიდგენია მოაზროვნე ხალხი, რომელსაც კერძო პირის კერძო გამოსვლა, რა გინდა რა მიუღებელი, ისე გამოიყვანს მწყობრიდან და ისე გადარევს, როგორც თეა თუთბერიძემ თბილისის ცნობილი სახეები 23 ოქტომბერს „კინოს სახლში“ მწყობრიდან გამოიყვანა და გადარია. მე იქ ვნახე ცნობილი პოეტი, ცნობილი მეცნიერი და ცნობილი ხელოვანი, რომლებიც მათთვის არასასურველი ორატორისაკენ იწევდნენ. ერთი პოეტი, ხანდაზმული, დაჭიმული სახით და შემართული მკლავით კიდეც იწევდა და კიდეც ყვიროდა: „იცი, ამას რატომ კიდია ფეხებზე ყველაფერი? რაზეც უნდა ეკიდოს, ის არა აქვს“ („ალია“, 24-26. IX, №124). ვერ წარმომიდგენია ცივილიზებული ქვეყნის ჟურნალისტი, რომელიც ამ დროს და ამ ვითარებაში „ბრგე ვაჟკაცებს“ აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებს, — გამოდით თქვე „კურდღლებად გადაქცეულებო“-ო (გ. უძილაური, პატრიარქის გინებამ შეიძლება რევოლუცია გამოიწვიოს. — „ახალი თაობა“, 20.IX, №273). გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ აღშფოთებულთა შორის ზვიად გამსახურდიას მომხრეებიც არიან. მათ ალბათ დაავიწყდათ ის, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით: პატრიარქ ილია II-ის გადახაზული სურათები და უკიდურესად შეურაცხმყოფელი სიტყვები, რითაც გამოირჩეოდა მათი აქციები სამოქალაქო ომის დროს და მის შემდგომ წლებში. მათ, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, თუ როგორ და რა მოცულობით აისახა მათ პრესაში პატრიარქ ილია II-ის შეურაცხყოფის აქტები.

ერთობ ოდიოზური და კომიკური გახლავთ ის, რომ მართლმადიდებლობას იცავენ ისინი, რომელთაც მართლმადიდებლობაზე წარმოდგენა არა აქვთ; რომლებიც მართლმადიდებლობას არქმევენ იმას, რაც მართლმადიდებლობა არ არის. მარტო საქართველოში შეიძლება წარმოიდგინო ისეთი პოლიტიკოსი და, მით უმეტეს, პარლამენტარი, რომელმაც არ იცოდეს, — ინტუიციით მაინც ვერ ხვდებოდეს, რომ 1) სხვაა ეკლესია და ეკლესიის ერი და 2) სხვაა სახელმწიფო და სახელმწიფოს ერი (მოქალაქეები). სხვანაირად რომ ვთქვათ, ეკლესია (თანამორწმუნეთა კრებული), ხალხთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა (ეთნოსი, ერი) და სახელმწიფო (მოქალაქეობის პრინციპს დაფუძნებული ერი) სხვადასხვა ცნებები და მოცემულობებია და მათი ერთმანეთში აღრევა, კათალიკოს ამბროსი ხელაიას ზემოთ მოყვანილი სიტყვები რომ გავიხსენოთ, — „საბედისწერო უგუნურება“. დიახ, ასეა: სახელმწიფო და ეკლესია სხვადასხვა რეალობებია და ნურავის გაუკვირდება, თუკი ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესები, თვალსაზრისები და პოზიციები ერთმანეთს ყოველთვის არ დაემთხვევა.

ამასთავავე და ამ რეალობიდან გამომდინარე, რომელიმე ეკლესიის ლიდერი, თუნდაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერის, — ქართველი ერის და საქართველოს, როგორც პოლიტიკური მოცემულობის, „სულიერი წინამძღოლი და მამა“ ვერ იქნება: ეს ნონსენსია. ის მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის: ქართველების, რუსების, ოსების, აფხაზების, ბერძნების, სომხებისა თუ აზერბაიჯანელების სულიერი მამა და წინამძღვარია (ამას წინათ შევხვდი ქართველ აზერბაიჯანელს, რომელიც რწმენით და შეგნებით ქრისტიანად, მართლმადიდებლად მონათლულა და, მართალი გითხრათ, მისი საღვთისმეტყველო განათლებით და, ზოგადად, პიროვნებით მოვიხიბლე).

ამ კამპანიის აქტივისტები, ძირითადად პოლიტიკოსები, დარწმუნებულნი არიან და ქადაგებენ: „ეროვნული ერთიანობის გარანტი ეკლესიაა“, „ქართული ეკლესია არის სახელმწიფოებრიობის ერთადერთი გარანტი“. უცნაური ის არის, რომ ამ პოლიტიკოსებს თავი რჯულის მეცნიერებად წარმოუდგენიათ და არც ახსენდებათ, იკითხონ: გამომდინარეობს კი ეს თვალსაზრისი საღვთო წერილიდან და ტრადიციიდან? ანუ: ბიბლიის რომელი პუნქტი, ეკლესიის რომელი მამა და რომელი მადლმოსილი კრება ადასტურებს ამას? როგორ

შეიძლება ერისა (ნაციის) და სარწმუნოების, სახელმწიფოს და ეკლესიის გაიგივება, მაშინ როდესაც ისინი სხვადასხვა წარმომავლობის მოვლენები არიან: ერთი წუთისოფლის მკვიდრია, მეორე (ეკლესია) წუთისოფლის სტუმარი? ეს ნამდვილად ასეა. ამიტომ არავითარი საფუძველი არა აქვს საპატრიარქოს პრესცენტრის განცხადებას: „ქრისტიანობა ქართული სახელმწიფოსთვის გამაერთიანებელ ძალას და იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენს“. მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში მხოლოდ მართლმადიდებელი მორწმუნეების, მათ შორის და პირველ რიგში, — რუსების, ოსებისა და აფხაზების გაერთიანება შეუძლია და, ეჭვი არაა, ის მათ გააერთიანებს კიდეც, თუკი ეკლესიის ერთ-ერთი მტრისაგან, ნაციონალიზმისაგან (ფილეტური ერესისაგან), გათავისუფლდება, ობსკურანტიზმისა და ქსენოფობიის მტვერს ჩამოიფერთხავს და ინტერნეტში გაჟღერებული უხამსობის გამო ლამის ჭკუიდან შეშლილ ხალხს მიმართავს: შვილებო, როგორც თქვენ იქცევით, ქრისტიანები ასე არ იქცევიან!

გოგი ჩაგელიშვილი

„თავისუფლების შენებას“ რა უნდა?!

ბოლო ოცწლეულმა ქართველი ხალხის ავკარგიანობა, შეიძლება ითქვას, გააშიშვლა და თვალნათლივ წარმოაჩინა. ამაში გაურკვევლობა ჩვენი, როგორც ერის, უკანასკნელი დანაშაული იქნება. უკანასკნელი იმდენად, რამდენადაც ბევრი რამ არის დადებული ბედისწერის სასწორზე. რა რას გადასწონის და საითკენ წავა საქართველო, ამის გადასაწყვეტად დიდი დრო — რაღაც ისტორიული პერიოდი — აღარ დარჩენილა, ალბათ მხოლოდ ათიოდე წელიწადი. ან ახლა მაინც უნდა გამოერკვეს ქართველი ხალხი, უნდა გაიღვიძოს ქართული საზოგადოების თვითგადარჩენის ინსტინქტმა, ან...

თვითგადარჩენის ინსტინქტის გაღვიძება, პირველ რიგში, ჩვენი, როგორც ინდივიდების, და მთლიანად საზოგადოების ფუნქციონირების პრობლემებში პირუთვნელად, შეულამაზებლად გარკვევას, „სიმართლისთვის თვალებში ჩახედვას“ ნიშნავს. გააზრებას, თუ რა არის იმის მიზეზი, რომ თავისუფლების მოსურნენი „უიალქნო ნავივით დავფარფატებთ ცხოვრების ქარტეხილებში“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს რეგიონს მშვიდს ნამდვილად ვერ უწოდებს ადამიანი. იგი გლობალური ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაყარზეა. ამ ინტერესების დაჯახება ჩვენი რაობისაგან დამოუკიდებლადაც განაპირობებს ქარტეხილებს, რაც მნიშვნელოვანწილად ართულებს ჩვენს მდგომარეობას. თუმცა, ეს ფაქტი შეღავათს არ გვაძლევს: უნდა შევძლოთ იმ სიტუაციაში ორიენტირება სადაც ვართ, — ისტორიამ ასეთი დილემის წინაშე დაგვაყენა. ოცწლიანი ქარტეხილების მომსწრეებმა უკვე დროა გავითავისოთ ის, რაც ადრე თავისუფლების მოსურნეებს არ გაგვიაზრებია. არ გაგვიაზრებია, თუმცა ეს უნდა გაგვეკეთებინა, მით უმეტეს, რომ დღევანდელი თვალსაწიერიდან იგი ალბათ უკვე ტრივიალურადაც აღიქმება: **თავისუფლების ზღურბლზე მყოფი და მისი მსურველი ხალხისათვის, თუკი ეს ხალხი შეცდა თავის უნარში და თანამედროვე საზოგადოების განვითარების კანონებზე თავის წარმოდგენებში, მიღწეული „თავისუფლება“ შეიძლება გადაიქცეს წყევლად, უმძიმეს ტვირთად და უფრო დიდი მონობის წინაპირობად**. ანუ, რეალური თავისუფლების მოპოვება, მით უმეტეს ასეთ რთულ რეგიონში, დიდი სურვილის გარდა საზოგადოებისაგან მოითხოვს გააზრებული და თანმიმდევრული მოქმედების უნარს. სათაურში გამოტანილ მეტაფორას რომ დავუბრუნდეთ, „თავისუფლების შენობის“ აშენება საკმაოდ რთულია და ცალკეული ადამიანებისაგან, როგორც ამ „შენობის შემადგენელი ნაწილებისაგან“, გარკვეული თვისებებისა და უნარ-ჩვევების ქონას მოითხოვს. თავისუფლების მიღწევას და ქვეყნის რეალურად ფუნქციონირებას, პირველ რიგში, დასავლეთის თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნების მიერ ისტორიულად დაგროვილი და სისტემატიზებული საბაზისო ცოდნის გათავისება სჭირდება. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ „ველოსიპედი გამოსაგონებელი არ არის“, — კონსტრუქციულ-კრეაციული (შექმნითი) საქმიანობისათვის საჭირო ცოდნა და ჩვევები არსებობს და მათი საფუძვლები რთული გასააზრებელი არ არის. ამ ცოდნისა და ჩვევების გათავისება კი მნიშვნელოვნად რთულია, რადგან იგი ჩვენი ფსიქოტიპიური მოქმედებების — ჩვენში გამჯდარი ინსტინქტების — მნიშვნელოვან გადახალისებას მოითხოვს.

ცივილიზებული სამყაროსათვის დამახასიათებელი კონსტრუქციულ-კრეაციული არსებობისათვის საჭირო საბაზისო ცოდნა და ჩვევები სქემატურად შეიძლება სამ „პლასტად“ დალაგდეს, სამი სხვადასხვა მიმართებით იქნას ფორმულირებული. ესენია:

— აზროვნების სპეციფიკა (ტერნალური და არა ბინარული აზროვნება);

— უნარების არსებობა და მათი ერთობლივი ამოქმედება (ანუ სამი ფაქტორის — ნიჭის, კრიტიკული მიდრეკილებებისა და თანმიმდევრული შრომის — ერთობლივი ამოქმედება);

— თანამედროვე (ანუ პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ეპოქის) მსოფლმხედველობა.

შეიძლება ითქვას, რომ თითოეული ამ მიმართებით კრიტერიუმები, რომელთა შესრულების დროსაა პიროვნება თუ საზოგადოება კონსტრუქციულ-კრეაციული მენტალობის მქონე, შემუშავებული და საკმაოდ ცხადად ფორმულირებულია. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პირველ ორს — კონსტრუქციულ-კრეაციული საქმიანობისათვის საჭირო აზროვნების სპეციფიკისა და მოქმედებების ერთობის კრიტერიუმებს რამდენიმესაუკუნოვანი ისტორია აქვს. მესამემ, პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ეპოქის მსოფლმხედველობამ კი მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ფორმირება. დღესდღეობით, ამ მსოფლმხედველობის გარეშე ისევე არაეფექტურია საზოგადოების, და ზოგადად, ქვეყნის ფუნქციონირება, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში ფეოდალური მსოფლმხედველობით ფუნქციონირება იყო არაეფექტური.

შემდგომ, სტატიის ფორმატში, შეძლებისდაგვარად იქნება გადმოცემული საზოგადოების (იგივე შეიძლება ითქვას ცალკეულ ადამიანზე და მთლიანად ქვეყანაზეც) კონსტრუქციულ-კრეაციული არსებობის ზემოთ მოყვანილი ტრიადის — სამი დედაბოძის — არსი. ცხადია, აქ „მინიერ“ დედაბოძებზეა საუბარი. სულიერებასა და რწმენაზე საუბარი სცილდება ასეთი ტიპის სტატიის ფარგლებს. ყოველ შემთხვევაში, მე არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ მათზე ახალსა და ფასეულს ვეტყვი საზოგადოებას.

აზროვნების სპეციფიკა: ბინარული და ტერნარული აზროვნება

როგორც ზემოთ ითქვა, დღეისათვის გამოკვეთილია საკმარისად მარტივი და თვალნათელი მეცნიერული პრინციპები, რომლებიც ცხად წარმოდგენებს იძლევა ამა თუ იმ საზოგადოების (მათ შორის ხელისუფალთა) აზროვნების კულტურის შესახებ, სოციუმის ერთიანი, კრეაციული მოქმედებების უნარის შესახებ. ამ პრინციპების საფუძველზე დგინდება, თუ აზროვნების რა ტიპი დომინირებს საზოგადოებაში — ე. წ. ბინარული, თუ ტერნალური აზროვნება (განმარტებები ქვემოთაა მოცემული). აზროვნების ეს ტიპები ქმნიან წყალგამყოფს დესტრუქციულ და კონსტრუქციულ მოქმედებებს შორის საზოგადოებაში. ისინი არსებითად განსაზღვრავენ ქვეყნის საერთო ფუნქციონირებას. რა გვაქვს აქ მხედველობაში: ოცდამეერთე საუკუნე საკმაოდ რთულ და ერთმანეთზე გადაჯაჭვულ პრობლემებს აყენებს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. პრობლემებს, რომლებიც საზოგადოებაში ბინარული აზროვნების დომინირების შემთხვევაში გადაუწყვეტადია.

ბინარული (სალაპარაკო ენაზე — შავ-თეთრი) აზროვნება წარმოადგენს აზროვნების პირველად, მარტივ ფორმას. შეიძლება ითქვას, რომ ბინარული ოპოზიციებით — დიადებით — ოპერირება არის საყოველთაო: კარგი — ცუდი, მარჯვენა — მარცხენა, სუბიექტი — ობიექტი, მატერიალიზმი — იდეალიზმი, საბუნებისმეტყველო — ჰუმანიტარული, ფუნდამენტური — გამოყენებითი, ცნობიერი — არაცნობიერი, რაციონალური — ირაციონალური და ა. შ. ამ დიადების ბუნებრივობა ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ასეა მოწყობილი სამყარო. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამ კატეგორიებით აზროვნება საზოგადოებაში იწვევს მის მზარდ დიფერენციაციას, პოლარიზაციას. იგი გაერთიანებისა და სინთეზისათვის არ გამოდგება. პოლიტიკაში ბინარული სქემის გამოხატულებაა: ჩვენები და სხვები, ვინც ჩვენთან არ არის — ის ჩვენი წინააღმდეგია და ა.შ. ბინარული (შავ-თეთრი) აზროვნების გამოკვეთილი წარმომადგენლები იყვნენ ბოლშევიკები და ამიტომაც (მათ უტოპიურ იდეალებს თავი რომ დავანებოთ) მათი მოქმედება საზოგადოებას ვერ გააერთიანებდა. პირიქით, მათი საქმიანობა საზოგდოების — ჩვენების და არაჩვენების — დაპირისპირებაზე, ანტაგონიზმზე იყო აგებული და საკმაოდ სწრაფად გამოიწვია საზოგადოების სრული პო-

ლარიზაცია. არაბოლშევიკების, ანუ „სხვების“ მოქმედება ბოლშევიკების მიერ ყოველგვარი განსჯის გარეშე არასწორად, დანაშაულებრივად წარმოჩნდებოდა და, შავ-თეთრი აზროვნების გამო, საკუთარი ნებისმიერი მოქმედება — მართებულად. აქ ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ეს ხდებოდა ყოველგვარი განსჯის გარეშე, იმპერატიულად — ბოლშევიკების განმარტებებით და საფუძვლად ედო „წითელ ტერორს“ (ალბათ, ეს ბევრისათვის „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ საქართველოში არსებული მდგომარეობის ტკივილამდე ნაცნობ შეგრძნებებს ბადებს — სახეზეა „ვარდისფერი ტერორის“ აღზევება).

აქვე ხაზგასასმელია, რომ ბინარული აზროვნება ბუნებრივად ქმნის მოწინააღმდეგეს და არა თანამოაზრეს. იგი მიმართულია შექმნილი მოწინააღმდეგის მარგინალიზაციისაკენ და დისკრეტიზაციისაკენ. შედეგად, მოვლენების მარგინალური აღქმა ხდება ბინარულად მოაზროვნის „გონების“ ძირითადი ინსტინქტი და ამახინჯებს მისი აღქმის უნარს სხვა მიმართებებშიც. ანუ, მარგინალიზაცია მისი „გონების“ ნორმა ხდება და საერთოდ ეკარგება რაიმე მოვლენის სრულფასოვანი ანალიზის უნარი.

ცნობილია, რომ გაერთიანებისა და სინთეზისათვის საჭიროა ბინარული სქემებისაგან განსხვავებული სქემები, ასე ვთქვათ, აზროვნების უფრო მაღალი კულტურა. ასეთ აზროვნებას წარმოადგენს ტერნალური აზროვნება, სადაც ოპერირება ხდება ტრიადული — გარკვეული სახით ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ელემენტის — ერთობლიობით. კლასიკური ტრიადების მაგალითებს წარმოადგენენ:

ჭეშმარიტება — სიკეთე — სილამაზე;
გონება — ნება — გრძნობა;
იმედი — რწმენა — სიყვარული;
თანასწორობა — თავისუფლება — ძმობა;
რაციონალური — ინტუიციური — ემოციური.

ასეთი სისტემური ტრიადები სინთეზის უმარტივეს სტრუქტურულ უჯრედებს წარმოადგენენ. მესამე ელემენტი აუცილებელი გახდა ბინარული წინააღმდეგობის პრობლემის მოსახსნელად, როგორც კომპრომისის ზომა, როგორც გამაერთიანებელი პირობა. არსებობს გამოკვეთილი დიადები, რომლებიც თითქოს არ უშვებენ დამატებას და ტრიადად ტრანსფორმაციას. მაგრამ ასეთ დიადებში ერთ-ერთი კომპონენტი მეორეზე უფრო შინაარსიანია და ტრიადად ტრანსფორმაცია ხორციელდება დომინანტი კომპონენტის გაყოფით. მაგალითად, დიადაში ცნობიერი-არაცნობიერი, შესაძლოა მეორე კომპონენტის გაყოფა ქვეცნობიერად და ზეცნობიერად. ან კიდევ, დიადაში რაციონალური — ირაციონალური, ირაციონალური ინტუიციურად და ემოციურად იყოფა.

ტრიადა უნდა იყოს გამაერთიანებელი, სისტემური. ამიტომ დიადის ტრიადად ტრანსფორმაცია არ არის მარტივი, მექანიკური პროცესი. იგი მოითხოვს აზროვნების საკმაოდ მაღალ კულტურას. ერთი შეხედვით, ეს საკითხები საკმაოდ აბსტრაქტულად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში დღევანდელი ცხოვრების ანა-ბანას წარმოადგენს და წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან ისწავლება დასავლეთის, მათ შორის, რუსეთის მრავალი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, როგორც აუცილებელი კურსი.

ზემოთ მოყვანილი ტრიადების მაგალითები ცხადყოფენ ელემენტებს შორის წინააღმდეგობის არარსებობას. ამგვარად, თუ ბინარული აზროვნება წინააღმდეგობას გამოკვეთს და გათიშვა-პოლარიზაციას იწვევს, ტერნალური აზროვნება კონსტრუქციული და გამაერთიანებელია. იგი ხელს უწყობს სინთეზს და ერთიანობას. ცხადია, რომ შესაძლებელია ტრიადაზე რთული სქემების, პენტადების და ა. შ. შემოტანა, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ტრიადებით ოპერირება თავს წარმოაჩენს, როგორც საკმარისად ღრმა და ოპტიმალური, ტერნალურ აზროვნებაზე დაფუძნებული აზროვნების კულტურა კი — როგორც ქმედითი და იმედისმომცემი.

ცხადია, მოცემულ ფორმატში ბინარული და ტერნალური აზროვნებების დეტალური განხილვა შეუძლებელია. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ზემოთ მოყვანილი ანალიზიც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას ქმნის ბინარული აზროვნების არასრულფასოვნებაზე, ქვეყნის ბინარული აზროვნებით მართვის უპერსპექტივობაზე.

სამწუხაროდ, დიადებით ოპერირება ჯერ კიდევ საკმაოდ დამახასიათებელია ადამიანთა ფსიქოლოგიისათვის, იგი რეფლექსურ დონეზეა მათში გამჯდარი. ეს რეფლექსურობა ართულებს ბინარული აზროვნების გადალახვას. თუმცა, გადალახვა აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ბინარული აზროვნების უშუალო შედეგის, ანტაგონიზმის იდეოლოგიას არც ერთ დონეზე (ოჯახში, საზოგადოებაში, ქვეყნად) პერსპექტივა არ გააჩნია. მას თვითგანადგურებამდე მიჰყავს როგორც ოჯახი, ასევე საზოგადოება, ქვეყანა და თვით პიროვნებაც.

შემაშფოთებელი ფაქტია, რომ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების აზროვნების კულტურა არ სცილდება ბინარულ აზროვნებას. სწორედ ამიტომ იწვევს იგი ბოლშევიზმის ასოციაციებს და მას ხშირად ნეობოლშევიზმად ნათლავენ. ცხადია, ბოლშევიკებისა და ჩვენი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იდეალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ (ბინარული) აზროვნება და, აქედან გამომდინარე, მოქმედების ტიპები იდენტურია. შედეგად, მსგავსია მოვლენათა არასახარბიელო მსვლელობა ქვეყანაში. საზოგადოება გაიყო „ჩვენებად“ და „არაჩვენებად“ ბინარული სქემით „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია“. მსგავსად ბოლშევიკებისა, დღევანდელი ხელისუფლება არ შედის საზოგადოებასთან დიალოგში. ნაცვლად დიალოგისა, ხელისუფალნი გაცვეთილი, იაფფასიანი ტრიუკებით ცდილობენ მოახდინონ საზოგადოების გულისწყრომისა და განსხვავებული მოსაზრებების მარგინალიზაცია — „შავი იარლიყის“ მიწებება. თავიანთთვის კი მხოლოდ „თეთრ იარლიყს“ იყენებენ. ანუ ასეთი (ბინარული, შავ-თეთრი) აზროვნების პირობებში ხელისუფალთა ძალისხმევა დესტრუქციულია. იგი მიმართულია განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებისაგან მტრის ხატის შესაქმნელად, „ჩასარეცხებად“ მათ მოსანათლად. ხელისუფალნი ცდილობენ დიალოგში არშესვლა შენიღბონ პრინციპული და უკომპრომისო რეფორმატორობის საბურველით. უნდა ითქვას, რომ ეს იაფფასიანი ტრიუკი ქვეყნიერებისათვის ახალი არ არის — იგი არადემოკრატიული მმართველობების ტიპური ნიღაბია. ამ „ტრიუკებით მართვა“ განაპირობებს საზოგადოების სრულ პოლარიზაციას და ანტაგონიზაციას. შედეგად, ქვეყნის ხელისუფლება სულ უფრო და უფრო ავტორიტარული ხდება. ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება საზოგადოებასთან ურთიერთობაში არა დიალოგის, არამედ ქვეყანაში გაუმართლებლად გადიდებული პოლიციისა და ჯარის იმედზეა. ბოლო წლებში ამ ორ უწყებას ქვეყნის ბიუჯეტის 30% ხმარდებოდა!

საქართველოს ხელისუფალთა ბინარული აზროვნება ასევე გადაულახავ წინააღმდეგობებს ქმნის საგარეო ურთიერთობებში. მათ აზროვნებაში ფორმირებული დიადური სქემა: ამერიკა — რუსეთი, ბუნებრივად არაკონსტრუქციულია, იგი იწვევს სქემის ერთ-ერთ ელემენტთან — ჩვენს სინამდვილეში ამერიკასთან — მიტმასნას და მეორესთან, რუსეთთან დაპირისპირებას. ეს კი ორმხრივად წამგებია: ამერიკა უაპელაციოდ განკარგავს საქართველოს აწმყოსა და მომავალს, რუსეთი კი უაპელაციოდ დესტრუქციულია ჩვენს მიმართ.

ზემოთ აქცენტი გაკეთებული იყო ხელისუფალთა ბინარულ აზროვნებაზე, როგორც ქვეყნისათვის ყველაზე პრობლემურ მოვლენაზე. ისე კი, ყოველი ჩვენგანი თავის თავს უნდა ჩაუღრმავდეს, გააანალიზოს, რა დოზით არის მასში და მის ირგვლივ მყოფ ადამიანებში გამჯდარი ბინარული აზროვნება და გაიაზროს: ასეთი აზროვნების დომინირების შემთხვევაში შეიძლება კი ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც თავისუფალ ქვეყანას აგვაშენებინებს?

კონსტრუქციულ-კრეაციული არსებობისათვის საჭირო უნარების — ნიჭის, კრიტიკული მიდრეკილებების და თანმიმდევრული შრომის — არსებობა და მათი ერთობლივი ამოქმედება

საქართველო, ქრისტიანული რელიგიისა და, ნაწილობრივ, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ევროპასთან არის ასოცირებული. ჩვენ, ასე ვთქვათ, ევროპასთან/დასავლეთთან თანავარსებობთ — ეს ფაქტია და არა მოსაზრება. ამ პირობებში, იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება რამდენადმე მაინც ჰარმონიული იყოს (ანუ, გვყავდეს თავისუფალი და კრეაციული საზოგადოება; გვქონდეს თავისუფალი ქვეყანა), აუცილებელია, რამდენადმე მაინც ჰარმონიაში ვიყოთ გარემომცველ სამყაროსთან. ჩვენი ცხოვრების წარმართვისას საჭიროა, ვოპერირებდეთ დასავლური ტიპის კატეგორიებით, რაც თავისთავად გულისხმობს დასავლეთთან მენტალურ თავსებადობას.

დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი, კონსტრუქციულ-კრეაციული არსებობის შემდეგი აუცილებელი „პლასტია“ ქვესათაურში გამოტანილი ნიჭის, კრიტიკული მიდრეკილებებისა და თანმიმდევრული შრომის აუცილებელი ერთობლივი ამოქმედება. ეს აუცილებლობა რთული გასააზრებელი არ არის, პრიმიტიულადაც კი ჟღერს. სინამდვილეში, მისი გათავისება და ამგვარად მოქმედება საკმაოდ რთულია. ჩვენ, ქართველები, ამისი თვალნათელი დასტური ვართ. ალბათ, საჭირო გონებრივი მონაცემები ქართველებში არის. მაგრამ ბევრს ნახავთ ჩვენში კრიტიკული მიდრეკილებების მქონე ადამიანს? ძალიან ცოტას, საჭიროზე გაცილებით ცოტას! კრიტიკული მიდრეკილებები პირველ რიგში თვითკრიტიკის უნარს გულისხმობს. ძალიან იშვიათია საქართველოში თვითკრიტიკული ადამიანი. ისეთი ადამიანები კი, რომლებიც თავის ნათქვამ-ნააზრევს აბსოლუტური ჭეშმარიტების ბეჭედს ურტყამენ, დასაშვებზე გაცილებით მეტია. ან თანმიმდევრულები თუ ვართ ქართველები საქმის კეთების დროს? ვაკმაყოფილებთ კონსტრუქციულ-კრეაციული საქმიანობის ამ ელემენტარულ მოთხოვნას? — იშვიათად, საჭიროზე გაცილებით იშვიათად.

ეს ფაქტები იმდენად ქართველებზე აუგის სათქმელად არ არის მოხმობილი, რამდენადაც იმის მაგალითად, რომ ნიჭის, კრიტიკული მიდრეკილებებისა და თანმიმდევრული შრომის ერთობლივად ამოქმედების აუცილებლობის გათავისება ობიექტურად რთული, ფსიქო-კულტურული პროცესია. ფაქტი სახეზეა. ამ სირთულის დასტურად შემდეგი მარტივი და თვალნათელი მაგალითის მოყვანაც უპრიანია: რამდენიმე თვის წინ ინტერნეტში წავიკითხე შემდეგი ექსპერიმენტის შესახებ: სხვადასხვა კულტურის (სხვადასხვა მენტალობის) წარმომადგენლებს გადასაწყვეტად მისცეს ერთი და იგივე ყოფითი პრობლემა. მათ დაიწყეს აზროვნება, მოქმედება. პარალელურად ხდებოდა ექსპერიმენტის თითოეული მონაწილის თავის ტვინის გააქტიურებული უბნების დაფიქსირება. ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს (ერთი და იგივე პრობლების გადაწყვეტის დროს) თავის ტვინის სხვადასხვა უბნები უაქტიურდებოდათ. თან ეს განსხვავება უფრო გამოკვეთილი იყო მათ შორის, რომელთა კულტურული წარმომავლობა ცალსახა და ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. მსგავს კულტურათა წარმომადგენლების თავის ტვინის გააქტიურებული უბნები ერთმანეთს ნაწილობრივ გადაფარავდნენ. ერთი და იმავე კულტურის წარმომადგენლებს კი თავის ტვინის ერთი და იგივე უბანი უაქტიურდებოდათ. ანუ განსხვავებული აზროვნების კულტურის მქონე ადამიანების თავის ტვინი განსხვავებულად ფუნქციონირებს. ე. ი. ადამიანმა შეიძლება იოლად გაიაზროს კრიტიკული მიდრეკილებების (და, პირველ რიგში, თვითკრიტიკის) აუცილებლობა, მაგრამ მათი გათავისება თავის ტვინის მოქმედების ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომ გათავისებას დრო და მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება. ზოგადად, კონსტრუქციულ-კრეაციული მენტალობის გამომუშავებას დასავლეთში საუკუნეები დასჭირდა.

დასავლური საზოგადოების ისტორია შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც პროცესი მუდმივი მენტალური განვითარებისა. ბუნებრივია, ეს პროცესი არ იყო „ია-ვარდებით მოფენილი“ — იგი მიმდინარეობდა კატაკლიზმების, სხვადასხვა სახის წინააღმდეგობების გაჩენისა და გადაწყვეტის ფონზე. განვითარების ტემპიც არ იყო თანაბარი — განვითარებამ რეალური დინამიკა შეიძინა რენესანსის, რეფორმაციის, მეცნიერული რევოლუციის და განმანათლებლობის შედეგად. მაშინ, როდესაც ადამიანმა, ღმერთის რჩეულმა არსებამ (შექმნილმა ღმერთისაგან ხატად და მსგავსად თვისა) შემოქმედის ჩვევები გამოამჟღავნა და შემოქმედების და შექმნის მუხტით დაიმუხტა (რენესანსი); კრიტიკული მიდრეკილებები გააძლიერა და აზროვნება „ამქვეყნიური“ სამყაროს შესამეცნებლად მიმართა (რეფორმაცია); კოპერნიკის, გალილეის და ნიუტონის ძალისხმევით შექმნა რეალისტური მოდელი სამყაროს მოწყობისა, გაიაზრა ციურ სხეულთა მოძრაობის კანონზომიერებანი და, რაც მთავარია, შექმნა რწმენა იმისა, რომ საერთოდ ბუნებაში მიმდინარე მოვლენები გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება, რომელთა გააზრებისა და რაოდენობრივად აღწერის უნარი მას — ადამიანს — შესწევს (მეცნიერული რევოლუცია). შემდგომ (განმანათლებობიდან დაწყებული), გარემომცველ სამყაროში მიმდინარე მოვლენათა გააზრება, მათი დეტალური შესწავლა და კაცობრიობის ინტერესებისათვის გამოყენება ცივილიზაციის მამოძრავებელ ძალად იქცა. თანდათანობით ყოველივე ეს — დაკვირვება, გააზრება, შესწავლა — დასავლური საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებებად, უფრო მეტიც, განმსაზღვრელ თავისებურებებად და ცხოვრების წესად იქცა. სწორედ ამან განაპირობა დასავლური მენტალობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებები: ცოდნისმოყვარეობა, სიახლეებისადმი ლტოლვა, კრიტიკული მიდრეკილებები, თანმიმდევრულობა, მოწესრიგებულობისაკენ ლტოლვა, მოქმედების დაწყებამდე პრობლემის მაქსიმალური გააზრების ჩვევა. ამ თვისებების გამომუშავებამ აქცია დასავლური საზოგადოება კონსტრუქციულ-კრეატიულად. აღმშენებლობითი საქმიანობისათვის საჭირო თვისებათა ეს მრავალფეროვნება, ადამიანთა უნართან ერთად, დასავლურ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში „გამჯდარ“ კრიტიკულ მიდრეკილებებს და თანმიმდევრულობას ეფუძნება. ამ მხრივ, ჩვენ, ქართველებს, ძალიან ცოტა საერთო გვაქვს დასავლურ ფასეულობებთან. სწორედ კრიტიკული მიდრეკილებებისა და თანმიმდევრული მოქმედების არარსებობა ჩვენს საზოგადოებაში არის ძირეული მიზეზი იმ პრობლემათა კასკადისა, რომელთაც დღესდღეობით ვაწყდებით სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების „ორგანიზების“ დროს. ცხადია, აქ სიტყვა ორგანიზება ბრჭყალებში უნდა ჩაისვას — ამ მხრივ, ჩვენს აქტივობას გაცილებით უფრო შეესაბამება სიტყვა დეზორგანიზება/ნგრევა, ვიდრე ორგანიზება/შენება. საერთოდაც, რაიმე აღმშენებლობა საზოგადოებაში კრიტიკული მიდრეკილებებისა და თანმიმდევრული მოქმედების არარსებობის დროს პრინციპულადაა გამორიცხული. — ჩვენი საზოგადოების აღმშენებლობითი აქტივობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნულზეა დასული. ადამიანთა აქტივობის ძირითად ფორმებად მისი პირველყოფილი და პრიმიტიული ფორმები — პარაზიტობა და მტაცებლობა — გვევლინება. შედეგად ქვეყნის სიმდიდრე არათუ იზრდება, მისი უკანასკნელი ნარჩენებიც კი ნადგურდება.

გაიხსენეთ ჩვენი „დამოუკიდებლობის“ პირობებში ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი „ეკონომიკური აქტივობა“: ქართული საზღვაო ფლოტის გაყიდვა-გაქრობა. ცხადია, მას აღმშენებლობით საქმიანობას ვერ დავარქმევთ. იგი პარაზიტობის და მტაცებლობის სიმბიოზია. თანაც, იგი პირველად ფლოტს იმიტომ შეეხო, რომ ყველაზე მარტივად „გასაჩალიჩებელი“ იყო — უკვალოდ გაქრობა შეიძლებოდა. შემდეგ, ქართულმა „ჩალიჩმა“ ყველაფერი ჯართად აქცია, სარკინიგზო ვაგონებიდან დაწყებული, რუსთავის მეტალურგიული ქარხნით და სხვა მრავალით დამთავრებული. საერთოდ, „ჩალიჩი“ ქართული ფენომენია. ქართულში უხვად — ზომაზე გაცილებით მეტად — ისეთი სიტყვები გაჩნდა, არააღმშენებლობითი, პარაზიტული და მტაცებლური საქმიანობის ნებისმიერ ვარიაციასა და შტრიხს რომ გამოხატავს. თუნდაც „ჩალიჩი“ თავისი ვარიაციებით (აჩალიჩდა, წაიჩალ-

იჩა, გააჩალიჩა, მოჩალიჩე...) ცოცხალი, ორგანული და ბუნებრივი სიტყვა გახდა ქართულ (შეიძლება არალიტერატურულ, მაგრამ რეალურ/ყოფით) ლექსიკაში (როგორც სიტყვა „თოვლი“ თავისი ვარიაციებით არის ესკიმოსების ლექსიკაში). ჩალიჩის ტიპის — პარაზიტული და მტაცებლური — საქმიანობა მეტასტაზების ფაზაშია გადასული, მეტასტაზებად მოედო ქვეყანას: „რეფორმატორული“ ხელისუფლების პირობებში, პარაზიტობისა და მტაცებლობის მეტასტაზები ქვეყნის მიწა-წყალს გადაწვდა. საქართველოს მიწა-წყლის გასხვისების პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკურად არასრულფასოვნად და მომავლისათვის საბედისწეროდ. გასხვისებულ — უცხოელებზე გაყიდულ — საქართველოს ფასეულ მიწა-წყალს ვერასოდეს დაიბრუნებს ქართველი ხალხი. იგი უუფლებოდ რჩება საკუთარ სამშობლოში. თანაც გასხვისება ისეთი ტემპებით ხდება, რომ, ფაქტობრივად, სამშობლო იყიდება.

მოვლენათა ასეთი მსვლელობის შემთხვევაში, ჩვენი საზოგადოება საერთოდ დაკარგავს ოდნავ მაინც ფასეულ მომავალს — ქვეყანა აღარ გვერქმევა. ხალხი კი გარანტირებულად და საბოლოოდ დაიმკვიდრებს ადგილს პრიმიტიული არსებობისათვის (რეგენერაციისათვის) განწირულ, ცხოვრებიდან „ჩამოწერილ ხალხებს“ შორის. აქ საუბარია კონკრეტულ ავადმყოფობაზე და არა საზოგადოების/ერის საერთოდ უვარგისობაზე. ჩვენი ერი იყო მნიშვნელოვანი ღირსებების მატარებელი, რაც დაუმტკიცებია მსოფლიო დონის შედევრების შექმნით და თავისი წვლილი შეუტანია მსოფლიო კულტურის საგანძურში. ახლაც არის დარჩენილი ფასეული „კუნძულები“ ჩვენს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენ, ქართველები, ჩვენს ერს ვთვლით ნიჭიერ ერად. ალბათ, ეს მოსაზრება დღევანდელი თვალსაწიერიდან ფრიად საეჭვოც არის. თუმცა მე მჯერა ჩვენი ერის ნიჭიერებისა და, ზემოთ აღწერილი მენტალური ავადმყოფობის დაძლევის შემთხვევაში, ჩვენში შემოქმედებითი და კრეაციული ცხოვრების აღზევებისა.

თანამედროვე (ანუ, პოსტინდუსტრიული, ინფორმაციული ეპოქის), მსოფლმხედველობა

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან დასავლეთში ყალიბდება ახალი მსოფლმხედველობა იმ ზოგადი იდეებით და პრინციპებით, რომლებიც ადეკვატურად გაიაზრებენ თანამედროვე ურთულეს და მრავალპლასტიან სამყაროს/ცხოვრებას. ამ მსოფლმხედველობას მოიხსენიებენ, როგორც ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობას, რადგანაც იგი ასეთ სისტემებში არსებულ კანონზომიერებებს გაიაზრებს (ღია რთული სისტემების მაგალითებია: მეტეოროლოგიური მოვლენები, ეკოლოგია, საზოგადოება, ეკონომიკა, ფსიქიკა და სხვა.) მას ასევე „სინერგია“-დაც (synergy, синергетика) მოიხსენებენ, როდესაც აქცენტი კეთდება ამ ცოდნის კონსტრუქციულ მხარეზე („სინერგია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (syn-ergos) — და ნიშნავს ერთობლივად მოქმედებას, თანაარსებობას). ამ ცოდნის აღსანიშნად, ძირითადად, ბუნებისმეტყველთა შორის, ასევე იხმარება „არაწრფივი დინამიკა“.

საიდან მოდის ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობა და რა არის ამ მსოფლმხედველობის არსი?

მეცნიერული რევოლუციის შედეგად კაცობრიობამ დაიწყო ბუნების მოვლენების გააზრება და რაოდენობრივი აღწერა. თავდაპირველად გააზრებას დაექვემდებარა თავისი არსით უმარტივესი მექანიკური სისტემები (მექანიკურ სისტემებში, როგორც წესი, მოვლენებს შორის შესაძლებელია თვალნათელი, ცალსახა კავშირების დადგენა, ამის შედეგად კი სამყაროს მოწყობის გამარტივებული, რამდენადმე ზედაპირული, მაგრამ ცალსახა სურათის შექმნა). ამან რაციონალური და მექანიკური მსოფლმხედველობა დააფუძნა. მიუხედავად შეზღუდულობისა, ეს წარმოდგენები ქმედითი იყო — ადამიანის საქმიანობაში წარმატების მომტანი. ამ ეტაპზე ირაციონალური აღქმების როლი დაკნინებული და ქმედით, რაციონალურ აღქმებთან დაპირისპირებული იყო. იმავე ეტაპზე მეცნიერება/მსოფლმხედველო-

ბა, ფაქტობრივად, ვითარდება რაოდენობრივ ანალიზს დაქვემდებარებული სისტემების (ფიზიკურის, ქიმიურის და ბიოლოგიურის) შესწავლის ხარჯზე. სოციალური სისტემების დინამიკის კანონზომიერებებზე საუბარიც კი არ არის; ეკოლოგიური სისტემების ცნებაც კი არ არსებობს. ბუნებრივია, წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა იმისა, რომ სხვადასხვა სისტემების (მაგ. ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ეკონომიური, სოციალური, ეკოლოგიური სისტემების) დინამიკას რაიმე საერთო კანონზომიერება შეიძლება ჰქონდეს. მეცნიერული კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვნად შეცვალა კაცობრიობის სასიცოცხლო არეალი. ამ წარმატებებმა გამოიწვია მეცნიერების განვითარების ტემპების გაზრდა — წარმოუდგენელ ტემპებამდე მეოცე საუკუნეში. რა თქმა უნდა, პარალელურად ხდებოდა ადამიანის, როგორც შემეცნების სუბიექტის, განვითარება და სრულყოფა. მეცნიერულ კვლევაში და „ამქვეყნიური“ სამყაროს გააზრებაში თანდათან წინ წამოიწია აღქმის ირაციონალური მექანიზმების როლმა — შემეცნება/აზროვნება ლოგიკის გარდა ინტუიციასა და ასოციაციურ წარმოდგენებს ეფუძნებოდა. თავდაპირველად, საბუნებისმეტყველო კვლევების შედეგად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შემუშავდა ღია რთული არაწონასწორული სისტემების თეორია. ჩამოყალიბდა ახალი მეცნიერება — სინერგია, რომელიც იკვლევს რთული სისტემების დინამიკას და ადგენს წესებს, რომლის მიხედვითაც ჩნდება წესრიგი რთულ ქაოსურ სისტემებში; ადგენს იმას, რომ რთულ სისტემებში წესრიგი და ქაოსი ჰარმონიულად აბალანსებენ ერთმანეთს და, რომ წესრიგის და ქაოსის ნარევი ბუნებრივი და ტიპურია ნებისმიერი სახის რთულ სისტემაში (მათ შორის, მაგალითად, ბუნებაში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში). გაჩნდა იმის რწმენა, რომ რთულ სისტემებში თვითორგანიზაცია და სტრუქტურების გაჩენა მიმდინარეობს შეზღუდული რაოდენობის სცენარების მიხედვით, და რომ ეს სცენარები არაა დამოკიდებული კონკრეტული სისტემის სახეზე. ე. ი. შეიძლება ფიზიკურ, ქიმიურ, ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ, ეკონომიურ და სოციალურ სისტემებში თვითორგანიზაცია მიმდინარეობდეს ერთნაირი სცენარით. ამდენად, მეცნიერება სინერგია იმუშავებს ქმედითუნარიან პრინციპებს, რომელთა საშუალებითაც ხდება გააზრება ნებისმიერი სახის სისტემის შინაგანი კანონზომიერებისა, მათ შორის — საზოგადოებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებების კანონზომიერებისა. ამჟამად ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც ყალიბდება იდეები და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე ურთულეს და მრავალპლასტიან სამყაროს/ცხოვრებას. და ეს იდეები და პრინციპები ზოგადდება კაცობრიობის ახალ, ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობად. ამ ქმედითი მსოფლმხედველობით „იარაღდება“ ცივილიზებული სამყარო. ამდენად, მასთან რამდენადმე მაინც ჰარმონიული, დაცული, კონკურენტუნარიანი თანაარსებობა შეუძლებელია ღია რთული სისტემების კანონზომიერებების რამდენადმე მაინც გააზრების გარეშე. ყოველივე ამის გააზრების გზაზე ისევ ჩვენი მენტალური პრობლემები (მოვლენათა არსში წვდომის უნარის და სურვილის სიმცირე, წიგნთან/ცოდნასთან მწყრალად ყოფნა) დგება მნიშვნელოვან წინააღმდეგობად. მაგრამ, ალბათ, მაინც ჯობს თავს ძალა დავატანოთ, გავერკვეთ და გავითავისოთ თანამედროვე მსოფლმხედველობა, ვიდრე გაუცნობიერებლად მივყვეთ ჩვენს დამაკნინებელ და მომაკვდინებელ მოვლენათა დინებას.

საერთო წარმოდგენისათვის შეიძლებოდა მოგვეყვანა ის ცნებები და მახასიათებლები, რომლებიც შემოდიან ღია რთული სისტემების დინამიკის შესწავლის დროს, მაგრამ სპეციფიურობის გამო, ყოველივე ეს ძნელად აღსაქმელია ფართო საზოგადოებისათვის. ისინი, ერთი შეხედვით, აბსტრაქტულები და ცხოვრებისაგან განყენებულნი ჩანან. რეალურად კი საქმე პირიქითაა. სამწუხაროდ, ამ ცოდნას ახალგაზრდებს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში არ აძლევენ. მიუხედავად ამისა, გამოსავალი არის, —ინტერნეტის საშუალებით ამ მიმართულებით თვითგანათლება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. საჭიროა, საძიებო ბმულებში, როგორებიცაა გოოგლე, წიკიპედია, აკრიფოთ რომელიმე ამ სიტყვათაგანი: synergy, fractal, nonlinear dynamics. ამ მიმართულებით ცოდნის მისაღებ ბმულებს ადვილად მოძებნით — ისინი უამრავია, მათ შორის რუსულ ენაზე. ამ ცოდნაში ერთ-ერთი ძირითადი

არის ღია რთული სისტემების (მაგალითად საზოგადოების) წონასწორული განვითარების დაკარგვის მოვლენისა და შემდგომ განვითარებული არაწონასწორული პროცესების გააზრება.

რაღაც ძალების ზემოქმედებით რთული სისტემის წონასწორობის დაკარგვა (რომელსაც მეცნიერულად არამდგრადობა ეწოდება) არის მოვლენა, რომელსაც აქვს შემდეგი დინამიკა: თავდაპირველად სისტემაში ჩნდება მცირე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ახალი ტიპის მოვლენები; საწყის ეტაპზე ეს მოვლენები ნელი ტემპით იზრდება. შემდგომ, მოვლენის ზრდის ტემპი მკვეთრად (შეიძლება ითქვას — ზვავურად) ძლიერდება და წონასწორული მდგომარეობიდან გადახრა მნიშვნელოვანი ხდება. რთული სისტემა ამაზე რეაგირებს უკურეაქციით, რაც გამოიხატება იმაში, რომ რთული სისტემის ელემენტების ერთობლივი მოქმედებით (ამას მეცნიერულ ენაზე არაწრფივი მოვლენები ჰქვია) ხდება არამდგრადობის გამომწვევი ძალების განეიტრალება. ამ მოვლენებზე დიდია გარე ძალების გავლენა. ღია რთული სისტემების აღმწერი ცოდნა სწორედ არამდგრადობითა და უკუზემოქმედებით განპირობებულ დინამიკას შეისწავლის თვისობრივად და რაოდენობრივად. იგი ადგენს, რა შემთხვევებში იწყება ქაოსი რთულ სისტემაში და რა შემთხვევებში გადადის იგი ახალ მოწესრიგებულ მდგომარეობაში. დასავლეთში, მათ შორის რუსეთში, ასეთი კვლევების ცენტრები მრავლად არსებობს და მათ სტრატეგიული სტატუსი აქვთ მინიჭებული.

როდესაც რთულ სისტემებთან გვაქვს საქმე, შედეგის მომტანი მოქმედებისათვის აუცილებლად გასააზრებელია არა მარტო საწყისი, არამდგრადი ეტაპი, არამედ სისტემის უკურეაქციაც. არ ვიცი, ეს საბედნიეროდ მოხდა თუ საუბედუროდ, მაგრამ რევოლუციურმა ხელისუფლებამ ეს არ გაითვალისწინა. მან საქართველო თავისი აგრესიული, დამანგრეველი მოქმედებების ასპარეზად ჩათვალა, ხალხი კი პასიურ მასად. ღვთის წყალობით, ეს ასე არ არის. მართალია, ქართველი ხალხი შექმნით აქტივობაში (რაციოში) მოიკოჭლებს (მასზე ზემოთ იყო საუბარი), მაგრამ ქართველ ხალხში ირაციონალური მუხტი, — შეიძლება მას ისტორიული მახსოვრობაც დავარქვათ, — ზომაზე მეტია. ეს ის ირაციონალური მუხტია, რომელიც ჩნდებოდა ხოლმე ქვეყნის ყოფნა-არყოფნის დროს, „კლდიდან გადაჩეხვის“ მომენტში, და იცავდა საქართველოს ამ „გადაჩეხვისაგან“ — საბოლოო განადგურებისაგან. ეს ის მუხტია, რომელმაც ჯალ-ალ-ად-დინის დროს იფეთქა საქართველოში რჯულის გადასარჩენად. ეს ის ირაციონალური მუხტია, რომლის გაელვება იყო 2007 წლის ნოემბერში და რომლის მოზღვავებაც იგრძნობა ახლა, 2009 წლის გაზაფხულზე. კარგი (სანატრელიც კი) იქნებოდა, ეს ბოლო ხელისუფლება ბინარულად მოაზროვნე რომ არ ყოფილიყო; თვითკრიტიკის უნარი რომ ჰქონოდა; ყოფილიყო თანმიმდევრული და აღმშენებლობითი და არაგანათლების გამანადგურებელი და მიწა-წყლის გამყიდველი; რომ არ ჩაეთვალა ქართველი ხალხი ცხვრის ფარად, რომლის დაკმაყოფილება ოცი ლიტრი დიზელის საწვავით, ან რამდენიმე კილო სასუქით შეიძლება. მაგრამ მოსახდენი მოხდა: რაც ამ წლებში შეიძლებოდა განადგურებულიყო, — განადგურდა. ვერ განადგურდა მხოლოდ ქართველების ირაციონალური მუხტი, ისტორიული მახსოვრობა, რომელიც, იმედია, ამჯერადაც გადაარჩენს საქართველოს.

მარსიანი

მაესტროს დასაცავად

ძალიან კი სჭირდება ჩემგან (ან ნებისმიერი ვინმესგან) დაცვა მაესტროს, მაშინ, როცა სწორედ მისგან (მაესტროსგან) თავდასაცავად გამხდარა საჭირო ესოდენ დაჟინებული და მრავალჯერადი ინტელექტუალური ძალისხმევა: როგორც ჩანს, მისმა შემოქმედებამ, მისმა საოცარმა ხილვებმა თავის დროზე ისე შეაცბუნა, გააოგნა თუ სულაც შეაძრწუნა მრავალნი და მრავალნი, რომ ამ დამთრგუნველი განცდის გასანეიტრალებლად მისი პიროვნებისა და შემოქმედების დისკრედიტაციაში მოძებნეს გამოსავალი: ეს არის საგანგებოდ გამიზნული, თეორიულ წანამძღვრებზე დამყარებული შეტევა, ჯვაროსნული ლაშქრობა მაესტროს წინააღმდეგ.

სალვადორ დალის ეხება საუბარი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როცა მისი შემოქმედება შედარებით ახალი ხილი იყო ჩვენში და თაყვანისმცემლებიც ბლომად გამოუჩნდნენ, პარალელურად გამჟღავნდა კრიტიკული დამოკიდებულებაც, თან საკმაოდ კატეგორიულ ფორმებში: ზოგს მხატვრის ექსცენტრიულობა აღიზიანებდა, ზოგნი კომერციისაკენ მიდრეკილებას უთვლიდნენ მიუტევებელ ცოდვად, ზოგნიც უშუალოდ მის შემოქმედებას უყურებდნენ სკეპტიკურად — აქაოდა, ზედმეტად ფანტასმაგორიული და ახირებული, პიროვნული კომპლექსებით ზედმეტად დაღდასმული, ურცხვად ექსჰიბიციონისტური არისო; უკიჟინებდნენ კიჩისაკენ მიდრეკილებას, პლაკატურობას; მის რელიგიურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებთან დაკავშირებით კი შენიშნავდნენ — ზედვე ეტყობა, რომ ურწმუნო, არარელიგიური პიროვნების დახატულიაო; და ვინ იცის, კიდევ რაღას არ სდებდნენ ბრალად...

მე კიდევ იმ წლებში განუსჯელად ყველაფერი აღტაცებას მგვრიდა, რაც კი მაესტრო სალვადორ დალის ხელიდან გამოსული მენახა... შემდეგ, ხანი რომ გამოხდა, უფრო ფხიზელი, ობიექტური თვალით შევხედე მის შემოქმედებას და ბევრი რამ მართლაც გადაფასებას დაექვემდებარა; უკვე საკმაოდ გულგრილი გავხდი იმგვარი ნაწარმოებების მიმართ, უფრო გარეგნული ეფექტის მოსახდენად რომაა გამიზნული და მართლაც კიჩისაკენ იხრება. მაგრამ საკმაოდ ბევრი დარჩა ისეთიც, მსგავს „რევიზიას“ რომ გაუძლო, გემოვნებამ წუნი რომ ვერ მოუნახა: ამ „გადარჩენილთა“ შორის ცოტა როდია ჭეშმარიტი შედევრი და ამ შედევრებში რამდენიმე ისეთი დონისა გახლავთ, მსოფლიო მხატვრობის ყველაზე მაღალ მწვერვალებს რომ უსწორებს მხარს...

ასე რომ, პირადად ჩემთვის მაესტრო მაინც მაესტროდ დარჩა.

მისი დისკრედიტაციის პროცესი კი კვლავაც და კვლავაც გრძელდება: ისე მეჩვენება, სალვადორ დალის ხსენებაზე მავანნი თავს ვალდებულადაც კი თვლიან, ამ მხატვრისადმი თავიანთი სკეპტიკური თუ სულაც ირონიულ-ცინიკური დამოკიდებულება ხმამაღლა, ღიად, სხვათა გასაგონად გამოხატონ და, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ, რომ ამის მიზეზი მოდური კონიუნქტურა გახლავთ: მოდა, მოგეხსენებათ, ჭირვეულია და ძალიან უყვარს გუშინდელი კერპების ძირს დანარცხება. ვფიქრობ, ამ სნობურ ენთუზიაზმს ერთი ილუზიაც კვებავს: რატომღაც ყველას საკუთარი და ორიგინალური ჰგონია თავისი სკეპტიკური მოსაზრებანი რომელიმე „დამხობილი კერპის“ (ამ შემთხვევაში, სალვადორ დალის) შემოქმედებაზე. არადა, ეს გახლავთ ტირაჟირებულ-კოპირებული რეფლექსია, რომელსაც, ალბათ, არც მოეძებნება პირველავტორი; დალის არაერთი გუშინდელი თაყვანისმცემელი დღეს უკვე მისდამი ამრეზილადაა განწყობილი; ხვალ რომ დალი ისევ მოდური მხატვარი გახდეს (რაც სავსებით მოსალოდნელია), ეს „მოღალატე“ თაყვანისმცემლები ისევ მოიქცე-

ვიან დალის თაყვანისმცემლებად და ამჯერადაც ვერ გააცნობიერებენ ალბათ თავიანთ უპრინციპობას, სნობიზმსა და ელემენტარული გულწრფელობის უქონლობას.

სალვადორ დალის შემოქმედების ფანტასმაგორიულ, სიურეალისტურ „შინაარსებს“, რომელთაც მძლავრ სტიმულს აძლევდა მხატვრის სერიოზული გატაცება ფროიდის ფსიქოანალიტიკური კვლევა-ძიებებით, დღეს, ჩვეულებრივ, უპირისპირებენ ე. წ. „წმინდა ფერწერას“, სადაც ტრადიციული გაგების შინაარსი პრიმიტიულობამდე მარტივი და, თუ გნებავთ, არაფრისმთქმელიც კია: აქ მთელი აქცენტი გადატანილია ფერით აზროვნებაზე, ფერთა თამაშსა და გრადაციებზე, წმინდაწყლის გამომსახველობით საშუალებებზე; ამგვარ შემთხვევაში ფორმა თვითონვეა შინაარსი და ამ ტიპის მხატვრობა რაღაც სიუჟეტებს, თხრობით ელემენტს, „ლიტერატურულობას“, როგორც ფერწერისათვის უცხოს, კანონგარეშედ აცხადებს: ოღონდ ეს „ბრალდება“ ხომ მთელ ძველ მხატვრობაზე შეიძლება გავრცელდეს, რომელშიც არა მხოლოდ უბრალო სიუჟეტურობა, არამედ გარკვეულ მითოსურ თუ ლიტერატურულ ძეგლთა მიმართ ილუსტრატორული დამოკიდებულებაც ჩვეულებრივი ამბავია.

ახლა კი, ამ ზოგადი შესავლის შემდეგ, უფრო დავკონკრეტდეთ და მაგალითების საფუძველზე ვისაუბროთ.

შარშან დაარსებული სახელოვნებათმცოდნეო ჟურნალის „არტიფაქტის“ (რედაქტორი დავით ანდრიაძე) პირველ ნომერში მრავალი საინტერესო წერილია დაბეჭდილი მხატვრობის შესახებ. ჟურნალი ერთობ მაღალი პოლიგრაფიული დონითაც გამოირჩევა და მდიდრულადაა ილუსტრირებული სხვადასხვა მხატვართა ნამუშევრებით. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო მხატვარ ელგუჯა ბერძენიშვილის ესეიმ „ფერმწერის ფანტაზია“, რომელიც სალვადორ დალის ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ერთობ კრიტიკულია დალის მიმართ და ამის გამო წინამდებარე სტატიაში მასთან უშეღავათო კამათს ვაპირებ, მე მოხიბლული დავრჩი ამ ესეის მაღალი ლიტერატურული დონით, უფრო პირდაპირ რომ ვთქვა, ავტორის მწერლური ნიჭიერებით (სხვათა შორის, მწერლური ნიჭიერება მოსდგამდა სწორედ სალვადორ დალის, ასევე ვან გოგს, გოგენს და ზოგ სხვა მხატვარსაც): ე. ბერძენიშვილი ძალზე გამომსახველად და შთამბეჭდავად აყალიბებს თავის შეხედულებებს, საკმაოდ ხშირად იშველიებს წმინდად მხატვრულ-ბელეტრისტულ პასაჟებს, რის გამოც მისი ესეი მოუწყინრად იკითხება (არც კი ვიცი, რამდენჯერ გადავიკითხე), მაგრამ რის დამტკიცებასაც ბ-ნი ელგუჯა აქ ლამობს, ერთობ შორს სცდება ობიექტურობის ფარგლებს.

ესეი იწყება იმის აღნიშვნით, რომ მხატვრობის ისტორია მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ იცნობს სალვადორ დალის მსგავს განსაცვიფრებელ ფანტასტს. მაგრამ როგორც ირკვევა, სწორედ ეს ზღვარგადასული ფანტაზია ყოფილა დალის შემოქმედების, ასე ვთქვათ, „აქილევსის ქუსლი“: თურმე მისი ფერწერის მხატვრული ღირსებები კი არა, უცნობი, ფანტასტიკური შინაარსი ყოფილა საყოველთაო აღფრთოვანების საგანი; ე. ბერძენიშვილი მასთან აპირისპირებს „წმინდა ფერმწერ“ სეზანს, რომელიც ძირითადად ნატურმორტებსა და პეიზაჟებს ხატავდა, ერთთავად ნატურაზე იყო მიჯაჭვული და რაიმეს გამოგონება, ფანტაზირება არასოდეს უცდია; „რაც უფრო წმინდად და შეურყვნელად მეტყველებს ხელოვნების თითოეული დარგი საკუთარ ენაზე, რამდენადაც წმინდადაა დაცული ეს შინაგანი კანონი, იმდენად უფრო ძლიერია მათი ზემოქმედების ძალა“, — შეგვაგონებს ავტორი. შემდეგ ის ჩამოთვლის ხელოვნების დარგებს, რომელთა შორისაც სპეციფიკური განსხვავებაა და აცხადებს, რომ „მათი შერევა თითოეულს ვნებს, აკნინებს და უფერულს ხდის“. აქ ჩამონათვალში მოიხსენიება ოპერაც; მერედა, ვითომ ოპერა „წმინდა ხელოვნებაა“? განა მასში მუსიკა და თეატრი არ არის გაერთიანებული? და თვით თეატრიც ხომ ლიტერატურას ემყარება! არსებობს „პოეტური პროზა“, „რომანი ლექსად“ (ასე უწოდებს პუშკინი თავის პოემას „ევგენი ონეგინს“), თავისუფალი ლექსი (ვერლიბრი), რომელიც ზოგჯერ ძალიან უახლოვდება პროზას (უიტმენი, მასტერსი, სენდბერგი, სენ-ჟონ პერსი); აქ არ არის დასახ-

ელებული კინო, რომელიც „სინთეზურ ხელოვნებად“ იწოდება... მგონი, მაგალითები საკმარისია საიმისოდ, რომ ე. ბერძენიშვილის მტკიცებას არ დავეთანხმოთ.

სალვადორ დალისთან და სეზანთან დაკავშირებით ავტორი სვამს კითხვებს, რომელთაც თვითონვე პასუხობს:

1. „რა დარჩება სალვადორ დალის ტილოზე, თუ გამოვაცლით შინაარსს? არაფერი, სრულიად არაფერი, იმიტომ რომ აქ საინტერესო იყო მხოლოდ უჩვეულო შინაარსი“.

2. „რა დარჩებოდა სეზანის ტილოზე, თუ შინაარსს განვდევნით? დარჩებოდა ის, რაც თავიდან იყო — ფერწერა! სეზანის ფერწერას გასადევნი შინაარსი არ გააჩნია. მასთან ფერწერული ტილო თავისთავად, საკუთარ შინაარსს ფერწერით აჩენს და არა სიუჟეტით ან რაიმე თხრობით“.

იქვე, სადაც ამ ციტირებულ ტექსტებს ვკითხულობთ, წარმოდგენილია სეზანის ერთერთი ნატურმორტი და დალის კომპოზიცია „შემოდგომის კანიბალიზმი“. სეზანის ნატურმორტში ვხედავთ ფარდას, დოქს, ხილის ჯამს... სხვა „შინაარსი“ აქ მართლაც არ არის; დალის ტილოზე კი დიდად განსაცვიფრებელი რამ ხდება — ადამიანი საკუთარ თავს ჭამს თითქოს, თანაც ფაქიზად, არისტოკრატულად, დანა-ჩანგალ-კოვზის გრაციოზული ხმარებით. მაგრამ ჩამოვაცილოთ ეს ე. წ. „შინაარსი“ და ვნახოთ, მართლა ისეა საქმე, როგორც ე. ბერძენიშვილი აცხადებს, მართლა არაფერი რჩება დალის ტილოზე? განა აქ დალის საშემსრულებლო ხელოვნება, ფერწერული დონე ნაკლებია, ვიდრე სეზანის ნატურმორტში? თუ ფერწერა „თვალისათვის — ზეიმია“, როგორც ე. ბერძენიშვილი აცხადებს, ამ მხრივ დალის პალიტრა ნამდვილად არ დაიწუნება: ის თუ არ სჯობს, არც არაფრით ჩამოუვარდება სეზანის (და ვისიც გნებავთ) პალიტრას. შესაძლოა, დალი არ აკეთებდეს ფერზე და, საერთოდ, წმინდად გამომსახველობით საშუალებებზე იმგვარ საგანგებო აქცენტირებას, რასაც იმპრესიონისტები და კლასიკურ-აკადემიური ფერწერის პრინციპებთან დაპირისპირებული ზოგი სხვა მოდერნული სკოლის წარმომადგენლები მიმართავენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დალის ფერწერაში საშემსრულებლო მხარე რაღაც „შინაარსებით“ იყოს დაჩრდილული; იგი, როგორც ჭეშმარიტი სამხრეთელი, თავის ტილოებზე მუდამ ფერთა მდიდრულ ფეიერვერკს გვთავაზობს: მისი ფერები, როგორც იტყვიან, „მაძღარი“ ფერებია, განსხვავებით, მაგალითად, ჩრდილოელი დიურერის „მჭლე“, „ცივი“ ფერებისაგან.

ე. ბერძენიშვილი წერს, რომ დალი ნოვატორი არ არის, რადგან „ნოვატორობა მხატვრობაში ახალი თემებით, ახალი შინაარსებით კი არ მიიღწევა, არამედ პალიტრის გარდაქმნით და განახლებით. სალვადორ დალი ძველებური ოსტატია. ის ტრადიციულად ხატავს. ის აღმერთებს ძველ ოსტატებს: — რაფაელს, ვერმეერს და ველასკესს და თვლის, რომ ველასკესთან შედარებით არარაობაა. სალვადორის პალიტრა ძველებურია, სალვადორ დალი ნოვატორად პიკასოს თვლის და მას პირველობას ანიჭებს“.

ვფიქრობ, ნოვაციები ხელოვნებაში რომელიმე კონკრეტულ ტრადიციასთან მიმართებაში უნდა განიხილებოდეს და არა ზოგადად; მხოლოდ ძველი მახტვრობის მიჩნევა „ტრადიციად“ მაინცდამაინც ზუსტი განსაზღვრება ვერ არის: ვთქვათ, დღეს ყველაფერს, რაც იმპრესიონიზმამდე იყო, „ძველ მხატვრობად“ მივიჩნევთ, მაგრამ ოდესღაც რენესანსული მხატვრობაც ხომ ნოვაცია იყო შუასაუკუნეობრივ მხატვრობასთან მიმართებაში და ის შუასაუკუნეობრივი კიდევ — ანტიკასთან მიმართებაში? რენესანსიდან მოდერნიზმამდეც ხომ არაერთი მიმდინარეობა იყო მხატვრობაში — მანიერიზმი, კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი? მაშ, რომელია ე. წ. „ძველი მხატვრობა“, ვის მსგავსად ხატავს დალი? მე ვფიქრობ, დალისათვის ტრადიციად შეიძლება უმალ პიკასო და აბსტრაქციონისტები განვიხილოთ, ვიდრე რაფაელი და ვერმეერი; და მისი ნოვატორობა სწორედ ისაა, პიკასოსა და კანდინსკის შემდეგ კლასიკურ-აკადემიურ სტილში ხატვა რომ გაბედა. და განა დალის „ტრადიციული“ ტექნიკა თუ სტილი თვითმყოფადი არ არის, განა ის იმეორებს ან რაფაელის, ან ვერმეერის, ან ველასკესის ტექნიკას? ხოლო თუ დალიმ სადმე მართლა განაცხადა ასეთი რამ — „ველასკესთან შედარებით არარაობაა ვარო“, ისიც ხომ დალის ნათქვამია, „კაცობრიო-

ბის ისტორია ჩემისთანა მხატვარს არ იცნობსო“! რაც შეეხება პიკასოს, ის ოცდასამი წლით უფროსი იყო დალიზე (ზუსტად ისევე, როგორც ლეონარდო — მიქელანჯელოზე) და „პირველობა“ ამ ორს შორის, ამდენად, მართლაც პიკასოს ეკუთვნის, ის დალის დაბადებამდეც უკვე იყო დიდი მხატვარი-ნოვატორი; მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ დალი პიკასოზე ნაკლები რანგის მხატვარია, ან მის მიერ მხატვრობაში განხორციელებული ნოვაცია პიკასოს ნოვაციაზე ნაკლებმნიშვნელოვანია! რამდენადაც მახსოვს, პიკასოსთან დაკავშირებით დალის დაახლოებით ამგვარი რამ აქვს ნათქვამი: „რაც თანამედროვე მხატვრობას უნდა დამართნოდა, ყველაფერი უკვე პიკასოსთან არის წარმოდგენილი მისი შესანიშნავი საფრთხობელებით; შემდეგ კი ჩემით, სალვადორ დალით იწყება ახალი, მისტიკური ერა მხატვრობაში; სილამაზე კვლავ ნებადართულია. როგორც ჩემი სახელი „სალვადორ“ (მხსნელი) მიგვანიშნებს, მე მოწოდებული ვარ, ვიხსნა თანამედროვე მხატვრობა სიზარმაცისა და უფორმობისგან“. ეს არაა ზუსტი ციტირება, რადგან მეხსიერებაზე დაყრდნობით მომყავს მხატვრის სიტყვები, მაგრამ ვიმედოვნებ, ამ ნათქვამის აზრი არ დამიმახინჯებია.

საერთოდ, ე. ბერძენიშვილი თავის ესეიში სალვადორ დალის წინააღმდეგ ხშირად იყენებს თვით სალვადორ დალისავე გამონათქვამებს; მაგრამ ჩვენთვის დალის ნაწარმოებების შეფასებისას რა მნიშვნელობა აქვს, სად რა უთქვამს დალის ძველ მხატვრებზე, პიკასოზე, თავის თავზე ან იმ ე. წ. „ფსიქოანალიტიკურ შინაარსებზე“, რომელთა ადგილი, თუ ე. ბერძენიშვილს ვერწმუნებით, არა ფერწერაში, არამედ ლიტერატურაშია (მაგალითად, კაფკასთან); ან, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს, რა თემებს ირჩევს მხატვარი თავის შემოქმედებაში — თეფშზე დადებულ მსხალს დახატავს, თოვლიან მთას, ცაში გაფრენილ ჯვარცმას, თევზის პირიდან ამომხტარ ვეფხვებს თუ ლენინის ჰიპერტროფიულად წაგრძელებულ დუნდულს? არ შეიძლება, საერთოდ მოვეშვათ ამ „შინაარსებსა“ და „თემებს“ და იმაზე ვილაპარაკოთ, რამდენად მაღალმხატვრულადაა შესრულებული ესა თუ ის ტილო? ე. ბერძენიშვილს ხომ თვითონვე მოჰყავს დელაკრუას გამონათქვამი — „ჩემი სურათების წინაშე მუდამ შინაარსზე საუბრობენ და რაც კი მთავარია — ფერწერა გვერდზე რჩებათო“! ესე იგი, დელაკრუას ნამუშევრებსაც ჰქონია „გასადევნი შინაარსები“ (ე. ბერძნიშვილის გამოთქმაა); ძველ კლასიკოსთა შემოქმედებაში ხომ ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა. გავიხსენოთ მიქელანჯელოს „საიდუმლო სერობა“, რემბრანდტის „აბრაამის მსხვერპლი“, ტიციანის „კეისრის დინარი“ და ა. შ. ამ ნაწარმოებთა „შინაარსები“ ხომ წმინდად „ლიტერატურულია“, ისინი კონკრეტულ ბიბლიურ ისტორიათა ილუსტრაციებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ამის გამო წმინდა ფერწერული თვალსაზრისით, ალბათ, არ დაიწუნებიან... ჰოდა, დალის „ჯვარცმულის ცადამაღლებამ“ რაღა დააშავა, რით ვერ უსწორებს იგი მხარს ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებს? აკი ე. ბერძენიშვილი თვითონვე აღიარებს, რომ ეს ტილო უდიდესი ოსტატობით შესრულებული შედევრია! ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია მისი დასკვნა: „მაგრამ სულ მალე ხმას აღიმაღლებს ჩვენს სულში ფერწერის მფარველი მუზა და ჩურჩულით გვამცნობს: ხომ დიადია სალვადორ დალის ხილვა, ხომ დიადია მისი მისტიური ჭვრეტის ძალა, მაგრამ ასე შეეძლო ეხილა რომელიმე წმინდანს და არა ფერმწერს...“

„წმინდანთან“ შედარება, ალბათ, კმაყოფილებას მოჰგვრიდა მაესტრო დალის, ოღონდ ეს „არა ფერმწერს“ რაღას ნიშნავს? ხომ მისი ხელითაა დახატული ეს ფერწერული შედევრი, ხომ არის უდიდესი ოსტატი! მეტი რაღა უნდა ამ ჩვენს „ფერწერის მფარველ მუზას“, შარზეა?

„სალვადორ დალი პალიტრაზე შეყვარებული ფერმწერი არ გახლავთო“, ამბობს ე. ბერძენიშვილი: „ის არ ეძებს ხაზს, ან ფერს, როგორც მშვენიერების მაუწყებელ კოდს...“ კი მაგრამ, თუ ეს მართლა ასეა, როგორღა შეძლო დალიმ „უდიდესი ოსტატი“ გამხდარიყო?

ე. ბერძენიშვილი, მიუხედავად თავისი ლიტერატურული, მწერლური ოსტატობისა, გამოუვალ წინააღმდეგობებში ექცევა, რადგან რატომღაც მიზნად დაუსახავს დაგვიმტკიცოს, რომ შავი — თეთრია, ორჯერ ორი კი — ხუთი. იგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ

დალის ფანტაზია არ არის მხატვრის ფანტაზია და ახდენს მის შედარებას სხვა მხატვრებთან, რომელთა ფანტაზიაც მხატვრის ფანტაზია ყოფილა. აი, ვნახოთ შესაბამისი ციტატები მისი ესეიდან: „უდიდესი ფანტაზიის მქონეა სანდრო ბოტიჩელი, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავის ტილოებზე მითიურ თემებს ხატავდა, არამედ იმიტომ, რომ ფანტასტიკურია მისი აზი. მისი „ვენერას დაბადება“ ფანტასტიკურია არა იმიტომ, რომ ნიჟარაზე სიყვარულის ქალღმერთი დგას, არამედ იმიტომ, რომ ქალწულის უნაზესი სხეული, მისი მოძრაობა გახლავთ ხაზის ფანტასტიკური მელოდია“.

სალვადორ დალის კი თურმე „არ აინტერესებს მომხიბლავი გოგონას უჩვეულო სილამაზის ფერი, არც მისი სხეულის სილამაზე, გრაციულობა, ხაზის სიმღერა, არც კოლორიტი...“

თითქოს ავტორის გასამტყუნებლად, ამ ესეის თან ერთვის სალვადორ დალის სურათი „ნორჩი ქალიშვილი...“ ნუთუ რაც ბოტიჩელის „ვენერას დაბადებაზე“ ბრძანა ბატონმა ელგუჯამ, ზუსტად იმავეს თქმა არ შეიძლება დალის ამ ნაწარმოებზეც? ნუთუ აქ ფერებისა და ხაზების მართლაც „ფანტასტიკური მელოდია“ არ არის გადმოცემული? თუ „არ აინტერესებდა“, როგორ შეძლო დალიმ ასე ამაღელვებლად გაეცოცხლებინა ნორჩი ქალიშვილის სხეული ტილოზე?

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ბნელა?!

ის კი მართალია, რომ დალის ხსენებულ ტილოზეც არის მისთვის ჩვეული სიურეალისტური „გადახრები“: სათაურით დავიწყოთ, რომელიც აქ რატომღაც სრულად არ არის წარმოდგენილი: თუ მეხსიერება არ მღალატობს, სრული სახით იგი ასეთია: „ნორჩი ქალიშვილი, რომელიც საკუთარ თავს აუპატიურებს“ (დალის საერთოდ სჩვევია „შინაარსზე“ მიმანიშნებელი მსგავსი გრძელი, ექსტრავაგანტური სათაურები); აქ, ერთის მხრივ, სავსებით რეალისტურად გამოსახულ სხეულს ვხედავთ — ჩვენსკენ ზურგით მდგარი შიშველი, ოქროსთმიანი გოგონა ფანჯრის რაფას გადაყრდნობია. მას მხოლოდ ფეხსაცმელები და გრძელი, გამჭვირვალე წინდები აცვია; მაგრამ გოგონას წელს ქვემოთ რაღაც უცნაურობები ხდება: ვხედავთ უცნაურ საგნებს, რომლებიც თითქოს ამ გოგონას გაშლილი, გადაჭრილი ბარძაყებია; მსგავსივე საგნები, თითქოს ამ „ბარძაყების“ ჩამონაჭრები (ხუთი ცალი) ჰაერში ირევიან — ზოგი გოგონას ფეხებთან, ზოგიც მის თავსზემოთ: ეს საგნები ფალიკურ-ვაგინალურ ასოციაციებს აღგვიძრავენ, თან რაღაც წოწოლა ქუდებს და ცალი მხრიდან დახურულ მილებსაც ჰგვანან...

დავუშვათ, ეს სიურეალისტური „დანამატები“ მოვაცილეთ ნახატს (თუმცა მხატვრული, ფერწერული თვალსაზრისით ისინი არავითარ დისონანსს არ ჰქმნიან): ხომ დარჩება გოგონას უნაზესი სხეული (ბოტიჩელის აფროდიტეზე არანაკლებ გრაციოზული), ხომ დარჩება „ფერისა და ხაზის ფანტასტიკური მელოდია“? თუ სეზანის ნატურმორტის ცქერისას, ე. ბერძენიშვილის თქმით, „არაფერი მოგწყინდება“, რადგან ბოთლი „დიდებული შავი ფერისა ყოფილა“ და ხახვსაც „ნაზი, ფაქიზი ფერი ჰქონია“, დალის ამ სურათში ნუთუ მოგვწყინდება გოგონას ცოცხლად მსუნთქავი სხეულის — ოქროსფრად მბზინავი, ხშირი, ტალღოვანი თმის, მკვრივი, ნაზი ზურგისა, ძუძუსა და მკლავის, ულამაზესი, ფაქიზი ხაზით გაყოფილი დუნდულების, ღონიერი შხვართი ფეხების ცქერა? ეს ყველაფერი ბოთლსა და ხახვზე ნაკლებად მშვენიერია ვითომ? არჩევანი თქვენთვის მომინდვია!

„...რა აუცილებელია დალი ვარდებით იყოს მოხიბლული, ანდა იქამდე დავიდეს, რომ თვეობით ატამი და მსხალი ხატოს“, — ასე ათქმევინებს ე. ბერძენიშვილი თავის ფიქრში წარმოსახულ ოპონენტს, რომელთან კამათშიც, მისივე თქმით, ყოველთვის თვითონ რჩება „გამარჯვებული“. მე შევახსენებ ბატონ ელგუჯას, რომ დალის ვარდიც აქვს დახატული (ისე ოსტატურად, რომ ნამდვილი გეგონება) და კიდევ დაწნულ ლანგარზე დადებული პური, რომელსაც, როგორც თვითონ უთქვამს, მთელი ექვსი თვე ხატავდა. შედეგი? პური იმდენად რეალურია, მართლაც რომ სუნი გეცემა და მისი და მოგინდება ჩამოტეხო და შეჭამო!

მოკლედ რომ მოვჭრათ, დალის აქვს ისიც, რაც აქვს სეზანს, სეზანს კი არა აქვს ის, რაც

დალის აქვს; განსვენებული პოეტი გიორგი კორნაპელი (კაპანაძე) მეუბნებოდა: „არწივს შეუძლია ქათმების დონეზე ჩამოსვლა, ქათმებს კი არ შეუძლიათ არწივის დონეზე ასვლაო“. თუ „ქათამი“ დამაკნინებლად ჟღერს, შევუნაცვლოთ მას „ხოხობი“, რომელიც არწივზე არანაკლებ პოეტური რეპუტაციით სარგებლობს, მაგრამ არწივივით მაღლა ფრენა არ შეუძლია და ძირითადად მიწაზე დაგოგმანებს. სეზანი, როგორც ე. ბერძენიშვილი შენიშნავს, „მაღლა არ იხედება“ (ანუ „წმინდა ფერწერის“ არეალს არ სცდება), დალის კი, მისივე თქმით, „მუდამ ზეცისკენ გაურბის თვალი“. მაგრამ დალი ზოგჯერ ხომ „ჩამოდის მიწაზეც“ და ხატავს ვარდსა თუ პურს და სხვა საგნებსაც, რომელთაც დიახაც შეუძლიათ რეალურობის ხარისხით, მხატვრული განსახიერების ძალით მეტოქეობა გაუწიონ სეზანის ვაშლებსა თუ მსხლებს...

იმპრესიონისტებიდან მოყოლებული და აბსტრაქციონისტებით დამთავრებული, მხატვრობა გაურბოდა ფოტოგრაფიულობას, იგი ფოტოგრაფიას „უტოვებდა“ საგნის ზუსტი გამოსახულების კეთების „პრიორიტეტს“: ეს ნიშნავდა მიმეზისის (მიბაძვის) პრინციპთან დაპირისპირებას, გამოსახვის აკადემიური ობიექტურობის შეცვლას ხედვის სუბიექტურობით. მოდერნისტული სკოლები ერთმანეთს ეჯბრებოდნენ ნატურისგან განმსგავსებაში, ფორმის დეფორმაციასა და გამარტივებაში; ზოგიერთი სკოლა, მაგალითად, დადაიზმი იქამდეც კი მივიდა, რომ საერთოდ გასცდა ფერწერის (მხატვრობის) ჩარჩოებს, თვით ხელოვნების ფარგლებსაც კი და სნობური აუდიტორიის გასართობად (თუ გასაბიაბრუებლად) რაღაც ექსტრავაგანტურ აქციებს მიმართავდა (დიუშანმა, მაგალითად, ერთ გამოფენაზე ჩვეულებრივი პისუარი წარადგინა სურათის ნაცვლად); დადაიზმს მოჰყვა სიურეალიზმი: ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენლის სალვადორ დალის შემოქმედება კვლავ ჭეშმარიტი მხატვრობის პრინციპებთან დაბრუნების მაგალითი გახლავთ: დალიმ გენიოსის სითამამით ფოტოგრაფიაც მხატვრობის სამსახურში ჩააყენა, ფოტოგრაფია, რომელსაც მოდერნისტები ასე საგულდაგულოდ ემიჯნებოდნენ (ლამის უფრთხოდნენ კიდეც); ამდენად დალი, შეიძლება ითქვას, უკვე პოსტმოდერნული მოვლენაა: იგი აღარ უპირისპირდება კლასიკურ აკადემიზმს, პირიქით, უბრუნდება და ახლებურად იყენებს მის პრინციპებს; ოღონდ თვით გამოსასახავი საგანი მასთან ხშირად არის დეფორმირებული (ისე, რომ ამ საგნის ცალკეული დეტალები ფოტოგრაფიული სიზუსტითაა დახატული), კომპოზიციაც ხშირად ფანტასმაგორიული და ლოგიკურად აუხსნელია. მე არ ვიცი, ეს ირაციონალური „შინაარსები“ რატომ ეჩხირებათ თვალში დალის კრიტიკოსებს: იქნებ სწორედ ის გარემოება აღიზიანებს მათ, რომ რაღაც ვერ გაიგეს, რაციოს ფარგლებში ვერ ჩატენეს? არასრულფასოვნების კომპლექსი ხომ არ მოქმედებს ამ შემთხვევაში?

სალვადორ დალის ცნობილი ნამუშევრის „სამოქალაქო ომის წინათგრძნობის“ შესახებ ე. ბერძენიშვილის კომენტარი ასეთია: „ვხედავთ: საშინელებას, გახლეჩილ სხეულს, ომის უაზრობას. გამართლდა წინათგრძნობა, ის კოშმარული ხილვით აღიბეჭდა ტილოზე, მაგრამ რამდენ ხანს შეიძლება ვიდგეთ კოშმარის წინაშე? ფერწერას სხვა შინაარსი სჭირდება. ფერწერა ზეიმია თვალისათვის“.

პიკასოს „გერნიკა“; რეპინის „ივანე მრისხანის მიერ საკუთარი ვაჟის მოკვლა“; გოიას სურათი, სადაც დახვრეტის სცენაა ნაჩვენები; დელაკრუას უცნობილესი ტილო, მგონი „თავისუფლება ბარიკადებზე“ ჰქვია, აი, ის, საფრანგეთის ლამაზი დედა ძუძუებგაშიშვლებული, დროშით ხელში და გვამებზე გადავლით რომ მიუძღვება აჯანყებულებს... მგონი, საკმაოდ კოშმარული შინაარსის მქონე სურათები ჩამოვთვალე: რა ვქნათ ახლა, ეს სურათებიც ფერწერისთვის შეუფერებელი შინაარსისად მივიჩნიოთ და კანონგარეშედ გამოვაცხადოთ? ან იქნებ დალის „სამოქალაქო ომის წინათგრძნობა“ ფერწერული დონით ჩამოუვარდება რომლიმე ამათგანს და ამიტომ ვერ აზეიმებს ჩვენს თვალს?

უსასრულოდ ვერც სეზანის ნატურმორტებისა და ბოტიჩელის აფროდიტეს წინაშე ვერ ვიდგებით, გარკვეული დროის შემდეგ ისინიც ისევე „მოგვწყინდება“, როგორც დალის კოშმარული ხილვა და სულ სხვაგვარი მხატვრობისაკენ გაგვიწევს გული, ვთქვათ, მაგალითად,

ბოსხის კოშმარული ფანტასმაგორიებისაკენ... ჰო, ბოსხი როგორ გამოგვრჩა ზემოთ, ისიც ხომ მაინცდამაინც ვერ აზეიმებს თვალს!

როცა სალვადორ დალის შესახებ წერს, „მუდამ ზეცისკენ გაურბის თვალიო“, ე. ბერძენიშვილი ირონიულად დასძენს: „თუ თვალს დავხუჭავთ და არ შევნიშნავთ, რომ დოლარისკენაც კარგად იხედება“. კი მაგრამ, ჩვენი „თვალის დახუჭვა“ რაში სჭირდება დალის, განა ის ოდესმე მალავდა დოლარისკენ თავის მიდრეკილებას? სულაც პირიქითაა, ხაზგასმითაც კი მიგვითითებდა ამაზე, თანაც ზოგჯერ ისეთი ნატიფი არტისტულობით, რომ მის გამონათქვამი სიტყვიერების შედევრადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ. თავის მეუღლის გალას ერთ-ერთ პორტრეტს, რამდენადაც მახსოვს, დალიმ ასე წააწერა: „დალის უყვარს გალა უფრო მეტად, ვიდრე დედა, უფრო მეტად, ვიდრე პიკასო და უფრო მეტად, ვიდრე ფული“. ნახეთ, სიტყვისა და აზრის რა გრაციაა, რა უკომპლექსო თვითირონია, რა უცნაური, არტისტული გულწრფელობა! ამ ნათქვამში ჩატეულია მთელი მოდერნულ-პოსტმოდერნული ერა, თავისი განუმეორებელი სპეციფიკით, თავისი ირონიულ-პაროდიული, კარნავალური მსოფლაღქმით: მხოლოდ ის რომ ეთქვა დალის, გალა დედასაც მირჩევნია და პიკასოსაცო, ეს ჩვეულებრივი „ლამაზი გამონათქვამი“ იქნებოდა, გაპრანჭული და არც მაინცდამაინც ეფექტური; ხოლო ამ „დისკურსში“ ფულის, როგორც ღირებულების ჩართვა, თან მაღალ ღირებულებათა გადაფასებაზე მიგვანიშნებს, თან იმავდროულად ამ „გადაფასებულის“ კვლავ მაღალი ღირებულების რანგში აღდგენაზე; და ვისაც სალვადორ დალის ექსცენტრიული პიროვნება და შემოქმედება ღრმად აქვს შეცნობილი, უთუოდ ირწმუნებს, რომ დალი არა სტყუის...

მართალს ბრძანებს ე. ბერძენიშვილი, რომ „სალვადორ დალი მარტო მახტვარი არ არის. მას ეცოტავება მხატვრობა, სული ეხუთება მხოლოდ ფერწერის სფეროში. ის მრავალმხრივი შემოქმედია და მუდამ საიდუმლოებას დაეძებს, მისი მზერა სწვდება მიღმურ სამყაროს... იგი ყვინთავს არაცნობიერი სამყაროს ბნელ ჯურღმულებში და მისი უძირო სიღრმეებიდან ამოაქვს ჩვენთვის ჯერარნახული საოცრებანი... გასაოცარია სალვადორ დალის პიროვნება, ამიტომ ფერწერაც ერთი ნაწილია მისი ინდივიდუალობისა. დალი მისი ერუდიციით და ბუნებით რენესანსული ტიტანის ტიპია, მაგრამ უბადურკ დროში დაიბადა“.

რაღა გვრჩება საკამათო ესეის ავტორთან, ის ხომ ამჯერად უკვე ზუსტად იმას ამბობს სალვადორ დალიზე, რასაც ჩვენ თვითონ ვფიქრობთ? წინააღმდეგობრივი თუ ჩანს მისი ნააზრევი, იქნებ საგანგებოდ ასე ჰქონდა ჩაფიქრებული, იქნებ ეპატაჟი მოგვიწყო და ჩვენც წამოვეგეთ ანკესს?

მაგრამ ჯერ ბარემ ბოლომდე შევედავოთ ბატონ ელგუჯას. თავისი ესეის ფინალურ ნაწილში ის გვთავაზობს შესანიშნავ მწერლურ-ბელეტრისტულ ხილვას: ორი სილუეტი გამოჩნდება ჰორიზონტზე: ერთი თეთრ ჯაგლაგზე ამხედრებული შუბოსანია, ცას რომ ასცქერის, მეორე კი სახედარზე არხეინად გადამჯდარა და უნაგირს ნებიერად მისვენებია; პირველი სალვადორ დალი გახლავთ, ჩვენ რომ დონ-კიხოტი გვეგონა (არცთუ უსაფუძვლოდ, სხვათა შორის: მის თანამგზავრსაც ასე ეჩვენება დროდადრო); მეორე ნამდვილად სანჩო პანსაა, რომელიც მხატვარს თავის ბატონზე ესაუბრება. აქ შესანიშნავადაა დაჭერილი დალის „თეატრალური“ ხასიათის შტრიხები („მე სიმდიდრისათვის ვიბრძვი!“ „ყველას ვამდიდრებ სულიერად!“ და ა. შ.). რა თქმა უნდა, დონ-კიხოტთან დალის მსგავსება ე. ბერძენიშვილს არ მოუგონია, ეს პოპულარული შედარება, ვგონებ, თვით დალის მიერ ინსპირირებული და სხვათა მიერ ატაცებულ-გახმოვანებულია; ოღონდ როცა დონ-კიხოტსა და სალვადორ დალის შორის არსებით განსხვავებაზე მიდგება საქმე, ე. ბერძენიშვილიც, მრავალი ჩვენი თანამედროვის მსგავსად, ამპარტავნებაში სდებს ბრალს დალის: სანჩო მხატვარს ეუბნება, „ჩემს ბატონს მწუხარე სახე ჰქონდა, თქვენ კი ამპარტავანსა ჰგავხართო“. მე რამდენიმე წლის წინ სხვა კამათში ვახსენე ჩვენი მაესტროს ყბადაღებული ამპარტავნება და განვაცხადე, რომ დალი ამპარტავანი არ ყოფილა, საამისოდ მას „სერიოზულობა“ აკლდა; ის უფრო ნიცშეანური ტიპის ზეკაცი იყო, „ბავშვის“ სტადიაში გადასული, რომელიც

თამაშობდა, ერთობოდა თავიის ექსტრავაგანტული ექსცესებით; აი, რას ვერ უგებენ სალვადორ დალის თავისი „სერიოზული“ თანამედროვენი!

P. S. და მაინც: იქნებ ბატონი ელგუჯა ბერძენიშვილიც ერთობოდა თავისი უკიდურესი სუბიექტივიზმით, სალვადორ დალის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი აზრების გათამაშებით, მე კი ზედმეტად „სერიოზულად“ მოვეკიდე მის ნააზრევს და სულ ამაოდ გავუმართე პოლემიკა? ოღონდ ჩემს „სერიოზულობას“ ძალიან სერიოზულადაც რომ არ მოეკიდოს ვინმე, ბარემ „ერთ კარტსაც გავხსნი“: ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ, 1983 წელს, პაროდიულ-ფანტასმაგორიული რომანი დავწერე, სათაურით „პეპლობის თვე“ (2003 წელს წიგნადაც გამოსცა „კავკასიურმა სახლმა“): მისი დაწერა მნიშვნელოვანწილად სალვადორ დალის შემოქმედების გაცნობამ შთამაგონა და ერთ-ერთ პერსონაჟად ამ რომანში სალვადორ დალი მყავს გამოყვანილი; ერთ ეპიზოდში ჩვენი მაესტრო ერთდროულად არის ქრისტეც, დონ-კიხოტიც და „გენიალური“ ბომბიც, რომელსაც მთელი დედამიწის აფეთქება შეუძლია; სხვათა შორის, ეს რომანი მე თვითონ დავასურათე (მოყვარული გრაფიკოსი ვარ) და ერთ-ერთი ილუსტრაცია დალის „ჯვარცმული ამაღლების“ პაროდია გახლავთ — იმ შავი კოსმოსისაკენ აღმავალ ნათელ ჯვარზე ფრთაგაშლილი ნამგალას (ურიის მერცხლის) მსგავსი და სალვადორ დალის სახიანი შავი ბომბია გაკრული...

2008-2009

ნაირა გელაშვილი

დიდი დაგის ორდენი

წიგნი პირველი

ეძღვნება დიდ დაგს და მის დიდ-პატარა მიმდევრებს

იყო ერთი საიდუმლოებით მოცული კაცი, სახელად დაგი, გვარად ჰამარშიოლდი, შვედეთიდან, რომელმაც ბავშვობიდანვე ძალიან შეიყვარა ცა და დედამიწა. მას სწყუროდა, ხალხებს ერთმანეთი არ დაეჩაგრათ, დამეგობრებულიყვნენ, ერთ დიდ ოჯახად ქცეულიყვნენ და ერთად მოევლოთ დედამიწისათვის, რათა ცა გაეხარებინათ. დაგმა ძალიან ბევრი ისწავლა, იფიქრა, ილოცა და ბრძენი გახდა. ბოლოს კი იმას მიაღწია, რომ იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს, რომლის მოვალეობაც სწორედ ხალხთა შერიგება და ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებაა. მას „გართიანებული ერების ორგანიზაცია“ ეწოდება. აქ დაგმა შექმნა ჯარი, რომელსაც უმწეო ადამიანები და მშვიდობა უნდა დაეცვა. მან ჯარისკაცებს ცის ფერი ქუდები დაახურა. ერთი ოთახი კი ლოცვისთვის მოაწყო და მის ერთ კედელზე მთავარანგელოზი მიქაელი მიახატვინა.

დაგს ძალიან ებრალებოდა აფრიკის შავკანიანი მოსახლეობა და სურდა ისინი მჩაგვრელებისაგან დაეცვა. მაგრამ სწორედ აფრიკის ცაში 1961 წლის 17 სექტემბერს ჩამოაგდეს და ააფეთქეს მისი თვითმფრინავი „ალბერტინა.“ დაგი და მისი თხუთმეტი მეგობარი დაიღუპნენ.

საერთოდ, ზღაპარი უფრო მართალია, ვიდრე სინამდვილე. და აქ ჩვენ შევიტყობთ ნამდვილ სიმართლეს, კერძოდ იმას, რომ დიდი დაგი და მისი მეგობრები სიცოცხლესა და თავიანთ საქმეს აგრძელებენ. მათ მტერიც ბევრი ჰყავთ და მეგობარიც. და იმედი აქვთ, რომ გაიმარჯვებენ.

2008 წელი, ნოემბერი

პირველი თავი

ზანგო და დანგო — პატარა ურჩხულები. მათი ყოველდღიურობა

ორი პატარა ურჩხული ერთმანეთს ალილავებდა.

მაგრად უბაგუნებდნენ ერთი მეორეს: თავპირში, ფერდებში, გვერდებში;

არც წიხლების ამორტყმა და ყურებზე კბენა ავიწყდებოდათ. ერთმანეთის ლანძღვაგინებასაც მშვენივრად ახერხებდნენ:

— რეგვენო!

— რეგვენიცა ხარ და ოხერტიალიც!

— ვირო!

— მახინჯო!

— შეჩვენებულო!

მათი დედები, ქალბატონი ურჩხულები, რიგრიგობით იხედებოდნენ ფანჯრებიდან და გოლიათი ფარშევანგების ხმით გაჰყვიროდნენ:

— ნუ ჩხუბობ, ზამბო! თორემ დაიღლები!

— გაჩერდი, დანგო, თორემ გაიოფლები!

— აბა, რა უნდა ითქვას ამაზე?! ყველა შეგნებული არსება მიხვდება, რომ დედა ურჩხულები შეუგნებლები არიან! თან აღარც ის არის საიდუმლო, რომ ისინი თვითონაც იგინებიან სახლში, ოოო, მართლაც აუტანელი გახდა ჩვენი ტყე! ამათი გადამკიდე, ჩემი სამკურნალო ბალახები თანდათან სულ ძალას ჰკარგავენ! ველური რეჰანი კი საერთოდ გაქრა! რიღათი მოვარჩინო მეჭეჭები და სიმსუქნე? ჩიტებიც თანდათან გვტოვებენ! — ხმამაღლა ჰგოდებდა შუახნის მკურნალი ქალი და დროდადრო ცისკენ იშვერდა ხელებს, სადაც ისე აიჭრებოდა ხოლმე ჩიტების პატარა გუნდი, თითქოს ზარბაზნიდან გაისროლესო. ყოველი ცუდი სიტყვა და დაღრიალება მართლაც ზარბაზნის როლს ასრულებდა და შორ მანძილზე გასტყორცნიდა ხოლმე ფარფატა არსებებს.

— ჩიტები კი ჩვენი მფარველები არიან, მაგრამ როგორ გინდა გააგებინო ამ მხეცებს! — განაგრძობდა მოხუცი მკურნალი და რაინდი თახვიც კვერს უკრავდა:

— ოღონდაც! ოღონდაც! მალე არც ერთი მგალობელი არსება აღარ დაგვრჩება! აი, ხედავთ! ვარდისფერმა ჩიტებმაც დაგვტოვეს! ჰმ! უჩიტებო ტყე! უჩიტებო ტყე! ეს ხომ იგივეა, რაც... რაც...

— რაც რა? — დაინტერესდა თეთრი, ფაფუკი ციყვი.

— რაც... რაც...— რაინდმა თახვმა ველარაფერი მოიფიქრა და აბჯარი ნერვულად შეისწორა.

— რაც... — აწრიალდა ბალახებით მკურნალიც — რაც ფილმი მუსიკის გარეშე! — წამოიძახა ბოლოს გახარებულმა.

— დიახ! დიახ! ნამდვილად ! — თავები ააკანტურეს ციყვმა და რაინდმა თახვმა, თუმცა, კარგად არ ესმოდათ, რა იყო ეს.

— მათი მშობლების ბრალია ყველაფერი, ზანგო და დანგო, ბოლოს და ბოლოს, ბავშვები არიან, ვის უნდა მიბაძონ?! — წამოიწყო დიდის ამბით თეთრმა ციყვმა. მას სურდა თავისი მწუხარე, თუმცა, საკმაოდ რიტმული სიმღერა წამოეწყო საჩხრიალოს თანხლებით, რომელსაც ახლა ამზადებდა.

მაგრამ ამ დროს საშინელი გრიალი და ხრჭიალი გაისმა და უზარმაზარმა შავმა მანქანამ გიჟურად ჩაიქროლა, წამში უკანვე დაბრუნდა და ისე დაამუხრუჭა, რომ მძღოლმა თვითონვე გაგლიჯა თავით საქარე მინა და მიწაზე ზღართანი მოადინა. სახეამოგანგლული და დალურჯებული ლანძღვა-გინებით წამოვარდა, დანგოს დაეძგერა და გზიდან გადაათრია:

— რატომ ეჩხუბები ჩემს შვილს? — ღრიალებდა იგი.

ამ დროს მეორე მანქანამ ჩაიგრიალა. ისიც გაჩერდა, იქიდანაც გადმოხტა მძღოლი-ურჩხული და ზანგოს დაეტაკა.

— ხომ ხედავთ, როგორი მამები ჰყავთ! — გაჰყვიროდა თეთრი ციყვი, რომელიც წინდახედულად ფუღუროში შემალულიყო და მხოლოდ თავის გამოყოფას ბედავდა იქიდან.

შეშინებულ მკურნალს კი გამოქვაბულისთვის შეეფარებინა თავი.

შემდეგ მამა ურჩხულები ერთმანეთს დაეტაკნენ, ერთ უზარმაზარ, ბალნიან, ჯაგრიან და კლანჭებიან გორგლად იქცნენ, ზანგო და დანგოც ზედ დაასკდნენ, ვითომც თავიანთ მამებს ეხმარებოდნენ, და მერე ეს გორგალი აქეთ-იქით გორავდა და თავის გზაზე ყველაფერს სრესდა: ყვავილებსა და ბუჩქებს, ბარტყებსა და კვერცხებს, რომლებიც ბუდეებიდან ცვიოდნენ...

ბოლოს ურჩხულების გორგალი ხეს შეასკდა, ფაფუკი ციყვი ძირს ჩამოვარდა, მათ თავზე დაეცა და ძლივს მოასწრო ბუჩქზე გადახტომა. გორგალი გადაგორდა და იმ გამოქვაბულის შესასვლელში ჩაიჭედა, რომელშიც მკურნალი ქალი განაბულიყო.

— ოო, სულ ჩამობნელდა! — შესძახა მან, სამკურნალო ბალახებით სავსე ტომარა

გვერდზე ისროლა და თავისი ძველი და გრძელი ქოლგის წვერით შეებრძოლა უზარმაზარ, ცოცხალ საცობს. მაგრად ურჭობდა, ოღონდ ცდილობდა, სახეში არ მოეხვედრებინა, ამიტომ, ძირითადად, მათი დიდი უკანალები დაჩხვლიტა. ხოლო ურჩხულები ჯერ-ჯერობით ვერავითარ ჩხვლეტას ვერ გრძნობდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, იგრძნეს, უარესად აღრიალდნენ და ერთმანეთს მოშორდნენ. გააფთრებულები დასისხლიანებულ საჯდომებს იზელდნენ, მერე კი ისევ დაეტაკნენ ერთმანეთს. საბოლოოდ ყველამ ყველა დაჟეჟა. შემდეგ მამები ყვირილით ჩაცვივდნენ თავ-თავიანთ მანქანებში, რომლებსაც აჯიუპებს ეძახდნენ, და გინებით გაუჩინარდნენ.

ზანგო და დანგო, ხვნეშითა და კვნესით დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილს თვალუწვდენი კვიპაროსებისა და ნაძვების ძირში, ურჩხულების ტყე-ქალაქის განაპირას.

ერთხანს უაზროდ ისხდნენ დიდ ქვებზე, მერე იგრძნეს, რომ დაჩხვლეტილი უკანალები ეწვოდათ და ძირს გაგორდნენ. ხან თვალებს აჭყეტდნენ, ხან ყურებს ისრესდნენ, ხან თათებს იგრეხდნენ, ხან იფურთხებოდნენ, ხან იგინებოდნენ, აი, ასე ისვენებდნენ.

—ეხლა რა ვქნათ? — იკითხეს ბოლოს თითქმის ერთდროულად.

— რა უნდა ვქნათ, მოდი, ვიჩხუბოთ — დაიღრიალეს ბოლოს თითქმის ერთდროულად და ერთმანეთს დაეტაკნენ.

—აი, ასეა — ქოლგას შლიდა და კეცავდა მკურნალი ქალი გზის გადაღმა — ესენი ყოვლად უაზრო პატარა ურჩხულები არიან, მათ სხვა არაფერი შეუძლიათ! და უკვე ასეა მთელი საურჩხულეთი — იგი თანდათან უწევდა ხმას და გამომცდელად იყურებოდა გზის გაღმა: ესმით თუ არა იმ ველურებს ჩემი სიტყვებიო.

— და მერე რატომ? რატომ არ შეუძლიათ არაფერი? რატომ ვერ ამჩნევენ ვერაფერს ირგვლივ? ღმერთო, როგორ გადმომაგდეს ხიდან, ძლივს გადავრჩი, ხედავთ, ხე ნახევარზე ამოგლეჯილია მიწიდან, ხედავთ მის ფესვებს, რა საცოდავად ცახცახებენ ჰაერში? როგორ მინდოდა, მემღერა, დღეს აღარაფერი გამომივა, სტრესი, ნამდვილი სტრესი მივიღე! — ხმას სულ უფრო უწევდა თეთრი ციყვიც და საკუთარ კუდს იხუტებდა გულში — თქვენ არ გექნებათ, რაიმე დამამშვიდებელი ნაყენი, ქალბატონო ძირა? მეც დავლევდი, და ეგებ იმათაც დავალევინოთ, ცხოვრება ჯოჯოხეთად რომ გადაგვიქციეს!

ქალბატონმა მკურნალმა მწარედ ჩაიცინა:

— შენ კი დაგალევინებ, მეგობარო, მაგრამ იმათ... საქმე ისაა, რომ ჩემი წამალი მხოლოდ იმაზე სჭრის, ვისაც მორჩენა უნდა. აბა, ზანგო და დანგოს კი როგორ უშველის, მათ ხომ არაფერი ესმით, ისიც კი არ იციან, რომ ცუდად არიან. არადა, თურმე რა საოცარი ქვეყანა ყოფილა ოდესღაც ეს საურჩხულეთი! ბებია მიყვებოდა ხოლმე, თავისი ბებიის მონათხრობს, მაშინ სამკურნალო ბალახებსაც დიდი ძალა ჰქონიათ...

რაინდი თახვი საჭურველს ისწორებდა. იგი შორ გზას უნდა დასდგომოდა იმავე საღამოს.

მეორე თავი

უცნაურობა, ანუ დაუპატიჟებელი სტუმრები

ზანგო და დანგო ისევ ცემა-ტყეპაში იყვნენ, მაგრამ უცებ ერთდროულად შეჩერდნენ და გაოგნებულები მიაშტერდნენ ერთმანეთს:

— ეს რა იყო? — იკითხეს ბოლოს თითქმის ერთდროულად.

— რაღაც კარგი ხმები ჩამესმა ყურში — თქვა დანგომ.

— მეც.

და ორივემ თვალები დახუჭა. ასეთი რამ არასოდეს განეცადათ.

— შენ არ ჩაგესმა, იტყუები, როგორ შეიძლება, ორივეს ერთდროულად გაგვეგონა?! — დაიღრიალა ბოლოს დანგომ და ზანგოს დაეტაკა.

— შენ თვითონ იტყუები! რა ხმები უნდა გაგეგონა, შენ ხომ ყურებში ვირები გყავს ჩატენილი!

— ვირები? ვირები როგორ უნდა ჩავიტენო, იდიოტო?!

ჯერ ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს, როგორც იცოდნენ. უკანასკნელი ჩიტებიც, თითქოს ზარბაზნიდან გაისროლესო, აიჭრნენ ცაში, მათ არანაირად არ შეეძლოთ ტლანქი სიტყვების ატანა, ისედაც დიდხანს ცდილობდნენ ამ ყველაფერთან შეგუებას.

ტყეში მძიმე სიჩუმე და სევდიანი ბურუსი ჩამოწვა.

ის-ის იყო, პატარა ურჩხულებს ისევ უნდა დაეთრიათ ერთმანეთი, რომ უეცრად დანგოს საშინელი ძალით გამოსროლილი ვეება გირჩი მოხვდა პირდაპირ შუბლში და გირჩის ხელა კოპი დააჩნდა. იგი საზარლად აღრიალდა და უნდოდა ზანგოსთვის ქვა ჩაეზილა თავში, რადგან იფიქრა, რომ მან ესროლა. ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ხომ მიხვდებოდა, რომ ისეთი ახლო მანძილიდან ვერაფრით მოახერხებდა სროლას. ვიდრე ქვის აღებას მოასწრებდა, ახლა ზანგოს მოხვდა პირდაპირ შუბლში ისეთივე გირჩი და ტკივილისაგან გიჟური ხარხარი აუტყდა.

და, აი, ორივეს უზარმაზარი კოპი აჯდა შუბლზე. ისინი გაოგნებულები შესცქეროდნენ მათ შორიახლო აღმართული, ვეება ნაძვის ერთ, თათის ფორმის ტოტს, რომელზედაც ტანზე შემოტმასნილ, თეთრ სამოსში გამოწყობილი, თეთრშლაპიანი ბიჭი იდგა. მას წელზე განიერი, ცისარტყელასფერებიანი სარტყელი და მაჯებზე ასეთივე სამაჯურები ეკეთა, მის შლაპასაც ცისარტყელა ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ანათებდა. ბიჭს ცალი ხელით დოინჯი შემოეყარა, ტოტს არწევდა და გამომწვევად იყურებოდა. ბოლოს თქვა:

— ახლა თქვენ მარტორქები ხართ!

— ეს შენ გვესროლე გირჩები? — კბილებში გამოცრეს ზანგომ და დანგომ.

— დიახ. და კიდევ გესვრით.

ურჩხულები ბრაზისაგან ბურთებივით გაიბერნენ.

— ახლა თქვენ ბუშტები ხართ, ცარიელი ბუშტები, შეიძლება ჩემამდე ამოფრინდეთ კიდეც, თუ ხეს არ მიებით! — განაგრძობდა ბიჭი დაცინვას. ცისარტყელა კი მისი შლაპაზე უცნაურ შუქს აფრქვევდა.

— გაგანადგურებთ, შე ბრიყვო! — დაიყვირეს კოპებიანმა ურჩხულებმა და ნაძვისკენ გაექანნენ.

— დაიხარე, ზურგზე უნდა დაგადგე და ხეზე ავიდე, რომ გადმოვისროლო იმ სიმაღლიდან ეს ლაწირაკი! — გაიძახოდა დანგო.

ზანგომ მართლაც შეუშვირა ზურგი და დანგო ძლივძლივობით ააბობღდა, იქიდან კი ნაძვის ქვედა ტოტს ჩამოეკიდა. მაგრამ ტოტი ჩამოწყდა და დანგომ ძირს ზღართანი მოადინა. გაბრაზებულმა მაინც ზანგოს უკბინა ყურზე, იმან მოტეხილი ტოტი ჩასცხო თავში, მაგრამ მალევე შეჩერდნენ. მათ ხომ საერთო მტერი გამოუჩნდათ!

ადგნენ და ორივენი ნაძვის ხეს დაეჯაჯგურნენ, ამოვთხრით და იმ ბიჭს გადავჯეგავთო.

ბიჭმა კი ისკუპა და მეორე ნაძვზე გადახტა, არა, კი არ გადახტა, არამედ გადაფრინდა!

— აი, როგორი ბრიყვები ხართ, მე ვერასოდეს დამეწევით! მე ხომ ფრენა შემიძლია!

— მეც მინდა ფრენა! — დაიყვირა დანგომ და მაღლა ახტა, მაგრამ ძირს დაენარცხა.

— აი, შე, ქვიშით გატენილო ტომარა! — ვეღარ მოითმინა ზანგომ და სიხარულისაგან გადაკოტრიალდა.

— აი, შე ქვიშით გატენილო ტომარა! — გამოაჯავრა პატარა ბიჭმა — იცით, როგორები ხართ? აი, ასეთები! — მან კბილები დაკრიჭა, თვალები დააჭყიტა, ხელებით რქები გაიკეთა და აბღავლდა —აი, ასეთები ხართ, მახინჯები! და ვერც ვერასდროს აფრინდებით, იმიტომ რომ დიდი ხანია კუნძებივით დამძიდით და ღრიალებთ.

ზანგო და დანგო ისევ დაეძგერნენ ხეს და წიხლები მიაყარეს. ბიჭი კი ისევ სხვა ხეზე გადაფრინდა.

— არაფერი კარგი თქვენ არ შეგიძლიათ, არაფერი კარგი და ნორმალური! — ხის ტოტს ფეხებით დაეკიდა იგი და ხელები გაშალა.

ზანგომ და დანგომ პირი დააღეს, მერე კი აბუზღუნდნენ: — შეგვიძლია, ძალიანაც კარგად შეგვიძლია კარგი რაღაცეები...

— მაინც რა? — ბიჭი ისევ ფეხებით ეკიდა ხის ტოტს და ქანაობდა, თუმცა შლაპა, რომელსაც ცისარტყელა ჰქონდა შემოვლებული, თავიდან არ სძვრებოდა.

— რა და...

— ხომ ხედავთ, არაფერი არ გაგონდებათ. უკვე იმდენი ხანია, ჩხუბობთ, რომ მთლად გამოშტერდით.

— შენ თვითონა ხარ შტერი! ჩვენ შეგვიძლია... კარგი ხმების მოსმენა! წეღან ვისმენდით! — წამოიძახა დანგომ და თვითონვე გაუკვირდა, ეს რომ გაახსენდა.

ბიჭი უცებ გასწორდა და დასერიოზულდა:

— კარგი ხმები? დაგამახსოვრდათ? ეგ მუსიკაა... კიდევ გინდათ მოისმინოთ?

— მერე შენ რა, თუ გვინდა, — ჩაიღრინა ზანგომ.

— მე? მე — არაფერი — ბიჭმა ცისკენ დაიწყო ყურება და ნელა დაუსტვინა.

ურჩხულებიც ცას ააშტერდნენ. იქ თეთრი და ცისფერი ღრუბლის ქულები დაცურავდნენ. უცებ მათ შორის ვარდისფერი, მრგვალი ღრუბელი გამოჩნდა, რომელმაც ნელა დაიწყო ქვემოთ დაშვება. რაც უფრო უახლოვდებოდა ხეებს, მით უფრო გარკვევით ისმოდა წკრიალა მუსიკა.

— ზანგო, ეს ის არის, ის მუსიკაა! — დაბნეულმა დანგომ მუშტი ჩასცხო ზანგოს, რომელიც ასევე დაბნეულიყო და ღრუბელს თვალს არ აცილებდა.

ისინი გარკვევით ხედავდნენ, რომ ღრუბელს ფარდა ეკიდა. მერე ფარდა შუაში გაიხსნა და თეთრ, ელასტიკურ კოსტიუმში გამოწყობილი, თეთრშლაპიანი გოგონა სცენის ნაპირას ჩამოჯდა. მას წელზე შვიდფერიანი აბრეშუმის ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული და მის შლაპასაც მანათობელი ცისარტყელა აჩნდა. გოგონას სიმებიანი საკრავი ეჭირა და უკრავდა.

ურჩხულები გაოგნდნენ და ანერვიულდნენ, რაღაც უცხო განცდები მოეძალათ. არ სურდათ, რომ მუსიკა შეწყვეტილიყო. მერე გოგონა ძირს ჩახტა და მათ წინ გაიარ-გამოიარა:

— გამარჯობათ. მე მქვია ასცისანი სამური.

— ეს რამხელა სახელია, როგორ უნდა დავიმახსოვროთ!

— დაიმახსოვრებთ, თუ მოგეწონებით, მით უმეტეს, თუ შეგიყვარდებით. იცით, რა არის სიყვარული?

— სიყვარული? ესეც რამსიგრძე სიტყვაა! შენ რა მოკლე სიტყვები არ იცი?

— როგორ არა! „დაგ“!

— რა არის „დაგ?“

— „დღე“. ან „დღის ნათელი“. მაშასადამე, არ იცით სიყვარული რა არის, არა? ასეც ვიცოდი!

— მაინც რა არის, ქალბატონო? თუ იცი, გვითხარი და გაგვაგებინე! რას ყოყოჩობ?

ასცისანი სამური დაღონდა.

— საქმე ის არის, რომ ამას სიტყვებით ვერ გაგაგებინებთ, უნდა იგრძნოთ. თქვენ კი ეს არ შეგიძლიათ.

— შენ ხომ შეგიძლია! — დაიბრიცნენ ურჩხულები და უკანალები გააქან-გამოაქანავეს — ჯობია ის გვითხრა, ღრუბელში რატომ ცხოვრობ?

— იმიტომ, რომ მომწონს! და გაჩუმდით ეხლა! კი არ ლაპარაკობთ, ყვირით! რატომ ყვირით? თუ ჩუმად არ ილაპარაკებთ, წავალ და თვალსაც ვეღარ მომკრავთ! — მან ხელი ღრუბლისაკენ გაიშვირა, რომელიც ცოტა გამანძილებულიყო, მაგრამ, ჩანდა, რომ ამაზე

შორს აღარ აპირებდა წასვლას. ბიჭი კი ახლა ბაობაბის ტოტზე გაწოლილიყო და მათ საუბარს ყურს უგდებდა.

ზანგო და დანგო ისევ ანერვიულდნენ. ჩუმად ლაპარაკი ნამდვილად გაუჭირდებოდათ. ასცისანი სამური კი აშკარად მოეწონათ.

— ის ბიჭი ვინ არის შენი? ერთნაირად რატომ ხართ გამოპრანჭულები? — დანგომ საშინელი ძალა დაატანა თავს, რომ ეს ჩუმად ეთქვა, რადგან სულაც არ სურდა გოგონას გადაკარგვა.

— ჩემი ძმაა. დედაჩვენს უხარია, როცა ასე გვაცვია. თვითონაც ჩვენნაირი შლაპა ახურავს.

— ნუ ჩურჩულებ! ნერვები მეშლება! — დაიღრიალა უცებ ზანგომ და ასცისანი სამური შიშისაგან ჰაერში შეხტა. დანგომ კი ზანგოს მუშტი გაუქანა და სახეში სთხლიშა. ზანგომ კუდით დაითრია.

— გაჩერდით! — დაიყვირა გოგონამ — რას გავხართ! თქვენ ბევრი დრო აღარა გაქვთ! არც თქვენ, არც თქვენს მშობლებს, არც თქვენს ქვეყანას! სამყარო ვეღარ გიტანთ, რადგან ყველასთვის მხოლოდ ზიანი მოგაქვთ!

— ეს სამყარო ვიღაა? ვერც მე ვიტან! — დანგომ წიხლი ამოჰკრა უზარმაზარ სოკოს და ჰაერში ასტყორცნა.

— ვინ არის ეს სამყარო, ერთი დამენახოს, რომ გავაბრტყელო ლავაშივით! — ზანგომ მოკრივესავით აათამაშა მუშტები.

შლაპიან ბიჭს სიცილი აუტყდა და ისევ ფეხებით დაეკიდა ხის ტოტს.

დროა, ისიც გითხრათ, რომ მკურნალი ქალბატონი იქვე ბუჩქებში განაბულიყო და ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ყველაფერს.

—აი, ხომ ხედავთ, ისიც კი არ იცით, რა არის სამყარო! — სამყარო არის... ცა, დედამიწა, ვარსკვლავები, ყვავილები, ზღვები, მთები, ჭიანჭველები, ყველაფერი, ჩვენც, ესე იგი, თქვენც...

— ჩვეენც? ჩვენა ვართ სამყარო?

— მე ვარ დაანგო! და არა სამყარო, გაიგეეთ?

— მე ვარ ზან-გო და მო-ო-რჩა!

— ასცისან! მგონი დროა, გაიგონ ვინ არიან! — დაიძახა ბიჭმა და ღრუბელს ხელი დაუქნია.

გოგონა აფრინდა, ისევ სცენის ნაპირას ჩამოსკუპდა და საკრავი ხელში აიღო. იგი თავდახრილი უკრავდა. მუსიკა ნელა ვრცელდებოდა ტყის ჰაერში, დიდრონ ხეებსა და მათ ფოთლებს შორის. მერე ასცისანმა დაიძახა:

— ახლა იხილავთ ძალიან სევდიან ფილმს ურჩხულთა შესახებ!

— მოითმინეთ! მოითმინეთ! თუ შეიძლება, მეც დავესწრები, საშინლად მაინტერესებს ამ არსებების გაჩენის ამბები! — მკურნალი ქალი ქოშინით მოათრევდა ბალახებით გატენილ ტომარას, რომელსაც თეთრი ციყვი აწვებოდა მეორე მხრიდან.

— ესენი ვიღა არიან! — ისე დაიბღავლა ზანგომ, რომ ასცისანი კინაღამ ღრუბლიდან გადმოვარდა.

— აუუ! აახვიეთ აქედაან! — აღრიალდა დანგო და ის-ის იყო, წიხლი უნდა ამოერტყა ბალახებით სავსე ტომრისთვის, რომ ისევ ტყვიასავით გამოსროლილი ვეება გირჩი მოხვდა თავში და გააგორა.

— დაწყნარდებით თუ არა?! — ბიჭი გაბრაზებული ჩანდა და მეორე გირჩიც მომარჯვებული ჰქონდა.

დანგო და ზანგო კბილების ღრჭიალით ჩამოსხდნენ გადატეხილ ხეზე, დანგოს შუბლზე მეორე კოპიც დაჯდომოდა, რაც ძალზე ამხიარულებდა ზანგოს და ის ჩუმად ხითხითებდა: — გაუმარჯოს ორრქას! — და თათებით რქებს იდგამდა თავზე.

— ხომ დაგვიცავთ, ძვირფასო მფრინავო ბავშვებო? — შიშით იკითხა მკურნალმა ქალ-ბატონმა, ქვაზე ჩამოჯდა, თეთრი, ფაფუკი ციყვი კალთაში ჩაისვა და ყოველი შემთხვევი-სათვის დაკეცილი ქოლგა მიიყუდა გვერდზე.

— ხომ დაგვიცავთ, ძვირფასო მფრინავო ბავშვებო? — მანჭვა-გრეხით გამოაჯავრა ზანგომ და უკანალი გააქან-გამოაქანავა.

— თუ წესიერად არ მოიქცევიან, უბრალოდ ყველანი წავალთ, — მკაცრად წარმოთქვა ასცისანმა.

ზანგომ და დანგომ იგრძნეს, რომ ამ სიტყვებზე შიში დაეუფლათ და ხმა აღარ ამოუ-ღიათ. ერთი ეს იყო, რომ ზანგო მაინც დაეჭყანა თეთრ ციყვს, როდესაც ასცისანმა და მისმა ძმამ რატომღაც ცისკენ დაიწყეს ყურება.

— ვიწყებთ — დაიძახა უცებ გოგონამ.

ფარდა გაიხსნა და ღრუბლის სიღრმეში გამოჩნდა ეკრანი, რომელზედაც ნელა დაიწერა: **„ურჩხულები და ულები.“**

მესამე თავი

ურჩხულები და ულები

მაშასადამე, დაიწყო ფილმი.

თვალწინ გადაიშალა ბაღ-ვენახები, აბიბინებული ყანები, დაბურული ტყეები და კამ-კამა მდინარეები.

ვიღაცის მშვიდი და ნაღვლიანი ხმა აუჩქარებლად ჰყვებოდა:

„დიდი ხნის წინათ ურჩხულების ქვეყანა მოვლილი და მშვენიერი იყო. მაშინ ურჩხულე-ბიც ლამაზები იყვნენ და ურჩხულები არც ერქვათ სახელად. მათ ულებს ეძახდნენ. შეხე-დეთ! შეხედეთ! ულებს ოქროსფერი, ნაზი ფაფარი, გრძელი, მწვანე თვალები, ერთი მტ-კაველი წამწამები, ფრთები და მობიბინე ყანასავით ღიმილი ჰქონდათ. ხედავთ? შუბლზე თევზი ეხატათ. ეს მათი მესამე თვალი იყო.

ისინი სიმღერით იძინებდნენ და სიმღერით იღვიძებდნენ. ყველაზე კარგ სიმღერას მათი გული დია-დედას უძღვნიდა. უსმინეთ, ხომ საოცარი სიმღერაა?

აი, ულების სახელგანთქმული ვაშლის ბაღები და ყანები! აი, ულების თეთრი ქვის თონეები და თეთრი თიხის ქვევრები! ისინი არნახულ ღვინოს აყენებდნენ, უძვირფასეს პურს აცხობდნენ და მათი ძროხების რძესაც ვერაფერი შეედრებოდა.

ულებს ფრენაც შეეძლოთ და ცურვაც, ორ ფეხზე სიარულიც და ცოცვაც, ყველაფერი შეეძლოთ და უხაროდათ. ხომ ხედავთ, ზოგი დაფრინავს, ზოგი კლდეზე მიცოცავს, ზოგი წყალშია! მთავარი კი ის იყო, რომ ულებს ბატკნის მატყლისგან ნაქსოვი თოვლისფერი ქუ-ლაჯები ეცვათ.

ამ ქულაჯებს დია-დედა უქსოვდა, რომელიც მოშორებით, ტყეში ცხოვრობდა. ულებს მორიგეობით და ყოველდღე მისთვის ერთი ქილა მაწონი, ახლად გამომცხვარი პური, ოთხი ფერის ხილი და ყვავილები უნდა მიეტანათ. და ულებსაც მიჰქონდათ ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ფორთოხალი თუ ქლიავი, და ასევე, ყვავილები თავიანთი დიდებული ბაღე-ბიდან. ულები დია-დედისთვის მღეროდნენ და ცეკვავდნენ. მერე კი მიუსხდებოდნენ და წყნარად უამბობდნენ, რა ხდებოდა ულების სოფელ-სახელმწიფოში და მათ გულებში, რო-გორ ჩაიარა წინა ღამემ და ასე შემდეგ.

და გაუდგებოდა ხოლმე ყოველ დილით სამი ული ტყისკენ მიმავალ ბილიკს. მაგრამ არც ბილიკიდან უნდა გადაეხვიათ, არც ვინმეს გამოლაპარაკებოდნენ, და საერთოდ, არაფერი სხვა არ უნდა გაეკეთებინათ. მარტო სიმღერა შეეძლოთ და ულებიც მღეროდნენ, რადგან

ძალიან უხაროდათ, რომ დია-დედასთან მიდიოდნენ, რომ მისთვის პური, მაწონი, ხილი და ყვავილები მიჰქონდათ, რომ ყველა პირობას იცავდნენ, ჰო, თქვენ წარმოიდგინეთ, ულებს უხაროდათ წესების დაცვა, ალბათ იმიტომ, რომ, უბრალოდ, წესიერები იყვნენ.

დია-დედა ცხოვრობდა ერთ ცოცხალ ქოხში ცარცის კლდესთან. უფრო ზუსტად, ეს კლდე ამ ქოხის უკანა კედელი იყო, მარჯვენა კედელს მწიფე ასკილის ბარდები წარმოადგენდა, მარცხენას კი — მწიფე მაყვლისა. ქოხს სახურავად ქვის სვეტებზე გადებული, ბრტყელი, ფენოვანი ქვა ეფარა, ხოლო წინა კედელზე წყლის გამჭვირვალე ფარდა ეკიდა. ხომ ხედავთ, როგორ წარმოიქმნება ეს ფარდა! კლდის თავიდან წყალი მოიღვრება, ქვის ბრტყელ სახურავზე მოედინება და აბრეშუმივით ნაზად, ერთ ფენად ჩამოდის ძირს.

ო, როგორ უყვარდათ ულებს ამ ფარდაში გავლა! ძალიან სასიამოვნოდ ინამებოდნენ ხოლმე.

აბა, ახლა თვალი ავაყოლოთ ცარცის კლდეს, მაღლა, კიდევ უფრო მაღლა! ხედავთ უზარმაზარ, მრგვალ, ოქროსფერ ბურთს ერთ დიდ შვერილზე? მას უცნაური, ვერცხლისფერი ბადე აკრავს და ოთხ საბჯენზე დგას. ხედავთ, რა დამაბრმავებლად ბრწყინავს მზეზე? თუ ამ რკინის თუ რაღაცის ბურთს დააკვირდებით, შენიშნავთ მასში გამოჭრილ პატარა ფანჯრებს და კარს! შენიშნეთ? ეს ხომალდია, რომლითაც ულები დედამიწაზე ჩამოვიდნენ...

დია-დედა ყოველთვის კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა! ქოხში მუდამ უამრავი პეპელა დაფარფატებდა, აი, ხომ ხედავთ! რამდენიმე თოვლისფერი ბატკანი დაბორიალებდა და ფუტკრებიც დაზუზუნებდნენ. ისინი დედას ეკუთვნოდნენ, დედა მეფუტკრეც გახლდათ. სკები ქოხის მარჯვენა მხარეს აბიბინებულ ველზე გაემწკრივებინა, ქოხის მარცხენა მხარეს კი ქათქათა ფარა ძოვდა ხასხასა ბალახს. ხედავთ, რა საყვარელი ბატკნები არიან? თქვენ გგონიათ, მათ ხელს დააკარებდა ვინმე? არა, დია-დედას ისინი ძალიან უყვარდა და ხშირად ეთამაშებოდა. ეგ იყო, წელიწადში სამჯერ მათი გაპარსვა უწევდა, რადგან მუდმივად სჭირდებოდა მატყლი ძაფის დასართავად. იგი ხომ დღედაღამ უთეთრეს ქულაჯებს ქსოვდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ულებს მუდამ სუფთა ქულაჯები უნდა სცმოდათ, ხშირი რეცხვა კი მათ აპატარავებდა და პეწს უკარგავდა. ამიტომ ყოველ დღე მოჰქონდათ დედისგან ახალთახალი ორმოცი სამოსი, და რიგრიგობით იცვლიდნენ.

დედას უყვარდა მატყლის აპენტვა, დართვა და ქსოვა. ისე ქსოვდა, ჩხირებს ზედ არ უყურებდა, და ქსოვა-ქსოვითა და სიმღერ-სიმღერით დაიარებოდა თავის სამფლობელოში, სადაც ბატკნები კიკინებდნენ, ფუტკრები ბზუოდნენ და ჩიტები გალობდნენ. ულები ხშირად სწორედ მისი სიმღერით პოულობდნენ მთის ფერდზე შეფენილ ტყეში მოსეირნე დედას, რომელიც ზოგჯერ მთის წვერამდე ადიოდა, ან ოქროსფერ ბურთ-ხომალდთან ჩამოჯდებოდა და ფიქრებს აძლევდა თავს.

ძალიან უხაროდათ ერთმანეთის დანახვა. დია-დედა მაშინვე პურს მოიტეხდა, ულებსაც სთავაზობდა და თავის ბატკნებზე და ფუტკრებზე უყვებოდა. მერე მიჰქონდათ ორმოცი ახალი ქულაჯა და თაფლი და შინ ბრუნდებოდნენ.

როგორც ამბობენ, იმ ქულაჯებისა და თაფლის დამსახურება იყო, ულები ასეთი შორსმჭვრეტელობით, ძალ-ღონითა და ხალისით რომ გამოირჩეოდნენ. ისინი ძალიან შორეულ საგნებს ისევე ხედავდნენ, როგორც ძალიან ახლოებს. დაიძვრებოდა თუ არა მტერი მათი ქვეყნის შესამუსრად, ულებმა უკვე იცოდნენ. მესაზღვრე ჯარიც კი არ სჭირდებოდათ. გაფრინდებოდნენ და შორს გაეგებებოდნენ ხოლმე მომხვდურს, რომელიც მათი თეთრი ქულაჯებისა და ოქროსფერი თმის ბრწყინვით ბრმავდებოდა და იარაღს ყრიდა. ულები აკრეფდნენ ხოლმე იარაღს და ცეცხლში ადნობდნენ. უნდოდათ ამ ნადნობისაგან ძალიან გრძელი კიბე გაეკეთებინათ და უფსკრულში ჩაედგათ, რომლის ძირშიც რაღაც

სარკე მოჩანდა. სარკე მზეს ირეკლავდა და სხივებს უკან აფრქვევდა, ნამდვილი სინათლის შადრევანი იყო! ჰოდა, ულებს მისი ახლოდან ნახვა აინტერესებდათ.

მოკლედ, ულები ბედნიერები იყვნენ.

მაგრამ ერთ დღეს დია-დედისკენ მიმავალი სამი ულიდან ერთმა, უფროსმა აიჩემა, მოდით, ცოტა ხნით გადავუხვიოთ გზიდან, სოკოები დავკრიფოთ, შეხედეთ, როგორ კრიალებენ ბალახში, ცეცხლი დავანთოთ, შევწვათ, შევჭამოთ და ისევ გავაგრძელოთ გზა, რა მოხდება, ძალიან მომინდა სოკოო. შუათანა ყოყმანობდა, უმცროსი კი უარზე დადგა: გზიდან გადახვევა არ შეიძლებაო.

იდავეს, იკამათეს. უმცროსი ტიროდა, უკვე გვაგვიანდება, ჩქარა წავიდეთო, მაგრამ უფროსმა ბოლოს მაინც დაიყოლია ორივე და ისინი ტყეში შევიდნენ. მოკრიფეს სოკოები, შეწვეს, შეჭამეს და დაეძინათ. როდესაც გაიღვიძეს, აღარაფერი აღარ ახსოვდათ, ისე ეგონათ, თითქოს დედასთან უკვე იყვნენ და ახლა ჩვეულებრივ ბრუნდებოდნენ შინ. მაწონი, პური, ხილი და ყვავილები აღარსად იყო. როდესაც სახლში მისულებსჰკითხეს, ქულაჯები რატომ არ მოიტანეთო, მათ პირები გახსნეს და თვითონაც ვერ მიხვდნენ, რატომ უპასუხეს ასე: „დედამ აღარ გამოგვატანა. ასე გვითხრა, ამიერიდან ქულაჯები აღარ გჭირდებათო.“

მეორე დღეს დია-დედისაკენ დაძრულ სამ ულსაც იგივე დაემართა: მათაც გზიდან გადაუხვიეს, ცეცხლი დაანთეს და სოკო შეწვეს, დაეძინათ და დია-დედის უნახავად დაბრუნდნენ უკან. მათაც იგივე თქვეს: „დედამ აღარ გამოგვატანა. ასე გვითხრა, ამიერიდან ქულაჯები აღარ გჭირდებათო.“

ვერც შემდეგმა სამმა ულმა მიაღწია დედამდე. მაგრამ თითქოს სიზმარში იყვნენ, ისე გაიძახოდნენ: „აღარ გამოგვატანა. ამიერიდან ქულაჯები აღარ გჭირდებათო.“ ზოგ უფროს ულს თვალში ეცა, რომ უკან დაბრუნებულები ზუსტად ერთსა და იმავე სიტყვებს ამბობდნენ, მაგრამ ვერავინ ვერაფერი გაარკვია და ულებმა თანდათან შეწყვიტეს დია-დედასთან სიარული. ქულაჯები თანდათან დაესვარათ, ცარცის კლდისკენ მიმავალი ბილიკი ბალახით დაიფარა. ულები თანდათან კარგავდნენ ფრენისა და ყველაფრის ხედვის უნარს. მტერი მოეძალა მათ ქვეყანას, შემუსრა სახლები და ბაღ-ვენახები, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ულებმა ხალისი დაკარგეს, აღარაფერს უვლიდნენ, ძლივს ირჩენდნენ თავს, მოუმატეს ყვირილს, გინებას, ჩხუბს, გასცვივდათ ნაზი, ოქროსფერი თმა, ამოუვიდათ ტალახისფერი ჯაგარი, გაეზარდათ ბრჭყალები და ეშვები, თვითონვე ანადგურებდნენ თავიანთ არემარეს, ერთმანეთს და ყველაფერს. დამახინჯდნენ და გახდნენ ურჩხულები, თვით ბავშვებიც კი გაურჩხულდნენ და აღარავის ახსოვდა, ერთ დროს მათ ულები რომ ერქვათ, მოლივლივე ოქროს ფაფარი რომ ჰქონდათ და დია-დედა ჰყავდათ. აი, ხედავთ, როგორები არიან? აბა, გეცნობათ ვინმე მათ შორის?...“

ზანგო და დანგო პირდაღებულები ისხდნენ და უაზროდ იფხანდნენ დიდ და სქელ ყურებს. მერე თვალები დააჭყიტეს:

— ეს ხომ ჩვენი ტყე-სახელმწიფოა!

— ეს ხომ ჩვენი ნათესავები არიან!

— აი, ბიძაჩემი!

— აი, მამიდაჩემი!

— აი, მამაჩემი!

— აი, დედაჩემი!

— ვაიმე! აი მე!

— აი, მე!

— ვაიმე, რას ვგავარ!

— ვაიმე, რა მახინჯი ვარ!

ეკრანი ურჩხულებით ავსებულიყო. ზანგო და დანგოც მათ შორის ირეოდნენ. დაჰქრო-

დნენ შავი რკინის აჯიუპები, ისმოდა ყვირილი, კბილების ღრჭიალი, ეცემოდნენ ხეები, იწვებოდა ტყეები, ყველა ერთმანეთზე იწევდა, ერთმანეთს ურტყამდა...

მერე ისევ გამოჩნდა ულების მოლივლივე ოქროსფერი თმა, ზურგზე რომ ეღვრებოდათ ატალღებული წყალივით, მობიბინე ყანები და უეცრად ყველაფერი გაქრა...

ზანგო და დანგო თვალებს იფშვნეტდნენ და აქეთ-იქით იხედებოდნენ, მაგრამ ირგვლივ აღარავინ ჩანდა: აღარც შლაპიან-ცისარტყელიანი და-ძმა, აღარც მკურნალი მოხუცი და აღარც თეთრი ციყვი.

მეოთხე თავი

უცნობი გრძნობა

უკვე ერთი თვე გავიდა, მაგრამ აღარაფერი მომხდარა.

ზანგოს და დანგოს ძალიან ეძნელებოდათ აღიარება, რომ მთელი ეს ხანი უჩვეულოდ მოწყენილები იყვნენ, რადგან ასცისანი ენატრებოდათ.

— მართალია, მეტიჩარაა, მაგრამ კარგად უკრავდა, არა?

— კი. თურმე ეს მუსიკაა.

— ხო. ხმაც კარგი ჰქონდა.

— ეხლა ხო ხვდები, რომ მაგისი ხმები ჩაგვესმა ყურში, როცა ჯერ კიდევ ერთმანეთს ვბეგვავდით?

— ვხვდები, წინასწარ ჩაგვესმა, ვიდრე გამოჩნდებოდა...

— მართალია, ცხვირს იბზუებს ხოლმე, მაგრამ რაღაც კარგად იღიმება, არა?

— კი. გახსოვს, როგორ შეეშინდა, როცა დაიღრიალე?

— ჰო, კინაღამ თავით გადმოეშვა.

საშინელება ის იყო, რომ მათ თვით მისი ძმაც კი ენატრებოდათ:

— გახსოვს ის ბრიყვი?

— მისი ძმა?

— უნდა დამეჟეჟა!

— კარგი, რა, სისულელეს ნუ როშავ! როგორ უნდა დაგეჟეჟა, როცა ფრენა შეუძლია!

— ისე ფეხებითაც კარგად დაეკიდა ტოტზე, არა?

— აი, ეს ხე, აი, ეს ტოტი, ამაზე კონწიალებდა!

— რა ჰქვია?

— არ ვიცი, არ უთქვამს.

— ისე, წყნარად რომ ვყოფილიყავით, გირჩებს არ გვესროდა, არა?

— ნეტა, ჭიდაობა შეუძლია?

— თუ დამეჭიდა, გავაბრტყელებ ლავაშივით!

— ულები გახსოვს?

— ხო, როგორი ფაფარი ჰქონდათ, არა!

— მე იმ დია-დედასი, ცოტა არ იყოს, შემეშინდა.

— რატომ დაიბრიდნენ ულები?

— იმიტომ რომ, ქულაჯები დაუძველდათ და დაესვარათ.

— ესე იგი, ჩვენ ულები ვიყავით.

— ჩვენ კი არა, ჩვენი მკვდარი ნათესავები, ვიღაცეები, ვინც დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა...

— რა ლამაზები ვიყავით, ესე იგი, იყვნენ, არა?

— მერე რა ვქნა ეხლა! იყვნენ და იყვნენ! ჩვენ, სამაგიეროდ, უფრო მაგრად ვღრიალებთ!

— ეხლა რა ვქნათ, რითი გავერთოთ?

— მოდი, ვინ უფრო შორს გადააფურთხებს!

— მოსაწყენია. მოდი ხეები მოვგლიჯოთ!

— მეზარება.

— მაშინ ვიჭიდაოთ!

— მერე მაგით როგორ უნდა გავერთოთ? ჯერ შენ წამაქცევ, მერე მე, მერე მე თათებს გადაგიგრეხავ, მერე შენ მიკბენ, მერე მე კუდით დაგითრევ, მერე შენ ყურს ამახევ, მერე მე წიხლს ჩაგაზილავ! გავიოფლებით, ავქოშინდებით და ისევ მოგვწყინდება.

— ადრე რომ არ გვწყინდებოდა?

პატარა ურჩხულებმა გადაწყვიტეს, აჯიუპების ბორბლები დაეხეთქათ, ამიტომ მათ სავალ გზებზე დანგოს მამის საკუჭნაოდან მოპარული დიდი ლურსმნები უკუღმა ჩაარჭვეს მიწაში და თან ქვებით გაამაგრეს. ამ ბოლო თვეს მათ ძალიან უშლიდა ნერვებს მანქანების ღმუილი და აქეთ-იქით ქროლვა. თან თავიანთი მშობლების დასჯაც დიდი ხანია გულით სწყუროდათ.

ერთმანეთის მიყოლებით სკდებოდნენ საბურავები. ბუჩქებში ჩამალულ ზანგოსა და დანგოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით მაშინ გადავიდნენ სიხარულით მალაყებს, როდესაც დანგოს დედამ თავისი ქმრის ლურსმნები იცნო და რატომღაც ყველაფერი მას დააბრალა, თუმცა დანგოს მამის საბურავებიც ისევე გასკდა, როგორც სხვების. დანგოს დედა კი მაინც არ გაჩერდა და ქმარს ერთი ქვაბი სუპი თავზე გადაანთხია. ქმარმა კი გახეთქილ საბურავს ცეცხლი წაუკიდა და გაქცეულ ცოლს ესროლა. მირბოდა დანგოს დედა და მისდევდა ცეცხლწაკიდებული საბურავი. დანგო და ზანგო კი ამის დანახვაზე მხიარულებისაგან ყირაზე გადადიოდნენ და ხორხოცებდნენ.

უფროსმა ურჩხულებმა ახალი საბურავები იყიდეს და ისევ დააგრიალებდნენ ლაპლაპა აჯიუპებს მინგრეულ-მონგრეულ გზებზე, ისევ თელავდნენ ყველაფერს და ისევ ილანძღებოდნენ. ისევ არ ეცალათ თავიანთი შვილებისათვის.

და პატარა ურჩხულები ისევ შეიპყრო მოწყენილობამ.

— მოდი დავიძინოთ — თქვა ზანგომ.

— როგორ უნდა დავიძინოთ, როცა ჯერ შუადღეა, გაგიჟდი? — გადაირია დანგო.

— აბა, რა ვქნათ?

— მოდი, ისევ იმათზე ვილაპარაკოთ...

— მოდი. რა ვთქვათ?

— რასაც ვფიქრობთ. ასე უფრო გავერთობით, არა?

და ისინი ისევ ასცისან სამურიზე, მის ღრუბელზე, ულების ქვეყანაზე, მათ გამარჯვებებზე, დია-დედაზე, იმის ცხვრებსა და ფუტკრებზე და ულების ქვეყნის საბოლოო დამარცხებაზე ალაპარაკდნენ. ბოლოს, ბალახებით მკურნალი ქალი და თეთრი ციყვიც კი გაიხსენეს, ადრე სრულ არარაობად რომ თვლიდნენ.

მერე გაჩუმდნენ. დაბორიალებდნენ მთელ ტყეში სევდიანები და ვეღარაფრით ვეღარ ერთობოდნენ.

— ეგებ კიდევ გამოჩდნენ, — ამოიოხრა დანგომ.

მაგრამ არავინ ჩანდა. და გულგასიებულმა ზანგომ გადაწყვიტა ტყისთვის ცეცხლი წაეკიდებინა.

— გაგიჟდი? — დაიღრიალა დანგომ და ერთი მაგარი მუშტი უთავაზა ზანგოს, რომელიც მთელი თვე აღარ დაეჟეჟა, რადგან ამისი ხალისი დაჰკარგვოდა.

აღარც ზანგოს ანიჭებდა ჩხუბი სიამოვნებას და ამიტომ აღარ უპასუხია დანგოსთვის. უხმოდ მიწვა ხის ძირას და ჩაეძინა. ზანგოც გვერდით მიუწვა და ისიც მალე წაიღო ძილმა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივეს ნაცნობი მუსიკა ჩაეღვარა ყურში. თვალები გაახილეს და გაოგნდნენ: ფაფუკი, ფარდიანი ღრუბელი სულ დაბლა ჰაერში ტივტივებდა, ასცისანი სცე-

ნის ნაპირას იჯდა და თავის სიმებიან საკრავზე უკრავდა. მისი ძმა ნაძვის ტოტზე გაწოლილიყო და მუსიკას სტვენას აყოლებდა.

ზანგო და დანგო თვალებს იფშვნეტდნენ. სად იყო და სად არა, ქალბატონი მკურნალიც არ გამოჩნდა! გრძელი შავი ქოლგა ზურგზე გადაჯვარედინებულ შალში ჰქონდა გაყრილი და ტომარას მოათრევდა, რომელსაც მეორე მხრიდან ისევ ისე აწვებოდა თეთრი ციყვი.

— ბავშვებო! ბავშვებო! — გაიძახოდა „მებალახე“, როგორც მას დანგომ დაარქვა — ველური რეჰანი ვიპოვე, ისევ ამოვიდა, შეიძლება იმიტომ, რომ ამ ვაჟბატონებს ეს ბოლო ხანია აღარ უჩხუბიათ და აღარ გადაუთელიათ ყველაფერი!

— ამას ვიღა ეკითხება, ჩვენ რას ვიზამთ! — ჩაიღრინა ზანგომ.

— როგორა ხართ? — ასცისანი სამური ძირს ჩამოხტა და თავი მიწამდე დახარა.

მათ ვერაფერი უპასუხეს და ყირაზე გადავიდნენ, მაგრამ მერე გაიფიქრეს, მაინცადამაინც დიდი სიხარული არ უნდა შეგვეტყოსო და სერიოზული სახეებით ხის ფესვებზე ჩამოსხდნენ.

— მე მქვია ასტურისი — განაცხადა ბიჭმა და ძირს ჩამოხტა — შენ გქვია დანგო, შენ კი ზანგო, ასე არ არის?

— საიდან იცი? — თვალები დააჭყიტეს პატარა ურჩხულებმა.

— სხვა დროს გეტყვით.

— ახლა კი დროა, სხვაგან წავიდეთ — დაიძახა ასცისანმა და პატარა ურჩხულებს ხელები ჩაჰკიდა.

მეხუთე თავი

იქ, სადაც თამაშობენ და უხარიათ

იქ, სადაც ისინი მივიდნენ, დიდი მხიარულება სუფევდა.

ტრიალებდა კარუსელები, ცაში ადიოდა საქანელები, ირწეოდა ჰამაკები, მიჰქროდა ბავშვების მატარებელი, ტბაში ნავები და იხვები მოჩანდნენ... ერთგან მსახიობები და ცხოველები მართავდნენ წარმოდგენას, მეორეგან აკრობატები...

პატარა ურჩხულებს მაინცადამაინც არავინ აქცევდა ყურადღებას და მათაც მალე გაუარათ პირველმა დაბნეულობამ. ცოტა ხანში ძალიან გამხიარულდნენ, მიირთვეს სველი და მშრალი ნაყინის გრანდიოზული ულუფები, ოცი პარკი ბატიბუტი, ათასნაირი შოკოლადი, ისეირნეს მატარებლით, იტრიალეს კარუსელზე, საიდანაც ზანგო გადმოვარდა და ლოყა დაიჟეჟა. ხოლო დანგო ამის გამო ხარხარს მოჰყვა.

ამ დროს მოხდა უცნაურობა.

—ორი ბავშვი და ორი ურჩხული! დიდებულია! სწორედ თქვენ მჭირდებით! — გაიძახოდა ბებერი ჯამბაზი და სცენიდან უზარმაზარ პეპელას იქნევდა.

დამშვიდდით, ეს სცენის დეკორატიული პეპელა გახლდათ.

ასცისანი და ასტურისი სცენაზე ახტნენ და ურჩხულებიც აათრიეს, რომლებიც მართლა დამფრთხალი ჩანდნენ, რადგან არასოდეს ენახათ სცენა, ისევე, როგორც არ ენახათ არაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა და არსებობდა. მაგრამ ახლა საშინელი ის იყო, რომ ყველას დასანახ ადგილას უნდა დაყუდებულიყვნენ, თუმცა, ვინ დააყუდა! მოხუცმა ჯამბაზმა ოთხივენი ფარდის უკან გაათრია, ამცნო, რომ სპექტაკლში უნდა ჩართულიყვნენ და ორიოდ სიტყვით აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინათ. ზანგოს და დანგოს ევალებოდათ სცენაზე მოწყობილი ციხესიმაგრის აღება და იქედან პატარა დედოფლის — კამრიას — დახსნა. ასცისანს და ასტურისს კი იგი ცაში უნდა აეტაცებინათ და გადაემალათ. ზანგოსა და დანგოს გულებს ბაგაბუგი გაუდიოდათ.

თეატრის დირექტორმა დაიჩოქა, ხელები მათკენ აღაპყრო და შეჰღაღადა:

— გემუდარებით, არ დამღუპოთ! მსახიობები მარწყვით მომეწამლნენ და სპექტაკლი მივარდება!

სცენის წინ ხალხმა შეგროვება დაიწყო. ზანგო და დანგო ფარდის უკნიდან იჭყიტებოდნენ და ხედავდნენ, როგორ მატულობდნენ და მატულობდნენ ადამიანები. მათ თათები ერთმანეთს ჩასჭიდეს, შიშისაგან ლამის ატირებულიყვნენ. მაგრამ აღარც ტირილის დრო იყო, აღარც შიშის და აღარც გაქცევის.

ფარდა გაიხსნა, სპექტაკლი დაიწყო. მოხეტიალე მომღერლებად გადაცმული ასცისანი და ასტურისი სცენაზე გავიდნენ. ორივეს გიტარა ეჭირა ხელში, უკრავდნენ და მღეროდნენ. მათმა სევდიანმა სიმღერამ ყველა მოაჯადოვა, მათ შორის ზანგო და დანგოც. სიმღერა იუწყებოდა პატარა პარაშუტისტი დედოფლის — კამრიას — უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ამბავს. „ის იყო ნამდვილი მშვიდობის გვრიტი“ — მღეროდა და-ძმა.

ზოგი მაყურებელი ქალბატონი უკვე ტიროდა.

უცებ სცენაზე გამოჩნდა „მებალახე“ თავის თეთრ ციყვთან ერთად. პატარა ურჩხულები გადაირივნენ:

—ამას რაღა უნდა აქ, ამ ველურ რეჰანს! ყველგან უნდა ჩაეჩხიროს! დავითრევ ეხლა კუდით იმ ციყვ-სქელუას! — კბილებში ცრიდა ზანგო.

— შენზე სქელუაა? ნუ ღრიალებ, მე მგონი, ეგენიც მსახიობები არიან! — კბილები დაახრჭიალა დანგომ.

— მსახიობები თუ არიან, ჩვენს ტყეში რაღას დაეთრევიან?! — არ ჩერდებოდა ზანგო, ალბათ იმიტომ, რომ ნერვიულობდა.

— ჩვენ ვიცით, საითაც წაიყვანეს აფთრებმა და ბიზონებმა პატარა დედოფალი! — გაიძახოდნენ მკურნალი და ციყვი. ისინი გზას უჩვენებდნენ მეფეს და მის მთავარსარდალს — პარაშუტი კი დარჩათ და ჩვენ გადავმალეთ, აი, ახლავე გაჩვენებთ! — ქალმა თავისი ტომრიდან დაკეცილი ვარდისფერი პარაშუტი ამოათრია.

— ო, ჩემო საწყალო, ჯიუტო გოგონა, რამდენჯერ გითხარი, რომ თავი დაგენებებინა ამ აკვიატებისთვის, აბა რა გოგოს, მით უმეტეს, მეფის ასულის, საქმე იყო თვითმფრინავიდან ხტომა! აი, რა მოხდა! — მეფე თითქმის ტიროდა.

— საყვარელო მეფევ! უნდა გითხრათ, რომ თქვენი გოგონა დიდებულად გადმოხტა, პარაშუტიც დროზე გაიშალა და მიწაზეც მშვენივრად დახტა! და მას იქ ხალხი ელოდა! ხალხი, რომელიც დაღალა ომმა და რომელსაც მშვიდობა სწყურია, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა!

— მართლა? — გაუხარდა მეფეს.

— მართლა! — ხმამაღლა დაიძახეს ქალბტონმა ძირამ და ციყვმა — რა მისი ბრალი იყო, რომ სწორედ ამ დროს დაესხნენ თავს!

ჯარი ნაჩვენები მიმართულებით გაეშურა და მიადგა კლდოვან ციხე-კოშკს, რომლებსაც წითელნისკარტიანჩაჩქანიანი მეომრები იცავდნენ ორ ბიზონსა და სამ აფთართან ერთად.

დაიწყო ბრძოლა რიტმული მუსიკის ხმაზე. მაყურებლები უსტვენდნენ, წიოდნენ და კიოდნენ.

მეფის ჯარი დამარცხდა.

და ამ დროს მოხუცმა ჯამბაზმა ხელით ანიშნა ზანგოს და დანგოს, რომ დადგა მათი გამოსვლის დრო.

ზანგომ და დანგომ ნერვიულობისაგან ისე დაიღრიალეს, რომ ჯამბაზი და თეატრის დირექტორი ერთმანეთს მიაწყდნენ და ციყვი ჰაერში ავარდა. ურჩხულები მართლა ველურად გაიჭრნენ სცენაზე და ბიზონებსა და აფთრებს ეკვეთნენ.

— გამოერკვიეთ! ეს თამაშია! ეს არ არის ნამდვილი ომი! — შიშინებდა კულისებიდან მოხუცი ჯამბაზი, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

პატარა ურჩხულები დაუნდობლად დაასკდნენ ბიზონებს და იატაკზე დასცეს ისინი, ზედ

შედგნენ და დატორეს, აფთრები კი კუდებით დაითრიეს. დაჟეჟილი ბიზონები ღრიალით გაიჭრნენ სცენიდან, აფთრებიც წივილით მიჰყვნენ. მაყურებლის აღტაცებული ყვირილი ლამის ცამდე ადიოდა. ურჩხულებმა კი ციხე-სიმაგრეს შეუტიეს და ორიოდ წუთში ნაცარტუტად აქციეს.

პატარა დედოფალს ურჩხულების დანახვაზე კინაღამ გული წაუვიდა. დანგომ იგი საბრძოლო ბღავილით მოიგდო ზურგზე და მამამისისაკენ გააქანა, ზანგო ველური მალაყებით მისდევდა უკან.

მეფემ გულში ჩაიკრა ძლივს ნაპოვნი შვილი, ოღონდ ურჩხულების სიველურით თავზარდაცემული უკან-უკან იხევდა.

გახარებული მამის დანახვამ ზანგოსა და დანგოს გული აუჩუყა და ისინი ხმამაღლა აზლუქუნდნენ.

მაყურებელი აღტაცებისგან ჭკუაზე გადავიდა და ურჩხულებზე არა ნაკლებ ღრიალებდა. წუთით სიჩუმე ჩამოწვა. უცებ გოგონამ ხელი დასტაცა თავის პარაშუტს და მამამისს შესძახა: „მამა! საყვარელო! არ გაბრაზდე! მე ისევ მივდივარ! ნუ შეშინდები! აღარაფერი მომივა, აი, ამ ორ ურჩხულს წავიყვან მცველებად!“

— ოო, ჩემო შვილო!— მეფემ თავში წაიშინა ხელები, მაგრამ პატარა დედოფალმა მუჯლუგუნებით გაირეკა წინ გამოშტერებული ზანგო და დანგო და სცენის სიღრმეში გაუჩინარდა.

— ყოჩაღ კამრია! ყოჩაღ პატარა ურჩხულებო! ბრავო! ბის! ბრავო! ბის!

ქუხდა აპლოდისმენტები.

მეექვსე თავი

პატარა ურჩხულების მოულოდნელი გადაწყვეტილება

იმ ღამით ზანგო სახლიდან გაიპარა. მეზობლად მცხოვრებ დანგოს საძინებელში გადაფოფხდა ფანჯრიდან და პიჟამოს შარვალი გაიხია.

მათ დილამდე ვერ დაიძინეს, გაუთავებლად ჩურჩულებდნენ, თუმცა ჩურჩული მათთვის ნამდვილი წამება იყო.

ერთი აზრი გასჩენოდა ორთავეს: აქედან უნდა გაქცეულიყვნენ და სადმე სხვაგან ახალი ცხოვრება დაეწყოთ. მაინც სად, მაინც როგორი, ჯერ არ იცოდნენ. მარტო ის იცოდნენ, რომ ასე ცხოვრება აღარ შეეძლოთ.

— ეგებ იმ პატარა პარაშუტისტ დედოფალს გავყვეთ მართლა მცველებად? — იკითხა ზანგომ.

— კამრიას? — მხრები აიჩეჩა დანგომ — ეგ ხომ სინამდვილეში არ არსებობს, ეგ ხომ მარტო სცენაზე ხდება!

— კი, მაგრამ ულების ქვეყანაც ეკრანზეა, მაგრამ ხომ არსებობდა?— თავს იფხანდა ზანგო.

— ასცისანთან ხომ არ წავიდეთ?

— რომ არ ვიცით, სად ცხოვრობს? ეგენი უცბად ჩნდებიან და უცბად ქრებიან, როცა თვითონ მოესურვებათ.

— იმ ველურ რეჰანს ვკითხოთ, ის ხომ მუდამ აქ, ტყეში დაბორიალობს, ან ის სქელუა ციყვი დავიჭიროთ.

— ასცისან სიმური გაბრაზდება, და ისიც, ასტურისიც. თუ გაიგო, რომ ციყვს ვაწყენინეთ, ალბათ ისევ გირჩებს დაგვაყრის და დაგვაკოპიანებს.

— ჰო, ეგეთები არიან, უცნაურები, ჩხუბს ვერ იტანენ. ჩვენ კი გვიყვარს.

— და რატომ არიან ეგეთები?

— ეტყობა, ცხოვრებაში სულ კარგ რამეებს ხედავდნენ და მხიარულობდნენ.

— ჰო, ალბათ.

უკვე თენდებოდა, როცა პატარა ურჩხულებს ჩაეძინათ. დანგოს თავის საწოლში, ზანგოს — იქვე, დივანზე.

დილით დანგოს მამამ შემოიხედა და დივანზე ზანგო რომ აღმოაჩინა, დაეძგერა, ჰაერში აიტაცა, ფანჯრის საკეტს წიხლი ჰკრა, გარეთ გაანგრია და მძინარე პატარა ურჩხული ჰაერში გაისროლა.

ზანგომ საშინელი ზღართანი გაადინა მიწაზე და აკანკალდა... ამ დროს მამამისი შემოგრიალდა თავისი აჯიუპით. ის ზანგოს ეძებდა. დაინახა ძირს დანარცხებული შვილი და არც არაფერი უკითხავს, გადმოიღო მანქანიდან იარაღი და დანგოს სახლს ცეცხლი გაუხსნა. იქიდანაც არ დაახანეს. დანგოს მამამ ტყვიამფრქვევით უპასუხა.

— ვაიმე, დანგო რომ მოკლას, როგორღა გავიქცევი? — გაიფიქრა ზანგომ და მამამისს მაჯაში კბილებით ჩააფრინდა.

იგივე გაიფიქრა დანგომაც, მამამისს ზურგიდან მოახტა და თავზე საბანი ჩამოაფხატა.

აღარ გავაგრძელებ ამ საშინელი სცენის აღწერას, თავადაც მიხვდებით, რომ მამებმა შვილები გვარიანად დაალილავეს. მაგრამ ეს ახალი არ იყო. ახალი ის იყო, რომ ზანგომ და დანგომ პირველად დაიცვეს ერთმანეთი და იმავე დღეს სამუდამოდ დატოვეს სახლები.

უკვე ტყიდან გადიოდნენ, რომ ძალიან მოშივდათ.

— ის ველური რეჰანი მაინც გამოჩნდებოდეს, რაღაცას მაინც ჩაგვაცეცხლებდა, ექნებოდა რამე იმ ტომარაში— აბუზღუნდა დანგო და ხის ფესვებზე ჩამოჯდა.

— მაგას ძირა ჰქვია, გავიგონე, თეთრი ციყვი რომ ეძახდა.

— სქელუა? ეგ მაინც იყოს აქ სადმე, კაკლებს და თხილებს მოგვიგროვებდა.

— კი მაგრამ რატომ მოგვიგროვებდა, დანგო, ჩვენ რა გაგვიკეთებია მაგათთვის კარგი?

— ჰოო... — თავის ფხანა დაიწყო დანგომ — რა ვქნათ, აბა, ზოგს კარგის გაკეთება სიამოვნებს, ჩვენ ცუდის გაკეთება გვიყვარს. ეგ გვამხიარულებს. ასეთები ვართ.

— ეგებ კარგის გაკეთებაც მოგვეწონოს?

— არა, მაგით ვერ გავერთობით.

— ხომ მოგვეწონა, პატარა დედოფალი რომ გავათავისუფლეთ იმ დეგენერატი ბიზონებისაგან! გახსოვს, რა კარგ ხასიათზე ვიყავით?

— აუ, რას გარბოდნენ ის ბიზონები და აფთრები თუ ოხრები! ჰო, მართლა კარგ ხასიათზე ვიყავით, სულ ყირაზე გადავდიოდით! მაგრამ ეგ სცენაზე იყო!

— ეგებ ცხოვრებაშიც მოგვეწონოს?

— რა გავაკეთოთ კარგი, აბა? თავში არაფერი მომდის.

ამ დროს თავზე კაკალი და თხილი დაეყარათ. აიხედეს და თეთრი ციყვი დაინახეს.

— ეს ჩვენ? — იკითხა დანგომ.

ციყვმა თავი დაუქნია და მეორე ხეზე გადახტა.

— მოიცა! მოიცა! — აყვირდნენ ურჩხულები — არ წახვიდე, ნუ გეშინია! რატომ მოგვიტანე საჭმელი?

— იმიტომ რომ მეცოდებით — ხმის კანკალით წარმოთქვა ციყვმა. ურჩხულები საშინლად დაიბნენ. ასეთი რამ ჯერ არავის ეთქვა მათთვის. არ იცოდნენ, გაბრაზებულიყვნენ, თუ არა. დასხდნენ და კაკლისა და თხილის დამტვრევა დაიწყეს. ციყვმა კიდევ ორჯერ ჩამოაყარა თავზე ნუგბარეული. ურჩხულებმა ჯერ სულ გაარჩიეს და მერე ერთბაშად გადაუძახეს პირში.

— საიდან გქონდა ამდენი თხილ-კაკალი, ასე ერთბაშად რომ მოგვართვი?— მედიდურად დაინტერესდა დანგო, თუმცა სულაც არ უნდოდა ამის კითხვა.

— ეგ ჩემი ზამთრის მარაგი იყო — თქვა ციყვმა და ისევ მეორე ხეზე ისკუპა, იქიდან სხვაზე და გაქრა.

— რატომ წავიდა? — გაღიზიანდა დანგო — მინდოდა ასცისან სამურის ამბავი მეკითხა.

— ალბათ იმიტომ, რომ მადლობა არ ვუთხარით.

— ზანგო, რა არის შეცოდება?

— არ ვიცი.

— ის ხომ არ არის, რატომაც ჩვენ ბიზონები და აფთრები გადავჯეგეთ და მერე ციხესიმაგრე დავანგრიეთ პატარა დედოფლის გულისთვის?

— შენ გინდა თქვა, რომ ჩვენ ის პარაშუტისტი დედოფალი შეგვეცოდა?

— ჰო, რაღაც ეგეთი.

— არა მგონია. მე უბრალოდ თავის გამოჩენა მინდოდა, საშინლად მეშინოდა, ვაითუ დავმარცხდე-მეთქი. გატაცებულ დედოფალზე არც ვფიქრობდი.

— ჰოო... მე მგონი, მეც მასე ვიყავი...

— რა ჰქვია იმ პარაშუტისტ დედოფალს?

— კამრია.

— აუ, რა სულელური სახელი აქვს, არა?

— რა ვიცი.

შემდეგ ისინი დიდხანს იხსენებდნენ იმ არაჩვეულებრივ დღეს, ასცისანთან და ასტურისთან ერთად რომ გაატარეს სიცილის ქალაქში, იხსენებდნენ ნაყინს და შოკოლადს, კარუსელებსა და მატარებელს, ჟამბაზებსა და თეატრის დირექტორს, პარაშუტისტსა და მის მეფე-მამას, ბიზონებს და აფთრებს.

— გახსოვს, როგორ გვეჩხუბა ასცისან სამური?

— როგორ არა! ესე გვიძახდა: მართლა ურჩხულები ყოფილხართ! ეს ხომ სცენაა, თეატრია! რატომ დაჟეჟეთ ბიზონები და აფთრები, ისინი ხომ საწყალი მსახიობები არიან! რატომ გაანადგურეთ მუყაოს სასახლე? აუ, რა სასაცილო იყო!

— მაყურებლებს მაგრა მოეწონათ! გაგიჟდნენ პირდაპირ!

— დაგლიჯა! ნეტავ, კიდევ გვათამაშა იმ თეატრში!

— ნეტავ, ის პატარა დედოფალი სად წავიდა, ან ცხოვრებაში ვინ არის?

ახლა პატარა ურჩხულებს იმდენი ჰქონდათ სალაპარაკო, რომ ჩხუბისთვის ვეღარც კი იცლიდნენ, რაც მთავარია, ჩხუბით მაინცადამაინც ვეღარ ერთობოდნენ, რაც ზემოთაც გითხარით.

მეშვიდე თავი

პარაშუტი ტყეში დაეშვა

უცბად, სად იყო და სად არა, მათ წინ ბალახიან მინდორზე პარაშუტი დაეშვა და მიწაზე დამხობილ, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილ გოგონას გადაეფარა.

—პატარა დედოფალი! — ერთდროულად დაიღრიალეს ზანგომ და დანგომ და ფეხზე წამოხტნენ.

მაგრამ პარაშუტის ქვეშ გოგონა არ ინძრეოდა.

— რა მოუვიდა? — დაბნეული კითხულობდა დანგო.

— ხომ არ მოკვდა? — შიშით უახლოვდებოდა შუაში ამობურცულ პარაშუტს ზანგო.

— მოკვდა? — დანგომ იგრძნო, რომ გულში თითქოს ხიჭვი შეერჭო. ასეთი რამ არასოდეს განეცადა. —ეგებ ეს არის შეცოდება? — გაიფიქრა მან.

ზანგომ შიშით გადახადა პარაშუტი. გოგონა მართლაც თვალდახუჭული იწვა და შუბლზე სისხლის ნაკვალევი ეტყობოდა.

— ოჰოჰოა! აუ! იუ! აუუუუ! — ეს ზანგო იყო, რომელიც შიშით აზმუვლდა და აყმუვლდა და თან პარაშუტის გარშემო დაიწყო უაზროდ სირბილი.

რაიმე უფრო ჭკვიანური არც დანგოს მოსვლია თავში: რატომღაც ერთი დიდი ტოტი ჩამოამტვრია, ხეს ურტყამდა და საზარი ხმით გაიძახოდა:

— გვიშველეეთ! სად ჯანდაბაში გადაიკარგე სქელუა ციყვო! გვიშველეეთ!

— იდიოტო! სქელუას რომ ეძახი, აქ მოგისკუპდება? — ისე ჩასცხო ზანგომ დანგოს, რომ სირბილი და ველური ხმების გამოცემა არ შეუწყვეტია.

— გვიშველეეეთ! აქ მკვდარი გოგო წევს! ჩვენ ცოცხალ გოგოებსაც არ ვიცნობთ და მკვდარს რა უნდა ვუყოოოოოთ!

— ვერ ხვდები, სისულელეს რომ როშავ! „მკვდარ გოგოებს რა უნდა ვუყოოთ!“ ნეტავ შენს მაგივრად ნორმალური მეზობელი მყოლოდა! — დაიყმუვლა ზანგომ.

— შენ თვითონ ნორმალური ხარ? რას დარბიხარ წრიულად და ყროყინებ, ლამის დავყრუვდე! თუ მკვდარი არ არის, რატომ არ ახელს თვალებს! სულ ერთია, იმ ჩასუქებულ ციყვს და ტომრიან მებალახეს მაინც გავაბრტყელებ! სად ოხრობაში გადაიქაჯნენ! ამას კი ნეტავ რა მოუვიდა? — დანგო წამით დააშტერდა გოგონას.

— მოდი, გავჩუმდეთ. ეგებ ასე უფრო გაცოცხლდეს! — თქვა ზანგომ და ზმუილ-ყმუილი შეწყვიტა.

გაჩუმდნენ და ნელა მიუახლოვდნენ პატარა, თვალებდახუჭულ პარაშუტისტს. მასთან მთლად ახლოს ჩაიმუხლეს. მაგრამ შეხებას ვერ ბედავდნენ, მხოლოდ სახეზე დაჰყურებდნენ.

უცებ დანგომ თავი ჩაქინდრა და ატირდა.

— რა მოგდის? რატომ ახვიხვინდი? ან წყლები რატომ ჩამოგდის ლოყებზე?— ზანგო გაოგნებული შეჰყურებდა. მერე ფოთოლი მიადო ყვრიმალზე და წვეთები შეაგროვა. იგი საშინლად განაცვიფრა ტირილმა და ცრემლებმა, რადგან ურჩხულების ტყე-ქალაქში მსგავსი რამ არასდროს ენახათ.

დანგოც თავზარდაცემული ჩანდა, რა თქმა უნდა, არც მას ესმოდა, რა ემართებოდა, მით უმეტეს, რომ სლუკუნსა და ცრემლებს ვეღარ იჩერებდა.

— მე მგონი, მეც ვკვდები, აბა რატომ გადმომდის წყლები თვალებიდან? ალბათ გადამდებია სიკვდილი, ასე ახლოს არ უნდა დავმჯდარიყავი მკვდარ გოგოსთან! აი, რომ ვუყურებ, წყლები გადმომდის თვალებიდან, რადგან მაგონდება, როგორი ხალისიანი იყო, ახლა კი აქ დაგდებულა და ვეღარ ინძრევა! მეც ასე მომივა! — აბღავლდა ბოლოს და ქოშინი და ცრემლების ფრქვევა მთლად გაუძლიერდა.

— მერე, შენც თუ ასე დახუჭე თვალები და გაიშოტე, მე რაღა მეშველება? — ზანგო შიშისაგან კანკალებდა. — რა უნდა გეშველოს, შენც მოკვდებიი! — დანგო აუტანლად ზლუქუნებდა.

— ვაიმე, ვაიმე, გვიშველეეეთ! სადა ხარ თეთრო ციყვო! სადა ხართ ქალბატონო მებალახევ! აუუუ! უაააა! აქ ერთი მკვდარი გოგოა და ერთი ურჩხული, რომელიც კვდებაააა, და მეორეც, რომელიც მალე დაიწყებს მოკვდომაას!

ზანგო ისევ აყმუვლდა და სირბილს მოჰყვა.

უცებ თეთრი ციყვი ჩამოხტა ხიდან და გოგონასთან მიირბინა, წამის შემდეგ ბალახებით მკურნალიც გამოჩნდა, რომელიც ტომარას მოათრევდა.

— ეგებ მიეშველოთ?! — ბრაზიანად ჩაიფხუკუნა ციყვმა.

— მე როგორ უნდა მივეშველო, როდესაც ვკვდები? — შეჰღაღადა დანგომ.

— სისულელეა! კი არ კვდები, უბრალოდ ტირი! ეს ტირილია!

ზანგო ბუმბულივით მოარბენინებდა ბალახებით სავსე ტომარას.

— და რატომ ვტირი? — ზლუქუნებდა დანგო.

— რა ვიცი. საერთოდ, ცხოველები არა ტირიან. ადამიანები კი ტირიან, როდესაც სხვა ვინმე ან თავიანთი თავი ეცოდებათ, ან როდესაც რაღაც სტკივათ, ან როდესაც რაღაც ძალიან უხარიათ და მოსწონთ...

— ჯერ ერთი, მე ცხოველი არა ვარ, მე ურჩხული ვარ! მეორეც, არაფერიც არა მტკივა! — დანგომ ტირილი შეწყვიტა, ჩანდა გაყოჩაღდა.

— მაშასადამე, გეცოდება ან გიხარია.

— არაფერიც არ მიხარია!

— მაშასადამე, გეცოდება.

— ვინ?

— ან შენი თავი, ან პატარა დედოფალი.

დანგოს უნდოდა პირში მიეხალა, არავინაც არ მეცოდებაო, მაგრამ არ გამოუვიდა.

ციყვი კუდით უნიავებდა თვალებდახუჭულ გოგონას.

— აბა, რაშია საქმე? — ბალახებით მკურნალმა ყველანი მისწი-მოსწია, გოგონას ყური დაადო გულზე, ცოცხალიაო, დაიძახა, ტომრიდან რაღაც სითხით სავსე მწვანე ბოთლი ამოიღო და სახე მოჰბანა. მერე რაღაც წვეთები ჩააწვეთა პირში ერთი ციცქნა ფლაკონიდან, გრძელი ქვედა ბოლოს უზარმაზარი ჯიბიდან რომ ამოაძვრინა. მერე საფეთქლები დაუზილა მალამოთი, გულის ჯიბეში რომ ჰქონდა გადამალული და მერე თავი წამოაწევინა.

პატარა დედოფალმა თვალი გაახილა და წამოჯდა.

— ვაიმე, მე მგონი ჯოჯოხეთში ვიყავი, ჩემს ირგვლივ ეშმაკები დარბოდნენ და საშინლად ღრიალებდნენ, ზოგჯერ მგლებივით ყმუოდნენ და ძროხებივით ზმუოდნენ. თვალის გახელას ვერ ვბედავდი... — გოგონა დაბნეული შეჰყურებდა ყველას.

— ეგ ჩვენ ვიყავით, — ამაყად უპასუხეს სახეგაბადრულმა ურჩხულებმა.

— მაგ ღრიალს, ჯობდა, მცველებად წამომყოლოდით, მაშინ ვეღარ დამესხმოდნენ თავს! — პარაშუტისტი კოჭლობით წამოდგა.

— მცველებად? ეგ ხომ სცენაზე იყო? შენ რა მართლა პატარა დედოფალი ხარ? — ზანგო და დანგო თვალებს აჭყეტდნენ.

— ძალიან გთხოვთ, თვალებს ნუ აჭყეტთ, გული მისკდება, და საერთოდ, რაც ცხოვრებაშია, ის სცენაზეა!

— ვინ დაგესხა თავს, საყვარელო, ისევ ისინი? — ჩანდა, მკურნალი, ციყვი და პარაშუტისტი ერთმანეთის ახლობლები იყვნენ.

— არა, დეიდა ძირა, ამჯერად ჰაერში დამესხნენ თავს, ჰაერის მეკობრეები იყვნენ, შავი გემებით რომ დაცურავენ ჰაერის ზღვაში.

— და რას ეძებენ? თვითმფრინავებს ძარცვავენ? — ციყვი უკვე ტოტზე შემომჯდარიყო.

— არაა... მათ სიმდიდრე არ აინტერესებთ. ისინი ჩვენ გვებრძვიან, დიდი დაგის ორდენს... ძლივს გადავრჩი, პარაშუტის თოკები გადამიჭრეს.

— დაგი? დაგ? — ვაიმე, საიდანღაც მეცნობა ეს სიტყვა — თავის ფხანას შეუდგა დანგო.

— მეც, — საკუთარი ყურების გრეხას მოჰყვა ზანგო.

— ვინ თქვა, ვინ თქვა, ვინ თქვა, ვინ თქვა! — ვეღარ ჩერდებოდნენ ურჩხულები.

— კარგი, გაჩერდით! — დაიყვირა გოგონამ — მერე ხმას დაუწია და ძალიან სერიოზულად წარმოთქვა: —ასცისანი გეტყოდათ.

— აუუუ! გლიჯავს! სწორეაააა! დაგ-დაგ-დაგ! — აყვირდა ორივე, მაგრამ გოგონამ მკაცრად ასწია ხელი და გააჩუმა.

მერე თვალებში ჩახედა მათ და წარმოთქვა:

— დაიმახსოვრეთ. ამ სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმა არ შეიძლება, თორემ მართლა მოკვდებით.

ურჩხულებს ტანში ჟრუანტელმა დაუარა და ხმა ჩაუწყდათ.

— ეს მართლა ვიღაც უცნაური გოგოა, ნეტავ დაეჯერებინა მამამისისთვის და შინ დატეულიყო, რას გადაგვაწყდა! — ჩაულაპარაკა ზანგომ დანგოს, — ჩვენ გოგებთან ვერ ვიმეგობრებთ, ახირებულები ჩანან, მით უმეტეს, პარაშუტისტები!

— აბა, რა ვქნათ, მარტოები დავრჩებით და ისევ მოწყენილობა დაგვახრჩობს.

— შენ რაღა გქვია, მაგალითად? — აგდებით ჰკითხა ზანგომ თეთრ ციყვს, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა.

— აფაგულა, — მორიდებულად ჩაილაპარაკა ციყვმა.

— ვაიმეეე, დედაა, მიშველეეთ! — აყროყინდა ზანგო, — ა-ფა-გუ-ლა-ო! აფა – ვა, ჰა, ჰა, ჰა! — გულა! უა, უა, ამისთანა ბრიყვული სახელი ხომ ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია!

— ვა�ა, ჰა, ჰა! —საზარლად ახორხოცდა დანგოც, — აფა-ფა-გულ-გულა! ვუუუ! აიაუა!

ციყვს ცრემლები მოერია და თავისი ფაფუკი კუდი გულში ჩაიკრა.

— ხმა! შეწყვიტეთ ახლავე! ხმა! რა საზარლად ხორხოცებთ, ღმერთო ჩემო! — ფეხები დააბაკუნა პატარა დედოფალმა და ჯოხსაც დასტაცა ხელი.

მერვე თავი

ვის მოსვლასაც ნატრობდნენ

უცებ ნაცნობი, საყვარელი მუსიკა გაისმა.

ურჩხულებს ხმა ჩაუწყდათ. მათ დაინახეს, რომ ასცისანი ნაძვის ტოტზე ჩამომჯდარიყო და უკრავდა.

ზანგო და დანგო სიხარულისაგან მალაყებს გადავიდნენ. მათ ისე საშინლად ენატრებოდათ ცისარტყელიან-შლაპიანი და-ძმა, რომ ბოლომდე ერთმანეთსაც არ უმხელდნენ.

— სად გაქრით ამდენი ხანი? თქვენ სულ ასე უნდა გაქრეთ ხოლმე?— ჩხუბის კილოზე წამოიწყო დანგომ.

— შენ რა გენაღვლება, დანგო, — ასცისან სამურმა საკრავი ტოტზე ჩამოკიდა და ჩამოხტა. — თქვენ დედათქვენი ვეღარ გაგაკონტროლებთ, იმიტომ რომ სახლიდან გაიქეცით, დედაჩემისგან გაქცევა კი ძნელია. როცა ბრაზდება, ალმასის კარავში გვკეტავს ხოლმე...

— ალმასის კარავი რაღა უბედურებაა, არ გცივათ შიგ? ალმასის მე საყურეები გამიგია, დედაჩემსა აქვს...

ამ დროს ქალბატონმა ძირამ ასცისანი და ასტურისი განზე გაიყვანა, თავებზე ხელი შემოხვია, შუბლებით შუბლზე მიიკრა და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— ურჩხულებმა უკვე ისწავლეს მონატრება, შებრალება, ტირილი, სევდა და მხიარულება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი საფეხური წარმატებულად გაიარეს, თქვენც ხომ იცით, უმეტესობა პირველივე საფეხურზე მარცხდება და ვერაფრით ვერ სწავლობს თანაგრძნობას. ესენი კი ისეთ დღეში ჩავარდნენ, როცა კამრიას პარაშუტი ძირს ჩამოვარდა! მადლობა მშვიდობის თავადს, რომ კამრიაც გადარჩა და ურჩხულებმაც არ მიატოვეს იგი! ნამდვილად განიცადეს მისი გასაჭირი. თვითონაც ვერ ხვდებოდნენ, რა დაემართათ, მათთვის ხომ ეს გრძნობა აქამდე უცნობი იყო! შებრალებისაგან გული რომ ეტკინათ და თან დანგომ ტირილი დაიწყო, ეგონათ, ვკვდებითო (სამივე კეთილად ახითხითდა)! წარმოიდგინეთ, ასცისან-ასტურის, ცრემლი არ იცოდნენ რა იყო! გესმით, როგორ მუშაობენ ჰაერის მეკობრეები, ურჩხულები რა მოსატანია, როცა უკვე მილიონობით ადამიანის თვალებში გააქვავეს ცრემლი, რადგან ეგენი ხომ გულზე ნადირობენ!

— მაგას ამბობს დიდი დაგიც! — მოწიწებით და ჩუმად წარმოთქვა ასცისან სამურიმ — ცის მეკობრეები გულის სილბოზე ნადირობენო! მათთვის ეს საუკეთესო ნადავლია!

— სილბოზე, დროზე, სიტყვებზე! რაზე აღარ! არამზადები! უკვე იმდენი კარგი სიტყვა მოიპარეს ენებიდან და თავიანთ ციხეში ჩაკეტეს! სამაგიეროდ, იმდენი საზიზღარი სიტყვა შეგზავნეს ენებში!

— და დრო?! სულ უფრო მეტ დროს პარავენ ადამიანებს და მათაც ვეღარაფერი გაუგიათ და გაიძახიან, დრო არა გვაქვს, დრო არა გვაქვსო. მერე ყველა ასეთი ჭკუაგამოცლილი მაგათ არმიაში ეწერება!

— ჩუუ! ახლა მაგის დრო არ არის! — აშიშინდა ასტურისი, — პატარა დედოფალს მართლა სჭირდება მცველები. დიდი დაგის თანხმობა უკვე გვაქვს და თუ ეს ორი პატარა ურჩხული შერიგებასაც ისწავლის, შეიძლება ისევ თანდათან გადაიქცნენ ულებად. აი, მაშინ კი პატარა დედოფალს შიში აღარ უნდა ჰქონდეს! ცის მეკობრეები ასე ადვილად ვერ მოერევიან ულებს — ზანგოს და დანგოს!

— აბა დავიწყოთ, მადლობა მშვიდობისა და შერიგების თავადს!

ამასობაში ზანგოს და დანგოს ისევ ჩხუბი მოსვლოდათ. პატარა დედოფალი და თეთრი ციყვი ამაოდ ცდილობდნენ მათ გაშველებას, ზანგომ მაინც მოასწრო და დანგოს ცხვირზე უკბინა.

ასცისანი ხეზე აფრინდა, თავის საკრავს მისწვდა და დაკვრა დაიწყო. ურჩხულები შეჩერდნენ. ხის ფესვებზე ჩამოსხდნენ და გაირინდნენ.

— კარგია, ეს მუსიკა რომ გამშვიდებთ! — წარმოთქვა ასტურისმა, რომელიც ნაძვის ტოტზე იდგა და ოდნავ ირწეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ გირჩების მოშველიება დამჭირდებოდა! — და მან ყველას დაანახვა ორი უზარმაზარი გირჩი.

ქალბატონ ძირას კოცონი გაეჩაღებინა. ისა და ციყვი აფაგულა გრძელ ჯოხზე წამოცმულ მსუქან სოკოებს წვავდნენ. ყველანი კოცონს შემოუსხდნენ, დაწყნარდნენ და დანაყრდნენ. თუმცა, ციყვს რომ შეხედავდნენ, ურჩხულებს ისევ ჩუმი ხითხითი აუტყდებოდათ ხოლმე.

შემდეგ ასცისანმა ისევ დაუკრა და იმღერა...

დღე იწურებოდა. მზის სხივები ნელა მიიკრიფებოდნენ წიწვებითა და ფოთლებით მოფენილი მიწიდან. ისმოდა ჩიტების უკანასკნელი, სუსტი ამოსტვენები.

— ზანგო და დანგო, ახლა ყურადღებით მისმინეთ! —წამოიწყო ასცისანმა, — და მიპასუხეთ: ვინ ხართ თქვენ ერთმანეთის?

— არ გვესმის, რას გვეკითხები! არ ვიცით, ვინა ვართ, ჩვენა ვართ ზანგო და დანგო! — წამოიძახა ზანგომ.

— კარგად დაფიქრდით, ურჩხულებო! — გააგრძელა ასტურისმა, — ვინა ხართ თქვენ ერთმანეთის: მეზობლები, ნათესავები, თანამშრომლები, თანაკლასელები, მტრები თუ მეგობრები?

ურჩხულები საშინელ გუნებაზე დადგნენ, რადგან არ იცოდნენ რა ეპასუხათ.

— რას ნიშნავს თანამშრომლები? — დიდის ამბით იკითხა დანგომ, ვითომც ეს იყო მნიშვნელოვანი.

— თანამშრომლები არიან ისინი, ვინც ერთად მუშაობენ.

— ჩვენ არ ვიცით მუშაობა, იმიტომ რომ არ გვიყვარს,— თავი მოიქექა ზანგომ.

— თანაკლასელები? ეგებ თანაკლასელები ხართ! სკოლაში არ დადიხართ?

— არა! — ამაყად განაცხადა დანგომ, — სკოლა იდიოტობაა, ჩვენ მხოლოდ პირველ კლასში დავდიოდით იმ იდიოტობაში!

— მაშ, ვინ ხართ ერთმანეთის? მტრები?

— ნუუუ... ძალიან მტრები არა ვართ. ცოტათი ვართ.

— მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ყოველ წუთს ერთმანეთი დაჟეჟოთ და დაალილავოთ,

თუმცა, ერთმანეთის გარდა არავინა გყავთ, ჩვენ კი ისევ გავქრებით ... — სევდიანად ჩაილაპარაკა ასცისანმა.

ზანგო და დანგო მძიმე დღეში ჩაცვივდნენ. მათ არ იცოდნენ, ვინ იყვნენ ერთმანეთის. თანაც, ესენი ყველანი ისევ აპირებდნენ სადღაც ეშმაკებში გადაკარგვას. ისევ მარტო უნდა დარჩენილიყვნენ თავიანთ გაურკვეველ, ბუნდოვან გზაზე.

— ზანგო და დანგო, არ გინდათ შერიგდეთ და მეგობრები გახდეთ? — ასცისანი, ასტურისი, ქალბატონი ძირა, პატარა დედოფალი და თეთრი ციყვი სევდიანი და დაძაბული მზერით შესცქეროდნენ პატარა ურჩხულებს.

— და მერე მაგით რა მოხდება? — ისევ თავის ფხანა აუტყდათ ზანგოს და დანგოს.

— ნუუუ... — დაიბნენ დანარჩენები, — ძალიან კარგი რამ მოხდება: თქვენ მარტოები აღარ იქნებით, გინდაც სხვა არავინ იყოს თქვენთან.

ასცისანმა ნელა ჩამოუსვა ხელი სიმებს.

— და თუ ერთმანეთის მეგობრები გახდებით, მაშინ ჩვენთანაც შეძლებთ მეგობრობას. ჩვენ სულ ახალ-ახალ მეგობრებს ვეძებთ.

სიმები სათითაოდ და გულში ჩამწვდომად ზუზუნებდნენ. მზის სხივები მთვარის სხივებს ეგებებოდნენ. ტყე შრიალებდა.

— და საერთოდ, მეგობრობაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. და თქვენ ბედნიერები იქნებით. —ეს პატარა დედოფალი იყო, ოცნებაში წასული ლაპარაკობდა.

—რა არის ბედნიერება? —იკითხეს ურჩხულებმა.

— ბედნიერება სიყვარული და მეგობრობაა. თქვენ ერთმანეთი გეყვარებათ და ერთმანეთს უერთგულებთ. ეს კი დიდ სიხარულს მოგიტანთ.

— ჩვენ ისედაც გახარებულები ვართ! — ჩაიბუზღუნეს ზანგომ და დანგომ.

— არა ხართ. თქვენ ახლა სწავლობთ სიხარულს, — ასცისანმა კიდევ ერთხელ ჩამოუსვა ხელი სიმებს და განაცხადა: — საუბარი დამთავრებულია. იყავით ისე, როგორც ხართ. შერიგება ძალათი არ შეიძლება. ჩვენ მალე წავალთ.

სიჩუმე ჩამოწვა.

— რეგვნებო! — უცებ კბილებში გამოსცრა პატარა დედოფალმა, — არაფერი ხეირი თქვენგან არ არის! იძულებული ვარ სხვა მცველები მოვძებნო!

მეცხრე თავი

ხანძარი არც ისე მოულოდნელად იწყება

ამ დროს ცეცხლი ავარდა ტყიდან. ასცისანი და ასტურისი ცაში აფრინდნენ.

— ურჩხულების ტყე-ქალაქი იწვის! ყველაფერი ფეთქდება! ჩქარა, ჩქარა, აქეთ გამოიქეცით!

ისინი ხეების თავზე მიფრინავდნენ, ციყვი ხიდან ხეზე მიხტოდა და მიწაზე დარჩენილებს გზას უჩვენებდა.

ზანგო და დანგო უზარმაზარი ნახტომებით მისდევდნენ აფაგულას.

პატარა დედოფალი ნატკენ ფეხს ძლივს მიათრევდა, ქალბატონ ძირას ისედაც უჭირდა სირბილი, ახლა კი ტომარა, რომელსაც არასდიდებით არ უშვებდა ხელს, უარესად ამძიმებდა.

ზანგო, დანგო და თეთრი ციყვი უკვე სამშვიდობოს იყვნენ, ასცისანსა და ასტურისს საფრთხე ისედაც არ ელოდათ, რადგან რა სიმაღლეზეც უნდოდათ, იმ სიმაღლეზე აფრინდებოდნენ, აი, პატარა დედოფალი და ქალბატონი ძირა კი აღარსად ჩანდნენ, ისინი

უბრალოდ ბოლმა დაფარა. ზანგო, დანგო და თეთრი ციყვი სულს იბრუნებდნენ მდინარის პირას. ასცისანი და ასტურისიც დაეშვნენ მათთან, მაგრამ პატარა დედოფალი და ქალბატონი ძირა რომ ვერ დაინახეს, ტყეში დააპირეს შეფრენა.

— ნუ შეფრინდებით! გემუდარებით! — ქვითინით დაუჩოქა მათ თეთრმა ციყვმა, — ხომ იცით, რომ თქვენი დაღუპვა არ შეიძლება! თქვენ ფრთებს მაშინვე ცეცხლი წაეკიდება. და დედათქვენი! რას მოიმოქმედებს, ვინ იცის! გემუდარებით!

— შენ დარჩი, ასცისან, მე მარტო შევფრინდები, ეგ არის, რომ ბოლმა თვალები ამიმღვრია და თითქმის ვეღარაფერს ვხედავ. მთელი ტყე-ქალაქი ამოიბუგა! არც ერთი ურჩხული აღარ დარჩა, თუ ზანგოს და დანგოს არ ჩავთვლით...

— არა, ასტურის! — თეთრი ციყვი ფეხებზე ჩამოეკიდა მას — ეს უაზრო მსხვერპლი იქნება!

— მთელი ტყე-ქალაქი? ყველა ურჩხული? ჩვენი დედებიც და მამებიც?— ზანგოს და დანგოს ცრემლები წასკდათ, თუმცა მშობლებისაგან კარგი თითქმის არაფერი ახსოვდათ.

— დედა! მამა! — ჩუმად ქვითინებდნენ ორივენი, არ იცოდნენ, რა ექნათ საშინელი სევდისთვის. რაც წამოიზარდნენ თითქმის აღარ ეძახდნენ მამას „მამას“ და დედას „დედას.“ მაგრამ ახლა მაინც ტკივილი, სინანული და სიცარიელე იგრძნეს. „ჩვენ ახლა ობლები ვართ“ — თქვა ზანგომ და თავი ჩაჰკიდა.

უცებ დანგომ რაღაც წამოიძახა, წამოხტა და ბოლში შევარდა. ზანგო წამით შეყოყმანდა და მერე ისიც ფეხდაფეხ მიჰყვა.

დანარჩენებმა დაიჩოქეს და ცისკენ აღაპყრეს თვალები. ისინი მშვიდობის თავადს უხმობდნენ.

ბოლი ნელ-ნელა იფანტებოდა. ჯერ დანგო გამოჩნდა, ზურგით პატარა დედოფალს მოათრევდა. მერე ზანგო, რომელსაც ასევე მოეკიდებინა ზურგზე ქალბატონი ძირა და მისი ტომარა. დაქანცული და ალაგ-ალაგ დამწვარ-შეტრუსული ურჩხულები პირქვე დაეყარნენ მიწაზე. ასცისანი და თეთრი ციყვი პატარა დედოფალს ასულიერებდნენ, ასტურისი კი — ქალბატონ ძირას.

დანგომ დამწვარი თათი ზანგოს გადახვია კისერზე. ორივეს მიწაში ჰქონდა სახე ჩარგული. ისეთი ღონეგამოცლილები იყვნენ, ვერც ერთი ვერ სწევდა თავს მაღლა. ზანგომაც ნელა გაახოხიალა დამწვარი თათი და ზურგზე დაადო დანგოს. იწვნენ ასე და მიწაში იღვრებოდა მათ შეტრუსულ წამწამებს შორის გადმოდენილი ცხელი ცრემლები. მერე ნელა, წვალებით გაფოფხდნენ მდინარისაკენ და წყალში ჩაეშვნენ.

როგორც კი ქალბატონი ძირა მოსულიერდა, ჯერ თავის ტომარას ეცა და მერე პატარა დედოფალს, რომელიც ასევე უკვე გონს მოსულიყო და ზანგოსა და დანგოს დაეძებდა. ვერსად რომ ვეღარ მოჰკრა თვალი, ყვირილი დაიწყო და ყველანი აჰყვნენ:

— დაანგოო! ზაანგოო! დაანგოო! ზაანგოო!

ურჩხულები არსად ჩანდნენ.

პატარა დედოფალი განერვიულდა და მდინარის გაყოლებაზე აღმა-დაღმა სირბილს მოჰყვა, თან შეუჩერებლად უძახოდა დაკარგულებს. ქალბატონი ძირა კუდში დასდევდა და მის შეჩერებას ცდილობდა, მალამოები უნდა წაგისვა, დამწვარი გექნება ხელებიო. ასცისანი და ასტურისი ჰაერში აფრინდნენ და მდინარის თავზე დაიწყეს ტრიალი: ურჩხულები არსად ჩანდნენ. ციყვიც მათ ძებნას შეუდგა, ხიდან ხეზე მიხტოდა და დიდ მანძილზე გასცილდა იქაურობას.

ქალბატონი ძირა დაიღალა და თავის ტომარაზე დაეცა. მერე იქიდან გამადიდებელი შუშა დააძრო და მიწაზე ურჩხულების ნაკვალევის შესწავლას შეუდგა. კვალი მდინარესთან მიდიოდა.

მკურნალი ძირს დაშვებულ ასტურისს დაეტაკა:

— მისმინე, ასტურის, ურჩხულებმა ცურვა იციან?

— ურჩხულებმა არა, ულებმა იცოდნენ, რატომ მეკითხებით?

ქალბატონმა ძირამ უხმოდ მიანიშნა მათ ნაკვალევზე, მდინარის პირას რომ წყდებოდა:

— ასტურის, ნუთუ ისინი წყალში ჩაეშვნენ და დაიხრჩვნენ?

ყველანი ურჩხულების კვალს დასჩერებოდნენ.

— აღარ შემიძლია! დავიღალე! — წამოიძახა პატარა დედოფალმა და მიწაზე დაემხო, — ყველა უბედურება დღეს გვემართება!

— რას ამბობთ! როგორ თუ დაიხრჩვნენ! ახლა, როცა მათ, როგორც იქნა, თავგანწირვა ისწავლეს?! როცა, მგონი, ერთმანეთსაც შეურიგდნენ?! როცა, თითქმის მივაღწიეთ მიზანს?! — ასცისან სამური აღელვებისაგან თითებს იჭამდა, — კი, მაგრამ, რა უნდა ვუთხრათ დიდ დაგს?

— რა...და... რომ დავალება ვერ შევასრულეთ... — მწუხარებისგან დასუსტებული ქალბატონი ძირა თავის ტომარას დაენარცხა, პატარა დედოფალი კი წამოხტა და თითქმის აყვირდა:

— არა, არა! ეს არასოდეს მომხდარა, რომ ჩვენ დიდი დაგის დავალება არ შეგვესრულებინოს! მას ისე ძალიან უნდა, ზანგო და დანგო ისევ ულებად იქცნენ! მე ამას ვერ ავიტან! თუ ურჩხულები დავკარგეთ, უფლება აღარ გვექნება, დიდი დაგის ორდენის წევრებად დავრჩეთ! და მაშინ რაღა უნდა გავაკეთოთ? — იგი მდინარესთან მიიჭრა და მუშტები დააყარა წყალს: — დანგოო! ზანგოო! სადა ხაართ? გიკრძალავთ დახრჩობას! ამოდით ახლავე წყლიდან, გესმით! ამოეთრიეთ! უსინდისოებო! შეუგნებლებო!

არავინ პასუხობდა. და პატარა დედოფალი ატირდა:

— დანგო, მე ხომ მადლობაც ვერ გადაგიხადე იმისათვის, რომ გადამარჩინე! აი, მე ცოცხალი ვარ, შენ კი მგონი, სული განუტევე. ალბათ გდიხარ სადღაც მდინარის ფსკერზე, შლამში ჩაფლული, მკვდარ ძროხასავით, მე კი ისე მინდოდა მეთქვა, რომ მიყვარხარ და შენთან მეგობრობა მინდა...

მას მკურნალი ძირაც აჰყვა, რომელიც გვერდით მიუჯდა, თავისი ქოლგის წვერით წყლის მორევა და ხმამაღლა მოთქმა დაიწყო:

— ოო, ზანგო, შენ ხომ, ჯერ ბავშვი, ერთი ბებრუხანას, ანუ ჩემი გულისთვის შევარდი ცეცხლში! შენ, ზანგო, ხომ დანახშირებას გადაარჩინე ჩემი საწყალი ძვლები, ჩემი ტომარა და ქოლგა! მე კი მადლობაც ვერ გადაგიხადე! აბა, სადა ხარ ახლა, ჩემო პატარა! სად ჩაენარცხე! უნდა გამოგიტყდე, ჩემო გოჭო, რომ მუდამ სასტიკად გთათხავდი ადრე და ერთხელ ტაკოც კი დაგიჩხვლიტე ქოლგით, მარტო შენ არა, ცხადია, არამედ დანგოსაც და თქვენს მამებსაც. ოოო, ახლა ყველანი მკვდრები ხააართ!

— ძალიან გთხოვთ, შეწყვიტეთ მოთქმა-ვაება! — წამოიძახა ასტურისმა — ასცისანს და მე ეს მეტისმეტად გვიმღვრევს სულს! ბოლოს და ბოლოს, ჩვენთან ცაში ასეთ რამეებს შეჩვეულები არა ვართ! თან მართალი გითხრათ, ზოგი რამ სასაცილოდ ჟღერს! რა არის, მაგალითად, „შლამში ჩაფლულ მკვდარ ძროხასავით?“ „ჩემო გოჭო?“ „ერთხელ ტაკოც კი დაგიჩხვლიტე ქოლგით?“, მართალი გითხრათ, კინაღამ სიცილი წამსკდა, მაშინ როდესაც სულაც არა გვაქვს სასაცილოდ საქმე! ბოდიშს გიხდით, მაგრამ მეც გაღიზიანებული ვარ!

— სადაც არის, დედა დაგვიძახებს — დაიჩურჩულა ასცისანმა და შეშინებულმა აიხედა ცაში, — თუ დაგვაგვიანდა, შეიძლება აღარც კი გამოგვიშვას დედამიწაზე, ისედაც არ უყვარს, აქ რომ ვართ ხოლმე... არადა, სამ დღეში დიდ დაგს ანგარიში უნდა ჩავაბაროთ.

მეათე თავი

დიდი დაგისა და მისი მეგობრების შესახებ

ზანგო და დანგო კი მდინარის ფსკერზე იწვნენ. ისინი რატომღაც არ დაიხრჩვნენ, უბრალოდ ეძინათ, თან რაღაც ყოვლად უცნაური ძილით. ჯერ იყო და ესიზმრებოდათ, რომ ვითომ ულები იყვნენ და ულების მშვენიერ ქვეყანაში დადიოდნენ. მერე კიდევ ზემოთ, მდინარის ნაპირზე მყოფთა მთელი საუბარი ესმოდათ და ზოგჯერ გული უჩუყდებოდათ, ზოგჯერ ეცინებოდათ. მაგრამ როდესაც კიდევ ერთხელ ჩაესმათ „დიდი დაგი“ — გამოეღვიძათ და ზემოთ აცურდნენ.

— ოოოოო! — აღმოხდა ხუთივეს, შეგახსენებთ: ასცისანს, ასტურისს, კამრიას, თეთრ ციყვს და ქალბატონ ძირას. ამ უკანასკნელს კი საერთოდ გული წაუვიდა და საკუთარ ტომარაზე გადაესვენა.

პატარა დედოფალი დანგოს ჩამოეკიდა კისერზე, თეთრი ციყვი ზანგოს შეახტა მხარზე, ასტურისსა და ასცისანს კი თვითონაც აღარ გაეგებოდათ, რას აკეთებდნენ.

— დანგო, ზანგო, სად იყავით, როგორ შეცვლილხართ! თქვენ ... ულებს ჰგავხართ... — აღმოხდა ასცისანს.

— ულებს? — თვალი გაახილა ქალბატონმა ძირამ — ულებს? უკვე გაულდნენ? არა... არაა... მართალია დამსგავსებულან, მაგრამ ჯერ ულები არ არიან.

— ჩვენ გავულდით? — მწვანე, მოგრძო თვალები გაუფართოვდათ წყლიდან ამოსულებს — ჩვენ უბრალოდ გვეძინა, მდინარის ფსკერზე ვიწექით...

— თქვენ გეძინათ, ჩვენ კი აქ ვგიჟდებოდით! — ისევ გაწიწმატდა პატარა დედოფალი.

— ჩვენ, ჩვენ უკვე მოვთქვამდით —აზლუქუნდა ქალბატონი ძირა.

— ჩვენ დამწვრები ვიყავით, ძალიან გვტკიოდა და წყალში ჩავიძირეთ, აღარ გვახსოვს, როგორ დაგვეძინა...

— თქვენი ლაპარაკი გვესმოდა, ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, დიდი დაგი? რა ნიშნავს ორდენი?

— მეგობრებო, მართლაც დადგა დრო, ურჩხულებს, ან უფრო სწორად მათ, ვინც ჯერ ისევ ურჩხულები არიან, თუმცა, უკვე დაემსგავსნენ ულებს, ყველაფერი ვუამბოთ.

ყველანი მდინარის პირას ჩამოსხდნენ, ასტურისმა კოცონი გააჩაღა. უკვე მთვარე დანათოდა თავს გადამწვარ ტყე-ქალაქსა და მდინარის აყვავებულ შემოგარენს.

— მე და ჩემი ძმა სატურნის შვილები ვართ — წამოიწყო ასცისან სამურიმ — იცით სატურნი? აიხედეთ, აგეე, ის არის ჩვენი დედა. მასაც შლაპა ახურავს და მის შლაპასაც ცისარტყელა აქვს შემოვლებული. ერთხელ დედას დედამიწაზე გამოვეპარეთ. ბევრი ვისეირნეთ, ვიხეტიალეთ და რაღაცეები ძალიან შეგვიყვარდა, მაგალითად, ბევრი ბავშვი, ბაღები, კარუსელები, ტბები, ნავები, ყვავილები, ბატიბუტი, შოკოლადები... მაგრამ ბევრ ადგილას ისეთი საშინელება ხდებოდა, რომ პირდაპირ გამოვშტერდით, კინაღამ ჩვენც ხაფანგში გაგვაბეს!

— ასცისანი ომებზე და ჩხუბებზე ლაპარაკობს — გააგრძელა ასტურისმა, — ერთი-ორჯერ შემთხვევით დავფრინდით იმ სოფელში, რომელიც კარგა ხანია ომშია ჩაბმული, ჩვენც გვესროლეს. მაშინ არ ვიცოდით, რა იყო ტყვია, იარაღი, ბომბი, ნაღმი... არ ვიცი, საიდან იცოდა დედაჩვენმა, რომ დედამიწა სასტიკია, მაგრამ სულ იცოდა და ამიტომ არასოდეს უყვარდა. თვითონაც დაიღუპება და სხვებსაც დაღუპავს-ო ასე ბუზღუნებს ხოლმე, ჩვენ კი რატომღაც შეგვიყვარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდი დაგი გავიცანით და მეგობრები გავიჩინეთ ...

— ამას მე მოვყვები, ასტურის, ხომ იცი, როგორ მიყვარს მაგ ამბის მოყოლა! — შეაწ-

ყვეტინა ასცისანმა. — ერთხელაც, ძალიან რომ მოგვენატრა დედამიწა და მისი გაზაფხული, მთელი კვირა საჭმელი აღარ ვჭამეთ და დედაც იძულებული გახდა, გამოვეშვით. ოღონდ, სერიოზული პირობები დაგვიდო და შევთანხმდით, რომ არ დავარღვევდით. მაგალითად, სიტყვა ჩამოგვართვა, რომ ბნელ, ბოლიან და ხმაურიან ადგილებში არ დავფრენილიყავით.

ჰოდა, დავეშვით. გზაში დიდი ქარი ამოვარდა და თოვლიანი მწვერვალებისკენ წაგვიღო. როცა მათ გავცდით, ერთი მანათობელი მთა შევნიშნეთ, ფერად შუქს აფრქვევდა, ოღონდ, აი, ასე, დახვეულად, ქარი რომ დატრიალდება ხოლმე. ჩვენც ავდექით და იმ შუქის ხვეულში ჩავეშვით და რაღაც სასახლის ოქროსფერ სახურავზე ამოვყავით თავი. ირგვლივ თვალუწვდენი ბაღნარი მოჩანდა, ადამიანები, ცხოველები და ფრინველები ირეოდნენ. შემდეგ ყველა ეს არსება ბაღნარის ბოლოსკენ გაემართა. ვხედავდით აგრეთვე მდინარეს, შადრევნებს... ჩვენ ძირს ჩავფრინდით და სასახლეში შევედით. გავიარეთ ერთი დარბაზი, რომელიც ზეთისხილისა და პალმის ხეებით იყო სავსე, მეორეში კი თავზარი დაგვეცა: დარბაზის შუაგულში რაღაც სულდგმული იწვა, ნახევრად ადამიანი, ნახევრად ცხოველი, რომელსაც ტანში უამრავი ლურსმანი, დანა და ისარი ჰქონდა ჩასობილი. გმინავდა და თვალებს ატრიალებდა. თეთრ გუგებზე განედები და მერიდიანები ემჩნეოდა. თუმცა, თქვენ ხომ არ იცით, რა არის განედები და მერიდიანები! გლობუსი, მგონი, თვალითაც არ გინახავთ! ვაჩვენოთ, დეიდა ძირა!

ქალბატონმა ძირამ ტომრიდან ბალახებში გახლართული, პატარა გლობუსი ამოაძრო.

— აი, ხედავთ ამ ხაზებს? ასე ჰქონდა იმასაც თავისი დიდი, თეთრი გუგები დახაზული. მის ჭრილობებს მძიმე სუნი ასდიოდა და ჩვენ სასწრაფოდ გავიქეცით მესამე დარბაზში. აქ გარეთ რომ ბაღნარი დავინახეთ, ის გაშლილიყო შემცირებული სახით: ყვავილები ყვაოდნენ, შადრევნები ჩქეფდნენ, ხილი მწიფდა, ბალახი ხასხასებდა., მუსიკა ისმოდა, იყო ნაყინი, შოკოლადები, ნამცხვრები. ისეთი მომაჯადოებელი იყო იქაურობა, რომ თავი მეცხრე ცაზე გვეგონა. აღარ გვინდოდა იქედან წასვლა. მაგრამ თან რაღაც გვაწუხებდა. მერე თითქმის ერთდროულად წამოვიძახეთ: „წავიდეთ დაჭრილ ცხოველთან, როგორი მარტოა!“ და მეორე დარბაზში დავბრუნდით. ახლოს მივედით, ვეცადეთ ლურსმნები და დანები ამოგვეძრო და მოგვეჩვენა, რომ თვალებში ცრემლი ჩაუდგა. მერე უცებ ყველაფერი გაქრა და აღმოვჩნდით მრგვალ დარბაზში. დავინახეთ თეთრმოსასხამიანი კაცი, რომელიც დიდ, მრგვალ მაგიდასთან იჯდა თხუთმეტ თანაშემწესთან ერთად. მათ სხვადასხვა ფერის მოსასხამები მოესხათ, მაგიდაზე რუკები გაეშალათ და ძალიან დაფიქრებულები დასჩერებოდნენ. ხანდახან პატარა, თეთრ დროშებს არჭობდნენ ხოლმე.

— გვითხარით, თუ შეიძლება, რატომ იტანჯება ასე ის ცხოველი? ვინ დაჭრა? როგორ ვუშველოთ? ბოდიში, მოსალმება დაგვავიწყდა! — წამოვიძახეთ მე და ჩემმა ძმამ.

უცებ ყველანი წამოდგნენ და მოგვესალმნენ: ვიღაც ბავშვმა საყვირს ჩაჰბერა და ერთმა კაცმა, რომელსაც იასამნისფერი მოსასხამი ამშვენებდა, ხმამაღლა წარმოთქვა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დიდი დაგის ორდენში — შერიგების მსოფლიო ცენტრში!

შემდეგ დიდი დაგი თავად წამოდგა და თქვა:

— ძალიან გვიხარია, რომ შემოგვიერთდით. ჩვენ ძალიან გვჭირდება თქვენნაირები. გინდათ დაგვეხმაროთ?

— და რა უნდა გავაკეთოთ? — ამოვილუღლუღეთ დაბნეულებმა.

— უნდა შევარიგოთ წაჩხუბებულები. ახლა შერიგების საუკუნეა.

— და ჩვენ რომ არ ვიცით, ეგ როგორ ხდება?

— ისწავლით. ჩვენ შერიგების სკოლები გვაქვს დაარსებული.

— და ... ვინ არის ის ცხოველი?

— ის ცხოველი არ არის. ის ... პლანეტაა... მაგრამ ამაზე შემდეგ. გინდათ შემრიგებლები გახდეთ? შერიგებაზე ჰკიდია პლანეტის ბედი.

— მე მგონი, მინდა, — ვთქვი დაურწმუნებლად.

— მე მგონი, მეც, — ყოყმანით გაიმეორა ასტურისმაც.

და ამ დროს ვიგრძენით, რომ რაღაც აუხსნელი სიხარული ჩაგვეღვარა სულში. იმხელა იყო ეს სიხარული, რომ ჩვენდა უნებურად ჰაერში ავტივტივდით. შემოირბინა ამ დროს პატარა ლეკვმა, ისკუპა და შარვლის ტოტზე ჩამოეკიდა ასტურისს. ასე დაფარფატებდნენ დარბაზში.

— აი, ხომ ხედავთ, ამას ეგონა, რომ ისევ მიდიოდით, — გაეცინა დიდ დაგს და სხვებიც აჰყვნენ.

მთელი დარბაზი ფერადი შუქით იყო განათებული.

ჩვენ კი გული გვქონდა აჩუყებული, რადგან ვგრძნობდით, რომ რაღაც ძალიან დიდებულ ადგილას მოვხვდით და ამიერიდან ახალი ცხოვრება დაგვეწყებოდა: აღარ ვიქნებოდით უსაქმოდ და მოწყენილობა აღარ შეგვიპყრობდა.

— კარგი გეყოფა, ახლა მე ვიტყვი! — გააწყვეტინა ასტურისმა, — მერე გავარკვიეთ, რომ თურმე გამოცდა ჩაგვიბარებია: თურმე იმ მესამე დარბაზში რომ დავრჩენილიყავით, სადაც სასწაული წალკოტი ჰყვაოდა და დაჭრილ ცხოველთან არ დავბრუნებულიყავით, და მერე ორდენის მეთაურებისთვის რომ არ გვეკითხა, თუ რა სჭირდა იმ ცხოველს, — წევრებად არ მიგვიღებდნენ. სასახლე გაქრებოდა და ჩვენ აღარაფერი არ გვეხსომებოდა.

— ჩვენც იგივე დაგვემართა — წამოიწყო ქალბატონმა ძირამ — მე და კამრიაც შემთხვევით მოვხვდით იქ. მე კლდის ზამბახს ვეძებდი, კამრია კი კლდეზე ცოცვაში ვარჯიშობდა, ვერც გავიგეთ, რანაირად ამოვყავით თავი დიდი დაგის ორდენში! როცა მეორე დარბაზში მოვხვდით, დაჭრილი ცხოველის დანახვაზე ისე დავიზაფრეთ, ჩვენც სასწრაფოდ მესამეში გავცვივდით, იქ, სადაც ბაღნარი ჰყვაოდა და ჩიტები გალობდნენ. მაგრამ, მალევე დავბრუნდით იმ ცხოველთან. კამრიამ დანების ამოძრობაც სცადა მისი სხეულიდან და ორი დანა ამოაძრო კიდეც. მე კი სასწრაფოდ ჩემი ბალახები ჩავუფინე ჭრილობებში. მერე, თუმცა, დიდი დაგისა და მის მეგობარ-თანაშემწეების დანახვაზე ძალიან დავიბენით და მოწიწებამ შეგვიპყრო, მაინც სულ ამას ვეკითხებოდით: „ვინ არის ის ცხოველი? რატომ იტანჯება“?

ჩვენც დავამთავრეთ შერიგების ხელოვნების სკოლა, სადაც ყველა ასაკის ხალხი სწავლობს. კამრიამ კი შერიგების ხელოვნების უნივერსიტეტიც დაამთავრა და უმაღლესი ხარისხის დიპლომი მიიღო. „პატარა დედოფლის“ წოდება მერე მიანიჭეს, მას შემდეგ, რაც ორი პატარა, ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ხალხი შეარიგა, ჩემი დახმარებით, რა თქმა უნდა.

ზანგო და დანგო გამოშტერდნენ. მდინარის წყლისგან დაწმენდილი, ისედაც დიდი, მწვანე თვალები მთლად გაფართოებოდათ. დანგოს გაოგნებისაგან ცემინება აუტყდა.

— მაინც ვინ არის დიდი დაგი? — იკითხა ზანგომ.

— არსებობს ერთი დიდი გაერთიანება, — წამოიწყო კამრიამ, — მისი სასახლე ცათამბჯენებიან, მდიდარ და ხმაურიან ქალაქშია. ამ გაერთიანებას ევალება ერთმანეთზე წაკიდებული ხალხები გააშველოს და შეარიგოს. თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ უფრო სუსტი ხალხი უნდა დაიცვას. მაგრამ ეს ამოცანა უმეტესად ვერ სრულდება. დიდი ხნის წინათ დიდი დაგი ამ კავშირის ხელმძღვანელად აირჩიეს. და მან, უპირველეს ყოვლისა, ცისფერაბჯრიანთა არმია შექმნა, ურომლისოდაც გაერთიანება თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს. თუ ერთი ხალხი მეორეს ანადგურებს, იძულებული ხდები, დაიცვა. ასე არ არის? და დიდმა დაგმა მაშინვე შექმნა აგრეთვე დარბაზი ლოცვისათვის. ამ დარბაზის შუაგულში შავი მაგნიტის ოთხკუთხედი ლოდი დადო, რომელიც თავისი შორეული სამშობლოდან ჩამოიტანა, და კედელზე პირველი რანგის უხილავი რაინდის — მიქალის — სურათი ჩამოჰკიდა.

აქ დიდი დაგი მიმართავდა ხოლმე უხილავ მშვიდობის თავადს, რომელიც უშუალოდ

ხელმძღვანელობს შერიგების საქმეს და, საერთოდ, მთავარი შემრიგებელია. მაგრამ რადგანაც უხილავია, ხალხს მასთან პირდაპირი კავშირი უჭირს და ამიტომ თავადს ხილული თანაშემწეები სჭირდება.

მაშინ დიდი დაგი და მისი მეგობრები ცის მეკობრეებმა და მათმა ქალაქელმა მეკავშირეებმა დაამარცხეს. მათ ონგოას ქვეყნის ძარცვა და მისი შავი ადამიანების დამონება სურდათ. დიდ დაგს კი, თუმცა თვითონ თეთრკანიანია, ძალიან ებრალებოდა ონგოას მხარე და მისი საწყალი მკვიდრნი.

— მაგრამ მთავარი ის იყო, — გააგრძელა ქალბატონმა ძირამ, — რომ დიდი დაგი, როცა საკუთარი ხელისგულის ხაზებს აკვირდებოდა, თუ საკუთარი თვალების ძარღვებს უცქერდა სარკეში, მუდამ დედამიწის გზებს ხედავდა. და მან იცოდა, რომ ეს გზები მალე ჩაიკეტებოდა, თუ მთელ დედამიწაზე შერიგების სკოლებს არ ააშენებდნენ და ადამიანები შერიგებას არ ისწავლიდნენ. იგი ამ სკოლებისათვის სახელმძღვანელოებს წერდა და შინაგანაწესს ადგენდა.

მისი წიგნი „შერიგების ხელოვნება“ უკვე ხელიდან ხელში გადადის.

მაგრამ მაშინ, როცა წიგნის ბოლო თავს წერტილი დაუსვა, სწორედ ონგოას ქვეყნიდან ცათამბჯენებიან ქალაქში მიფრინავდა თავის თხუთმეტ მეგობართან ერთად. თვითმფრინავი, რომელსაც „ალბერტინა“ ერქვა, ჯერ წესიერად არ გასცილებოდა ტროპიკული ტყეების სივრცეს, რომ მაღლა ჰაერში ცის მეკობრეთა მეკავშირეების შავი თვითმფრინავი წამოეწია. თავიანთი პროჟექტორებით მათ მფრინავი დააბრმავეს და როცა „ალბერტინა“ ძლივძლივობით დაეშვა მიწაზე, — ააფეთქეს. ყველას ეგონა, რომ თვითმფრინავის ყველა მგზავრი დაიღუპა. წესით ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ყველა გადარჩა, რადგან მშვიდობის თავადი და მისი რაინდები ჩაერივნენ საქმეში: ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე თუ, რა როგორ მოხდა, მაგრამ ბოლოს ყველანი ონგოას მიუვალ მთაზე აღმოჩნდნენ. აქ ააგეს მათ „შერიგების სასახლე“ და აქ დააარსეს „შერიგების ორდენი,“ რომელსაც „დიდი დაგის ორდენს“ უწოდებენ.

— დიდი დაგის ორდენის კრებები სწორედ იქ, ონგოას მთაზე იმართება, — სიტყვა ჩამოართვა ასტურისმა, — მთის ძირიდან დიდი, ძლევამოსილი, დგაფუნა მდინარე გამოედინება და მთელ მხარეს აცოცხლებს. მთელი მსოფლიოსთვის დიდი დაგი კარგა ხნის მკვდარია. მხოლოდ მისმა საძმომ იცის, როგორ ცოცხლობს იგი. სხვებმა არც იციან მისი ორდენის არსებობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით ცის მეკობრეებს და მათ მიწიერ მეკავშირეებს, ორდენის დაუძინებელ მტრებს, რომლებიც ახლა გამალებით ეძებენ მის ახალ ადგილსამყოფელს და ჯერჯერობით ვერ პოულობენ.

— ცათამბჯენებიანი ქალაქის რეზიდენციიდან ორდენს არაფერი წამოუღია, უზარმაზარი, შავი მაგნიტიც იქ დატოვა და პირველი რანგის რაინდის, მიქალის, სურათიც, — ჩაერია ასცისანი — თუმცა, ამ განსაცდელის შემდეგ დიდი დაგი მიხვდა, რომ მშვიდობის თავადთან ურთიერთობისათვის არც ერთი საგანი არ იყო საჭირო. რაც შეეხება დიდი დაგის მიერ შექმნილ ცისფერაბჯრიანთა არმიას, იგი თანდათან იშლებოდა. ჯარისკაცებს აღარ ესმოდათ, რისთვის იყვნენ და რა ევალებოდათ. მათ აღარ აგზავნიდნენ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნებში ომების ჩასაცხრობად და დაუცველთა დასაცავად.

დიდმა დაგმა „ალბერტინას“ აფეთქების შემდეგ თვითმფრინავი გამოიცვალა. ახლა თავისი თვითმფრინავით, რომელსაც „ფრიდია“ ჰქვია, იგი მთელ დედამიწას უვლის და ათვალიერებს, სად მიდის ომი ან სად ამზადებენ მას. მისი თანამოაზრენი, რომლებიც მას ყველა ქვეყანაში ჰყავს, ყველგან ავრცელებენ მის ნაწერებს, ლექსებს, აფორიზმებსა თუ ფიქრებს „შერიგების ხელოვნების“ შესახებ და ძალიან ხშირად პატარა დედოფალს ჩააქვს ისინი. ომი ხშირად უცებ იწყება, ვიზების ლოდინის დრო უმეტესად არ არის, (მერე აგიხსნით, რა არის ვიზები), თან ისეთ ქვეყნებში, სადაც ომია, უცხოელთა ჩასვლას განგებ აძნელებენ ცის

მეკობრეები და მათი დედამიწელი თანაშემწეები, ამიტომ კამრია დიდი დაგის თვითმფრინავიდან პარაშუტით ეშვება და ცდილობს, იქ გაიჩინოს შერიგების მომხრენი, რომელთაც მერე შერიგების ხელოვნებას ასწავლის. მერე ჩვენც ჩავერთვებით ხოლმე, თუკი ორდენი დაგვავალებს, თუ ჩვენ არა, ორდენის სხვა წევრები იწყებენ მოქმედებას.

— ეს საკვირველი ორდენია, — აღნიშნა ქალბატონმა ძირამ, — რადგან მისი წევრების უმეტესობა, მთელ დედამიწაზე რომაა მიმოფანტული, არც ერთმანეთს იცნობს და არც კრებებს ესწრება. მათ ისიც კი არ იციან, რომ ორდენის წევრები არიან. მაგრამ, დაინახავენ თუ არა, მაშინვე სცნობენ ერთმანეთს. მით უმეტეს, თუ ერთმანეთს მოუსმინეს. ისინი ყველას მშვიდობის მთავრის სიტყვებით ესალმებიან: „მშვიდობა თქვენდა!“ მშვიდობის თავადი მათ „ჩემს ხალხს“ ეძახის, დიდ დაგს კი „ჩემს მეგობარს“. ორდენის კრებები თვეში ერთხელ იმართება. ამ დროს ორდენის უამრავი წევრი ონგოას მთაზე აღმართულ ტაძარში იკრიბება და მთელი სამი დღე დიდ დაგს, მის თხუთმეტ თანაშემწე-მეგობარსა და ერთმანეთს უსმენს.

— იცით, რას ნიშნავს ეს გამოთქმა: „ურჩხულების კბილების დათესვა“?

— არა, — ამოიბლუკუნეს ურჩხულებმა.

— ეს ნიშნავს მტრობის გაღვივებას, გაიგეთ?

— ბევრ რამეს ამბობენ ორდენის წევრები, — ჩაურთო პატარა დედოფალმა, — ერთ აზრს კი ყველა ეთანხმება: დღეს ცის მეკობრეები განსაკუთრებული ენერგიით ცდილობენ ყველგან ურჩხულის კბილების დათესვას.

— დიდი დაგის ორდენის კრებებზე ყველაზე მეტს „შერიგების სკოლებზე“ ლაპარაკობენ. მათ ძალიან აინტერესებთ, როგორ სწავლობენ მოწაფეები, რა არის მათთვის განსაკუთრებით ძნელი და გაუგებარი, რა სურვილები და წინადადებები აქვთ, — დასძინა ასცისან სამურიმ.

— ოღონდ, მანამდე რამდენიმე რიტუალი სრულდება, — პატარა დედოფალი თან პარაშუტს კეცავდა, — პირველი ეს არის საერთო ლოცვა, მეორე დიდი დაგის ძვირფასი მეგობრის, დიადი მევიოლინეს — იეჰუდი მენუჰინის — ჯადოსნური მუსიკის მოსმენა, მესამე — კი ჩვენება ფილმისა, რომელიც ასახავს დიდი დაგის ცხოვრებას „ალბერტინას“ აფეთქებამდე, მის მოღვაწეობას, მის შეხვედრებს სხვადასხვა ეროვნების ხელმწიფეებთან, პრეზიდენტებთან... მის შეხვედრებს ონგოას შავ ადამიანებთან, მსოფლიოს თეთრ და ყვითელ ადამიანებთან. და ბოლოს: მის თვითმფრინავზე შავი თვითმფრინავის თავდასხმასა და აფეთქებას. ამ ფილმის ნახვა ორდენის ახალ წევრებს სჭირდებათ.

— ო, დიდო დაგ! ყველას უყვარხარ შენ, ვისაც მშვიდი გაზაფხულები და დილები უყვარს, ვისი გულის სიმებზეც ადამიანის სევდა და ტანჯვა უკრავს. მაგრამ ცის მეკობრეები გდევნიან და შენი მოკვლა სურთ! და ახლა თვითმფრინავი „ფრიდია“ გასაიდუმლოებულად დაგაქროლებს დედამიწის თავზე! — აღელდა ქალბატონი ძირა.

— წევრები ერთგულად ვიცავთ ორდენის საიდუმლოს, არ ვახმაურებთ იქ მოსმენილსა და ნანახს და შინ დაბრუნებულები სრულიად მარტონი ან მეგობრებთან ერთად ახალი ძალით ვიწყებთ ხოლმე დიდ-პატარა ბრძოლას ვიღაც-ვიღაცეების შერიგებისთვის. აი, ასე ჩვენო ძვირფასო დანგო და ზანგო! ახლა თქვენ თითქმის ყველაფერი იცით. თითქმის! — დაასრულა ასტურისმა.

გაოგნებული დანგო და ზანგო ბოლთის ცემას მოჰყვნენ! მერე ზანგო უცებ შეჩერდა და თეთრ ციყვზე მიანიშნა:

— ესეც „დიდი დაგის ორდენის“ წევრია?

— არა, —აუხსნა ქალბატონმა ძირამ, — მაგრამ ჩვენ, წევრებს, უფლება გვაქვს, თანაშემწეები გვყავდეს, ის ჩემი თანაშემწეა.

— და გაგვაგებინეთ, ჩვენთან საიდან გაჩნდით? — გამომცდელად იკითხა დანგომ.

— ჩვენ, ოთხივეს, ორდენმა თქვენი შერიგება დაგვავალა.

— დიდმა დაგმა გვითხრა, რომ თქვენ, ორი ყველაზე პატარა ურჩხული უნდა გადაგვერჩინეთ, ამისათვის კი საჭირო იყო შერიგებულიყავით. გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ დედამიწისთვის ძალიან კარგი იქნება, თუ ულების ქვეყანა აღსდგება...

— და ... მან იცოდა, რომ ურჩხულების ტყე-ქალაქი დაიღუპებოდა?

— ალბათ იცოდა.

— და რა უნდა ვქნათ ახლა?

— თუ მოინდომებთ, შერიგების სკოლაში სწავლას... სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი მცველები გახდებით.

— თქვენ ძალიან ბევრი რამ გვითხარით. ჩვენ დაძაბულები ვართ, წავალთ ისევ მდინარის ფსკერზე დავწვებით ცოტა ხანს. დავწყნარდებით, ფიქრები დაგვილაგდება, რაღაცას მოვიფიქრებთ. ურჩხულები მდინარისაკენ დაიძრნენ, მაგრამ სწორედ ამ დროს თვალისმომჭრელი, მსხვილი იისფერი სხივი ისარივით ჩაეცა წყალში და ურჩხულებმა უკან ისკუპეს.

— ვაიმე! ეს დედაა! გვეძებს! ჩქარა, ასტურის, დაგვაგვიანდა!

იმავე წუთს ოთხი თეთრი, მბზინავი ჩექმა სათითაოდ დაენარცხა მიწას.

— ოო! ჩექმები ჩამოგვიყარა, ეშინია, ფეხები არ გაგვიცივდეს! ხან რას ჩამოგვიგდებს და ხან რას! ბუტერბროტებსაც კი ჩამოგვიყრის ხოლმე, დედამიწის საჭმელს არ ენდობა! კიდევ კარგი, მაგარ პარკში ახვევს! ჩქარა ჩავიცვათ ასტურის, მგონი, ძალიან გაბრაზებულია.

და-ძმამ სასწრაფოდ ჩაიცვა დათბილული ჩექმები და აფრინდა. ისინი სპირალურად ტრიალებდნენ სხივის გარშემო და სულ მაღლა და მაღლა იწევდნენ მთვარის შუქით განათებულ ჰაერში.

ესღა აკლდათ! მთლად გონებაარეული ზანგო და დანგო მდინარეში ჩაეშვნენ.

პატარა დედოფალი იქვე ხის ძირას მიწვა და თავი ბალახებით სავსე ტომარაზე დადო. ძირამ შალი მიაფარა. რაკი ტომარა უამრავი დამამშვიდებელ-დამაძინებელი ბალახით იყო გამოტენილი, გოგონას მალევე ჩაეძინა. ეს კი ძალიან სჭირდებოდა მას, რადგან იმ დღის მძიმე შთაბეჭდილებებით საშინლად დაიქანცა. ბოლოს და ბოლოს, ერთი დღის მანძილზე ორჯერ გადარჩა სიკვდილს!

ქალბატონი ძირა კი ბუჩქებს შეერია და იმ ბალახების შეგროვება დაიწყო, რომლების მოკრეფა მხოლოდ მთვარიან ღამეში შეიძლებოდა.

გათენდა. ზანგომ და დანგომ წყლიდან თავი ამოყვეს და ჩუმად შემოუსხდნენ ჯერ ისევ მძინარე პატარა დედოფალს. გამოვიდა თუ არა ქალბატონი ძირა ბუჩქებიდან, ციდან გუგუნიც გაისმა და თეთრი ვერტმფრენი წარწერით „ფრიდია „ მდინარის პირას დაეშვა.

პატარა დედოფალმა თვალები დააჭყიტა, წამოხტა, ზურგჩანთასა და დაკეცილ პარაშუტს ეცა და ურჩხულებს მიუბრუნდა:

— წამოხვალთ, ზანგო და დანგო? დიდი დაგი გველის.

ქალბატონი ძირა უკვე თავის ტომარას იკიდებდა ზურგზე.

ურჩხულებმა ხმის ამოუღებლად დაუქნიეს თავი.

დანგომ თვითონ მოიკიდა ტომარა და ყველანი ვერტმფრენისაკენ გაეშურნენ.

თეთრ ციყვს ფუღუროდან თავი გამოეყო და თათის ქნევით ემშვიდობებოდა ყველას.

მეთერთმეტე თავი

შერიგების ხელოვნების სკოლა. სად დარჩა ულების ქვეყანა?

ამ ამბების შემდეგ სამი წელი იყო გასული.

ზანგომ და დანგომ შერიგების ხელოვნების სკოლა დაამთავრეს და ახლა დიდი დაგის დავალებითა და აგრეთვე თავიანთი სურვილით იმ ადგილის აღმოსაჩენად მიეშურებოდნენ, სადაც ოდესღაც ულების საარაკო ქვეყანა — ულეთი — ყვაოდა.

არავინ იცოდა, რატომ ჩათვალა დიდმა დაგმა და ორდენის საბჭომ აუცილებლად ულეთის ნაშთების პოვნა. ერთი ის იყო ცხადი, რომ მათ ულები ძალიან მნიშვნელოვან არსებებად მიაჩნდათ და გულით ეწადათ მათი მოდგმის აღორძინება.

ზანგო და დანგო ურჩხულები ნამდვილად აღარ იყვნენ, მაგრამ ჯერ არც ულები ეთქმოდათ. მართალია, უხეში ჯაგარი, ეშვები და ბრჭყალები გასცვივდათ და ამღვრეული თვალებიც დაეწმინდათ, მაგრამ ჯერ ულების მბზინავი კანი არ გადაჰკვროდათ ტანზე, თევზის გამოსახულება არ აჩნდათ შუბლზე, ულების გრძელი, ოქროსფერი თმა არ ეტალღებოდათ ზურგზე, არც ფრთები ჰქონდათ და ვერც მათსავით შორს ხედავდნენ.

მაგრამ ახლა ზანგო და დანგო ამეებზე არ ფიქრობდნენ. ისინი მარჯვედ მიუყვებოდენ ციცაბო ბილიკს მთის მქუხარე მდინარის თავზე და სკოლის მასწავლებლებსა და მეგობრებს იხსენებდნენ.

შერიგების ხელოვნების დაუფლება ადვილი არ აღმოჩნდა.

— დაიმახსოვრეთ, მეგობრებო, — პირველსავე დღეს განუცხადა მოწაფეებს სკოლის დირექტორმა — დოქტორმა კაუდიმ, — ჩვენი და ჩვენი პლანეტის პრობლემები ჯადოქრობით ვერ გადაწყდება, თუმცა, ათასობით თავგზააბნეული ადამიანი მიმართავს დღეს ჯადოს და ჯადოქრებიც დღითიდღე მრავლდებიან. ვერც იარაღით და ძალადობით ვუშველით საქმეს, თუმცა დედამიწა იარაღით აივსო და უამრავი პერსონა მხოლოდ ფულზე, მუშტსა და ტყვიაზე ამყარებს იმედს.

რა ვქნათ, სიბრიყვე ადვილია. მას შესწავლა არ სჭირდება და ამიტომ უმეტესობა სიამოვნებით არის ბრიყვი. შეეჩვიეთ იმ აზრს, რომ რაც უფრო კარგები იქნებით, მით უფრო უმცირესობაში აღმოჩნდებით. ცხადია, ჩვენ თავს დავიცავთ მუშტითაც და იარაღითაც, თუ თავს დაგვესხმიან, აქ არ ვაპირებთ ვინმეებისთვის ენის მოჩლექას! მაგრამ ჩვენი მთავარი იარაღი წრფელი და ბრძენი გულია, რადგან მხოლოდ ასეთ გულებთან საუბრობს მშვიდობის თავადი მაღალი ციდან. მასზე ძლიერი კი არავინ გაჭაჭანებულა ამ ცისქვეშეთში. მშვიდობის თავადთან თანამშრომლობის გარეშე არავითარი შერიგება და მშვიდობა არ იქნება! არა და არა! ბევრი შეეცდება თქვენს დარწმუნებას, რომ ვითომ თქვენ თვითონ, სრულიად დამოუკიდებლად, ეშმაკობითა და ვერაგობით შეგიძლიათ ამ დიდი პრობლემის მოგვარება! მაგრამ, უმორჩილესად გთხოვთ, — დაიმახსოვრეთ! პრომლემებს ჭრის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის თავადი და ჩვენი საშუალებით! სუფთა და ბრძენი გული — აი, ჩვენი გზა! აი, ჩვენი იმუნიტეტი და ანტივირუსი!

ამის შემდეგ ბატონმა კაუდიმ სათითაოდ გაიცნო ათივე მოწაფე და ყველას ერთად საკუთარი თავი წარუდგინა. მისი ოჯახი მათ ქვეყანაში ატეხილი ომის დროს ამოეწყვიტათ. ამის შემდეგ შერიგების ხელოვნებას დიდი დაგის ორდენში დაუფლებოდა და პირველსავე სკოლას ჩადგომოდა სათავეში.

სკოლაში ასწავლიდნენ მიმდინარე ცნობილ და უცნობ ომებს, ამ ომების ხილულ და უხილავ მიზეზებს, ომში ჩაბმული ხალხების წარსულს, მათ ხასიათს, ყველაფერ ძვირფასს, რაც ამ ხალხებს შეექმნათ, კანონები იქნებოდა ეს, ტაძრები, წიგნები, ფილმები თუ ბაღები.

— გარდა ამისა, თუ გინდათ ამა თუ იმ ორი ხალხის შერიგებაზე სერიოზულად იმუშაოთ, აუცილებელია მათი ენების შესწავლაც! — განაცხადა დოქტორმა კაუდიმ.

თავიდან ისე საშინლად უცხო და გაუგებარი იყო ეს ყველაფერი ზანგოსთვის, დანგოსთვის და კიდევ ხუთი მოწაფისათვის, რომ ერთი თვის შემდეგ ღამით სკოლიდან გაიპარნენ. ჯერ მოეწონათ თავისუფლად ხეტიალი ტყის პირას, აბიბინებული ყანების გასწვრივ. ზანგო და დანგო ხეებზე კონწიალობდნენ მაიმუნებივით, გოგონები მღეროდნენ კიდეც, მაგრამ მერე დაიზაფრნენ, როცა მათ თვალწინ უეცრად ყანას ცეცხლი წაეკიდა და ტყესაც გადასწვდა. მალე სროლა და აფეთქებებიც დაიწყო და მაშინღა მიხვდნენ, ომში რომ ამოყვეს თავი, მაშინღა გაახსენდათ, შერიგების სკოლები, როგორც წესი, ომის ადგილებში რომ არსდებოდა!

ტყე-ტყე გარბოდნენ, ცეცხლი და ტყვიები ფეხდაფეხ მისდევდათ, და უცბად ყველაზე საყვარელმა გოგონამ, ბიომ, დაიკივლა. მას მხარში მოხვდა ტყვია და მერე რიგრიგობით მიარბენინებდნენ თათებზე გადაწვენილს ზანგო და დანგო. სკოლის ახმახმა დარაჯმა შორიდანვე დალანდა ისინი, აღელვებისგან ჯერ ჰაერში შეხტა და მერე ერთ წამში გახსნა ეზოს ჭიშკარი.

— თქვენ, მაგალითად, ბატონებო, —მიმართა დოქტორმა კაუდიმ ზანგოს და დანგოს, მას შემდეგ რაც დაჭრილი ბიო სკოლის ექიმებმა სიკვდილს გამოგლიჯეს, — მეგონა, პირველსავე ღამეს მოცოცხავდით აქედან და უკვე ვამზადებდი დიდი დაგის დამამშვიდებელ სიტყვებს, რომელმაც, გულწრფელად გეტყვით, ვერაფრით გამიგია, რატომ აგიკვიატათ.

დოქტორ კაუდის მაშინაც კი უციმციმებდა თვალები, როდესაც მკაცრ სიტყვებს ამბობდა.

სხვა არავის არაფერი უთქვამს და გაქცეულები თანდათან დაუბრუნდნენ სკოლის ცხოვრებას. ერთი ეს იყო, რომ პირველი საგნის მასწავლებელი — ქალბატონი ესრე, მეტისმეტად მკაფიოდ წარმოთქვამდა ფრაზებს და გაქცეულებს ყურადღებით აკვირდებოდა, როცა ისინი მის გაკვეთილებზე ისევ გამოჩნდნენ:

— არიან ასეთი უცნაურები, გავბედავ და ვიტყვი: საქმეში ჩაუხედავები, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ შეუძლებელია შერიგება, თუკი ომისა თუ ჩხუბის მიზეზი არ იცი, თუკი მხარეებს თავიანთი სიმართლე და ტყუილი არ დაანახვე. ორ პატარა ბავშვსაც ვერ შეარიგებ, არამცთუ ორ ხალხს, თუკი არ გაარჩიე, ვინ რაშია მართალი და რაში ტყუის. თუ მათ თვითონ არ აღიარეს საკუთარი შეცდომა და დანაშაული, თუ ბოდიში არ მოუხადეს ერთმანეთს! სამართალი! აი, მაცოცხლებელი წყარო ადამიანთა და ხალხთა გულისა: ყველა თავის სამართალს ეძებს! და თუ ზოგმა მდიდარმა და საშინლად შეიარაღებულმა ხალხმა არ შეწყვიტა მედიდურობა და სუსტებისა და ღარიბების დაჩაგვრა, აქ ომები არ გამოილევა! ჩვენ გამოვილევით. დიახ! ამიტომ ჩვენ ჭკუითა და გონებით, ჩვენი სიმართლით უნდა ვაჯობოთ!

რაც უფრო აზარტში შედიოდა ხოლმე ქალბატონი ესრე, მით უფრო მეტად გადადიოდა არქაულ ენებზე და ბოლოს ხან ძველბერძნულად მეტყველებდა, ხან ძველებრაულად, ხან ლათინურად. ეს კი ზოგი მოწაფის, მათ შორის ზანგოს, ხითხითს იწვევდა. ხოლო დანარჩენები ამ დროსაც კი ყურადღებით უსმენდნენ მას, რადგან ძალიან უნდოდათ სწრაფად ესწავლათ შერიგების ხელოვნება. ისინი ხომ ომით გატანჯული ქვეყნებიდან იყვნენ და ახლობლებიც იქ ჰყავდათ! და ამ პრობლემაზე საუბარს მოწყურებულები გაკვეთილის შემდეგ ეზოშიც კი გაჰყვებოდნენ ხოლმე ქალბატონ ნესრეს! მაგრამ, რად გინდა! რადგანაც აქეთ მეტისმეტად ხშირად ქროდა ძლიერი ქარები, მოსწავლეები ძალიან პატარა ტანის მასწავლებლისა და მისი განიერი შლაპის დაჭერას უნდებოდნენ, რომლებსაც აქეთ-იქით დააფრიალებდა სამხრეთული ქარაშოტი.

მეორე მასწავლებელი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ლილია, გაკვეთილებს მუდამ

ფილმების დახმარებით ატარებდა. იგი მათ ასწავლიდა დედამიწის აგებულებას, მის თვისებებს, მთებს, ზღვებს, მდინარეებს, უფსკრულებს, მიწისქვეშა მღვიმეებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც მიწის ზემოთ და მიწაში არსებობს. მასწავლებელი ძალიან ნაზად ლაპარაკობდა დედამიწაზე და ამტკიცებდა, იგი ცოცხალი და სათუთია, სუნთქავს და ნაწყენიაო. მერე ტირილს იწყებდა, როცა ფილმები აჩვენებდნენ, თუ როგორ ადიოდა ცეცხლი და ბოლი დედამიწიდან, როგორ დნებოდნენ აისბერგები და მყინვარები, როგორ იქცეოდა ზღვებში და მდინარეებში ნავთობი, და როგორ იხოცებოდნენ მაზუთში ამოსვრილი პინგვინები და იხვები. „აი, ასე ექცევიან, ის მალე მოკვდება! „ — გაიძახოდა და ისე ქვითინებდა, რომ მოსწავლეები მისი დამშვიდების სულ ახალ-ახალი ხერხების გამოგონებაში იყვნენ. ზოგი გოგონა კი თვითონაც აჰყვებოდა ხოლმე. და ამ გაკვეთილს ტირილის გაკვეთილი შეარქვეს.

ზანგოს და დანგოს ეღიმებოდათ, როცა ამ ყველაფერს იხსენებდნენ. მაგრამ მაშინ ხშირად დარდობდნენ, რად გვინდა ეს ყველაფერი, ჩვენ ხომ პატარა დედოფლის მცველები უნდა ვიყოთო და ოცნებობდნენ იმ დღეზე, როცა მასთან ერთად დაეშვებოდნენ პარაშუტით შესარიგებელი ხალხების მიწაზე.

სკოლაში მასწავლებლებს ცისფრად დაწინწკლული, თეთრი აბრეშუმის კაშნეები ჰქონდათ ცისფერი პიჯაკის ბორტებზე გადმოფენილი და ნახევრად დაწინწკლული, თეთრი პერანგები ეცვათ. მოსწავლეები კი შვინდისფერ შარვლებსა და პიჯაკებში იყვნენ გამოწყობილი და თეთრი ბენდენები ეკეთათ. ზანგოსა და დანგოს ეს, ცხადია, არ ეხებოდა. ისინი ხომ ადამიანები არ იყვნენ. მათ უბრალოდ მოსასხამები მოახურეს.

მესამე მასწავლებელი გაახსენდათ. ის მკაცრი სახის მაღალი კაცი იყო, ბატონი იგირადო, რომელიც არასოდეს იცინოდა, თუმცა თვალები მუდამ განათებული ჰქონდა. იგი ოცდაათი წლის წინ დიდი დათვის კუნძულზე გაჩაღებული ომის სპეციალისტი გახლდათ. ამ ომის მოგვარების სახელმძღვანელოც კი დაეწერა დიდ დაგთან ერთად. ერთმანეთს წაკიდებული ორივე ხალხის მთავრობას თანხმობა განეცხადებინა სახელმძღვანელოს გამოყენებაზე და ახლა მთელი მსოფლიო აღტაცებით უცქერდა, როგორ მიდიოდა საქმე საბოლოო შერიგებისკენ. დიდი დაგის სახელი სახელმძღვანელოს, რა თქმა უნდა, არ ეწერა, და მსოფლიოსთვის არც ის იყო ცნობილი, თუ სად მუშაობდა იგირადო დანტელი.

— ძვირფასო მოსწავლეებო, ჩვენ უკვე გავეცანით ბაჰტუს და ჩინტუს ტომების საზარელი ომის ისტორიას. უკვე იცით, რომ ამ ომმა მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გისვამთ შეკითხვას: პირველ რიგში რა იყო საჭირო მათი შერიგებისთვის? გთხოვთ, მიპასუხოთ, დანგო!

დანგოს აღელვებისგან გული აუძგერდა, კეფის ფხანაც აუტყდა, მაგრამ მაინც აიძულა თავი დაფიქრებულიყო. შემდეგ კი მკაფიოდ უპასუხა:

— პირველ რიგში საჭირო იყო, უფრო სწორად, საჭირონი იყვნენ შემრიგებელნი. მეორე რიგში — მხიარულება.

იგირადო დანტელი შეკრთა: — მხიარულება? რას გულისხმობთ, დანგო?

— ბატონო იგირადო, ეს ტომები ვეღარ მხიარულობდნენ, ისინი ღარიბები იყვნენ და ყოველდღიურად ერთსა და იმავეს აკეთებდნენ, ეს კი ძალიან მოსაწყენია. და მათთან არავინ არ მეგობრობდა. მათ მოწყენილობისაგან დაიწყეს ომი. ამიტომ ომის გასაჩერებლად საჭიროა გამოჩნდნენ შემრიგებელ-მეგობრები და პირველ რიგში რაღაც სიხარული მიუტანონ მათ. ვთქვათ, გაუყვანონ წყალი, მათ ბავშვებს აჩუქონ ბურთები, აუშენონ კარგი სკოლები და სათამაშო მოედნები, ზეიმები მოუწყონ. როდესაც მტრები ერთად იწყებენ მხიარულებას, მერე რიგდებიან კიდეც.

— დანგო, საიდან იცით ეს?

— ბატონო იგირადო, მე და ზანგო სულ მოწყენილობისა და მარტოობისაგან ვჩხუბობდით, სულ ერთმანეთს ვალილავებდით და ასე შეგვარიგეს. ოთხი ადამიანი და ერთი ცხოველი საკმაოდ დიდხანს ამუშავებდა შერიგების გეგმას. ასცისან სამური, ასტურისი,

პატარა დედოფალი, ქალბატონი მკურნალი ძირა და თეთრი ციყვი. გაცნობის შემდეგ მაშინვე წაგვიყვანეს მხიარულ ქალაქში, სადაც ჩვენ მართლა გავმხიარულდით, იქ თეატრიც იყო, როგორც შემდეგ გამოირკვა, სპეციალურად ჩვენთვის, ესე იგი, ჩვენს გამოსაცდელად მოწყობილი.იცით, ერთად მხიარულება ძალიან აახლოებს წაჩხუბებულებს.

— მართალი ხართ, დანგო, თქვენი შერიგების ოპერაცია მართლა წარმატებით განხორციელდა და, თუ არ ვცდები, საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა დიდი დაგის ორდენის ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც მე, სამწუხაროდ, ვერ ვესწრებოდი. და თქვენი შემრიგებელნი კიდევ ერთხელ დააჯილდოვეს. დიახ, ისინი მანამდეც აღიარებულ შემრიგებლებად ითვლებოდნენ. და სად მოღვაწეობენ ახლა?

— არ ვიცით. სკოლის დამთავრების შემდეგ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. პატარა დედოფალს უნდა, რომ მე და ზანგო მისი მცველები გავხდეთ.

— დიახ, დიახ... ეგ კარგია, ძალიან კარგი... მაგრამ შეიძლება მანამდე სხვა დავალება მიიღოთ დიდი დაგისგან. მომავალი შემრიგებელნი თუ შემრიგებელთა მცველები მრავალნაირ გამოცდას გადიან. დიახ, მრავალნაირს... — ჩაფიქრდა იგირადო დანტელი. მერე თითები ააკაკუნა დაფაზე და იკითხა:

— აბა, ვინ ჩამომითვლის შერიგების ხელოვნების ელემენტარულ საფეხურებს? მაშასადამე, პირველად რას ვაკეთებთ, როდესაც შესარიგებლებთან მივდივართ? მიპასუხეთ, ბიო!

— პირველი— შესარიგებელი ხალხების ან მხარეების გაცნობა, მათი ხასიათისა და წარსულის, მათი ენის, პოეზიისა და სიმღერების შესწავლა, მოკლედ, იმ ყველაფერი კარგის შესწავლა, რაც მათ შეუქმნიათ და, რაც განსაკუთრებით უყვართ! მეორე — შესარიგებელი მხარეების ნდობის მოპოვება მათდამი ნამდვილი თანაგრძნობითა და უანგარო დახმარებით. მესამე — მათი დარწმუნება იმაში, რომ შერიგება, დათმობა და თანამშრომლობა მათთვის ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ომი, რომ მათი მომავალი შერიგებაზე ჰკიდია. მეოთხე — მოლაპარაკებების დაწყება შერიგების დიდოსტატთა ხელმძღვანელობით. მეოთხე — შესარიგებლებში სიმართლისა და ღირსების გრძნობის გაღვიძება. მათი მიყვანა იმ კონდიციამდე, რომ სძლიონ თავიანთ ბრიყვულ, ბოდიში, ასე არ უნდა მეთქვა, თავიანთ... ეე... უაზრო, ასე შეიძლება მასწ? ბოდიში, ბატონო დოქტორო იგირადო! მაშინ, თავიანთ... ფუჭ მედიდურობას და ბოდიში მოუხადონ ერთმანეთს, პირველ რიგში კი, იმან, ვინც ომი დაიწყო. „ბოდიში და მადლობა აქრობს ყოველგვარ მტრობას“ თქვენ არ თქვით, მასწ? ვაიმე, ისევ ბოდიში, ბატონო იგირადო? არადა, ძალიან ბევრი ხალხია მთავრობებში, რომლებსაც ბავშვობაში ბოდიში და მადლობა არ ასწავლეს.

— შემდეგ? აბა ვინ გააგრძელებს? კარგია, დაჯექით, ბიო! გთხოვთ, არციო!

არციო დგება, როგორც ყოველთვის, უხერხულობისაგან ეცინება, ყურის ბიბილოს ქვემოთ იქაჩავს და ამბობს:

— შემდეგ, უკვე საჭიროა გარედან სერიოზული მიხმარება, ესე იგი, შეძლებული და კეთილშობილი მეზობელი ქვეყნები იწყებენ ისეთი რაღაცეების დაფინანსებას...

— ეგებ „რაღაცეები“ სხვა სიტყვით შევცვალოთ?

— ეე... პროგრამების?

— კი ბატონო.

— მაშასადამე, ისეთი პროგრამების დაფინანსებას, რომლებსაც განახორციელებენ ორივე შესარიგებელი ქვეყნის წარმომადგენლები და, რომელთა წყალობითაც ორივე მხარე უკეთეს ცხოვრებას იწყებს.

— მაგალითად?

— მაგალითად, უშენდებათ საერთო ელექტროსადგური, სადაც ორივე ხალხის წარმომადგენლები მუშაობენ და კარგ ხელფასებს იღებენ. თან იციან: იმიტომ იღებენ, რომ ერთად მუშაობენ, თუ ისევ წაიჩხუბებენ, აღარ ექნებათ ელექტროსადგურის გამოყენების უფლება,

დასხდებიან სიბნელეში და სიცივეში უხელფასოდ და ცარიელი კუჭებით. ასეთი მეთოდები შერიგების პირველ ხანებში საჭიროა. მაშასადამე, ორივე ხალხს ან ქვეყანას აქვს სინათლე, სითბო და ა.შ. მაგრამ, თუ ომს დაიწყებენ, აღარ ექნებათ სინათლე და სითბო...

— აჰა. ეს შენ მოიფიქრე?

— დიახ, მასწ. ბოდიში, ბატონო იგირადო!

— კიდევ?

— კიდევ? მაგალითად, აშენებენ ბავშვთა დასასვენებელ და სამკურნალო სახლებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, რომლებიც უფასოდ მოემსახურებიან ორივე ხალხს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღარ იომებენ. მათი ბავშვები ერთად ისვენებენ, ერთად სწავლობენ. ერთმანეთს უმეგობრდებიან წაჩხუბებული ხალხების სკოლები, საბავშვო ბაღები, სოფლები, ქალაქები.

— კარგი, ბატონო. გთხოვთ, ხვალისთვის დეტალებში დამიმუშავოთ ეგ თქვენი ხედვა, გააცოცხლოთ. ჩასვით მაგ პროგრამებში ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინწინ ერთმანეთის მტრები იყვნენ და ერთმანეთის განადგურება სურდათ, კარგი, არ-ციო! ფაქტობრივად მოთხრობის დაწერას გთხოვ, მაგრამ რა გაეწყობა! ასეთია ჩვენი პროფესია. შერიგება ხელოვნებაა, განა ეს არ არის დიდი დაგის ლოზუნგი!

მეოთხე მასწავლებელი, ქალბატონი ორიო კი, მათ სიმღერასა და სიჩუმეს ასწავლიდა. ერთ დღეს სიჩუმის გაკვეთილი ჰქონდათ, მეორე დღეს სიმღერის. ითვლებოდა, რომ შემრიგებლებს ორივე უნდა სცოდნოდათ, განსაკუთრებით კი, იმ ხალხების სიმღერები, რომელთა შერიგებასაც აპირებდნენ, ხოლო სიჩუმე იმისთვის იყო საჭირო, რომ მოსმენა გესწავლა და კიდევ ზედმეტი სიტყვების წამოყრანტალებისაგან თავის შეკავება.

მეხუთე მასწავლებელი, კუნთმაგარი და სასწაულად ელასტიკური შუა ხნის კაცი, ბატონი სიბასრიო მათ აღმოსავლურ ორთაბრძოლაში წვრთნიდა და აქ დანგომ და ბიომ წარმოუდგენელ წარმატებებს მიაღწიეს. მხოლოდ ამათ შეეძლოთ შუბების წვერებზე სირბილი და ცეცხლის ისე სწრაფად გაკვეთა, რომ არ დამწვარიყვნენ.

გარდა ამისა, სწავლობდნენ მოლაპარაკებათა ხელოვნებას, შუამდგომლობის ხელოვნებას და აი, ასე, გაირბინა სამმა წელმა, თან სწრაფად, თან ნელა.

მეთორმეტე თავი

სამი მდინარის სათავესთან

უეცრად უზარმაზარმა შავ-თეთრმა ფრინველმა გადმოიფრინა მთიდან და ზანგოს და დანგოს თავზე დაჰკივლა. ჰაერში სამი წრე შემოხაზა და მდინარის აღმა ისე დაბლა გაფრინდა, რომ ფეხებით წყალს ეხებოდა.

ნახევარურჩხულებს მოგონებები გაეფანტათ. გამოერკვნენ, მიიხედ-მოიხედეს. უკვე ორი თვე იყო, რაც მიდიოდნენ და მიდიოდნენ, ხან კლდე-ღრეში, ხან ტყეებში, ხან ნახევარუდაბნოში, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ნიშანი არ ჩანდა. ასცისანის ფილმი „ურჩხულები და ულები“ მხოლოდ იმას აჩვენებდა, რაც დედამისს, მუდამ მოქუფრულ სატურნს, დასტყუა და-ძმამ: როგორები იყვნენ და როგორ ცხოვრობდნენ ულები.

მაგრამ სად მდებარეობდა ულების ქვეყანა? ეს არავინ იცოდა სატურნის გარდა. და მას ცოტა ხნის წინათ წამოსცდენოდა: ონგოას ქვეყნის აღმოსავლეთით, მარადიული თოვლით დაფარული მწვერვალების ძირში, სამი მდინარის გადაკვეთის ადგილას, იმ დაბლობზე მდებარეობდა, რომელიც მერე მყინვარს უერთდებაო და ცრემლები წამოსვლოდა. რატომ აღელვებდა კუშტ სატურნს ასე ულების თემა? ესეც გაუგებარი იყო.

თუმცა, რაღაც შეიძლებოდა ევარაუდათ. როგორც დიდ დაგს ეთქვა, ულები უცხოპლან-

ეტელები ყოფილან. არავინ იცოდა, რა მიზეზით, მაგრამ სამი საუკუნის წინათ ჩამოსულიყვნენ დედამიწაზე და თან თავიანთი დია-დედაც ჩამოეყვანათ.

— ეგებ დავბრუნდეთ? — ამოიქშინა ზანგომ და კლდის ლოდზე ჩამოჯდა — ერთი კვირაა აღმა მივუყვებით ამ მდინარეს და აღარ დაადგა საშველი, ვერც სათავესთან მივედით, არც სამი მდინარის გადაკვეთაა სადმე. და მან კლდის ნაშალი ისროლა მდინარეში.

— რას ამბობ! პირველი დავალებაა და ასე პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდეთ? სულ ვერაფერი ამბავი ვერ მივუტანოთ დიდ დაგს? არ შემიძლია!

— აბა რა ვქნათ, დავიხოცოთ?

— არ ვიცი. ვიაროთ.

და მათ სვლა გააგრძელეს კლდოვანი ბილიკით, მთის ველური მდინარის თავზე, რომლის ხმაური ორივეს აბრუებდა. დიდი, ბასრხმიანი ფრინველი ისევ გამოჩნდა, ისევ სამი წრე შემოხაზა ჰაერში და ისევ დააფრინდა წყალს, კლანჭებით ზედაპირს ეხებოდა და ისე მიფრინავდა მდინარის აღმა.

— რატომ დაბრუნდა? — იკითხა ზანგომ.

— მე მგონი, რაღაცას გვანიშნებს... ალბათ გვეუბნება, გამომყევითო, — აღელდა დანგო, — იცი, რა? ხეებზე უფრო სწრაფად ვივლით.

და იგი კენწეროში მოექცა უზარმაზარ წითელფოთლება ხეს. ასეთი ხეების რიგი მიუყვებოდა მდინარის ნაპირს კლდეების ძირში. ზანგოც მიჰყვა. ისინი უმსუბუქესად ხტებოდნენ ერთი კენწეროდან მეორეზე. კენწეროები კი ლამაზად იდრიკებოდნენ, ისევ სწორდებოდნენ და კარგა ხანს ირწეოდნენ. ფერადი ჩიტები ამოფრთხიალდებოდნენ ხოლმე ყოველი ხიდან.

ზანგო და დანგო ლამის დაეწივნენ მდინარის თავზე მიმქროლავ ფრინველს, უზარმაზარი ფრთები რომ გაეშალა და კლანჭებით წყალს კაწრავდა. მათ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ თანდათან იკლებდა მდინარე და როგორ ახლოვდებოდა მარადთოვლიანი მწვერვალის ძირი.

ფრინველი გაქრა. ზანგო და დანგო ძირს ჩახტნენ და დაინახეს, რომ მთის სიღრმიდან წყლის სამი ნაკადი გამოდიოდა, რომელთაგან ერთი პირდაპირ მიდიოდა და იმ მდინარედ იქცეოდა, რომელსაც ამოყვნენ, მეორე — მარჯვნივ უხვევდა, მესამე — მარცხნივ.

ისინი თვალს ვეღარ აშორებდნენ თეთრ-მოცისფრო, კამკამა ნაკადულებს, რომლებიც თანდათან, სადღაც შორს მქუხარე მდინარეებად მიედინებოდნენ.

„აი, როგორი ყოფილა სათავე — ფიქრობდნენ ისინი, — მაგრამ განა ეს შეიძლება სამი მდინარის გადაკვეთად ჩაითვალოს? ეგებ სწორად არ გვითხრეს?“

მაგრამ უცებ ზანგომ უკან მიიხედა და დაინახა, რომ ერთ ადგილას მარჯვენა და მარცხენა ნაკადები უხვევდნენ, შუას უერთდებოდნენ და გამჭვირვალე, ცისფერ ტბას ქმნიდნენ. შემდეგ ისევ გამოედინებოდნენ ტბიდან და თავ-თავიანთ გზაზე მიიკარგებოდნენ.

— სასწაული! — თვალსაც კი აღარ ახამხამებდნენ, ისე მიშტერებოდნენ კამკამა ტბას. — აქეთ როცა მოვდიოდით, რატომ მაშინ ვერ დავინახეთ?

— ნეტავ არ შეიძლება, შევცურდეთ, ზანგო? ჩვენ ხომ იმ დღის შემდეგ, რაც ჩვენი ტყე-ქალაქი გადაიწვა, მდინარეში აღარ შევსულვართ!

— დანგო, მე მგონი სატურნს რაღაც შეეშალა, ეს სამი მდინარის გადაკვეთის კი არა, შეერთების ადგილია, ასე არ არის?

— იცი რა? სატურნს კი არა, ასცისანს შეეშლებოდა, ხომ იცი მისი ამბავი, დედამისი სიტყვებს მთლად ზუსტად ვერ თარგმნის ხოლმე.

— აუ, რა მაგარი იყო, სკოლის დამთავრების ზეიმზე ასცისანი და ასტურისი რომ გვეწივნენ, არა?!

— ჰო. თან საჩუქრებიც მოგვართვეს! რა კარგი ზურგჩანთები გამოგვიგზავნა პატარა

დედოფალმა! იმდენი რამე ეტევა შიგ! ცოტა სევდიანად კი გადმოგვცეს დიდი დაგის დავალება, მე მგონი, არ უნდოდათ, რომ წამოვსულიყავით.

— ალბათ ეშინიათ, რომ უკან ცოცხლები ვერ დავბრუნდებით.

— შენ... ფიქრობ, რომ მათ ჩვენ... ვუყვარვართ?

— არ ვიცი. მე მგონი, კი.

— მეც... მგონი...

ისინი ნელა მიუახლოვდნენ ტბას და შეცურდნენ. შეცურდნენ და ჩაყვინთეს. მერე აღარ ახსოვდათ, რა ხდებოდა. გრძნობდნენ, რომ ისვენებდნენ. გონება ეწმინდებოდათ. ხსოვნიდან ქრებოდა საშინელი ბავშვობა, მშობლებთან და ერთმანეთთან ჩხუბი, ცემა-ტყეპა, ღრიალი, ირგვლივ ყველაფრის გაუბედურება, ხანძარი, ცეცხლში ჩაფერფლილი ავი მშობლები და ტყე-ქალაქი; ცეცხლში ჩაფერფლილი აუხდენელი სურვილი, ჰყოლოდათ მოსიყვარულე, მეგობრული მშობლები და მშვიდი, თბილი ოჯახი. ქრებოდა ყველაფერი, რაც მათ ასე ამძიმებდა და აწვალებდა. თვითონ კი მსუბუქდებოდნენ და აფრენა სურდათ. არასდროს უგრძვნიათ აფრენის სურვილი, ახლა კი გრძნობდნენ... მაგრამ ულებისაგან განსხვავებით, მათ ფრთები არ ჰქონდათ.

— კი მაგრამ, ახლა სად წავიდეთ? — უმწეოდ იკითხა ზანგომ, როცა ტბიდან გამოვიდნენ — წინ მარადთოვლიანი მწვერვალია.

დიდი, შავთეთრი ფრინველი ისევ გამოჩნდა, რაღაცნაირად ასხლტა წყლიდან და თვალუწვდენი მთის აყოლებაზე ჰაერში მაღლა-მაღლა აფრინდა.

— მე მგონი, ეს მთა უნდა გადავიაროთ, ზანგო, — წარმოთქვა დანგომ ჩუმად.

— რას ამბობ! — სასოწარკვეთილი ზანგო ხეს შემოეხვია. — როგორ უნდა ავიდეთ ამ ციცაბო მთაზე, ვერ ხედავ, ლამის ცაში აქვს წვერი!

მაგრამ დანგო უკვე მთისკენ მიდიოდა.

ამოდიოდა ცეცხლისმფრქვეველი მზე და ჩადიოდა, ამოდიოდა და ჩადიოდა. ჩნდებოდა დიდრონი კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ქრებოდა, ჩნდებოდა და ქრებოდა. ქარი მოვარდებოდა საიდანღაც და ისევ გადაიკარგებოდა, მოვარდებოდა და გადაიკარგებოდა. წამოვიდოდა წვიმა და გადაიღებდა, ზოგჯერ კი ბარდნიდა და მსხვილი ფანტელები მარხავდა ყველაფერს...

ისინი კი მაინც მიდიოდნენ და სულ მაღლა და მაღლა იწევდნენ. ხელები დაუსკდათ და თვალები ეწვოდათ, ბევრჯერ ჩახედეს სიკვდილს თვალებში, ერთი-ორჯერ კინაღამ ნაპრალში გადაიჩეხნენ, მაგრამ, როცა მწვერვალს ააღწიეს და წელში გაიმართნენ, მთელი დაღლა და გამოვლილი ტანჯვა-წამება გადაავიწყდათ. მათ თოვლის, ყინულისა და მწვერვალების გამაოგნებელი სამეფო გადაეშალათ თვალწინ. მწვერვალზე დააღამდათ. თავიანთი პატარა კარვიდან ასცქეროდნენ ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას. ნელა გადაჰქონდათ მზერა დიდი დათვიდან პატარა დათვზე, ჩრდილოეთის ციაგზე, ორიონზე...

— ნეტავ რომელი პლანეტიდან მოვიდნენ ულები, დანგო? — სევდიანად იკითხა ზანგომ.

— ალბათ სატურნიდან, — თვითონვე ვერ გაიგო, ეს რატომ თქვა დანგომ.

— სატურნიდან? საიდან იცი?

— არ ვიცი. ისე ვთქვი.

— ჩვენ ხომ ძალიან მარტოები ვართ, დანგო, — ზანგოს მთლად დაუსევდიანდა ხმა.

— ჰო. არც ადამიანები ვართ, არც ულები, აღარც ურჩხულები... ჩვენნაირი არავინ არა გვყავს...

— როგორც ჩვენი სკოლის დირექტორმა თქვა, ჩვენ ურჩხულთა მოდგმის უკანასკნელი შთამომავალნი ვართ... ოღონდ, აღარც ურჩხულები ვართ...

— ნეტავ ადამიანებად გადავიქცეოდეთ... — თავი ჩაღუნა დანგომ.

— აბა, იგირადო დანტელი რომ გვეუბნებოდა, იყავით ის, ვინც ხართო?

— მერედა ვინა ვართ ჩვენ? ურჩხულები?

— პრინციპში ჩვენ ულები ვართ, რომლებიც შემდეგ გადაიქცნენ ურჩხულებად. — სულ უფრო ჩუმად ლაპარაკობდა ზანგო.

— ნეტავ არ შეიძლება ისევ ულებად გადავიქცეთ?

— არ ვიცი, ალბათ არა. და გინდაც გადავიქცეთ, ისევ ისე მარტონი ვიქნებით: ორადორი ული მთელ დედამიწაზე, —ამოიოხრა დანგომ.

— ეგებ გადარჩა ვინმე ნამდვილი ული და დია-დედასთან ერთად სადღაც ჯუნგლებში აგრძელებენ ცხოვრებას? — ისევ ახედა ცას ზანგომ და მოეჩვენა, რომ ვარსკვლავები უფრო ახლოს მოვიდნენ.

— რას ამბობ, როგორ გადარჩებოდნენ, აბა...

და მათ ჩაეძინათ.

გათენდა თუ არა, დამაბრმავებლად მოკაშკაშე მზის შუქში მწვერვალი გადაიარეს და მეორე მხრიდან დაეშვნენ დედამიწაზე. ორი დღის შემდეგ თავი თვალუწვდენ, აბიბინებულ დაბლობზე ამოჰყვეს.

გამალებული მიისწრაფოდნენ წინ, უზარმაზარი ნახტომებით ფარავდნენ მანძილს. მაგრამ მერე შეამჩნიეს, რომ ბალახი თანდათან მაღლდებოდა და სქელდებოდა და ბოლოს გაუვალ ჯაგნარად იქცა. ზურგჩანთებიდან დანები ამოიღეს და გაკაფვას შეუდგნენ, მაგრამ ჯაგნარი უფრო სქელდებოდა და რკინასავით ეკლებს ისხამდა. რაღას იზამდნენ, ისკუპეს და ზემოთ მოექცნენ. ქარივით მიჰქროდნენ. მართალია, შუბის წვერებზე სირბილი შერიგების სკოლაში ისწავლეს, მაგრამ ეკლებზე სირბილი რატომღაც ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა. რამდენიმე საათი ირბინეს და ყინულზე დაენარცხნენ, რადგან ჯაგნარი უცბად დამთავრდა.

ეს სქელი, ვრცელი მყინვარი იყო: ბექობებიანი, უსწორმასწორო. და ზანგო და დანგო ყინულს დაეკვრნენ. მთელი ღონით ცდილობდნენ ხელ-ფეხი და შუბლი აეგლიჯათ სარკოვანი ზედაპირდან, მაგრამ არ გამოსდიოდათ. გაიფიქრეს, რომ აქ დაამთავრებდნენ სიცოცხლეს, მაგრამ მზემ თანდათან ისე დააჭირა, თითქოს ცეცხლებს აფრქვევდა და ყინულის ზედაპირი ოდნავ მოლღვა. ადგნენ. ფეხებიდან სისხლი სდიოდათ. მიდიოდნენ და სისხლიან კვალს სტოვებდნენ მყინვარის თეთრ სარკეზე.

მიუახლოვდნენ ყინულის მაღალ ბექობს. სახე ახლოს მიიტანეს და შიგ ჩაიხედეს. ჩაიხედეს და თავზარდაცემულები ყვირილით გადახტნენ უკან.

ისევ მიუახლოვდნენ, ისევ ჩაიხედეს და ისევ ყვირილით გადახტნენ უკან.

„შეუძლებელია,“ — ბუტბუტებდნენ და ვეღარ ბედავდნენ მიახლოებას. ერთიანად შეძრულებს აკანკალებდათ. ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ და ხედავდნენ გამოუთქმელ შიშს.

მერე გაბედეს და ყინულის ბექობზე აცოცდნენ. ახლა ზემოდან ჩასცქეროდნენ გამჭვირვალე ყინულის მასას და ხედავდნენ დია-დედას, ღია თვალებით რომ გაყინულიყო, მის ბატკნებს, ფუტკრებს, პეპლებს, ქოხის ერთ მხარეს — წითელ ასკილს, მეორე მხარეს — შავ მაყვალს, ყველაფერს გაყინულს, მკვდარს, ყინულის ქანდაკებებად ქცეულს და თვითონაც გაქვავდნენ თითქოს. შუბლებით ისევ დაეწებნენ ყინულს და ძალას ვეღარ გრძნობდნენ, რომ შუბლები ყინულიდან აეგლიჯათ. საიდანღაც მძიმე ნისლი მოიწევდა, სიცივე მატულობდა და იგრძნეს: თვითონაც იყინებოდნენ...

თვალებიდან ცრემლები დასდინდათ, ფეხებიდან სისხლი სდიოდათ და მათი ცრემლი და სისხლი თითქოს ოდნავ ალღობდა ყინულს. მაგრამ ისინი ამას ვეღარ ხედავდნენ. ზანგომ და დანგომ გონება დაჰკარგეს...

მეცამეტე თავი

დიდი დაგის ორდენის საგანგებო კრება

დიდი დაგის ორდენის საგანგებო კრება დილის ათ საათზე დაიწყო. ორდენის რჩეული წევრები, ზოგი მანქანით, ზოგი თვითმფრინავით, ზოგი მატარებლით, ზოგი მოტოციკლეტითა თუ ველოსიპედით წინა ღამით ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. მთის ძირში დატოვეს მანქანები თუ ველოსიპედები და საბაგირო გზით ავიდნენ სასახლესთან. მათ უხაროდათ ერთმანეთის დანახვა, უხაროდათ, რომ ამჯერად არავინ აკლდათ. ახლაც, როგორც ყოველთვის, ლამაზ, მწვანე სასტუმროში დაბინავდნენ, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გირჩის ფორმის მწვანე ჭაღები და ბრები ეკიდა და წყნარი, ნაცნობი მუსიკა გაისმოდა.

ასცისან სამურის, ასტურისის, ქალბატონ ძირასა და პატარა დედოფლის გამოჩენამ განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია. მათ მიერ შემუშავებული მხიარული და ჭკვიანური გეგმა, რითაც სამი წლის წინ ზანგოსა და დანგოს შერიგება მოახერხეს, დიდხანს იყო სალაპარაკოდ გამხდარი ორდენის წევრებს შორის. ბევრმა ამ გეგმის რაღაც დეტალები მერე თვითონ გამოიყენა. მაგალითად, თეატრისა და ფილმის მომენტი. ასევე ძალზე საინტერესოდ მოეჩვენათ ცხოველის, კერძოდ, თეთრი ციყვის, ჩართვა შერიგების პროცესში. ეს ნამდვილად საინტერესო იდეაო, იმეორებდნენ და ბევრმა გადაწყვიტა, თანამებრძოლად გაეხადა რომელიმე ცხოველი. საერთოდ, ამ ჯგუფის წევრები პატარა დედოფლის მეთაურობით, კარგა ხანია, მაღალი რანგის შემრიგებლებად ითვლებოდნენ: მათ უკვე ორი პატარა, საშინლად შეუსმენელი ხალხი, ორი სასტიკი ოჯახი, ქალაქის ორი ანჩხლი უბანი, ორი სოფელი და ორი ქალაქი ჰყავდათ შერიგებული, როცა დიდი დაგისაგან, ცოტა არ იყოს, უცნაური დავალება მიიღეს: შეერიგებინათ და გადაერჩინათ ორი პატარა ურჩხული, რომლებიც თურმე უცხოპლანეტელი ულების გადაგვარებული შთამომავლები იყვნენ.

ორდენში ყველამ იცოდა, რომ ხშირად ორი ადამიანის შერიგება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ორი ხალხისა. ხოლო ორი ურჩხულის შერიგება კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ დიდებულად დაგვირგვინდა.

წინა კრებაზე მაღალი რანგის შემრიგებლის, დოქტორ იგირადო დანტელის სიკვდილი გახდა ცნობილი, რომელიც იარაღით მოვაჭრეებმა გამოასალმეს სიცოცხლეს, მას შემდეგ, რაც მან საბოლოო გამარჯვებას მიაღწია დიდი დათვის კუნძულზე ატეხილი ომის ჩაცხრობაში. მაშინ ლამის მთელი კრება ამ ფაქტისა და მოსალოდნელი შედეგების განხილვას მიეძღვნა. ორდენის წევრმა, დოქტორმა კაუდიმ იმ დღის ამსახველი ფილმიც წარმოადგინა. დიდი დაგი უზომოდ დამწუხრებული იყო და დაინახეს კიდეც, ცრემლმორეული რომ ათვალიერებდა დოქტორ დანტელის ფოტოალბომს. მაგრამ დასახული გეგმების შეცვლას არც ის და არც მისი თხუთმეტი თანაშემწე არ აპირებდა: ორდენის ყველა წევრმა კარგად იცოდა, რომ შერიგება არ იყო უხიფათო მოწოდება. და მაინც ყველა იმ აზრის გახლდათ, რომ რაც შეიძლება ბევრი შერიგების ხელოვნების სკოლები უნდა დაეფუძნებინათ და, საერთოდ, მუშაობა გაეძლიერებინათ.

დოქტორ დანტელის მკვლელობა კი ასე მოხდა:

ბოროტმოქმედნი „შერიგების ხელოვნების სკოლას“ დაესხნენ თავს, სადაც ბატონი იგირადო ასწავლიდა. სკოლაში ყოფილი მოსწავლეები, ზანგოსა და დანგოს თანაკლასელები იმყოფებოდნენ, რომლებმაც ოთხი თვის წინ დაამთავრეს სამწლიანი კურსი და ახლა რეგულარულად იკრიბებოდნენ მასწავლებლებისაგან შემდგომი კონსულტაციების მისაღებად. მხოლოდ ზანგო და დანგო აკლდნენ. არავინ კითხულობდა, სად არიანო, რადგან ორდენის წევრები ხშირად მიდიოდნენ დიდი დაგისაგან მიღებულ საიდუმლო დავალებათა შესასრულებლად. რაიმე ცუდი რომ ყოფილიყო ზანგო-დანგოს თავს, მასწავლებლები აუცილებლად აცნობებდნენ ყოფილ მოწაფეებს. ეს ორდენის წესი იყო. მის წევრებს უზუსტესი ინ-

ფორმაცია უნდა ჰქონოდათ ყველა არსებული და მოსალოდნელი საფრთხის, ყველა მარცხისა და გამარჯვების თაობაზე.

მასწავლებლები და ყოფილი მოწაფეები სკოლის საკონფერენციო დარბაზში იყვნენ შეკრებილნი. კარგა ხანს ისაუბრეს იმის შესახებ, თუ რომელი მოწაფე სად და როგორ მოღვაწეობდა, რა განსაკუთრებულ სიძნელეებს აწყდებოდა, როგორ მიდიოდა შერიგების საქმე, საერთოდ, მთელ დედამიწაზე.

ამის შემდეგ ნახეს ფილმი, რომელიც დიდი დათვის კუნძულზე გამართული შერიგების ზეიმს ასახავდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, დოქტორ იგირადო დანტელის დამსახურება იყო. იგი თავის რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა დიდი დათვის კუნძულის ბინადარი ორი ძველი ხალხის: ურუნდებისა და ბანქარდების შესარიგებლად. ეს გაუთავებელი ომი მთელ მსოფლიოს უკვე ყელში ჰქონდა ამოსული და ვერც ვერავინ ახერხებდა რაიმეს. არადა, ამ შეშლილ ტომებს მთელი კუნძულის განადგურება შეეძლოთ, რაც უზარმაზარ დარტყმას მიაყენებდა დედამიწის სილამაზეს და აგებულებას. დოქტორმა იგირადომ დახვეწილად გამოიყენა შერიგების ხელოვნების ყველა მეთოდი და ხერხი. მაგრამ მხოლოდ დიდი ცოდნა არ იქნებოდა საკმარისი. რომ არა მისი ნამდვილი სიყვარული და თანაგრძნობა ამ თავგზააბნეული ხალხების მიმართ, ერთმანეთს რომ ანადგურებდნენ, დიადი ამოცანა შეუსრულებელი დარჩებოდა.

და აი, ახლა ყოფილი მტრები ერთმანეთს ხელს ართმევდნენ; მათი ბავშვები, რომლებსაც მშობლების კვალდაკვალ შეეძულებინათ ერთმანეთი, ისევ ერთსა და იმავე სკოლებში იწყებდნენ სწავლას; მგლოვიარე დედები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ერთმანეთის შვილების საფლავებზე პატარა ხეებს რგავდნენ; ყველაფერს, რაც ომის დროს დაანგრიეს, თავიდან აშენებდნენ: სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, პარკებს, დასასვენებელ სახლებს, საავადმყოფოებს. და უამრავი ქვეყანა სიხარულით ეხმარებოდა მათ, ისეთ ბედნიერებას ანიჭებდა მსოფლიოს ხანგრძლივი ომის დამთავრება და დიდი შერიგების დადგომა. და კადრში ხშირად მოჩანდა დოქტორი იგირადო დანტელი, რომელიც ჩუმ-ჩუმად იწმენდდა სიხარულის ცრემლებს საოცრად ჭრელი ცხვირსახოცით...

და უცებ გასროლის ხმა გაისმა და ქსოვილის ეკრანი სწორედ იმ ადგილას გაიხა, სადაც იგირადო დანტელის სახე მოჩანდა. ყველანი სკამებიდან წამოცვივდნენ. წამის შემდეგ მეორედ გაისროლეს და იგირადო დანტელი იატაკზე დაეცა. მკვლელი შეუმჩნევლად შეპარულიყო დარბაზში. თურმე სკოლა ალყაში მოექცია იარაღით მოვაჭრეთა ერთ ძლიერ დაჯგუფებას, რომელმაც დიდი ზარალი ნახა დიდი დათვის კუნძულზე ომის დამთავრებით. დარბაზში წამიერად დაბნეულობა და ქაოსი გაჩნდა. მაგრამ მალევე მოვიდნენ გონს, ორი მასწავლებელი დოქტორ იგირადოს მივარდა, რვა ყოფილი მოწაფე და ოთხი მასწავლებელი კი ისე სწრაფად და მოხერხებულად ამოქმედდა, რომ რამდენიმე წუთში მტრის ალყა თვითონ მოაქციეს ალყაში. ისინი უიარაღო ბრძოლის ისეთ ხელოვნებას იყვნენ დაუფლებულნი, როგორსაც თავდამსხმელები ვერც წარმოიდგენდნენ. მათ იარაღიც ჰქონდათ უკიდურესი შემთხვევისათვის. მაგრამ მისი გამოყენება არც ახლა და არც მანამდე არ დასჭირვებიათ, რასაც მშვიდობის თავადს უმადლოდნენ, რომელსაც დღეში რამდენჯერმე ესაუბრებოდნენ გულში, რადგანაც ორდენის დანარჩენი წევრებივით მის თანაშემწეებად და მეგობრებად, უბრალოდ, მის ჯარისკაცებად თვლიდნენ თავს. ხუთი დამნაშავე ტყვედ აიყვანეს და შემდეგ პოლიციას გადასცეს, სადაც, სხვათა შორის, საიდუმლოდ მუშაობდა დიდი დაგის ორდენის ორი წევრი. დანარჩენები გაიქცნენ. მაგრამ ამ ყველაფრით დოქტორ იგირადოს აღარაფერი ეშველა. იგი თავის საყვარელ საკლასო ოთახში გარდაიცვალა. გოგონა ბიომ დაფას წააწერა: „დოქტორი იგირადო დანტელი, დიდი შემრიგებელი და მასწავლებელი, მუდამ გვეყვარება ჩვენ და დიდი დათვის კუნძულის ბინადართ, რომლებიც მან ერთმანეთის განადგურებისაგან იხსნა.“

დიდი დაგის ორდენის წევრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მეგობარი, დოქტორი დან-

ტელი, ვერცხლისფერი ნაძვი დარგეს მის პატივსაცემად იმ ნაძვების რიგში, სასახლის ირგვლივ წრიულად რომ აღმართულიყვნენ დაღუპულ შემრიგებელთა მოსაგონებლად. ნაძვს ხის პატარა აბრა დაკიდეს, რომელსაც ნაზი, დახრილი ასოებით ეწერა: „შემრიგებელი იგირადო დანტელი — მისი გამარჯვებაა დიდი დათვის კუნძულის ხალხების: ურუნდებისა და ბანქარდების შერიგება.“

შემდეგ ორდენის წევრები იმ საკითხებზე გადავიდნენ, რომლებიც ხვალ უნდა განეხილათ. პირველ რიგში, ორი ახალი გამარჯვების აღწერას, ანალიზსა და საზეიმო აღნიშვნას აპირებდნენ. შემდეგ ზანგოსა და დანგოს პრობლემაზე უნდა ესაუბრათ და ეს მართლა აშფოთებდათ, რადგან სამი კვირის წინ მათთან კავშირი გაწყვეტილიყო. რა საიდუმლო დავალების შესასრულებლად გაგზავნა ორი ნახევარურჩხული დიდმა დაგმა, ჯერჯერობით არავინ იცოდა, მაგრამ მათთან კავშირის გაწყვეტა და ამ კრებაზე არგამოცხადება რომ სერიოზული აღელვების მიზეზს იძლეოდა, ეს სადავო არავისთვის იყო. თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით ნერვიულობდნენ პატარა დედოფალი, ასცისან სამური, ასტურისი და ქალბატონი ძირა.

ასცისანი წარამარა ფანჯარასთან მირბოდა. პატარა დედოფალი გაუთავებლად შლიდა და კეცდა პარაშუტს და ამ გაუგებარი საქციელით ზოგ ხანშიშესულ ბატონს აღიზიანებდა. ასტურისი ბოლთას სცემდა და მისალმებები ავიწყდებოდა. ქალბატონი ძირა კი სავარძელში გაქვავებულიყო და ვერც გრძნობდა, რომ ორივე სათვალე (განკუთვნილი წიგნისა და ტელევიზორისთვის) ზედ ეკეთა.

კრება დილას ცხრა საათზე მრგვალ, თეთრ დარბაზში დაიწყო. დიდი, თეთრი, მრგვალი მაგიდის ირგვლივ სამოცი მონაწილე იდგა. მრგვალ სახურავს შუაში წრიული, ფერადი მინა ჰქონდა ჩადგმული, რომელზდაც დიდი, შვიდფოთლიანი ყვავილი ეხატა. თითოეულ ფოთოლს თავისი ფერი ჰქონდა, ცისარტყელას ფერებიდან ერთ-ერთი, და დილის მზის ნათელი ყვავილის გავლით ფერად ნაკადად მოიღვრებოდა.

პირველად, როგორც ყოველთვის, ეს სიტყვები წარმოითქვა, როგორც ყოველთვის, ჩუმად და მგრძნობიარედ:

მშვიდობის თავადო, ჩვენ შენი ჯარი ვართ,
სასტიკი დროების ძნელ გზებზე დავდივართ,
რათა აღვასრულოთ, რასაც გვეუბნები,
რათა დავამშვიდოთ მრისხანე გულები,
რათა შერიგების ხიდები ავაგოთ,
და შენ გაგახაროთ, ძვირფასო თავადო,
პირველ შემრიგებელს მოგმართავთ ვედრებით:
დასრულდეს ყოველი მტრობა შერიგებით,
და ჩვენც დაგვიფარე, შენი მეგზურები,
ყველგან და ყოველთვის აქ რომ გვეგულები.

და ამ დროს მუდამ ცოცხლად გრძნობდნენ მშვიდობის თავადის იქ ყოფნას: თითქოს სახურავზე დახატული ყვავილი დატრიალდაო, მზის ფერადი ნათელი ტრიალს იწყებდა, მათ შუქის ფერადი ფოთლები გადასდიოდათ სახეებზე და ყველას გულში ეღვრებოდა საკვირველი სითბოსა და სინათლის ნაკადი. დიდი დაგის ორდენის წევრები არაფერზე არ გასცვლიდნენ ამ ბედნიერებას. სხვებს კი ვერაფრით გაეგოთ, საიდან ჰქონდა ამ ხალხს ეს გამძლეობა და შეუპოვრობა.

დიდმა დაგმა სალამი უძღვნა ორდენის წევრებს, დალოცა და ხელით ანიშნა, დამსხდარიყვნენ. შემდეგ თავისი ღრმა და მშვიდი ხმით წამოწყო:

— ძვირფასო შემრიგებელნო, ჩვენ ისევ ვხედავთ ერთმანეთს კარგად მყოფებს და ენერგიით სავსეებს და ამისათვის მადლობას ვეუბნებით მშვიდობის თავადს. ფარი და ბურჯია მისი ჭეშმარიტება.

ჩვენ ვიცით, რა ამაოა მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით საქმის კეთება. ჩვენ ყველას გავლილი გვაქვს მარტოობისა და გაურკვევლობის ეს გზა, როდესაც თვით თავდაუზოგავ შრომასაც კი ან არაფერი, ან ძალიან მცირე შედეგი მოჰქონდა.

მით უფრო ვერავინ დაამკვიდრებს მშვიდობასა და შერიგებას მშვიდობისა და შერიგების თავადის გარეშე. ჩვენ მინდობილი ვართ მას, და ვიცით, რა სიმშვიდე და ძალა მოაქვს ამ მდგომარეობას. კარგა ხანია, მის ხელებს მივაბარეთ ჩვენი სიცოცხლე და გავთავისუფლდით შიშისა და შფოთისაგან.

მადლობა მას. ჩვენ მას მივყვებით. მაგრამ ისიც ვიცით, რომ უმსხვერპლოდ დიდი საქმეები არ გამოდის და ამასაც, კარგა ხანია, მშვიდად ვუყურებთ. ჩვენთვის აღარ არსებობს სიცოცხლე და სიკვდილი, ჩვენთვის არსებობს ერთიანი სამყარო, რომელიც ყველგან სუნთქავს და ამ სუნთქვაში ვართ ყველანი ჩართული.

განსაკუთრებით საოცარია, რომ ეს ჩვენი ორდენის ყველაზე უმცროს წევრებს ისევე ეხება, როგორც უხუცესთ. და ეს ყველაზე უმცროსები, კარგა ხანია, ჩვენი ორდენის საამაყო წევრებად იქცნენ: პატარა დედოფალი, ასცისან სამური და ასტურისი. მათი სახელები ორდენის მიერ მინიჭებული სახელებია. განსაკუთრებული ძალა შესძინა ჩვენს ორდენს სატურნის ბავშვების: ასცისან სამურისა და ასტურისის მიღებამ. ამან უზრუნველყო მუდმივი კავშირი პლანეტებთან, კერძოდ, სატურნთან. მართალია, სატურნი სამართლიანადაა გაბრაზებული დედამიწაზე, რადგანაც იცის, რამდენი დანაშაული და უბედურებაც ხდება აქ, და არც ბავშვების გამოშვება უყვარს, მაგრამ შინაგანად მთლიანად გვიჭერს მხარს.

და იზრდება ჩვენი რიგები და ძლიერდება ჩვენი საქმიანობა ცის მეკობრეებისა და მათი დედამიწელი მოკავშირეების წინააღმდეგობის მიუხედავად. უკვე ასამდე „შერიგების ხელოვნების სკოლა“ დავაარსეთ. საოცარია, რომ მომავალი შემრიგებელნი, ამ სკოლებში სწავლის მსურველნი, თვითონვე გვპოულობენ. უკვე მრავალი შერიგება გვაქვს ჩვენს საგანძურში, და ამ საგანძურს სიხარულით ვუწვდით მშვიდობის თავადს.

დღესაც სამი ახალი შერიგება უნდა განვიხილოთ და ვიზეიმოთ: ორი ადამიანის, ორი ოჯახისა და ორი ხალხის შერიგება. გილოცავთ. ვულოცავთ შემრიგებლებს დიდ გამარჯვებას. მათგან სამი ჩვენი დაუვიწყარი იგირადო დანტელის მოწაფეა. და ეს დოქტორ დანტელის კიდევ ერთი გამარჯვებაა. შეგახსენებთ, რომ იმავე სკოლაში სწავლობდნენ ზანგო და დანგო, რომლებზედაც დღეს ხანგრძლივად მოგვიწევს საუბარი, რადგან სამი კვირაა ორდენმა მათთან კავშირი დაკარგა. და არა მხოლოდ ამის გამო. აი, ასეთია ჩვენი დღევანდელი გეგმა.

სამ ახალ შერიგებაზე საუბარმა ისევ ბედნიერების ატმოსფერო წარმოქმნა.

ორი ადამიანის შერიგებაზე ორი წლის მანძილზე სამი შემრიგებელი მუშაობდა.

ორი ოჯახის შერიგებას ორდენის ექვსი წევრის ოთხწლიანი შრომა დასჭირდა.

ორი ხალხის შერიგებას ათი წელი მოუნდა ორდენის ათი გამოცდილი წევრი. აჩვენეს მტრობისა და შერიგების პროცესის ამსახველი ფილმები. აჩვენეს ორი მეზობელი ხალხის მიერ გაუთავებელი სისხლიანი შეხლა-შემოხლის დროს გაჩანაგებული უნიკალური ნაკრძალი, რომელშიც დედამიწის უძველესი მცენარეები ხარობდნენ.

გამარჯვებულ შემრიგებლებს გადაეცათ ჯილდოები და მიენიჭათ ახალი წოდებები. შერიგებული ხალხების სახელები დარბაზის ოქროსფერ კედელს წააწერეს.

ამ ყველაფერს მთელი ორი დღე მოუნდა. მესამე დღეს, დილის რიტუალის შემდეგ დიდმა დაგმა განაცხადა:

— მე, მიუხედავად ყველაფრისა, იმედი მქონდა, რომ ზანგო და დანგო დღეს მაინც გამოჩნდებოდნენ. ჩვენი თვითმფრინავი „ფრიდია“ უკვე სამი კვირაა ეძებს მათ. ასეთი რამ

არასოდეს მომხდარა ჩვენი ორდენის არსებობის მანძილზე. ამ საღამოს მუშაობა უნდა დავასრულოთ, ისინი კი არ ჩანან...

ასცისან სამურის გული შეეკუმშა. პატარა დედოფალმა მკლავზე იჩქმიტა. ასტურისს ხველება აუტყდა და თეთრი შლაპა მოსძვრა. ქალბატონმა ძირამ კი მალულად დააძრო ველური რეჰანი გრძელი, დედოფლური კაბის ჯიბიდან და შეისუნთქა, რათა გული არ წასვლოდა: „ნამდვილად დავეცემი, ნამდვილად დავეცემი," — მონუსხულივით ჩურჩულებდა იგი, — „ნამდვილად დავეცემი და თავს მოვიჭრი" — და ლამის ცხვირში იტენიდა ველურ რეჰანს, მერე ასტურისს ჩაეჭიდა.

დიდ დაგს მუდამ იდუმალად მოციმციმე თვალებში ღრმა სევდა ჩადგომოდა, აშკარად ჩანდა, რომ დროის გაყვანას ლამობდა.

— მეგობრებო, — სევდიანად წამოიწყო მან, — მინდა, ყველაფერი იცოდეთ ზანგოსა და დანგოს შესახებ:

დაახლოებით ორი-სამი საუკუნის წინათ დედამიწაზე ერთ-ერთი შორეული პლანეტიდან თავიანთი უნიკალური ხომალდით ჩამოვიდნენ უცნობი მოდგმის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ თავს ულებს უწოდებდნენ. მათ ციდან თან ჩამოიყვანეს ერთი ჩვენთვის ამოუხსნელი არსება, რომელსაც ისინი დია-დედას ეძახდნენ. ამ არსების მათთან ერთად ცხოვრება თურმე არ შეიძლებოდა, აუცილებლად უნდა ჰქონოდა თავისი ტაძარი და ულებს ყოველდღე რიგ-რიგობით უნდა ეარათ მასთან, რაღაც მისთვის საყვარელი ნუგბარეული მიეტანათ და მისგან თაფლი და ახლად მოქსოვილი ქათქათა სამოსი წამოეღოთ. ეს რიტუალი მას შემდეგ გაჩენილა, რაც დედამიწაზე დაფრენილ ულებს უგრძვნიათ, რომ ძალა დაჰკარგეს. მაშინ დია-დედას აზრად მოსვლია, ისინი ბატკნის მატყლისაგან მოქსოვილ ქულაჯებში გამოეწყო და კლდის თაფლით გამოეკვება. ვიდრე ეს საქმე აეწყობოდა, დედამიწის მკვიდრ მეზობელ ტომებს დასუსტებული ულების შევიწროება დაუწყიათ. ბევრი მათგანი მოუკლავთ. მაშინ ულებს უფრო უკან დაუხევიათ მყინვარის მიმართულებით და დედას მათი სოფელ-სახელმწიფოდან მოშორებით, ცარცის კლდის ძირში დაუდვია ბინა.

ულები საკვირველი არსებები ყოფილან. ისინი ადამიანებივით, ოღონდ, ძალიან მაღალი ადამიანებივით, გამოიყურებოდნენ. ადამიანისაგან მხოლოდ ფრთები, თევზის მბზინავი კანი და მესამე თვალი განასხვავებდათ, რომელიც შუბლზე ჰქონიათ. მაგრამ თუ არ სჭირდებოდათ, ამ თვალს არ ახელდნენ. დახუჭული კი, ის დახატულ თევზს წააგავდა თურმე. და კიდევ ჰქონიათ ძალიან გრძელი, ოქროსავით მბზინავი და დატალღული თმა. ულებს სხვა ტომელები ცოლად არ მოჰყავდათ და არც თავიანთ გოგონებს ატანდნენ ცოლად. ალბათ ამ ლამაზი მოდგმის შევიწროების ერთ-ერთი მიზეზი მათი ეს გარიყულობაც იყო. თანდათან ულებს დაუბრუნდათ უჩვეულო ძალა და ფრენის უნარი. წყალქვეშ თევზივით არსებობის უნარი კი დედამიწაზე აღმოუჩენიათ. გარდა ამისა, მათ მომაჯადოებელი სიმღერაც შეეძლოთ თურმე. შემდეგ მომხდარა რაღაც საბედისწერო რამ: ულებს დია-დედისკენ, — როგორც თავად ეძახდნენ ამ არსებას — მიმავალი ბილიკი დაუკარგავთ თუ რაღაც ამდაგვარი, ქულაჯები ვეღარ გამოუცვლიათ, საერთოდ, რაღაც აუხსნელი ტრაგედია მომხდარა მათ ცხოვრებაში, რის შედეგადაც თანდათან გადაგვარებულან და ურჩხულებად ქცეულან. ამ ურჩხულთა მოდგმა უკანასკნელ ხანებამდე ცხოვრობდა ჩვენი კონტინენტის მიუვალ ტყეებში. მათმა გადაგვარებამ იმ ზღვარს მიაღწია, როცა მოდგმის დაღუპვა გარდუვალი ხდება. ეს ყველაფერი ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა მკვლევარმა მიამბო და ჩვენ გადავწყვიტეთ, ორი ყველაზე უმცროსი ურჩხული გადაგვერჩინა. ასეთები აღმოჩნდნენ ზანგო და დანგო, მაგრამ ერთმანეთს წაკიდებულები და საშინელი აგრესიის მფრქვევლები. მაშინ საბჭოსთან შეთანხმებით გადავწყვიტე, ჩვენი ორდენის ყველაზე უმცროსი წევრებისათვის დამევალებინა ზანგოსა და დანგოს გადარჩენა, რაც მათი შერიგების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ჩვენი უმცროსი, მაგრამ უკვე სახელგანთქმული შემრიგებლების მიერ ოპერაცია, როგორც იცით, წარმატებით განხორციელდა. წარმატებითვე დაამთავრეს ზანგომ და დან-

გომ შერიგების ხელოვნების სკოლა, რაც ზოგს, მართალი გითხრათ, შეუძლებლად მიაჩნდა. და აი, აქ, მე მგონი, საბედისწერო შეცდომა დავუშვი, ავჩქარდი და ურთულესი, როგორც ახლა ვხედავ: სულაც შეუძლებელი რამ დავავლე მათ: მე დავავალე ულების ქვეყნის ნაშთების მოძებნა. აი, ამას შეეწირნენ, როგორც ჩანს, ამ უნიკალური მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენლები: ზანგო და დანგო.

მე კი, ო, უნდა გაგიმხილოთ, რაზე ვოცნებობდი, მე ვოცნებობდი იმაზე, რომ რაღაც სასწაულის ძალით, ზანგო და დანგო ისევ ულები გახდებოდნენ და ჩვენს ორდენს თავიანთი თავდაპირველი სახით შემოუერთდებოდნენ. განა არ გვჭირდებიან ასეთი ძლიერი, უნივერსალური არსებები ამ ჩვენს ესოდენ რთულ საქმეში? არსებები, რომლებიც ფრენენ კიდეც, წყალქვეშაც ცხოვრობენ და უშორეს მანძილზე დანახვის უნარიც აქვთ? რა თქმა უნდა, გვჭირდებიან. მაგრამ ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ ასე ადვილად გამეშვა ორი ცოცხალი არსება, თან უნიკალური მოდგმის ორი უკანასკნელი შთამომავალი ნამდვილად საშიშ, ნამდვილად საშიშ გზაზე. მე მართლაც არ ვიცი, როგორ მოხდა ეს, როგორ დაიბადა ჩემში ეს გადაწყვეტილება. რატომღაც გული მეუბნებოდა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლდა. მაგრამ, აი, ხომ ხედავთ! ხომ ხედავთ, როგორ დამთავრდა ყველაფერი!

მართალია, ჩვენ ყველამ ვიცით, რომ შემრიგებელნი ძალზე ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკით მუშაობენ ჩვენს საუკუნეში, როცა ცის მეკობრეებმა სულ აიწყვიტეს და ყველა მეთოდით გვებრძვიან, მაგრამ ზანგო და დანგო ხომ შერიგების ოპერაციას არ ასრულებდნენ! მე ისინი მათი უშორესი წარსულის საპოვნელად გავუშვი და ახლა აღარც მესმის, რატომ გავაკეთე ეს!

მეგობრებო, მე ვფიქრობ, უნდა დაისვას საკითხი: მაქვს თუ არა მე უფლება, კვლავ ვიყო ორდენის ხელმძღვანელი. მე ვფიქრობ, რომ არა მაქვს.

დარბაზში შიშნარევმა სიჩუმემ დაისადგურა.

ორდენის წევრები ყურებს არ უჯერებდნენ! როგორ! განა დიდი დაგის გარეშე ორდენი კიდევ იარსებებდა?!

ქალბატონ ძირას ველური ზამბახის ყნოსვამ ვეღარ უშველა და, ბოლოს და ბოლოს, გული წაუვიდა. სანამ საბოლოოდ დაკარგავდა გონს, რატომღაც რაინდი თახვი გაახსენდა, რომლის ასავალ-დასავალი იმ დღის შემდეგ აღარ იცოდა, ურჩხულთა ტყე-ქალაქის განაპირას რომ დაემშვიდობა. „ყველა მიდის და იკარგება“ — ეს იყო მისი ბოლო ფიქრი, ვიდრე გვერდით მჯდომ ბატონს მუხლებზე გადაასვენდებოდა.

მაგრამ, რაინდი თახვი არ დაკარგულა. მრავალი გმირული ფათერაკის შემდეგ მან სამი მდინარის შეერთების ადგილას ამოჰყო თავი და კარგადაც იბანავა კრიალა ტბაში. მერე მზეზე მიწვა და ჩაფიქრდა. მას სურდა აუცილებლად შეესრულებინა საცოლისათვის მიცემული სიტყვა, რომელმაც ძველისძველი სარკის ნატეხი სთხოვა. ეს ნატეხი ჩავარდნილი ყოფილა ერთ უფსკრულში, რომელიც მარადი თოვლით დაფარულ მწვერვალსა და დედამიწის ყველაზე დიდ მყინვარს შორის მდებარეობდა.

„ეს ხომ ძალიან დიდი სივრცე იქნება, წარმოდგენა არა მაქვს, სად უნდა ვიპოვო იქ სარკიანი უფსკრული! ძალიან უცნაური თხოვნები სცოდნიათ საცოლეებს! მე უკვე დავიღალე ამდენი ფათერაკებით. ავდგები და ახალ სარკეს ვუყიდი. ბოლოს და ბოლოს, სარკე სარკეა!“ ამ დროს ქარი ამოვარდა, ცოტა ხნის შემდეგ ქარიშხლად იქცა. თახვი აიტაცა, ჰაერში კარგა ხანს ატრიალა და ბოლოს საშინლად ცივ ადგილას დაახეთქა. დაახეთქა და თვითონაც ჩადგა, თითქოს მხოლოდ თახვის სადღაც დანარცხება იყო მისი მიზანი. თახვმა მიიხედ-მოიხედა და გაყინული ბექობების გარდა ვერაფერი დაინახა.

„რა ჯანდაბა მინდა ამ მკვდარ და უკაცრიელ ადგილას!“ — გაიძახოდა გამწარებული და გაალმასებული ჰკვეთდა ჰაერს გაურკვეველი მიმართულებით. უცებ სადღაც ჩავარდა და კარგა ხნის ფრენის შემდეგ რაღაც ცივსა და გლუვს დაასკდა. გონს რომ მოვიდა, აღმოაჩი-

ნა, რომ გამოშტერებული დაჰყურებდა საკუთარ სახეს. კი მაგრამ, სად იყო და რა უნდოდა მეორე თახვს მის ქვეშ? ვინ ოხერი იყო ეს თახვი, უტიფრად რომ შესცქეროდა თვალებში?! ჰოი, საოცრებავ! ეს სარკე იყო, სარკე! თახვი კი ზედ ეგდო. ეს იყო ძველი, საკმაოდ დიდი სარკის ნატეხი, რომელიც რადაც არ უნდა დასჯდომოდა, საცოლემდე უნდა მიეტანა! კარგს იზამდა ის დამთხვეული ქარაშოტი, თუ დაეხმარებოდა და ახლა საცოლის ფეხებთან დაანარცხებდა, თუკი ასეთი მონდომებული ბრძანდებოდა, რომ თახვს სარკე ეპოვა. აბა, რისთვის ჩამოაზღართა ამ უფსკრულში, როცა უკვე მშვენიერი გეგმა მოიფიქრა, რომ საცოლესათვის სადმე ქალაქში ახალი სარკე ეყიდა! აქეთ ეცა, იქით ეცა და რაღაც რკინის კიბე შენიშნა. შენიშნა და ბრძოლაც დაიწყო გადარჩენისათვის! აღარ ახსოვდა, რამდენი ხანი მოანდომა უფსკრულიდან სარკიანად ამოფოფხებას. მხოლოდ ის ახსოვდა კარგად, რომ ცოლის მოყვანა ასჯერ მაინც გადაიფიქრა. — „უგულო! უპასუხისმგებლო! თავქარიანი! თურმე სად უბედურებაში მაგზავნიდა!“ — კბილებში ცრიდა მომავალი მეუღლის სახელსა და მისი მისამართით წარმოთქმულ საყვედურებს.

ხვნეშით ამოიტანა საკუთარი ტანი და არავის სარკე მიწის ზედაპირზე და იქვე მიეგდო. კაშკაშა მზემ გააღვიძა. კაშკაშა კი იყო, მაგრამ ძალა არ ჰქონდა, სიცივესა და ყინულს ვერაფერს აკლებდა.

თახვმა ზურგჩანთიდან თოკი ამოიღო, სარკეს შემოაკრა, მეორე ბოლო წელზე შემოიხვია და წავიდა. მიდიოდა და მიათრევდა სარკის ნატეხს ყინულზე. მაგრამ ერთხელაც უკან რომ მიიხედა, შენიშნა: სარკე მზის სხივებს იკრებდა და დამაბრმავებლად ბრწყინავდა. სადაც კი მისი შუქი ხვდებოდა, ყინული მაშინვე იწყებდა დნობას.

უეცრად კვნესა შემოესმა და ყინულის ბექობზე ორ გაურკვეველ სხეულს მოჰკრა თვალი. სარკიანად აფოფხდა და მიუახლოვდა. დაინახა, რომ ორი უცნაური არსება მთელი ტანით ყინულს დაჰკვროდა და ვეღარ ინძრეოდა. რაინდმა თახვმა სარკე მიანათა იმ ადგილს და ყიჟინა დასცა, როცა დაინახა, როგორ სწრაფად დაიწყო ყინულმა დნობა... სხეულები ამოძრავდნენ და ნელ-ნელა წამოიმართნენ. და რაინდი თახვი ვერ მიხვდა, რომ მის წინ მისი ძველი და აუტანელი ნაცნობები — ზანგო და დანგო იდგნენ. ისინი მეტისმეტად შეეცვალა ბოლო სამი წლის მანძილზე მიღებულ გამოცდილებას.

მოულოდნელად რაღაც გუგუნი გაისმა და გამოჩნდა შვეულმფრენი „ფრიდია“, რომელიც ძალიან დაბლა ფრენდა. ჩანდა იქედან დაძაბული აკვირდებოდნენ ყინულის სამეფოს და რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდნენ...

ყინული კი თვალსა და ხელშუა დნებოდა და უცნაური საგნები და არსებები ჩნდებოდნენ...

შერიგების ორდენში კარგა ხანს გაგრძელდა დიდი დაგის სიტყვებით გამოწვეული სამარისებრი სიჩუმე. მერე კი უცებ ყველა წევრი ერთად აღელდა.

სიტყვა ითხოვა დიდი დაგის მესამე თანაშემწემ, რომელსაც იისფერი მოსახამი ესხა. მან ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და განაცხადა:

— ოსტატო დაგ! მაპატიეთ, მაგრამ, ვერავინ, არავინ დაეთანხმება თქვენს მოსაზრებას, თითქოს ორდენის ხელმძღვანელობის უფლება აღარ გქონდეთ! ნუთუ არ გჯერათ, რომ ასეთ შემთხვევაში ორდენი დაიშლება და თან ახლა, როცა ჩვენი შრომა და ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის?! ჩემთვის სრულიად გასაგებია მიზეზი, რატომაც ეს ორი უნიკალური არსება, უცხოპლანეტელი ულების ორი უკანასკნელი შთამომავალი — ზანგო და დანგო — შორეულ გზას გაუყენეთ. ისინი ძალიან მარტონი არიან. წარმოიდგინეთ, მთელ დედამიწაზე არავინაა მათნაირი. თანაც, ისინი ურჩხულები უკვე აღარ არიან, მაგრამ ჯერ არც ულებად გადაქცეულან!

მართლაც რაღაც საშინელ გაურკვევლობაში იმყოფებიან! და თქვენ გსურდათ, მათ თავიანთ შორეულ წინაპართა ქვეყანა ან მისი ნაშთები მაინც აღმოეჩინათ, რათა რაღაც დიად

წარსულს, საკუთარ ფესვებს დაკავშირებოდნენ. რადგან რა იყო ზანგოსა და დანგოს წარსული? — საშინელი ბავშვობა, მათი ჩლუნგი და სასტიკი მშობლები, ცემა-ტყეპა და ლანძღვა –გინება. ამას კი, რაც არ უნდა ვთქვათ, შემდეგ ყველა განიცდის.

ხოლო ულების ქვეყნის აღმოჩენის შემთხვევაში ისინი უპირველესად დია-დედის კვალს აღმოაჩენდნენ, რადგან ულების მთელმა გადაგვარებულმა მოდგმამ შემდეგში დატოვა თავიანთი სოფელ-სახელმწიფო და სხვაგან გადასახლდა. დია-დედა კი ყველა მათგანის დედა იყო, საკუთარ მშობლებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი! და ზანგოსა და დანგოსთვის დია-დედის ნაკვალევიც კი დიდ მნიშვნელობას შეიძენდა. თან, ვინ იცის ეგებ ამ ნაკვალევს ისინი საბოლოოდ გადაექცია ულებად?

სამწუხაროა, რომ ეს ასე არ მოხდა, და ჩვენი ძვირფასი ნახევარურჩხულები თუ ნახევარულები დაიკარგნენ. მაგრამ თქვენი ჩანაფიქრი ღრმა და კეთილშობილური იყო და უმორჩილესად გთხოვთ, ნურც თავს დაიტანჯავთ და ნურც ჩვენ დაგვტანჯავთ.

ამ სიტყვებმა იმდენად გაზარდა დამსწრეთა მღელვარება, რომ მათ ვეღარ გაიგონეს ვერტმფრენის გუგუნი, რომელიც პირდაპირ სასახლის ეზოში დაჯდა.

მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როდესაც მრგვალი დარბაზის კარი გაიღო და გამოჩნდა ორი ული და ერთი საბრძოლოდ გამოწყობილი თახვი, რომელსაც რატომღაც სქელი სარკის ნატეხი ჩაეხუტებინა გულში და პირდაღებული ათვალიერებდა დარბაზს.

ორდენის წევრები გაოგნებული შესცქეროდნენ ამ გამოცხადებას. მათ ვეღარ იცნეს ზანგო და დანგო.

— ეს ჩვენ ვართ, ზანგო და დანგო, — წამოიწყო დანგომ, — მოგესალმებით, დიდო დაგ! მოგესალმებით, შემრიგებლებო, მასწავლებლებო და ოსტატებო, ძვირფასო მეგობრებო! ბოდიშს ვიხდით ასეთი დაგვიანებისათვის, მაგრამ გზა ურჩხულთა მოდგმის ძველი სამშობლოსაკენ იმაზე ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდით. შეიძლება ჩვენ არ ვიყავით მზად ასეთი სირთულეებისთვის. უკვე შევიტყვეთ ჩვენი საყვარელი მასწავლებლის, დიდი შემრიგებლის იგირადო დანტელის სიკვდილის ამბავი. ვწუხვართ, რომ განსაცდელის ჟამს მის გვერდით არ ვიყავით.

დიდო დაგ! თქვენი დავალება შესრულებულია. ჩვენ ვიპოვეთ ულების ოდესღაც აყვავებული ქვეყნის ნაშთები. მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ სიცოცხლეც: დია-დედა ცოცხალია თავის ცხვრებთან, ფუტკრებთან და პეპლებთან ერთად, და თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალია ორი გოგონა ულიც, რომლებსაც მაშინ რაღაცნაირად გაუკვლევიათ გზა მისი ქოხისკენ, ვიდრე ამ გზას გაუვალი ჯაგნარი დაფარავდა. და ცოცხალია ცარცის კლდის ძირას მდებარე ქოხიც, ერთ მხარეს მწიფე მაყვლის კედელი რომ აქვს და მეორე მხარეს — მწიფე ასკილის. ეს ყველაფერი, უბრალოდ, გაყინული იყო, რადგან ჩრდილოეთით მდებარე მყინვარი მთელი ეს ხანი სულ იზრდებოდა და მთელ სივრცეს იპყრობდა. ყველა და ყველაფერი სქელ ყინულქვეშ იყო დამარხული და ჩვენც უკვე ვიყინებოდით, რადგან როდესაც ყინულში ჩავიხედეთ, გაყინული დია-დედის გახელილი თვალები, გაყინული კრავები და პეპლები დავლანდეთ. და ამ ყურებაში ყინულს დავეკარით. ასეც დავრჩებოდით, რომ არა რაინდი თახვი და ულების დროინდელი ძველი სარკე, უფსკრულის ფსკერზე რომ ეგდო! ეს სარკე საოცარი ძალით კრებს მზის სხივებს და ყველაზე სქელი ყინულის საფარსაც კი ადნობს. და, აი, ახლა აქ ვართ, რომ გემსახუროთ. რაინდი თახვიც მზად არის თანაშემწის მოვალეობა შეასრულოს.

გაოგნებით გამოწვეული ხანგრძლივი სიჩუმე ერთობლივი აღტაცების ყიჟინამ შეცვალა.

დიდ დაგს თვალებში ცრემლები ედგა, და არა მარტო მას. ქალბატონი ძირა, მაგალითად, უკვე ხმამაღლა ტიროდა და წამოდგომას ვეღარ ახერხებდა. ასცისანი, ასტურისი და პატარა დედოფალი კი ზანგოსა და დანგოს ეხვეოდნენ! დიდი დაგის ორდენის ფოტოგრაფი, ბატონი ოჰოჰო გამალებული უღებდა სურათებს, როგორც თავად ამბობდა: „დარბაზში მყოფ

სამად-სამ არაადამიანს“: ერთ (რაინდ) თახვსა და ორ ულს. განსაკუთრებით ცდილობდა ულების ფრთებისა და შუბლზე დახატული თევზის გადაღებას, რომელიც სინამდვილეში დახუჭული მესამე თვალი იყო. ფოტოგრაფი ისე გონდაკარგული ფაციფუცობდა და ისეთ მოულოდნელ ილეთებს აკეთებდა (მაგალითად, უცებ დაეცემოდა ხოლმე მუხლებზე, რათა ქვემოდან გადაეღო სურათი ულებისათვის), რომ წამდაუწუმ ეჯახებოდა ვიდეოოპერატორს, რომელსაც ასევე ევალებოდა ორდენის კრების ფირზე აღბეჭდვა.

შერიგების ორდენის საგანგებო კრება დასასრულს მიუახლოვდა. დიდმა დაგმა საბოლოო სიტყვები წარმოთქვა: ჩვენი გეგმები მცირეოდენ შეიცვალა. აუცილებელი გახდა დოქტორ იგირადო დანტელის შემცვლელის გამოძებნა. დროებით პატარა დედოფალი შეცვლის მას „შერიგების ხელოვნების სკოლაში“. პატარა დედოფალს კი ასცისანი და ასტურისი ჩაენაცვლებიან. მათ მცველები არა სჭირდებათ. ხოლო ზანგო და დანგო მთელი ეს ხანი სასახლეს დაიცავენ. დიდი ხანია ვეძებდით შერიგების სასახლის ნამდვილ მცველებს. გილოცავთ, ულებო!

გილოცავთ ყველას! მადლობას გიხდით აქ ყოფნისა და ერთგულებისათვის. გემშვიდობებით, მეგობრებო. გისურვებთ მუშაობის შესაძლებლობასა და გულის სიხარულს. ვერავინ უარყოფს, რომ შერიგების ხელოვნება თანდათან მთელ დედამიწაზე ვრცელდება. მალე შეგატყობინებთ მომავალი შეხვედრის თარიღს.

გაისმა დიდი დაგის უახლოესი მეგობრის — მუსიკოს იეჰუდი ბენუჰინის — ჯადოსნური მუსიკა და მერე ნაცნობი სიტყვები, ყველა ჩუმად რომ წარმოთქვამდა:

მშვიდობის თავადო, ჩვენ შენი ჯარი ვართ,
სასტიკი დროების ძნელ გზებზე დავდივართ,
რათა აღვასრულოთ, რასაც გვეუბნები,
რათა დავამშვიდოთ მრისხანე გულები,
რათა შერიგების ხიდები ავაგოთ
და შენ გაგახაროთ, ძვირფასო თავადო!
პირველ შემრიგებელს მოგმართავთ ვედრებით,
დასრულდეს ყოველი მტრობა შერიგებით,
და ჩვენც დაგვიფარე, შენი მეგზურები,
ყველგან და ყოველთვის აქ რომ გვეგულები.

ულებმა პირველად შენიშნეს სახურავის მინის გულზე მიხატული დიდი, შვიდფოთლიანი ყვავილი, რომელიც თითქოს ნელა ტრიალებდა და ფოთლის ფორმის შვიდი ფერი იქ მყოფთა სახეებზე გადადიოდა.

მეთოთხმეტე თავი

კრების შემდეგ ბაღში

ატურისმა, ასცისანმა და პატარა დედოფალმა ვერ დაიძინეს და არც ულები დააძინეს. მათ საშინლად აინტერესებდათ ულების ფრთებისა და მესამე თვალის ახლოდან ნახვა. ზანგოსა და დანგოს ფრთები მკლავებზე ჰქონდათ შეზრდილი, ასცისან სამურისა და ასტურისს კი ზურგიდან ამოზრდილი.

— ეჰ, ერთი მე არა მაქვს ფრთები და ვარ ყოვლად ჩვეულებრივი ადამიანი, — ამოიოხრა პატარა დედოფალმა და ისევ გაშალა ცოტა ხნის წინ დაკეცილი პარაშუტი, განუყრელად ზურგზე რომ ეკიდა.

— სისულელე! — ჩაიფხუკუნა ასტურისმა, — კამრია, შენც ხომ იცი, რომ ადამიანი მაინც ყველაზე არაჩვეულებრივი არსებაა! თუ არ იცი და ჩვენ დაგვიჯერე!

— რა ვიცი, აბა, —ამოიოხრა პატარა დედოფალმა. მას რატომღაც ძალიან მოუნდა, რომ ეს ოთხი არაადამიანი და წარმოშობით არადედამიწელი განსაკუთრებულად თბილად მოქცეოდა. ბოლოს და ბოლოს, ის, როგორც ადამიანი, აქ და ახლა უმცირესობაში იყო.

— ზანგო და დანგო, გაახილეთ რა შუბლის თვალები! — შეეხვეწნენ სატურნის ბავშვები და ულებმა მართლაც გაახილეს თავიანთი მესამე, მწვანე თვალი. თვალები უცნაურად გაბრწყინდნენ მთვარის შუქზე და ულებმა დაიძახეს:

— ჩქარა ასცისან სამური! ასტურის! დედათქვენი გეძებთ!

— გვეძებს და გვეძებოს, არსადაც არ წავალთ! თქვენთან გვინდა ყოფნა. ბოლოს და ბოლოს ჯერ არაფერი მოგვიყოლია!

— ორი ქვეყანა შერიგდა! — წამოიძახეს უეცრად ულებმა, — ორივე დიდხანს იქცეოდა უგუნურად! ყოყოჩობდნენ და ერთმანეთს აღიზიანებდნენ, მაშინ როდესაც თავის დაცვა არცერთს არ შეეძლო.

მათ შორის ჩვენი ორდენის წევრებს ვხედავთ! ალბათ ამიტომ არ ესწრებოდნენ დღევანდელ კრებას. აი, ორივე ქვეყანამ შერიგება გამოაცხადა. ოო, რა ზეიმია! შერიგების ზეიმს მართლაც არაფერი შეედრება!

— ჰაა! საოცრება! ზანგო-დანგო! თქვენ შორსმხედველები გახდით?! — აღმოხდათ ასცისანსა და პატარა დედოფალს, პირდაღებულები რომ უსმენდნენ ულებს.

— მოიცათ, მოიცათ! ახლა ორი პატარა ქვეყანა ემზადება შესარიგებლად! — და ულები სიხარულისაგან აფრინდნენ და დაფრინდნენ.

— დანგო-ზანგო, თქვენ მართლაც ნათელმხილველები ხართ! —ასტურისი საშინლად ღელავდა.

ულებმა მესამე თვალი დახუჭეს და წამოიძახეს:

— დასანახი ჯერჯერობით აღარაფერია. მოდი, ჯერ ვითამაშოთ და მერე ჩვენ-ჩვენი ამბები მოვყვეთ.

— ულებო! გინდათ გირჩები გესროლოთ?— დაიძახა ასტურისმა და დიდი ნაძვის ტოტზე ახტა.

— ახლა კი დაგიჭერთ! — და ულებიც მიჰყვნენ. ასცისანიც გაეკიდა და გაიმართა დაჭერობანა ჰაერში.

პატარა დედოფალი კი სასტუმროს ფანჯრებში იჭყიტებოდა და ბოლოს ერთ-ერთთან გაქვავდა. მერე ჰაერში მოთამაშეებს დაუსტვინა და ხელი დაუქნია. ფანჯრის მიღმა ქალბატონი ძირა და რაინდი თახვი ყავას მიირთმევდნენ და ნამცხვარს ატანდნენ. თან რაინდი თახვი იმასაც ახერხებდა, რომ საცოლის ნაჩუქარი ვერცხლის მუნდშტუკი გაერჭო პირში და დიდის ამბით აბოლებდა. ქალბატონი ძირა ეუბნებოდა, რაინდს ეს არ შეშვენის, უნდა გადაეჩვიოო. მერე კი ულებზე, სატურნის ბავშვებზე და პატარა დედოფალზე მოჰყვნენ მასლაათს. ესენი კი იდგნენ ფანჯრის წინ და ცდილობდნენ, გაეგოთ, მაინც რას ამბობდნენ მათზე.

ამ დროს თითქოს პროჟექტორის ძლიერი შუქი ჩაეცა ღამის ბაღნარში და ხეტიალს მოჰყვა. მაგრამ ეს პროჟექტორი კი არა, სატურნის შუქი იყო.

— წავიდეთ, ასცისან! დედამ მოგვაგნო! — დაიძახა ასტურისმა.

— რა მოხდა, მერე! ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ, ჯერ ხომ არაფერი მოგვიყოლია! ხვალ დილიდან ულები მცველებად დადგებიან სასახლის კარიბჭესთან, კამრია შერიგების სკოლის ეზოში დაეშვება პარაშუტით. ჩვენ კი მის ნაცვლად გავყვებით დიდ დაგს და სადაც გვეტყვის, იქ დავეშვებით შვეულმფრენიდან, „ფრიდია“ უკვე გველის, და როდისღა ვილაპარაკებთ?

ყველანი დიდი ნაძვის ძირში ჩამოსხდნენ. მთვარის შუქზე საოცრად ელავდა ულების სხ-ეულებზე შემოტმასნილი თევზის კანის სკაფანდრები, მათი დიდი მწვანე თვალები და თე-ვზის გამოსახულება მათ მაღალ შუბლებზე. ნიავი გრძელ, ოქროსფერ თმა-ფაფარს უფრი-ალებდა. ცისარტყელებიც განსაკუთრებულად ციმციმებდნენ ასცისანისა და ასტურისის შლაპებზე. და, როგორც ყოველთვის, პარაშუტისტის კოსტიუმში გამოწყობილი პატარა დედოფალიც ამ საღამოს განსაკუთრებულად სერიოზული და ლამაზი ჩანდა.

მოსაყოლი და მოსაგონებელი კი მართლაც ბევრი ჰქონდათ, ბევრად მეტი, ვიდრე მთე-ლი ეს ამბავია.

ათრა

№15 2009

სალიტერატურო
რელიგიურ-ფილოსოფიური და
საზოგადოებრივი ჟურნალი

კავშირი – „კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი – კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. №20